# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

№ III

მარტი, 1894

ტფილისი
[illegible]
1894

# ႫႭႠႫႡႨႱ ႰႤႣႠႵႺႨႨႱႠႢႠႬ

რადგან ჟურნალი „მოამბის“ I-ლი ნომერი სულ დაურიგდა ხელის-მომწერთ, რედაქცია ხელმეორედ ჰბეჭდავს ამ ნომერს და ახალ ხელის-მომწერთ პირველი წიგნი აპრილის შუა რიცხვებში გაეგზავნებათ.

---

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ჟურნალი „მოამბის“ დასაკვეთად შემოუტანიათ მხოლოდ არა უმეტეს ოთხი მანეთისა, 1-ლ აპრილამდე გამოგზავნონ მეორე შემოსატანი, წინაალმდეგ შემთხვევაში, რედაქცია, სამწუხაროდ, იძულებული იქმნება 1-ლ აპრილიდან შეაჩეროს ჟურნალის გზავნა.

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

**№ III**

**მარტი, 1894**

P-6301

ტფილისი

სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т-ВА, Д.-МЕЛ. № 13

1894

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 15 Февраля 1894 года.

# ბიბო ღრუბელაშვილი

პ ო ე მ ა

I

ჯერ მზე არ იყო ამოსული, როდესაც ერთი ქვიტკირის სახლიდან გამოვიდა გარედ ფერ-მკრთალი, ცოტა გამხდარი, მარილიანი სახის ახალგაზდა კაცი. მას ეცვა უბრალო, იაფ-ფასიანი ლურჯი ბლუზა, თავზე ეხურა ყვითელი ჩალის განიერი შლიაპა, მხარზე ჰქონდა გადაგდებული ნაცრის ფერი შალი, ხელში კარგა მოზდილი ძვირფას-ყდიანი წიგნი ეჭირა. გამოყო თუ არა სახლიდან თავი, მის წინ გამოჩნდა ლამაზად ამწვანებული ფართო მოედანი, რომელსაც სამის მხრიდან მოსდგომოდა ამ სოფლის თვალ-გაუწვდენელი სახნავ-სათესი მინდორი. ამ მინდვრიდან ახალგაზდა კაცს წინ მოეგება წმინდა, გრილი ნიავი, ნაზად შეარხია ჰაერი მის გარეშემო და ყნოსვის დამატკბობელი სურნელება მოჰფინა მთელს მის არსებასა. იმავე წამს მისმა დაღვრემილმა სახემ სევდა-ვარამის ღრუბელი გადაიყარა, შენასკული წარბები გაიშალა... ცოტა ხანს კიდევ დარჩა ერთ ადგილას გაშტერებული; შემდეგ აიღო თავი მაღლა, მხიარულად მიიხედ-მოიხედა და ფეხ-აჩქარებით გასწია მოედნისაკენ. სულით და გულით უნდოდა შეხვედროდა ვისმე, ძმურად გადახვეოდა, მეგობრულად გადეკოცნა, მაგრამ ნაცვლად ძველი ამხანაგებისა, ნაცნობ-ნათესავებისა მას წინა ხვდებოდნენ მხო-

ლოდ შინაური ფრინველები და წვრილ-ფეხი საქონელი, რომელნიც ამ სისხამ დილა ადრიან გამოშლილიყვნენ მოედანზე და გულიანად სწიწკნიდნენ ნამიან ნორჩ ბალახსა. შუა მოედანზე მან დაინახა კარგა მაღალი პტყელი ქვა, რომელიც სამანივით იყო მიწაში ჩამჯდარი. მთელი სახე გაუცოცხლდა, გულმა სიამოვნებით უწყო ფანცქალი.

— გამარჯვება, გიგო, გამარჯვება!—მოესმა მიმავალს იმ ქვიდან.—გახსოვს, აქ რომ ბურთაობას თამაშობდი და მე მუდამ „ბერა-ქვად“ დამნიშნავდით ხოლმე! აი შე ეშმაკო, შენა! ცალ თვალს რომ დახუჭავდი და ისე მიზანში ამოღებულს გამომიგორებდი ხოლმე ბურთსა! გახსოვს, მერე ე ჩემ გვერდზე რომ დადგებოდი, შეისროდი მაღლა ბურთსა და გაშლილ ხელს ღონივრად შემოჰკრავდი ხოლმე. ბუჰ! .. გაისმოდა ერთი და ბურთი ტრიალ-ტრიალით და კოწიაწით გაფრინდებოდა ჰაერში, გადაევლებოდა თავზე მოთამაშე ბიჭებსა და შორს დედა-მიწაზე ზღართანს გაილებდა. ხა, ხა, ხა! როგორი თავ-პირის მტვრევით გამოუდგებოდნენ ხოლმე იმას შენი ამხანაგები! როგორ იბეგვავდნენ მუხლებსა, ყირამალა გადადიოდნენ! შენ კი ე ჩემ გვერდზე დოინჯ-შემოყრილი იდექი და ამაყად გასცქეროდი შენგან გაკრული ბურთის ოინებსა. ხომ არ დაგავიწყდა ყველა ესა? ხომ არ დაგავიწყდა, ჩემო კარგო, შენი პატარაობა? ხომ გახსოვარ მე, მე?

— როგორ არა, ჩემო ძვირფასო, როგორ არა! ყველა ეგ, რაც ახლა შენა თქვი, კარგად მახსოვს: ასე მგონია, ეგ ამბები გუშინ იყო-მეთქი! ის კაცი რა კაცია, რომელსაც ავიწყდება თავისი სიყმაწვილე და მეგობრები იმ ნეტარი ყმაწვილობისა? კარგად მახსოვხარ შენცა და ათასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდები! ყოჩაღ, ჩემო კარგო! ყოჩაღ, რომ ისევ ძველებურად გამოჰიმულხარ! როგორცა სჩანს, შავი დღეები არა გამოგიცდია-რა: კაცის მრუდე ხელი არ მოგკარებია, სეტყვასა და ნიაღვრებს შენთვის ვერა დაუკლიათ-რა. ახ, ნეტავი ყველაფერი ეგრე შენსავით მაინც დამხვდეს ამ ჩემ პატარა სამშობლოში!..

## II

— აბა, ახლა ჩემსკენაც მოიხედე, გიგო! — მოისმა ამ დროს შოედნის ერთი ნაპირიდან... — რაღა თქმა უნდა, ეხლა შენ მე ვეღარ მიცნობ! ან კი რაღა საცნობი ვარ, მე უბედური!.. ამ ათი-თორმეტი წლის წინად კი შენ ხშირი სტუმარი იყავი ხოლმე ჩემი. ჩემი გაბარდღნული, ეკლიანი ტოტებიდან არა ერთხელ ამოგისხამს პატარა ჩიორების ნამწია პარტყები... გახსოვს, ერთხელ ბროლის დიდი ღრაფინკა რომ გაგეტეხა სახლში და გაჯავრებულ მამა-შენს რომ ეფრინე?.. გახსოვს, ჩემ ტოტებში რომ შემოძვერი და დაიმალე?.. ხა, ხა, ხა! როგორ გავნაბეთ სული შენცა და მეც, როცა მამა-შენმა ჯავრობით და მუქარით გვერდზე გამოგვიარა, ვერ დაგინახა და წკეპლის ქნევით ყანებისკენ გასწია!..

— ოხ, ჩემო საყვარელო კუნლის ბუჩქო! მართლაც რომ ძნელი საცნობი ხარ! რა მოგსვლია ესა, საბრალოვ?! რა უყავ შენი მრავალზე უმრავლესი, ფოთლით დაბურული ყლორტები და ტოტები, რომლებზედაც ისეთ მხიარულ ჭიკჭიკსა და ჟრიამულს ასტეხდნენ ხოლმე უთვალავი პაწია ფრინველები ყოველ დილა-საღამოობით? ეგრე ულმერთოდ ვინ შეგახო თავისი უკუღმართი ხელი? ვინ გაგასწორა, შე საწყალო, მიწასთან?

— თქვენებიაანთ პავლემ, ჩემო სიცოცხლე, თქვენებიაანთ უმსგავსმა პავლიკამ! ერთ ღამეს მოვიდა ის წუწკი, მოიტანა გაალმასებული ცული და შეუბრალებლად დამიშინა შიგ ძირში. მე შევტირე და შევეხვეწე: ნუ მღუპავ! რა არის რომ ამ ტრიალ დედამიწის ზურგზე მეც ვუცქირო მზესა და მთვარესა-მეთქი!.. „ვენახის ღობე ვიღამაც გამიტეხა და იმის გასამაგრებლად მინდიხარო“. გულ-დინჯად მითხრა მან და არხეინადვე გააგრძელა თავისი მხეცური მოქმედება. მჩეხა და მჩეხა, სინამ სრულებით არ მომაშორა ჩემი ძვირფასი ტოტები, ყლორტები და მარად მხიარული, ცქრიალა მწვანე ფოთლები. მას აქედ

დავრჩი ასე უბედურადა. გაზაფხულობით გამოვისხამ ხოლმე მშვენიერ ნორჩ ყლორტებსა; ვფიქრობ: გაიზდებიან, ტოტებად გადიქცევიან და ძველებურ დიდებას კიდევ ვნახავ-მეთქი.... მაგრამ წყეული თხები მიწის ზემოდაც არ აუშვებენ ხოლმე: წვერის ცანცარით და ტარტაროზული თვალების ბლვრიალით მოცვივიან და ერთ წამს მოსჭამენ და ჩაახრამუნებენ ხოლმე. ჩემდა საუბედუროდ, წვიმაც როგორღაც გვიან-გვიან მოდის; ამ გვალვამ ხომ დამაღნო და დამანელა!..

— ნუ გეშინიან, ჩემო საბრალო, ნუ მიეცემი მაინც სასოწარკვეთილებას! ვგონებ, ამ გვალვას მალე მოეღება ბოლო. გაიხედე დასავლეთისკენ, როგორი საავდრო ღრუბელი მოსდებია ცის დასავალსა! ეტყობა, რომ დასავლეთის ქარიც ამოვარდნას აპირებს. დღეს თუ ხვალ ის ღრუბლები მთელ ცას მოეფინება, გაჩნდება ჰაერში ჭექა-ქუხილი და შხაპუნა გრილი წვიმა დააბუჟბუჟებს დედამიწის გამხმარ ზურგსა. მაშინ შენთვისაც გათენდება ბედნიერი დღე.

### III

— შენ პირს შაქარი, გიგო! შენ პირს შაქარი! გადღეგრძელოს ღმერთმა, შვილო! — დაიძახა ახლა დიდმა, ბებერმა მუხამ. — მოდი, მოდი ჩემთანაც. დარწმუნებული ვარ, აღარ გეხსომება: ერთხელ ჩემი ტოტიდან ძირს რომ ჩამოვარდი და მკლავი იღრძევი.

გიგო მსწრაფლად გატრიალდა იქით, საიდანაც მოესმა ეს ხმა, წასდგა რამდენიმე ნაბიჯი წინ და უცებ შესდგა; ელდანაცემივით ერთ ადგილას გაშეშდა. მის წინ გადაიშალა თვალგაუწვდენელი, სანახავად საზარელი, ბრძოლის ველი, რომელზედაც ათასობით ეყარნენ უსულდგმულო შვილები ერთ დროს დიდი და დაბურული ტყისა. კაცს ეგონებოდა, ღვთის რისხვა მოვლენია ამ ადგილებს და თავ-ზარ დამცემი მუსრი გაუვლია ყველაფრისთვის, რასაც კი აქ სიცოცხლის ნიშან-წყალი სდებია. თეთრ-კანიანი და მწვანე პტყელ-ფოთლებიანი ნეკერ-

ჩხალი, სასიამოვნო ყვავილიანი დიდებული ცაცხვი, რკინასავით მაგარი სხვილი მუხები, მრავალი თელა, იფნი, რცხილა, ვერხვი, რომელთაც თავიანთ ქოჩორა კენწეროები ერთ დროს მაღალ ღრუბლებამდინ ჰქონდათ აშვერილი, ყოველივე ეს ეხლა ეყარა ძირს დედა-მიწაზედ დაჩეხილი, ტოტებ-დამტვრეული, ფოთლებ დამჭკნარ-დაყვლეფილი. საითკენაც კი უნდა გაგეხედათ, ყველგან დაინახავდით მხოლოდ ამ დაჭრილ-დახოცვილ დევ-გმირების ძირებსა, რომლებიც შორიდან საფლავების ქვებს წააგავდნენ, ხოლო როცა ახლო მიხვიდოდი, მაშინ ცხადად გაარჩევდი მათ მდუღარე ცრემლებსა, მათ წყლის-ფერ სისხლსა, რომელიც კიდევ უხვად გადმოსდიოდათ სასიკვდილო ჭრილობიდან. გიგო იდგა გაშეშებული, მწუხარებით მოცული. მის ყურებს ცხადად ესმოდათ გაბმული კვნესა, გმინვა, ჩივილი.

— ღმერთო, ღმერთო!—დაიძახა მან გამწარებულის ხმითა: —რომელმა ტყის ნადირმა დაატრიალა ეს საცოდაობა? ვინ მიარტყა ასეთი გახურებული ტყვია თავის თავსაცა და ქვეყნის აწმყო-მომავალსაც?!.

— სხვა აბა ვინ იქნება ყველა ამის ჩამდენი, თუ არ პატრონი ამ ტყისა!—კვნესით წარმოსთქვა ბებერმა მუხამ:—ვენახს, სახნავ-სათეს მინდვრებს, სახლს, ბაღებს და სხვა ამგვარ საკუთრებათ რომ პატრონები ჰყავთ, ეს კიდევ არ არის აგრე რიგად საკვირველი: ადამიანები სხვა-და-სხვა გვარად სდებენ ყველა ამას თავიანთ ამაგსა და ამიტომ მათი პატრონებიც ხდებიან. მაგრამ ვინ რა ამაგსა სდებს ტყესა? გინახავს, ან გაგიგონია ჩვენში სადმე ტყის მომვლელები?.. ვინ არის, რომ ტყის დაუძინებელი მტერი არ იყოს! მხოლოდ ერთი ცა, რომელიც წვიმასა გზავნის, და მეორეც დედა-მიწა, რომელიც გვბადავს და საზრდოს გვაძლევს, მხოლოდ ესენი არიან ჩვენი გულ-შემატკივარი მეგობრები და ჩვენზე პატრონობაც მხოლოდ ამათ უნდა ჰქონდეთ მინდობილი. მაგრამ თქვენა, ჩემო კარგო, თქვენ, ადამიანები, ცის კანონებს ვერა ხედავთ და დედა-მიწისა არ იცით; ორთავეს კი—ცასაცა და ქვეყანასაც—ერთგვარის სიამაყით სთელავთ ფეხითა.

— შენი გულის-წყრომა, დარბაისელო მუხავ, საფუძვლიანია. მხოლოდ მაგ გულის-წყრომის პატიოსანი ჭურჭელი ყველა ადამიანზე ერთ-ნაირად როდი უნდა მოაპირქვაო! ჩვენშიაც არიან იმისთანა ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით თქვენი დიდი მნიშვნელობა... ჰაერში რომ საავდრო ღრუბლები მიფრინავენ ხოლმე, ვინ შეაჩერებდა იმათ ჩვენს მიწა-წყალზე, თუ არ თგვენგან გაგზავნილი გრილი ჰაერი, რომელიც ჰკუმშავს იმ ღრუბლებს და მათში მდგომარე ზღვის წყალს ჟუჟუნა წვიმად გადააქცევს ხოლმე. თქვენ რომ არა ყოფილიყავით, მაშინ წვიმა, ეს ციური მადლი, ან სულ გაჰქრებოდა ქვეყნიერებაზე და ან, სარგებლობის მაგივრად, დიდ ზარალსა და ვნებას მოუტანდა ხალხსა. ჯერ ეხლაც ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანის ქონება და სიცოცხლე სამუდამოდ დაუღუპავთ წვიმის დროს მოხეთქილ ნიაღვრებსა... მხოლოდ თქვენ არ აძლევთ წვიმის ნამებს გაცოფებულ ნიაღვრებად გადაქცევის ნებას. თქვენი მრავალი ფესვები, ძირს დაშვებული ტოტები, მიწაზე დამპალი ფოთლები აქედ-იქიდან წინ ეღობებიან ამ ნამებს, გზას უკვრენ და ძირს, გაფუებულ ტყის ნიადაგისკენ, აბრუნებინებენ პირსა. მიწა ღრუბელივით ისვამს წვიმის წყალს, შემდეგ სწმენდავს, აციებს და ბოლოს ანკარა წყაროებად გზავნის დედამიწაზე. ვინ არ იცის, რომ სათავე ყველა მდინარისა იწყება ამ წყაროებიდან... და უმდინარეებოდ, უწყლოდ ხომ სრულიად აოხრდებოდა მთელი ქვეყნიერება! ხომ სრულიად მოისპობოდა კაცობრიობის ცხოვრება! ამნაირად ტყეები ჩვენი ცხოვრება-სიცოცხლისათვის ისეთივე უსაჭიროესი გარემოებანი არიან, როგორადაც ჰაერი, საჭმელი... სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება კაცთა უმრავლესობას არა აქვს შეგნებული. დანარჩენი ადამიანები ორ რიგად განიყოფებიან: ერთმა კარგად იცის იგი: ჰქადაგებს, ლაპარაკობს, სწერს მასზე, მაგრამ ყველა ამას მეორე რიგი ყურადღებასაც არ აქცევს და საზიზღარის გულ-ბილწობით ამბობს: თავი ქვისთვისაც უხლიათ ჩემ შვილი-შვილებსაო; როცა მე აღარ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო!

— მართალს ამბობ, გიგო, მართალსა!—დაიძახა ბებერმა მუხამ:—სწორედ მაგ სიტყვებს გაიძახოდა იმ დღეს ამ ტყის უგუნური პატრონი: „ამ ტყეს გავჩეხავ და ხეების გაზიდვით კარგა ბლომად ფულს ავიღებო. მის ადგილს გადავაქცევ სახნავ-სათეს მიწებადა და რამდენსამე წელს დიდი ჭირნახულის მოსავლით ჩემს ბეღელსა და ორმოებს დავავსებო; დავჯდები მერე და ლხინსა და ქეიფში ვატარებ ჩემ სიცოცხლესაო“.

## IV

გიგო ღრუბელაშვილი მწარედ დაღონებული, მწარედ გულდაკოდილი გამობრუნდა უკან და მოედნის მეორე ნაპირისაკენ გაუდგა გზასა. მალე უკან დასტოვა მოედანი, ბებერი მუხაც და მთელი თავისი სოფელიცა. ის ფეხ-აჩქარებით მიდიოდა სულ წინა და წინ, სანამ მიადგა მშვენიერი აღელვებული ყანების თვალ-გაუწვდენელ ზღვასა: ახლად ამოსული მზის უთვალავი სხივები ბრწყინვალებით მოჰფენოდნენ ამ ზღვის გასაოცარ ტალღებსა, რომელთაც ნაზად აქანავებდა დილის ცელქი, გრილი ნიავი. მარცვლით სავსე დიდრონი თავთავები წვრილ ღეროებს ველარ დაემაგრებინათ და ერთმანეთს მძიმედ მისწოლ-მოსწოლოდნენ; მორცხვი პატარძალივით თავები ძირს ჩაეღუნათ და განუწყვეტელის დინჯის რხევით თითქო რაღაც საოცნებო ამბებს ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. წითლად მოლაპლაპე ყაყაჩო, ლამაზი და მოხდენილი შროშანა, ტურფა, ნაზი ფოთლებით შემკული სოსანი და კიდევ მრავალი სხვა „მინდვრის კეკლუცები“ თითქო სულ-განაბით ყურს უგდებდნენ ამ ამბებს, მოსწონდათ მათი შინაარსი და, ნიშნად სიამოვნებისა, აქედ-იქიდან მხიარულად გამოიჭყიტებოდნენ, მთელი ტანით ეშხიანად ირხეოდნენ, კოპწიაობდნენ, თითქო შეწითლებულ ფუნჩულა თავთავებს ეარშიყებიანო!..

ამ მოსავლით სავსე მინდორს იქვე შორი-ახლოდან ამაყად გადმოსცქეროდა კარგა მაღალი მთა. მხოლოდ შაქრის თავიეით მოყვანილი წვეროში ამ მთისა იყო დაფარული დიდი და

ხშირი ტყითა; მინდვრისკენ გაშვებული ფერდობი კი, ეჭვი არ უნდა ადამიანის წყალობით, დიდი ხანია გამოსთხოვებოდა ტყის სასიამოვნო სიგრილესა და ჩრდილებს. ამ ფერდობზე ხტუნაობით და წანწკარით მხიარულად მორბოდნენ მაღლიდან ცივი ანკარა წყაროები, რომელთა მეოხებით მთელი ეს ამოდენა გვერდობი ზურმუხტის ფერად ახავერდებულიყო. ახალგაზდა ღრუბელაშვილი იდგა შუა ყანაში და აღელვებულის თვალებით გასცქეროდა ამ ბუნების ენით-გამოუთქმელს მშვენიერებას. მას ეგონა: ეს მთაცა და ეს მინდორიც განზრახ მორთულან, განგებ შემოუკრებიათ მთელი მადლი თავიანთ ძლიერებისა და დღეს დილით გამოსულან აქ კაცთა ნათესავის გასაშტერებლად და ერთმანეთის საცქერლადაო. ერთი აღტაცებით კიდევ გადაავლო თვალი მის გარეშემო გადაფენილ ბუნების სიკეკლუცესა და შემდეგ უცებ რამდენიმე ნაბიჯი აჩქარებით გადმოსდგა უკანა. „ცოდოა, რომ ამ დიდებულებას ადამიანის ფეხმა ზედ გადაუაროსო“! სთქვა მან და საჩქაროზე გავიდა ვიწრო ბილიკზე, რომელიც შუა ყანებზე იყო დაქნილი. წიგნი დასდო ძირს ბილიკზე, ზედ დააკეცა თავისი შალი და სიამოვნებით წამოწვა. აქეთ და იქით მას უდგნენ ხშირი მაღალი ყანის კედლები. მისი მოძრაობით გვერდზე გადახრილი თავთავები ისევ ძველებურადვე გასწორდნენ, ჩვეულებრივად მიადეს თავი თავსა და ამგვარად მწოლარეს ზევით შეჰკრეს საოცნებო მშვენიერი თაღი. როდესაც გულ-აღმა მწოლარე გიგო ღრუბელაშვილი გასწორდა და მაღლა აიხედა, მან ლაჟვარდი ცის მაგიერ გაოცებით დაინახა ეს თაღი დაჭიკნილი თავთავებისა, რომელთაც თავები ძირს ჩამოეკიდათ თითქო იმ განზრახვით, რომ მათ ქვეშ მწოლარე ახალგაზდა კაცი უფრო კარგად დაენახათ, უფრო კარგად გაესინჯათ!

V

— ოხ, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერებაა! — შესძახა გიგომ აღტაცებითა: — რა კარგი იქნება, რომ მუდამ ესეთ სიტკბოებაში

გრძნობდეს ჩემი გული და გონება!.. რა კარგი იქნება, რომ ადამის ყოველი შთამომავალი ასე ჩემსავით ნეტარებადა რაცხდეს თავის სიცოცხლის თვითეულ წამსა!

ამის შემდეგ ახალგაზდა კაცი გაჩუმდა. ნელ-ნელა მოშორდა მის სახეს ალტაცების გამოხატულება. თვალებ გაშტერებული შეიცქირებოდა მაღლა, მაგრამ ცხადადა სჩანდა, რომ იქიდან ჩამოკიდებულ დინჯად მოქანავე თავთავებს ის ამ დროს ველარა ხედავდა. მისმა ფიქრებმაც გაშლილი და მონავარდე ფრთები შეკუმშეს, დაუსრულებელ ლაჟვარდი სივრციდან ძირს დედა-მიწაზე დაეშვნენ. ჯერ მისმა საკუთარმა პაწია სამშობლომ და შემდეგ მრავალმა სხვა-და-სხვა სოფლებმა დინჯად, აუჩქარებლივ ჩამოუარეს წინ მის გონების თვალსა. მას წარმოუდგა საცოდავი ქოხმახები, რომლებშიაც მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვა და დაგვით ათრევდნენ თავიანთ სიცოცხლის მწარე დღეებსა. ის ცხადად ხედავდა გლეხკაცის განუზომელ სილარიბესა, მის დავრდომილებას, მისი აზრისა, გრძნობისა და გონების დაუძლურებას. ხედავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფასა, რომლისაგან იგი ჯანითა და აგებულებით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და გადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა. შემდეგ მას გადაეშალა წინ საზიზღარი სურათი იმ ავაზაკთა კრებისა, რომელნიც მთელი თავიანთ მეცადინეობით ხელს უწყობენ მუშაკაცის უბედურებასა, მის დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა! ბოლოს, მას წარმოუდგა ის შავბნელი გარემოებანი, რომელთაც დაჰბადეს ქვეყნად ერთის მხრივ ეხლანდელი მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი, ხოლო მეორეს მხრივ მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჰამელი ორფეხა ნადირი!..

— არა, არა!—დაიძახა გიგომ ხმა მაღლა:-- საქმე ძლიერ ცუდად მიდის! ასე რომ გაგძელდეს კიდევ ოციოდე წელიწადს, ხალხი სრულიად დაეცემა, სასოებას დაჰკარგავს; სილარიბე და უსამართლოება სამუდამოდ ბოლოს მოუღებენ მას! დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე უნდა მივეშველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი

სიცოცხლე. ორიოდე თვის შემდეგ მაღალ სასწავლებელში შევყობ თავსა, ვემთხვევი სწავლა-მეცნიერების დიდებულ ტახტსა... მე იქ შევისწავლი სამკურნალო მეცნიერებას და თანაც გულდადებით ვიკითხავ პედაგოგიურ თხზულებათა. საჭიროა აგრედვე ცოდნა სამართლის კანონებისა, რომ მათის დახმარებით გლეხკაცი აღარავის არ დავაჩაგვრინო. შევისწავლი ყველა ამას, მოვალ ჩვენ სოფელში, გავხსნი სკოლას და ვასწავლი დიდებსაცა და პატარებსაც. თავისუფალ დროს ვივლი სოფლიდან სოფლად და, სადაც კი შევხვდები ღარიბ ავადმყოფსა, უსასყიდლოდ ვუწამლებ. ეჭვი არ უნდა, მალე სხვებიც დაადგებიან ჩემ გზასა და ოცი, ორმოცი წლის ამგვარი მოღვაწეობით ხალხის მდგომარეობას, თუ სრულიად არა, ბევრნაირად მაინც გავაუმჯობესებთ. მერმე შეიძლება რაიმე დიდმა შემთხვევამ აწინდელი საერთო ვითარება ძირიან-ფესვიანად შესძრას, შეარყიოს! მაშინ ჩვენც გავიბერტყავთ მშვიდობიანობის მტვერსა და თავ-განწირულ მამულის შვილებად გამოვალთ ბრძოლის ველზე. აბა, მობძანდით მაშინ, მტარვალებო, და თქვენი ცოცხალის თავით დაგვიდექით წინა! გიჩვენებთ მაშინ თქვენ სეირსა, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა!..

## VI

— ახ, უკაცრავად, ყმაწვილო! ნეტა გამაგებინა, ვინ არის ის უბედური დღის გაჩენილი, რომელსაც თქვენ ეგრე ეუბნებით!

გიგო ღრუბელაშვილი გიჟივით წამოვარდა ფეხზე და როდესაც დაინახა ამ სიტყვების მთქმელი, მთლად აირია და რამდენსამე წამს უძრავად დარჩა ერთ ადგილასა სარივით გაშეშებული, თვალებ-დაჭყეტილი და პირ-დაღებული. საკვირველიც არ იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ჩვენგანს ასეთივე საქმე დაემართება, ღრუბელაშვილის მდგომარეობაში რომ ჩავვარდეთ როდისმე. მის წინ პატარა, ვიწრო ბილიკზე იდგა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზდა ქალი, რომლის მშვენიე-

რების აღწერა თვით შოთა რუსთაველსაც კი გაუჭირდებოდა. მაგრამ ყველა მის სიმშვენიერეს ღვთიურ გვირგვინად ადგა მისი შეუდარებელი თვალები. რა ფერისანი იყვნენ ეს თვალები, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი ან კი რა საჭიროა ამის ცოდნა იქ, სადაც აზრი, გრძნობა და სათნოება ერთად დამკვიდრებულან და შეერთებულის ძალით უხვადა ჰფენენ სულიერსა დაუსრულოს თავიანთ ცხოველ-მყოფელ მადლსა. ამ ქალის მოულოდნელმა თავზე წამოდგომამ გიგო ღრუბელაშვილი სულ მთლად გადარია, მაგრამ, დაინახა თუ არა მისი შეუდარებელი თვალები, იმავე წამს იგრძნო გამოუთქმელი ნეტარება. თითქო, იმ წამს საიდგანღაც მოსკდა აზვირთებული ნაკადული ყოველ მაღალ, კეთილშობილურ გრძნობათა, განვლო მთელი არსება გიგოსი და შეგუბდა მის სულსა და გულში. გიგომ გახურებულ შუბლზე ხელი გადისვა და ცოტა მოკრძალებით უპასუხა ახალგაზდა ქალსა:

— თქვენა გნებავთ — შეიტყოთ, ვის ვემუქრებოდი ეს არის ეხლა? მოგახსენებთ დიდის სიამოვნებით. მე ვფიქრობდი აწინდელი ჩვენი ცხოვრების უკულმართობაზე, იმ საზიზღარ უკულმართობაზე, რომლისაგან ლამის მთელი ჩვენი ხალხი მიწასთან გასწორდეს. ვემუქრებოდი იმათ, რომელნიც ხელს უწყობენ ამ უკულმართობას, რომელთაც თავიანთი პირადი სარგებლობა კერპად დაუსვამთ და საზოგადო კეთილშობილობას მასმსხვერპლადა სწირავენ.

— მეც არა ერთხელ მიფიქრნია მაგ საგანზე, — სთქვა ქალმა: — რაღა თქმა უნდა თქვენგან აღნიშნული უკულმართობა დიდი ბოროტებაა. მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ამ ბოროტებას ფესვები ღრმად და განივრადა აქვს გაშლილი: მთელი წარსული კაცობრიობისა ამ ფესვებს ზედ აწევს, მათ ძუძუს აწოვებს და ასაზრდოებს. ამისთანა ბოროტების წინააღმდეგ საჭიროა ძლიერი იარაღი, საფუძვლიანი მოქმედება, მედგარი ბრძოლა...

— საუცხოვოდ ლაპარაკობთ, საუცხოვოდ! ასე მგონია ჩემს გულში იცქირებით, ჰკრეფავთ იქ ჩემს აზრებს და გრძნობათ და შემდეგ თქვენი მშვენიერი ბაგით უკანვე მიბრუნებთ!

კარგად ვხედავ მოხსენებულ ბოროტების ძლიერებასა და მეც არა მარტო ცარიელი მუქარით ვაპირობ მასთან შებრძოლებასა!

— შეიძლება, რომ მოკლედ გამაცნოთ თქვენი განზრახვა?

— რატომ! მოგახსენებ! მე მინდა სოფლად დავსახლდე. სოფელი შეწუხებულია გაუნათლებლობით, სხვა-და-სხვა სნეულებით და ორფეხა წურბელა ნადირებით. სკოლითა და ადვილად გასაგები ლექციებით შევებრძოლები პირველსა; სამკურნალო მეცნიერებით შევასუსტებ მეორეთა; სამართლის ცოდნით, პურის მაღაზიებით, საზოგადო დეპოების დაარსებით და სხვა, გარემოებაზე დამოკიდებულ, მოქმედებით წინ დავუდგები მესამეთ. იმედი მაქვს, ერთი მეც ბევრ რასმე გავაკეთებ, მაგრამ ისიც კი მტკიცედა მწამს, რომ მე მარტოკა არასოდეს არ დავრჩები დიდ ხანსა: მალე სხვებიც მომეშველებიან...

— ახალგაზდა ქალმა აჩქარებით გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი წინა, ხელი გაუშვირა გიგოს და აღტაცებით შესძახა:

— მართალს ამბობ! მარტო არ დარჩები მაგ სასიქადულო ასპარეზზე... ამ დღიდან მეც იქ ვიქნები, სადაც ხალხის აღდგენა მოითხოვს შენს ყოფნასა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! ეს რა ბრძანეთ? მართალია ეგ თქვენი სიტყვები, თუ ხუმრობთ?

— ვფიცავ იმ დიდებულ საქმეს, რომელზედაც ვლაპარაკობდით ეს არის ახლა, რომ წმინდად ავასრულებ ჩემგან ნათქვამი სიტყვების აზრსა.

— ოხ, ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ! წელან რომ პირველად შემოგხედეთ, მე თქვენ ზეციდან ჩამოფრენილი ანგელოზი მეგონეთ! თქვენ, რომელიც ღვთაებას შეუმკიხართ ეგრეთი შეუდარებელი სიტურფითა; რომელმაც დაჩრდილეთ გადაფურჩქვნილი სიმშვენიერე ჩვენს გარშემო გამეფებულ ბუნებისა, თქვენ გნებავთ გლეხკაცს ამოუდგეთ გვერდში და იშრომოთ მისთვის, რომლის სულსა და გულს, სამწუხაროდ, იმოდენივე ჭუჭყი დასდებია, რამოდენიც ადევს მის სხეულსა?!

— დიაღ, მთელი ჩემი ძალითა და ღონით მე ვეცდები, რომ ცოტა რამ ჭუჭყი მაინც მოვრეცხო ხალხის სულსა! მა-

შინ, დარწმუნებული ვარ, მისი სხეულიც თავის-თავად იწყებს გასულიერებასა.

— სულით და გულით გმადლობთ მაგ საუცხოვო სიტყვებისათვის! წელან ბუნების სიმშვენიერემ დაატკბო მთელი ჩემი არსება. მაშინ მზად ვიყავი: ეს სიმშვენიერე ღვთაების გამოხატულებად მეღვიარებინა და მისთვის მოწიწებით თაყვანი მეცა. მაგრამ ამ დროს ჩემმა მრავალ-მოწყალე ბედის ვარსკვლავმა გამომიშუქა, საჩქაროზე თვალები ამიხილა და მითხრა: რაც უნდა დახატული იყოს უსულდგმულო ბუნება, მაინც სულიერი მშვენიერება მასზედ დაშორებით მაღლა იდგებაო. და აი ახლა თქვენ წინა ვდგევარ და ხმა-მაღლა ვიძახი: თაყვანისცემა შეშვენის მხოლოდ იმ მშვენიერებას, რომელშიაც ღვთაკვიდრებულა სული ცხოველი!

## VII

ამ სიტყვებმა გასაოცარი გავლენა მოახდინეს ახალგაზდა ქალზე. აქამდეც მშვენიერი, ის ახლა სწორედ მოწყვეტილ ვარსკვლავს დაემსგავსა. კალმით ნახატი სახე კმაყოფილების შუქით გაუბრწყინდა, თვალები სიცოცხლის ალით აენთო და ლამაზი ლოყები თურაშაული ვაშლივით დაებრაწა. გიგო ღრუბელაშვილს კიდევ რაღასიც თქმა უნდოდა, პირი გააღო, მაგრამ ამ დროს უცებ შენიშნა საკვირველი ცვლილება თავისი ტურფა მოსაუბრისა, დამზადებული სიტყვა ენაზე დაეკრა და განაბულ-გაშტერებული მხოლოდ ცქერად გარდაიქცა. ამდროს „მინდვრის კეკლუცებსაც“ რაღაც დაემართათ. უეცრად ფერი დაჰკარგეს და შემკრთალ-გაცრეცილის სახით მორიდებით იწყეს ბალახებიდან ცქერა. მწვანე, ქოჩორა ტყიდან დაიძრა გრილი და წმინდა ნიავი, ჩამოურბინა მთის ფერდობს და მასზედ მოფენილ ყვავილებს გაუთამაშ-გამოუთამაშა; ყოველ მათგანს მოსტაცა სურნელება, აურია იგინი ერთმანეთში და, საოცნებოდ შეზავებული, გამოაქროლა მინდვრისკენ. ჩვენს ნაცნობ ვიწრო ბილიკზე მან დაინახა დედოფალი მშვენიერებისა; სია-

მოვნებით მიესალმა ამ დედოფლის გიშერივით შავს თმასა და ბროლივით თეთრ კისერზე მიუწ-მოუწეწა იგი, მერმე თაყვანებით შეეხო მის ვარდის-ფერ ტუჩებსა და შემდეგ მხიარულად იწყო ცურაობა მღელვარე ყანების მოელვარე ზვირთებში. დარბაისლურად ჩაფიქრებული თავთავები შეინძრნენ, თავები აიღეს მაღლა და დაინახეს თვის შორის მდგომარე კეკლუცი. ნიშნად კმაყოფილებისა შეჰქმნეს დინჯი, მოხდენილი რხევა და ერთმანეთს რაღაც სასიამოვნო უჩურჩულეს. ეს ჩურჩული ერთმა მეორეს გადასცა, მეორემ—მესამესა, ამან კიდევ სხვებს... აქ ჩვენი ცელქი, კუდიანი ნიავიც ჩამოერია, თავის ას ფრთოვან მხრებზე შეისვა იგი და ელვასავით გააქან-გამოაქანა. ერთ წამს მთელი ის მიდამო—მთა და ბარი, მინდორი და ველი მოჰფინა ამ ჩურჩულითა. ყოველის მხრიდან მოისმა გაბმული შრიალი, მხიარული გუგუნი, რომელსაც სიამოვნებით ბანი მისცეს უთვალავმი ფრთოსანმა მგალობლებმა... და უცებ მთელი ის არემარე დაჰფარა ერთმა დიდებულმა ღაღადებამ, ერთმა აღგზნებულმა ქებითა-ქებამ. გიგო ღრუბელაშვილს თავისი თავი ზეცაში ეგონა: გატკრციალებული თვალები გაშტერებით მიეპყრა ერთი მხრისაკენ და აღტაცებით იმეორებდა: შენ ხარ გვირგვინი მშვენიერებისა! შენ ხარ წყარო ბედნიერებისა! და მხოლოდ შენ, მარტო შენ გშვენის ქება და დიდება, პატივი და თაყვანისცემა!!..

## VIII

ახალგაზდა ქალის აღგზნებული სახე დამშვიდდა: მისმა სიტურფემ ახლა სხვა ელფერი მიიღო... წეღან თუ ის განხორციელებული მშვენიერება იყო, ახლა იგი გარდაიქცა ხორცშესხმულ სათნოებადა. ლამაზი თავი რამდენჯერმე დაღონებით გაიქნ-გამოიქნია, შემდეგ დაიძრა ადგილიდან და ნელ-ნელა გასწია ბილიკზე. ღრუბელაშვილი საჩქაროზე ჩამოეცალა გზიდან.

— გვეყო ლაპარაკი,—უთხრა მას ქალმა,—წავიდეთ, საქმეს დავადგეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ!—დაიძახა გიგომ და გაჰყვა მას უკან.

რამდენსამე წამს ორივენი ჩუმად მიდიოდნენ... შემდეგ ქალი შესდგა და მოუბრუნდა გიგოს:

— იცი, სად მივდივართ?

— ვიცი, ჩემო ზეციერო მბრძანებელო! აგერა, აიმ სოფელში...

— მერე, იცი ისიც, რა ამბავია ახლა იმ სოფელში?

— ეგეც ვიცი, მაგრამ რა საჭიროა მაგის ცოდნა?.. ისიც საკმარისია ჩემთვის, რომ შენ იქითქენ მიდიხარ: როგორც შენა ხარ მეუფე ჩემის გულისა, ამიერიდან მე ვიქნები აჩრდილი ყოველის შენის მოძრაობისა!

— ეგ ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო მეგობარო!—სთქვა ახალგაზდა ქალმა სიამოვნების ღიმილითა:—მაგრამ მე მაინც ველი შენგან ჩემი საკითხავის პასუხსა.

— იმ სოფელში ამ ერთი კვირის წინად ხოლერა გაჩნდა და ამ ჟამად საზარელის მძვინვარებით ჟლეტავს მის უბედურ მცხოვრებელთ!

— გცოდნია! მაშ წავიდეთ იმ სოფელში და ძმურად ხელი მივაშველოთ უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვებულ ხალხსა.

— მზად გახლავარ! დაიძახა გიგომ და გამოუდგა უკან აჩქარებით მიმავალ ახალგაზდა კეკლუცსა.

მალე გაირბინეს ჩვენი ნაცნობი ვიწრო ბილიკი; მალე, ძალიან მალე უკან დასტოვეს პატარა რუც, რომელიც ჰყოფდა ამ მინდორს მოხსენებულ ხოლერიან სოფლისაგან... მარდად ჩაირბინეს პატარა გვერდობიც და თვალის დახამხამებაზე თავი ამოჰყვეს სოფლის დაჩრდილულ ტალახიან ორღობეში... გაიარეს ეს ორღობეც და აგერ მათ წინ გამოჩნდა უბადრუკი სოფელიცა. პირველად მათ დაინახეს საბძლები და ოთხ ბოძზე შეყუნტული ცარიელი ძარები და შემდეგ თვით საცოდავი ქოხმახებიცა, რომლებშიაც, ეითომდა, სცხოვრობდნენ აქაური გლეხები. კაცს ეგონებოდა — ეს ქოხმახები განგებ აურ-დაურევიათ, განზრახ დაუდგამთ ასე უსწორ-მასწოროდაო. ერთსა რომ აღმოსავლეთისკენა ჰქონდა კარი, მეორეს ამისათვის ზურგი მი-

ეშვირა, თითქო რაღაზედაც შემოსწყრომიაო და დასავლეთისაკენ გაიცქირებოდა; მესამე კარგა მანძილზე მოშორებოდა ამ ორთავეს და პირი ჩრდილოეთისაკენ მიებრუნებინა; მეოთხე კი ნახევრად ნოტიო მიწაში ჩამძვრალიყო და იქიდან ისეთი დაღრეჯილი გამოიყურებოდა, თითქო ეს არის ახლა ვიღასაც წიხლი ჩაუკრავს და გულ-ღვიძლი ჩაუყრევინებიაო. ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენდა დანარჩენი ქოხმახებიცა.

სადგომებს შემდეგ თქვენ ყურადღებას მიიქცევდა უსათუოდ მათ წინ დიდრონ ზვინებად დაყრილი საქონლის პატივი, რომელსაც, როგორც მუდამ, ისე ახლა, შემოხვეოდნენ შინაური ფრინველები, ფეხებ-ნისკარტით სთხრიდნენ, სჩიჩქნიდნენ და აქედ-იქით ალიავებდნენ. ზოგიერთ ამგვარ ადგილებზე წვიმის წყალი შეტბორებულიყო და შიგ ჩამპალი პატივისაგან საზიზღარი მოშავო ფერი მიეღო. ამ წუმპეებს ზემოდან დაჰყურებდა მკათათვის გახურებული მზე და მთელ სოფელში იდგა საზარელი სუნი, რომლისაგან ჩვენს ნაცნობ ახალგაზდებს ჯერ ისევ ორღობეშივე ეკმინდებოდათ სული. სახლების წინ შემოწნული ბაკები, კარმიდამო და სოფლის დახლაკნილი გზები აგრედვე ნაგვითა და სხვა-და-სხვა გვარის უსუფთაობით იყვნენ მოფენილნი. ამასთანავე საითკენაც კი უნდა მიეხედნა ადამიანს ამ სოფელში, ყველგან შენიშნავდა საშინელს სიღატაკეს; რომ იტყვიან,—სიღარიბის ნატასუსალი ასდისო, სწორედ ამ უბედურ სოფელზე შეიძლებოდა ამის თქმა. ყოველივე ეს სოფლის ნაპირშივე ბოხჩასავით გადაეშალათ ჩვენს ახალგაზდებს.

— ღმერთო ჩემო,—წამოიძახა აღელვებით ღრუბელაშვილმა:—ამას რა ამბებსა ვხედავ!.. აქ ხომ სრულიად გაწყდება უბედური ხალხი!

— საკვირველია,—დაუმატა თვალ-ცრემლიანმა ქალმა:—რატომ შარშანაც, შარშანწინაც და გამუდმებით ყოველ წელს აქ ხოლერა არა ჩნდებოდა და ძირიან-ფესვიანად არა სთხრიდა აქაურობასა!

— ყველაზე უწინ სოფელი უნდა გავასუფთაოთ!—სთქვა გიგომ და გასწია წინ. მას მიჰყვა ქალიცა. პირველად მათ შეხვდათ ერთი ხანში შესული დედაკაცი და ორთავემ მიმართეს მას:

— დედი, დედი! ერთი დაუძახე ვისმე... სად არიან კაცები?

დედაბერმა ნამტირალევი სახე მოიბრუნა მათკენ, გაოცებით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგინი და შემდეგ ჰკითხა:

— ვინა ბძანდებით? ან რად გინდათ კაცები?..

— ჩვენი ვინაობა რა საჭიროა შენთვის! და კაცები კი იმიტომ გვინდა, რომ ეგება დღესვე ეს პატივი, ეს საშინელი უსუფთაობა აქედან გავზიდოთ სადმე, თორემ, ღმერთს ერწმუნე, სულ დედა-ბუდიანად გაიჟლიტებით,

— აი ამ წუნწუხებმა, ამ საშინელმა უსუფთაობამ იცის ხოლერის გაჩენა...—სთქვა ქალმა.

დედაბერმა გაოცებით შემოხედა, მწარედ გაიღიმა და უთხრა:

— თუ ამისაგან არის, მაშ შარშან და იმაზე წინაც რატომ არ იყო ხოლერა? ეს უსუფთაობა ხომ მაშინაც აქ იყო?

ამაზე გიგოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დედაკაცმა აღარ დააცალა: გატრიალდა და უკანიდან ბუზღუნით მოაძახა:

— ნეტა ერთი რას დაეხეტებით! რას მასხარაობთ! ამ მეორედ მოსვლის დროს ვისა სცალიან თქვენთვისა?!.

## IX

ჩვენი ახალგაზდები სრულიად სხვაგვარ დახვედრას მოელოდნენ. მათ ეგონათ, რომ მთელი სოფლის გლეხ-კაცობა ერთმანეთს ეცემოდა, რაკი შეიტყობდნენ მათ იქ მისვლასა. მაგრამ დახე უმადურებას! ნახევარ საათზე მეტი იქნება, რაც ისინი სოფელში შემოვიდნენ და ამდროის განმავლობაში ერთმა ბალღმაც კი არ გამოყო შინიდან თავი! ბოლოს ეს დედაკაცი შეხვდათ და ამანაც ესეთი უზდელობა გამოიჩინა. ვერ ეჭაშნიკათ ესეთი ამბავი ჩვენს ყმაწვილებს, მაგრამ რას იზამდნენ? უგუნურ, გაუნათლებელ ხალხს ჯიბრში ხომ ვერ ჩაუდგებოდნენ! ამიტომ მიმართეს სულგრძელობას, დაივიწყეს უკ-

მეხი ბებერის სიტყვები და ახლა სხვა მხრისაკენ გასწიეს. იქვე ახლო მათ დაინახეს ერთი ძველი ფიცრულის ქოხი. ამას, როგორცა სჩანდა, წინა ბოძები დამპალი ჰქონდა, ამისგამო კარგა ძალზე იყო წინ გამოზნექილი და ისეთნაირად იყურებოდა, თითქო ემუქრება ვისმეო: არ გაბედო ჩემთან მოახლოვება, თორემ გადმოვწვები და უსათუოდ ქვეშ მოგიტანო. სახლი ასე იმუქრებოდა, მაგრამ როგორცა სჩანდა, ზოგიერთები ამ მუქარას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთი ჰალარა-შერთული გლეხი შიგ ძირში მისწოლოდა წამოწოლილ კედელს და საშინელ სენით შეპყრობილი ხმა-მაღლა კვნესოდა, საზარლად გმინავდა. მალი-მალ ისმოდა მისგან მძიმე, გაბმული ბოყინი და ყოველ ამდროს მისი პირიდან შადრევანივით გადმოდიოდა გვამიდან ამონალები. ჩვენმა ახალგაზდებმა, დაინახეს თუ არა ეს ავადმყოფი, მაშინადვე მოურიდებლივ გასწიეს მისკენ. გიგომ დასტაცა უბედურს ხელი, წამოსვა და ზურგით სახლის კედელს მიაყუდა. ამავე წამს ქალმა ამოიღო ჯიბიდან თავისი ფეთრი პატარა ხელსახოცი და მით ფრთხილად მოსწმინდა გლეხს გათხუპნული თავ-პირი. როცა ხელსახოცი ისე მოისვარა, რომ მითი გაწმენდა აღარაფრისა არ შეიძლებოდა, მაშინ ის შევიდა შიგნით სახლში და იქიდან გამოარბევინა ერთი კოკა ცივი წყალი. გარეცხა თავისი ხელსახოცი და გასუფთავებული ნელ-ნელა მიუსვ-მოუსვა ავადმყოფს სახეზედა. გლეხს იამა, ცოტა გამოერკვია და დაბალის ხმით წყალი მოათხოვა. საჩქაროზე დაალევინეს. ცივმა წყალმა კაი გავლენა მოახდინა სნეულზე: ის სრულიად გამოერკვია, გრძნობაზე მოვიდა.

— ვკვდები, დედაკაცო, ვკვდები!—დაიძახა მან კვნესით:—რაღად მოსულხარ? აკი წელან ბავშვები წაასხი ვენახში?..

— ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან, ჩემო ძმობილო!—გაამხნევა ქალმა:— ყოჩაღად იყავ, არ შეშინდე და ეგ ბოროტი სენი მაშინ ბევრს ვერაფერს დაგაკლებს.

გლეხმა გაოცებით გააჰყიტა თვალები. ჯერ ამ ქალს შეაცქერდა, მერგე გიგოსაკენ მიიბრუნა სახე და უცებ შეშინებულივით უკან დაწევა მოინდომა.

— თქვენი ღვთის-გულისთვის ნუ მამკლავთ!—დაიძახა მან გამწარებით:—თქვენ ალბად დოხტურები იქნებით... თავი დამანებეთ, მამშორდით! იქნება ღმერთმა შეიბრალოს ჩემი საწყალი ცოლ-შვილი!..

— ჩვენ დოქტორები არა ვართ, ჩემო ძმაო,—უთხრა მას გიგომ:—ჩვენ შენი ძმები ვართ! შენი სიკვდილი კი არა, შენი ფეხზე წამოყენება გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ შენ, როგორც დოვლათით, ისე ჭკუა-გონებით, ღონიერი გახდე... ჩვენ გვსურს, რომ შენი მადლიანი მარჯვენა ძლიერებით შეიმოსოს: მოკეთეს სიყვარულით მოეხვიოს და მტერს ბოროტ გულში გაალმასებული მახვილი ჩასცეს.

გლეხი თვალებ-დაჭყეტილი, გაშტერებული შესცქეროდა მოლაპარაკეს და როდესაც ეს გაჩუმდა, მან კიდევ უკან დაიწია, ცოტა გაიღიმა და დაცინვით წარმოსთქვა:

— ჰეი, ჰეი! როგორ გაგილესია ეგ ენა-და! ღმერთია შენი თავდები, შენ ან ადუკანტი იქნები, ან მწერალი...

— არა, ჩემო ძმაო, არა! მე წელს აქ სწავლა გავათავე და ახლა რუსეთში მივდივარ სტუდენტადა...—დაიწყო ღრუბელაშვილმა, მაგრამ ამდროს გლეხს ხელახლად აუვარდა გულ-ზიდილი, დააბოყინა და ამონაღები ზედ გულზე შეასხა ჩვენს სასტუდენტოს. სინამ ეს ამას მოიწმენდდა, გლეხი გადატრიალდა გვერდზე, პირი იქითკენა ჰქნა და მაგრა მიეკრა კედელსა. ბევრი ეხვეწნენ ჩვენი ახალგაზდები, ბევრი სწიეს აქედ გადმოსაბრუნებლად, მაგრამ სრულიად ვერა გააწყეს-რა... გლეხი პირუკულმა იწვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით ვიღასაც ლანძღავდა, სწყევლიდა.

— წავიდეთ აქედან,—სთქვა ქალმა,—ხომ ხედავ, რომ ამ კაცს იოტის ოდენა ნდობაც კი არა აქვს ჩვენზე! წავიდეთ სხვაგან... იქნება სხვა უფრო საჭიროებდეს ჩვენს დახმარებასა.

— მართალს ამბობ,—მიუგო გიგომ... და ორივენი გამოტრიალდნენ უკანა.

ამათ გაუარეს წინ ერთ მიწურ სახლსა; უნდოდათ გზის გაგრძელება, მაგარამ ამ ადგილზედ მათ იგრძნეს რაღაც ცუდი, საეჭვო სუნი. გიგო ღრუბელაშვილი ავიდა სახლის ბანზე, ნელ-ნელა აიფაფხა დარბაზის გვირგვინზე და, როდესაც თავი წინ წაიღო ერდოში ჩასახედავად, ის მიხვდა, რისაც იყო ეს სუნი. ჩაიხედა ერდოში და იმავე წამს გველ-ნაკბენივით გადმოვარდა უკან.

— ოხ, რა უბედურება დავინახე, რა უბედურება! — წამოიძახა მან ქალის გვერდზე და აჩქარებით გასწია ამ სახლის დერეფნისაკენ. ხვრელის მსგავსი ბნელი დერეფანი ფეხების ფრატუნით და ხელების ცაცუნით ჩაიარეს და მიაწვნენ დარბაზის მძიმე კარებსა. დამაყრუებელი გაბმული ჭრიალით ნელ-ნელა გაიღო ეს კარი და ჩვენი ყმაწვილები გულის ფანცქალით შევიდნენ შიგნითა. კერის ახლო, დედა-ბოძთან მათ დაინახეს ორი მიწაზედ გაშოტვილი, გაშეშებული ადამიანები. ერთსა ეცვა კაცურად, მეორეს ქალურად, ორივენი ახალგაზდები იყვნენ. საზარელი სუნი, რომელიც აქა ტრიალებდა, ცხადი ნიშანი იყო, რომ ესენი სამი-ოთხი დღის გარდაცვალებულნი იყვნენ. ლეში მათი უკვე იხრწნებოდა. კაცი პირქვე ეგდო, ქალი გულაღმა და თავი ცოტა მაღლა ჰქონდა წამოწეული. ტუჩებს ხრწნა დაეწყოთ, ზევით-ქვევით აწეულ-დაწეული იყვნენ და დახრჭენილი კბილები თავ-ზარ დამცემი სიცილით გამოიყურებოდნენ. ამ სანახავმა თავზე თმები აუბურძგნა ჩვენს ახალგაზდებს. ფერმიხდილნი იდგნენ ერთ ადგილას და მუნჯებივით გასცქეროდნენ უსულდგმულო ლეშის ჯოჯოხეთურ ღრეჭასა. მათ გულებსაც რაღაც დაემართათ: თითქო რაღამაც მაგრა ჩაბღუჯა მათ ბჭყალები და თითქმის სრულიად შეაჩერა მათი თავისუფალი ფანცქალი. მაგრამ ამდროს დარბაზში მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც ეს სულ-განაბული, ოდნავ-ღა მოფანცქალე გულები კინაღამ გვამიდან ძირს დედა-მიწაზე გადმოახტუნა.

უცებ ამ გლოვისა და მწუხარების სამფლობელოში, ამ ძლევამოსილ სიკვდილის შავბნელ სამეფოში გაისმა ხმა-მაღალი გატაცებული ხარხარი, კისკისი. ამ ხმამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩვენს ახალგაზდებზე, თითქო ამოღებული ხანჯალი ჩაეკრა ვისმე მათთვის გულში. ერთი შეჰკივლეს და თავ-ზარ-დაცემულნი გამოცვივდნენ კარზედა. იმავე წამს დარბაზიდან გამოვარდა სრულიად დედიშობილა, თმა-გაბურძგნული მოხუცებული დედა-კაცი, ვენახის ეკლიან ღობეზე შეხტა და წელანდებური კისკისით გადაერია ვაზებსა.

## XI

მიეფარა ვაზებს უბედური ბებერი, მაგრამ მისი საშინელი კისკისი ჯერ კიდევ კაი ხანს ისმოდა ჩვენი ახალგაზდების ყურში. ესენი იდგნენ იმავე ადგილას, რომელზედაც წელან შეჩერდნენ; კისრები წინ წაეშვირათ და დაჭყეტილ თვალებს ვეღარ აშორებდნენ ბებრის სისხლით შესვრილ ეკლიან ღობესა. მათმა ესეთმა მდგომარეობამ გასტანა თითქმის საათის მეოთხედი. მერმე კი ნელ-ნელა დაუმშვიდდათ გული, ცოტ-ცოტაობით მოიკრიბეს გრძნობა-გონება. გადასდგეს ორიოდ ნაბიჯი, შესდგნენ ისევ და სამწუხარო თავის ქნევით შეხედეს ერთმანეთსა. საწყლები! სევდა-ვაებით ისე ავსებოდათ გული, რომ ამ ერთმანეთის დანახვამაც კი არ აგრძნობინა მათ სულს სრულიად არავითარი სიამოვნება. საზოგადო უბედურება მძიმე ლოდივით დასწოლოდა მათ კერძო კმაყოფილებას და ყოველი სხივი მისი შთაენთქა და გაექრო თავის შავბნელ უფსკრულში. ღრუბელაშვილი თავჩაღუნული იდგა და, მგლოვიარესავით მწარედ დაღონებული, დაიცქირებოდა მიწაზე. მას ამ წამს ამ ქვეყნიური სრულიად აღარა ახსოვდა-რა! შარშანდელი თოვლივით გამქრალიყო მის მეხსიერებაში როგორადაც დილანდელი აღტაცება, ისე თვით მიზეზიც ამ აღტაცებისა. შავი ფიქრებით მოცული მისი გონება მხოლოდ ერთ საგანს ჩასციებოდა, მხოლოდ ერთ საგანსა ხედავდა. მას თვალ-წინ ედგა დი-

დი, უზარმაზარი საფლავი, რომელსაც ყოველის მხრიდან შემო-
ხვეოდნენ სხვა-და-სხვა ხორც-შესხმული ბოროტებანი: უსამარ-
თლობა, მტარვალობა, ძარცვა-გლეჯა. ამათის ბძანებით ათა-
სობით მოჰყავდათ დამხდარ-დაყვითლებული, ჯაფისაგან წელ-
ში გამწყდარი ხალხი, შეუბრალებლად ჰყრიდნენ ამ საფლავ-
ში და საზიზღარის სიცილ-ხარხარით ცოცხლებსავე აყრიდნენ
ზემოდან მიწასა. ირგვლივ ისმოდა საშინელი კვნესა, გმინვა,
წყევლა, შეჩვენება. და ყოველივე ეს გახურებული შამფურები-
ვით უვლიდა მთელს ტანში გიგო ღრუბელაშვილსა, უვლიდა
და თანაც თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადულები გად-
მოსდიოდა.

— ვინა სთქვა: ქვეყანა მშვენიერიაო?—დაიძახა მან გამწა-
რებულის ხმითა...—ქვეყანა საზიზღარია, ბუდეა ბოროტებისა!
შეაჩვენოს ღმერთმა ისიც და მისი მოთაყვანეცა!

— მოიცა, რა გაყვირებს! —უთხრა მას ხელის წაკვრით ქალ-
მა:—ყური დაუგდე, არ გესმის? ეს რა ხმაა?

ღრუბელაშვილი გამოერკვა შავი ფიქრებიდან, დაუგდო
ყური და მართლაც მას შემოესმა რაღაც ისეთი ღმუილი, რომ-
ლისაგან მთელმა მისმა ძარღვებმა ჟრიამული დაიწყეს. ეს ხმა
თან-და-თან მაღლდებოდა, ძლიერდებოდა. ცხადადა სჩან-
და, რომ პატრონი ამ ხმისა ნელ-ნელა უახლოვდებოდა
ჩვენს ახალგაზდებს. გავიდა ორიოდ წამიც და იქვე ახლო, ვე-
ნახის შემოსახვევ კუთხის უკანიდან, შემოესმათ ფეხის ხმაცა.
ჩვენი ყმაწვილები ცოტა გვერდზე მიდგნენ და შეშფოთებით
მიაჩერეს თვალები იმ მოხვეულ ღობეს, საიდანაც უნდა გამო-
ჩენილიყო მომავალი. და აგერ გამოჩნდა კიდეც... გამოჩნდა
წელში მოხრილი სამოც-ოთხმოცი წლის დაძაბუნებული ბერი-
კაცი, რომელსაც ორივე ხელები უკანა ჰქონდა გაშვერილი
და ისე მოიკაკვებოდა, თითქო რაღასაც, მეტის-მეტ მძიმეს, მია-
თრევდა. აგერ, აგერ!.. ღმერთო, ღმერთო, ეს რა მოაქვს ამ უბე-
დურ მოხუცებულსა! გამოჩნდა ვეებერთელა ნახშირივით გაშა-
ვებული, თვალებ-ჩაცვივნული გვამი ახალგაზდა ვაჟკაცისა,
რომლისათვის საყელოში ჩაევლო ბებერ კაცს ორთავ ხელები

და, ოფლში გაწუწული, ნელ-ნელა მოათრევდა მას; მოათრევდა და თანაც ხან ღმუოდა მომაკვდავი ძროხასავითა და ხანაც დაჭრილი ნადირივით საზარლად ღრიალებდა.

ჩვენს ახალგაზდებს შიშისაგან მუხლთ-მოჰკვეთოდათ და კრიჭა-შეკრულნი მუნჯებივით იდგნენ ერთ ადგილასა. ამგვარად დარჩნენ, სინამ ბერიკაცი თავის თავ-ზარ დამცემი ბარგით არ წაეხახუნა მათ ზედა. მაშინ კი გაქანდნენ მოხუცებულისაკენ, ჩამოართვეს გაშეშებული ცხედარი და წაასვენეს იქით, საითაც უჩვენა ბერი-კაცმა... გადავიდნენ ვენახის გადმოშლილ ღობეზე და ძელი კაკლის ქვეშ, ამოთხრილ საფლავის წინ, შესდგნენ. აქვე სჩანდნენ ხუთი, თუ ექვსი ახალი საფლავები, ერთ ამათგანს დაადგა თავსა მოხუცებული და იწყო მოთქმით ტირილი: „დედა-კაცო, ხორეშან, რა მიყავ ესა, შე ულვთო, უსამართლო! რად დამტაცე შვილები?... ოთხში ერთს მაინც მე დამინარჩუნებდი, შე გაუკითხავო, შეუბრალებელო შენა..“ მერმე მობრუნდა დანარჩენი საფლავებისკენ და ახლა ამათ დაჰბღავლა ზემოდან: „აი შეგირცხვათ ვაჟკაცობა, შეგირცხვათ ახალგაზდობა!.. მყრალ, უსამართლო წუთი-სოფელს როგორ შეუშინდით, ბიჭებო! რა გინდათ მაგ ცივ და ბნელ სამარეში, თქვენი ჭირიმე, თქვენი, შვილებო? წახვედით და მე რაღად დამტოვეთ აქ?.. უთქვენოდ რა უნდა გავაკეთო ამ ქვეყნად?..“ ამის შემდეგ მოტრიალდა ახალი გვამისაკენ და მუხლ-მოდრეკით დაეცა მას გულზედა... დიდ ხანს ისმოდა ჩუმი, სულის სიღრმიდან წამოსული ქვითინი უბედური მამისა... ბოლოს, წამოდგა ფეხზე და ხელი წაავლო ცხედარსა; ჩვენი ყმაწვილები მიხვდნენ მის განზრახვას, თვითონაც მივიდნენ და ის იყო აპირობდნენ გვამის აწევას, რომ ამ დროს დაინახეს მათკენ გაჯავრებულის ტრუხუნ-ტრუხუნით მიმავალი ღორი. ბერი-კაცი იმავე წამს უკან გატრიალდა და საჩქაროზე დაიმალა სიმინდებშია...

— თქვენ აქ რას აკეთებთ? დაუყვირა ღორმა ჩვენს ახალგაზდებს.

— ხალხის საშველად მოვედით! —მიუგო გიგომ.

— ხალხის საშველად!... ტრუხ, ტრუხ!... მერე ვინ მოგცათ ნება?

— კეთილი საქმის ჩადენას რა ნება უნდა!..

— როგორ თუ რა ნება უნდა? აბა შეხედეთ აიმათა... და გაიშვირა ხელი ორღობისაკენ. გაიხედეს იქით ჩვენმა ყმაწვილებმა და დაინახეს მთელი ხროვა სოფლისაკენ მომავალი მტაცებელი ნადირებისა, რომელთაც პირში რაღაც დაწერილი ქაღალდები ეჭირათ...

— ხომ ხედავთ იმათ,— განაგრძო ლორმა,— ემაგათთანა პატივსაცემი ნადირებიც კი დაემორჩილნენ სამართალსა: დღეს დილით მოვიდნენ ჩემთან და ყოველმა მათგანმა ამ სოფელში შემოსასვლელად ნებართვა აიღო ჩემგან. ხომ ხედავ, სუყველას კანონი პირში უჭირავს...

— ლორი კანონებს იძლევა, მგელსა და მელას აღსრულებაში მოჰყავთ იგინი... ახლა კი ნამდვილად აწენდება ქვეყანა!..— დაიძახა გიგომ გამწარებული ღიმილით.

— მაგ დაცინვის კილოზე ცხადად ეტყობა, რა შვილიცა ბძანდები!— დაიტრუხუნა ლორმა:— მე დიდი ხანია კარგად ვიცნობ თქვენისთანა ორგულ, ღვარძლისა და უთანხმოების მთესავ ვაჟბატონებს! ადექით, ამ წამშივე დაიკარგენით აქედან, თორემ...

— ლორო!— სთქვა გიგომ:— ნურც ეგრე პამპულაქობ! მართალია ეს დრო შენია, მაგრამ იცოდე, რომ მომავალი ჩემია და მაშინ გიჩვენებ შენს სეირსა...

— რაო? — დაიტრუხუნა ლორმა:— რომელი მომავალია შენი? მთელი ეს წუთისოფელი თავის წარსულითა, აწმყოთი და მომავლითა სულ ერთიანად ჩემია და მუდამ ჩემი იქნება.

— არა, ლორო, არა! უთხრა ღრუბელაშვილმა:— ჯერ ახლანდელ დროშიაც მართლა სუყველაფერი შენი როდია!.. შენ გეკუთვნის მხოლოდ აწინდელი ლაფები, წუნწუხები და ყოველივე სიმყრალე. სხვა, რასაც კი სიწმინდის შუქი ადგია, ის ჩემია და არა შენი.

— შუქიო?..— შეჰყვირა ლორმა:— რა შუქი!.. რის სიწმინდე!.. მალე მოვუვლი მე იმათ თავსა... ერთი, ერთი დამანახვეთ მე ისინი... მე ვუჩვენებ იმათ თავიანთ სეირსა!..

— შენ იმათ ვერ დაინახავ, ლორო! უთხრა გიგომ... რომ იმათ დანახვა შეგეძლოს, მაშინ ხომ ლორიც აღარ იქნები...

ლორი გაჯავრდა, მოთმინებიდან გამოვიდა და ეშვებ-გამოშვერილი გაქანდა ღრუბელაშვილისაკენ. იმან ხელ-ცარიელმა ვერ გაბედა შებრძოლება და გაიქცა... ქალი გამოუდგა მას უკან.

## XII

მზე ჩასული იყო, როდესაც გულებ-დახეთქილები და ხვითქში გაცურებულნი მოადგნენ დილანდელ ვიწრო ბილიკს ჩვენი გამოქცეულები. ბილიკის ახლო, შუა ყანაში იდგა კარგა მაღალი ბუჩქი, რომლის გვერდზე ცივი, ანკარა წყარო სასიამოვნო ჩუხჩუხით ამოდიოდა მიწიდან, ამ წყაროსაკენ გადუხვიეს ჩვენმა ყმაწვილებმა, აქეთ-იქიდან წამოუწვნენ მის ამწვანებულ ნაპირებს და კმაყოფილებით იწყეს მისი კამკამა წყლით გახურებული შუბლის გაგრილება. ღრუბელაშვილი ორთავ ხელებით ისხავდა წყალს თავსა და სახეზე, რომელთაც მის გახურებული სხივებისაგან კარგა ძალა დასდგომოდათ... კარგა ხანს იყო ასე თავ-ჩაღუნული ღრუბელაშვილი და როდესაც შემდეგ თავი მაღლა აიღო, მან გაოცებით შენიშნა საკვირველი მოვლენა: მისი მეგობარი ქალი, როგორც იჯდა, ისე მოკეცილი, უცებ მოშორდა დედა-მიწას და ნელ-ნელა იწყო ზევით-ზევით ამაღლება. კაცის სიმაღლეზე რომ ავიდა, იქ გაჩერდა და საშინელის სისწრაფით იწყო ჰაერში ტრიალი. ტრიალებდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო-და-უფრო რგვალდებოდა ბურთივით. ბოლოს დაჰკარგა ყოველივე სახიერება დამიანისა და გარდაიქცა ჰაერის ლამაზ ბურთად. შიგნიდან ეს ბურთი რალაცით იყო განათებული და თხელიკანი მისი ვარდის ფრად ბრიალებდა. გამობერილი გვერდები სხვა-და-სხვა ფერადა ჰქონდა აჭრელებული; ხოლო თავსა და ბოლოზე ლაჟვარდი სხვილი ასოებით ეწერა: „ოცნება, ფანტაზია.“ გაოცებულმა ღრუბელაშვილმა წასდგა რამდენიმე ნაბიჯი წინა, მიუახლოვდა ბურთსა და მოინდომა მისი დაჭერა. შე-

შვირა მაღლა ხელები, მაგრამ ოდნავ მიეკარა თუ არა, ბურთი გასკდა და იმავე წუთს უეცრად გაჰქრა ჰაერში. რამდენსამე წამს დარჩა იგი ასე ხელებ-აშვერილი, მაღლა შემაცქერალი, თითქო გაპყრობილი ხელებით ზეცას შესთხოვს რასმეო. მერმე წაზარბაცდა, მკლავები მოწყვეტილივით ჩამოყარა ძირსა და გულთან იგრძნო რაღაც მწარე, მეტის-მეტად მწვავი ტკივილი.

— ოხ, ღმერთო, ღმერთო, რა უბედური ვარ!.. დაიძახა მან გამწარებით და ორთავ თვალებიდან ღაპა-ღუპით წამოუვიდა ცრემლები...

## XIII

ჩვენმა ნაცნობმა ბებერმა მუხამ დაინახა სოფლისაკენ მომავალი, მომტირალი გოგო, ტოტები დინჯად გაიქნ-გამოიქნია და გულ-შემატკივრობით დაუძახა მას:

— რა ამბავია, გოგო, შენს თავსა? რა მოგსვლია, შვილო, რომ ეგრე გულ-ამოსკვნითა სტირი? მწუხარებას გამაგრება უნდა!.. თუ უბედურად რაცხავ შენს თავსა, წარმოიდგინე ის საცოდავნი, რომელნიც შენზედ დაშორებით უფრო დიდს უბედურებაში ლევენ თავიანთ გამწარებულ სიცოცხლესა! მაგრამ რას ვამბობ? რა საჭიროა წარმოდგენა! აბა, აი ჩრდილოეთისკენ მიბრუნდი! ხედავ, რა ტანჯვა-ვაებით იღუპებიან ჩემი საბრალო შვილები?...

ღრუბლაშვილმა შესწყვიტა ტირილი; დადგა და გაიხედა ჩრდილოეთისკენ. იქ მთელი თვალგაუწვდენელი გაჩეხილი ტყისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ირგვლივ ცა და ქვეყანაც გახვეული იყო შავს კვამლში. ხანდისხან ცეცხლის მოწითალო ალი არღვევდა ამ შავად დაბურულ ჰაერს, საზარელის ელვაგრიალით სწვდებოდა აქედ-იქით საცოდავად მოცახცახე ხეებსა და ერთი წამის განმავალობაში აქრობდა დედა-მიწის ზურგიდან. მთელი ის არემარე მოეცვა ჯოჯოხეთურ ტანჯვა-ვაებას.

— ნამდვილი ჯოჯოხეთია, ნამდვილი!—წარმოსთქვა კვნესით ღრუბელაშვილმა.

— აბა ახლა აი კომლისაგან დაბურულ ბუჩქებისკენ გაიხედე!—უთხრა მას ბებერმა მუხამ:—ყური დაუგდე რა ხმა ისმის იქიდან!

ღრუბელაშვილმა გაიხედა ნაჩვენებ ბუჩქებისკენ და მჴვარტლიან, მყრალ კვამლში გაარჩია მთელი ხროვა იმ ნადირებისა, რომელნიც წელან უბედურ სოფელში შედიოდნენ. ახლა ისინი ჩამწკრივებულიყვნენ რიგზე და, თავით ფეხებამდე სისხლში მოსვრილნი, გლეჯდნენ სხვა-და-სხვა შინაურ ცხოველებს, სთქვლეფავდნენ და თან მხიარულად ყმუოდნენ.

— შეგაჩვენოთ ღმერთმა, შეგაჩვენოთ!—დაუძახა მათ გიგომ.

— უმაგ უხეირო წყევლას ის გირჩევნიან მოხვიდე და ჩვენსავით ქეიფი გასწიო!—დაუძახეს გიგოს ერთხმად ნადირებმა.

— შეგაჩვენოთ ღმერმა, შეგაჩვენოთ!—უპასუხა გიგომ.

— აბა, ამ სუქან ქათმებს, ამ ცხვრის ტოლა ბატებს და ინდოურებს შემოხედე!—დაიძახა მელამ:—ამათზე გემრიელ საჭმელს შენს დღეში ვერ ეღირსები.... გირჩევ—მოხვიდე და შეექცე.

— შეგაჩვენოთ ღმერთმა, შეგაჩვენოთ!

— მოდი, ძმობილო, მოდი!—დაიყმუვლა მგელმა:—მერწმუნე სულელურად იქცევი! მეც ერთხელ ეგრე შენსავით ვაკრაჭუნებდი კბილებსა და ცოტას გაწყდა კინაღამ შიმშილით არ მოვკვდი; შემდეგ გავიცან წუთი-სოფელი და ჭკუა-გონება მოვიკრიბე. ხედავ, ახლა რა ქეიფში ვარ?

— შეგაჩვენოთ ღმერთმა, შეგაჩვენოთ!

— რა ჩერჩეტივით აგიჩემებია, ბიჭო, ეგ ერთი და იგივე სიტყვები!—დაიძახა ახლა ტურამ:—თუ ამ დოვლათსა და ქონებას არაფრად აფასებ, მაშ ამას მაინც მიაქციე ყურადღება: აბა ერთი კარგად დააცქერდი ჩემს გულსა და მხრებსა! შენც მალე მოგენიჭება ყოველივე ეს.

— შეგაჩვენოთ ღმერთმა, შეგაჩვენოთ!

— მაგათ რას მისცივებიხარ, ჩემო კარგო, გამობრუნდი აქედ, მოდი ჩემთან!—მოესმა უცებ მეორე მხრიდან გიგოსა. საჩქაროზე გატრიალდა იქით და ერთი პატარა ცაცხვ ქვეშ დაინახა ლამაზ, ახალ ხალიჩაზე მჯდომარე მშვენიერი სახის დიდებული მანდილოსანი. მას წინ ედგა პატარა ანთებული ლამპარი, რომლის სინათლე რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო და უფრო მატულობდა, ძლიერდებოდა. გიგოს დაწყლულებულ გულს ამ სანახავმა თითქო უკვდავების მალამო მოსცხო და ყოველივე ტანჯვა-ტკივილი ერთ თვალის დახამხამებაზე გაუნელდა, მოაშორა! მან ფეხ-აჩქარებით გასწია მანდილოსნისაკენ.

— დიდი ხანია, გიგო, მე შენ თვალ ყურს გადევნებ!—დაიწყო ამ უკანასკნელმა:—ვუცქერი შენს ცხოვრებას, ვისმენ შენს ლაპარაკს. კარგად გავიგე ყოველი შენი აზრი, გრძნობა, გულის-პასუხი. შენ გინდა იხსნა ტანჯვა-ვაებისაგან გლეხ-კაცი, შენ გინდა დასთრგუნო ყოველი ბოროტება, რომელიც დამკვიდრებულა ქვეყნიერებაზე და რომელსაც მხარს აძლევენ აის ნადირები; შენ გინდა, რომ ის მშვენიერი ახალგაზდა ქალი, რომლის განშორებამ იმდენი ცხარე ცრემლი დაგაღვრევინა, მუდამ შენთან იყვეს... ყოველივე ეს შესაძლებელია! მხოლოდ საჭიროა შენთვის ერთი რამ.

— მიბძანეთ, მიბძანეთ, რა არის ეგ ერთი რამ?—დაიძახა აღელვებით გიგომ:—მთელ ჩემ სიცოცხლეს მსხვერპლად მოგართმევ, ოღონც კი მასწავლე, მიბოძე ის, რაც არის ჩემთვის საჭირო!

— ძალიან კარგი!—წარმოსთქვა მშვიდად მანდილოსანმა:— ამ ლამპარს ხომ ხედავ? იყო დრო, როდესაც ეს ლამპარი ოდნავ, ოდნავ ბჟუტავდა. ირგვლივ იწვა საშინელი სიბნელე, რომელშიაც იყო გამეფებული ბატონობა შენგან ნახული ნადირებისა. ისინი ჰგრძნობდნენ ამ ლამპრის მომავალ ძლიერებასა და ამიტომ ყოველის მხრიდან მტრულის თვალით მიცქეროდნენ. კბილების ხრჭენით და ბრჭყალების ფხოტნით არა ერთხელ დამცემიან მე იგინი, და ვინ მოსთვლის რამდენჯერ

მიწმენდია ჰირის ოფლი მათგან სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილსა! მაგრამ ჩემი ლამპრის ბჟუტვამ ნელ-ნელა მოიმატა, შუქად გარდიქცა, ჩემს გარეშემო განათდა. რამდენად სინათლე ემატებოდა, იმოდენად ეგენი ადგილს მითმობდნენ... ხედავ, ახლა რამ სიშორეზე არიან ჩემგან და ისიც ჰკარტლიან კვამლში გახვეულნი! მოვა დრო, როდესაც ეს პატარა ლამპარი ერთდიდ მზედ გარდაიქცევა! იგი მოჰფენს მაშინ მთელს დედა-მიწის ზურგს თავის ცხოველმყოფელ სინათლესა! და მაშინ გაჰქრება ყოველი სახსენებელი მხეცთა და ნადირთა! და დამყარდება ქვეყნად მეუფება სიმართლისა, ძმობისა და სიყვარულისა!...

— ოხ, ოხ! ვეთაყვანე, ვეთაყვანე მაგ ენას, მაგ დიდებულ წინასწარმეტყველებას.!...—გააწყვეტინა გიგომ აღელვებულის ხმითა.

— იარე ჩემთან, იარე ხშირად და შეიმოსე იმ ძლიერებით, რომელსაც ანიჭებს ყოველს თავის ერთგულ მუშაკს მადლი ამ ლამპრის სინათლისა და მაშინ ვეღარავინ ვერ დაგიდგება წინა, ყველას და ყველაფერს დასძლევ, შენს მიზანს მიაღწევ, გულის-პასუხს განიხორციელებ!

— მითხარი, მითხარი, შენს მუხლებს ვენაცვალე, მითხარი—ვინა ხარ, ვინა ბძანდები?—შესძახა გიგომ.

— მე ვარ მფარველი ყოველი დაჩაგრულისა! მე ვარ დედა ყოველი გაჭირებულისა! მე ვარ ღმერთი ბრწყინვალე მომავალისა!..—წარმოსთქვა მანდილოსანმა.

— ოხ, ვეთაყვანე, მტლედ დავედე შენს სახელს, შენს მადლსა დ ძლიერებასა!—შესძახა ღრუბელაშვილმა დ მუხლ-მოდრეკით დაეცა მიწაზე დიდებული მანდილოსნის წინაშე.

ლ. ა.

1893 წ.

# ჩანგი მტირალი

ჩანგი მტირალი, სიმების კვნესით,
დღეს თუმცა აწმყოს მოსთქვამს დაჩაგრულს,
მაგრამ, წარსულით გულ-დაწყვეტილებს,
იმედი მაინც გვიბრუნებს ჩვენ გულს!..

შევსტირვით, შევგალობთ მომავალ—ვარდსა,
აღარად ვიმჩნევთ დღევანდელ—ეკალს!..
დეე, გაგვაწროს!.. სხვების სანიშნოდ,
სისხლით და ოფლით მოვრწყავთ გზას და კვალს.

ის გზა მიგვიყვანს ჩვენ იმ ტაძრამდე,
სადაც არს ჩვენი «წმინდათა-წმინდა»,
და მის კარზედ რომ ტვინიც მივასხათ,
სხვა ნეტარება ჩვენ რაღა გვინდა?

ოღონდ კი ჩვენს შვილს და შვილი-შვილებს
იმ დიდი ტაძრის გაეღოსთ კარი
და კიდობნის წინ ძველებურადვე
აინთოს ისევ წმინდა ლამპარი,

რომ მისმა, შუქმა გაჰფანტოს სრულად
გარს მოდებული სხვის ფრთებით ბნელი
და მსოფლიოსა ერთ-ბრწყინვალებას
თვითონაც შერთოს მცირე ნათელი.

მაშინ კი დღეის მტირალი ჩანგი
სალხინო სიმებზე ამაყად დაუღერს
და მოლხენილი შვილი-შვილებიც
შემოსძახებენ: «მრავალ-ჟამიერს!...»

აკაკი

# თამარის ნუგეში

მოთხრობა

## I

გიორგი ედიშერაშვილის კაბინეტში ბუხარი მხიარულად გუგუნებდა. საწერ სტოლზედ მრავალი სხვა-და-სხვა სამწერლო ნაკეთები ელაგა, წინ ქირმანის შალით გადაკრული სავარძელი იდგა. მწვანე აბაჟურ ჩამოფარებული ლამპა მკრთალად ანათებდა ფართო და მაღალ ოთახს. ბუხრის ახლო განიერი, დაბალი ტახტი იყო შეკრული, ზედ მშვენიერი ხალიჩა ეფარა და მუთაქებიც ბლომად ეწყო. ტახტის ზემოდ კედელზედ სხვა-და-სხვა საომარი იარაღი ეკიდა ძველის და ახალის დროისა: ხმლები, დამბაჩები, თოფები, საპორის-წამლეები და სხ. მეორე კედელზედ ორი ძვირფასი სურათი ეკიდა: ერთზედ დიდებული ზღვა იყო დახატული და მეორეზედ ბუნებით შემკული ხმელეთი; ერთს კუთხეში წიგნებით სავსე ეტაჟერკა იდგა და აქა-იქა სტოლებზედ სხვა-და-სხვა გაზეთები ელაგა.

ტახტზედ მოკეცილი იჯდა სამოც წელიწადს მიღწეული დედაკაცი, რომელსაც თალხი ტანისამოსი ეცვა. დარბაისლურს და გონივრულს სახეზედ რაღაც მწუხარება ეტყობოდა. ხელში ეჭირა მსხვილი მარჯნის კრიალოსანი და ჩუმ-ჩუმად მარცვალ-მარცვალ სთვლიდა; ამავე ოთახში ბოლთას სცემდა ერთი ყმაწვილი კაცი, ასე ოც და თორმეტის ან თოთხმეტის წლისა. მას თავით ფეხამდის შავი ტანისამოსი ეცვა და მშვენიერი წამოსადეგი ტანის კაცი იყო:

# ჩანგი მტირალი

ჩანგი მტირალი, სიმების კვნესით,
დღეს თუმცა აწმყოს მოსთქვამს დანაგრულს,
მაგრამ, წარსულით გულ-დაწყვეტილებს,
იმედი მაინც გვიბრუნებს ჩვენ გულს!..

შევსტრფით, შევგალობთ მომავალ—ვარდსა,
აღარად ვიმჩნევთ დღევანდელ—ეკალს!..
დეე, გაგვკაწროს!.. სხვების სასიშნოდ,
სისხლით და ოფლით მოვრწყავთ გზას და კვალს.

ის გზა მიგვიყვანს ჩვენ იმ ტაძრამდე,
სადაც არს ჩვენი «წმინდათა-წმინდა»,
და მის კარზედ რომ ტვინიც მივასხათ,
სხვა ნეტარება ჩვენ რაღა გვინდა?

როდის კი ჩვენს შვილს და შვილი-შვილებს
იმ დიდი ტაძრის გაეღოსთ კარი
და კიდობნის წინ ძველებურადვე
აინთოს ისევ წმინდა ლამპარი,

რომ მისმა შუქმა გაჰფანტოს სრულად
გარს მოდებული სხვის ნებით ბნელი
და მსოფლიოსა ერთ-ბრწყინვალებას
თვითონაც შერთოს მცირე ნათელი.

მაშინ კი დღეის მტირალი ჩანგი
სალხინო სიმებზე ამაყად დაუღერს
და მოლხენილი შვილი-შვილებიც
შემოსძახებენ: «მრავალ-ჟამიერს!...»

აკაკი

# თამარის ნუგეში

მოთხრობა

## I

გიორგი ედიშერაშვილის კაბინეტში ბუხარი მხიარულად გუგუნებდა. საწერ სტოლზედ მრავალი სხვა-და-სხვა სამწერლო ნივთები ელაგა, წინ ქირმანი შალით გადაკრული სავარძელი იდგა. მწვანე აბაჟურ ჩამოფარებული ლამპა მკრთალად ანათებდა ფართო და მაღალ ოთახს. ბუხრის ახლო განიერი, დაბალი ტახტი იყო შეკრული, ზედ მშვენიერი ხალიჩა ეფარა და მუთაქებიც ბლომად ეწყო. ტახტის ზემოდ კედელზედ სხვა-და-სხვა საომარი იარაღი ეკიდა ძველის და ახალის დროისა: ხმლები, დამბაჩები, თოფები, საპირის-წამლეები და სხ. მეორე კედელზედ ორი ძვირფასი სურათი ეკიდა: ერთზედ დიდებული ზღვა იყო დახატული და მეორეზედ ბუნებით შემკული ხმელეთი; ერთს კუთხეში წიგნებით სავსე ეტაჟერკა იდგა და აქა-იქა სტოლებზედ სხვა-და-სხვა გაზეთები ელაგა.

ტახტზედ მოკეცილი იჯდა სამოც წლიწადს მიღწეული დედაკაცი, რომელსაც თალხი ტანისამოსი ეცვა. დარბაისლურს და გონივრულს სახეზედ რაღაც მწუხარება ეტყობოდა. ხელში ეჭირა მსხვილი მარჯნის კრიალოსანი და ჩუმ-ჩუმად მარცვალ-მარცვალს ითვლიდა; ამავე ოთახში ბოლთას სცემდა ერთი ყმაწვილი კაცი, ასე ოც და თორმეტის ან თოთხმეტის წლისა. მას თავით ფეხამდინ შავი ტანისამოსი ეცვა და მშვენიერი წამოსადეგი ტანის კაცი იყო.

ორნივე დიდ ხანს იყვნენ გაჩუმებულნი. ბოლოს, მოხუცებულმა ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ ამოოხვრაში სრულიად გამოითქვა მისი დარდი და ვარამი.

— დედა, ჩემო ძვირფასო დედა! — შეჰყვირა გიორგიმ და გადაეხვია დედას: — მაპატიე, რაც მწუხარება მოგაყენე. ვიცი, კარგად ვიცი, რომ გაწუხებ, მაგრამ რა ვქნა; რომ ჩემი გული ჩემ ხელთ აღარ არის. ნუ სწუხარ დედა, ნუ! შენის მწუხარებით ჩემს მწუხარებას ერთი-ორად უფრო ნუ გაორკეცებ. დრო ყოველისფერის მკურნალია და მეც გამკურნავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ჩემის გულისთვის ყოველსავე პირად გრძნობას დასთმობ, თუ კი ამით შენს ერთად-ერთ შვილს მწუხარებას შეუმსუბუქებ. დიდი ხანია მინდოდა მეთქვა შენთვის, თუ რად გავცვალე პოლკოვნიკის ეპოლეტები ამ შავს სერთუკზედ და ბრწყინვალე მომავალი — ნისლით მოცულს მომავალზედ, მაგრამ ამის თქმა ვერც მოვასწარი და ვერც გავბედე. ახლა კი ყოველისფერი უნდა გითხრა, რადგან ბევრს რასმე მოელოდდი ჩემგან და მე კი ყოველი იმედი გამიცრუვე, მაგრამ განა შენი იმედი და ჩემი იმედი ერთი და იგივე არ უნდა იყვეს. განა ჩემი ბრწყინვალე მომავალი შენთვის სასიხარულო იქნებოდა, თუ რომ მე ის დამადარდიანებდა? არა, არა, მე ვიცი, რომ შენთვის ყოველთვის ძვირფასი ვარ, რა მდგომარეობაშიაც უნდა ვიყო, ამისათვის გთხოვ დაივიწყო, რომ მე ოც და თორმეტის წლის ყმაწვილი კაცი ვარ, პოლკოვნიკის ჩინი მქონდა, წარჩინებული ალაგი მეჭირა და მე კი ყოველსავე ამას თავი დავანებე, რადგან ყოველივე ეს ფუჭად ვცანი. მოისმინე, დედა, ჩემი მწუხარება, გაიზიარე ჩემი დარდი და ვარამი და შენის მშობლიურის ტკბილის ალერსით მალამო დასდე ჩემს დაკოდილს გულსა.

— შვილო, გიორგი, ჩემო მშვენიერო და ძვირფასო გიორგი! რად გგონია, რომ მე მარტო შენს ეპოლეტებზედ ვწუხდე, შენს გაკვლეულს და ბრწყინვალე მომავალზედ ვნაღვლობდე? არა, ჩემო კარგო შვილო, არა. მე ვწუხვარ იმაზედ, რომ მშორდები, რომ მე ხანში ვარ შესული, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს და ეს ორიოდე დღე უშენოდ უნდა გავატარო! მე მინდოდა დამესასლებინე, შვილი-შვილებს მოვწრებოდი, ოჯახისთვის მაგრა ბურჯი ჩა-

მედგა და შენ კი სწორედ ახლა აპირობ სწავლას, თითქოს მე და შენ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვედგას ცხოვრებაში. მაგრამ, თუ შენის ბედნიერებისთვის საჭიროა ჩვენი განშორება, მე ჩემს მწუხა-რებას გულში დავიმარხავ და გზას დავილოცავ.

— ჰო, ჩემო კარგო დედავ! მე კარგად ვიცოდი, რომ შენ დიდსულოვანი იყავ და არც მოვტყუვდი, ახლა მე შენ გეტყვი მი-ზეზს, თუ რისთვის დავადგე ამ გზას და მაშინ შენ თვითონვე დარწმუნდები, რომ ჩემი აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია.

გიორგიმ თვალი ცეცხლს შეაჩერა და დიდ ხანს იყო გარინ-დული. ბოლოს, ხელი დაუჭირა დედას და მწუხარებით უთხრა: —დე-და, ჩემი სიცოცხლე სრულიად მოწამლულია, მე არავითარი საქმის გაკეთება აღარ შემიძლიან, არაფერზედ გული აღარა მაქვს; მე ხან-და-ხან ისე მგონია, ქვეყანაზედ აღარა ვცხოვრობ-მეთქი. ისე შეპ-ყრობილი ვარ იმ მწუხარებით, რომელიც მოულოდნელად თავს და-მატყდა, რომ ჩემი თავისა აღარა გამეგება-რა, აღარ ვიცი, სად ვარ და რას ვჩადივარ. ჩემი სასოწარკვეთილება იქამდის მივიდა, რომ ჩემ თავს უსათუოდ ავუტეხდი რასმე, შენ რომ არ მეგულებოდე. მაგრამ ამას როგორ ვიზამ, ჩემის მხრით დიდი უსამართლობა იქნებოდა, თუ მე შენ ასეთს უზომო მწუხარებას მოგაყენებდი. მე ვეცდები დროს განმავლობით ჩემი პირადი მწუხარება დავივიწყო და მხო-ლოდ შენთვის ვიცოცხლო, დედა-ჩემო! დღეს კი ნება მომეც გამო-გემშვიდობო. არ ვიცი, რამდენ ხანს მოვუნდები ჩემი სევდის მოწე-ლებას, წავალ, ვიმოგზაურებ, ვნახავ სხვა-და-სხვა ქვეყნებს, მათს ჭირსა და ლხინს, იქნება გავერთო; კაცობრიობის ჭირის ნახვით იქნება ჩემი ჭირი ისე მცირე მეჩვენოს, რომ ყოველივე ჩემი პი-რადი ცხოვრება გულიდან გადავიყარო და სხვის ჭირის შესამსუბუ-ქებლად ახლად დავიწყო ცხოვრება.

თქვენ, დედა ჩემო, ასრულეთ ჩემი თხოვნა: ყური უგდეთ ჩვენს მამულს, შვება მიეცით გლეხებს, გადასახადი გაუნახევრეთ. მე ჩემი პენსია მეყოფა და თქვენთვის ხომ მამულის ნახევარი შე-მოსავალიც მეტი იქნება და არა ნაკლები. მე ჩემის მხრით ვეცდე-ბი რამე ცოდნა შევიძინო და მალე დავბრუნდე, რომ ჩემს მამულს და ჩემს ქვეყანას რაშიმე გამოვადგე.

— შვილო, ეგ ყველა კარგი, როგორ არ ავასრულებ შენს სურვილს, როგორ გავტეხ შენს თხოვნას, მაგრამ იმას რატომ აღარ მეუბნები, თუ რამ მიგიყვანა მაგ სასოწარკვეთილებამდინ, რა არის მიზეზი? გული მისკდება და ვერ მივხვედრილვარ, თუ შენისთანა ვაჟკაცი მაგნაირად რამ დაგამხუნა?

გიორგი ფეხზე წამოდგა და ოთახში დაიწყო ნელ-ნელა სიარული; მერე დიდის ყოყმანობით, თითქო ძლივს ამოიგლიჯა გულიდანაო, წარმოსთქვა ეს სიტყვები: «დედა, მე მკლავს უიმედო სიყვარული». გიორგი კედელს მიეყრდნო და თვალებზედ ორივე ხელი მიიფარა. ოთახში კვალად სიჩუმე ჩამოვარდა.

— მერე, შვილო, ვინ არის ის ქედღოფალი, რომელმაც შენ დაგიწუნა? ან რა დაგიწუნა? — ვაჟკაცობა, სილამაზე, ჭკუა, გვარიშვილობა, თუ სამსახური?

— დედა, შენ ვერ მიხვდები იმას, რომ ვაჟკაცობით განთქმულის და ოჯახიშვილობით თავმომწონე კაცის დაწუნებაც შეიძლება. მართალია, ამისთანა ყმაწვილს კაცს იშვიათად იწუნებენ ხოლმე, მაგრამ მე კი ერთმა ქალმა დამიწუნა და საუკუნოდ მომიწამლა სიცოცხლე.

— ვინ არის ეგ ქალი, ვინ? მითხარ, იქნება რაც შენ ვერ მოახერხე, მე მოვახერხო! მე არა მჯერა, რომ შენ ვინმე ქალმა დაგიწუნოს. განა ასობით და ათასობით კარგი ოჯახის ქალები არ ნატრობენ შენზედ გათხოვებას? განა საცა დიდ-მზითვიანი ქალები — შენ არ გეძლევიან? აბა რომელ ქალს დაასახელებ, რომ სიხარულით არ მოგათხოვონ? და ეგ ვინ არის მაგისთანა, რომ აგრე იპრანჭება? მითხარ, შვილო, მითხარ. მე მოვახერხებ: შევტირებ, შევევედრები, გულს მოვულბობ. თუ შვილს სტანჯავს, იქნება დედა მაინც შეიბრალოს!

— არა, დედა! შენ სულ სხვას ლაპარაკობ. შენ იმას ვერ მიხვდები, რა მიზეზითაც იმან მე უარი მითხრა.

— ვინ არის, ვინ? ის მაინც მითხარი, სად ნახე? როგორია? მშვენიერია, ბრძენია, ფერიაა?

— ჩემთვის სულყველაფერია, ფერიაც, ღმერთიც და დიდებაც. ხომ ხედავ, უიმისოდ სულ ჩალად მჩანს მთელი ქვეყანა. სად ვნახე? ო, წყეული იყოს ის დღე, როდესაც მე ის პირველად ვნახე!

მაგრამ არა, რადა... წყეული კი არა, კურთხეულ იყოს ის დღე ჩემ ცხოვრებაში, ის დღე ჩემთვის სამოთხის დღე იყო; ნეტა იმ დღესვე შეწყვეტილიყო ჩემი სიცოცხლე და ეს დღე კი არ მენახა.

გახსოვს, ამ სამის წლის წინად რომ ჩემი ბატარეია დ. გაგზავნეს დასაბანაკებლად? ენკენისთვის დამდეგი იყო, მგზავრობის მეორე დღეს ჩვენ მივუახლოვდით ერთ პატარა სოფელს, სადაც ბატარეიას კარვები დაეკრათ ღამე სადგომად. მთელი დღე სულ წვიმდა და საღამოზედ ისე ძლიერ დაუშვა, რომ თავიდან ფეხებამდე წყალი წურ-წურით ჩაგვდიოდა. სინამ სამოვარს აგვიდუღებდნენ, მე და ჩემი სამი აფიცერი კარვების წინ ბოლთასა ვცემდით.

— ბატონმა გთხოვათ, ბინად ჩვენსა ჩამოხტეთ თქვენის აფიცრებითა,—მითხრა ლაზათიანად ჩაცმულმა მოსამსახურემ, რომელიც შეუნიშნავად მოგვიახლოვდა.

— ვისა ბძანდებიან შენი ბატონები?—ვკითხე მე და გულში კი ძლიერ მიამა, რომ ღამეს ჭერ ქვეშ გავატარებდი და არა ნესტიან კარავში.

— თავადი ივანე შალვაშვილი და მათი ასული კნიაჟნა თამარ, — ზრდილობიანად მომიგო მსახურმა.

— დიდი მადლობა მოახსენე შენს ბატონებს! მოახსენე, რომ ამ საათშივე გიახლებით-თქო. მართლაც, სიჩქარით შევუდექით ტანისამოსის გამოცვლას.

ამ სოფელში მარტო ერთი თავადიშვილის სახლი იდგა და ჩვენც იქითკენ გავწიეთ. ეს სახლი პატარა გორაკზედ იყო აშენებული და დიდ ზვარს გადასცქეროდა. ეს იყო ერთ-სართულიანი ხის სახლი, ყავრით დახურული, ირგვლივ განიერი ბალკონი ჰქონდა, სახლის წინ კარდისა და იასამანის ბუჩქები ეთესა, მათ შორის სხვა-და-სხვა ფერის ყვავილებიც მოჩანდა. გორაკის მარცხნივ ჩერგებით დაჩრდილული წისქვილის რუ მოდიოდა და რუს გაღმა ხეხილის ბაღი იყო გაშენებული; მარჯვნივ, ცოტა მოშორებით, მშვენიერი დაბურული ტყე იყო და ეს უფრო ლაზათს აძლევდა ამ სახლის მდებარეობას. შეხედვის უმალვე ამ სახლმა ჩემზედ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც სახლში, ისე მის ეზოში ყველაფერი თავ-თავის ალაგას იყო მილაგებული. ბალკო-

ნის კარებთან მოგვეგება ყმაწვილი ქალი და მოსდენილის ღიმილით თავის ვინაობა შეგვატყობინა, შემდეგ თავის მამასთან წაგვიყვანა. მამა ბალკონზედ სავარძელში იჯდა: ეტყობოდა, რომ უდროვოდ გატეხილი შუა ხნის კაცი იყო და თმა და წვერიც უდროვოდ გასთეთრებოდა. დაგვინახა თუ არა, ოდნავ წამოდგა ზეზედ და მხიარულად ხელი გამოგვიწვდინა: «ვინ იცის ყმაწვილებო, რანაირ გიქვირთ ჩვენი ასეთი კადნიერება. მაგრამ, რომ იცოდეთ, რა იშვიათად გვხედავთ განათლებულ ადამიანს, ადვილად წარმოიდგენთ ჩვენ სიხარულს, როდესაც დილას თქვენი აქ დაბანაკება გავიგეთ. მადლობელი ვართ ამ მხაჭუნა წვიმისა, რომ იგი შეიქმნა მიზეზი თქვენის მოწვევისა.

შალვაშვილმა მიგვიწვია სტოლთან, რომელზედაც სამოვარი ქაფქაფებდა. ჩემის სამის ამხანაგის აღტაცებას ბოლო არა ჰქონდა, როდესაც რომი და დაბრაწული ნაზუქები დაინახეს; ისინი მხიარულად შეექცეოდნენ და ებაასებოდნენ სახლის პატრონებს.

მე კი რაღაც გამოურკვეველმა სიამოვნებამ შემიპყრა, ვიჯექი ჩუმად, ვსტკბებოდი ჩემ-წინ გადაშლილის მშვენიერის სურათით და ყურს ვუგდებდი, თითქო შორიდან მონაბერს, მუსიკის ხმას, წვიმის ჟუჟუნს და ყმაწვილი ქალის ტკბილს ხმას. კარგა დაბინდებული იყო, როდესაც სახლის პატრონმა ოთახში შეგვიწვია.

დიდს ოთახში შუა ადგილას რგვალი სტოლი იდგა და ზედ ქალის სხვა-და-სხვა ხელ-საქმეები და ახალი ჟურნალ-გაზეთები ელაგა; სტოლს ირგვლივ რბილი სავარძლები ჰქონდა შემოლაგებული. კუნჭულში ახალი როიალი იდგა და აქა-იქა პატარა სტოლებზედ რამდენიმე თაიგული ეწყო და ავსებდა ოთახს სურნელოვნებით.

მე მხოლოდ ეხლა გავარჩიე ჩვენი მასპინძელი ქალი. ეს იყო კარგად მოყვანილი, მაღალი, ეშხით სავსე ყმაწვილი ქალი, ოც და ორის თუ სამის წლისა. მშვენიერი დიდრონი შავი თვალები უფრო უმშვენებდნენ ხორბლის ფერს სახეს. მამისებურ მაღალ შუბლზედ ავარცხნილი ჰქონდა გიშერივით შავი თმა და მოკლე კულულებად სცვიოდა კისერზედ. ზომიერი ტუჩები ყოველთვის ოდნავ გაპობილი ჰქონდა ტკბილის ღიმილით; ტანთ ეცვა მოდაზედ შეკერილი მიხაკის ფერი კაბა და გულში იასამნის ყვავილი ჰქონდა გაკეთებული.

მალე ვახშამზედ დავსხედით და გაცხარებული ბაასი გავაბით. ამ ლაპარაკში მამაც და შვილიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. თამარის გონივრულმა ლაპარაკმა ყველანი გაგვაკვირვა. ვახშმის შემდეგ თამარმა როიალზე დაუკრა და ამან ერთი ორად უფრო მოხიბლა ჩვენი გული და გონება.

## II

სამის თვის შემდეგ ჩვენი ბანაკი დ, დაიშალა და ჩვენ იმავე გზით დავბრუნდით უკან ტფილისს. დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ სოფელ ახალ-უბანს მივედით და იქ მთელის დღით შევდექით.

მშვენიერი, მზიანი, მყუდრო დღე იყო. თუმცა გიორგობის თვის სუსხი საკმაოდ იბინებოდა, მაგრამ იმდენად კი არა, რომ ამ სოფლის მებატონეს ეს გაეხადნა მიზეზად და შინ მიგვეწვივენით. მაგრამ განა ესლა მიწვევა საჭირო-ღა იყო? ჩვენ თვითონ მოუთმენლად მივისწრაფებოდით ჩვენი მეგობრისა მასპინძლების სანახავად.

ყველანი გაწუწუანებული ტანისამოსის გამოცვლას შევუდექით. ერთი პატარა სარკეც კი ვიშოვნეთ. გასაოცარი იყო ჩემი საქმე. შენ ხომ იცი, დედა, რომ მე ჩაცმა-დახურვას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მაგრამ ამ დღეს კი დიდ ხანს ვისწორებდი ტანისამოსს და კარგა ხანს ვიყურებოდი ხელის გულის ოდენა სარკეში. სულ იმის ფიქრში ვიყავ, რომ თამარს მოვწონებოდი.

მე და ოფიცრებმა ერთმანეთს შურით გადავხედეთ და ერთმანეთი ავათვალიერ-ჩავათვალიერეთ. თერთმეტი საათი შესრულდა თუ არა, გულის ცემით გავუდექით გზას.

თამარის სახლის ეზოში და ბალკონზედ დიდი მოძრაობა იყო. იქ გლეხ-კაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. მოსამსახურეები საჩქაროდ შედიოდ-გადიოდნენ. ჩვენ მიგვიღო თავ. ივანემ. — მობძანდით, ბატონებო, — მხიარულად მიგვიწვია იმან, — ცეცხლთან ახლოს დაბძანდით; თუმცა მზე მშვენივრად ბრწყინავს, მაგრამ რიგიანად კი ველარ ათბობს ქვეყანას, მე გარედ თავი ველარ გამიყვია. თამარსაც ბევრი ვუშალე, დღეს ნუ წახვალ-მეთქი, მაგ-

რამ, როგორც ყმაწვილის საქმე მოგეხსენებათ, სიცივეს არ შეუშინდა, გაღმა გავიდა ცხენით.

ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და გულში თითქო რაღაც ჩაგვწყდა, ივანემ შეგვამჩნივა ეს და საჩქაროდ დაუმატა: —ამ ერთ საათში უკანვე დაბრუნდება. თქვენ მანამ ყავა მაირთვით და დაისვენეთ, —გვითხრა იმან და თვითონ განკარგულების მისაცემად წავიდა.

თამარის სასტუმრო ოთახი მზის სხივებით იყო გაბრწყინვებული; ფანჯრებში ზამთრის ყვავილების თაიგულები იდგა; იატაკი ხალიჩებით იყო მოფენილი, ბუხარში ცეცხლი მხიარულად გუზგუზებდა და გულს სიამოვნებით ავსებდა. აქ ყველაფერს თამარის შნო და ლაზათი ეტყობოდა. ახდილ როიალზედ გადაშლილი ნოტები, კუნჭულში სტოლზედ გადაშლილი წიგნი, გაუთავებელი ხელსაქმე, ყმაწვილების გასასწორებელი რვეულები ამტკიცებდნენ, რომ თამარი მალე უნდა მოსულიყო.

მართლაც, პატარა ხნის შემდეგ ცხენის ფეხის ხმა მოგვესმა და საჩქაროდ გავედით გარედ. თამარმა და ერთმა ყმაწვილმა კაცმა ბალკონთან გააჩერეს ცხენები და ჩამოხდნენ. გლეხები იმათ ახლოს შეჯგუფდნენ და სალამი მისცეს.

—უკაცრავად, —ტკბილის ღიმილით უთხრა თამარმა გლეხებს, —რომ ამ სიცივეში გაცდევინეთ. ამ საათში ალექსი მღვდელიც მოვა და მაშინვე მოვილაპარაკებთ თქვენი სკოლის საქმეზედ.

— კარგი, შენი ჭირიმე, —უთხრეს გლეხებმა, —რა გვეჩქარება, დღეს ხომ მაინც კვირა დღეა.

შემდეგ თამარმა ამოირბინა კიბეზედ და მხიარულად მოგვესალმა: —დიდად მოხარული ვარ, ბატონებო, რომ დღეს მეწვიენით, დღეს გადასწყდება ამ სოფლის სკოლის დაარსების საქმე და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან ერთად თქვენც მონაწილეობას მიიღებთ ამ საქმეში.

თამარი ამაზონკის გამოსაცვლელად შევიდა შინ. გლეხებს დედაკაცებიც მოემატნენ. ალექსი მღვდელიც მალე მოვიდა. ეს იყო ძლიერ ყმაწვილი კაცი, სუფთად და ფაქიზად ჩაცმული. მოკლე წვერსა და თმებზე ეტყობოდა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც მღვდლო-

ბა მიელო. ამან ჩამოართვა ხელი გლეხებს, ღიმილით თავი დაუკრა დედაკაცებს და წყნარად ამოვიდა ბალკონზედ.

უმაწვილი კაცი, რომელიც თამარს მოჰყვა, საჩქაროდ შეეგება და აღელვებული რაღასაც ეჩურჩულებოდა..

თამარიც მალე გამოვიდა. ჩაეცვა მხიარული ფერის კაბა და ძალიანაც უხდებოდა. თამარმა ხალხი ამოიწვია ბალკონზედ და მიჰმართა შემდეგის სიტყვებით: «ახალ-უბნელებო! სამი წელიწადია, რაც ჩვენ ამ სოფელში თქვენთან ერთად ვცხოვრობთ. ამ სამ წელიწადში ჩვენ რაც ღონე გვქონდა ვეცადენით, რომ რაშიმე გამოგდგომოდით. წადილი დიდი გვქონდა და საქმით კი დიდი არა გამოვიდა-რა. მე ვასწავლე მხოლოდ თქვენ ქალებს წიგნი, ცოტაოდენი ხელსაქმე და გავაგებინე, თუ ოჯახის სუფთად შენახვას და მოვლას რა მნიშვნელობა აქვს ჯანის სისაღისათვის. მაგრამ ყველა ეს ძლიერ, ძლიერ ცოტაა თქვენი წარმატებისთვის. თქვენ ვაჟიშვილებსაც უნდათ სწავლა და არც თქვენთვის იქნება უსარგებლო, რომ კვირაობით მაინც მოისმინოთ ხოლმე საუბარი იმაზე, თუ თქვენთვის რა უფრო მავნებელია და რა უფრო სასარგებლო, რა გარგებთ, რითი უნდა ებრძოლოთ თქვენ მტერს და რითი უნდა გაუძღვეთ თქვენს მოყვარეს. ამისათვის მამას ღონე არ მოსდევს და მეც ჩემს თავს საკმაოდ მომზადებულად არა ვთვლი. აქამდინაც გირჩევდით და დღესაც გირჩევთ გამართოთ თქვენის შვილებისათვის სკოლა, სადაც ამათ შეეძლოთ სწავლის შეძენა და ამით ცხოვრების მძიმე ტვირთის შემსუბუქება.

მე ჩემის მხრით ვეცადე და გიშოვნეთ თქვენთვის პატიოსანი კაცი, რომელიც არამცთუ მარტო თქვენი შვილების მასწავლებელი იქნება, არამედ თქვენი დამრიგებელი და სწორი გზის მაჩვენებელიც იქნება. საჭირო იყო აგრეთვე გვეშოვნა თქვენთვის ღირსი სულიერი მამა და ვიშოვნეთ კიდეც: ალექსი მღვდელი გაგიწევთ ნამდვილს მამობას და მოძღვრობას. ამ ორის კაცის ხელში თქვენ ბედნიერნი შეიქნებით, თუ გულით მოინდომებთ კეთილს და მიჰყვებით ამათ რჩევასა და დარიგებას.

სკოლისათვის მამა გაძლევთ სადგურს. სამ ოთხ წელიწადს შემდეგ, როდესაც თქვენი სკოლა ფეხს გაიდგამს და ჩვენ სახლ-

ში ველარ მოთავსდება, თქვენ თითონ აიშენებთ მკვიდრს და რიგიანად მოწყობილ სკოლას. მასწავლებელი ძალიან მცირე ჯამაგირს გჯერდებათ, რადგანაც საჭმელ-სასმელი და ბინა ჩვენთან ექნება.

მართალია, თქვენს ისედაც მძიმე გადასახადს სკოლის ხარჯის მიმატება აღარ ეჭირვება, მაგრამ ამ ხარჯის ნაყოფი ისე ტკბილი იქნება, რომ ღმერთის მადლობას შესწირავთ, რომ ერთი მცირედი ნაწილი მაინც თქვენის მრავალის გადასახადისა საკუთრად თქვენს შვილებზედ იხარჯება».

— აი მომავალი მასწავლებელი თქვენის შვილებისა, — განაგრძო თამარმა: — გარწმუნებთ, რომ ეს კაცი ამ მძიმე საქმეს სვინიდისიანად გაუძღვება და, თუ მიენდობით იმის გამოცდილებას და ცოდნას, არასოდეს არ გიღალატებთ.

— დიდად გმადლობთ, შენი ჭირიმე; დიდად, — ერთ-ხმივ შესძახეს გლეხებმა: — ჩვენ გვჯერა, რომ შენ ჩვენთვის ცუდს არას მოინდომებ. ჩვენ დიდი ხანია ჩაგვაგონე სკოლის სარგებლობა და ხვალვე გამოვგზავნით გოგო-ბიჭებს. ფულისათვისაც ნუ დაგვზოგავთ, შენი ჭირიმე, წელიწადში კიდევ ერთი-ორი მანათის გამოღება როგორ გაგვიჭირდება: ღმერთი მოწყალეა! სადა ბევრი მიდის, ეგ ცოტაც იქ იყოს.

— მე ჩემის მხრივ გაძლევთ სიტყვას, რომ ვიყო თქვენი ნამდვილი შვილი და მეგობარი, — ხმის კანკალით, წამოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც თამარს ლაპარაკის დროს თითქმის მხარში უდგა: — გაძლევთ სიტყვას, რომ თავგანწირულებით ვემსახურო ყველა თქვენ საქმეებს, რასაც კი ჩემი ღონე გასწვდება და გავამართლო ის ნდობა, რომელიც ამ წამში თქვენი ბატონის ასულმა თამარმა გამოაცხადა... მაგრამ აღთქმებს თავი დავანებოთ, ყველაფერს საქმე გამოაჩენს.

— მაშ, ჩემო ახალ-უბნელებო, დღეს სადილად ჩვენთან დარჩით, — მხიარულად უთხრა თამარმა გლეხებს: — ერთად ვიდღესასწაულოთ და ერთად დავლიოთ სადღეგრძელო ჩვენი მომავალი სკოლისა.

ლაპარაკის დროს თამარი მთლად აენთო, თმები ცოტათი წამოეწეწა და თვალები გაუბრწყინდა. ამ დროს ისეთი მშვენიერი შესახედავი იყო, რომ კაცს თვალს მოსტაცებდა და არ ვიცი ვინ უნდა

ყოფილიყო, რომ მის სიტყვის გრძნეულ ძალას არ დამორჩილებულიყო.

— დავლიოთ, შენი ჭირიმე, დავლიოთ! — წამოიძახეს გლეხებმა: — ჯერ ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ბატონები ივანე და თამარ და მერე ჩვენი სკოლა!

სადილი ჩვენთვის სტოლზე იყო გაშლილი და ძირს ხალიჩებზედ გლეხებისთვის. ცალ გვერდზედ დედაკაცები ისხდნენ და მეორეზედ კაცები. სუფრაზედ გაუწყვეტელი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ხუთი-ექვსი სტაქნის დალევის შემდეგ მოისმა მშვენიერი, კილო-მოწყობილი სუფრული სიმღერა: «ღმერთო, გვიცოცხლე, არვის არ შეგვანატროს». თამარი ჩაფიქრდა, თვალები გააშტერა და პირზედ სიამოვნების ღიმილი მოეფინა, შავი ჟუჟუნა თვალები ცრემლებით აევსო და მშვენიერი პირისახე ნეტარებით გაუბრწყინდა.

მე მაშინ, სწორე გითხრა, დედა ჩემო, შემშურდა იმის ბედი, შემშურდა იმიტომ, რომ პირველად ვხედავდი სრულს ბედნიერს ქმნილებას, ბედნიერს სხვის ბედნიერებით. ერთის მხრით მებატონე — სრული მამა და მეგობარი გლეხებისა და მეორეს მხრით — თაყვანის მცემელი და მადლობელი გლეხები თავის კეთილის ბატონისა! ამაზედ უკეთესი კავშირი-ღა შეიძლება ამ სოფლის ბედნიერთა და უბედურთა შორის!

სადილი გათავდა. გლეხები დაიშალნენ. ივანემ ბოდიში მოიხადა და სადილის შემდეგ ჩვეულებრივ დასასვენებლად წავიდა. ჩემი აფიცრები ჯარის ასაყრელად ლაგერში დაბრუნდნენ. დავრჩით მე, მასწავლებელი, მღვდელი და თამარი. თამარი აღტაცებით გვებაასებოდა სკოლის მომავალზედ და მღელვარებით ეუბნებოდა მღვდელს: «თქვენი ძლიერ დიდი იმედი მაქვს, მღვდელო. ქართველი კაცი ეკლესიაში თქმულს სიტყვას ყოველთვის თაყვანის-ცემით ისმენდა და ახლაც ეკლესიამ უნდა განაასხლოს მაგათი გული და ზნეობით აღამაღლოს. როდესაც ბატონი იოსები გლეხთა შვილებს სწავლას დაუწყებს, თქვენ უნდა ეცადოთ, რომ მათი მამები ზნეობითა და სულით აღამაღლოთ.

— ოხ, ბატონო თამარ, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ მე მოვიხმარებ ყოველს ღონის-ძიებას, რომ ჩემი მოვალეობა, როგორც მოძღვრისა, ნამდვილად და კეთილად აღვასრულო. მე ყო-

ველთვის თქვენ მეუღლებით მაგალითად, რომ უფრო მხნედ და ერთგულად ვემსახურო ჩემს სამწყსოს, ჩემს მრევლს.

— მე წელსაც ვუთხარ გლეხებს და ახლაც ვიმეორებ თქვენთან,—მკაცრად სთქვა იოსებმა:—რომ მხოლოდ საქმე დაგანახვებთ, თუ როგორ ვუყურებ მე ჩემ თანამდებობას. თქვენ მე ძლიერ ცოტა ხანია გიცნობთ, მაგრამ ძლიერ კარგად კი მესმის თქვენი გულის წადილი: თქვენ გინდათ, რომ ის ხალხი, რომელიც ღმერთს თქვენთვის მოუნდვია, კარგად მწყსოთ და მგელს არ მოატაცინოთ. ვეცდები ერთგული თანაშემწე ვიყვე თქვენი!

ერთი სიტყვით, რაღა გავაგრძელო, დედა-ჩემო, ყველა, ვინც კი დაუახლოვდება თამარს უსათუოდ იმის თაყვანის-მცემელი გახდება. მე მხოლოდ თამარის გაცნობით დავრწმუნდი, რომ დედაკაცი დიდი ძალა ყოფილა და თუ ამ ძალას კეთილი გზა და ნიადაგი აურჩევია, შესანიშნავი შედეგიც მოჰყოლია; ამის მაგალითნი არიან მრავალნი სახელოვანნი დედაკაცნი ჩვენში და მსოფლიო ისტორიაშიც. რომელი კაცის გულს არ მოინადირებს ლამაზი, გონება-განვითარებული, წრფელი და გულ-კეთილი ქალი?...

## III

მე ვცხოვრობდი ტფილისში, მაგრამ ჩემი ფიქრი და გონება ახალ-უბნის არე-მარეს დასტრიალებდა. ყოველი ჩემი ნაბიჯი, ყოველი ჩემი სიტყვა ეკუთვნოდა თამარს. მე ჩემი თავი უიმისოდ ვეღარ წარმომედგინა; სადაც უნდა წავსულიყავ და სადაც ვყოფილიყავ, ყოველთვის იმის ტკბილი ღიმილი მინათებდა გზას და ჩემს განზრახვას აზრსა და მნიშვნელობას აძლევდა.

ექვსი თვე მეტი იყო, რაც ის აღარ მენახა და მეტის-მეტად მომინდა იმის ნახვა. მაგრამ სად ვნახავდი მე იმას? ის, როგორც ერთგული პატრონი, თავის ოჯახს თავს არ დაანებებდა და აქ არ ჩამოვიდოდა და მე რა მიზეზით წავსულიყავ იმასთან?

— როგორ თუ რა მიზეზით?—შეჰყვირა ქეთევანმა:—შენ იყავ უმაწვილი კაცი და ის უმაწვილი ქალი, მოგწონდათ ერთმანეთი და,

შეირთავდით ერთმანეთს! განა ახლა ისეთი დროა, რომ თქვენ შორის შუა კაცი ყოფილიყო საჭირო?

— ოხ, დედავ, რაებს ამბობ! ჩემი უბედურება კიდეც ის იყო, რომ ის ყველას ერთნაირად გვიყურებდა, ახალ-უბნის მამასახლისსა და მეც, თქვენს ნაქებ პოლკოვნიკს შვილს. მე მაშინ იმის შერთვა ფიქრადაც არ მომსვლია, ჩემთვის ისიც საკმაო იყო, რომ დამენახა იმისი ძვირფასი სახე და გამეგონა იმისი ტკბილი ხმა. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ჩემი სურვილი, გაგრილების მაგივრად, უფრო და უფრო ცხოველდებოდა და ბოლოს საშინელ ტანჯვად გადაიქცა.

ბუნებამ ფითქო შემიბრალა და ერთს საღამოს, როდესაც თეატრში ვიჯექ, მე ის დავინახე. სცენაზედ ვიღაც გამოჩენილი მომღერალი ქალი გასაოცრად მღეროდა და თამაშობდა უიმედო სიყვარულით გამსჭვალულის ქალის როლსა. ყოველი იმისი სიტყვა, ყოველი ჰანგი მისი საოცარის ხმისა მდუღარედ ესხმოდა ჩემს გულს და თამარის ნახვის სურვილს უფრო მიძლიერებდა და მიორკეცებდა.

მე ჩვეულებად არა მაქვს თეატრში ლოჟების დათვალიერება და იმ დღესაც გულ-ნათხრობილი და ჩემს ფიქრებში გართული ვიჯექ კრესლოში. ამ დროს ერთის ლოჟიდან გადმოფრიალდა აფიშა და ნელა-ნელა დაეშვა ძირს. ამ უბრალო შემთხვევამ შესწყვიტა ჩემი ფიქრები და მაღლა ავიხედე. ვერ წარმოიდგენ, დედა-ჩემო, თუ რა დაემართა ჩემ საცოდავ გულს, როდესაც ერთს ლოჟაში თამარი დავინახე: თავ-ბრუ დამეხვა, მუხლთ მომკვეთა და ამოდენა კაცი კინაღამ ძირს არ დავეცი. აღელვებული თამარი აღგზნებულის თვალებით სცენას უყურებდა და დიდის გულ-მოდგინებით უგდებდა ყურს არტისტი ქალის სიყვარულზედ სიმღერას.

ოხ, ასე გატაცებით სიყვარულის სიმღერის ყურის დაგდება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც თვით არის სიყვარულით გატაცებული! მე უბედურს იმედით აევსო გული, მაგრამ როგორის სისწრაფითაც გამიელვა ამ იმედმა, ისეთივე სისწრაფით ჩაქრა. თამარის გვერდით იჯდა უმაწვილი კაცი, იდაყვი მის სკამზედ ჰქონდა დაყრდნობილი და სტკბებოდა იმ მშვენიერებით. თამარის რა იყო ისა?—ის იყო თამარის თაყვანის-მცემელი, იმისი საქმრო; მე ეს

ერთის თვალის მოკვრით გავიგე, თამარი თანაუგრძნობდა იმას, თუ არა? აი ეს შეიქმნა ჩემთვის მოუნელებელ ცეცხლად.

გათავდა თუ არა მოქმედება, მე სასწრაფოდ ავირბინე მაღლა და გულის კანკალით მივეყუდე იმ კედელს, რომლის პირდაპირაც უნდა გაღებულიყო თამარის ლოჟის კარი.

რამდენიმე წამის შემდეგ ის გამოვიდა და თავის ღვთაებრივი ღიმილით ნათელი მოჰფინა ჩემ გულს. მწვანე უნაბის ფერი ხავერდის კურტკა ეცვა და რაღაც გამოუთქმელ სიცოცხლის სხივებს აყენებდა იმის ხორბლის ფერ პირის სახეს; ჩვეულებრივ სადად გადავარცხნილი თმა და გახამებული თეთრი მაჯა-საყელო მეტის-მეტად ამშვენებდა იმის დარბაისლურს წარმოსადეგს ტანს. მე მოწიწებით წავდექი მის წინაშე და განვუცხადე ჩემი გულითადი სიხარული, რომ ქალაქში ვნახე.

— ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად მინდოდა თქვენი ნახვა,—მითხრა იმან,—მაგრამ საუბედუროდ ვერსად შევხვდით. მე სულ სამი დღეა, რაც აქ ვარ და ხვალ წასვლას ვაპირებ.

— ორი-სამი დღით განა ღირს ქალაქში ჩამოსვლა! ნუ თუ აქ ისე ცოტაა თქვენთვის საინტერესო, რომ, სოფელში განმარტოებულ ცხოვრების შემდეგ, ერთი კვირითაც არის მაინც აქ დარჩეთ.

— მაგას რად მიბრძანებთ,—მითხრა იმან ამოოხვრით:—მე ქალაქი ძლიერ მიყვარს და ძლიერ, ძლიერ ბევრი რამეც არის აქ ჩემთვის საინტერესო, მაგრამ სწორედ იმიტომაც მივეშურები, რომ ბევრია საინტერესო. მე სოფელში ავადმყოფი მამა მყავს, რომელიც ჩემ გზას მოუთმენლად უყურებს და მე აქ მომეტებული სიამოვნება ჩემს მოვალეობას დამავიწყებს.

ამ ლაპარაკის დროს ჩვენ მოგვიახლოვდა ის ყმაწვილი კაცი, რომელიც თამარის ლოჟაში იჯდა და უნებურად მოსწამლა ჩემი გული.

— გთხოვთ იცნობდეთ, ბატონებო, ერთმანეთს: ეს არის ჩემი ნათესავი და მეგობარი ლევან მამულაშვილი და ეს, თუ ნებას მიბოძებთ,—ღიმილით დაუმატა თამარმა და ჩემზედ ხელი მოუშვირა—დიდად პატივცემული ძმა-კაცი გიორგი ელიშერაშვილი.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და შურის თვალით გადავხედეთ. ლევანი ერთი იმ ყმაწვილთაგანი იყო, რომელიც ერთის შეხვედრით იზიდავს მნახველის გულს. მაგრამ მე კი ამ შემთხვევაში ეჭვით ამივსო გული, მე იმისი ყველაფერი მშურდა: წაბლის ფერი ცოტად შეხუჭუჭებული თმებიც, ცხვრის ფერი გონებით სავსე თვალებიც და ფრიად მიმზიდავი სახის გამომხატველობაც. ეს იყო მაღალი და სუსტი ტანის კაცი, მხრებში ოდნავ იყო წახრილი და ოც და ხუთის ან ოც და ექვსის წლისა იქნებოდა.

— მე ახლა იმისთვის უფრო ჩამოველ ქალაქში, — განაგრძო თამარმა, — რომ ლევანი საზღვარ გარედ მიდის და მინდოდა ერთი კიდევ მენახა.

— განა ბატონი მამულიშვილის ახალ-უბანში ამოსვლა უფრო ადვილი არ იქნებოდა? — ღიმილით მივუგე მე.

— რასაკვირველია... — ცოტა არ იყოს შეკრთომით მიპასუხა თამარმა: — მაგრამ მე სხვა საქმეებიც მქონდა ქალაქში.

— თქვენ ევროპაში სამოგზაუროდ მიბძანდებით? — ვკითხე მე ლევანს.

— არა, მე მივალ საფრანგეთში, იქ უმაღლეს სასწავლებელში მეურნეობა მინდა შევისწავლო.

— და შემდეგ თქვენ მამულს მოასმარებთ იმ ცოდნას, თუ სამსახურში შეხვალთ?

— სამსახურში! — გაოცებით გაიმეორა და ღიმილით თავი გაიქნია: — არა! არა! ღმერთმა დამიფაროს! საუბედუროდ არც მამული მაქვს, მაგრამ მთელი საქართველო მე ჩემს მამულად მიმაჩნია, რომელიც ავად არის და მკურნალი ეჭირვება. რამდენიც უფრო მეტი მკურნალი ეყოლება იმას, იმდენი უფრო უკეთესი იქნება.

ამ დროს ზარის წკრიალი მოისმა და ჩვენ ჩვენი ალაგებისკენ გავეშურენით.

მეორე დღეს, დილა ადრიან ვაგზალზე გავეშურე. დიდ ხანს ვუცადე თამარს, ხალხი შეგროვდა, პირველი ზარი დაჰკრეს, მეორეც; მე იმედი გადამიწყდა, ფეხზედ წამოვდექი და შინ დაბრუნება მინდოდა, მაგრამ ამ დროს დავინახე თამარი თავის გუშინდელის კავალერით. იმათ მკლავი-მკლავში ჰქონდათ გაყრილი და მიეშურე-

ბოდნენ ბილეთების ასაღებად. იმათ მე ვერ შემნიშნეს. ლევანი როგორღაც მობუზული იყო, თვალები დაწითლებული ჰქონდა და პირზედ ისეთი მწუხარება ეტყობოდა, რომ სწორედ შემებრალა, და ჩემის დანახვით რომ უფრო არ მიჰმატებოდა მწუხარება, ხალხში მივიმალე.

თამარი კი თავისებურად ყოჩაღად და მხიარულად იყო. ვაგონის კარებთან ერთხელ კიდევ შეჩერდნენ, რაღაც უნდოდათ ეთქვათ ერთმანეთისათვის, მაგრამ, თითქო ამ თქმისა შეეშინდათო, ერთმანეთს ხელი გამოჰგლიჯეს და თამარმა საჩქაროდ აირბინა კიბეზედ.

ლევანი დიდხანს უყურებდა საჩქაროდ მიმავალ მატარებელს, შემდეგ მთლად დაღუნებული დაეშვა სკამზედ და თვალებზედ ხელი მიიფარა. მე დიდხანს ვუყურებდი იმის მდუმარებას. ხალხი სულ წავიდ-წამოვიდა და ლევანი კი ვერაფერს ამჩნევდა.

—გამისტუმრებთ, თუ კიდევ გიცადოთ?—შიგ ყურში ჩასძახა ლევანს დიდი ხნის ცდით მოთმინებიდან გამოსულმა მეეტლემ. იგი წამოდგა ზეზედ და თვალები მოიფშვნიტა, თავზედ ხელი გადაისვა, ერთი კიდევ გაიხედა იქით, საითაც მატარებელი მიქროლავდა და წყნარად წავიდა ეტლისკენ.

## IV

ამ შემთხვევის შემდეგ ჩემი სიცოცხლე სულ მოიწამლა და გადაიქცა ერთს საშინელ მოუსვენარ და ვაგლახით სავსე ჯოჯოხეთად. გული და გონება სულ გადამერია, განუწყვეტლივ სულ იმაზედ ვფიქრობდი, თუ როგორ შემეტყო თამარის გულის პასუხი. თუმცა წასვლის დღეს ის ლევანზედ უფრო მხიარულად მეჩვენა, მაგრამ ქალდაკაცის გული უზომო გრძნობის ზღვაა და, ვინ იცის, მისი გარეგანი შეხედულება და ღიმილი რა შინაგან მწუხარებას ჰფარავდა. იქნება ის იმისთვის იყო მხიარულად, რომ ლევანიც გაემხიარულებინა, რომელსაც ასე დაძაბუნებულს და განადგურებულს ხედავდა!

ერთს ღრუბლიან საღამოს, როდესაც მოქუფრულ ბუნება უფრო ასევდიანებს და ასჩეულებს ისედაც დასევდიანებულს კაცის

გულს, ნელის ნაბიჯით დავდიოდი ამ ჩემს ოთახში და ჩვეულებრივ ფიქრებში ვიყავ გართული. ამ დროს მოსამსახურემ ჩუმად კარი შემოაღო და ჩემს სტოლზედ პატარა ბარათი დადო.

«თუ გცალიანთ, ბატონო გიორგი, გთხოვთ ამ საღამოს დაგვათვალიეროთ. მამა-ჩემი ავად არის და ძლიერ ისიამოვნებს თქვენის ნახვით. ჩვენ ვდგევართ «ამერიკის» სასტუმროში. თამარ შალვაშვილისა».

ამ ბარათის წაკითხვის დროს მთლად კანკალმა ამიტანა. როგორ? თამარი ქალაქში იყო, აქ ჩემს ახლო, შემეძლო იმის ნახვა, ახლოს ჯდომა, იმის ხმის გაგონება, შემეძლო შემეტყო ყველაფერი, გადამეწყვიტნა, ავად თუ კარგად, ჩემი მომავალი—და მე კი არ ვიცოდი! ყველა ეს ისე მოულოდნელი და უცები იყო, რომ თავ-ბრუ დამეხვა და ბავშვივით ხან ვტიროდი და ხან ვიცინოდი.

საღამოზედ იმათ ოთახს რომ მივუახლოვდი, გულმა ისე ღონივრად დამიწყო ცემა, რომ კარებთან შევჩერდი და მთელი ჩემი ძალა და ღონე მოვიკრიბე, რომ დავშოშმინებულიყავ.

— ოჰ, რა მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო,—სუსტის ხმით მითხრა ივანემ,—რომ ჩემი თხოვნა აგრე მალე აასრულე. ოთხი წელიწადია ქალაქში აღარ ვყოფილვარ და აღარც კი ვიცი, არიან ვინმე აქ ჩემი ძველი მეგობრები, თუ არა. მაგრამ, თუ თქვენ არ დაიზარებთ ხოლმე ჩემ ნახვას, მე თქვენის ნახვითაც ძლიერ კმაყოფილი ვიქნები.

— რას მიბრძანებთ მაგას, ჩემო ბატონო, დავიზარებ კი არა დიდს ბედნიერებადაც ჩავთვლი, თუ კი რითიმე გასიამოვნებთ,—გულმხურვალედ ვუპასუხე მე.

— მართალია, გასაკვირველია ჩვენი ასე მალე დამეგობრება,—დაუმატა თამარმა:—გაგიცანით თუ არა, მას აქედ ისე გიყურებთ, როგორც ერთ უძველესს სახლის წევრს და მამა-ჩემი ხომ... დღე არ გავა, რომ თქვენ არ მოგიგონოთ.

ამ დღიდან მთელი ორი თვის განმავლობაში ყოველ საღამოს, უქმე დღეობით მთელი დღითაც, მე ვიყავ ივანეს მობაასე და დროების გამატარებელი. ის გასაკვირველი გონიერი, ჭკუა-გახსნილი კაცი იყო; იმას რაც კი შესანიშნავი და საგულისხმიერო ენა-

ხა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, ყველაფერი კარგად ახსოვდა და დაუღალავად მოგვითხრობდა ჩვენი წარსულის ავკარგიანობას. ენა მისი იყო მახვილი და ცნობის მოყვარეობა დაუბოლოვებელი. არც ავადმყოფობას, არც ხნიერებას ის არ ემორჩილებოდა და მუდამ ცხოვრების გაუმჯობესობაზედ ფიქრობდა. მე ვუკითხავდი წიგნებს, გაზეთებს, ხანდისხან ნარდსაც ვეთამაშებოდი. მან სრულიად მიი-ზიდა ჩემი გული და გონება, მაგრამ თამარის სიახლოვე ისე აბე-დნიერებდა ჩემ გულს, რომ მონებასაც კი ავიტანდი ერთი იმის ღიმილის დანახვისათვის. თამარი ყოველთვის ჩვენ გვერდით იჯდა და მზად იყო ასრულებინა ყოველი წადილი თავის ავადმყოფის მამისა.

ერთხელ ივანე და მე ჩავაცივდით თამარს გაჰყოლოდა თეატრ-ში ერთის ამხანაგ ქალს, რომელიც მხურვალედ ეპატიჟებოდა. მთე-ლის კვირაობით ვიწრო ოთახში ჯდომა სოფლის ჰაერზედ ნაჩვევ თამარს მალე შეეტყო; მან მთლად ფერი დაჰკარგა და მისი მოძ-რაობა ისეთი შნოიანი და მკვირცხლი აღარ იყო, როგორც უწინ. ის ჯერ დიდ უარზედ იყო მამისთვის თავი დაენებებინა, მა-გრამ როდესაც მე პირობა მივეც, რომ თვალს არ მოვაშორებ მა-მაშენსა-მეთქი, მაშინ კი დაგვითანხმდა და წავიდა.

— გიორგი, შვილო, — სწრაფად ხელი წამავლო ივანემ ხელ-ზედ — შენ იცი რა საშინელი სენითა ვარ ავად? შენ იცი, რომ შეი-ძლება ამ ორი წამის შემდეგ უცებ გადავიქცე და გავქრე ისე, რო-გორც აპრიალებული ცეცხლი ცივის წყლის დასხმით?

— რასა ბრძანებთ, ბატონო ივანე, თქვენ ჯერ სამაგისო რა გი-ჭირთ, სიკვდილს რა ხელი აქვს თქვენთან! — მივუგე მე მხიარულად, თუ-მცა კი ვიცოდი, რომ ივანეს გულის სიგანიერე ჰქონდა და შესაძ-ლო იყო იმისი უეცრად სიკვდილი.

— არა, შვილო, მე სიკვდილისა არ მეშინიან, ტყუილად ნუ მანუგეშებ, — დარბაისლურად მითხრა იმან: — მე არც იმაზედ ვდრტვი-ნავ, თუ რად მომეპყრა შემოქმედი ასე შეუბრალებლად. მე ისიც მი-კვირს, რომ ჩემი ლევანის შემდეგ აქამდინ ცოცხალი დავრჩი, მაგ-რამ შენ იქნება არც კი იცი, რომ აგერ ოთხი წელიწადია, რაც მა-მის ნუგეში და მამულის დამამშვენებელი შვილი დავკარგე.

აქ ივანემ გულის საკლავად დაიწყო კვნესა და დიდი ხნით გაჩუმებული იყო.

— მე ახლა მინდა, — განაგრძო მან, — ჩემის გულის-პასუხი გითხრა, რომ შემდეგ სიკვდილი უფრო გამიადვილდეს. მე მსურს, რომ ჩემი თამარი უპატრონოდ არ დარჩეს; მე მსურს, რომ შენ გახდე იმის მფარველი და საყვარელი მეუღლე.

მე აღტაცებით დავუჭირე ხელი და შევჰყვირე: «ეგ უდიდესი ბედნიერება იქნება ჩემს სიცოცხლეში-მეთქი. მაგრამ თამარი? განა ის თანახმა იქნება თქვენის სურვილისა?»

— თამარი?.. დიდხანს თავ-ჩაკიდებული იჯდა ივანე და საშინელ სევდას მიეცა. შემდეგ თავი მაღლა აიღო და მითხრა: — ეგ შენზეა დამოკიდებული, ეხლა ის გულითადი მეგობრობა, რომელიც დღეს გაქვთ თქვენ, სიყვარულზედ შეაცვალეთო. თამარი ძვირფასი დედაკაცია, ის არის დარბაისელი, სულგრძელი, სათნო, მოსიყვარულე გულისა. მაგრამ უფრო საუკეთესო მისს სამკაულს შეადგენს ღრმად გასხნილი გონება. შენ ის გაგაბედნიერებს, გიორგი. მე შენ ისე შემიყვარდი, შენში იმდენი ღირსება ვპოვე, რომ სიამოვნებით დავხუჭავ საუკუნოდ თვალს, რომ თამარი დაყრდნობოდა შენს განიერ მკერდს და თავის ბედი შენს ბედთან დაეკავშირებინა...

ივანეს საშინელი გულის ფრიალი აუვარდა. ლაპარაკი ვეღარ გაათავა. მე შევკრთი, წყალი გადავასხი შუბლზედ, დასამშვიდებელი წამალი ჩავაყლაპე და თან ვარწმუნებდი აღტაცებით, რომ თამარი იქნებოდა საუკუნოდ მფლობელი ჩემის გულისა და გონებისა. ის დამშვიდდა და სისუსტის ბურანში წავიდა... დიდ ხანს ვიჯექ გაუხმრევლად და რა ოცნებას არ ვეძლეოდი: რა სამოთხე არ ავაგე ჩემის ფიქრით და რა ედემის მშვენიერებით არ ავავსე ჩემი მომავალი...

თამარი თეატრიდან დაბრუნდა. შემოდგომის სიცივეს მოძის ფერად აენთო იმისი ფერმკრთალი ლოყები. თვალები სიცოცხლით უბრწყინავდა; ის ფეხ-აკრეფით შემოვიდა ოთახში, მხოლოდ თვალებით მკითხა მამის ამბავი და ჩუმად ჩაჯდა სავარძელში.

მე მთლად ვთრთოდი: მე იმას ისე ვუყურებდი, როგორც ჩემს საკუთრებას, ჩემს მომავალს მეუღლეს, მეგობარს, სატრფოს, მინ-

დოდა გულზედ მიმეკრა, მუხლთ მოვხვეოდი და მეთქვა ყოველივე ის, რაც კი ამ ორი წლის განმავლობაში ჩემს გულს ტანჯვა გამოევლო, მაგრამ, როდესაც მივუახლოვდი, ენა დამება; ფიქრები ისე აირივნენ ერთმანეთში, რომ აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ის რაღაც ტკბილ ოცნებას მისცემოდა და ჩემი იქ ყოფნა კი დავიწყებოდა.

მე ავდექი და შინ წამოვედი. საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა: მე ვიწოდი, ვთრთოდი და ის კი ყურადღებასაც არ მაქცევდა; ამ უყურადღებობამ გული გამიპო, თავ-მოყვარეობა შემილახა და უსამართლოდ დასჯილ ბავშვსავით მდუღარება გადმომცვივდა.

მეორე დღეს ექიმებს ივანესთვის სოფელში დაბრუნება ურჩიათ. «სოფლის ჰაერი, მოსვენებული ცხოვრება, უფრო კარგად იმოქმედებს თქვენზედ, მანამ ქალაქში ოთახში ჯდომა და სხვა-და-სხვა წამლების ყლაპვა».

მეორე საღამოს ჩვეულებრივ მივედი მათთან, მაგრამ წასასვლელად ბარგი უკვე ჩაელაგებინათ.

— ხვალ, დილის მატარებლით მივდივართ, ჩემო გიორგი, — მითხრა ივანემ მხიარულად: — მე სოფელი მირჩევნიან. ქალაქი თქვენთვის დამილოცნია, ვინც სიცოცხლეს ორის ხელით ეწაფებით, მე კი სოფელში მყუდროებით გავატარებ ჩემ დანარჩენ დღეებს. მწუხვარ მხოლოდ თამარისთვის; ვიცი, რომ ეს ჩემი გულისთვის მოაკლდება ყოველ სიამოვნებას, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თავის მოვალეობას ასრულებს და ეს იმას ყოველს ბედნიერებას ურჩევნიან. ვინძლო არ დაგვივიწყო და გვეწვიო ჩვენს ლამაზ ახალ-უბანში.

— ოხ, თქვენ ახალ-უბანს ვერ იცნობთ, — დაუმატა თამარმა: — ჩვენი სკოლა თავის პატარა და დიდი მოწაფეებით აღტაცებაში მოგიყვანთ, მასწავლებელი სამაგალითო გამოგვადგა, მღვდელი უფრო უკეთესი...

— შენ სულ შენი სკოლა გაგონდება, — გააწყვეტინა ივანემ თამარს: — ახლა შენზედ მოელაპარაკე რამე გიორგის; რას აპირობ, რას ფიქრობ შენს მომავალზედ, ჩემო მშვენიერო, ყოველთვის სხვის ბედნიერებით კმაყოფილო გოგონავ!

— ჩემი მომავალი განა მე შემიძლიან ხელთ ვიქონიო? ეგ ბედზეა დამოკიდებული. ჩემი ფიქრი და საქმე მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობაა, მამა-ჩემო, დანარჩენი თითონ მოვა თავის დროზედ.

ამის შემდეგ რა მეთქვა. მე კიდევ ენა ჩამივარდა, კიდევ უდროვოდ დავინახე ჩემი აზრის წარმოთქმა და კიდევ გულის წუხილით და უსიტყვოდ გავაცილე ისინი რკინის გზაზედ.

აპრილის უკანასკნელი დღეები იყო. დილით ავდექი თუ არა, ფანჯარა გავაღე და ქუჩაში გადავიხედე. ძირიდან მეგაზეთემ გაზეთი მომაწოდა; პირველ გვერდზედ შავ-არშიანი განცხადება დავინახე: სახელები თამარ და ივანე დიდის ასოებით იყო დაბეჭდილი. თვალი მაშინვე სახელებს მოვკარ და მთლად დავდუმდი. რამდენისამე წამს ვერ შევიძელ სამწუხარო ამბავი წამეკითხა. შემდეგ საჩქაროდ დავიწყე მომზადება, სამსახურიდან დავეთხოვე და გავუდექი ახალუბნის გზას. მე ჩემს თავს მოვალედ ვხადდი თამარის გვერდით ვყოფილიყავ იმის ასეთის დიდი უბედურების დროს.

შევდგი თუ არა ოთახში ფეხი, თამარი მაშინვე ფეხზედ წამოხტა და ხმა-მაღლა ქვითინით გულზედ მამეყრდნო. «გიორგი, გიორგი!» — გულის საკლავ მწუხარებით მეუბნებოდა — «სიკვდილის დროსაც შენ გიგონებდა, ის უცებ დაესვენა ბალიშზედ, თავზედ ხელი გადამისვა, «გიორგიო» წაილუღლუღა და ამის მეტი ვეღარა სთქვა-რა, თვალებიდან ორი მდუღარე ცრემლი გადმოვარდა და საუკუნოდ გამომესალმა. წამოდით გაჩვენოთ, ის ისე წევს, როგორც ღრმად ჩაფიქრებული კაცი და არა წუთი-სოფელს გამოსალმებული ცხედარი».

მე გულით ვწუხდი ივანეს სიკვდილს, მაგრამ ამასთან რაღაც ბედნიერებასაც კი ვგრძნობდი. თამარის მხურვალე მოგებება, იმის მშვენიერი თავის ჩემს გულზედ დაყრდნობა გონებას მიბნელებდნენ სიხარულით, თვალებიდან ცრემლები მდიოდი, მაგრამ ეს ცრემლები უზომო ნეტარების ცრემლები იყო. მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენ სიტკბოება სიყვარულისა და მთელი ღამე თვალებ და-

ხუჭუჭი კეკლუცი ოცნებას. ის ნაწილი ჩემის გულისა, რომელზედაც რამდენიმე წუთით თამარი იყო მოყრდნობილი, მაგრამ მეჭირა ხელით და თითქო ახლაც ვგრძნობდი იმის სიახლოვეს. სიტკბოებით კბილებს ვუჭერდი, თვალებს ვხუჭავდი; ხელებს ვიმტვრევდი და უგრძნო ნეტარებით თავ-ბრუ მესხმოდა.

ივანე მეორე დღეს დავასაფლავეთ: დასაფლავების ამბავმა თითქმის შეუმჩნევლად გაიარა ჩემთვის. მე ერთი აზრი მიტრიალებდა თავში და მის გარეშე სხვა არა იზიდავდა-რა ჩემ გულს. მთელი დღე თამარი მოშორებული იყო ჩემგან: სტუმრები, ნათესაობა ისე ბლომად ეხვივნენ მას გარშემო და იმისი გული ისე სავსე იყო საუკუნოდ მამასთან გამოთხოვების მწუხარებით, რომ მე იგი ყურადღებას აღარ მაქცევდა. საღამოზედ ხალხი დაიშალა, სახლში მხოლოდ მახლობლები დარჩნენ. მე საშინელ მდგომარეობაში ვიყავ, არ ვიცოდი მეც წავსულიყავ, თუ მახლობელთა რიცხვში ჩამეთვალა ჩემი თავი.

თამარმა ბალკონზედ გამიწვია, მაისის მშვიდი, ბნელი საღამო იყო. მთლად მწვანეებში გახვეული თამარის სახლი, გაზაფხულის მშვენიერი ჰაერი და ბულბულის ხამუშ-ხამუშად სტვენა თითქო ბანს აძლევდა ჩემს მღელვარებით სავსე გულს. ჩვენ დიდ ხანს ჩუმად დავდიოდით. ბოლოს, თამარმა მითხრა: — თქვენც, როგორც უცხოს, ისე გინდოდათ ამაღამვე წასვლა? ნუ თუ თქვენ იმოდენად არა ხართ მეგობარი ჩვენის ოჯახისა, რომ ორიოდე დღე დაჰყოთ ჩვენთან ამ საშინელს უბედურების დროს. რაც დავბადებულვარ, მე ალერსი და ტკბილი სიტყვა არ მომკლებია. დღეს კი სრულიად მარტოდ-მარტო ვარ, მე თუმცა მეგობრებად მიმაჩნია მთელი სოფელი, მასწავლებელი, მისა, ალექსი და ჩემი მონათესავენი, მაგრამ არ შემიძლიან იმათ ჩემი ფიქრები გავუზიარო. მე მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს, თქვენ შეგიძლიანთ მომცეთ მეგობრული რჩევა და გონების თვალით გაარჩიოთ ჩემი მომავალი მოქმედება, რომელზედაც მინდა მოგელაპარაკოთ.

— თამარ! განა თქვენ კიდევ იჭვეულობთ, რომ მე თქვენი ერთგული მეგობარი ვარ? განა თქვენ ვერა გრძნობთ თქვენის ქალურის მახვილ-გრძნობიერებით, რომ მე ჩემი პირადი მოთხოვნილება დამივიწყნია და მხოლოდ თქვენს სურვილსა და ბედნიერებაზედ

ჰფიქრობ? მართალია, მე სიტყვით არ გამომითქვამს თქვენს წინაშე ჩემი გრძნობა, მაგრამ განა საქმით, მთელის ჩემის მოქმედებით ამ სამი წლის განმავლობაში არ დაგიმტკიცეთ, რომ თქვენს გარეშე ჩემთვის სხვა იდეალი აღარ არის? ნუ თუ იმ სიმაღლემდის მიღწეული გრძნობა, რა სიმაღლემდისაც მიაღწია ჩემმა გრძნობამ, შესაძლოა შეუმჩნეველად დარჩეს?—და თუ შემჩნეულია, ჩემო თამარ, (აქ ჩემი ხმა თითქმის ჩურჩულად გადაიქცა) მაშ რაღად მკითხავ, მეგობარი ვარ მე თქვენი, თუ არა?.. თამარ, ძვირფასო თამარ, მომენდეთ მე და სიტყვას გაძლევთ, რომ სიკვდილამდე ვიყო ერთგული ბურჯი თქვენის ცხოვრების წარმატებისა...

თამარი ჩემი მხურვალე ლაპარაკის დროს კედელს მიეყუდა, გულ-ხელი დაიკრიბა და შიშით და მწუხარებით შემომცქეროდა თვალებში.

— კარგი, კარგი, გიორგი! ჩემი გული მეტს ველარ აიტანს... მაპატიეთ, მაპატიეთ, თქვენის ღვთის გულისათვის... იმან მთრთოლვარე ხელი დამადო მხარზედ, დატორტმანდა და ტირილი დაიწყო.

მე მსწრაფლად შევიმაგრე იგი და გულზედ მივიკარ. — თამარ, ძვირფასო, მშვენიერო, კარგო თამარ... გამაგრდი, მწუხარებას ნუ დაეჩაგვრინები, მე აქ ვარ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო უფასო განძო, და მხურვალედ დავუწყე ხელებზედ კოცნა.

— გიორგი, რას სჩადი? დამაცადე... გამიგონე... მოტყუებული ხარ, ჩემო მეგობარო, მოტყუებული... მე სხვა მიყვარს, განა შენ არ იცი? განა შენ ვერ მამჩნევდი, რომ ჩემის სულისა და გულის მფლობელი სხვა იყო? ნუ თუ არ იცოდი, რომ მე ვიყავ შენი მხოლოდ პატივის-მცემელი, ერთგული და თანამოაზრე. ნუ თუ მართალია, რომ ქალსა და კაცს შორის მეგობრობა შეუძლებელია; ნუ თუ ერთი აზრის და ერთი მიმართულების ქალი და კაცი, თუ არა საარშიყოდ, სხვაფრივ ერთმანეთს ხელს არ გაუწვდიან?

მე შენს მეგობრობას სულით და გულით ვაფასებდი, შენს დაახლოვებას ჩვენს ოჯახთან ბედნიერებად ვთვლიდი და დახე ჩემის მოუფიქრებლის ქცევით სადამდის მიგაღწევინე! მე ვხედავ, რომ ძლიერ გიყვარვარ. ოს, რა ნაირად ვწუხვარ, რომ იცოდე, გიორგი! ჩემი გული შუაზეა გაპობილი, ეს სევდა ნაკლები არ არის იმ უბე-

დურებაზედ, რომელიც მე ამ ორ-სამ დღეში თავს დამატყდა. ერ-თსა და იმავე დროს ორი უდიდესი მწუხარება როგორ აიტანოს ჩემმა უბედურმა გულმა. მე ვგრძნობ, რომ დღეიდან ვკარგავ ძვირ-ფას მეგობარს.—და თამარი საშინლად ატირდა.

— მაგას რად ბრძანებთ! განა ისე შორს არის ის ბედნიერი არსება, რომელიც უფრო ღირსია თქვენის თანაგრძნობისა? განა იმას საკმაო ღონე არა აქვს, რომ თქვენი მწუხარება შეამსუბუქოს და შავი და ბნელი ფიქრები გაგიფანტოსთ?—მწარედ ვთქვი მე და ამის წინ დავიწყე სიარული.

— გიორგი, შენ ჩემზედ ჯავრობ? მე შენ წინაშე განა დამნაშავე ვარ? განა ვერა გრძნობდი, რომ შენ იყავ მხოლოდ მეგობარი, ძლიერ ძვირფასი და ტკბილი მეგობარიც, მაგრამ ის კი არა, ვინც სრული მფლობელია ჩემის გულისა. მე ძვირად ვაფასებდი შენს აზრს, შენს საზოგადოებას, დიდს პატივსაცა გცემდი, მაგრამ არა ისე, როგორც სატრფოს, არამედ როგორც მეგობარს. მომაგონე, მისაყვედურე, იქნება როდისმე მოგეც მიზეზი გეფიქრა, რომ მე შენ მიყვარდი.

— არა, არა ძვირფასო თამარ! საუბედუროდ ვერავერს გისაყვედურებ. შენ მთლად უმანკოება იყავ და არშიყობის მიზეზი არ მოგიცია. მაგრამ სიყვარული ყოველთვის ბრმა არის. მე სიყვარულით მქონდა გული გამსჭვალული და ასე მეგონა—შენც ასე იყავ... მამა-შენმაც იმედი მომცა და იმან უფრო თვალები ამიხვია და ფრთები შეასხა ჩემს ოცნებას.

— როგორ, გაოცებით შეჰყვირა თამარმა, განა მამა-ჩემმა იცოდა შენი გრძნობა და ხელს გიმართავდა?.. საწყალი, რანაირად სძულდა ლევანი და რანაირად არა ცდილობდა, რომ იმის სიყვარული ჩემის გულიდან ამოეგლიჯა. სჩანს, ამისთვის დაგიახლოვდათ და დღე და ღამ თქვენს ქებაში იყო... ახლა კი მესმის, ისე ხშირად რად გიგონებდა უკანასკნელად და რა უნდა ეთქვა ჩემთვის... მესმის და მადლობა ღმერთს, რომ ამის თქმა ველარ მოასწრო...

— თამარ, შემიბრალე, მეგობრული ხელი მომეც, მაპატიე, რომ უნებლიედ მამა-შენიც დავითანხმე. დღეს შენმა სიტყვებმა სრულიად ბო-ლო მოუღეს ჩემს მომავალს. სამის წლის განმავლობაში მე სულ

იმას ვოცნებობდი, რომ ერთს დროს შენ იქნებოდი ჩემი მეფე, ჩემი ამხანაგი, ჩემი მეუღლე... და ახლა კი ყველა ამას ერთს წამში უნდა გამოვეთხოვო? როგორ, მასწავლე... მირჩიე...—და გულის სიღრმიდან ამოშხუქდა საშინელი კვნესა. სასოწარკვეთილებით ხელებს ვიმტვრევდი, ქოჩორს ვიგლეჯდი...

— გიორგი, შენის ღვთის გულისათვის, ნუ მკლავ, ნუ მაჩვენებ შენს უზომო მწუხარებას... მე იმის მეტი აღარა მრჩება-რა სანუგეშებლად, რომ შენს წინაშე დამნაშავე არა ვარ და, თუ უნებლიედ ეჭვში შემიყვანიხარ რომელიმე ჩემის საქციელით, მაპატიე, გიორგი, ძვირფასო მეგობარო, ნუ სწუხარ, მიიღე ჩემგნით მხოლოდ ის, რაც კი ჩემ ხელთ არის: ჩემი გულითადი თანაგრძნობა და მეგობრული სიყვარული.

თამარს ხმა აუკანკალდა, თვალები ცრემლებით აევსო, მეგობრულად ხელი მომცა, მშობელ დედასავით დამიყვავა, მომიალერსა... მე იმისი ხელი გულზედ მივიკარ და დიდ ხანს, დიდ ხანს გულ-ამომჯდარი ვტიროდი.

## VI

იმ ძილით შენს მტერსაც დაუძინია, დედა-ჩემო, რა ძილითაც იმ ღამეს მე დავიძინე. რამდენადაც წინა ღამეს განუსაზღვრელ ბედნიერებას ვგრძნობდი, იმდენადვე უსაზღვრო უბედური ვიყავ დღეს; მთლად ჩემი არსება სასოწარკვეთილებამ შეიპყრა და სულითა და და ხორცით მივეშვი, ათასნაირის საშუალებით ვპირებდი სიცოცხლის მოსპობას. სრულმა უიმედობამ და ჩემი ბედის ჩარხის ასე უკუღმართად დატრიალებამ განწირულებამდის მიმაღწევინა. ხანდისხან გული ისე საშინლად დამიწყებდა ხოლმე ცემას, რომ ასე მეგონა, ბუდიდამ გადმოვარდნას აპირობს-მეთქი, მაგრამ, დედა-ჩემო, ყველაზედ მაგარი პირუტყვი კაცი ყოფილა. მე გავათენე ის შავი ღამეც და დავემზადე შინ დასაბრუნებლად. ერთს წამსაც არ დამვიწყებია, რომ ჩემი თავი მარტო მე არ მეკუთვნოდა, რომ მე მყავს ისეთი არსება, როგორიცაა თქვენ, და სიცოცხლე შევინარჩუნე.

დილაზედ, როდესაც თამარს შევხვდი, ალბად საშინელი შესდულობა მქონდა, რომ საშინლად შეკრთა. ალერსიანად ჩამომართვა ხელი და თვალებში დამიწყო ცქერა.

— გიორგი, თქვენ კიდევ არ იშლით წასვლას? არა, ეგ შეუძლებელია, მე მაგვარად ვერ გაგისტუმრებთ ჩემი სახლიდან. ორიოდ-სამ დღეს კიდევ დარჩი, გეხვეწებით. მოვილაპარაკოთ, ავიღ-დავიღოთ და ჩვენის მომავალს ცხოვრებას გონივრულის თვალით შევხედოთ. იქნება ბევრი რამ ვნახოთ იქ სანუგეშებელი და საგულისხმიერო. ნუ თუ კაცისათვის პირადი ბედნიერების მეტი არა არსებობს-რა ქვეყანაზედ? ნუ თუ კაცის ბედნიერებისათვის აუცილებლად საჭიროა მხოლოდ ერთი პირი, რომ მას გაუზიაროს თავის გრძნობა? აი მაგალითად, თუ გნებავთ, მე ამიღეთ. სად არის ჩემი გულის ამხანაგი? ოთხი წელიწადია, რაც მომშორდა ისა, წერილიც კი არ შემეძლო მიმეღო იმისგან. მე დავემორჩილე ჩემს ხვედრს და ვცდილობდი ჩემი მწუხარება გონების განვითარებით და სასოფლო საქმეებზედ ზრუნვით შემემსუბუქებინა.

გარდა ამ ვიწრო ასპარეზისა, განა სხვა უწმინდესი მოვალეობა არ გვადევს ჩვენის ქვეყნის წინაშე? მე დიდი ხანია მინდოდა მეთქვა თქვენთვის ჩემი აზრი თქვენის სამსახურის შესახებ, მაგრამ მეშინოდა მეტიჩრობად არ ჩამოგერთმიათ. ეხლა კი სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლიან არ გითხრათ: რას ემსახურებით? თქვენ რა საგანი აქვს თქვენს მოქმედებას? ვის აძლევთ თქვენს ძალასა და ღონეს, რომელსაც ეგ ძალა და ღონე ჩვენის ქვეყნისათვის არის საჭირო. ნათქვამია — «შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო». რითი უხდით ამაგს თქვენს ქვეყანას? რა განძს დაუტოვებთ თქვენს შთამომავლობას?

როგორც გამიგონია, თქვენა ხართ მდიდარი, დიდი მამულის პატრონი და რამდენიმე ასი კომლი გლეხი კაცის მებატონე. როგორ უვლით თქვენს მამულს და რითი ჰნუგეშობთ იმდენ ხალხს? განა თქვენი ძალა და ღონე ამ ორს საქმეს რომ მოანდომოთ, უფრო უკეთესი არ იქნება? თქვენ იმედს ჰკარგავთ და სასოწარკვეთილებაში ვარდებით, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ქალი, რომელზედაც თქვენ გული შეგვარდათ, არ შეგიძლიანთ თქვენს საკუთრებად

გაიხადოთ. გამხნევდით, გიორგი, და თქვენი ფხიზელი გონება უფრო უდიდესის საქმეს მოახმარეთ. თქვენი თავი თქვენს ქვეყანას უფრო უჭირს. ჩაისვენეთ თქვენს გულში ის წმინდა ხატი, რომელსაც სამშობლო ჰქვიან და იმის კეთილ-დღეობისათვის იმოქმედეთ. მე ვიცი, რომ ყოველივე ეს თქვენ ჩემზედ უკედ იცით, მაგრამ მაინც გაგონებთ.

— მერე შენც დაუჯერე და სამსახურს თავი დაანებე? — ამოოხვრით უთხრა შვილს ქეთევანმა.

— კიდეც და არაც! იმ დღიდან, რა დღესაც პირველად თამარი ვნახე ბედნიერი თავის გლეხების ბედნიერებით, მე გადავწყვიტე სოფელში დავსახლებულიყავ, მაგრამ სოფელში დასახლება უთამროდ თავის დღეში ვერ წარმომიდგენია. მე მხოლოდ მინდოდა გამეფართოვებინა ის ვიწრო ასპარეზი, რომელზედაც თამარი მოქმედებდა და მე მისი თანაშემწე გავმხდარიყავ. მაგრამ, როგორც ხედავ, ჩემი აზრები სრულიად ჩაიშალნენ. თამარი სხვისა არის და მე მხოლოდ ის-ღა მრჩენია, რომ ხელი მოვკიდო იმ საქმეს, რომელიც უწმინდესი მოვალეობაა ყველა ქართველისათვის, როგორც მითხრა თამარმა და მეც სრულიად ვეთანხმები.

თუმცა ახლა გვიან არის იმის დაწყება, რაც ყმაწვილობიდანვე უნდა დამეწყო, მაგრამ გამოფხიზლება და საქმის დაწყება, რა დროსაც უნდა იყოს, საზარალო არ იქნება ჩემის ქვეყნისათვის.

მე თუმცა მომზადებული არა ვარ ამ საქმისათვის, მაგრამ საზღვარ გარედ წავალ და იქ შევისწავლი, რაც საჭიროა ჩვენი მიწა-წყლისათვის, და უკან დავბრუნდები. მაშინ, დედა, გადავსახლდეთ «შალვასეულში» და ხელ-ახლად ავაშენოთ ის, რაც დავაქციეთ და ავაოხრეთ ჩვენი ქალაქში გადმოსახლებით.

— მერე უთამროდ?

— უთამროდ, უთამროდ, ჩემო ძვირფასო დედა. თამარი დაკარგულია ჩემთვის და ამ სევდის გასაქარვებლად მე დიდი დრო დამჭირდება.

— თამარი რა იქნა? ვინ იყო ის უჩინარი გმირი, რომელზედაც შენ იმან გაგცვალა? — მწუხარებით ჰკითხა თავის შვილს ქეთევანმა.

— გამცვალა? უალაგოა ეგ სიტყვები, დედა-ჩემო. თამარისთანა ქალებს გაცვლა-გამოცვლა არ შეუძლიათ; ისინი ირჩევენ ერთს და საუკუნოდ იმათი ერთგულნი არიან ჭირშიაცა და ლხინშიაც. თამარს აურჩევია თავის ამხანაგად სრულიად ღირსეული კაცი. ორნივე ერთის აზრით და ერთის სურვილით არიან გამსჭვალულნი. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ემსახურონ თავიანთ ქვეყანასა და მთელი თავიანთი სიცოცხლე იმის ბედნიერებას შესწირონ.

როგორ ვწუხვარ, დედა-ჩემო, რომ შენ თამარს არ იცნობ. ის ერთი იმ ქალთაგანია, რომელიც ნათელს ჰფენს თავის გარშემო და ატკბობს შხამით სავსე წუთი-სოფელს.

თამარი გუშინ საფრანგეთში წავიდა თავის ოთხის წლის მოშორებულ საყვარელთან, ლევან ქართველიშვილთან.

ეკ. გაბაშვილისა

---

# ანდრე კორნელი

რომანი პოლ ბურჟესი

## VII *)

საწყალს მამიდა-ჩემს ეგონა, რომ მე უფრო მტკიცე ხასიათისა ვიყავ, ვიდრე მართლა აღმოჩნდა. ცხოვრება მალე მიმოჰფანტავს ხოლმე ფიცსა, აღთქმასა, ილუზიებსა და ჩვენს ყმაწვილურს აღმა-ფრენასა. შორი-შორს იყვნენ ერთმანეთზედ თხუთხმეტის წლის ანდრე, საცოდავი, მაგრამ თავ-მომწონე ყმაწვილი და ის ახალგაზდავე ანდრე რვა წლის შემდეგ. ხომ შეიძლებოდა კი, რომ, თუ ზოგიერთი წინადვე ძნელად გასაჰვრეტი გარემოება არ მომხდარიყო, ისეთივე ახალგაზდა ვყოფილიყავ, რომლის სურათი ახლა ჩემ თვალ-წინ ჰკიდია, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ. დიაღაც ვერცერთი მნახველი სამხატვრო გამოფენისა, სადა ეს სურათიც იყო, ვერ იფიქრებდა, რომ ეს სურათი იმ კაცის შვილის სურათია, რომელიც ისე სასტიკად იქმნა მოკლული. შევცქერი ახლა ამ სალიზღობელს სახეს, სალიზღობელის პარიჟელისას, ფერ-მკრთალს სულელურად და უძილოდ გატარებულ ღამეების გამო; ვუყურებ მის უსიცოცხლო თვალებს, რომელიც არავითარს ხასიათის სიმტკიცეს არ გამოჰხატავს, მის მოდაზედ გაკრეჭილს თმებს და გაკვირვებით ვეკითხები ჩემს თავს, ნუ თუ შემეძლო ოდესმე ისე მეცხოვრა, როგორც მაშინ ვცხოვრობდი? მართლაცა-და, იმ ორ უბედურებას შორის, რომელთაგან ერთი დამატყდა თავს ყმა-

---

*) შეხ. № 2.

წვილობაში, ხოლო მეორემ სრულიად ბოლო მომიღო შემდეგ, იყო დრო, როცა ჩემი სიცოცხლე ჩემ ტოლ-ამხანაგთა ჩვეულებრივს სამასხარო და სალიზღობელ სიცოცხლესა ჰგვანდა. მოკლედ მოვჭრი სიტყვასა.

1870 წლის ზაფხულს ომიანობა იყო. მაშინ მე კომპიენში ვიყავ დათხოვნილი საზაფხულოდ მამიდა-ჩემთან. დედა და ბ-ნი ტერმონდი პარიჟში დარჩნენ, როცა ამ ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული. კომპიენში დავრჩი მე და ვწავლობდი სხვა-და-სხვა მეცნიერებას ერთის მოხუცის პატრის შემწეობით. ეს პატრი თურმე მამა-ჩემსაც ასწავლიდა ოდესმე. 1871 წლის შემოდგომას დავბრუნდი ვერსალში და ორის წლის შემდეგ მივიღე დიპლომი ბაკალავრისა. დაუყოვნებლივ ჩავეწერე ერთის ჩემის ამხანაგის მამის პოლკში, რომელიც ალჟირში იყო, და გადავიხადე ერთის წლის სამსახურის სამხედრო ბეგარა. 1874 წელს, ბ-ნ ტერმონდის რჩევით, ნება მომცეს, ჩემის ქონების გამგებელი მევე ვყოფილიყავ. სრული თავისუფალი შევიქენი. ეს ის დრო იყო, როცა მე ვალდებული ვიყავ შევდგომოდი ჩემს საქმეს შურის-ძიებისას, მაგრამ განვლო ოთხმა წელიწადმა და 1878 წელს არამც თუ სამაგიერო არ გადვუხადე მამი-ჩემის მკვლელს, არამედ არც კი რამ ვიზრუნე იმისთვის, რითაც შეპყრობილი იყო ჩემი სული და გული ყმაწვილობაში.

ეს გულ-გრილობა, რომელიც მაწითლებდა ხოლმე, არ იყო შედეგი ხასიათის სისუსტისა, არამედ ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებათა. შევუდეგ თუ არა შურის-ძიების საქმეს, მაშინვე ისეთი დაბრკოლება დამხვდა, რომლის აშორება ყოვლად შეუძლებელი იყო. გულის აყოლა და თქმა, რომ ვიპოვნი დამნაშავესაო, ადვილია; მაგრამ ნამდვილად კი რა შემეძლო? უნდა ჩავდგომოდი კვალში მართლ-მსაჯულებას და ხელ-ახლად დამეწყო გამოძიება, რომელმაც, თუმცა ერთხელ უკვე დაბოლოვდა, ვერა აღმოაჩინა-რა. გავიცანი გამომძიებელი, რომელსაც ჰქონდა ეს საქმე მინდობილი; ახლა ეს იყო წევრი პალატისა, უკვე ხანში შესული და მშვიდობიანა კაცი. ცხოვრობდა ერთ ძველებურ სახლის მე-

ორე სართულში. იქიდან კარგად სჩანდა ტაძარი ღვთის-მშობლისა, ძველი უბნები პარიჟისა და სენა, რომელიც იმ ადგილას ისეთი ვიწროა, რომ არხი გეგონებათ. ბ-ნი მასსოლი, ეს იყო მისი გვარი, დამთანხმდა, რომ ჩემთან ერთად ხელ-ახლად განეხილნა და ნესტარი გაეტარებინა ყველა იმ საბუთისათვის, რომელიც კი აღმოაჩინა გამოძიებამ. მკვლელის ვინაობისა და იმ დრო-ჟამის შესახებ, როცა კვლა მოხდა, არავითარი ეჭვი არ იყო. მამა-ჩემი მოკლულ იქმნა ორის ნახევრიდან ორ საათამდე, მოკლულ იქმნა შეუბრძოლებლივ, მაღალისა და წამოსადეგის, მხარ-ბეჭიანის კაცის ხელით. სახე დიდის ოსტატობით ჰქონდა თურმე გაკეთებული და ეს გარემოება, გამომძიებლის სიტყვით, ცხადად ამტკიცებდა, რომ მკვლელი ხელობით არ იყო მომდევარი ამისთანა საქმისა; იქნება იმიტომ იკეთებდა მკვლელი სახესა, რომ მამა-ჩემი წინადვე იცნობდა? არა, ბ-ნ მასსოლის სიტყვით, მამა-ჩემი დაკვირვებული და ყურ-მახვილი კაცი იყო; ამას ამტკიცებს ის სიტყვები, რომელიც უკანასკნელად ეთქვა, როცა გასულიყო სახლიდან; შეეძლო ეცნა მკვლელი ხმაზედ, თვალებსა და ტანადობაზედ; ტანისა და აგებულების გამოცვლა ისე ადვილი არ არის, როგორც სახისა... ბ-ნი მასსოლი ჰგონებდა, რომ სახეს იმ უბრალო მიზეზით იკეთებდა უთუოდ, რომ ადვილად გაქცეულიყო საფრანგეთიდან, თუ, ვინიცობაა, გაუგებდნენ ბოროტ-მოქმედებას. დეპეშებიც რომ ეფრინათ ყოველ მხარეს, შეიპყარით კაცი, რომელსაც შავი თმა აქვს და ასეთივე წვერიო, მკვლელს შეეძლო ჩამოებანა პირისახე, მოეხსნა წვერი, მოეხადნა პარიკი, ჩაეცვა სხვა ტანისამოსი და თავისუფლად გაევლო საზღვარი, ისე რომ არავის არ შეემჩნია. ალბად როჩდელი საზღვარ გარედ ცხოვრობდა. ინგლისურად ლაპარაკობდა და სასტუმროში მყოფთ ამერიკელი ეგონათ. ამას გარდა, იმ საბუთების მიხედვით, რომელიც მამა-ჩემის ქაღალდებში თურმე აღმოჩნდა, როჩდელმა კარგად იცოდა ამერიკელ ვაჭართა ჩვეულებანი. ამ სახით, ცხადია, მკვლელი იყო ან ამერიკელი, ან ინგლისელი, ან კიდევ ფრანგი, მაგრამ დიდ ხანს მყოფი ამერიკაში. აი ყოველივე, რაცკი

ვიცოდით მკვლელის ვინაობისა; რაიცა შეეხება საბაბს კაცის-კვლისას, ძნელია ვიფიქროთ, რომ საბაბი გაქურდვა ყოფილიყო. ეს კია მაინც, დასძინა გამომძიებელმა, რომ არ ვიცით, რა იყო იმ პორტფელში, რომელიც მკვლელმა თან წაიღო. ხოლო ის გარემოება, რომ როჩდელს წაუღია საათი და დაუტოვებია კი ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც საათზედ ბევრად ძვირად ჰღირდა, ცხადად ამტკიცებს იმ ფიქრის უსაფუძვლობას, ვითომ კორნელი გაძარცვის გულისათვის ყოფილიყოს მოკლული. ამიტომ ვამბობ, რომ ეგ სიფრთხილით მოსვლია მკვლელს, რათა გზა-კვალი აერია პოლიციისათვის. ჩემის აზრით, იმ უცნობმა, რომელმაც როჩდელის სახელი დაირქვა, მოჰკლა კორნელი შურის-ძიების მიზეზითა; და ბ-ნმა მასსოლმა მოიტანა რამდენიმე მაგალითი იმისი, რომ გაუგებარი შურის-ძიებით მოჰკლეს მკურნალნი, ექსპერტები, პროკურორები და სასამართლოთა თავს-მჯდომარენი; მამა-ჩემი ადვოკატი იყო და შესაძლოა იმასაც გადაეკიდა ვინმე მტრად. მამა-ჩემმა თავის სიცოცხლეში რამდენიმე დიდი სადავო საქმე მოიგო და ცხადია, ვინც ის საქმეები წააგო, მამი-ჩემის მტრობის მეტს არას გააკეთებდნენ. ერთი ამათთაგანი იმას დააბრალებდა თავის გაღარიბებას და დაუწყებდა შურის ძიებას. თუ ასე ვიფიქრებდით, ადვილად აიხსნებოდა ყველა გარემოება დანაშაულისა. მკვლელს, უცხოელი იყო თუ არა, ნაცნობნი ეყოლებოდა პარიჟში და იმიტომ თუ ერიდებოდა ქუჩაში გამოსვლას ისეთის გულ-მოდგინებით. კითხვა-ძიებით აღმოჩნდა, რომ პირველად რომ მოსულიყო პარიჟში, როცა პარიკი და წვერი ეყიდნა, ის უცნობი კაცი ჩამომხდარიყო პატარა სასტუმროში აბუკირის ქუჩაზედ და დავთარში ჩაეწერინებინა — მისტერ როჩესტერი ვარო. ერთხელაც არ გამოსულიყო სასტუმროდან ისე, რომ მერე ფეხით წასულიყო სადმე, უთუოდ კარეტით თურმე წავიდოდა. „იგულისხმეთ ისიცაო, დასძენდა ხოლმე ბ-ნი მასსოლი, რომ ბ-ნ კორნელის მოკვლის წინა დღეს და თვით მოკვლის დღესაც მკვლელი თავის ოთახიდან არ გამოსულა, იქ ისაუზმა და იქვე ისადილა; ლონდონში კი, საცა მამა-თქვენი სწერდა პირველად წერი-

ლებს, ყველგან დადიოდა და არაფერს არ ერიდებოდა“. ეს იყო და ეს. ამაზედ შორს ველარა სჭრიდა თვალი მოხუცისა, რომელსაც ისეთის ყურადღებით ვუსმენდი. რომ სულ ციებ-ცხელება მომდიოდა. გამომძიებელი გაჩუმდებოდა და მხოლოდ მისი თვალები ბრწყინავდა და მისი სახის მეტყველება იმოსებოდა მახვილისა და თან ღრმა აზროვნებით. წვერი მუდამ წმინდად მოპარსული ჰქონდა, იყო გულ-მშვიდი, თავ-დაჭერილი, მართებული და თავაზიანი. ამიტომ შეჰხედავდი თუ არა, მაშინვე დარწმუნდებოდი, რომ ეს ისეთი მტკიცე წეს-რიგის კაცია, გრძნობა-გონება გაწონილი, რომელნიც მუდამ დიდს უნარს იჩენენ საქმიანობისას. მალ-მალ იტყოდა ხოლმე, რომ გულ-დადებით გავუტარე ნესტარი ანალიზისა მამი-თქვენის ცხოვრებას, მაგრამ ერთს ისეთს ამბავს ვერას შევხვდი, რომელსაც ნათელი მოეფინა ამ საიდუმლო კაცის კვლისათვისაო. „ო, იტყოდა ხოლმე თავის ქნევით: ბევრი ვიფიქრე და ვიმტვრიე თავი მაგ საქმის გამოძიების დროსაო“.

და აი, სადაც იძლია ისეთი მოხერხებული და ნიჭიერი გამომძიებელი, მე იქ მინდოდა გამემარჯვნა, ისიც პოლიციის დაუხმარებლად, მერე ამოდენა ხნის შემდეგ! მაინც შევუდექი საქმის ჩხრეკა-ძიებას; გავიცანი მამი-ჩემის ხანში შესული საყვარელი, რომელიც, როგორც წინადაცა ვთქვი, თანაგრძნობით შემომცქეროდა და ეტყობოდა, რომ სიამოვნებით იგონებდა წარსულსა. გადავიკითხე აგრეთვე მამი-ჩემის ყველა ქაღალდები, რომელიც დედა-ჩემმა ბ-ნ ტერმონდს გადასცა შესანახავად. ამ დროთა განმავლობით დაყვითლებულ ქაღალდებში ვიპოვე ყოველივე: სავაჭრო საზოგადოებათა პროექტებიც, კერძო წერილებიც, მათ შორის ბ-ნ ტერმონდის წერილებიცა, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რა მეგობრობა ჰქონოდა ბ-ნ ტერმონდს თავის ახლანდელ ცოლის პირველ ქმართან, ერთის სიტყვით, ვპოვე ყოველივე, დანაშაულის კვალისა კი იოტის ოდენაც არა აღმოჩნდა-რა. დავიჯერო ეგ არის, ჩემს დღეში ველარას გავიგებ ამ საიდუმლო გამოცანისას? მაგრამ რა მექნა, საით წავსულიყავ, რა წყალში გადავვარდნილიყავ, რისთვის მეხალა თავი?

ამასთანავე, არა მარტო ის გარემოება მაყოყმებდა მამი-ჩემის მკვლელის ძებნა-პოვნაში, რომ ვგრძნობდი უმწეობა-ხელოხობასა, არამედ ისიცა, რომ სრულიად მოულოდნელად ჩა-ვვარდი ახალ გარემოებათა შორის. ვიდრე ლიცეიში ვიყავი, იქვით სავსე სიძულვილი მქონდა ბ-ნ ტერმონდის მიმართ, დე-დი-ჩემის სიყვარულშიაც თითქო მოვტყუვდი; ყოველივე ესე და ამასთან ლიცეის მოწყენილი, ერთ-ფეროვანი ცხოვრებაც უარესად უკიდებდა ჩემს გულს ცეცხლსა. ახლა კი ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. დედა-ჩემი კვლავ მიყვარდა ღრმად, გულის-ტკივილით, მაგრამ ახლა იმას აღარა ვთხოვდი, — რის მოცემაც, კარკად ვიცოდი, აღარ შეეძლო, — უპირატესს ალაგს მის გულში. შევურიგდი მის ხასიათს და წინანდებურად აღარ ვეწინააღმდეგებოდი. ბ-ნი ტერმონდი კვლავ მეჯავრებოდა, მა-გრამ ისეთი საშინელი სიძულვილი აღარა მქონდა იმისი, რო-გორც შეგირდობის დროს. მას უკან, რაც ლიცეიდან გამოვე-დი, მეტად კარგად მეკიდებოდა და ჩემს ახალს ცხოვრებაში სრულიად არ ერეოდა; როცა გამოვუცხადე, რომ არავითარს ხელობასა და საქმეს არ მინდა დავადგე-მეთქი, რაკი გულში გა-დაწყვეტილი მქონდა, შურისძიებისთვის გადამედო თავი, მან ხმაც კი არ ამოიღო ასეთ ახირებულ გადაწყვეტილების წინა-აღმდეგ და დედა-ჩემიც დაიყოლია, დაე თავის სურვილისამებრ მოიქცესო. მანვე მოინდომა დაჟინებით, რომ მოეცათ ჩემთვის მთელი ჩემი ქონება; აღმოჩნდა, რომ არც დედას და არც იმას ხელი არ ეხლოთ იმ თანხის სარგებლისათვის, რომელიც დარჩა მამი-ჩემის შემდეგ ჩემ აღსაზრდელად; ამიტომ ჩამაბარეს არა 750,000 ფრანკი, არამედ მილიონზედ მეტი. თუმცა სამ-ძიმო იყო ჩემთვის, რომ მადლობით უნდა მომეხსენებინა ის კაცი, რომელიც მტრად მიმაჩნდა, მაგრამ მაინც უნდა გამოვ-ტყდე, ჩემ შესახებ ისე იქცეოდა, როგორც შეეფერება ყოვ-ლად პატიოსანსა და კეთილ-შობილ კაცს. ამასთანავე, ეხლან-დელი მისი თავაზიანი ყოფა-ქცევა სრულიადაც არ ეწინააღმ-დეგებოდა იმ გულ-ქვაობას, რა გულ-ქვაობითაც გამდევნა ჩე-მის დედ-მამის სახლიდან მაშინ, როცა ყმაწვილი ვიყავი. ერ-

თად-ერთი სურვილი მისი ის იყო, რომ ხელი არ შემეშალა მის ცხოვრებისათვის ოჯახში, რომ მარტო ის ყოფილიყო მეფე და ბატონი იმის გულსა და სახლში, ვინც მის სახელს ატარებდა. როგორ შემეძლო მე მასთან ბრძოლა? როგორ შემეძლო გამეკიცხა ყოველ ამისათვის, როცა მის ალაგას მეც სწორედ ისე მოვიქცეოდი? დავთმე იარაღი ბრძოლისა, დავყარე ფარ-ხმალი, იმიტომ რომ უძალო და უღონო ვიყავ, იმიტომ რომ არ მომწონდა ის გულ-გრილობა, რომელიც ჩამოვარდა მე და დედა-ჩემს შორის, იმიტომ რომ იმედი მქონდა გულში, თავისუფალი და დაშორებული რაკი ვიქნები, მეტი ღონეც მექნება, შურისძიებას უფრო გულ-მოდგინედ შევუდგები-მეთქი. მე თვითონ ვითხოვე, ნება მიბოძეთ დავტოვო დედამამის სახლი-მეთქი და აი ცხრამეტის წლის ყმაწვილი კაცი სრულიად დამოუკიდებელი შევიქენი, ვცხოვრობდი ცალკე მონტენის ქუჩაზედ, ელისეს მინდვრებს ახლო, თავისუფლად ვხარჯავდი ორმოც და ათას ფრანკს შემოსავალს და თავისუფლადვე დავიარებოდი ყველა იმ ოჯახში, საცა დედა-ჩემი დადიოდა სტუმრად, დავიარებოდი ყველგან, საცა კი მხიარულობდა პარიჟი. როგორ-ღა შემეძლო ამისთანა ყოფაში გავმაგრებოდი ათასგვარ მაცდურებას და სულს არაფერში არ წაეძლია.

ვოცნებობდი შურის-მძიებელი შევიქნები-მეთქი და ის კი არა თუ დაუყოვნებლივ ჩამითრია გამხრწნელმა დიდ-კაცურმა გართობამ და დროს-გატარებამ. ვინც შორიდან უცქერის ამ გართობა-დროს-გატარებას, იმას ფიქრადაც არ მოუვა ის აზრი, თუ რაოდენად შემმუსვრელია ადამიანის ძალ-ღონისა იგი გართობა და დროს-გატარება. ეს ცუდ-უბრალო, მოუსვენარი ცხოვრება ხელში გიქრობთ დრო და ჟამსა, ახურდავაწვრილმანებს თქვენს სულს, ჰძენძავს და ჰხვეწავს ძაფ-ძაფად თქვენს სიცოცხლეს, თქვენის ენერგიის ქსოვილსა. რაკი შურისძიების საქმეს პირველშივე ვერ შევუდექი და დაბრკოლება გადამელობა წინ, სიამოვნებით ვიხვევდი ხოლმე სხვა-და-სხვა საბაბსა და თავს ვანუგეშებდი მით, რომ ვითომ და დიდს საქმეებში ვარ და ველარ ვიცლი-მეთქი. ავდექ და ავყევი გარ-

თობის ტალღებსა; მოცლილ პეწენიკა ყმაწვილ-კაცებისათვის სავალდებულოდ გადიქცევა ხოლმე გართობა და დროს ტარება; ბულონის ტყეში გასეირნება, სადარბაზოდ სიარული, წვეულებანი, თეატრები, ბანქოს თამაშობა კლუბებში, თეთრად გათენება ღამეებისა გარყვნილების სხვა-და-სხვა ჯურღმულში — ყოველსავე ამას იმდენი დრო უნდოდა, რომ ერთი წუთი თავისუფალი აღარა მქონდა ჩემის აღთქმის შესასრულებლად. მყავდა კარგის ჯიშის ცხენები, ვეარშიყებოდი დიდ-კაცობაში ქალებს და რაღაც სულელურის მიზეზის გამო დუელშიაც გავედი. ერთმა ორმოცის წლის ქალმა დამარწმუნა, რომ შენ შემიცდინეო და მეც საყვარლად დავისვი; მერე მე დავარწმუნე ჩემი თავი, რომ მიყვარს ერთი რუსის არისტოკრატი ქალი-მეთქი, რომელიც პარიჟში ცხოვრობდა. შესანიშნავი თვალთ-მაქცი იყო. ამისთანა ჯამბაზები იშვიათი არ არის მაღალ-საზოგადოებაში. დღესაც ყველამ იცის, ვინცა ბძანდებიან ამისთანები. სულ ცხრა, თუ ათია, მდიდარნიც არიან, ჭკვიანებიცა და ლამაზნიც. გარს ახვევიათ მთელი რაზმი ცოტად თუ ბევრად წადილ-ასრულებულ თაყვანის-მცემელთა და მოარშიყე-მოტრფიალეთა. გარეგნობა მათი გაგიტაცებთ, გეგონებათ, პოეტურის ოცნებითა და ყოვლად ნაზის გრძნობით არიან მოსილნიო, მაშინ როდესაც ეს სულ თვალთ-მაქცობაა. არც ოცნება აბადიათ თავში და არც გრძნობა გულში. ნახევარი წელიწადი მონა ვიყავ ამისთანა უგულო და უსულო მეძავის დედაკაცისა და, როცა ღალატი შევამჩნიე, გულ-დაკოდილს ნუგეში-მცა და მესალბუნა სულ გამოაშკარებული კეკლუცი. ამ ახალმა ამბავმა დამიმტკიცა, რომ შუათანა საზოგადოება მაღალ-საზოგადოებაზე უკეთესი არ არის, რომ მაღალი საზოგადოების დედაკაცნი აუტანელნი არიან სიცრუით, პრეტენზიებით და ცუდ-მედიდობით, ხოლო გამოაშკარებული კოკოტები — სიტუტუცით, უზრდელობით და ბინძურის ანგარებით. მხოლოდ მაშინ მოვი-მწვანილებდი ხოლმე ამისთანა ქალებს და მათთან ახლო ყოფნას, როცა გაეერთობოდი ბანქოს თამაშობაში, თუმცა კარგად ვგრძნობდი, რომ ყოვლად საზიზღარი საქმე იყო

ასეთი დროს-გატარება, რომელიც სწორედ იმ წუთს აღარ არის მტკნარი უგუნურება, როცა კაცი გაურკვლად მდიდრდება თამაშობით და ვერ კი ჰგრძნობს, რა საზარელის საქმისათვის მოუკიდნია ხელი. უცნაურად აირია ჩემში გრძნობა გულის-თქმისა და გულის-აჩხრეკისა; თვითეულს ჩემს წადილსა და გრძნობას ვაძლიერებდი, ვაზვიადებდი და ასე გაძლიერებულ-გაზვიადებულს ზედ ვაკრავდი სამარცხვინო დამღას. მართალი კი უნდა ვთქვა, რომ არცერთს მათგანს არ ავყოლივარ სულითა და გულით. მუდამ მქონდა გულის სიღრმეში დამარხული ხსოვნა მამი-ჩემისა და ეს გარემოება სწამლავდა ყოველს ჩემს ფიქრსა და აზრს. საღამოს შვიდს საათზედ გავიკეთებდი თეთრს ყელ-სახვევს, ჩავიცვამდი პჭყვრიალა ფეხსაცმელს, გამოვიპიმებოდი ფრაკში, რომელსაც კილოში ყვავილი ჰქონდა, ჩავიდებდი ჯიბეში ბანკის ბილეთებით გატენილს პორტმანეს და სახლში ნაშუაღამევის ოთხს საათზე-და დავბრუნდებოდი ხოლმე. გზაზედ გონება-დაუტანებლივ შევცქეროდი ამ ქვეყნიურს ცას, ღრუბლებს, რომელიც მუდამ ჰბურავდა ვარსკვლავებს, შევყურებდი გონება-დამძიმებული ფერ-მკრთალს მთვარეს და განიერს, შავ-ბნელ ქუჩებს, გზის ლამპრებით არიგებულ-ჩარიგებულებს. ამ დროს მეღვიძებოდა რაღაც უცნაური გრძნობა, რომ ვითომ სიცოცხლე სიზმარია მხოლოდ და სხვა არაფერი. ჩემი გონება, თითქო სნეულიაო, ისეთს გუნებაზედ დადგებოდა ხოლმე, რომ ჯარივით ესეოდა შავ-უკუღმა ფიქრი გარდუვალის ბედის-საწერელისა. ვინ იცის, იქნება ჩემი ჭიანი არსება იმავე ბოროტმა წერამ აიტანა, რომელიც მთელ ქვეყნიერებას ემუქრება? ბედის წერას ვერსად წაუვალ მეთქი, ვამბობდი გულში და ვაძლევდი თავს ცხოვრების მიმდინარეობას. დავწვებოდი დასაძინებლად და შავ-ბნელივე ფიქრები მეხვეოდა გარშემო; გავიღვიძებდი კიდევ და ვატარებდი დღეს ყოვლად უღირსოდ, და ამისთანა ყოფაში ვკარგავდი თან და თან ჩემის თავის პატივის-ცემას, ნამუსსა და მხნეობას. ან კი ვინ იყო ჩემი პატრონი, ვინ დამიხსნიდა დაღუპვისაგან? დედა-ჩემი? ის მხოლოდ კარგს პირს ჰხედავდა ამ გართულის

ცხოვრებისას, ხოლო სარჩულს კი ვერა; ამიტომ კიდეც უხაროდა, ჩემი შვილი ქვეყანაში გაერიაო. ბ-ნი ტერმონდი? ისრადა თავს შეიტკივებდა, როდესაც სწორედ ბ-ნმა ტერმონდმა, განზრახ, თუ განუზრახველად, ჩამაგდო ამ ცხოვრების ტალღეში. იმან მოინდომა, რომ მთელი ჩემი ქონება მევე მომცემოდა იმ ხანში, როცა ისე საშიშია დიდი შეძლება ყმაწვილის კაცისათვის. მანვე გამიწია წინამძღვრობა, რომ მივედე მაღალ-საზოგადოებასა და კლუბებში. მამიდა? დიაღ, მხოლოდ მამიდა იტანჯებოდა ჩემის ურიგო ცხოვრებით და უსაქციელობით. ეს კი, შესაძლოა, იმითი ჰნუგეშობდა, რომ იქნება ასეთმა გართობამ გადაავიწყოს შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის ფიქრიო, რომელიც ისე აწუხებდა და აშინებდა. ისიც კია, რომ მამიდა-ჩემს თითქმის სულ ველარა ვხედავდი. კომპიენში სიარულს თან და თან უფრო და უფრო ვუკლე. იმ ხანში ვიყავ, როცა სიამოვნებისა და დროს-გატარებისათვის დროს მუდამ შოულობს კაცი, ხოლო მოვალეობის შესასრულებლად ერთი წუთიც ვერ უპოვნია. თუ იყო ვინმე ხმა-მაღლა მღაღადებელი იმ საზიზღარ გართობის წინააღმდეგ, რომელიც სანთელივით ადნობდა ჩემს მხნეობას, ეგ იყო ცხედარი, საფლავში ჩასვენებული და დავიწყებული, სამაგიერო გადაუხდელი; მისი ღაღადისი გამუდმებით ყურებში მიდგა და მოისმოდა იმ სიღრმიდან, სადაც ჩემი ვინაობა, ჩემი არსება იყო ჩაკასრილ-ჩაკალათებული. მაგრამ ყური მივაჩვიე და ამ ღაღადისს პასუხს აღარას ვაძლევდი. ჩემი ბრალი იყო, რომ ყოველივე, დიდ-საქმეთაგან დაწყებული წვრილმანებამდე, ადუნებდა ჩემს სურვილს. და აი ზეზეულად ვიყინებოდი, ვითოშებოდი კაცი და ამ ყოფაში სრულიად ვერასა მშვეოდა ვითომ და აბობოქრებული თაღლითი ვნებათა-ღელვა, თაღლითი გართობა-სიამოვნება.

გრგვინვა-ქუხილით დამეცა თავში მეხი და იმან გამომაღვიძა ასეთის სამარცხვინო ძილისაგან. მამიდა ლუიზას დამბლა დაეცა. ეს ამბავი მოხდა 1878 წელს., დეკემბერში. იმ დღეს სახლში გვიან დავბრუნდი კლუბიდან, თითქმის გათენება იყო.

ათასი ფრანკი მქონდა მოგებული. საწერ სტოლზედ დეპეშა იდო. გავხსენი არხეინად, ვითომც აქ არაფერია-მეთქი, პირში პაპიროსი მქონდა და რაღაც ახალ-მოდურ სიმღერას ვამბობდი ღიღინით. რას მოვიფიქრებდი, რომ იმ წუთშივე ისეთს ამბავს შევიტყობდი, რომელსაც მამი-ჩემის სიკვდილსა და დედი-ჩემის მეორედ გათხოვების შემდეგ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩემს სიცოცხლეში. დეპეშას ჩემის მოხუცის გადიას ხელი ეწერა. მატყობინებდა, რომ მამიდა-შენი მძიმედ არის ავადა და ახლავე გამოეშურეო; მკურნალებს იმედი აქვთ, გადაარჩინონ სიკვდილსაო. ეს ამბავი მით უმეტეს სამწუხარო იყო ჩემთვის, რომ სულ ერთის კვირის წინად წერილი მომივიდა საწყალის მამიდა-ჩემისა. მწერდა, ვწუხვარო, რომ ამოდენა ხანია აღარ მინახავხარო. საპასუხო წერილი დავიწყე და ვეღარ კი დავათავე; ეს წერილიც იქვე სტოლზედ ეგდო. ჩემს მწუხარებას ახლა ზედ დაემატა სვინიდისის მხილებაცა; ორი საათი იყო ნაშუაღამევისა, ხოლო მატარებელი კომპიენს ექვს საათზედ მიდიოდა. მანამდე, შეიძლებოდა, ვეღარც კი გაეძლო ავადმყოფს. საშინლად გაჭიანურდა ეს ხანი ლოდინისა, რომლის განმავლობაშიაც სულ იმას ვაყვედრიდი ჩემს თავს, რომ უმადურად მოვექეც იმ კეთილ მოხუცებულსა-მეთქი. როცა ვაგონში ჩავჯექი, მაშინ უფრო გამიძლიერდა გრძნობა მოუსვენრობისა და მოუთმენლობისა. გავცქეროდი ვაგონიდან გაცრიაგებულ, ნაცრის ფერს ზამთრის მიდამოს, რომელსაც ისე კარგად ვიცნობდი ყმაწვილობაში, და ჩემი თავი ისევ ლიცეისტი მეგონა; ის ლიცეისტი, რომლის გული სავსე იყო სურვილ-მოუსვლელ სიყვარულით დედის მიმართ და იმ სამძიმო ცნობიერებით, რომ აუცილებელი ვალი ჰქონდა ნატვირთი. ჩემი ფიქრი წინ უსწრობდა მატარებელს, რომელიც ზოზინით მიდიოდა, და თვალ-წინ მიხატავდა საყვარელი ადამიანის სახეს, მის კეთილ სახის მეტყველებას, პირ-მდიდარ [illegible], მის სქელ ტუჩებს, სქელ ჭაღარა დალალ-კავებს და სიკეთით გაბრწყინვალებულს თვალებს. ღამე რომ ისე მოუსვენრად არ გამე[illegible]რებინა, ჩემი ნერვები რომ ისე არ დაჭიმულიყო [illegible]

წყალობით, სვინიდისის მხილებითა და ქენჯნით, იქნება ვერ შემეძლო, ვერ მომეხერხებინა მომაკვდავის სურვილის აუსრულებლობა... გარნა, როგორ ვიწუხო გულ-წრფელად, რომ ვერ შევასრულე სურვილი მამაკვდავისა, როცა ასეთის ქცევით შევიტყე ყოველივე სიმართლე?.. არა, არასა ვნანობ; ისე სჯობდა მოვქცეულიყავ, როგორც მოვიქეცი.

## VIII

მოხუცი ჟული სადგურზედ მელოდდა; თითქმის ველარასა ჰხედავდა, წელში მოხრილიყო და სახე უფრო ძლიერ დასჭმექნოდა, გაჰყვითლებოდა, გაძვალ-ტყავებოდა; მაგრამ გულით კი ისევ ის კეთილი, ერთგული ადამიანი იყო და წინანდებურადვე მეკიდებოდა შინაურულად, საკუთარივით. თუმცა სამოც და ათის წლისა იყო და თვალთ-აკლდა, მაინც მაშინადვე მიცნო; ჩავსხედით ერთს ძველებურს ჩარდახიანს ეტლში, რომელსაც მიგზავნიდა ხოლმე მამიდა-ჩემი ყმაწვილობაშიაც და ჟული მოჰყვა ლაპარაკს. მე ვათვალიერებდი ნაცნობს ეტლს და თვით მეეტლეს, იმავ წინანდელ ქონდრის კაცს, დაცინვის ეშხით გაბრწყინებულ თვალებიანსა, რომელსაც დავყავდი ხოლმე პატარაობაშიაც.

— გუშინ მოუვიდა ეს საქმე,—დაიწყო ჟულიმ:—თუმცა აუცილებელი იყო და, ადრე თუ გვიან, აგრე უნდა მომხდარიყო... რამდენი ხანია, რაც ხასიათები გამოეცვალა. წინად ისეთი კეთილი, გულ-დანდობილი, სამართლიანი იყო და უცებ მოჰყვა ბუზღუნს, დაიწყო ეჭყიანობა და, საცა არა მგონია, იქ ეჩხირებოდა; ძიობდა და წვრილობდა ყოველსავე. სულ ქურდები და კაცის მკვლელები ელანდებოდნენ. ასე ეგონა, რომ ყველას ბოროტი უნდა ჩემთვისაო; მედუქნეებს, ჟანს, მარიეტს და, ასე გასინჯე, ვითომ მეც კი... ყოველ დღე ჩადიოდა მარანში, სთვლიდა ღვინით სავსე ბოთლებს და სწერდა ქაღალდის ნახევზე. მეორე დილით, იპოვიდა ამ ნაჭერს და დაიწყებდა, ეგ ის ბარათი არ არისო, ჩემს ხელს არა ჰგავს ეგ ნაწერიო. მიწ-

დოდა მეთქვა შენთვის, უკანასკნელად რომ იყავი, მაგრამ ვე-ღარ გაგიბედე, არ შესწუხდეს-მეთქი; იმასაც კი ვფიქრობდი, რომ თავის-თავად გაუვლის-მეთქი... ჩაველი ახლა გუშინ ძირს სადილადა; სულ იმასა მთხოვდა, ჩემთან ერთად ისადილე ხოლ-მეო; ავადმყოფობაშიაც უყვარდა, რომ იმასთან მესადილნა; ვხე-დავ, სასადილოში არ არის ეს ადამიანი; დავუწყეთ ძებნა მე და მარიეტამ, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვნეთ; ბოლოს, ჟანმა გვირჩია, ძაღლი გაუშვით ეზოშიო, და იმან მიგვიყვანა შეშის ფარდულში. საწყალ მოხუცს ქალბატონს იქ შემოჰყროდა გული და გრძნობა მიხდილი იატაკზედ დაცემულიყო. ალბად იმიტომ წავიდა, რომ ენახა, რამდენი დარჩა კიდევ შეშაო. მო-ვიყვანეთ გონს და ფეხზედ წამოვაყენეთ; პირი მოჰგრეხოდა, ცალ ხელ-ფეხს ველარა ხმარობდა. დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ვერა გავიგეთ-რა; შეგვეშინდა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო. მკურნალი კი გვარწმუნებს, შეშლილი არ არის, მხოლოდ ერთის სიტყვის მაგიერ მეორეს ამბობსო... და ჯავრობს, როცა მის ბრძანებას არ ასრულებენო. წუხელ მთელ ღამეს არ მოვშორებივარ; ქინ-ძისთავები მოეთხოვა და მეც მივუტანე; დაიწყო ჯავრობა; რო-გორ გგონია, რას თხოულობდა თურმე? რამდენი საათიაო. დავუწყე გამოკითხვა და ძლივს მივუხვდი, რაც უნდოდა. მთელს ღამეს შენი დარდი აწუხებდა: წარმოვთქვი თუ არა შენი სახე-ლი, მაშინადვე თვალები გაუბრწყინდა, დაიწყო ლუღლუღი რაღაც გაუგებარ სიტყვებისა და სულ შენს გონებაში იყო. ახლა იცი, რად მოუვიდა ასეთი საქმე? იმიტომა რომ სულ მამი-შენის სიკვდილი აგონდებოდა. უკანასკნელ ხანებში იმის სალაპარაკო მარტო ეგ-ღა იყო. ოღონდ კი ანდრე არავინ მო-კლასო,—ამბობდა გამუდმებით:—მე მოხუცებული ვარ, ის კი ისე-თი ახალგაზდაა, კეთილი... და ჰღვრიდა ცრემლს, აპნევდა მდუ-ღარებასა. რაც შემეძლო ვანუგეშებდი: აბა ვინ მოინდომებს ანდრესთვის ბოროტსა-მეთქი, ვეკითხებოდი. არა სჯეროდა თითქო ჩემი ლაპარაკი და მეორე გვერდზედ გადაბრუნდებოდა ხოლმე. მწყინდა და გული მიკვდებოდა, თუმცა ვგრძნობდი, რომ გონება აღარა ჰქონდა წესზედა. მკურნალი ამბობს, რომ

მოხუცსა ჰგონია, ვითომ ყველა მაგისი მტერია და მაგასა სდევ-ნისო. ამაზე აჰრევია მაგას გონებაო. თავისუფლად ლაპარაკი კი გაუძნელდება და მორჩენით შეიძლება მორჩესო.

გაჩუმებული ვისმენდი ჟულის დაუსრულებელს ლაპარაკს. არ მიკვირდა, რომ იმდენ მწუხარების შემდეგ ასეთი საქმე და-ემართა მამიდა-ჩემს. ახლა მივხვდი იმასაც, თუ რას ჰნიშნავდა ზოგიერთი ახირებული საქციელი, რომელიც შევამჩნიე მამიდა-ჩემს, როცა უკანასკნელად ვიყავი იმასთან. აი, მაგალითად, სახტად დავრჩი, როცა დამიწყო თხოვნა მამი-ჩემის ნაქონ ერ-თის საყმაწვილო წიგნისა, რომელიც მე არ წამეღო. „მომეცი, მომეციო“, ისე ჩამაცივდა, რომ დავუწყე წიგნს ძებნა, გადა-ვაქოთე ბიბლიოთეკა და ვიპოვე როგორც იყო. მაგრამ თუ ეს ზოგიერთი მისი ახირება იყო შედეგი მისის უკვე დაწყე-ბულის ჭკუა-შეშლილობისა, ის რიღათი აიხსნება, რომ სულ მამი-ჩემის სიკვდილზედ ჰფიქრობდა? რასა ჰფიქრობდა განა? ხშირად მქონია ლაპარაკი იმასთან და შემიმჩნევია, რომ ყველა თავისი ფიქრი და ზრახვა არ გაუმხელია ჩემთვის. ის გარემოე-ბა, რომ მუდამ მეწინააღმდეგებოდა, შურის-ძიებას თავი დაანე-ბეო, რომ მუდამ ზრუნავდა ჩემის უვნებლობისათვის და მირ-ჩევდა ღამ-ღამოობით იარაღი რამ იქონიე ხოლმე თანაო, ცა-რიელს ვაგონში ნუ ჩაჯდებიო—სარწმუნოებრივის გრძნობით და ჩემის სიყვარულით შეიძლება აიხსნას. გარნა მეორეს მხრით, შესაძლოა, რომ ყოველსავე ამას ჩემთვის უცნობი და გაუგე-ბარი მიზეზებიცა ჰქონდა. ვისმენდი ჟულის ლაპარაკს, თან ვერთობოდი ფიქრებში და ამ სახით მოვედით მამიდა-ჩემის სა-ხლში. დიდი ნიუ-ფაუნდელენის ქოფაქი, რომელსაც ხუმრო-ბით დონ-ჟუანი დავარქვი, მომვარდა და ლაქუცი დამიწყო. გულ-მოსულმა ხელი ვკარი და მოვიშორე, ისეთს ავს გუნება-ზე ვიყავ. ავირბინე საჩქაროზედ კიბე და შევედი მამიდა-ჩემის საწოლ ოთახში.

მოახლემ, რომელიც ავადმყოფს უჯდა, ხელით მანიშნა და კარებში შევჩერდი პატარა ხანს. ჩამოვჯექი ტახტზედ ბუხარ-წინა და შორიდან დავუწყე ცქერა მამიდასა, რომელსაც კედ-

ლისკენ ჰქონდა პირი და ისე ეძინა. პირის-ფერი ფარდები შავის ხავერდის ზოლებითა, რომელიც ჩამოფარებული იყო ძველებურ საწოლის სვეტებ შუა, თითქმის სანახევროდ ჰფარავდა მამიდა-ჩემს. ეს საწოლი ოდესმე ბებია-ჩემისა იყო. ფარდები ახლა გახუნებულიყო და შეეხამებოდა ამ ოთახის ძველებურს ავეჯსა და მორთულობას: თეთრ ხალიჩას, მატერია-გაკრულ შირმას და ყოველს ნაშთს ჩვენის ძველებურის ოჯახისას, დიდის მოწიწებით შეგროვილს მამიდა-ჩემისაგან. ეს მშვიდობიანი სამყოფელი, რომლის სიწმინდე-სისუფთავისათვის გულ-მოდგინედ ზრუნავდა მამიდა-ჩემი, იოტის ოდნადაც არა ჰგვანდა ჩემს კაბინეტს, სულ სხვა ყაიდაზედ მორთულს. მომაგონდა მარტოდ-მარტო ცხოვრება მამიდა-ჩემისა, უქმროდ, უძეოდ დაბერებულისა და გულში ყვედრება დავუწყე ჩემს თავს. აღთქმაც დავდევი, რომ ამას იქით მთელის კვირაობით მოვსულიყავი ხოლმე მამიდასთან, რაკი მორჩებოდა. ამ ფიქრებში წასული, ველოდდი, როდის გამოიღვიძებს, რომ შენდობა ვთხოვო და გავაგებინო, რაოდენად ძლიერ მიყვარდა საწყალი ჯან-გატეხილი მამიდა-ჩემი.

უცებ ღრმად ამოიოხრა, აიწოდა მაღლა ცალი ხელი და დაიწყო უიმედობით ქნევა.

— გაიღვიძა, სთქვა ჟულიმ, რომელმაც მოახლეს ადგილი დაიჭირა საწოლს ახლო.

მივედი ავადმყოფთან, დავხედე მის დამბლასაგან საცოდავად დამახინჯებულს სახეს და შევეხმიანე. მაშინვე მიცნო და, როცა დავიხარე, რამდენჯერმე ნელ-ნელა მომისვა ხელი ლოყაზედ. ჟულის დახმარებით მოვაბრუნეთ ავადმყოფი ლოგინზედ; შემომხედა დაშტერებით და თვალებში ცრემლები მოერია; მის სახის მეტყველებას ცხადად ემჩნეოდა: სიყვარული, შიში და დანანება. მეც ტირილი მომერია; მამიდა-ჩემმა თავის ხელით მომწმინდა ცრემლები და რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ რამდენიმე გაუგებარი სიტყვა ძლივს წაილუღლუღა. მიხვდა, რომ ვერა გავიგე-რა და დიდის ძალ-დატანებით დაიწყო კვლავ ლაპარაკი, მაგრამ მაინც არა გამოვიდა-რა. მამიდა-ჩემმა

გაიქნია ხელი უიმედობით, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა პირველად გამოიღვიძა. „რა გნებავს, ჩემო კარგო მამიდა?“ ვკითხე მე და მამიდა-ჩემი თითქო გამხნევდა. მანიშნა, რომ მართლად-მართლა მინდა დავრჩე შენთანაო და, გავიდა თუ არა კეთილი მოხუცი, უცებ შეიცვალა მისი სახის მეტყველება. ჩემის დახმარებით შეჰყო ხელი ბალიშ ქვეშ, გამოიღო აჩონჩხლილი გასაღებები, ამოარჩია მათ შორის ერთი და მანიშნა, რომ ამით უნდა გააღო კლიტეო. მე მომაგონდა, რომ მამიდას ქურდებისა ეშინოდა და ვკითხე ის პატარა ხელის-ყუთი ხომ არ გინდათ მოგიტანოთ, რომელსაც ეს გასაღები აღებსმეთქი. ისა, ისაო, ძლივს წარმოსთქვა მამიდა-ჩემმა და თვალები გაუბრწყინდა სიხარულით.

სად არის ხელის-ყუთი? ვკითხე მე და, რაკი პასუხი ვერ მომცა, დამიწყო ნიშნებით ახსნა და საწყალმა დედაკაცმა, როგორც იყო, მიმახვედრა, რომ ხელის-ყუთი ძირს არის, ორში ერთ-ერთს შკაფშიო.

ჩავიარე კიბე, ჩავედი ქვემო-სართულში და მალე ვიპოვე ხელის-ყუთი, რომელიც იდგა შლიაპების კარტონთანა და ვერცხლეულობის ფუტლიარებთან ერთად. სურნელოვანის ხისა იყო და ზედ ამოჭრილი ჰქონდა ასოები ჟ. კ., ესე იგი ჟუსტენ კორნელი. სჩანს, ეს ხელის-ყუთი მამი-ჩემისა ყოფილა. ბოლოს კი ასე ვფიქრობდი, რომ უთუოდ ეს ხელის-ყუთი ამისთანავე ყუთის სამაგიეროში ჰქონდა მამას მიცემული სიყვარულის საწინდართა შესანახავად, როგორც, მაგალითად, წერილებისა, სურათებისა, ყვავილებისა და სხვ.; ვინ იცის, იქნება ეს ყუთი იმ საწყალის ადამიანის ნაჩუქარი იყო, რომელსაც ისეთი ულირსი ბრალი დავდე და დავწამე, ვითომ მონაწილე იყო საიმპერატორო სასტუმროში მომხდარის კატასტროფისა. მერე მამა-ჩემმა ცოლი შეირთო და, ალბად, რაკი ამ წარსულის ნაშთის გაქრობა არ უნდოდა, თუმცა იმ წარსულთან საერთო აღარა ჰქონდა-რა, აიღო და მამიდას მიაბარა შესანახად. მაგრამ იმ წუთს ამისთანა ფიქრებს არ გამოვდგომივარ, მაშინადვე კლიტეს გავუკეთე გასაღები, შინდოდა მა-

ლე დავრწმუნებულიყავ, ის ხელის-ყუთი იყო თუ არა, რომელსაც ავადმყოფი თხოულობდა. გავაღე და ავხადე თავი იმ ფიქრითა, რომ უთუოდ ოქროთი, ბანკის ბილეთებითა და ძვირფასის ნივთებით იქნება-მეთქი სავსე. მაგრამ ამ განძეულის მაგიერ, რამდენიმე პაკეტი ვნახე იქ, ავიღე და დავხედე ზედ ერთსა. ზემოდან ეწერა: „წერილები ჟუსტენისა“ და თარიღი. ესევე ეწერა მეორე წერილსა, მესამესა, მეოთხესა. ეს წერილები მამიდა-ჩემისთვის მოეწერა მამა-ჩემსა და მამიდა-ჩემსაც ისეთსავე სარწმუნოებრივის სასოებით შეენახა, როგორც სხვა ყოველივე, რასაც კი მამი-ჩემის სახელი ერქვა. რატომ ერთხელ არა მითხრა-რა მამიდა-ჩემმა ამ განძისა, რომელიც ჩემთვის ყველაფერზედ უძვირფასესი იყო? ალბად იმიტომ, რომ მისი გაცემა არ ემეტებოდა სიცოცხლითვე. ამ ფიქრებში გართულმა დავკეტე ხელის-ყუთი და ავედი ზევით. ავადმყოფი მოუთმენლად მელოდდა; მისი თვალები მოუსვენრად იცქირებოდა აქედ-იქით. მივუტანე თუ არა ხელის-ყუთი, მაშინადვე გააღო, ამოარჩია ერთი პაკეტი, მერე დაჰკეტა ისევ ყუთი, მომცა და მანიშნა, კამოდზედ დასდეო. მისი სურვილი შევასრულე და თან სარკეში ვიცქირებოდი, რომ თვალ-ყური მეგდო, რას მოიქმედებდა მამიდა-ჩემი. ავადმყოფმა დიდის გაჭირვებით წამოიწია თავის ლოგინზედ და ცდილობდა ის პაკეტი ბუხარში შეეგდო. მაგრამ ძალ-ღონემ უმტყუნა, პაკეტმა ბუხრამდე ვერ მიაღწია და ძირს დავარდა. მივვარდი მამიდა-ჩემს, დავაწვინე ისევ და გავუსწორე ბალიში; მამიდამ ხელი ხელს მომიჭირა უილაჯოდ, ნიშნად მადლობისა, და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა... მივხვდი, რომ იმ პაკეტში, რომელიც ძირს დაეცა, წერილები იყო და იმათი დაწვა უნდოდა მამიდა-ჩემს; უთუოდ არ უნდოდა, რომ მე ჩამვარდნოდა ხელში. რასაკვირველია, წერილების დაწვა წინადაც შეეძლო მამიდას, მაგრამ, ალბად, ვერ შეელია სადღე-სახვალიოდ გადასდო, მერე უცბად შეუძლოდ შეიქნა და, რაკი აღარავისი ნდობა აღარა ჰქონდა, ხელის-ყუთი ვეღარც ჟანს მოსთხოვა და ვეღარც ჟულისა. აი ამიტომ უნდოდა მამიდას ჩემი მისვლა და ამიტომ იყო ისეთს ღელვასა და მოუსვენრობაში.

ყოველსავე ამას მხოლოდ ბოლოს მივხვდი, იმ წუთს კი დიდად ვწუხდი და გული მიკვდებოდა, რომ საწყალი დედა-კაცი ასე ხმა-ამოუღებლივ იტანჯებოდა.

— ნუ შფოთავ, კეთილო მამიდა, ვუთხარი მე და ჩავუტკეპნე საბანი: — სულ დავწვამ ამ წერილებს.

მამიდამ შემომხედა და მომაპყრა თავისი ვედრებით სავსე თვალები. მე დავუხუჭე თვალები ტუჩებით, მერე დავწვდი და ავიღე პაკეტი. ზედ ეწერა: „წერილები ჟუსტენისა 1863—1864". ამ ორს წელიწადს-და იცოცხლა უკანასკნელად საწყალმა მამა-ჩემმა. რაკი მამიდა ლუიზა უთუოდ დაწვას უპირებდა ამ წერილებს, მაშ, ალბად, მათის შემწეობით შეიძლებოდა მამი-ჩემის მკვლელი მეპოვნა. არცერთხელ მამიდას ხმაც არ ამოუღია, რომ წერილები მაქვს იმისი უკანასკნელის წლისაო. მთელი ჩემი არსება შეიპყრა იმ აზრმა, რომ ახლა კი შემძლება მივხვდე საიდუმლოს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა-მეთქი. ისე შემიპყრა ამ აზრმა, რომ საზარელი დანაშაული ჩავიდინე. პაკეტი ბუხარში კი არა, სავარძელ ქვეშ შევაგდე და, რაკი მწოლიარე ავადმყოფი ვერა ჰხედავდა ცეცხლს ბუხარში, გადაწყვეტილი ვუთხარი, რომ თქვენი სურვილი შევასრულე-მეთქი. მამიდამ ხელი გამომართვა და დამიკოცნა. მე თავით მოვუდექი და პირი-სახე ბალიშებში ჩავმალე, არ შემომხედოს-მეთქი, მრცხვენოდა და თან მეშინოდა. დიდ-ხანს კი აღარ მომინდა ასე სახის მალვა და მორიდება. ათს საათზედ მამიდას ჩაეძინა. შუადღისას კვლავ შფოთვა დაიწყო. ორ საათზე პატრი მოვიდა და აზიარა. საღამოს კვლავ დამბლა მოუვიდა, დაჰკარგა გრძნობა და იმ ღამეს მიიცვალა.

ნუ თუ არ შემინდობ, კეთილო და წმინდა ადამიანო, ჩემს ტყუილს, შენს მოუტყუებას? რად მიმალავდი ამ წყეულს წერილებს, რომელთაც მოჰფინეს პირველი სხივი საშინელს საიდუმლოს? იმიტომ განა, რომ მეც ისე არ დავეტანჯნე ეჭვებს, რომელიც შენც მოსვენებას არ გაძლევდა! სასიკვდილო სარეცელზედ იწექ და შენ მაინც ჩემის ბედნიერებისათვის ჰზრუნავდი. დავიჯერო არ შემინდობ, რომ ასე უგულებელ ვყავ შენი უკა-

ნასკნელი სურვილი? საშინლად მინდა შენთან ლაპარაკი, თუმცა არ კი ვიცი, მხედავ თუ არა, გესმის თუ არა ჩემი ხმა, ან ჰგრძნობ თუ არა, როგორ ვიწვი სირცხვილით, რომ ისე მოგატყუე. უნდა გავტყდე შენ წინაშე, წმინდაო ადამიანო, რომ როცა გიგონებ, არავითარს სიმწარეს არა ვგრძნობ, მხოლოდ ვნანობ, რატომ სიცოცხლეში საკმაოდ პატივს არა ვცემდი, არ ვეალერსებოდი და სიკვდილის წინად კიდევ რატომ არ შევასრულე მისი უკანასკნელი სურვილი-მეთქი. ახლაც თვალ-წინ მიდგა შენი მშვენიერი თვალები, რომელიც ცხადად მეტყველებდა, რომ შენს გულში არცერთი მწიკვლი არ იყო, ხოლო წყლული კი ათასი. ვგრძნობ, რომ შემინდე კიდეც ჩემი შეცოდება, ვგრძნობ, არა მკიცხავ იმისათვის, რომ მინდოდა მართალი მცოდნოდა, არა მკიცხავ იმიტომ, რომ ამდენი ვაება, ამდენი წამება გამოვიარე. ჩვენს საქმეებს ბედის-წერა განაგებს; ბედის-წერას ვერც დანაშაული წაუვა სადმე, უნდა გამოცხადდეს, მართლ-მსაჯულებამ უნდა გაიმარჯვოს და სამაგიეროს გადამხდელი უნდა მოვლინებულ იქმნას. რა გზითა და როგორ ჰმოქმედობს ბედის-წერა? ეგ იმის საქმეა. ხშირად უცნაურს ღონესაც ხმარობს. ისე ეწერა ჩემს შუბლზედ, რომ შენს სიყვარულს, მამიდა, მამი-ჩემის მიმართ უნდა აეფეთქებინა ჩემს გულში მისუსტებულ-მიწყნარებული სურვილი შურის-ძიებისა. ერთგულო არსებავ, ნუ გამკიცხავ ამდენის ტანჯვა-წამების ატანისათვის, ნუ გამკიცხავ ჩემის მოვალეობისათვის, რომელმაც დაჰლუპა და ინაცვალა ჩემი ყმაწვილ-კაცობა. გეძინოს მშვიდად შენს მყუდრო სამარეში მამა-ჩემთან ერთად კომპიენის პატარა სასაფლაოზედ, სადაც ოდესმე მეც მიმიბარებს ეგევე მიწა. და მერე, ვინ იცის, შესაძლოა ხვალვე მოხდეს ეს ამბავი!

## IX

მამიდა-ჩემი გარდაიცვალა საღამოს ცხრა საათზედ. თვალი მე დავუხუჭე და დიდ ხანს დავსტიროდი თავს პატარა ყმაწვილივით. თერთმეტს საათზედ ჟული აღარ მომეშვა და ორი-

ოდე ლუკმა პური შევჭამე. შუადღიდან, როცა ერთი ფინჯანი ყავა დავლიე, გემოდ არა მენახა-რა იმ დღეს. რა მწუხარე და ნაღვლიანი მეჩვენა სასადილო ოთახი, რომლის კედლები თეფშებით იყო მორთული და რომელშიაც ისე ხშირად ვსადილობდი ხოლმე განსვენებულთან ერთად. შუა სტოლზედ იდგა ლამპარი და აშუქებდა მხოლოდ სუფრას, ოთახში კი სიბნელე იყო; ცეცხლი ოდნავ ჰღვიოდა დიდ ქაშანურის ფილაქნებით გაკეთებულს ღუმელში, რომელშიც ისე ხშირად ვწვამდი ხოლმე წამალს ყმაწვილობისას. მდუმარებით შევცქეროდი ჟულის, რომელიც თავს დამტრიალებდა და რომლის დაჭმუჭნილ ლოყებზედაც ცერის ოდენა ცრემლები სცვიოდა. რამდენი ბევრად მწვავე ვაება გამოვიარე, მაგრამ ისე არ შემწუხებია გული და სული, როგორც იმ ღამეს. ჩემდა საქებურად უნდა ვთქვა, რომ სულ გადამავიწყდა იმ ხანად სხვა ყოველივე და ფიქრადაც არ მომსვლია, წამეკითხა ის წერილები, რომელიც ისე სამარცხვინოდ დავიჩემე. სულ დამავიწყდა მათი არსებობა, თუმცა იმ სალამოს ავკრიფე იატაკიდან და ჩემს ოთახში წავიღე. რაში მეპიტნავებოდა ახლა წერილები? მხოლოდ იმას-ღა ვგრძნობდი, რომ დავკარგე ის ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც ნამდვილად ვუყვარდი და ეს მიკლავდა გულს. სადილს*) უკან წავედი განსვენებულთან. თვალი ვერ მოვაშორე მის უძრავ სახეს, რომელსაც იმდენს ხანს ვატყობდი ჩემს სიყვარულს, ჩემს სურვილებას. ცხედრის მეორე გვერდზედ იჯდა და მოწყალებისა და ხმა-მაღლა კითხულობდა ლოცვებს. გონება-დაუტანებლივ მეც ვიმეორებდი ლოცვების სიტყვებს, თუმცა ჩემი ადრინდელი სარწმუნოება უკვე დიდის ხნის გამქრალი იყო.

დილის სამს საათზე ჟულიმ დაიჭირა ადგილი განსვენებულს ახლოს. მე ჩემს ოთახში წავედი, რომელიც იმავე სართულში იყო, და მაშინვე დავწექი, საშინლად მოღლილი და მოქანცული. ბუნებამ სძლია მწუხარებას და თავი წამართვა მა-

---

*) სადილი საფრანგეთში სალამოზედ იციან.

მთარგ.

გარმა ძილმა; ასეთი ძილი მოსდევს დიდს ძალ-ღონის გამოლევას; ის ამაგრებს შერყეულს ჯანს, დასუსტებულ ნერვებს და ღონეს აძლევს ადამიანს ის აიტანოს, რის ატანაც შეუძლებელი ეგონა. როცა გამოვიღვიძე, უკვე მოშუადღევებულიყო; დაღვრემილი, სევდის ამშლელი დღე იყო. ფანჯარასთან მივედი. ცა ისევ ისე მოშავებედებული იყო, როგორც გუშინ, ხოლო ღრუბლები უფრო შავად იცქირებოდა და მოსაწყენს სახეს აძლევდა გაცვრცნილს, გატლეკილს ბაღს და მოშორებით გადაჭიმულს ტყეს. განგებ ვიგონებ ყოველ ამ წვრილმანებსა, რომ უფრო უკედ გავითვალისწინო მაშინდელი ჩემი გრძნობანი. ფანჯარას მოვშორდი და ბუხართან მივედი; მოახლეს ცეცხლი გაეჩაღებინა და მინდოდა ხელები გამეთბო. უცებ თვალები დავაშტერე იმ წერილებს, რომელიც მოვპარე მამიდას... დიაღ, მოვპარე; ჩემი საქციელი ქურდობა იყო და სხვა არაფერი. წერილები იდო ბუხრის მარმარილოს რაფაზედ, საცა წინა ღამეს დამეწყო პორტმანესა, პორტსიგარასა და გასაღებ შორის. აკანკალებული ხელი წავავლე ამ წერილებს. ადვილად შემეძლო მომენანიებინა ჩემი შეცოდება, გამეწოდნა ხელი და გათავდებოდა საქმე: წერილები ჩაცვივდებოდა ცეცხლში და უკანასკნელი სურვილი განსვენებულისა შესრულდებოდა. ჩავჯექი სავარძელში და რამდენსამე ხანს ვუცქეროდი ცეცხლის ალს, რომელიც გარშემო უტრიალებდა შეშებს. პაკეტი ხელში მეჭირა და სიმძიმეზედ ეტყობოდა, რომ ბლომად იყო შიგ წერილები. ისეთს ყოყმანსა და საგონებელში ვიყავ, რომ სულ ძვალი და რბილი მტკიოდა. ამ მეორე უპატიოსნო საქციელში, რასაკვირველია, თავის გამართლებას ვერ მოვახერხებდი; მინდოდა მხოლოდ ამეხსნა, რად ვიქცეოდი ასე. დიაღაც, რომ ეს წერილები ჩემი არ იყო და მოვალე ვიყავ დამეწვა. მაგრამ რას უნდა მივაწერო, რომ დავხედავდი თუ არა პაკეტის წარწერას: „წერილები ჟუსტენისა 1863—1864", მაშინვე ყოვლად მწვავე გრძნობა შემიპყრობდა ხოლმე. ის ოთახიც, რომელშიაც ვიყავი, ვერაფერი მრჩეველი და დამრიგებელი იყო. აქ იდგა ოდესმე მამა-ჩემი და ყოველივე ისევ ისე იყო, როგორც მის

დროს; მხოლოდ ცოტაოდნად გახუნებულიყო მხიარული შპალიერები კედლისა. ამ ბუხართან თბებოდა მამა-ჩემი, იჯდა ამ სავარძელში, ბოლთასა სცემდა ამ ხალიჩაზედ, მუშაობდა ამ საწერ სტოლზედ. არა, თვით ოთახი მეუბნებოდა, რომ შენი თავი შენს ხელთ არ არის, შენ არ გახლავსო; მეტად ცხოვლად მაგონებდა მამა-ჩემს. ლანდი მოკლულისა, თითქო სამარიდან წამომდგარაო, ისე მეჩვენებოდა, რათა გაეხსენებინა აღთქმა შეურისძიებისა. არა, ყოყმანი აღარ შემეძლო. რაც უნდა მცირე იმედი მქონოდა საშინელის საიდუმლოს გამოცნობისა, მაინც უნდა გამეხსნა ეს პაკეტი; რა არის, მართლა, ცარიელი მხილება სვინიდისისა? რას ნიშნავს მიცვალებულის სურვილი, რომელიც, მართალი რომ თქვას კაცმა, უფრო აჟინება და ჭირვეულობა იყო შერყეულის ჭკუისა? ხელში მქონდა მამი-ჩემის წერილები, შემეძლო გამეგო რა გუნებაზედ იყო იმ საშინელ უბედურების წინად... და არ კი წამეკითხა!.. ყოვლად შეუძლებელი იყო... კმარა-მეთქი ამდენი ბალღური ტოკვა და ჭოჭმანი. საჩქაროდ გავხსენი კონვერტი. გაყვითლებული, დაჭმუჭნული წერილები თრთოდა ჩემს ხელში. მაშინვე ვიცანი მამი-ჩემის ხელი, გარკვეული, რგვალი, ზედი-ზედ ასო-მიწყობილი. ბევრში თარიღი დაჰვიწყებოდი მამა-ჩემს და მამიდას თითონ შეევსო ეს ნაკლი. საწყალი მამიდა, ახლა იმისთვის სულ აღარა მცალოდა და, როცა ქული შემოვიდა და მკითხა, რას გვიბრძანებ დასაფლავების შესახებაო, ვთხოვე, გადაეცი ყოველივე განკარგულება და მე კი მარტოდ-მარტო დამტოვეთ-მეთქი.

ისე ჩავები წერილების კითხვაში, რომ სულ გადამავიწყდა ყოველივე, დროცა და ის გარემოებაც, რა გარემოებაშიაც ვიყავი; გადამავიწყდა, ტანთ ჩამეცვა, პური მეჭამა, ან განსვენებულთან წავსულიყავ და ერთხელ კიდევ დამეხედნა, ვიდრე სახე არ შეჰშლოდა კიდევ. საწყალი მამიდა! პირველ წერილებიდანვე მივხვდი, რად მიმალავდა იმ შხამს, რომელიც სწრაფად სწამლავდა ჩემს სისხლს. საშინელი წერილები იყო! ისე მომეჩვენა, რომ ვითომ ლანდი მელაპარაკებოდა და მიამბობდა იმ

საიდუმლო დრამას, რომელიც მე ფიქრადაც არ მომივიდოდა. სულ ბავშვი ვიყავ, როცა ის სცენები მოხდა, რომელიც ცხადად იყო აწერილი ამ წერილებში. მე თვითონ არ შემეძლო მათს იდუმალს აზრს მიმხვდარვიყავ, ხოლო იმ ერთად-ერთს ადამიანს, რომელსაც შეეძლო აეხსნა ჩემთვის საშინელი გამოცანა, თავის მოვალეობად მიაჩნდა დაემალა ჩემთვის თვით არსებობაც კი ამ წერილებისა და, როცა სულთ ებრძოდა, წერილების გაქრობასა და მოსპობას უფრო ფიქრობდა, ვიდრე თავის სულის ცხონებასა.

პირველ წერილს ჰქონდა 1863 წლის იანვრის თარიღი. ჯერ მადლობასა სწერდა იმ საჩუქრისათვის, რომელიც მამიდას ჩემთვის გამოეგზავნა საახალწლოდ. დიდად გაახარა შენმა საჩუქარმა ანდრეო. მერე გულის-ტკივილითა და ნაზის გრძნობით სავსე სიტყვები იყო. ძმა უამბობდა დას, რომ ისევ ძველი, დალოცვილი დრო სჯობდა, როცა ყმაწვილები ვიყავითო. კილოზედვე ეტყობოდა, რომ მის გულს სიყვარული სწყუროდა, რომ თავის ბედის მადლიერი არ იყო. პირველი წერილი მწუხარებით სავსე ჩივილსა ჰგავანდა და ამ გარემოებამ მეტად გამაოცა, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი დედ-მამა ბედნიერად ცხოვრობდნენ-მეთქი. ის კი არა თუ, ეს კილო ჩივილისა და მწუხარებისა უფრო ძლიერდებოდა და უფრო ცხადად ირკვეოდა შემდეგს წერილებში; მამა-ჩემი სწერდა წერილებს თავის დას ყოველ კვირა დღეს, მაშინაც კი, როცა იმ კვირია ნახული ჰყვანდა; როგორც სჩვევია ყოველ ამგვარ მიწერ-მოწერას, წერილებში ბევრი რამ წვრილმანი გარემოებაც იყო მოხსენებული; ამის გამო სულ თვალ-წინ წარმომიდგა მაშინდელი ჩვენი ცხოვრება, მხოლოდ სხვა მხრივ განათებული და შუქ-მოფენილი; ახლა ცხადად დავინახე, რომ დიდი უთანხმოება და გაუგებრობა ყოფილიყო იმ ცოლ-ქმარ შუა, რომელიც მე ყოვლად ბედნიერი მეგონა. დიდად სასიამოვნო მოსაგონებლად მქონდა ის დრო, როცა ჩვენ სამნი ვსადილობდით, ან ვსაუზმობდით და ან საღამოს ვატარებდით ერთად; ახლა კი აღმოჩნდა, რომ იმათ შორის, რომელიც გა-

ნუყოფელი ეგონა ჩემს დაბრმავებულს სიყვარულს, ხიდი ყოფილიყო ჩატეხილი და დიდი უსიამოვნობა თურმე არსებობდა. მამას საშინლად უყვარდა თავისი ცოლი და ჰგრძნობდა, რომ ცოლს კი არ ვუყვარვარო. ყველა წერილებში სჩანს ესა, თუმცა ცხადად და გადაჭრით კი არ არის გამოთქმული; მაგრამ მე ადვილად მივხვდი ყოველსავე ამას, იმიტომ რომ ყმაწვილობაში მეც სწორედ ისეთივე მდგომარეობა გამოვიარე თითქმის, რომელშიაც მამა-ჩემი ჩავარდნილიყო. მამა-ჩემი ჩემზედ უფრო გამოუთქმელი კაცი იყო და ამ მიზეზით უფრო გაძლიერდა, უფრო ფესვები გაიდგა ცოლ-ქმარს შორის ჩამოვარდნილმა უსიამოვნობამა და გაუგებრობამა; ისიც ჩემსავით მოსიყვარულე იყო, მორცხვი და გაუბედავი და უხერხულად ჰგრძნობდა თავს თავის გულ-ზვიად არისტოკრატ ცოლის წინაშე, რომელიც დიდად განსხვავდებოდა თავის ქმრისაგან; მამა-ჩემი იყო შვილი თითქმის გლეხ-კაცისა და, თუ ინჟენერი შეიქმნა, იმიტომ რომ ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, და აი ამ ხასიათების გამო, როგორიც ის, ისე მე ჩავვარდით იმ უხერხულ მდგომარეობის ცეცხლში, რომლიდამაც ძალა აღარა გვქონდა ამოვსულიყავით. წერილები სულ ოხვრითა და ვაებით იყო სავსე იმის გამო, რომ სულითა და გულით ვერ შევეთვისეთ ერთმანეთსაო; ხოლო ეს შეუთვისებლობა მით უფრო ძნელი მოსასპობი იყო, რომ საფუძვლად ჰქონდა დიდი, თითქმის სისხლ-ხორცისაგან წარმომდგარი განსხვავება, სხვა-და-სხვაობა მათის ბუნებისა. მამა-ჩემის ღირსებანი დედას არ მოსწონდა, ხოლო ნაკლულევანებანი პირივით ეჯავრებოდა, ის კი მაინც აღმერთებდა დედა-ჩემს. საკმაოდ ხშირად მინახავს საზოგადოებაში ხასიათებით შეუთვისებელნი ცოლ-ქმარნი და ამიტომ კარგად ვგრძნობ, რა ჯოჯოხეთში უნდა ყოფილიყვნენ ორივენი: დედა იდეალ-მოსილი, ჰაერივით ნაზი, ცოტა არ იყოს, პრანჭვაგრეხვას ჩვეული, ყოვლად ზრდილი და მართებული, მიბნედილის, ოცნების მოტრფიალე თვალებით, რომელიც, როცა საჭირო იყო, მაინც ახერხებდა, გულ-ცივობა „ზიზღით“ გამოეჩინა; მამა მხარ-ბეჭიანი, ახოვანი მუშა-კაცი, ულაზათოსა და

უზრდელს სიცილ-ხარხარს ჩვეული, მდაბიოთა აზრებით გამსჭვალული და ტეტია ყოფა-ქცევითა, მიხვრა-მოხვრით. მაგრამ ეს ტეტია ყოვლად კეთილ-შობილი, ყოვლად ზნე და გრძნობა-მაღალი იყო და საუბედუროდ თავის გრძნობათა გამოთქმის შნო არა ჰქონდა მხოლოდ. ეს იყო მარტო მისი დანაშაული.

პირველ წერილებშივე შეგხვდებოდათ სახელი ბ-ნის ტერმონდისა, ხოლო მეთერთმეტე და მეთორმეტე წერილში ისეთი ტანჯვა და ვაება იყო აწერილი სულისა, რომ სულ ცეცხლი მომეკიდა გულზედა და თვალებში ცრემლი მომერია. რამდენსამე ფურცელზედ, რომელიც ღამე იყო დაწერილი, ისეთის ხელით, რომ სჩანს დიდად აღელვებული უნდა ყოფილიყო, მამა მოულოდნელად უმჟღავნებს თავის დას, რომ ეჭვი მაქვს ჩემის ცოლისაო. მერე ვისზედ? იმ კაცზედ, რომელსაც შემდეგ მისი ადგილი უნდა დაეჭირა და სხვა გვარი მიეცა მის ცოლისათვის, იმ კაცზედ, რომელიც ისე მძულდა ყმაწვილობაში—ბ-ნ ჟაკ ტერმონდზედ. ამ თავის ეჭვის შესახებ მამა-ჩემი სწერდა იმ მკვეთრის კილოთი, რომელიც ასე ესალბუნება ხოლმე დიდ ხანს გულში დაგუბებულ ვარმით დატანჯულს. ამ წერილში, რომელსაც მოსდევს მთელი დასტა სხვა წერილებისა, მხოლოდ მამის სიკვდილის გამო შეწყვეტილებისა, მამა-ჩემი ამჟღავნებს, რამდენი ხანია მას აქედ, რაც გულს მიწიწკნის ეჭვი, რაც შემთხვევით შევნიშნე, რომ ტერმონდმა სიყვარულითა და გულის-თქმით დააშტერა თავისი თვალები ჩემს ცოლსაო. მაშინვე მივხვდიო, რომ ტერმონდის გულში დაბადებულა გრძნობა სიყვარულისა, მაგრამ მას შემდეგ ტერმონდი სამგზავროდ წავიდა დიდის ხნით და ეს გარემოება ისე ავხსენი, ვითომ ტერმონდს კეთილშობილური სურვილი მოსვლია თავის გულის-თქმის დაძლევისა და განქარვებისაო. როცა დაბრუნდა მგზავრობიდან, ტერმონდმა უფრო ხშირ-ხშირად დაიწყო სიარული ჩვენს სახლში. სრული ნებაცა ჰქონდა ეარნა; ჯერ იმითი ჰქონდა ნება, რომ სკოლიდანვე ამხანაგი იყო მამი-ჩემისა და მუდამ ჰმეგობრობდა მას; მამა-ჩემი არა ჰმალავდა, რომ დიდად მიყვარს ტერმონდი და ჩემი ეჭვი ყოვლად

ულირსი, ყოვლად ლალატიანი საქმე მგონიათ. თუმცა ეს ასე იყო, მაინც მისი ეჭვი უფრო და უფრო ძლიერდებოდა; იმდენადვე ძლიერდებოდა, რამდენადაც უძლიერდებოდა სიყვარული ტერმონდისა და ველარ ახერხებდა, რომ უარი ეთქვა თავის მეგობრისათვის, ნულარ გაივლი ჩვენს სახლშიო. ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ცოლი ყოვლად პატიოსანი ჰყავანდა, ყოვლად უჩირქო და მწიკვლ-მიუცხებელი. ასე გასინჯეთ, დედი-ჩემის სარწმუნოებრივი მისტიციზმიც კი, რომლის გამოც მამა უსაყვედურებდა ხოლმე ათასში ერთხელ, საკმაო თავდები იყო მამი-ჩემისათვის იმისი, რომ მისი ცოლი თავის დღეში ისეთს არას იკადრებდა, რასაც შეეძლო დაემძიმებინა მისი სვინიდისი; დასასრულ, ტერმონდი ისეთის ღრმა პატივის-ცემით ექცეოდა დედა-ჩემს, რომ არავითარი ხელ-ჩასაჭიდებელი მიზეზი და საბაბი არ იყო. რა მოეხერხებინა მამა-ჩემს? ცოლს მოჰლაპარაკებოდა? მაგრამ მისი გული ცახცახებდა და კანკალებდა მხოლოდ იმ ფიქრის გამო, ცოლს როგორ გავაგებინო ესებიო... მაშ ეთხოვნა, ნულარ მიილებ სახლში ჩემს მეგობარსო? მერე რომ დათანხმებულიყო, ხომ უნდა მოჰკლებოდა სასიამოვნო გართობასა; უარი რომ ეთქვა და არ დათანხმებულიყო? და აი მამა-ჩემმა ისევ ამ გაუბედაობისა და ჰოჭმანის გამომწარმომდგარი ჯოჯოხეთი და წამება ამჯობინა ისევ გაბედულს საქციელსა; მაინც ასე ემართებათ ხოლმე ყოველთვის გამოუთქმელ, მორცხვ და გაუბედავ ხალხს. თავის წერილებში დაწვრილებით განმარტავს, როგორ იტანჯება მისი გული, ეხვეწება დას, მირჩიე რამეო, უსაყვედურებს თავის თავსაც, უსაფუძვლოდ ვეჭვიანობო, დასცინის კიდეც და მასხარად იგდებს, მაგრამ მაინც სულ ეს წყლული აგონდება გულისა.

წერილების კილო თან და თან უფრო სევდა-მორეულია, ნაღვლიანი. ყოველთვის ასე ემართება კაცს, როცა უხერხულს მდგომარეობაშია და უცბად არ ულებს ბოლოს ასეთს მდგომარეობას. მამა-ჩემსაც ასე მოუვიდა და თავის სისუსტის გამო თითონვე იტანჯებოდა. რაკი ნება მისცა ტერმონდს ეარნა მის სახლში უფრო ხშირ-ხშირად, ახლა ისიც უნდა მოეთმინა, ისიც

უნდა აეტანა, რომ ამის გამო უფრო ძლიერდებოდა გავლენა და მნიშვნელობა ტერმონდისა მის ცოლის თვალში. ქალი მხოლოდ იმას-ღა ეკითხებოდა რჩევას საყოველდღეო წვრილმანებში; იმას უნდა გადაეწყვიტა, რა ჩაეცვა და დაეხურა, რა უფრო მოუხდებოდა, რა და რა ეყიდნა ბაზარში, რა წიგნები ეკითხნა და სხვ.. თავისი გემოვნებაც კი ამ კაცის გემოვნებას შეუფერა. მაგალითად, დედა-ჩემმა სრულიად დაანება თავი მამიჩემის საყვარელ იტალიელ კომპოზიტორების პიესების დაკვრას ფორტეპიანოზე; მათ მაგიერი ადგილი დაიჭირა ჩვენს სახლში გერმანულმა მუსიკამ, რომელიც მგზავრობაში შეჰყვარებოდა ტერმონდს. დედი-ჩემის ნათესაობა სულ სხვა საზოგადოებას ეკუთვნოდა; მამა-ჩემმა კი სულ სხვაგვარი საზოგადოება შემოახვია. მართალია, მიეჩვია ნელ-ნელა ამ საზოგადოებას, მაგრამ ახლა ტერმონდმა, რომელიც მაღალის საზოგადოების კაცი უფთო იყო, კვლავ გაუღვიძა მიმქრალი, მივიწყებული სურვილები და იმანაც მოიწყინა თავის სასტუმროში, უგულოდ დაუწყო მიღება თავის სტუმრებს. საპოლიტიკო აზრებიც კი ტერმონდისა შეითვისა და სასაცილოდა ჰქონდა გამჯდარი სალიბერალო უტოპიები მამი-ჩემისა. ყველაფერში ტერმონდის ხელსა ჰხედავდა, მის გავლენასა ჰგრძნობდა და ეს დიდი, დაუსრულებელი წამება იყო მამი ჩემისათვის. მაინც ჩუმად იყო და ყველაფერს ითმენდა; რამდენადაც უფრო უბედურდებოდა, იმდენად უფრო შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა გამოეთქვა თავისი ტანჯვა და მწუხარება. მერე სულ ეს აწუხებდა, რა მოვახერხო, რა მოვიქმედოვო, საიდან დავუწყო ლაპარაკი ცოლს, როდესაც რიგიანად არა ვიცი-რა, როდესაც საყვედურსაც ვერაფერში ვერ ვეტყვი; ან კი რა საყვედური უნდა ვუთხრა, როცა ნამდვილად არა ვიცი-რა, არა მინახავს-რაო. საბრალმდებელო ოქმს ვინ შეადგენს მარტო იმ საბუთით, რომ მე ასე ვგრძნობ, ასე მგონიაო. მერე მამა-ჩემი კვლავ დარწმუნებული იყო, წინანდელებრ ღრმად სწამდა, რომ ჩემი ცოლი პატიოსანი ქალიაო. ასე კი სწერს ყოველ წერილში მამიდასა, რომ დიდი პატივისცემა მაქვს ძვირფასის მარისაო; ამასთანავე სთხოვს თავის დას,

ნუ მომაკლებ შენს მეგობრობასო და ემუდარება, არასოდეს ჩემ ცოლთან არა წამოგცდეს-რა, თუ მე ასე ვიტანჯებიო. ამ ტანჯვა-მწუხარებისა თვითონ მევე მრცხვენიანო. ისევ თავს ამტყუნებს ყველაფერში; ალბად ვერ ვექცევი კარგად, სულითა და გულით ვერა ვცემ პატივსა; ალბად შნო არა მაქვს, რომ თავი შევაყვაროვო. აწერილი აქვს ყოვლად გულ-საკლავი სურათები თავის ცხოვრებისა თავისავე ჭერ-ქვეშ. აი, მაგალითად, სალამოობით წამოწოლილი იყო ხოლმე და კითხულობდა. გარშემო მრავალი ნაკერი ბალიშები და მუთაქები ეწყო; ლამპარი იდგა პატარა მოძრავ სტოლზედა; პაწაწა ფეხები წინ ჰქონდა გაწვდილი და სკამზედ ეწყო. მამა გაჩუმებული უყურებდა. კითხულობდა ტერმონდისაგან ნათხოვარს რომანსა და წიგნის ოქროს გასაჭრელს, რომელიც ტერმონდმავე უძღვნა საახალწლოდ, თავზე ისვამდა სავარცხელივით. მამა-ჩემი გადასდებდა თურმე ჟურნალს, რომელიც ხელში ეჭირა, და ჰფიქრობდა, ერთი ისეთი რამ მოვიგონო და ვუთხრა, რომ გული აუტოკდეს, მიენძრ-მოენძრას ამ ადამიანს, რომელიც ასე გაგიჟებით მიყვარს და თან ასე უცხოსავით კია ჩემთვისაო. მაგრამ ამისთანა ფრაზები ასე არ ითქმის; მოსიყვარულესა და თავმომწონე კაცს ქალის ხელი ხელთ უნდა ჰქონდეს, გული გულს უნდა ჰქონდეს მიხუტული, ეალერსებოდეს, ეტრფოდეს თავის საყვარელს არსებას და მაშინ იქნება გაჰბედოს და სთქვას, ვეჰკვიანობო. დიაღაც რომ უზრდელნი, მცირედ ნაწურთნი და უგულონი სხვანაირად იქცევიან. პირდაპირ წამოისვრიან: „ვეჭვიანობო“ და იმას კი აღარ დაეძებენ, საწყენი და შეურაცხ-მყოფელია თუ არა მათი სიტყვა; ისინი ითხოვენ სახლიდან იმათ, ვინც არ მოსწონთ და, თითქო მართლა მბრძანებელნი არიანო, ისე ამბობენ: „ბატონი მე ვარ ჩემს სახლში!“ მართალნი არიან თუ არა, ეგ არ ვიცი და მამა-ჩემი კი ამისთანა კაცებს არა ჰგვანდა. მამა-ჩემს იმდენი ძალა და სიმტკიცე კი ჰქონდა, რომ სრულიად უგულოდ ეკიდებოდა ტერმონდს: თითქმის არ ელაპარაკებოდა, ხელს არ ართმევდა. მაგრამ ტერმონდი, როგორც ეტყობოდა, ყოველს ამას ყურადღებას არ

აქცევდა: მამა-ჩემი უსიამოვნებას ერიდებოდა. იცოდა, რომ ტერმონდთან თუ უსიამოვნება მომივიდა, მაშინვე ცოლთანაც მომივა უსიამოვნებაო; ეს კი იყო, რომ მამა-ჩემი არა ჰზოგავდა ტერმონდის თავ-მოყვარეობას და ბევრს წვრილმანს შეურაცხყოფას აყენებდა; ამას ტერმონდმა იმით მოარიდა თავი, რომ მაშინ დაიწყო სიარული ჩვენს სახლში, როცა მამა-ჩემი შინ არ იყო ხოლმე. ვინ იცის, რა ცეცხლი ეკიდებოდა მამა-ჩემს გულზე, როცა თავის კაბინეტში იჯდა მუშაობდა და თან ჰფიქრობდა: მე აქ თავს ვიკლავ, წელებზედ ფეხს ვიდგამ და ამ დროს ის, ვიზედაც ეჭვი მაქვს, ზის არხეინად ჩემს ცოლთან ბუდუარში და მუსაიფობსო. კაცი ხარივით მუშაობდა, ფეხ-ჩაუფერხებლივ, იმიტომ რომ იმას ჰქონოდა ყოველივე სიმდიდრე და სიამოვნება უხვადა და უკლებლად; იმას კი არ უყვარდა, თუმცა მის სახელს კი ატარებდა და, როგორც ეტყობოდა, არც ჰღალატობდა. ხოლო იმისი წყურვილი ისეთი უგულო ერთგულობა არ იყო. ამიტომ ათავებდა თავის უკანასკნელს წერილს ამ სიტყვებით, რომელსაც ვიმეორებდი გულში ასჯერ და ათი ათასჯერ: „რა ცეცხლია ჰგრძნობდე, რომ მეტი ბარგი ხარ შენსავე სახლში, რომ გყავს ცოლი, რომელიც ცოლის ყოველსავე მოვალეობას ასრულებს, მაგრამ მისი გული კი სხვას ეკუთვნის, თუმცა კი, შესაძლოა, თვით არა ჰგრძნობს ამასა... ხანდახან კი ისეთს გუნებაზედ დავდგები ხოლმე, რომ ვამბობ გულში: სულელი ვარ და საზიზღარი, როგორ ვერ ვხედავ, რომ კაცი იმისი საყვარელია, ორივენი ერთმანეთს ემიჯნურებიან და დასცინიან ჩემს ასეთს სიბეცეს, ჩემს ასეთს დაბრმავებასა-მეთქი. ნუ გამკიცხავ, საწყალო ლუიზა. ყოვლად უქვენაესი აზრია; განვიშორებ ამას და გულითა და გონებით მოგიახლოვებ შენ, რომლისთვისაც მაინც ყოველივე მე ვარ ამ ქვეყნად".

ეს წერილი ყოფილიყო დაწერილი ივნისში, პირველ კვირა დღეს, 1864 წელსა, და ოთხის დღის შემდეგ მამა-ჩემი მოკლულ იქნა საიდუმლოდ; ამ გარემოებამ შეაძლებინა მამი-ჩემის ქვრივს, გათხოვებულიყო ხელ-მეორედ და მისთხოვებოდა

იმ კაცს, რომლის შესახებაც ისე ეჭვიანობდა. ჩემის გულის სიღრმეში დაიბადა იგივე საშინელი, უქვენაესი ფიქრი, რომლის გამჟღავნებისაც ისე სცხვენოდა მამა-ჩემს. წერილები ისევ რაფაზედ დავაწყე და ხელები წავივლე თავში; სისხლი ისე მომაწვა, თითქო ცხელებითა ვარ ავადაო. ოჰ, საშინელმა, წყეულმა ეჭვმა შემიპყრა. ისე მრცხვენოდა, რომ თვალებსა ვხუჭავდი სირცხვილითა! მამიდა-და? იქნება იმასაც ეს ყოვლად საზარელი ეჭვი ჰქონდა? მომაგონდა ცხადად მრავალი წვრილმანი გარემოება და დავრწმუნდი, რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. იმ დღეს, როცა გამომიცხადა, რომ დედა-შენი ჯვარს იწერსო, რადა მკითხა აკანკალებულის ხმით: „განა იცი რამეო?“ შემდეგ, როცა მემუდარებოდა, ნუ იტვირთებ შურის-ძიებასაო, განა ვის გულისთვის შიშობდა?... როცა მირჩევდა, ქ-ნ ტერმონდთან უსიამოვნობას ერიდეო და თან მუდამ იარაღი ატარეო, რისა ეშინოდა? უკანასკნელ დღეში რომ იყო და წერილების დაწვა რომ მოინდომა, განა რა ეფიქრებოდა, რა არ გამომჟღავნდესო?... ახლა კი ყოველივე ცხადი იყო ჩემთვის. მეც იმასვე ვგრძნობდი, რასაც მამიდა-ჩემი. ან კი როგორ არ უნდა მომეხარა ქედი გარემოებათა სასტიკ ლოღიკის წინაშე? მამიდა-ჩემს რომ ეს წერილები გამომძიებლისათვის გარდაეცა, განა იმასაც ესევე ეჭვი არ დაებადებოდა? კაცი მოჰკლეს; გადაკიდებული მტრები არა ჰყოლია, მოჰკლეს არა იმიტომ, რომ გაეძარცვათ; მოკლულის ცოლს საყვარელი ჰყვანდა და ქმრის სიკვდილის შემდეგ თითქმის მაშინვე იმას მისთხოვდა. აი მაშ დამნაშავენი ვინა ყოფილანო, იტყოდა გამომძიებელი და ყველა სხვაც, ვინც იმის ალაგას იქნებოდა. რატომ მამიდამ სასამართლოს არ წარუდგინა ეს წერილები? ძალიან კარგად ვგრძნობდი, რადაც მოიქცა ასე მამიდა-ჩემი; არ უნდოდა, ეჭვი აეღო, რომ დედა-ჩემს ჰყვარობდა ტერმონდი და რომ ისიც ამხანაგი იყო მამი-ჩემის მკვლელისა. გარნა მარტო ის ფიქრიც კი, რომ ვითომ შესაძლებელი ყოფილიყოს ასეთის ეჭვის აღება ზნეობრივი სიკვდილი იქნებოდა მშობლის დედისა, რომელმაც მუცლით მატარა. ყოველთვის გაგიჟებით მიყვარდა დე-

და-ჩემი და არაოდეს არაფრისათვის არ გამიკიცხავს, წირიქით, სრულიად ჩვეულებრივ საქმედ მიმაჩნდა, რომ მეორედ გათხოვდა, რომ მე ისე ძლიერ აღარ ვუყვარდი და სხვას მისცა თავისი გული. ყოველივე ესე დიდად მაწუხებდა, მწვავდა და მაღონობდა, მაგრამ მაინც კარგად მეყურებოდა დედი-ჩემის მდგომარეობაც ჩემ შესახებ. ჩვენს გულში დაუშრეტელი წყარო შენდობისა იმათ მიმართ, ვინც მართლა ძვირფასია ჩვენთვის და უცებ ვიგრძნე, რომ ეგ წყარო დაშრა და ჩემი არსება მთლად შეიპყრა ყოვლად საშინელმა, ყოვლად შავ-ბნელმა ეჭვებმა.

ერთმა უგუნურმა ფიქრმა და აზრმა დაიმორჩილა ასე მოულოდნელად მთელი ჩემი არსება, მაგრამ ამ მორჩილებამ დიდ ხანს არ გასტანა. ამ აზრს რომ ფესვი გაედგა ჩემს გულში და გარკვეული, ძნელად ამოსაფხვრელის აზრის ხასიათი მიეღო, ვეღარ ავიტანდი და ავუტეხდი რასმე ჩემს თავს. მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და გულ-დასმით დავუწყე ძიება ჩემს ეჭვს; ჩემი სიყვარული დედისა მაშინვე შეეჭიდა და შეებრძოლა იმ საშინელს ფიქრს, რომელიც მაჯლაჯუნასავით დამაწვა და ჰლამოდა, გონება წაერთვა. მოვიგონე და გავითვალისწინე ყოველი წვრილმანი გარემოება. მამა-ჩემი რომ იმ უბედურს დღეს წავიდა სასტუმროში, დედა-ჩემი და ბ-ნი ტერმონდი ჩვენსა დარჩნენ, სახლში იყვნენ; ორივენი მხიარულად ლაპარაკობდნენ იმ დროს, როცა იდუმალმა როჩდელმა თავისი დანაშაული ჩაიდინა. ტერმონდს არ შეეძლო ერთსა და იმავე დროს ჩვენსაც ყოფილიყო და საიმპერატორო სასტუმროშიაც, ხოლო დედა-ჩემს, რომლის უმწვერვალესი გულ-ჩჩვილობა კარგად ვიცოდი, არ შეეძლო უდარდელად და უზრუნველად მუსაიფი, რომ სცოდნოდა, ჩემს ქმარსა ჰკლავენ ახლაო. ასეთი ფიქრი ჩემს ჰკვა-შეშლილობას დაამტკიცებდა სწორედ. დიდი სულმდაბლობა იქნებოდა, რომ იმის ეჭვი ამეღო დედაზედ, რისეჭვიც ისე გატანჯულმა მამა-ჩემმაც კი არ იტვირთა და უარჰყო. მაშ რა საბუთით ვიფიქრე მაშინვე, რომ დედა-ჩემს ტერმონდი ჰყვარობდა-მეთქი. თუნდა, ვთქვათ, რომ ქმრის სიცოცხლეშივე დედა-ჩემს გულში ჰქონდა სიყვარული ტერმონდისა,

განა არ შეიძლება ვიფიქროთ, ეგ სიყვარული იდეალური, პლატონური, სრულიად უცოდველი იყო? სწორედ დედი-ჩემისთანებმა იციან ასეთი პლატონური სიყვარული, რომლის გამო თავის დღეში ცოლ-ქმრობის მოვალეობას არ ჰღალატობენ. ამ სახით, სრულიად ვამართლებდი დედა-ჩემს და არა თუ დანაშაულში მონაწილეობის მიღებას არა ვწამებდი, არამედ ქმრის ღალატსაც არ ვაბრალებდი.

მაგრამ მალე ჩემი ფიქრი კვლავ წინანდელ ეჭვებს დაუბრუნდა. მომაგონდა, რომ მამი-ჩემის ცხედრის წინაშე დედაჩემმა შეჰკივლა „ღმერთი მსჯისო“ და რომ ტერმონდს, როცა უამბობდა, რა საიდუმლოდ მოჰკლეს მამა-ჩემი, როგორღაც უცნაურად უბრწყინავდა თვალები და სულ კანკალებდა, თითქო აცივ-აცხელებსო. იმ აზრმა, რომ მათ შორის უთუოდ სამარცხვინო კავშირი იყო-მეთქი, კვლავ შემიპყრა და საბუთად ისა მქონდა, რომ მარტო იმათ გამოიყვანეს მისი სიკვდილი, მარტო იმათა ჰქონდათ ინტერესი მის მოკვლისა-მეთქი. ვცდილობდი, რომ რაიმე სხვა საბუთები მეპოვნა და შემერყია ჩემი ეჭვები, მაგრამ ჩემი ცდა ამაო იყო. აჟრნებით ვიმეორებდი, არ შეიძლება, რომ კაცის-კვლაში მიეღოთ იმათ მონაწილეობა-მეთქი, შეუძლებელია, შეუძლებელია-მეთქი, მაგრამ მაინც საზარელ ფიქრს გონებიდან ვერ ვიშორებდი. მეტის-მეტად დავიტანჯე იმ დღეს. გრძნობა-მიხდილივით დავდიოდი ოთახებში, თითქო მკვდარიაო. რამდენჯერმე განსვენებულის ცხედარს მოვუჯდებოდი გვერდით, მაგრამ ხედვით კი ვერა ვხედავდი მის ნაღვლიანს, გაცივებულს სახეს; ეგ სახე მეტის-მეტად ცხადად ამტკიცებდა ჩემს ეჭვებს.

ოთხს საათზედ დეპეშა მივიღე დედი-ჩემისა, საღამოს მატარებლით მოვდივარო. ასე მეგონა ლოდი მომწყდა გულიდანა-მეთქი. დედა მოდიოდა. ჩემმა მწუხარებამ შეაწუხა ალბად ისიცა-მეთქი. ყოველი ეჭვი უცბად მიმოიფანტა და მხოლოდ ის იმედი-ღა მქონდა, რომ დედა-ჩემი ვერ შემატყობს სახეზედ, რა ცოდვილი ეჭვები მქონდა-მეთქი. გაიარა რამდენმამე წუთმა და იმ წყეულმა, შავ-უკუღმა ფიქრებმა კვლავ მძლია,

იქნება იმიტომ მოდიოდა დედა-ჩემი, რომ ეს წერილები უნდოდა ჩემზედ ადრე ჩაეგდო ხელში და გაეგო, რა მითხრა მამიდა-ჩემმა სიკვდილის წინად. თუ ისინი, ბ-ნი ტერმონდი და დედა-ჩემი, დამნაშავენი იყვნენ, შიში ექნებოდათ მამიდა-ლუიზასი, მისის შორს-გამჭვრეტელობისა. ბევრი ვაგლახი გამოვიარე ყმაწვილობაში, მაგრამ ყოველივე ესე არა იყო-რა იმ ვაგლახთან შედარებით, რასაც ვგრძნობდი მაშინ, როცა დედა-ჩემს ველოდდი კომპეინის სადგურზედ. ღმერთო მოწყალეო! ამ ტანჯვითა და წამებით წინ-და-წინვე გამოვისყიდე ყოველივე!

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

# სვინიდისის მხილება

მოთხრობა ოგიუსტ სტრინდბერგისა

ფრანგულით

შუა ენკენისთვე იყო, 1870 წ. ბ-ნი ბლაიჰროდერი სოფელ მარლოტის საუკეთესო სასტუმროს ცალკე ოთახში იყო ჩამომხტარი. ეს, წევრი ბერლინის გეოლოგიურ ინსტიტუტისა, ამ ჟამად პრუსიელ ჯარის აფიცერი იყო. ეტყობოდა წერას აპირობდა. პერანგა იჯდა, ფორმის ტან-საცმელი იქვე სკამზედ გადაეკიდნა. ამ ტანისამოსს და თვით შარვალს იმოდენი მტვერი ედო, რომ ბ. გეოლოგ-აფიცერს ადვილად შეეძლო გაერჩია—დედამიწის რომელ წყობას ეკუთვნოდა ის მხარე, სადაც ახლა მოგზაურობდა. ჯარის კაცი რომ შევიდოდა მასთან, საკმაოზედ მეტს მტვერს დაუტოვებდა ხოლმე ჩვენს სწავლულს, რომ გამოეკვლია, თუ რომელი წყობისა იყო ეს მტვერი—ეოცენისა თუ მიოცენისა. სულით-ხორცამდე სწავლული იყო, გეოლოგი და ეხლა კი ჯარს მიუძღოდა.

მაგრამ, სტოლზედ იდაყვ-დაყრდნობილს, არც გეოლოგია აგონდებოდა, აღარც ტყვია-წამალი: ცოლთან წერილსა სწერდა. სათვალეები შუბლზედ აეწყო, კალამი სტოლზედ დაედო და ჩაფიქრებული ფანჯარაში გაიყურებოდა. მის თვალ-წინ მართლა მშვენიერი სურათი იხატებოდა შემოდგომის ბუნებისა. მინდორი მწვანედ ბიბინებდა, ბაღში მსხმოიარე ვაშლს და

შხალს მეტის სიმძიმისაგან ტოტები დაეხარათ და ალერსიანად გადახნექილიყვნენ იქვე მდგომარე მოწითალო ოქრო-ვაშლისკენ. სინივით პრტყელ-თავიანი მზე-უჭვრიტა ისე მიბრუნებულიყო ჩამავალ მზისაკენ, თითქო ეთხოვებაო. ბაღი ყვავილებით იყო შემკული და მათი ფერი ისე შეხამებულად იყო ერთმანეთში არეული, რომ თვალს ველარ აშორებდა. იქვე მწვანე მინდორი გადაჭიმულიყო და ნელ-ნელა ასდევდა მთას. აქა-იქ მოხუცს მუხაზედაც ჩერდებოდა თვალი და ახლოს ტყით შემკული მთის ფერდობიც მოჩანდა. დაგვიანებულს ფუტკარს თუ-ღა შენიშნავდა სადმე კაცი, თორემ ყველა სულდგმულს თავის ბინა მოეძებნა.

ამ სურათით განცვიფრებულს პრუსიელს კალამი მიეტოვებინა და, „სამოთხეა ეს დალოცვილი ქვეყანაო“, იძახდა. აგონდებოდა თავისი მწირი თვალ-გადუწვდენელი ქვიშიანი უდაბური მინდვრები, სადაც ტყე-კი არა, ტყის ხსენებაც არსად იყო. აქა-იქ კუტ ფიჭვს თუ ნახავდა იქ კაცი, იმასაც დაკლაკნილს, ხორკლიანს, თითქო იმისთვის აუშვერია ზევით თავის ტოტები, რომ ცას შეჰღაღადის — მოჰხედე, ნუ გამახმობ ამ დაწყევლილ ქვიშაშიო!

მშვენიერი იყო ეს ქვეყანა, მისის მზერით თვალი ვერ გაეძღო ბ. ბლაიჰროდერს, მაგრამ სრულს სიამოვნებას ერთი გარემოება უშხამავდა: მის თვალ-წინ, თითქო კედლის საათის ენააო, ისე მიდი-მოდიოდა მისგანვე დარაჯად დაყენებული პრუსიელი ჯარის კაცი და მის თოფის ელვარე ფოლადის ჩრდილი ანახევრებდა იმის სიამოვნებას. ეს ჩრდილი ნეტარებას უწამლავდა.

მოდი ვუბრძანებ, ცოტა იქით იაროსო, გაიფიქრა იმან, მაგრამ ვერ გაბედა. მას უნდოდა თვალი მოერიდებინა როგორმე და სახლის მარჯვნივ დაიწყო ყურება, მაგრამ იქაც დაინახა სამზარეულოს ჩაყვითლებული უფანჯრო კედელი, რომელზედაც ასულიყო ძველის-ძველი ნუჟრიანი ბაბილო და ისიც ისე გამხმარი, თითქო მცენარეთა გასაშრობელ ყუთიდან ეხლა ამოულიათო. აღარც ფოთოლი შერჩენოდა, აღარც მტევანი...

კედელს მიჰკროდა და თავის წვრილი ტოტები შორს გაეშვირა... გეგონებოდათ— ჯვართ-უცვამთ და გაბრაზებული აპირობს მივარდეს პრუსიელს დარაჯს, ტოტები შემოახვიოს და გასწუროსო.

გეოლოგი ისევ წერილის დაწერას შეუდგა. თავის ცოლს სწერდა... ამ ოთხის თვის წინად დაიწერა მან ჯვარი... ამ ორის თვის წინად ომი ატყდა და იძულებული იყო გამოსთხოვებოდა გეოლოგიასაც და თავის ყმაწვილ ცოლსაც.

იქვე გვერდზედ ედო დურბინდი, საფრანგეთის დაწვრილებითი რუკა, ჰარტმანის „შეუგნებელის ფილოსოფია" და შოპენჰაუერის თხზულება „პარერგა და პარალიპომენა".

უცბად წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო. უწინ ამ ოთახში ახლო-მახლო სოფლებში მყოფი არტისტების საზოგადოება იკრიბებოდა და მისი კედლები აჭრელებული იყო სხვადა-სხვა სურათებით. აქ ისპანიელი მოცეკვავი ქალი ეხატა, იქ რომაელი ბერი, ნორმანდიული და ბრეტანული მინდვრები, ჰოლანდიური ქარის წისქვილები, ნორვეგიულ მეთევზეების სოფლები, შვეიცარიულ ბუნების სურათები. ერთ კუნჭულში სამ ფეხა ჩარჩო იდგა, თითქო ელოდა — აი საცაა ზედ ნოტებს დამაწყობენ და გამარჯვების მუსიკას დაუკვრენო, მაგრამ თან იმისიც ეშინოდა, ვაი თუ მტრის ხმალმა ნაფოტებად მაქციოსო. აქა-იქ მხატვრობის მასალა მოჩანდა. არტისტთაგან ფორმად მიღებული ალის-ფერი ქუდები ისევ საკიდურზედ ეკიდა. უცბად რაღაც უხერხულობა იგრძნო; მას წარმოუდგა—თითქო ძალად სახლში ვიღასაც შევარდნოდა და სადაც არის პატრონი მოასწრობდა. კალამი აიღო, უნდოდა წერილი განეგრძო. რამოდენიმე გვერდი კიდეც დაეწერა—და სხვათა-შორის სწერდა, თუ რა სიხარული და თან რა შიში ეგრძნო, როდესაც ცოლისაგან ამბავი მოსვლოდა—ფეხ-მძიმედა ვარო. ახლა ისევ წერა დაიწყო, თუმცა მისაწერი აღარა ჰქონდა-რა, თავის ამბავსაც კი აღარ ატყობინებდა, მაგრამ საყვარელ არსებასთან ლაპარაკი უნდოდა:

„შენ წარმოიდგინე, რომ ხუთასი კაცი მყავდა, დაღალულ-

დაქანცული და მგლებივით დამშეული. დღეში თოთხმეტ საათს დავდიოდით და ორი კვირა მეტი ამ წვალებაში ვიყავით. ერთს ტყეში ხორაგით სავსე თავ დანებებული ურემი ვიპოვეთ: ფრანგებმა ალბად იმის ზიდვა ველარ შესძლეს. ვერ წარმოიდგენ რა საშინელი, რა საზიზღარი ამბავი მოხდა! ხალხი ისე დამშეული იყო, რომ უფრო მხეცებს ჰგვანდნენ, ვიდრე ადამიანებს. ვილას ახსოვდა ან უფროსი, ან ბრძანების გაგება, ან დისციპლინა! დამშეული მგლებივით მივარდნენ საჭმელს... საუბედუროდ, სულ ოც და ხუთის კაცის სამყოფი თუ იქნებოდა ეს საჭმელი... შეეტაკნენ ერთმანეთს. ჩემი ბრძანება, ჩემი ყვირილი, სულ ამაო იყო. საწყალი ათის-თავი ხმალ-ამოღებული ჩაერია — იქნება წესიერება ჩამოვაგდოო როგორმეო, მაგრამ დაუშინეს თოფის ყუა და წააქციეს. 16 კაცი დაიჭრა ამ ალიაქოთის დროს. როდესაც ეს უბედურნი სულთ-მობრძავნი ეყარნენ, იმავე დროს იქვე იმათი გამარჯვებული ამხანაგები ისე ხარბად, მხეცურად იტენდნენ საჭმელს, რომ ცოტა ხანს უკან ისინიც იქვე მიეყარნენ თავიანთ მომაკვდავ ამხანაგების გვერდით. ერთი და იგივე ქვეყნის შვილნი კი იყვნენ... არა, ტყის ნადირები იყვნენ და ერთმანეთს ლუკმისთვის ებრძოდნენ!...

უფრო უარესს გიამბობ. ერთ დღეს ბრძანება მივიღეთ — ბანაკს ზღუდე შემოარტყით და, რაც შეიძლება, გამაგრდითო: გარეშემო ტყე არსად იყო და მეტი რა ღონე. გვქონდა, რომ ღობეები და ხეივნები არ აგვეშალა, ჭიგოები არ დაგვეძრო. როგორ აგიწერო ჩვენი საქციელი? არ გასულა ნახევარი საათი და ისე გავაოხრეთ იქაურობა, გეგონებოდა, აქ ადამიანს კი არა, ღვთის რისხვას რამეს გაუვლიაო. მთელი არე-მარე ძირს დავეცით, დავუღუპეთ საწყალი მუშის მთელი წლის ნაშრომ-ნადაგი! სარს რომ ვაძრობდით, თან მწიფე ყურძენიც მოსდევდა, დაჭყლეტილი, დამარცვლული. თუ ადვილად ვერ ამოვაძრობდით, თვით ვაზსაც ვჩეხდით, — ოცის წლის ვაზს, თითქო წლიური ბალახია და მერმის ისევ ნაყოფს გამოიღებსო. ნახევარ საათში გავანადგურეთ ნახევარ საუკუნის ნაჭირნახულევი! მერე რისთვის? მხოლოდ

იმისთვის, რომ კარგად ამოვფარებულიყავით საფარს და ჩვენ ნებისად გვეძლიტნა ისინი, ვინც დედამიწა შეიმუშავა, ოფლით მორწყა და მტერს თავ-შესაფარად თავის სახლ-კარი და ვენახები მოუმზადა.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის დღე, როდესაც ჯარით გამგზავნეს და მითხრეს — წინ გადი, არე-მარე დაათვალიერეო. შემოსულ ყანაში შევედით. მეტის სიმძიმისაგან თავთავი დაეხარა მარცვალი სცვიოდა, ჩაყვითლებული ყანა ნამგალს-და ელოდა. ჩვენ კი ისე შევერიეთ ამ ყანას, თითქო გზატკეცილზე ვართო. გავუთელეთ წლის სარჩო საწყალ კაცსა, მთელი მისი მოსავალი ძირს დავეცით... დამიჯერებ, ჩემო კარგო, რომ ამისთანა უბედურების შემდეგ ძილი შეუძლებელია? მაგრამ, დაფიქრდი: რა დავაშავე მე ბედ-შავმა იმის მეტი, რომ ჩემს მოვალეობას ვასრულებ? მაშ თოდი და ნუ გაიკვირვებ, როცა გარწმუნებენ, რომ სვინიდისით დამშვიდებული მხოლოდ ის არის, ვინც თავის მოვალეობას ასრულებსო.

საუბედუროდ, უარესი მოგვყვის. იქნება იცოდე, რომ ფრანგები ახლა სულ სხვაფრივ გვებრძვიან, რაკი ჯარით ველარა გააწყეს-რა! ვისაც კი მკლავი უჭრის და თავის მამულის დაცვა უნდა, იარაღს იღებს, ამხანაგებს შოულობს და კვალში გვიდგას. დღე და ღამე, წინ და უკან, სულ გვდევნის და მოსვენებას არ გვაძლევს. ჩვენმა მართებლობამ გადასწყვიტა — ეს ჯარი არ არის და ამიტომ, სადაც კი მოვასწრებთ, იქვე ანდერძს ავუგებთო, როგორც მოღალატეს და ჯაშუშსაო. პრინციპი აქ ერთია: მართებლობას მართებლობასთან აქვს ომი; ომობენ ჯარები და არა კერძო პირები. და თუ კერძო პირმა თავის სახლ-კარის დასაცავად იარაღი აიღო, ის ჯაშუშია, მოღალატეა და, მაშასადამე, უნდა დახვრიტონ კიდეც! ეს არის პრინციპი! მაგრამ თვით ჯარი როგორღა შედგარა, თუ არ იმავე კერძო პირთაგან? და ეს შეიარაღებული ფრანგები განა ჯარის კაცნი არ არიან? ამათაც თავიანთ ფორმის ტანისამოსი აცვიათ, და თუ მარტო ფორმა შექმნის ჯარის კაცს, — ხომ სულ ამას გაიძახიან! — ისინიც ჯარად უნდა ჩაითვა-

ლნენ. მაგრამ არა! სიაში ჩაწერილი არ არიანო, ამბობენ. მართალია, არ არიან! არ არიან იმისთვის, რომ საფრანგეთის მართებლობას ამათთვის არა სცალიან და, ესეც რომ არ იყოს, მისვლა-მოსვლა და მიწერ-მოწერა ისე გაძნელებულია, — უფრო მეტს ვიტყვი, — შეუძლებელია, რომ კიდეც რომ მოენდომნათ ჩაწერილიყვნენ სადმე, ვერ მოახერხებდნენ. ამ უბედურთაგანი სამი ტყვე მყავს დაჭერილი, აქვე ბილიარდის ოთახში არიან, და ბრძანებას-და ველი მათ შესახებ.“

წერას თავი დაანება და მორიგს დაუძახა.

— ტყვეები რას იქმონენ? — ჰკითხა ბ. ბლაიჰროდერმა.

— კარგად გახლავან, ბ-ნო. ბილიარდს შეექცევიან და ეტყობათ კარგს გუნებაზედ არიან.

— უბრძანეთ, რამდენიმე ბოთლი თეთრი ღვინო მისცენ... ოღონდ კი მაგარი არ იყოს. ახალი ხომ არაფერია?

— არაფერი, ბატონო, სხვას ხომ აღარას მიბრძანებთ?

— არა.

და ისევ წერა დაიწყო.

„საკვირველი ხალხი ყოფილა ფრანგები! იმ სამს ტყვეს, წელან რომ გწერდი, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დახვრეტავენ. თითქმის-მეთქი ვამბობ, რადგან ჯერ კიდევ რაღაც სუსტი იმედი მიღვივის გულში, იქნება გადარჩნენ-მეთქი. მაგრამ ვიცი იმედი გამიცრუვდება. დავხვრეტავთ საწყლებს ან დღეს, ან ხვალ, თითონაც კარგად იციან, რომ სიკვდილი მოელით და, თითქო აქ არაფერიაო, — ბილიარდს თამაშობენ. ხმა მესმის იმათ თამაშისა. სიკვდილი არაფრად მიაჩნიათ, სიცოცხლე ჩალად არ უღირთ! განა საკვირველი არ არის სიცოცხლესთან ასე გულ-გრილად გაყრა! ან იქნება თვით სიცოცხლეში ისეთს ვერას ჰპოვებენ, რომ დაღონებისა და წუხილის ღირსი იყოს? ისე მხიარულად არიან, თითქო საქეიფოდ ემზადებიან სადმეო. იქნება ამათ სიცოცხლესთან ისეთი ძვირფასი და ტკბილი დამაკავშირებელი არავინ ჰყავთ, როგორიც მე შენა მყევხარ?“

ამ დროს კარი დაარაკუნეს.

— მობრძანდით! — შესძახა ბ. ბლაიჰროდერმა.

სოფლის მოძღვარი შემოვიდა. შუა ხნის კაცი იყო, წყნარი სახისა; დაღონება და მწუხარება ეტყობოდა.

— უკაცრავად გახლავარ, ბატონო; არ შეიძლება ნება მიბოძოთ, ტყვეები ვნახო?

პრუსიელი გეოლოგ-აფიცერი ზეზე წამოდგა, საჩქაროდ გაიცვა თავის სამხედრო ტანისამოსი და მოძღვარს სკამი მიართვა. ღილების შეკვრა და მის გრძნობათა შეხუთვა ერთი იყო. მაგარი საყელო ყელში უჭერდა, ფორმა ჰკლავდა მის ნაფიქრსა და ნაგრძნობს, თითქო ამ ტანსაცმელის მიკარებაზედ სისხლი შეუჩერდა, გულთან გზა ველარ გაიგნო და შებრალება დაუკარგაო. შოპენჰაუერს ხელი დაადო და სასტიკად, ჯარის კაცის კილოთი უპასუხა:

— რატომ, მამაო, თუმცა, მე მგონი, ყურადღებასაც არ მოგაქცევენ თქვენ ჩემი ტყვეები. ისინი ბილიარდს შეექცევიან.

— უკაცრავად კი და მაგაზედ ვერ დაგეთანხმებით,—უპასუხა მოძღვარმა:—მე უკეთ ვიცნობ ჩემს თანა-მემამულეთ და... ეს მიბრძანეთ: დახოცავთ მაგ საწყლებს?

— უთუოდ,—უპასუხა ბ-მა ბლაიჰროდერმა, რომელიც ამ დროს მხოლოდ პრუსიელი ჯარის კაცი იყო და სხვა არაფერი.—უთუოდ! ჩვენ სახელმწიფო უნდა გვებრძოდეს და არა კერძო პირები.

— მერე თქვენ და თქვენი ჯარის კაცნი კი კერძო პირები არა ბრძანდებით?—გაბედვით უთხრა მოძღვარმა.

— არა, მამაო! ამ ჟამად არა! და თან ცოლთან მიწერილი წერილი ქაღალდის ქვეშ ამოდო. ამ ჟამად მე გერმანიის წარმომადგენელი გახლავართ და სხვა არაფერი.

— ღმერთმან აკურთხოს და დღეგრძელ ჰყოს თქვენი დედოფალი! განა ის კი გერმანიის წარმომადგენელი არა ბრძანდება, რომ თქვენს ქალებს მიმართა—დაჭრილთ შემწეობა გაუწიოთო! ბევრ ფრანგს ვიცნობ, ბატონო, რომელიც ლოცვა-კურთხევით იხსენიებს თქვენს დიდებულ დედოფალს, თუმცა, საუბედუროდ, ფრანგთა და გერმანელთ შორის სისხლის ღვრაა ატეხილი. ჯვარცმულს გაფიცებთ, ბატონო, ჩვენს მხსნელსა და

მაცხონებელს!—მოძღვარი წამოდგა, ხელი დაუჭირა პრუსიელს და ქვითინით შეჰღაღადა:—განა არ შეგიძლიათ თქვენს დედოფალს შეავედროთ ეს უბედურები?! პრუსიელი თავს ძლივსღა იკავებდა.

— არა, მამაო, ჩვენში ქალებს პოლიტიკაში ხელი არა აქვთ.

— ეგ უფრო ცუდი თქვენთვის!—წამოსცდა მოძღვარს.

აფიცერი ფანჯარისკენ გაბრუნდა და ეს ვერ გაიგონა. გული უწუხდებოდა, სახეზედ მკვდრის ფერი დაედო. საყელო უჭერდა, არჩობდა, ტვინისკენ სისხლს აღარ უშვებდა.

— დაბრძანდით, მამაო, მიუბრუნდა მოძღვარს. თუ გნებავთ ტყვეების ნახვა, მიბრძანდით, მაგრამ დიდად დამავალებთ, თუ ცოტა ხანს ჩემთან დაჰყოფთ.

თან კი ყური გარეთ ჰქონდა: ცხადად არჩევდა აჩქარებულ ცხენის ფეხის ხმას.

— ჯერ ნუ დამტოვებთ, მამაო! შესძახა სასოწარკვეთილებით და ძლივსღა სუნთქავდა.

მოძღვარი დარჩა.

პრუსიელი კი, რამდენადაც შეიძლებოდა, ფანჯარაში გადიზნიქა და მომავალ ცხენოსანს შესცქეროდა. მხედარი ეზოში შემოვიდა, დეზების ხმა და ხმლის ჩხარა-ჩხური მოისმა.

ბ-ნ ბლაიჰროდერს წერილი მოართვეს.

— ნეტავ რამდენი საათია, —წამოიძახა მან წერილის წაკითხვის შემდეგ.—ორი საათის განმავლობაში ტყვეები უნდა დაიხვრიტონ, მამაო! მწერენ—მაგათ დანაშაულს არც გარჩევა უნდა და არც განჩინებაო.

— ეგ შეუძლებელია, ბატონო! სად გინახავთ საქმის გაურჩევლად ვისიმე დასჯა და ისიც სიკვდილით? განა ეს სამართალია?

— სამართალი! სამართალი! მე ხელში ბრძანება მიჭირავს, საღამოს ლოცვამდინ უნდა ავასრულო, თორემ თვით მე დავისჯები, როგორც ამ ტყვეების ამხანაგი და დანაშაულში მოზიარე. თან დიდს საყვედურს მწერენ: 31 აგვისტოს რომ ბრძანება მიიღეთ, რატომ მაშინვე არ აასრულეთო... შედით, მამაო,

ნახეთ ტყვეები, თქვენ გამოუცხადეთ... ამაცილეთ ეს უბედურება.

— როგორ, სამართლიან დასჯის გამოცხადებას თქვენ უბედურებას უწოდებთ?

— მეც ადამიანი ვარ, მამარ! ნუ თუ მე კი ადამიანი არა გგონივართ?

და ლილები გაიხსნა, იქნება სუნთქვა გამიადვილდესო. ოთახში აჩქარებით სიარული დაიწყო.

— რატომ არ უნდა შეგვეძლოს, ყოველთვის ის ვიყვეთ, რაცა ვართ? რა დაგვიშავებია, რომ ასეთ ორ პიროვნებას გვანიჭებს ჩვენი ბედი და ჩვენც ხმა-ამოუღებლივ ვჩადით ყველას, რაც კი გვეზიზღება. რისთვის, რა დანაშაულისთვის? მიბრძანდით, მამო, უთხარით რამე, ნუგეში ეცით? ცოლ-შვილიანები არიან? დედ-მამა ჰყავთ მაგ საწყლებს?

— სამივე უცოლონი არიან, მაგრამ განა არ შეგიძლიანთ, ერთის ღამის სიცოცხლე მაინც მიანიჭოთ?

— შეუძლებელია! მიბრძანებენ — ლოცვამდინ დაახვრეტინეთ, რიყრაყზედ კიდეც ავიყრებით აქედან. მიბრძანდით, მამაო, მიბრძანდით!

— გიახლებით, ბატონო, გიახლებით. მაგრამ გახსოვდეთ, მაგ ტანსაცმელ ნულარსად გაიხდით, თორემ თუ თქვენც ჩვენებს ხელში ჩაუვარდით, იგივე დღე მოგელით, რაც თქვენს ტყვეებს. თქვენ არა ბრძანეთ — საქმე ტანსაცმელიაო!

მოძღვარი გავიდა.

ბ-მა ბლაიპროდერმა საჩქაროდ გაათავა თავის წერილი, ისე აღელვებული იყო, რომ არ იცოდა, რას სწერდა. ბიჭს დაუძახა და უბრძანა:

— ეს წერილი გაისტუმრეთ. მორიგს დაუძახეთ.

მორიგი გამოჭიმული იდგა მის წინ.

— სამჯერ სამი ცხრა და ოცი... არა, სამჯერ შვიდი... რა ვქნა, რა მემართება?! სამჯერ... აი, დასწყევლა!.. ოც და შვიდს კაცს აირჩევთ ტყვეების დასახვრეტად. აი ბრძანება. ერთ საათში ასრულებული უნდა იყოს.

— უნდა დავხვრიტოთ? ჰკითხა გაუბედავად მორიგმა.

— დიაღ, უნდა დახვრიტოთ. რომელიც ცუდები გყავდეთ, ისინი აირჩიეთ... ხომ გესმით, ვისაც თოფის წამლის სუნი უნახავს. მაგალითად ბეზელი, გევეჭრიკი და კიდევ სხვები. ამასთან უბრძანეთ თექვსმეტი საუკეთესო ბიჭი მზად იყოს... ფონტენებლოსკენ გავივლით, მტერი არ გვეპარებოდეს და ჩვენ მისვლამდინ... გათავებული უნდა იყოს... გაიგეთ?

— თექვსმეტი კაცი თქვენთვის, ბატონო, და 27 ტყვეებისთვის. ბატონი ბრძანდებით.

ბლაიჰროდერმა ღილები შეიკრა, ხმალი გადიკიდა, ჯიბეში რევოლვერი ჩაიდო და სიგარა მოუკიდა, მოწევა კი ვერ შესძლო: ჰაერი აკლდა, ძლივსღა სუნთქავდა: თითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა: სტოლიდან მტვერი აწმინდა, ქაღალდის საჭრელი დანა და ასანთის კოლოფი თავის ცხვირსახოცით გაასუფთავა; მერე რიგზედ დაალაგა სახაზავი, საწერ-კალამი და მათ ირიბად საშრობი დაუდო. სკამებს მივარდა, ყველას ალაგი უცვალა, პატარა სავარცხელი ამოიღო ჯიბიდან და სარკის წინ თავის ვარცხნა დაიწყო. გონებაზედ მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც გარედან მომავალ ჯარის კაცთა ფეხის ხმა შემოესმა; გამოფხიზლდა, უცბად გავარდა გარედ და შესძახა: მარცხნივ!... იარე! წინ გაუძღვა და სწრაფის ნაბიჯით გავიდა სოფლიდან.

ასეთის სიჩქარით მიდიოდა, ჯარის კაცნი ძლივს მისდევდნენ, თითქო არე-მარეს დასათვალიერებლად კი არ მიდის, ზურგთ უკან მტერი ეგულება და იმას გაურბისო. საბალახეში რომ გავიდა, ვიწრო ბილიკზედ თავის ხალხი ცალ-ცალკე გაატარა თითო-თითოდ, რომ ბალახი არ გაეთელათ. უკან მოხედვას ეღარ ბედავდა. მიდიოდა გაჩქარებული და უკან მიმდევარი ჯარის კაცი გაკვირვებით შესცქეროდა თავის უფროსს: ნეტავ რა მოუვიდა ჩემს აფიცერს, რომ ტანში ასე აჟრიალებს, და ხან და ხან ისე იკლაკნება, თითქო ყუმბარა მოხვდაო! ტყის პირას „დადექო“! შესძახა, ხალხს უბრძანა დაისვენეთო და თითონ ტყეში შევიდა.

აქ კი ცოტა თავისუფლად იგრძნო თავის თავი, იცოდა მარტო იყო, ველარავინ ხედავდა და რამდენჯერმე გულიანად ამოისუნთქა. ნამეტნავად მიყრუებულ ალაგისკენ გასწია, „მელის სოროსკენ". ტყეში ჩამობნელებულიყო, თუმცა ხის კენწეროებს ჯერ ისევ ჩამავალი მზის შუქი ადგა. მოსვენება აქაც ვერ იპოვა; ამ სიმშვიდეში, ამ მყუდროებაში ისე ჰგრძნობდა თავის თავს, თითქო ზღვის ძირში წევს და იქიდან მოღუღჯო წყალის სიღრმიდან ხედავს მზის სხივებს და იცის, რომ ალაგიდან ველარ დაიძვრის, ამ წყვდიადს ველარ მოშორდება და საუკუნოდ უნდა გამოეთხოვოს ქვეყანას და მის მანათობელსაო. თვით ტყეც კი, მშვიდი, წყნარი და თან ძლიერი ტყე, მას მხოლოდ უწინ უქარვებდა ხოლმე სევდას, უწინ უყუჩებდა დარდებს, უწინ მარტო მის გულს ედებოდა მალამოდ, ახლა კი ეს ტყე ტყედ აღარ ეჩვენა; ველარც უწინდელი მშვენიერება შენიშნა, ველარც სიმშვიდე, ველარც მისი ძლიერება. საშინელია და საზიზღარი ჩვენი სიცოცხლეო, ფიქრობდა აღელვებული სწავლული: თან სისხლ-ხორცში მინერგავს კეთილი საქმის სიყვარულს და თან მიბრძანებს—ავი ჩაიდინეო! ღვთისა და კაცისაგან გმობილს და შეგინებულს ყველას მაზიზღებს და თან ჩამძახის: შენი მოვალეობაა — დღეს საჭიროა და ასე უნდა მოიქცეო. ორ პიროვნებას მაკისრებს, როდესაც მე ერთი ვარ, ერთი გული მაქვს და ერთი ნება! სიმშვიდე ბუნებისა უფრო აბრაზებდა, ვიდრე ამშვიდებდა მის აღგზნებულს გულს: ვერ გაეგო, როგორ არ მოსწყინდა ბუნებას ამოდენა ხნის ძალაუნებური ძილი და სიჩუმე, ერთხელ მაინც რატომ არ დაიძვრის და თავის ძლიერებას არ გამოიჩენს! აქაც ბრძოლა არსებობისათვის, იგივე გაშმაგებული, თუმცა შეუგნებელი ბრძოლა! რა ვუყოთ, რომ სისხლის ღვრა და ერთმანეთზედ გალაშქრება არ არის, ბრძოლა—ბრძოლაა. მუხის ძირზედ ამოხეთქილს ტოტებს დასცქეროდა და ბრაზობდა—როგორ დასხვილებულან, როგორ მიიწევენ ზევით, სინათლისკენ და ნორჩს წიფელას კი სჩაგრავენ, ჩრდილავენ, ჰაერს და სხივს უგუბებენ და ნელნელა სიკვდილს უახლოვებენ. გაიზრდებიან და ახლა მათ შორის

ასტყდება იგივე ბრძოლა, მხოლოდ რამდენსამე მათგანს ელირსება მაღლა და განზედ გაიშვიროს თავის ძლიერი, ნუჟრიანი ტოტები, მზეს შეეთამაშოს და თან იქაურობა დაჩრდილოს, მეზობლებს სიცოცხლე გაუშხამოს და შესძახოს: მე ვარ გამარჯვებული და ჩემია მზეც და დედა-მიწაცაო! შორს, შორს გაიდგამს გამარჯვებული მიწაში ჩამალულ ფესვებს და, რაც კი დედა-მიწას ნოყიერება აბადია, ხარბად, გაუმაძღრად ამოსწოვს: ძლევა-მოსილი მე ვარ და ბუნება მარტო ჩემთვის არის შექმნილიო! მაგრამ წამოიზრდება წიფელი, და ვაი გამარჯვებული თავხედის ბრალი: ძალით შენა მჯობნი, მე შხამით გაჯობებო, და, სადაც კი მისი ფესვი გასწვდება, ყველგან შხამს გაუშვებს და მოსწამლავს ყველა მცენარეს, რომლის ძირიც კი მის მოწამლულ სამფლობელოს შეეხება: დაშხამავს და დაჰქნობს, თვით მუხამაც რომ გაუბედოს შებრძოლება. ყველა ერიდება წიფელს, მის გარშემო მიწაც კი საფლავივით ჩაშავებულა და ამიტომაც არის, რომ მომავალიც იმისია და მხოლოდ იმისი.

ფიქრით მოცული, გაჩქარებული მიდიოდა ტყეში, ხმალს ხან აქედ სცემდა ხეებს, ხან იქით და არც კი აგონდებოდა, რომ ბევრ ხეს მოსტეხა ტოტი, ბევრი ნორჩი ყლორტი დააზიანა და დალუპა.

ბევრი იარა. დაღალულს ფიქრიც აღარ შეეძლო. სულის ძალა, გრძნობა, გონება ისე მისუსტებული ჰქონდა, რომ მხოლოდ იმას-ღა ცდილობდა, რომ ერთს გარკვეულს აზრს დასდგომოდა და ფიქრი შესძლებოდა. მაგრამ მისი ფიქრები, მოგონებანი, იმედი, სინანული, სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობანი ქარიშხალივით ირეოდნენ ერთმანეთში, მიდი-მოდიოდნენ მის სულში ისეთის სისწრაფით, რომ ვერ ასწრობდა, ერთს რომელსამე მათგანზედ შეჩერებულიყო. ამ ფიქრთა და გრძნობათა არეულობას ზემოდან ამაყად დაცინვით დასცქეროდა მხოლოდ ერთი ცხადი და ნათლად გამორკვეული გრძნობა: მას სძაგდა სიცრუვე, რომელიც, კაცთათვის აუხსნელ გარემოებათა გამო, ქვეყნის მფლობელად და გამგედ გამხდარიყო!

გეოლოგ-აფიცერი უეცრად რაღაც კანკალმა აიტანა და შედგა. სოფლიდან დოლის ხმა მოესმა. ჯერ გაგრძელებით დაჰკრეს ტრრრრრ! მერე ნელ-ნელა, დრო გამოშვებით, ერთხელ, ორჯელ, სამჯერ, მძიმედ და ყრუდ, თითქო კუბო დახურეს და ლურსმავენო, თან კი ეშინიანთ—მიცვალებულს ჩაქუჩის რახუნით საუკუნო მოსვენება არ გავუფრთხოთო. ცოტა გონზედ მოვიდა, საათს დახედა. შვიდს 15 წუთი-ღა აკლდა. 15 წუთში ყველა გათავებული იქმნება, გაიფიქრა იმედიანად და უცბად, მოულოდნელად სოფელში დაბრუნება დ ყველაფრის ნახვა მოინდომა. არა, რისთვის გამოვიქეცი? ფიქრობდა იგი და თითქო სცხვენოდა... თან კი შიშისაგან შეპყრობილი გაიძახოდა: ვერა, ვერ ვუყურებდიო... ხეზედ აცოცდა.

დაინახა პატარა მარლოტი, ლამაზი, კოპწია, ვენახებით შემკული და სოფლის ყველა სახლებზედ უმაღლესი სამრეკლო. მაგრამ რის დანახვაც უნდოდა, ის კი ვერ დაინახა. მაშინ საათს დაცქერდა. წამის ისარი ისე გაჩქარებული გარბოდა, რომ ისევ შიში აუძრა, წუთის ისარი კი ისე ნელნელა მისდევდა მას, რომ როცა მთელს რგოლს შემოირბენდა, წამის ისარი მხოლოდ მაშინ ისკუპებდა ხოლმე ისე ლონივრად, რომ ბლაიჰროდერს ხელის კანკალს ჰგვრიდა. საათის ისარი კი ისე გაჩერებულიყო თავის ალაგას, თითქო უძრავიაო, თუმცა შეუმჩნევლად ისიც წინ-წინ მიდიოდა.

ხუთი წუთი-ღა აკლდა შვიდ საათს. საათი ხელში ეჭირა და ხის კენწეროსკენ მიცოცავდა, ტანში საშინელი ჟრუანტელი უვლიდა და გაცივებულივით აკანკალებდა. საფეთქლები საშინლად უცემდა, ცეცხლი ეკიდებოდა.

სოფლიდან თოფის ხმა მოესმა. ბანებს ზევით კომლი გამოჩნდა. მეორედ გავარდა თოფი, კომლი ნელ-ნელ ადიოდა ჰაერში და იშლებოდა. მეორეს მოჰყვა მესამე, მეოთხე, მეხუთე,—სეტყვასავით დააყარეს... საკვირველად ჩქარა იკრიბებოდა ცაში კომლი, ეტყობოდა, ნიშანში კი არა, ჰაერში ისროდნენ. ეტყობა, არც ისე საძაგლები ყოფილან ჩემი ჯარის-კაცებიო, გაიფიქრა და თითქმის სრულიად დამშვიდებული ჩამოვიდა ხიდან. ყველაფე-

რი გათავებული იყო. სოფლიდან ზარის რეკა მოესმა: განუსვენე, უფალო, ვინც თავის მოვალეობა პატიოსნად აასრულაო! ცოცხალს უფრო ეჭირვება ეს განსვენება, თუ რომ პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას, ფიქრობდა ბლაიჰროდერი.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო. მთვარე კაშკაშებდა და ბლაიჰროდერი კი ისევ ისე გაჩქარებული მიუძღოდა თავის ჯარს. ჯარის კაცნი დაიქანცნენ, მათ ვერ შეეგნოთ მიზეზი ამ სირბილისა და უკანა რიგში ჩურჩული დაიწყეს. რატომ არ ჰკითხავს ათის-თავი—სად მივყევართ, რას გვარბენინებსო? ხომ იცის—საშიშია ეს ქვეყანა, შეიძლება მტერი ჩასაფრებული იყოს სადმე და საფრთხე დაგვემართოსო. ან როგორ ნებავს ხვალ დილის სისხამზედ ავიბარგნეთ, თუ კი მთელ ღამეს ასე გვახეტიალებსო? ბლაიჰროდერმა თითქო იგრძნო, რასაც ფიქრობდა იმისი რაზმი, ერთს გორაკზედ აიყვანა ხალხი და იქ დაუძახა—„შედექითო“! აქედან მთელს სოფელს ისე ხედავდა, როგორც თავის ხელის გულს. გაჩერდა და გაშტერებული გასცქეროდა მაღლობს და ისე აშტერდებოდა, როგორც აშტერდება ძაღლი იმ ბუჩქს, სადაც ნადირსა ნახავს.

ცხრა საათზედ ყველა გარშემო სოფლებში დოლი დაჰკრეს და ყველგან ზარის რეკა დაიწყეს... ეს იყო ვადა... ამ ლოცვამდინ ტყვეები უნდა დაეხვრიტნათ. მთელს არემარეში ზარის ხმა გაისმა, ამ ხმაში ხან კვნესა ისმოდა, ხან მუდარა, ყველაზედ მაღალი მარლოტის სამრეკლო კი თითქო ამას გაიძახოდა: „მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!“ ბ. ბლეიჰროდერი ვეღარას უშველიდა, გვიანღა იყო. უცბად საშინლად იგრიალა ზარბაზანმა, იქაურობა შესძრა! დილამდით, ატყობინებდა ამით უმთავრესი ბანკი პრუსიელებისა თავის აქა-იქ გაფანტულს რაზმებს. მთვარე კი თავისთვის დინჯად, შეურყევლად დასცქეროდა ცოდვილ დედა-მიწას, ძველებურადვე სხივს ჰფენდა ქვეყანას, თითქო დასცინის აქაურობას,—მატლნი ხართ, მატლურად ცხოვრობთ, თქვენთვის ვერ შევცვლი ჩემს მიმოსვლასაო.

დაქანცული ჯარის კაცნი შესცქეროდნენ თავის უფროსს, მიხვდნენ მის გულის დარდს და ისინიც აკანკალდნენ, იმათაც

სიყვითლის ფერმა გადაჰკრა. ყველა იმასა ჰგრძნობდა, რასაც მათი უფროსი, მაგრამ ყველას კი ვერ შეეგნო, რა იყო აქ განსაცვიფრებელი. ბოლოს, როდესაც ათის-თავმა გაბედა და მოახსენა: შინ დაბრუნების დოლი დიდი ხანია დაჰკრეს და რას გვიბრძანებთო, მან ეს კითხვა ისეთის თავმდაბლობით მოისმინა, თითქო ეს ბრძანება უფროსებისაგან მოუვიდაო და სოფლისკენ წავიდა.

ერთის საათის შემდეგ, მარლოტში რომ შევიდნენ, ათის-თავმა შენიშნა, რომ ბლაიჰროდერი ძლივს-და მიდიოდა, მუხლი ეკეცებოდა, თითქო ქარები აქვს და სიარულს უშლისო.

მივიდა თუ არა დიდ მოედანზედ, ჯარი მაშინვე თავთავის ბინაზედ გაისტუმრა. იმაზედ არაფერი უფიქრია, ელოცნათ თუ არა. თითონ შინ შესვლა ვერ გაბედა. რაღაც ძალა სდევნიდა მას, სულს უხუთავდა და მოსვენებას არ აძლევდა. დადიოდა თვალებ-დაჭყეტილი და ყველა კედელს სუნავდა; ისიც იცოდა, რასაც ეძებდა და ისიც — რა სუნი ჰქონდა იმას, რასაც ეძებდა. ვერა იპოვა-რა.

ბოლოს, დაღალულ-დაქანცული შინისკენ გაბრუნდა და პირდაპირ სამზარეულოს კედლისკენ გასწია. უცბად ათის-თავს შეეფეთა წინ და ისეთმა კანკალმა აიტანა, რომ თავის შესამაგრებლად კედელს მიეყუდა.

ათის-თავიც შეკრთა და მღელვარე ხმით მოახსენა:

— რამდენი ხანია თქვენ დაგეძებთ, ბატონო. მინდოდა მომეხსენებინა...

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! ხომ ყველა რიგზედ არის? წადით, დაიძინეთ! გააწყვეტინა შეშინებულმა ბლაიჰროდერმა, რომ როგორმე თავიდან აეცილებინა ეს მოხსენება და დაწვრილებით არ გაეგო, როგორ დახოცეს ტყვეები.

— ყველა რიგზედ გახლავთ, ბატონო, მაგრამ...

— კარგი! კარგი! წადით! წადით!...

და მოჰყვა ლაპარაკს; გაჩქარებით, აღელვებით ეუბნებოდა რაღასაც და, როცა კი ათის-თავი პირს გააღებდა სალაპარაკოდ, ის მაშინვე სიტყვას პირიდანართმევდა და ნებას არ

აძლევდა თავის მოვალეობა შეესრულებინა. ბოლოს, როცა ათის-თავი დარწმუნდა, რომ ვეღარას გააწყობდა, თავი დაანება და შინ შევიდა. ბლაიჰროდერს ისე გაეხარდა ათის-თავის წასვლა, როგორც გაეხარდება ხოლმე მოსწავლეს, როდესაც სასჯელს თავიდან აიცდენს, ცოტა არ იყო თავისუფლად ამოისუნთქა. ბაღში შევიდა. სამზარეულოს კედელს მთვარის შუქი მისდგომოდა და გამხმარი ბაბილოს შტოები ობობას ქსელივით მოჩანდნენ კედელზედ. როგორ? ამ ორი-სამის საათის წინად ბაბილო სრულიად გამხმარი ეჩვენა, ცარიელი კლერტები-ღა იყო და ახლა კი ხედავს, რომ იგი ნედლი ყოფილა, სიცოცხლით სავსე, ფოთლებითა და წითელი მტევნებით შემკული! მიუახლოვდა, უნდოდა ენახა, დარწმუნებულიყო, რომ ეს წელანდელი ვაზი იყო... მიუახლოვდა და ფერი რაღაც რბილს და ლიპს ჩაჰკრა. ამ დროს რაღაც სუნი ეცა ცხვირში. საზიზღარი გულის ამრევი სუნი, თითქო საყასბოს სუნიაო. და ნახა, რომ ვაზიც იგივე იყო და კედელიც, მხოლოდ ერთიც და მეორეც გასვრილი იყო სისხლით, ადამიანის შეუშრობელ სისხლით. აქ! აქ!...

ტყვია ნაკრავივით მობრუნდა. კართან რომ მივიდა იგრძნო, რომ ფეხზე რაღაც აჰკრობოდა ეზოში, გაიხადა წაღები და შორს გადისროლა. ოთახში სუფრა გაშლილი დახვდა. ძალიან შიოდა, მიუახლოვდა სუფრას და განცვიფრებით სინჯვა დაუწყო. ლამაზად იყო შემკული პატარა სტოლი, მაგრამ ამას ყურადღებაც არ მიაქცია. მას თვალში ეცა მაისის ვარდივით წითელი თვის ბოლოკი, რომელიც კარაქს გარშემო ჰქონდა შემოწყობილი და ამშვენებდა თოვლივით თეთრ სუფრაზედ წითელი ძაფით ამონაკერი ასოები. დაინახა ეს, არც ჩემი სახელი და გვარიაო, ფიქრობდა ის, არც ჩემის ცოლისაო... ყველს მოჰკრა თვალი, რომელიც ვაზის ფოთოლზედ დაედოთ, თითქო დიასახლისს რაღაც განზრახვა ჰქონდა, რომ ასე მორთო ეს სუფრაო! იქვე პური, წითელი ღვინო, ალის ფერი, დაჭრილი ხორცი! უცბად დაარაწკუნა.

დიასახლისი უცბად შემოვიდა, იქვე-კარებთან შეჩერდა და

ფეხებში ცქერა დაუწყო. ბლაჰროდერმა კი თითონაც არ იცოდა, რისთვის დაუძახა; იმას კი ჰგრძნობდა, რომ რალაც უნდოდა ექქვა.

— რა გნებავთ?—ჰკითხა მან.

— არაფერი, ბატონო,—მიუგო პატივისცემით დიასახლისმა.—რად დამიძახეთ? გნებავდათ რამე? თან კი თვალს არ აშორებდა მის ფეხებს. მაშინ იმანაც დაიხედა ძირს, რომ ენახა, რას უყურებდა და ნახა, რომ ფეხშიშველა იყო, იატაკი სისხლით იყო გასვრილი, ყველგან სისხლის კვალი ჩანდა.

— ხელი ჩამომართვით, ჩემო კეთილო მასპინძელო,—უთხრა ხვეწნით დიასახლისს და ხელი გაუწოდა.

მხოლოდ მაშინ აიხედა დიასახლისმა ზევით, თვალი თვალში გაუყარა.—ვერ ჩამოგართმევთ,—უპასუხა და გავიდა.

ამ უარმა გამოაფხიზლა, დაამშვიდა. სუფრას მიუჯდა, მაგრამ, წაატანა თუ არა ხორცს ჩანგალი, რალაც სუნი ეცა—ლეშის სუნი; ფანჯარა გაალო და თეფშიანად შორს გადასტყორცნა. მთელი ტანით კანკალებდა, ჰგრძნობდა, რომ შიში ერეოდა, ავად იყო. ატყობდა, რომ თვალებს რალაც ახალი გრძნობა შემატებოდათ, ამ სალამოს სინათლეს ველარ იტანდნენ, წითელ ფერს ველარ უყურებდნენ. წითელი ღვინით სავსე ბოთლიც ეზოში გადისროლა და თან გააყოლა თვის ბოლოკი, საკიდარზედ დარჩენილი წითელი ქუდები. ბოლოს, დაქანცული ლოგინზედ დაეშვა, მაგრამ თვალის დახუჭვაც კი ვერ მოახერხა. თვალებ-დაჭყეტილი დააცქერდა სივრცეს. უცებ მეორე ოთახიდან რალაც ხმა შემოესმა. ყურის დაგდება არ უნდოდა, მაგრამ მოლაპარაკეთა ხმა თავის უნებურად ეყურებოდა. ათის-თავი და იმის ამხანაგი დამსხდარიყვნენ საზოგადო ოთახში, ლუდს შეექცეოდნენ და ბაასობდნენ.

ის ორი პატარა ბიჭი—ძაან ბიჭები იყვნენ, არა? მესამე კი... ის მჩვარი ისა!

— აკი გვეხვეწებოდა ის უბედური—კედელზე მიმაბით, რომ არ წავიქცეო.

— არა, ის ორი თქვე შენა-და! აი დალახვრა ღმერთმა! ვაჟო, ისე იდგნენ ი დალოცვილები, ისე კოხტად დაიკრიბეს

გულ-ხელი, თითქო მე და შენ ფოტოგრაფები ვიყავით და იმათ სურათის გადაღებას ვაპირებდით.

— კარგი-და! მღვდელი რომ შევიდა და უთხრა—მოემზადენით, იმედი ნუღა გაქვთო, თურმე კინაღამ გულის რევით არ დაიხოცნენ. მორიგმა ასე სთქვა, თორემ მე კი იქ არა ვყოფილივარ, რომ ჩემი თვალით მენახოს. მე მარტო ის ვიცი, ჩემო კარგო, რომ იმათ არც ფერი ეცვალათ, არც ყვირილი მორთეს, არც ხვეწნა დაგვიწყეს. რაც მართალია, მართალია!

— არა, ძაან ბიჭები იყვნენ, ი დალოცვილები-და! ღმერთმა გაცოცხლოს!

— გაგიმარჯოს!

ბელაიჰროდერმა თავი ბალიშში ჩაყო, ყურებზედ ბალიში დაიდვა. მერე წამოდგა: რაღაც აქამდინ უცნობმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია და ძალა-უნებურად კართან მიიყვანა, რომლის უკანაც მობაასენი ისხდნენ: მას უნდოდა კიდევ გაეგო რამე, მაგრამ რადგან ათის-თავი ხმა-დაბლა ლაპარაკობდა, ამისთვის ფრთხილად, ფეხ-აკრეფით მიიპარა კარებთან, ყური გასაღების ალაგას მიადო და სული განაბა.

— მართლა, ვერ შენიშნე, რა ფერი ედოთ ჩვენ ბიჭებს? ისე დაყვითლებულიყვნენ, დასწყევლა ჩემმა გაჩენამ, რომ სამარიდან ამოღებულებსა ჰგვანდნენ. რამდენი ტყვია დაიკარგა ამაოდ ჰაერში! ჩემგან კი ნუ გრჯის-რა, მით უფრო, რომ ი საწყლები კიდეც ჩაბარდნენ პატრონს! დასწყევლათ, სულ ჰაერში ისროდნენ, თითქო მწყრები მიფრინავენ და იმათ ესვრიანო.

— მგლობელი ბავშვები, თავიანთ წითელ ანაფორებით! როგორ ათამაშებდნენ საცეცხლურს! თანაც რაღაც ოპერის ხმებს გალობდნენ! მერე თოფი რომ გავარდა, ისე გადაკორდნენ საწყლები, თითქო დაჭრილი ჩიტია და ფრთებს იქნევს, იქნება გავფრინდე როგორმეო. ეჰ... რას იზამ, ძმაო!... ომია, ომი! ღმერთმა გაცოცხლოს!

ბლაიჰროდერს ესეც ეყოფოდა. სისხლი თავში მიაწვა, დაძინება აღარ შეიძლებოდა. საზოგადო ოთახში შევიდა და მობაასეთ უბრძანა—დაიძინეთო.

მერე ტანთ-გაიხადა, თავი პირისაბან ჯამში ჩაყო, ცივ-წყალში.

შოპენჰაუერი აიღო, უნდოდა კითხვით გართულიყო. წიგნი ხელიდან გაუვარდა. მოეჩვენა, რომ ვიღაც წევს მის სიკუთარ ლოგინში, ყვირის, ვიღასაც იგერებს. ვინ არის? ვიღაც დაინახა დახლაკნილი, გულ-ჩავარდნილი. თან ხმა მიესმა... საშინელი, შესაზარი ხმა. თითონ იყო, თავისივე ტანი იყო, თავისივე ხმა. ნუ თუ ორად იქცა, რომ თავის თავს ისე ხედავდა და თავის ხმა ისე ესმოდა, თითქო მართლა ორ ადამიანად ქცეულიყოს? ერთი მეორეს სინჯავდა! და მეორე კი ისევ ისე იხლაკნებოდა, გაჰყვიროდა: კარი გაიღო და დიასახლისი შემოვიდა. მან დიდხანს არაკუნა, კარი, მაგრამ გამგონი აღარავინ ჰყავდა.

— რას მიბრძანებთ, ბატონო?—ჰკითხა ღიმილით.

— მე? არაფერს! უპასუხა ავადმყოფმა:— მე არაფერს, მაგრამ ეს მეორე ძალიან ავად არის და კარგი იქნება ექიმს დაუძახოთ. ღიმილი უცბად დაეკარგა მასპინძელს.

— ჩვენ სოფელში ექიმი არ გახლავთ, ავადმყოფებს მოძღვარი სწამლობს ხოლმე.

— ჰო-და მოძღვარი მოიყვანეთ, თუმცა კარგადმყოფი ანაფორას დიდ პატივს არა სცემდა.

— იქნება ავადმყოფმა აზრი შეიცვალოს,—უპასუხა დიასახლისმა და გავიდა.

მოძღვარი მაშინვე მოვიდა, ლოგინს მოუახლოვდა და ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა.

— როგორ არის?—ჰკითხა ავადმყოფმა:—რითი არის ავად ეგ საწყალი?

— სვინიდისის მხილებით,—უპასუხა მოძღვარმა.

— ბლაიჰროდერი წამოხტა.

— რაო? სვინიდისის მხილებით? როდესაც მან სვინიდისიერად აასრულა თავის მოვალეობა?!

— დიაღ,—უპასუხა მოძღვარმა და თავზედ სველი ტილო შემოადო:—ყური დამიგდეთ, თუ კიდევ შეგიძლიანთ ჩემი სიტყვა შეიგნოთ. საშინელი დღე მოგელით თქვენ, უფრო საშინელი,

ვიდრე იმ განსვენებულ სამ ყმაწვილს. გაფთხილდით! ავადმყოფობის ნიშნებს ვხედავ და ვცნობ. ჭკუაზედ შეშლილი ხომ იცით რა არის. თქვენ სწორედ სიგიჟის საზღვარზედ დგეხართ, ცალი ფეხი აქედ გიდგათ, ცალი იქით. ეცადეთ შეიგნოთ ეს აზრი, ეცადეთ წარმოიდგინოთ, რა საშინელება მოგელით, რა უბედური იქნებით, შეშლილი, ცოცხალ-მკვდარი და მაშინ თქვენი ტვინი ისევ ძველებურად დაიწყებს მუშაობას. კარგად დამაცქერდით! თქვენა გგონიათ — ვითომ ერთსა და იმავე დროს ორ კაცად ქცეულხართ, და ერთს მეორე სულ უცხო კაცად მიაჩნია. გნებავთ გაიგოთ, მანდამდის როგორ მიაღწიეთ? ეს საზოგადოებრივ სიცრუის ბრალია, რომ ყველა ჩვენგანს, ოღონდ დავუფიქრდეთ ჩვენს საქციელს — ორ პირად ხდის; თქვენს ცოლს რომ სწერდით, სულ სხვა იყავით, მე რომ მელაპარაკებოდით — კიდევ სხვა; იქ ერთი იყავით და ჩემთან — მეორე. როგორც მსახიობი ჰკარგავს თავის პიროვნებას და სულით და გულით ნათამაშევ როლებს უერთდება, აგრეთვე ადამიანიც — წევრი საზოგადოებისა — ორ პირად იყოფა, თუ მეტად არა. და როდესაც მას უბედურება ეწევა რამე და გულს გაუპობს, ორი პირი ერთის და იმავე ადამიანისა ერთმანეთს დასცქერიან და ერთმანეთს იკვლევენ. იატაკზედ რომ წიგნი გდია, კარგად ვიცი, რა წიგნიც არის, იმის დამწერი ძალიან დიდ აზროვანი კაცი იყო, ღრმად უფიქრდებოდა საგანს. მან შეიგნო არარაობა და ამაოება წუთი სოფლისა, ისე როგორადაც გვასწავლიდა ჩვენი მხსნელი იესო. მაგრამ იმანაც ვერ მოახერხა ორ-პიროვნება განედევნა, რადგან სიცოცხლე, დაბადებითვე დაწყებული, ჩვეულება, სისუსტე ადამიანისა, სულყველა ამის წინაალმდეგ იყო. ახლა დარწმუნდით, რომ სხვა წიგნებიც მცნობია, ჩემი ლოცვანის გარდა? თქვენ მღვდელი კი არა, ექიმი გელაპარაკებათ. ახლა ხომ გავიცანით ერთმანეთი, არა? იქნება გგონიათ, მე კი არ მტანჯავდეს ორპიროვნება სულისა? მე მწამს, მწამს უეჭველად და ეს რწმენა ხორცია ხორცისა ჩემისა და სული სულისა ჩემისა, მაგრამ თქვენ კი ღვთის სახელით არ გელაპარაკებით. სიცრუვე

დედის მუცლიდან დაგვყვება ხოლმე, სიცრუვეს დედის ძუძუში ვწოვთ, მთელს სიცოცხლეს სიცრუვეში ვატარებთ და ის, რომელიც გაბედავს და აწინდელ გარემოებათა სიმართლეს იტყვის, სრულ სიმართლეს.... გეყურებათ, შეგიძლიანთ შეიგნოთ ჩემი აზრი?

ავადმყოფი სულ-განაბული ისმენდა.

— მაშ თქვენ შესახებ ვილაპარაკოთ, — განაგრძო მოძვარმა: — ერთი ანგელოზია, ხელში მაშხალა უჭირავს, მკლავზედ ვარდებით სავსე კალათი ჰკიდია და აქეთ-იქით აბნევს მათ სიცოცხლის სანაგვეზედ. ამ ცრუ ანგელოზს, სახელად მშვენიერება, ჰქვიან. უწინდელმა საბერძნეთმა ღმერთად აღიარა იგი, დიდებულნი ამა ქვეყნისანი იმავ თავიდან სულ უკან დასდევენ მას და ულოლიავებენ, რადგან მხოლოდ მას შეუძლიან ისე შესცვალოს საგანი, რომ რაც არის იმად კი არა, არამედ რადაც გვინდა იმად დაგვანახვოს. ეს ანგელოზი ყველას სიცოცხლეში ხელს ურევს, აცრუვებს და აყალბებს ყველაფერს! რად არის, მხედარო, რომ თქვენს საზიზღარ ხელობას მუსიკით ამკობთ და დროშებით ამშვენებთ, თუ არ იმისთვის, რომ ამით მისი საზიზღარი და შემაძრწუნებელი მნიშვნელობა დაჰმალოთ?

ავადმყოფი კი იხლაკნებოდა ლოგინში, ხელები მოძღვრისკენ გაეწვდინა, თუმცა ხმას ვერ იღებდა. საშინელი შეხვედულობა ჰქონდა მოძღვარს. გულგრილად, შეუბრალებლად და მძულვარებით დასცქეროდა ავადმყოფს.

— ბუნებით გულ კეთილი ხარ, — განაგრძო მოძღვარმა: — და ამისათვის არ დაგსჯი. მე დავსჯი იმ წარმომადგენელს გერმანიისას, რომელიც შენ წელან დამისახელე, დაგსჯი და დეე ამით სხვანი გაფთხილდნენ! გინდა სამი ცხედარი გაჩვენო? გინდა?

— ნუ! ღვთის გულისთვის, ნუ! შესძახა ავადმყოფმა, რომელსაც ჭირის ოფლს ასხამდა. მაგრა ჩასჭიდა მოძღვარს ხელი და არ უშვებდა.

— ეგ სიმხდალე ამტკიცებს, რომ შენ ადამიანი ხარ, მაგრამ მხდალი, ლაჩარი ადამიანი.

თითქო შოლტი გადაჰკრესო, ისე წამოხტა ავადმყოფი სახე დაუმშვიდდა, გული მოუბრუნდა და უთხრა:

— მომშორდი, შე სატანის მსახურო, შენა! შეიძლება თავი ვერ შევიკავო-და!...

— წავალ, მაგრამ იცოდე, თუ კიდევ დამიძახე, აღარ დავბრუნდები. თუ არ დაგეძინოს, ჩემი ბრალი კი არა, იმ სამი ყმაწვილის ბრალი იქნება, რომელნიც უსულონი ჰყრიან აქვე, ბილიარდის ოთახში, ზედ ბილიარდზედ. შეხედე! და პირთამდე გააღო ორივ კარი ბილიარდის ოთახისა, სადაც დახოცილები დაესვენებინათ.

საზარლად შეჰყვირა ბლაიჰროდემა და ერთი ნახტომით, ვიდრე მოძღვარი ხელსა სტაცებდა, ფანჯარიდან გადავარდა. ჯარის კაცებმა ძლივსლა დაიჭირეს გაგიჟებული აფიცერი: იკბინებოდა, იცემებოდა, გაქცევას ცდილობდა; ხელ-ფეხ შეკრული ძლივ-ძლიობით ჩაიყვანეს უმთავრეს ბანაკში და იქიდან საავადმყოფოში გაისტუმრეს.

ი. მ—ანი

# ႱႨႲႷႥႠ ႤႳႪႨ

სიტყვა გადგაგდე ერთია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ჯავრით ნაკბენი, სნეული,
გულ-გაგმირული, ბეჩავი,
თავს მანდილ-ჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, ისარა...
წვერს მარგალიტი შეისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა;
მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს,
როგორც ცამ გამოიდარა.
დაბძანდა ოქროს ტახტზედა,
ვით მეფე ქვეყნის მპყრობელი:
ისაა ქვეყნის ნუგეში,
იმას შეჰხარის სოფელი;
მე ჩემთვის ჩუმად ვიცინი
მისი კეთილის მყოფელი.
ვიცინი... იმას, ქვეყანას
ან რა საქმე აქვს ჩემთანა?
მიხარის, ჩემს გაზრდილმა
რომ ბინა ჰპოვა ერთანა, —
ერთმა საწყალმა სიტყვამა,
ბოროტ კაცთაგან წყეულმა,
ბეჩავმა, ცრემლით ნაბანმა,
თავს მანდილ-ჩამოხეულმა...

**ვაჟა-ფშაველა**

# სუფრაზე

ფრანსუა კოპპესი

ფრანგულით.

სასტუმროს პატრონი დიდ-მუცლიანი კაცი იყო, წვერში ჭაღარა-გამორეული და ისეთი წამოსადეგის შეხედულობისა, რომ, გარწმუნებთ, ინგლისის პერს არაფრით ჩამოუვარდებოდა. როცა ამ სასტუმროს წარმოსადეგმა პატრონმა სალონის კარები შეაღო, რიხიანის ხმით წარმოსთქვა: — „კნეინასათვის სადილი მზად გახლავთო“, სტუმრებმა კუთხის პატარა სტოლებზე ქუდები დასდეს, ვინც უფრო პატივცემულნი იყვნენ, ქალებს ხელი შესთავაზეს და ყველანი სასადილო დარბაზში გაიკრიბნენ.... ისე ჩუმად, მოკრძალებით, თითქოს რამე პროცესიას მისდევენო.

თეფშ-დანაჩანგლებს კრიალი გაჰქონდა, მშვენიერი ყვავილები, საუცხოვოდ გაჩაღებული სუფრა კაცს თვალსა სტაცებდა! სტუმრები თავ-თავის ადგილს ადვილად პოულობდნენ: ამოიკითხავდა ხოლმე თუ არა ვინმე მათგანი ძვირფას კარდონზე თავის სახელს, მოსამსახურე მაშინვე მიართმევდა რბილს სელს, თავადის საგვარეულო გვირგვინით მოქარგულს. სტუმრები სულ თოთხმეტნი იყვნენ: ოთხი ახალგაზდა ქალი, ფართოდ გულამოჭრილ კაბებში გამოწყობილნი და ათი კაცი. ჩამომავლობით და ხარისხით ყველანი ნამდვილ დიდკაცობას ეკუთვნოდნენ. ამ ღამეს არაფერი დაიშურეს, ოღონდ

კი უხვი მასპინძლობა გაეწიათ ერთ უცხოელ დიპლომატისათვის, რომელიც დიასახლისის გვერდით იჯდა. ზოგ-ზოგს კაცს ძვირფას თვლებით და სამკაულებით ჰქონდა ტანისამოსი მორთული; წითელ-საყელოიან გენერალს, სხვა ჯვრებს გარდა, გულზე ერთი მძიმე ჯვარიც დაეკიდნა კომანდირისა. ქალებს ხომ, რაც კი რამ ძვირფასი სამკაულები ჰქონდათ შენახული ყუთებსა და კოლოფებში, სულ ერთიან ზედ აესხათ.

რჩეულს, მშვენიერს საზოგადოებას მოეყარა თავი! რა სიმდიდრისა და ფუფუნების სუნი ჰქონდა ყველაფერს! ვრცელი, მაღალი და ყოველისფრით შემკული დარბაზი, საუცხოვოდ გაშლილი სუფრა, ზედ სხვა-და-სხვა ხილი, ნადირის ხორცი, ძვირფასი, ნაირ-ნაირი საჭმელები... რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ ყოფილიყო! მოსამსახურენი, ასე იტყოდით, კი არ დადიან, დასრიალებენ სქელს ნოხზედაო... მერიქიფე ისე საიდუმლოდ ატყობინებდა სტუმრებს ღვინოების სახელებს, თითქო ამ საიდუმლოებაზედ ყოფილიყო დამოკიდებული მისი სიცოცხლე.

ყველა საჭმელები ძალზე მსუქანი და ძნელი მოსანელებელი იყო. წვნიანის გათავების შემდეგ, სტუმრებმა ლაპარაკი გააბეს. პირველად, რა თქმა უნდა, საყველპურო სიტყვებით დაიწყეს, ჩურჩულით. რა ზრდილობა ეხატებოდა ყველას დარბაისლურს სახეზე! რა თავდაჭერილი შეხედულობა და ღიმილი ჰქონდათ! მაგრამ შატონკენის ღვინის შემდეგ, ყველა მალე შექეიფიანდა. სტუმრებში ზოგი მოხუცებული ერია, უმეტესი ნაწილი კი ხანში შესულები იყვნენ. ყველანი ან ჭკუით იყვნენ შესანიშნავნი ან კიდევ ჩამომავლობით. დიდის ხნის ცხოვრებით დიდი გამოცდილება ჰქონდათ შეძენილი, ბევრი რამ ახსოვდათ; მხოლოდ ლაპარაკისათვის გაეჩინა ღმერთს. ლამაზ ქალების იქ ყოფნა ყველასა ხიბლავდა, ყველა ცდილობდა, სხვაზედ უფრო მეტად გამოჩენილიყო; ჭკუას ძალას ატანდნენ. მოხდენილს სიტყვებს, ნაკვესებს ბოლო აღარა ჰქონდა; ორ-ოლი, ან სამ-სამი ლაპარაკობდა ერთად. მზისგან დამწვარი, განთქმული მოგზაური ორს მეზობელს უამბობდა

თჳვის თავგადასავალს სპილოებზე ნადირობის დროს. ბაქიაობას ერიდებოდა. ისე გულგრილადაც ლაპარაკობდა, თითქო სპილოებზე კი არა, ბაჰიებზე უნადირნიაო. ცოტა მოშორებით ხმელპირისახიანი და თეთრ-თმიანი გამოჩენილი სწავლული თავის ლაპარაკით კნეინასართობდა. ტანწვრილი, ძალზე ქერა კნეინაც ჰროლა და გაკვირვებულის თვალებით შესცინოდა თავის მოსაუბრეს. თვალწარმტაც ლამაზ გულზე მშვენიერი ზურმუხტის მძივი ჰქონდა გაკეთებული, ყელი მედიჩის ვენუსის კისერივით მოეღღერებინა.

ეჭვი არ იყო, ამ ძვირფას სადილზე მიწვეული სტუმრები იმედოვნებდნენ — კარგს დროს გავატარებთო. მოწყენილობას, ამ საზოგადო წვეულებათა ხშირს სტუმარს, ამ სუფრასთან, რასაკვირველია, ხელი არ ექნებოდა. ყველანი ბედნიერად სთვლიდნენ თავიანთს თავს, სრულს ნეტარებას ეძლეოდნენ, სტკბებოდნენ სულითა და ხორცით, მთელის თავის არსებით.

ამავე დროს, ამავე სუფრაზე, ყველაზე ბოლოს, ყველაზე მოკრძალულ ადგილას ერთი ახალგაზდა კაცი იჯდა, გაჩუმებული. იქ მყოფთა შორის ყველაზე შეუმჩნეველი, ყველაზე დაბალის ხარისხისა — ის იყო. სახეზე ეტყობოდა, დიდის ოცნების პატრონი უნდა ყოფილიყო, ისეთის ოცნების პატრონი, რომელშიაც გრძნობაც იხატება და პოეტობაცა.

ის ისე მიეღოთ ამ მაღალს საზოგადოებაში, როგორც არტისტი; ბუნებით არისტოკრატი იყო; ამით თავი არ მოჰქონდა; იცოდა — ხალხის შვილი იყო, იცოდა — ამ ხალხს დავიწყება არ უნდაო. ნეტარებით ყნოსავდა ამ განათლების ყვავილს, რომელსაც „კარგს საზოგადოებას" ეძახიან. ყველაზე მეტად და უკეთესადა ჰგრძნობდა, კარგად იცოდა, რომ ეს ლამაზი და ეშხიანი ქალები, ესი ჭკვიანი კაცები, ეს გაჩაღებული სუფრა, დარბაზის მორთულობა და თვით ეს ძვირფასი ღვინოც, რომლითაც ტუჩები გაისველა, — ყველაფერი ძვირფასი და რჩეული იყო. ყოველისავე ამის დანახვაზედ მეტის-მეტად გამხიარულდა. მისმა გონებამ ბედნიერების მორევში დაიწყო ბანაობა. ძლიერ ესიამოვნა, რომ ამ მწუხარესა და დაღვრემილ ქვე-

ყანაზე ხანდისხან მაინც, ზოგვან მაინც მოიპოვებიან, ცოტა-თიც არის, ბედნიერი არსებანი... თუნდაც რომ არ იგრძნოს იმათ გულმა სხვის შებრალება, საშველად ხელის გაწვდენა,—და ეს ხომ ასედაც არის—ვითომ რად უნდა დასძრახოს კაცმა ისინი? ვის აწუხებენ, ან ვის რას უშავებენ? რა მშვენიერი და სანუგეშო ოცნებაა! აბა რა წარმოსადგენია, რომ ასეთს ხალხს ცხოვრება თავის მოწყალების კალთას აფარებდეს; რომ იმათ სულ-მუდამ,—ან თითქმის სულ-მუდამ—თვალებში ამგვარი ტკბი-ლი და მხიარული სინათლე ეხატებოდეთ, ტუჩებზე ნაზი ღიმი უკრთოდეთ; ან რა დასაჯერია, რომ ასეთმა ხალხმა ცხოვრებაში სხვაზე გაბატონების და კეთილ-შობილ კაცის არ-შესაფერ სურ-ვილს, რამდენად შესაძლებელია, ფრთა შეაკვეცოს!.. არა! გუ-ლში ასეთის ფიქრის გავლება დიდი შეცდომაა, დიდი!

ის, რომელსაც ჩვენ „ოცნების მონას“ დავარქმევთ, ამ ფიქრებში იყო გართული. ამ დროს სასტუმროს პატრონმა დი-დის ამბით შემოიტანა ვერცხლის ვეება ლანგარზე დადებული პალტუსი, უცნაურის სიდიდისა. ასეთს თევზს მარტო დახა-ტულს თუ ნახავს კაცი ან კიდევ შევეს გამოფენაზე, სადაც შუ-შაბანდის წინ მთელი ხროვა ქუჩის ბიჭებისა ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევენ,—არა მე მიმიშვი, ვნახო, არა—მეო.

ყველამ ჩამოირიგა. როცა „ოცნების მონამაც“ თევზის ნა-ჭერი თეფშზე გადიღო, ცხვირში ოდნავ ზღვის სუნი ეცა. მა-შინადვე წარმოიდგინა ყველა გარემოება, თუ როგორ უნდა დაეჭირათ ეს თევზი. მოიგონა ბრეტონის მხარე, გაღატაკებუ-ლი სოფელი მეთევზეთა, სადაც წარსულ წელს ზამთრის პირა-მდე ცხოვრება მოუხდა და სადაც მოწამე იყო ზღვის გადა-რეულ ღელვისა. საშინელი ღამე იყო. ზღვა ღელავდა. გემები და ნავები ნავთ-სადგურში ველარ შემოდიოდნენ. ნაპირზე და-ღონებული ქალები, მეთევზეთა ცოლები, იდგნენ, თვალები ზღვისაკენ ეპყრათ. ისიც იმათში ერია. ზღვის ტალღების წინ-წკლებით პირისახე უსველდებოდა. საშინელი ცივი ქარი ჰქრო-და და ისე ძალზედაცა ჰქროდა, ეგონა, ეს-ეს არის, ტანისამოსს შემომაგლეჯავსო. ამ საწყლების სიცოცხლესაც სიცოცხლე ეთ-

ქმის რაღა! ამ ქალებში, ვინ იცის, რამდენი ჟრია დაქვრივებული, ახალგაზდა თუ მოხუცებული, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეში ძაძას ატარებდნენ და რომელნიც, ინათებდა თუ არა, ბავშვებითურთ, მიეშურებოდნენ სამუშაოდ, ლუკმა-პურისათვის,—მხოლოდ ლუკმა-პურისათვის... მერე სად?—იქ, სადაც სარდინებს აკეთებდნენ და გამუდმებული, ცხელის ზეთის გულის-ამრევი ბული ტრიალებს! მოიგონა კლდის ნაპირას აშენებული ეკლესია, რომელიც მთელს სოფელს გადმოსცქეროდა, თეთრად შელესილი სამრეკლო, რომელსაც გემებისათვის შორიდანვე უნდა ენიშნებინა ზღვაში ამართულ კლდეებ-შორის გასავალი. მოიგონა აგრედვე სასაფლაოს მწირი ბალახი, ისიც მჭლე ხზორებისაგან გაკორტნილი, საფლავის მატურები, რომლებზედაც უმეტეს ნაწილად ეს სამწუხარო სიტყვები ეწერა:

«ზღვაში დაირჩო... ზღვაში დაირჩო... ზღვაში დაირჩო...

თევზს საუცხოვო გემო ჰქონდა, ზღვის კიბოების წვნით იყო შეზავებული, რაიცა ამტკიცებდა, რომ თავადის მზარეული „ინგლისის რესტორანში“ უნდა ყოფილიყო ნასწავლი და გამოცდილი. ჩვენმა ცივილიზაციამ ამ მხრივ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. მზარეულობის ცოდნის მოწმობასაც კი იღებენ. როგორც სწავლულები, ისე მზარეულები სხვა-და-სხვა ხარისხისანი არიან. სტუმრები ყველანი მადიანად შეექცეოდნენ, პირს ნაზად ამოძრავებდნენ,—საჭმელი ძლიერ მოსწონდათ, მაგრამ არ ამბობდნენ კი—კარგიაო,—სირცხვილი იყო, ამას როდი იყვნენ დაჩვეულნი...

„ოცნების მონას“ კი მადა დაეკარგა. ისევ ბრეტონელებზე ფიქრობდა, სულით ისევ ამ ზღვის კაცებთან იყო. ეს თევზიც, შეიძლება, მათი დაჭერილი იყოსო. მოაგონდა ღელვის მეორე დღე. ჭინჭყლიანი ღილა იყო. ზღვის ნაპირას დასეირნობდა. მძიმე, ტყვიის ფერი ტალღები არა სცხრებოდა.

ამ დროს ფეხებ ქვეშ სწორედ ერთ მოხუცის გვამი დაინახა. იცნო—მოხუცებული მეთევზე, ცოლ-შვილის პატრონი იყო. ეს სამი დღეა, ზღვაში დაიკარგა. საცოდავი! ზღვას გამოერიყა, და ქაფსა და ზღვის ხავსში ჩარჩენილიყო. გულშემზარავი იყო დამრეჩალის ჭაღარა-შერთული თმა, ქვიშითადა ლოკოკინების ნაჭუჭებით გავსებული...

გულს ლახვარივით მოხვდა რაღაცა...

ამ დროს მსახურებმა სტუმრებს თეფშები აართვეს და სუფრაზე თევზის ნიშანიც არ დარჩენილა. სანამ მეორენაირ საჭმელს შემოიტანდნენ, კოპწია და ლაქლაქა მოსადილეებმა ბაასი ისევ განაახლეს. შიმშილი რომ ცოტათი მოიკლეს, ბაასი—უფრო ცოცხლად გააბეს და გააჩაღეს. დარბაზში წყნარი სიცილი გაისმოდა.

ოჰ! სასიამოვნო და კოპწია საზოგადოებავ!

„ოცნების მონა“ კი, ეს ჩუმი სტუმარი, განუსაზღვრელმა მოწყენილობამ შეიპყრა. გამოიხატა გონებაში მუშათა მწარე შრომა, რომლის ნაყოფიც იყო ეს მდიდრული და უნაღვლელი ცხოვრება.

ქრისტიშობისთვეში ყველაზე ძლიერ მსუბუქი ფრაკები აცვიათ; ქალები კიდევ გულ-მკერდ-მკლავებ გატიტვლებულნი არიან, რა არის, ჩვენი სილამაზე სხვებს ვაჩვენოთო. მე თქვენ მოგახსენებთ-და, შესცივათ! მაშ კალორიფერი რიღასი მოხელეა, თუ ოთახში, სადაც ამათ ყოფნა უხდებათ, გაზაფხულის დილის სითბოს არ დააყენებს! კარგი-და, ამის გასათბობი ზეთი ზეციდან ხომ არ ისხმის? ხომ კაცის ხელი უნდა ერიოს მის გაკეთებაში?—ურევია მაშ! ზეთს აკეთებს მიწის ქვეშეთში მომუშავე, კატორღის ჯოჯოხეთში მცხოვრები.

ერთი ამ ახალგაზრდა ქალის კანსაც შეხედეთ, რა უმტკვერო თოვლივით თეთრი და ჩაფუნთუშებულია, ან რა დია-

დად გამოსჭვივის ვარდის-ფერ ატლასის კორსაჟში! ეს ატლასი ვინ-ღა მოქსოვა?—ლიონის კაცმა-ობობამ, აყროლებულ ქარხნებში განუშორებლად მომუშავემ.—ამავე ახალგაზდა ქალს ფაფის ნაზ ყურებში ორი საუცხოვო მარგალიტი აქვს გაკეთებული. მერე რა ლამაზია-და! მთელი აღმოსავლეთის სიმშვენიერე შიგ იხატება; ან რა მოელვარე, თითქმის ზეციური გამჭვირვალება აქვს! კლეოპატრამ რომ თავისი, მილიონ მანათამდე ღირებული მარგალიტი ძმარში დაადნო და გადაყლაპა, ამაზედ ხალასი არ იქნებოდა. იცის თუ არა იმან, იმ ახალგაზდა ქალმა, რომ შორს ქვეყანაში, ცეილონში, სადაც მარგალიტის ლოკოკინებია, ინდოელები ზღვაში ოც და თორმეტის ადლის სიღრმეზე ჩადიან, გულადადა, ფეხებზე ქვა-მობმულები, რომ უფრო ადვილად ჩაიძირონ, მარცხენა ხელში დანა უჭირავთ, რომ ზღვის კაცი-ჭამია თევზის მუცლის ამოსაყორი არ გახდნენ?

მაგრამ ამაზე ვინა ფიქრობს! ეს თვითონ ლამაზია, მოხდენილია. სასადილო დარბაზი თბილია, სურნელებით სავსე, კაცი აქ მხიარულად შეექცევა სადილს, ნახევრად ტიტველა და მოკაზმული, თავის მეზობელთან ტკბილს ლაპარაკშია გართული. არა, თქვენს ლხენას, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ამათ ოც და თორმეტ, ორმოც ადლის სიღრმეზე მიწის ქვეშ მომუშავეებთან, მქსოველთან, თავის მანქანის წინ ყოველთვის წელში მოხრილად და უძრავად ატუზულთან! ან კიდევ, აქ რა მოსატანია ველური კაცი, რომელიც ზღვის ფსკერში მარგალიტს დაეძებს და ხანდისხან თავისის სისხლით ზღვას ღებავს? ამათი რა ბრალია, რად უნდა შეიტკივონ თავი ასეთ სამწუხარო და საზიზღ სურათების გათვალისწინებით? სიბრიყვეა! მაშ არა-და!..

„ოცნების მონა“ სულ-ერთიანად თავის ფიქრებს მიეცა.

თავის-და უნებურად, მაშინალურად, ღვეზილის ნაფცქვენი დაასორსოლა. ასეთი პური ფანტაზიისა და ფუფუნების ნაყოფია და ამგვარ სუფრაზე არც ისეთი ფასი აქვს. ამას წინად არ იყო, უბედურ დამშეულებზე მდიდარმა ქალბატონმა გულ-

უბრყვილოდ სთქვა: „ნაზუქები უნდა ჭამონო“? ეს ლამაზი ღვეზელი მაინც პურისაა, ფქვილისაგან გაკეთებულია, და ფქვილი კიდევ —ხორბლისაა. ღმერთო, ეს ხომ იგივე პურია, რომელსაც გლეხის ოჯახში ხმარობენ და რომლითაც ჯარის კაცი შიმშილს იკლავს! ვიდრე მდიდრის სუფრამდე მოაღწევდა, ვინ ც იცის, ღარიბებმა რამდენი ტანჯვა-წვალება გამოიარეს!..

გლეხმა ჯერ გუთნით მიწა მოხნა, ბელტო-ბელტოზე გადააგორა, მერე ფარცხით გოროხები გააფხვიერა, დასთესა. მერე როდის?—როცა შემოდგომის წვიმა ტანში ძვლებამდინ უვლიდა. რამდენჯერ გულის-ხეთქით გამოღვიძებია ღრმა ძილიდან ქუხილის გაგონებაზე და უთქვამს—ღმერთო ჭირნახულს ნუ გამიფუჭებო; რამდენჯერ აუკანკალებია მისი გული შავს ღრუბლებს—სეტყვა არ მოვიდესო; რამდენი ოფლი დაუღვრია, ვიდრე შემოსულ ყანას მომკიდა და ძნებს კალოზე გასალეწად დააწყობდა.

მოხუცებულმა მეწისქვილემ, ნიადაგ წყლის-პირას ჯდომის გამო სურდოსაგან შეწუხებულმა, ფქვილი ქალაქში გაგზავნა; აქ, რკინის გზის სადგურზე, მუშებმა ტომრები ზურგზე აიკიდეს და ფურნეში მიიტანეს, სადაც მეპურეები გათენებამდინ გახურებულ ფურნესთან დგანან და ოფლის წურწურით პურს აცხობენ.

აი რამდენი ჯაფა დ წვალება დასჭირდა ამ თეთრის პურის ნატეხს, ახლა რომ მდიდარმა თავისის თეთრის ხელებით დაასორსოლა.

„ოცნებიც მონას“ ბოლმა უარესად მოაწვა გულზედ. სუფრის სიამოვნება კაცობრიობის ტანჯვა-წვალებას აგონებდა. აი, ამ წუთას, მერიქიფემ ღვინო დაუსხა. მაშინვე მოაგონდა შუშის ქარხნებში მომუშავენი, რომელთა უმეტესი ნაწილი ბოთლების ბერვით ჭლექდება.

. . . ერიჰა, ასე რომ გავყვეთ, ვინ იცის, სად წავალთ! იმანაც კარგად იცის, რომ ქვეყანა ასეა გაჩენილი! რომელმამე ეკონომისტმა რომ გაიგოს იმის ფიქრები, სასაცილოდ არ ეყოფა... სოციალისტობა ხომ არ დაიწყო? ქვეყანაზე როგორც

გონჯი და ლამაზი სახის კაცი არ გამოილევა, ისე მდიდარი და ღარიბი.

ამასთან, ამ ბედნიერთ, მასთან რომ სხედან, ბედნიერება უსამართლოდ როდი მიჰნიჭებიათ! ებრაელთ „ოქროს ხბო" უმიზეზოდ არც ერთს არა სწყალობს; არც ერთი მათგანი მარტო თავის-თავზე არა ზრუნავს, მარტო თავის მუცელს არ ემსახურება. ეს დიდი ბ-ნი, სუფრაზე რომ მეთაურობს, საფრანგეთის საუკეთესო შვილად ითვლება, და ამ სახელს ღირსეულადაც ატარებს. ეს ჭაღარა-ულვაშებიანი გენერალი სამშობლოსათვის გმირულად იბრძოდა. ეს პოეტი, ეს მხატვარი ერთგულად ემსახურებოდნენ „ხელოვნებასა" და „მშვენიერებას". ეს ქიმიკოსი პირველად შეგირდად იყო აფთიექში, დღეს კი ქვეყანას გენიოსად მიაჩნია, ყოველი მისი სიტყვა ღვთის სიტყვა ჰგონიათ. ეს მშვენიერი ქალები გულ-კეთილი და ქველ-მომქმედნი არიან და ხშირად გმირულად იღებენ მონაწილეობას ყოველსავე იმ საქმეში, რაც კი ღარიბთა დახმარებას და შველას შეეხება. ყველაფერი ეს ხომ მხედველობაში მისაღებია! მაშ ეს რჩეულნი რა მიზეზით არ უნდა სტკბებოდნენ განსაკუთრებულის ბედნიერებით და კარგის ცხოვრებით?

არა!—სთქვა „ოცნების მონამ", ეს უსამართლობაა! ამისთანა საბუთები დახავსებული სოფიზმია, რომელიც მხოლოდ ქალაქის გარედ მომხდარ კრებებზე სალაპარაკოდ გამოდგებოდა. მოაგონდა ეს კრებებიც, მოაგონდა ისიცა, რომ ეს სოფიზმი წინად სწამდა... არ დაიჯერებთ?—თავის-თავისა თითონვე შერცხვა.

სადილი თავდება. სანამ მოსამსახურეები უკანასკნელად კიდევ დაასხამდნენ შამპანურ ღვინოს, სტუმართ შორის დუმილი ჩამოვარდა. ბევრის ჭამით დაიღალნენ. „ოცნების მონამ" სათითაოდ ყველას შეხედა: ყველას გამაძღარი და მოდუნებული სახე ჰქონდა. შეეზიზღა ყველანი, ცუდს გუნებაზე დადგა. რაღაც უჩინარი, გამოურკვეველი და ძალზე ნაღვლით სავსე გრძნობა ყურში ჩასძახოდა—გეზიზღებოდესო! და როცა

სუფრიდან ყველანი წამოიშალნენ, კიდევ განიმეორა, თავისთვის, ჯიუტად:

— დიაღ, უფლება აქვთ... მაგრამ იციან, როდესმე დაფიქრებულან, რომ მათი ფუფუნება ამდენ ტანჯვა-წვალებად არის დამჯდარი? დაფიქრებულან ამაზე? იმდენს ფიქრობენ, რამდენადაც საჭიროა?.. ფიქრობენ?

თ. სახოკია

# ႫႤႴႤ ႣႠႥႨႧ ႠႶႫႠႸႤႬႤႡႤႪႨ

და

## ႫႨႱႨ ႣႰႭ

ისტორიული მონოგრაფია

### V.*)

სამწუხარო სანახავს წარმოადგენდა საქართველოს შინაური მდგომარეობა, როცა დავით აღმაშენებელი გამეფდა. თურქთა ბატონობამ შეარყია სახელმწიფო ცხოვრება, მოსპო წესი და რიგი, ზნეობრივად შელახა მთლად საზოგადოება. რასაკვირველია, იმ შავსა და ბნელ დროსაც აქა-იქ ბრწყინავდა თითოოროლა ზნეობით წმინდა და შეუმწიკვლელი მოღვაწე, მაგრამ გახრწნილება და უწესოება მაინც საერთო სენს შეადგენდა. მთავარნი ურჩობასა და ორგულობას მისდევდნენ, „უფროსნი საეპისკოპოსონი“ დასაკუთრებული ჰქონდათ „უღირსთა და უწესოთა“ და ამ უკანასკნელთ ემორჩილებოდნენ „მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი“. რადგანაც სასულიერო მთავრობამ თავისი საღმრთო მოვალეობა დაივიწყა და უკეთურებას შეუდგა, უეჭველია, რომ მღვდელობაც ზნეობრივად დაეცემოდა. ნამდვილად ეგრედაც მოხდა,—მატიანის სიტყვით, „მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა“... საყურადღებოა, რომ სომხეთის სასულიერო წოდებაც მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა. იქაც ეპისკოპოსთა და

*) „მოამბე“ № 2.

მღვდელთა ბიწიერება და უმეცრება საზოგადო მოვლენა იყო: საეკლესიო მოხელეობის სყიდვა, სამსახურის ანდერძით გადაცემა, ანგარება და სხვა ამ გვარი ბოროტება ჩვეულებად გადაიქცა [1]. კათალიკოზს პატივი და დიდება აეყარა. ერთის საკათალიკოზოს მაგიერად, რამდენიმე კათედრა დაარსდა. შეიქნა უკადრისი ცილობა და ქიშპობა სხვა-და-სხვა კათალიკოზთა შორის.

დავით აღმაშენებელმა პირველადვე სასტიკი ყურადღება მიაქცია სასულიერო წოდების „წყლულებათა კურნებას". და რომ მეფის ცდილობამ ამაოდ არ ჩაიარა, ამას შესანიშნავი სომეხი მწერალი ნერსეს ლამბრონელი ჰმოწმობს [2]. როცა მეფემ შინაური მტრობა და ურჩობა დაამხო, დიდი „კრება" მოახდინა. ყველა საუკეთესო და ქვეყნისათვის გულ-შემატკივარი და მზრუნველი დაესწრო იმ „კრებაზე", რომელმაც „მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა" ვალად იდვა „ცდომილის განმართება", უწესოების ძიება და ჭეშმარიტის გზის გაკვლევა. კრების განჩინების ძალით უღირსნი და ბიწიერნი „გარდმოსთხივნეს საყდართაგან", შეაჩვენეს და მათ მაგიერ გაამწესეს ღირსეულნი და ქვეყნის ერთგულნი. დასასრულ, „კრებამ" დაადგინა ეგრედ წოდებული ,,**ძეგლის წერა**''—ეს დიდად შესანიშნავი სჯულ-მდებლობა*),—რომელმაც აღადგინა საზოგადოების ზნეობა და ცხოვრების წარმატებას კვალი განუკაფა. „კრებას" და „ძეგლის წერას" აზრად არა ჰქონდა მარტო სასულიერო წოდების მდგომარეობა. შეიკრიბნენ და ძეგლი დაადგინეს მთლად საზოგადოების „წყლულე-

---

[1] Варданъ В. стр. VII—XI.

[2] Грузія и Арменія, II: 207, 215.

*) იხ. ჩემი მონოგრაფია „ჩვენი საეკლესიო სჯულ-მდებლობა—ძეგლის წერა", ივერია, 1888 წ., სადაც ვრცლად განმარტებულია ამ სასჯულო ნაშთის მნიშვნელობა და გამოკვლეულია იმ დროინდელ საქართველოს ზნეობრივი მდგომარეობა. კრება მოხდა 1103 წ., რუის-ურბნისის შუა, მინდორზედ, იოანე კათალიკოზის თავმჯდომარეობით, თ. ჟორდანიას «ქრონიკები...» 1893 წ. გვ. 238 და შემდგნი. ავტორი ახლად აღმოჩენილი საბუთებით ამტკიცებს, რომ კრებაზედ დაესწრო დავით აღმაშენებლის მამაც, რომელმაც შვილთან ერთად იმეფა 1112 წლამდე.

ბათა კურნებად“ და თუ უმთავრესი ყურადღება მიაქციეს სასულიერო წოდებას, მიზეზი ის იყო, რომ ამ წოდებას უფრო ესაჭიროებოდა „კურნება“.

შემდეგ მეფემ „განაგო ყოველი საქმე... სომხითისა და ანისა“. არა სწერია,—თუ რას შეადგენდა და როგორ სწარმოებდა იგი გამგეობა, მაგრამ ცხადი კი არის, რომ მეფემ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია სომხეთის საეკლესიო საქმეებს და სასულიერო წოდების მდგომარეობას. იქაც დროთა ვითარება თხოულობდა ზნეობრივს „კურნებასა“. თუნდ ესეც არ ყოფილიყო, თვით სომხეთის სასულიერო წოდებამ გამოაცხადა ანის კრებაზე, გვსურს სარწმუნოებრივი კავშირი დაარსდეს ჩვენსა და ქართველთა შორისო. ხოლო ასეთის საქმისათვის საჭირო იყო საეკლესიო და სასულიერო წეს-წყობილების გაუმჯობესობა, ცვლილება და ახალი რიგი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ანის კრების წინადაც, მაგ., ჯერ ისევ მეშვიდე საუკუნეში, კათალიკოზ ეზდრას დროს, სომხებს ჰსურდათ მართლ-მადიდებლობა მიეღოთ და შემდეგაც ეს სურვილი იმათში არ აღმოფხვრილა, მაგრამ პოლიტიკურმა გარემოებამ და უფრო ბიზანტიის გულ-ქვაობამ შეუძლებელი ჰყო სარწმუნოებრივი ერთობა. სომხეთის დასავლეთი ნაწილი ბიზანტიას ეკუთვნოდა და მართლ-მადიდებელნი იმპერატორნი სათნოებით და ქრისტიანებრივის სიყვარულით არ ეპყრობოდნენ ქვეშევრდომს ხალხს, რადგანაც იგი ხალხი მწვალებლობას აღიარებდა. იმ დროს საბერძნეთში სუფევდა უკიდურესი ორთოდოქსალი მიმართულება, რომელსაც უნებურად იმპერატორნიც ემორჩილებოდნენ. როცა ბაგრატიდების დროს სომხეთი აღორძინდა და აყვავდა, ბიზანტიის შურს საზღვარი არა ჰქონდა. საქრისტიანო იმპერიის მძულვარებამ ისევ მალე დაამხო მრავალ-ტანჯული სომხეთი. პირდაპირის მტრობის გარდა, ბერძენნი სხვა-და-სხვა ცილს და უკადრის ამბავს ავრცელებდნენ სომხების შესახებ, სახელს უტეხდნენ, პატივისცემას უსპობდნენ მეზობელ ხალხთა შორის [3]). სხვაფრივ იქცეოდა სა-

[3]) ibid. 209, 213, 216—222 etc.

ქართველთ მეფე. დავით აღმაშენებლის მაღალ და ნათელ გონებას ვერ დაიმორჩილებდა ცალ-კერძო სარწმუნოებრივი მიმართულება, იმის სპეტაკს გულს ვერ მიეკარებოდა ფანატიკოსობა. მეფემ კარგად იცოდა,—თუ რა მცირედი განსხვავებაა მართლ-მადიდებლობის და სომხურ სარწმუნოების შორის. მართლაც-და, არსებადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სომხებმა უარჰყვეს ქალკიდონის კრების დადგინება და აღიარეს,—ქრისტეს ერთი პიროვნება და ორი ბუნება აქვსო, (единое лицо и два естества—божеское и человѣческое), მართლმადიდებლობას კი სწამს—ქრისტეს პიროვნებაც ორი აქვსო. სომხეთის და საქართველოს სარწმუნოებრივი განცალკევება, რომელიც მეექვსე საუკუნეში მოხდა, უმეტეს ნაწილად პოლიტიკურმა გარემოებამ გამოიწვია. საქართველოს ეკლესიის უფროს პატრონს, სახელოვანს მეცნიერს და მოღვაწეს კვირიონს ჰსურდა სრული თავისუფალი საეკლესიო გამგეობა მოეპოვა თავის სამწყსოსათვის და ამიტომ უარჰყო სომხეთის კათალიკოზის ბატონობა, განუდგა კათალიკოზს აბრაამსო. ამის ბრალი თვით სომხეთის კათალიკოზსაც ედება. აბრაამი გულ-ანჩხლი და უხასიათო კაცი იყო. ამასთანავე ამპარტავნება და თავმოყვარეობა დიდი ჰქონდა. რასაკვირველია, ასეთი მამათ-მთავარი უფრო გაამწვავებდა საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულებას. ეგრეც მოხდა. სომხებმა კრებაზედ კვირიონი შეაჩვენეს, მაგრამ ამით საქმეს ვერაფერი ეშველა [4]). საქართველომ მალე მოსპო კავშირი სომხეთთან...

მარტო კრება და ძეგლის დადება ვერას იზავდა. სასულიერო წოდების ასაღორძინებლად საჭირო იყო გონივრული მართვა და ჯეროვანი წვრთნა, ფხიზელი და განუწყვეტელი ხელ-მძღვანელობა, მუდმივი და განუშორებელი ზედა-მხედველობა, წესისა და რიგის დამყარება, განმტკიცება. დავით აღმაშენებელმაც სწორედ ასეთს ღონის-ძიებას მიმართა და თვითმპყრობელს კვერთს დაუმორჩილა მთლად სასულიერო და სა-

---

[4]) Варданъ В. 73—4, 86—8, 95—9 и пр. 247.

ეკლესიო გამგეობა,—„მონასტერნი და საეპისკოპოსონი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა შვენიერსაო“ [5]). ხოლო დარბაზი შეადგენდა უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს და სამჯავროს, რომლის თავმჯდომარე მეფე ბრძანდებოდა. დარბაზი არასოდეს გონების თვალს არ აშორებდა სასულიერო კაცთა მოქმედებას და საეკლესიო საქმეთა მსვლელობას. და თუ რა შორს სჭვრეტდა იგი გონების თვალი, ამის დასამტკიცებლად ისიც საკმაოა, რომ თვით „ლოცვის წესი და რიგი დარბაზის კარით მიიღებოდა“... ცხადია, მეფე ხორციელს უფლებას არ დასჯერდა და სულიერი ბატონობაც ხელთ დაიპყრა. ეს სულიერი ბატონობა იქამდე მიდიოდა, რომ დავით აღმაშენებელი თითონ სწერდა და ადგენდა მონასტრის წესდებას, თითონ საკუთრივ უჩვენებდა, თუ როგორ უნდა განაწილდეს მონასტრის შემოსავალი მონაზონთა და სხვა მსახურთა შორის [6]). ერთის სიტყვით, მეფემ თავის უზენაეს უფლებად სცნო როგორც სახორციელო, ისე სასულიერო ხელმწიფობა და თავის სამეფოში დაამყარა ბიზანტიის საპოლიტიკო მოძღვრება. დიაღ საყურადღებოა, თუ როგორ გაჩნდა და აღორძინდა ეს მოძღვრება, რომელსაც, დროთა და ჟამთა ვითარების გამო, დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა ჩვენის სამშობლოს საპოლიტიკო აზრთა მიმდინარეობაზე. ამ საპოლიტიკო სწავლის გავლენა ისე ძლიერი იყო, რომ მაჰმადიანთა ხანგრძლივმა ბატონობამაც კი ვერა დააკლო-რა და ბოლომდე საქართველო აღიარებდა, რომ მეფეს სასულიერო საქმეც ხელეწიფებისო...

როცა კერპთ-თაყვანისცემლობა დაითრგუნა და ქრისტიანობა შეიქმნა სახელმწიფო სარწმუნოებად, მაშინ საერო და საეკლესიო გამგეობაც განისაზღვრა,—სამეფო ტახტმა და ეკლესიამ გაინა-

[5]) ქ. ცბა, I. 256.

[6]) Цер. Гудж. დ. ფურცელაძისა, შიო-მღვიმის გუჯარი 94—5. შიო-მღვიმის მონასტერს პირველადვე საკუთარი წესდება ჰქონდა; П. Іоселіани, Жиз. св. груз. церкви, стр. 84 и пр. 3.

წილეს უფლება და მოვალეობა. მეფემ დაისაკუთრა სამოქალაქო და ხორციელი გამგეობა, ხოლო ყოველგვარი სასულიერო საქმე ეკლესიის წარმომადგენელს ეკითხოდა. ასეთი განყოფა უფლებისა და მოვალეობისა დაფუძნდა ქრისტიანობის სწავლაზე. წმ. მოციქულნი ჰქადაგებდნენ, რომ სასულიერო კაცი, მაგ., მღვდელი, საეკლესიო და სარწმუნოების საქმეში ისე მაღლა სდგას მეფეზე, როგორც სული ხორცზედაო. იოანე ოქროპირი და სხვანი წარჩინებულნი მამანი ეკლესიისანი ღაღადებდნენ, მეფე მღვდელს უნდა ემორჩილებოდესო. მეოთხე საუკუნეში სახელოვანმა ღვთის მეტყველმა ამბროსიმ განმარტა, რომ ეპისკოპოსი სჯის იმპერატორსა, როცა იგი დამნაშავეა სარწმუნოებისა და ეკლესიის წინაშეო. ყველა კარგი, მაგრამ გარემოებამ მალე შესცვალა ეს უკიდურესი მოძღვრება. დროთა მსვლელობაში ეკლესია სამოქალაქო დაწესებულებად გარდაიქცა, გაიჩინა საკუთრება, შეიძინა მამული. ესეც რომ არ ყოფილიყო, თვით სასულიერო კაცთა შორის უთანხმოება ასტყდა მწვალებლობის გამო და ეკლესია იძულებული იყო იმპერატორის მფარველობისათვის მიემართნა. ამ მფარველობამ განადიდა იმპერატორის ძალა და გავლენა ეკლესიაზე და იმავე მეოთხე საუკუნეში საქმე ისე დატრიალდა, რომ გამოჩენილი ევსევი ჰქადაგებდა,—იმპერატორი საერთო ეპისკოპოსიაო [7]. თუმცა წმ. მამათა საპოლიტიკო მოძღვრებამ სხვა მიმართულება მიიღო, მაგრამ ბიზანტიაში, პირველ დროს, მაინც ერთობა და ჰარმონია დაარსდა ეკლესიასა და საერო გამგეობას შორის. სახელმწიფომ ეკლესია დამოუკიდებელ და განსხვავებულ დაწესებულებად აღიარა და დაადგინა,—იმპერატორს ვალად სძევს მხოლოდ იზრუნოს ქრისტიანობის სასარგებლოდ, წმ. მოციქულთა და მსოფლიო კრებათა მოძღვრების დასაცველად და სხვ. შემდეგ დროთა ბრუნვამ ესრეთი მზრუნველობა ბატონობად გარდაჰქმნა და ბიზანტიის იმპერატორს მიენიჭა სრული უპირატესობა საეკლესიო გამგეობაში. სხვაფრივ დატრიალდა

---

7) Б. Чичеринъ, Исторія политическихъ ученій, I ч. 1869 г. стр. 102—9.

საქმე დასავლეთ ევროპაში. იქ პაპის ძალა და უფლება იქამდე განდიდდა, რომ იმპერატორი ჰთრთოდა რომის ტახტის წინაშე [8]).

უკვე შევნიშნეთ, რომ ბიზანტიის საპოლიტიკო მოძღვრებას პატივი ჰქონდა საქართველოში. დავით აღმაშენებლამდე იგი მოძღვრება მკვიდრად დამყარდა საქართველოს ნიადაგზედ. მართალია, არაბთა ბატონობის დროს საზოგადოების აღგზნებულმა სარწმუნოებრივმა გრძნობამ დიდი გავლენა შესძინა სასულიერო წოდებას და ცხოვრებასაც ორთოდოქსალი ხასიათი დაამჩნია, მაგრამ ეკლესია მაინც ტახტს ემორჩილებოდა. დავით აღმაშენებელმა სრულიად ხომ დაიმონავა სასულიერო წოდება, ტახტისა და დარბაზის ყმად გადააქცია. თითქო ესეც საკმაო არ იყო და მეფის წადილმა ისე ფრთა შეისხა, რომ შიში და ზარი თავს დასტრიალებდა ყოველ სასულიერო კაცს, რომელიც „იკადრებდა უწესოდ სვლას"... მატიანის სიტყვით, მეფის დაფარული არა იყო-რა, მეფემ ყველაფერი უწყოდაო [9]). და როცა აკვირდები ამ სასტიკს გამგეობას, ამ შიშსა და ზარს, თვალ წინ უნებურად შემაძრწუნებელი სურათი გიდგება. გამგეობა სულთა-მხუთავივით დასწოლოდა კაცის კერძო ცხოვრებას და თავისუფლებას ყელში უჭერდა... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ასეთმა გამგეობამ აღმოფხვრა სასულიერო წოდების უწინდელი სილაღე, კადნიერება და თავგასულობა და ნაცვლად ყველა ამისა დაამყარა ზნეობრივი დამოკიდებულება,—„ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება"... და ვაი იმას, ვინც გარდავიდოდა მეფის ნებას—„შიში დიდი და ზარი მისი განითქვა კიდეთა ქვეყანისათა და განჰკრთნეს ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისანი" [10]). კაცთ მოყვარე და ლმობიერი მეფე გულის-წყრომასაც დიდს იჩენდა, როცა ტახტსა და დარბაზს პატივით და მორჩილებით არ ექცეოდნენ!...

---

[8]) ibid. 120—4, 135—40.

[9]) ქ.-ცხოვ. 258.

[10]) ibid.

თუმცა სასტიკმა გამგეობამ მეტად შეავიწროვა და შეჰხუთა სასულიერო წოდება, მაგრამ, მეორის მხრით, მეფე არც პატივსა და მფარველობას აკლებდა ამ წოდებას. იმ დროს თითქმის მარტო სასულიერო წოდება შეადგენდა განათლებულს საზოგადოებას და იმის შემწეობით შეიძლებოდა სწავლა-მეცნიერების სამეფოში აღორძინება და გავრცელება. ამიტომ დავით აღმაშენებელი ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობდა სასულიერო წოდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,—„ვინ ჯეროვნად წარმოთქვნეს პატივის პყრობანი მონაზონთანი და სიყვარულით შეწყნარებანი მათნი, თვითოეულისა ნიჭნი და სახმარნი, რომელთა უზრუნველ ყვნის ყოველთა საჭიროთაგანო“,—მოგვითხრობს თანამედროვე მემატიანე. უწინაც სასულიერო წოდებას არ აკლდა მეფეების წყალობა. მაგ., როცა ცამეტნი ასურელნი წმ. მამანი მოვიდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად, ეკლესია განთავისუფლდა სახელმწიფო ხარჯისაგან[11]). მაგრამ ასეთი მზრუნველობა უფრო ღვთის-მოსაობის ნაყოფს წარმოადგენდა, სარწმუნოებრივის გრძნობის დაკმაყოფილებას მოასწავებდა. მხოლოდ დავით აღმაშენებელმა იგი მზრუნველობა აღიარა საზოგადო საჭირო საგნად და ფართო მნიშვნელობა მისცა, სამეფოს მოურნეობად გარდაჰქმნა. ამ შემთხვევაშიც მეფემ ჩვეულებრივი გამჭრიახობა გამოიჩინა და ნათლად დაინახა,—თუ რა ძლიერი იარაღია „უზრუნველ-ყოფილი ყოველთა საჭიროთაგან“ სასულიერო წოდება. და იმ დროს, როცა ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნინოსი თავისის საფინანსო გამგეობით ხალხს აღატაკებდა და საეკლესიო მამულებს გარდასახადს ადებდა[12]), დავით აღმაშენებელი სხვა მიმართულებას დაადგა—მონასტერნი და ლავრანი გაანთავისუფლა ხარჯისაგან, „ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან“[13]). რადა?—მატიანე ამბობს, ამის მი-

[11]) დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია, გვ. 183.

[12]) Веберъ, 429.

[13]) ქ.-ცხოვ. 257. საყურადღებოა, რომ სულტანმაც გაანთავისუფლა სომხეთის სასულიერო კაცნი და მონასტერნი ხარჯისაგან, Варданъ, 134.

ზეზი „საღმრთო მსახურება" იყო, მაგრამ ნამდვილად კი მეფის განკარგულებას უფრო დიდი აზრი ჰქონდა. სასულიერო წოდებას ვალად და ტვირთად არ ედვა მარტო წირვა-ლოცვის და საეკლესიო სხვა-და-სხვა წესის შესრულება. ეგრედ წოდებული საღმრთო მსახურება იმ დროს მრავალგვარს მოღვაწეობას ნიშნავდა და შეიცავდა საზოგადოდ ერის კეთილ-მდგომარეობისათვის შრომას, ზრუნვას, ფიქრს. უწინაც და დავით აღმაშენებლის დროსაც სასულიერო კაცნი ცხოვრების სათავეში იდგნენ და უმეტეს ნაწილად იმათზე იყო დამოკიდებული ერის გონებრივი და ზნეობრივი წარმატება, მკლავითა და ხმლით სამშობლოს დაცვაც კი იმათ წმინდა მოვალეობად ითვლებოდა და ეკლესიის უდიდესნი მსახურნი სისხლს ანთხევდნენ მტერთან ბრძოლის ჟამს.

არც ლავრა-მონასტერში გაისმოდა მარტო ღვთის ვედრება და დიდება, იქაც სახორციელო და საქვეყნო საქმე საკმაოდ მოიპოებოდა და ამიტომ მეფემ ბერ-მონაზონთა მყუდრო სადგური სამეფო მოურნეობის სახლადაც გარდააქცია და საიქოს შემყურებელთ სააქაოსთვისაც ზრუნვა ვალად დასდო. როგორც ეთქვით, ასეთს საღმრთო ვალს უფრო სწავლა-განათლების და ქრისტიანობის აყვავება შეადგენდა და მეფემ ამ ღრს დიდად საჭირო საგანს მიაქცია მონასტერსა და უდაბნოში მყოფთა უპირატესი ყურადღება. როცა გელათის მონასტერი ააგეს, დავით აღმაშენებელმა შეჰკრიბა ყოველივე სახელოვანი მეცნიერი, რომელიც კი მოიძებნებოდა საქართველოში და „ქვეყნისა კიდეთა", თვით მონასტერი დაადგინა „მოძღვრად სწავლულებისად, სახლად ათინად"[14]. ამ ახალს „ათინას" შესწირა დიდი მამული—„ლიპარეტეთი", მრავალი სოფელი და „უზრუნველი ტრაპეზი გაუჩინა". აი სწორედ ამ „ათინაში" და სხვა დიდებულ ლავრა-მონასტრებში იღვწოდა ბერ-მონაზნობა და მეფისგან მინიჭებულ პატივის მიზეზიც ეს იყო. და აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ სწავლა-მეცნიერების მფარ-

[14]) ქ.-ცხოვრება 224. გელათის ზემოდ, იმ ადგილას, სადაც წინად მეფეს ჰსურდა ეს ტაძარი აეშენებინა, იმან დაარსა დ ე დ ა თ ა მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ფერისცვალების სახელზედ, Груз. и Арм. III. 213.

ვული მეფე ჰბაძავდა მაჰმადიანობის მოღვაწეთა. დავით აღმაშენებლის ღვაწლი განათლების ასპარეზზედ და მისგან დაარსებული „ათინა" უნებლიედ გაგონებთ ბაღდადის დიდს აკადემიას, რომელიც „მეცნიერების თავადმა", სახელოვანმა ნიზამ-ულ-მულქმა ააშენა და სახელ-განთქმულნი მსწავლულნი მოიწვია აღმოსავლეთის ყოველ კუთხიდან [15]).

სასულიერო წოდების მეორე მოვალეობა მდგომარეობდა ქრისტიანობის გავრცელებაში და მეფეც დიდს ყურადღებას აქცევდა ამ საქმეს. სასულიერო წოდება გულ-მხურვალედ და ბეჯითობით მოეკიდა თავის მოვალეობას: „მრავალნი ნათესავნი წარმართთაგანი შვილად წმიდისა ემბაზისად" შექმნეს, „შეაწყნარეს ქრისტესა", „მოსტაცეს ეშმაკსა და შეასაკუთრეს ღმერთსა", „ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა" [16]). ამბობენ, რომ მთიულეთსა და არაგვის ხეობაში ქრისტიანობა დანერგა და განამტკიცა წმ. გრიგოლ ნაზიანზინელმა, რომელიც მიიცვალა მეოთხე საუკუნის დასასრულს. დავით აღმაშენებელმა დღესასწაული დააწესა ამ წმ. მამის მოსახსენებლად და ახლაც დუშეთის და მის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი ლიტანიის გადახდით იხსენებენ წმ. გრიგოლის და მეფის ღვაწლს [17]). საზოგადოდ დავით აღმაშენებელმა დიდი შრომა გასწია ქრისტიანობის გასავრცელებლად მთაში, სადაც, იმის დრომდე, მაცხოვრის მოძღვრება მოკლებული იყო ნაყოფიერს ნიადაგსა. ლავრა-მონასტრებიდან ქრისტიანობის ცხოველი სხივნი მზეებრ ეფინებოდა მთელს სამეფოს, ზეგარდმო ნათლითა და შუქით აბრწყინვალებდა თვით მრისხანე და ცივს კავკასიონსა. ლავრა-მონასტერი გონების და ზნეობის აღმზრდელ სკოლას შეადგენდა და ამ სკოლაში მყოფი და იქ განვითარებული მოღვაწე ითვლებოდა მთელ ხალხისათვის ცოცხალ მაგალითად. მეტადრე გელათი შეიქმნა ლამპრად, „წესად, კანო-

---

[15]) Шлоссеръ, 644.

[16]) ქ.-ცხოვ., 247, 257,

[17]) П. Іосселіани, Описаніе гор. Душета, стр. 20, 54—6.

ნად ყოვლისა საეკლესიოსა შვენიერებისად". სასულიერო წოდების არა-სანატრელი გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა საჭიროებდა განვითარებას, სულით და გულით აღდგენას და სწორედ ამ მიზეზით მეფემ უპირატესი ყურადღება მიაქცია ჯერ გელათს [18]) და მერე უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტერთა, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს მწიგნობრობას და განათლებას...

ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებმა დაიწყეს სვლა უცხოეთს, სადაც სწავლას და განადლებას იძენდნენ. ასეთს უცხოეთს შეადგენდნენ ასურეთი, პალესტინა, სინაის მთა და სხ. ხშირად შინაური გარემოება აბრკოლებდა ქართველს თავის სამშობლოში დასდგომოდა განათლების საქმეს და იძულებული იყო უცხოელ ქვეყნისათვის მიემართა, მით უფრო, რომ იქ, უცხოეთში უფრო ჰყვავოდა ქრისტიანობა და განათლება. ამ მიზეზის გამო თავდაპირველადვე დაარსდა მჭიდრო კავშირი ასურეთსა და საქართველოს შორის, მალე დაფუძნდა ანტიოქიაში საკუთარი ქართველთა „ძმობა" (братство), რომელიც გულმოდგინედ იღვწოდა მწიგნობრობის ასპარეზზედ. ჯერ ისევ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ეს ძმობა შეუდგა საეკლესიო წიგნების თარგმნას და დაჰბადა ისეთნი შესანიშნავნი მთარგმნელნი, როგორნიც იყვნენ, მაგ., ანტონი, საბა, სტეფანე და სხ.. ცამეტნი ასურელნი წმ. მამანი, რომელთაც საქართველოში ქრისტიანობა განამტკიცეს, ანტიოქიის მხრიდან მოვიდნენ და, უეჭველია, იმათ სურვილსა და მოღვაწეობაზედ გავლენას იქონიებდა ხსენებული ძმობაც. არც შემდეგში დაჰკარგა ანტიოქიამ ჩვენთვის მნიშვნელობა. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეს იქ არსებდნენ სახელ-განთქმულნი ქართულნი მონასტერნი, სადაც მწიგნობრობა აყვავდა და უმაღ-

---

[18]) ამბობენ, გელათი დ. აღმაშენებელმა და აფხაზეთის კათალიკოზ ევდემონმა ააგეს ბიჰვინტის ტაძრის მსგავსადაო, Груз. и Арм. III. 170—1, 189, 304. ბროსსეს-სიტყვით, XI საუკ. აფხაზეთს კათალიკოზი არა ჰყავდა, H. de la G. I. 193 п. 3. ახალ გამოკვლევით, გელათის მონასტერი ბაგრატ მე-IV ააშენა და დავით აღმაშენებელს ეკუთვნის მხოლოდ გელათის დიდი ეკლესია, რომელიც მეფემ დაიწყო 1106 წელს, თ. ჟორდანიას «ქრონიკები»... 144, 202, 238—9.

ლეს წერტილამდე მიაღწია. იმ დროს ანტიოქია ჯერ ბიზანტიას და მერე ჯვაროსნებს ეკუთვნოდა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ქართველთა მოღვაწეობას [18]).

მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა სინაის მთას ჰქონდა. იქაც ძველადვე აღორძინდა ქართული მწიგნობრობა. მეშვიდე და მერვე საუკუნის განმავლობაში სინაიზედ გადმოთარგმნეს რამდენიმე ფრიად საჭირო საეკლესიო წიგნი. უმეტესი ნაწილი მშვენიერ ხელ-ნაწერთა, რომელნიც ახლაც დაცულნი არიან და არქეოლოგნი განცვიფრებაში მოჰყავთ, სინაის მთაზე სთარგმნეს მეათე საუკუნის ნახევარს ქართველ ბერ-მონოზნებმა. საქართველოს ეკლესია და მადლობელი შთამამავლობა არასოდეს არ დაივიწყებს ნეტარ-ხსენებულ და სახელოვან მწიგნობართა — მიხეილს და ევსტაფის, რომელთაც მკვიდრი საფუძველი ჩაუდგეს მეშვიდე და მერვე საუკუნეში თარგმანების საქმეს სინაიაზე [19]). დავით აღმაშენებელმა, თავის მხრით, ღირსეულად დააფასა სინაის მოღვაწეთა პატიოსანი შრომა, წმ. ეკატერინეს სახელზე ახალი მონასტერი ააგო და შესწირა მრავალი ოქრო, ძვირფასი სამკაული, „წიგნები საეკლესიო სრულებით“. ამას გარდა, ახლად დაარსებულ მონასტერს დიდი შემოსავალი გაუჩინა და საკმაო მამული უბოძა. ეს შემოსავალი და მამული ახლაც სინაის მონასტრებისაა, თუმცა უკანასკნელნი საქართველოს აღარ ეკუთვნიან. ამ უხვმა წყალობამ დიად რომ ააყვავა როგორც წმ. ეკატერინეს, ისე სხვა მონასტერნი სინაის მთისა და განათლებამ იქ პირველი ადგილი დაიჭირა. ეს სასიქადულო პირველობა მეთექვსმეტე საუკუნემდე არ შეწყვეტილა. მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული ექვსასის წლის განმავლობაში სინაის მონასტერნი უხვად ჰფენდნენ საქართველოს განათლების სხივებს და იქაც რომ მნათობი გამქრალიყო, იქნება ივერია უმეცრების წყვდიადს შთა-

18) А. Цагарели, Пам. груз. стар. въ Св. землѣ и на Синаѣ, 1888 г. Сб. 27—31, 38.

19) ibid. 38, 43. იმავე ავტორის Свѣд. о пам. груз. пис. в. I. XXVI.

ენთქა, რადგანაც ის დრო შავი და ბნელი იყო ჩვენის სამშობლოსათვის...

წინად კი მნათობლად ითვლებოდა წმ. საბას ქართული მონასტერი პალესტინაში [20]. საბას მონასტერი, რომელიც მდებარებს მეწამულ ზღვისკენ, იერუსალიმიდან სამის საათის სავალზე, დაარსდა მეექვსე საუკუნეს და პირველადვე მიიზიდა ქართველობა. ჩვენის მწიგნობრობის წარმატება აქ დაიწყო მეცხრე საუკუნის ნახევარს და გაგრძელდა მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე, როცა სინაის მთამ უფრო მეტი სიმხნე და ღვაწლი გამოიჩინა. წმ. საბას ლავრასთან ქართველებს ჰქონდათ საკუთარი მონასტერი — „ქვაბი ქართველთა“ (пещерная церковь). ამბობენ, რომ ქართველებსვე ეკუთვნოდათ ნაზარეთში ოთხი ეკლესია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს ვახტანგ გორგასლანის დროსაო, მაგრამ სწავლა განათლების წინაშე მნიშვნელობა და ღვაწლი მხოლოდ წმ. საბას ლავრას მიუძღვოდა. მთლად აღმოსავლეთის ქრისტიანობა და კერძოდ ქართველობა დიდის პატივით და თაყვანის ცემით შეჰყურებდა ამ ლავრას. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს წმ. საბას ლავრაში თერთმეტი ათასი ბერ-მონოზანი იმყოფებოდა [21]. პალესტინას საზოგადოდ დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზედ და, როცა ჩვენში ქრისტიანობა დამყარდა, წმინდა ადგილნი იზიდავდნენ ქართველის სულსა და გულსა. მაინც პალესტინა და კერძოდ იერუსალიმი მთელ ქრისტიანობისათვის ყოველთვის უფრო სათაყვანებელი და სადიდებელი იყო. იქ ქრისტიანობით აღტაცებულს ნათლად აგონდებოდა ჯვარ-ცმული მხსნელის ცხოვრება, მისი ზეციური მოძღვრება, სასწაულთ მოქმედება. იქ შეეძლო აღმაღლებულიყო ცათამდე და დამტკბარიყო სარწმუნოებრივის გრძნობით, რომელიც უხილავს ნეტარებას და სიამოვნებას ჰფენს კაცის არსებას.. პირველადვე ახლო დამოკიდებულობა დაიდო საქა-

[20]) ქ.-ცხოვ., 256. Памятники грузинской старины... 128, 130—5. П. Іоселіани, Древности Тифлиса, 66 и слѣд. Исторія груз. церкви, 76.

[21]) А. Цагарели, Памятники груз. старины... 126.–8, 130–2, 222.

რთველოსა და იერუსალიმის შორის და მეხუთე საუკუნეს ქართველებმა საკუთარი მონასტერი დააფუძნეს წმ. ქალაქში [22]). უპირველეს მონასტრად ითვლება წმ. იოანე ღვთის-მეტყველის სახელზედ დაარსებული მონასტერი. ამბობენ, რომ იგი ააგო ვახტანგ გორგასლანმა და შემდეგ იუსტინიანე იმპერატორმა განაახლაო. აგრეთვე უძველეს ნაშთს შეადგენს წმ. სვიმონ მიმრქმელის მონასტერი, რომელიც იწოდება კატამონის მონასტრად და მდებარეობს იერუსალიმის მახლობლად, მაღლობ ადგილს. ამ მონასტერში ქართველნი იღვწოდნენ, ვიდრე მეთერთმეტე საუკ. ნახევარს სახელოვანი პროხორე განაახლებდა დიდებულს ჯვარის მონასტერსა [23]), რომელიც, შემდეგ განახლებისა, შეიქმნა ლამპრად განათლებისა და მწიგნობრობისა. ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომ მეფე მირიანმა დაიწყო ჯვარის მონასტრის საძირკველით და, თუ ეს მართალია, მაშინ ამ მონასტერს უნდა ეკუთვნოდეს უფროსობა. ჯვარის მონასტრის ნამდვილი და საბუთიანი ამბავი კი მომდინარეობს იმ დროიდან, როცა ბაგრატ მეოთხემ, იმისმა დედამ და წმ. ეფთიმემ განიზრახეს ამ მონასტრის განახლება, ხარჯი და შემწეობა აღმოუჩინეს და საქმე პროხორეს მიანდეს. არც წინად აკლდა ჯვარის მონასტერს მეფეების წყალობა. საქართველო ყოველთვის ხელ-გაშლით და გულ-უხვად უგზავნიდა შესაწირავს თავის უფროს მონასტერსა. ეგრეთ წოდებული **მამის ჯვარობა**—ამ მონასტრის წინამძღვარობა—შეადგენდა დიაღ საპატიო ხარისხს და ხელობას,—**მამის ჯვარელი** იყო გოლგოთის წინამძღვარიც და მას ემორჩილებოდნენ მთლად პალესტინაში მყოფნი ქართველნი ბერ-მონოზანნი. დავით აღმაშენებლის დროს მამის ჯვარობა ნაბოძი ჰქონდა არსენ იყალთოელს, რომელმაც მეფის საფასით გაამშვენიერა ეს ძველი ჩვენი პანთეონი, სადაც განისვენებენ მრავალნი წარჩინებულნი გვამნი და მათ შორის გენიოსი მგოსანი, ჩვენი უკვდავი დიდება—შოთა რუს-

[22]) ibid. 32—7, 129. იერუსალიმის ახლოს მეექვსე საუკუნეში ლაზებს საკუთარი მონასტერი ჰქონდათ.

[23]) ibid. 116—17, 123—4, 200.

თველი [24]). ჯვარის მონასტრის სვეტი და კედელნი შემკულია მშვენიერის მხატვრობით, თვით შენობა ლამაზი და თვალის მომხიბლავია. ქართველთ გარდა, ამას ჰმოწმობენ უცხოელნი მოგზაურნიც. შუა საუკუნეთა დროს ამ მონასტრის მხატვრობას და სიტურფეს ალტაცებაში მოჰყავდა მლოცავნი და ახლაც მხატვრობა სასიამოვნო სანახავიაო [25]).

დიაღ, დავით აღმაშენებელმა დიდი ღვაწლი დასდო ჯვარის მონასტრის აყვავებას. იმის დროს იქ მოღვაწეობდნენ მრავალნი სახელოვანნი მწიგნობარნი და მეცნიერნი. იქ ილვწოდა, სხვათა შორის, შესანიშნავი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც შემდეგ ქ. გრემს, კახეთში, დაარსა აკადემია. ქართველთ სხვა მონასტერნიცა ჰქონდათ იერუსალიმში, მაგ., ილიას და იაკობის სახელზე დაარსებული მონასტერი, რომელიც ბაგრატ მეოთხის მამამ ააშენა და რომელიც იერუსალიმის ყველა მონასტერზე მაღლა სდგას ხუროთ-მოძღვრების ხელოვნებითა. წინად, დავით აღმაშენებლის დრომდე, ილიას და იაკობის მონასტერში ქართული ფული იჭრებოდა [26]), ფულის საჭრელი მანქანა იქ იყო გამართული, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, უბედურება თავს დაგვატყდა მტრების გამო და სომხებს ვალში დარჩათ ჩვენი მშვენიერი მონასტერი. მეფემ არც სხვა ქვეყნის მონასტრებს დააკლო წყალობა,—„ალავსნა სიკეთითა" ასურეთის, კიპრის, საბერძნეთის, ბოლღარეთის და კილიკიის ლავრანი [27]), ტრაპეზონის პირდაპირ, ღვთის მშობლის მიძინების სახელზე, დააფუძნა ეგრედ წოდებული სულემის მონასტერი [28]) და საცხოვრებელი დაუნიშნა. რასაკვირველია, დავით აღმაშენებელმა თავის სამეფოშიაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ლავრა-მონა-

---

[24]) ibid. 43—5, 89—93. თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორია, 275—83, 292, 295.

[25]) П. Іосселіани, Древ. Тиф., стр. 63. А. Цагарели, Памятники груз. стар... 98, 104. ჯვარის მონასტერი 1643 წ. განაახლა გამოჩენილმა ნიკიფორე ჩოლაყაშვილმა.

[26]) ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, 280, 290. А. Цагарели, Памятники... 117—119.

[27]) ქ.-ცხოვ., 256. Chron. Arm. 60

[28]) თეიმურაზის ისტორია, 283.

სტერთა აშენებას და განახლებას. იმის ღვაწლით აშენდა შიო-მღვიმის დიდი და შესანიშნავი მიძინების ეკლესია, განახლდა მარტყოფისა და და იოანე ნათლის მცემლის მონასტერი [29]) და სხ.. ასეთი იყო დროთა ვითარება და დიდებული მეფეც უნებლიედ მისდევდა ჟამთა ბრუნვას. ცხოვრების ჩარხს უმეტესად სარწმუნოებრივი ძალა ატრიალებდა და მიზეზიც ეს არის, რომ დიდი მხნეობა, შრომა და ფასი დაიხარჯა ეკლესია-მონასტრებზე. დავით აღმაშენებლის შემდეგ, პალესტინასა და იერუსალიმში ქართულ მონასტერთა უფრო მეტი პატივი მიენიჭათ. თამარ მეფე ზავით შეეკრა ასურეთისა დ̃ ეგვიპტის სულტანს, —ქართველთ კარგად მოექეცით, ნუ შეავიწროებთ და ჩვენი მონასტერნი ხარჯისაგან გაანთავისუფლეთო. მოგზაურნი და მწერალნი მოგვითხრობენ, რომ მაჰმადიანნი მართლაც კრძალვით და მოწიწებით ეპყრობოდნენ ქართველებს, რომელნიც სიმღერით დ̃ გაშლილ ბაირაღით შედიოდნენ იერუსალიმშიო. მაჰმადიანობამ მარტო ჩვენ მოგვანიჭა ასეთი უფლება და პატივი, რომლითაც სხვებთან ასე თავი მოგვქონდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულამდე [30]). შემდეგ კი მამა-პაპათაგან ნაამაგევი სახელი აგვეყარა და მხოლოდ ცარიელი წარსული დიდება-ღა შეგვრჩა...

ლავრა-მონასტრების აყვავებას თან მოჰყვა გონებრივი მოძრაობა, განათლების აღორძინება. უკვე არსებულ ლიტერატურას ფრთები შეესხა, წარმატება და წინ-მსვლელობა დაეტყო. იმ დროინდელს ქართულ ლიტერატურას, მართალია, ცხადად ამჩნევია მონასტრული და სქოლასტებრივი მიმართულება, იგი უმეტეს ნაწილად მოკლებულია ცხოველ-მყოფელ და შემოქმედებითს ძალას, მაგრამ თვით ევროპაშიც ლიტერატურას ეგრეთი ხასიათი და მიმართულება ჰქონდა. საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ საქართველომ შეითვისა და შეიძინა თითქმის მთელი იმდროინდელი მეცნიერება. ბიზანტია ხომ ძველადვე განათლების წყარო იყო საქართველოსთვის. ხოლო დავით აღმაშენებლის დროს ქართულ ლიტერატურაზედ დიდი გავლენა იქონია არაბულმა განათლებამაც. არაბნი ღვთის-

---

29) Груз. и Арм. I. 63, 278, III. 6, 23.
30) А. Цагарели, Пам. груз. письм.... 48—61.

მეტყველების და ბერძნულ ფილოსოფიას გარდა, საოცარ შრომის-მოყვარეობით და მეცადინეობით სწავლობდნენ ბუნების მეცნიერებას, ასტრონომიას, ისტორიას, ფილოლოგიას, სჯულსა და სამართალს, მათემატიკას, რიტორობას, სხვა-და-სხვა ხელოვნებას. იმათი განათლება, რომელმაც ჯერ ისევ მეცხრე საუკუნეში შუქი მოჰფინა ქვეყანას, დავით აღმაშენებელის დროს უმწვერვალეს ხარისხამდე მივიდა და სრულიად დაჩრდილა ევროპის სწავლა. ევროპა არაბეთს შესცქეროდა, იქიდან მოელოდდა ცოდნას. ევროპელ სწავლულებს არაბულნი მეცნიერნი მიაჩნდათ თავიანთ ხელმძღვანელად, მასწავლებლად,—თითქო მხოლოდ არაბეთში მოიპოებოდა ჭკუა და გონება. ღირსნიც იყვნენ არაბნი ასეთის ყურადღებისა. მოკლე დროის განმავლობაში იმათ საკვირველი ნიჭი გამოიჩინეს, დიდი ღვაწლი დასდეს კაცობრიობის განვითარებას,სისწრაფით მოჰფინეს განათლება აზიას, აფრიკას და ევროპას. არაბების დიდს სკოლებს და აკადემიებს ჩვენ დროშიც კი განცვიფრებით იხსენებენ ევროპელნი მეცნიერნი [31]).

არაბებს და საზოგადოდ მაჰმადიანებს ორგვარი სკოლა ჰქონდათ,—დაბალი, რომელიც მიზგითთან იყო გამართული და დიდი ანუ აკადემია. ეს უკანასკნელი ქალაქში მდებარებდა. დაბალ სკოლაში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გრამატიკას, პოეზიას, მაჰმადის მოძღვრებას (კურანი). ასეთი სკოლა მოსწავლეს ამზადებდა უმაღლეს სასწავლებლისათვის: დაბალ სკოლიდან შეგირდები აკადემიაში გადადიოდნენ და იქ იძენდნენ უმაღლეს სწავლას, რომელსაც, სხვათა შორის, შეადგენდა ფილოსოფია, ლოღიკა, დიალექტიკა. ბუნების მეცნიერების შესასწავლად საკუთარი სკოლები ჰქონდათ. მკურნალობას, დოსტაქრობას და სხვა, რაც ამ მეცნიერებას შეეხება, პროფესორები სასნეულო სახლში (ქსენონი) ასწავლიდნენ,—სწავლას პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა. თვითეულს დიდს სკოლას, აკადემიას უეჭველად ჰყავდა უფროსი პროფესორი, რომელსაც ებარა

31) Виллъменъ, 141—52. Веберъ, 457—9.

სწავლის საქმის გამგეობა. ყველა დიდ ქალაქში მიუცილებლად აკადემია იყო [32]. ბიზანტიელთაც ჰქონდათ „დიდნი სასწავლებელნი“ მცირე აზიის ზოგ ქალაქში. იქ ასწავლიდნენ მათემატიკას, ასტრონომიას, მკურნალობას. ამბობენ, რომ იმ სასწავლებლებმა დიდი გავლენა იქონიეს არაბულ განათლებაზედ [33].

ჯერ კიდევ გამოკვლეული და განმარტებული არ არის, — თუ როგორ იყვნენ მოწყობილნი სასწავლებელნი საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს [34], მაგრამ შეიძლება კი ნამდვილად ვთქვათ, რომ მაშინდელი ჩვენი სწავლის საქმე ბერძნულ-არაბულ წესზედ დაფუძნდა. იმ დროინდელი ქართული **დიდი სასწავლებელი**, აკადემია ძლიერ მიაგავს ბიზანტიულ და არაბულ უმაღლეს სასწავლებელს. თვითეულს ქართულ აკადემიასაც ჰყავდა უფროსი პროფესორი, რომელსაც სასწავლებლის მართვა და გამგეობა ეკუთვნოდა. იმ დროს მარტო ქართლ-კახეთში სამი აკადემია იყო. ქ. გრემს აკადემია დაარსა ათინაში აღზრდილმა იოანე ჭირჭიმელმა, პეტრიწად წოდებულმა და იგი ითვლებოდა ამ აკადემიის უფროს პროფესორადაც. იყალთოს აკადემიას განაგებდა არსენი, ტფილისისას — გრიგოლი. ყოველ აკადემიაში ასწავლიდნენ ღვთის მეტყველებას, ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურას და სხ. [35]. არა ერთი და ორი საბუთი ამტკიცებს, რომ მაშინდელმა ქართველმა პროფესორებმა ზედ-მიწევნით იცოდნენ ბერძნულ-არაბული მეცნიერება და, მაშასადამე, ქართულ აკადემიაშიც სწავლის საქმე ივლიდა იმ გზით და წესით, როგორც ბერძნულ-არაბული განათლება თხოულობდა. მსგავსება კიდევ იქიდან სჩანს, რომ საქართველოშიც ყოველ შესანიშნავ ტაძარ-მონასტერთან გამართული იყო **დაბალი სკოლა**, სადაც შეგირდები ემზადებოდნენ აკადემიაში შესასვლელად. ამ დაბალ სკო-

---

[32]) Веберъ, 459.

[33]) Шлоссеръ, 357.

[34]) თითო-ოროლა ცნობა ამ საქმის შესახებ მოიპოება თ. გრუზინსკის წიგნთსაცავში, რომელიც 1880 წ. ს. პ. საიმპერატორო ბიბლიოთეკამ შეიძინა, Цагарели, Свѣдѣнія о пам. груз. письм.... XXXVIII.

[35]) თეიმურაზის ისტორია, 295, П. Іос., Ист. груз. цер. 71—2, 79.

ლების გამრავლებას ხელი მიჰყო და დიდი შრომაც დასდო გამოჩენილმა იოანე ტაიჭის ძემ, რომელიც განგებ ამ საქმისთვის მოვიდა ათონიდან და—

„სწავლა გაჰფინნა, ქართველნი აღაყვავნა“ [36])...

თვით დავით აღმაშენებელმა უფრო უმაღლეს განათლებას მიაქცია ყურადღება და ამიტომ, როგორც წინადაც მოვიხსენეთ, ორმოცი ახალგაზდა გაგზავნა ათინაში [37]).

იმ დროის ფილოსოფიას აღარ მოეპოებოდა უწინდელი თავისუფლება და სიცოცხლის ძალა. ღვთის-მეტყველებას უფრო მეტი სიცხოველე და შემოქმედება დაეტყო. ამიტომაც ღვთის-მეტყველებამ თითქო სრულიად სძლია ფილოსოფიას, დაიმონავა, ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრებას დაუმორჩილა და აზრის თავისუფალი აღმაფრენა მოუსპო. ყველგან ღვთის მეტყველება მეფობდა, ყველგან იგი ბატონობდა. თვით პიიტიკოსნიც, ფანტაზიით ღატაკნი, საღვთის-მეტყველო ჰანგს უფრო ეტრფიალებოდნენ. ჯერ პლატონი და მერე არისტოტელი შეიქმნა სიბრძნის დასაბამად. მწიგნობარნი და მეცნიერნი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ღვთის-მეტყველება დაემყარებინათ ამ სახელოვან ფილოსოფოსთა სწავლაზე. ასეთს მიმართულებას მისდევდნენ როგორც ქრისტიანნი და ებრაელნი, ისრე არაბნი და საზოგადოდ მაჰმადიანნი [38]). არც ქართველნი ფილოსოფოსნი ასცდნენ ამ გზას. იმათ საფილოსოფოსო აზრსაც თავისებურება აკლია, იგინიც პლატონს და არისტოტელს ეთაყვანებიან, ემონებიან, კრძალვითა და განკვირვებით უსმენენ, თითქო წინააღმდეგობა მომაკვდავი ცოდვააო... ჟამთა ვითარება ამას თხოულობდა. ეს უსაზღვრო თაყვნის-ცემა შეადგენდა საერთო ხარკს, რომელსაც განათლებული საზოგადოება სწირავდა საბერძნეთის უდიდეს ფილოსოფოსთა. მაშ რა საკვირველია, რომ ქარ-

[36]) წყობილსიტყვაობა ანტ. კათალიკოზისა, 1853 წ. გვ. 204 და სხოლიო.

[37]) Варданъ В. 147.

[38]) Чичеринъ, Ист. полит. уч. I ч. стр. 165 и слѣд. Веберъ. 417, 460—2, 470—1.

თული აზროვნებაც სრულიად დაემორჩილა არისტოტელს, პლატონს და ეგრედ წოდებულ ნეოპლატონთა სწავლას. დიდ ხანს გაგრძელდა ეს მონობა. მხოლოდ პოეზიამ უფრო მალე შემუსრა ღვთის-მეტყველების ჯაჭვი და თამარ მეფის დროს საერო ჰანგზე დაიწყო ჟღერა...

დავით აღმაშენებლის დროის ლიტერატურა ჩვენს ისტორიაში *კლასიკურად* იწოდება. საზოგადოდ ძველი ქართული ლიტერატურა შეიძლება ორ დიდ უმთავრეს ხანად გაიყოს: პირველი ხანა შეიცავს მწერლობას მეხუთიდან მეთორმეტე საუკუნემდე, ხოლო მეორე იწყება მეცამეტე საუკუნიდან და გრძელდება მეჩვიდმეტემდე. ამ მეორე ხანას განმავლობაში საქართველოს გონებრივი მოძრაობა შეფერხდა, თითქმის შესწყდა. პირველი სალიტერატურო ხანა კიდევ ორად უნდა განაწილდეს. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული მეცხრემდე ლიტერატურა ემზადებოდა, ძალ-ღონეს იძენდა, ნელ-ნელა იზრდებოდა. მაშინ გადაითარგმა ყველა საჭირო საეკლესიო წიგნი და ზოგი სალვთის-მეტყველო თხზულება. მეათე საუკუნიდან მეთორმეტემდე მწერლობა სრულიად განვითარდა, უმაღლეს წარმატებამდე მივიდა. ღვთის-მეტყველებას გარდა, აღორძინდა სხვა-და-სხვა შტო სწავლა-მეცნიერებისა [39]). ამ უკანასკნელ დროს ეკუთვნის კლასიკური მწერლობა.

დავით აღმაშენებლის მეფობა შესანიშნავია ქართულ ლიტერატურისათვისაც. მაშინ იღწვოდნენ სახელოვანნი კლასიკნი, რომელთაც ააყვავეს სამშობლო მწერლობა და ფართო მიმდინარეობა მისცეს გონებრივს სვლას. ზოგნი იმ კლასიკთაგანი უფრო ფილოსოფიას და საერო მეცნიერებას მისდევდნენ, სხვანი კი სალვთის-მეტყველო სწავლას ემსახურებოდნენ. მაგრამ რადგანაც იმ დროს ღვთის-მეტყველებას მაინც უპირატესობა ეკუთვნოდა, თვით ფილოსოფნიც ღვთის-მეტყველობდნენ.

პირველ ფილოსოფოსად ითვლება იოანე ჭირჭიმელი, პეტრიწად წოდებული, „უბრძენესი ბრძენთა შორის“, „ჭეშმა-

[39]) А. Цагарели, Свѣдѣнія... XXIV, XXX, 16.

რიტი ფილოსოფოსი", რომელსაც ღრმად შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა ყოველგვარი მეცნიერება. იმ დროინდელმა ძლიერმა სქოლასტიკამ პეტრიწის მაღალი გონებაც დაიმორჩილა. სახელოვანი ფილოსოფოსი, „ნივთთა" გარდა, მიუწდომელ „მიზეზთა" გამოკვლევასაც ეძიებდა და, ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, კიდეც იცოდა

„არა თუ ოდენ ნივთნი,
არამედ მიზეზნიცა"...

მეორეს მხრით, არაბულმა განათლებამაც თავისი გავლენა დაამჩნია ღრმა ფილოსოფოსს. სხვა მეცნიერების გარდა, არაბნი გატაცებით სწავლობდნენ ასტრონომიასაც და დიდი ღვაწლიც დასდეს ვარსკვლავთ მრიცხველობას, თუმცა ისიც ნამდვილია, რომ იმათი საასტრონომიო ცოდნა ასტროლოღიასაც საკმაოდ შეიცავდა. რაც უნდა იყვეს, მაინც მთელ შუა საუკუნეთა განმავლობაში ევროპა არაბულ წიგნებიდან იძენდა ასტრონომიულ სწავლას. ეს სწავლა, არაბთა გავლენის გამო, საქართველოშიც გავრცელდა. ჯერ ისევ 1258 წ. ტფილისს საკუთარი ასტრონომიული ობსერვატორია ჰქონდა [40]). რადგანაც ქართველ ფილოსოფოსმა არაბული განათლებაც მიიღო, ამიტომ იგი ცნობილია ეგრედვე ასტრონომად და ასტროლოღად. ამას უნდა დავუმატოთ რიტორობა და პიიტიკოსობა —

„იოანისნი ბრწყინვენ ლექსნი მზიანი,
სიმაღლით სხვათა უზეს ყოვლად ციანი" [41]).

სიტყვიერების და ენის ცოდნითაც „უბრძენესი ბრძენთა შორის" მაღლა სდგას ყოველს თავის თანამედროვეზედ. პეტრიწმა „ფრიად გაამშვენიერა" დედა-ენა, განაბრწყინვა ქართული სიტყვიერება „ენა მზეობითა და კვეცილითა ლექსებითა და შვენიერითა თხზულებითა" [42]). საყურადღებოა, რომ იმ დროს ევროპაშიც ლათინურს ცოტად მაინც ფრთები შეეკვე-

[40]) Шлоссеръ, 358, 360.
[41]) წყობილ-სიტყვაობა, 255.
[42]) თეიმურაზი, გვ. 296.

ცა და სახალხო ენას დაედო პატივი. ამ ენის ხმარებას მიმართა ლიტერატურამ [43]). საქართველოში თუმცა დიდს ყურადღებას აქცევდნენ სამშობლო ენის განვითარებას და ათონის წმ. მამებმა ბევრი იშრომეს ენისა და სიტყვიერების ასაღორძინებლად, მაგრამ პეტრიწის ღვაწლი უფრო დიდად შესანიშნავია: თუ არ იმის დიდი ნიჭი და შრომა, იქნება ქართულ სიტყვიერებას არ მიეღწია იმ სიმშვენიერემდე, რომლითაც შოთა რუსთველი და სხვანი მისი თანამედროვენი ჰხიბლავენ მსმენელსა. და მართლად განცვიფრებულია ანტონ კათალიკოზი, როცა პეტრიწის „ენა-მზეობას“ იგონებს—

„არ შესაძლო არს ჩემდა ესე, მამაო,
„რათა ვამჰსგავსო ფრასთა შენთა სიტყვანი“...

პეტრიწმა დასწერა კიდეც საგრამატიკო თხზულება. იგი ცხადად ამტკიცებს ავტორის მახვილ-გონიერებას და ღრმა სპეციალ ცოდნას [44]). რასაკვირველია, ფილოსოფოსმა ზედ-მიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურაც და, როგორც ამბობენ, ქართული კატალოგი შეადგინაო [45]).

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ იმ დროს არისტოტელი მეფობდა, იმის ბატონობას საზღვარი არა ჰქონდა, თვითეული მეცნიერი იმის თაყვანის-მცემელი და მადიდებელი იყო. მეტადრე არაბნი დიდად აფასებდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსს დასახელად „მეორე მაჰმადს“ უწოდებდნენ [46]). ჩვენს „ჭეშმარიტს ფილოსოფოსსაც“, რასაკვირველია, შეგნებული ჰქონდა არისტოტელის ღირსება და დიდება და რამდენიმე მისი თხზულება გადმოიღო ქართულ ენაზედ, სთარგმნა ეგრედვე პროკლე დიოდოხის „კავშირნი“ (Органонъ) [47]), იოსებ ფლავიოსის ის-

---

[43]) Вилльменъ, 111.

[44]) А. Цагарели, „О грам. литер. груз. яз. 1873 г. стр. 12—15, 106 и примѣч. 9.

[45]) Свѣдѣнія о пам. груз. письм.... IV.

[46]) Шлоссеръ, 358—9.

[47]) П. Іос., Ист. груз. церк. 72. მეფე ერეკლე II დროს მზექაბუკ ორბელიანმა დასწერა არისტოტელის კატეგორიისა და პროკლე დიოდოხის «კავშირთა» განმარტებანი. Древн. Тифл. 165.

ტორია და სხვ.. პეტრიწის საპიიტიკოსო მოღვაწეობაც საყურადღებოა. პიიტიკოსობის საზოგადო მიმართულებამ და ხასიათმა თავისი ბეჭედი დაასვა ქართველ მელექსესაც. იმ დროს ბიზანტიაში პოეზია სარწმუნოებრივს გრძნობას დამღეროდა, სა-ღვთის-მეტყველო ხმაზედ ჟღეროდა [48]. არაბნიც ამ გემოს ამჯობინებდნენ. იმათნი ღვთის-მეტყველნი დიდის ხალისით სწერდნენ ლექსებსა, მაგრამ იმ ლექსებში ჭეშმარიტი პოეტური მადლი სრულიად არ მოიპოვებოდა [49]. პეტრიწიც არაბთა და ბიზანტიელთა პოეზიის კვალს დაადგა და ლექსით შეადგინა იამბიკო მღვთის-მშობლის სადიდებლად, პროლოღი მსოფლიო წმიდათა პატივად, ეგრეთვე ლექსით (ზოგი პროზით) გადმოიღო ქართულ ენაზე კლემაქსი იოანე სინაიტელისა. ამასთანავე პეტრიწი სახელოვანი ღვთის-მეტყველიც იყო,—სთარგმნა სხვა-და-სხვა წიგნი ახალის აღთქმისა, იოანე ოქროპირის „განმარტება მარკოზის მახარებელისა“ [50].

პეტრიწის შემდეგ წარჩინებული ფილოსოფოსი იყო არსენი, თავადის იბად ვაჩნაძის ძე, იყალთოელად წოდებული [51], რომელიც ჯვარის მონასტერში აღიზარდა. მართალია, არსენიმ არცერთი საფილოსოფოსო თხზულება არ დაგვიტოვა, მაგრამ თავის „დიდს სასწავლებელში“ ფილოსოფიას თითონ ასწავლიდა და საფილოსოფოსო სწავლას კათედრიდან ჰფენდა და ავრცელებდა—

„ამისი არს საქებელ...
ფილოსოფია ხედვითი პრაქტიკათურთ“...

განყენებულ ფილოსოფიას გარდა, არსენმა საფუძვლიანად იცოდა ბუნების მეცნიერებაც—ფიზიკა, ანატომია. ლოღიკოსობა, პიიტიკოსობა და რიტორობა იმ დროს ხომ მიუცილებელს

---

[48]) Вилльменъ, 167.

[49]) Веберъ, 463—4. მადლი და შემოქმედებითი ძალა ამხნევია მხოლოდ არაბულს ლირიკას.

[50]) ალ. ცაგარლის Свѣдѣнія... 44, 59. წყობილ-სიტყვაობა, გვ. 253, სხოლიო.

[51]) Памятники груз. стар... 110.

საგანს შეადგენდა და ანტონ კათალიკოზი, სხვათა შორის, ასე ამკობს იყალთოელ პრაკტიკულს ფილოსოფოსს—

„არსენის ფრასი ბრწყინვალე, მშვენიერი,
ალიღორიკა განსაკვირო მაღალი“ [52]).

კალმით არსენი განსაკუთრებით სღვთის-მეტყველო მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეობდა. იმის უმთავრეს მიმართულებას და სამწიგნობრო საგანს შეადგენდა მწვალებლობის დევნა, მასთან ბრძოლა და მართლ-მადიდებლობის დაცვა. დროთა ვითარება თხოულობდა ამგვარ მოღვაწეობას. მთელ აზიასა და საქრთველოში გავრცელდა ნესტორიანთა და სხვა მწვალებელთა მოძღვრება. იმათნი ბერ-მონაზონნი დამხობას უქადიდნენ მართლ-მადიდებლობას, ცრუ მოძღვრებას ჰნერგავდნენ საზოგადოებაში. ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ დიოგენმა ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და ბოროტების აღმოსაფხვრელად საქართველოს საზღვრად მოვიდა. ამბობენ, იმპერატორს ჰსურდა, რომ ძალად სომხეთში მართლ-მადიდებლობა გაევრცელებინა და ყარსში კიდეც დასწვა სომხური ეკლესიაო, მაგრამ სარწმუნოების ერთგულს გვირგვინოსანს აღარ დასცალდა მწვალებლობის მოსპობა: რომანოზ იმპერატორი ჯერ ალპ-არსლანმა დაატყვევა ომში და მერე შემდეგმა იმპერატორმა თვალები დასთხარა [53]). ენა-მჭევრი და ღრმა ლოღიკოსი არსენ იყალთოელი მედგრად ებრძოდა სომეხთა და ნესტორიანთა, ჰქქდა და გრგვინავდა იმათ მოძღვრების შესამუსვრელად—

„ერთ-ბუნებიანთ, სომეხთა-დ ჰქუხს არსენი,
ჰსტყორცს ცეცხლთ, განმეხავს, ჰსწვავს, ადნობს, განაქარვებს“...

არსენიმ ნესტორიანთა მწვალებლობის მოსასპობლად სთარგმნა ქართულად იოანე დამასკელის პოლემიკური თხზულე-

[52]) წყობილ-სიტყვაობა, 260—62.

[53]) П. Іосел., Ист. груз. церк. 73—5. Варданъ, 127.

ბა — „ოქროს ნექტარი“[54]). როგორც წინად, ისრე იმ დროს მართლ-მადიდებელი ეკლესიის მშვიდობიანობას არღვევდა სხვა-და-სხვა მწვალებლობა. დიდად ღელავდა მეტადრე ბიზანტია, სადაც მართლ-მადიდებლობას ბევრი შინაური მეტოქე ჰყავდა. წმ. მამანი და ღვთის-მეტყველნი თავის ძალ-ღონეს მწვალებლობის და მეტოქობის დათრგუნვას ახმარებდნენ. თუმცა საქართველოს ეკლესია მყუდროდ იყო და შინაურობაში მწვალებლობას არვინ უქადიდა, მაგრამ ქართველი ღვთის-მეტყველნი, ბიზანტიის ბაძით გატაცებულნი, მხურვალედ ეკიდებოდნენ მწვალებლობის საქმეს, ფხიზლად სდარაჯობდნენ მართლ-მადიდებლობას. ბიზანტიის სარწმუნოებრივი მღელვარება თავის ტალღებს საქართველოსაც სცემდა და აქ არის მიზეზი, რომ ჩვენი საეკლესიო მწერლობა ასე მდიდარია საპაექრო ნაწარმოებითა. არსენ იყალთოელიც სასტიკი მცველი იყო მართლ-მადიდებლობისა. ანის კრებაზედ მონაწილეობა მიიღო და სომხეთის ეკლესიის წარმომადგენელთა ცხარედ ეკამათებოდა. რასაკვირველია, რუის-ურბნისის კრებასაც დაესწრო და იმის კალამს ეკუთვნის „ძეგლის-წერა“. არსენ იყალთოელმა აღწერა ეგრედვე ზოგიერთ წმინდანთა ცხოვრება და შეკრიბა გარესჯის უდაბნოს მამათა ცხოვრება[55]).

ფილოსოფოსთა შორის დიალ შესანიშნავი და წარჩინებული იყო იოანე ტაიჭის ძე, სახელოვანი პედაგოგი და მეცნიერი, ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, „სიბრძნის მოყვარე“, „სიბრძნეთა შინა დიდი“, რომელიც ეგრედვე გამოჩენილ რიტორად და პიიტიკოსად ითვლებოდა[56]). იოანე ტაიჭის ძემ უმ-

[54]) არსენზე წინად მამა ეფთიმემ გადმოთარგმნა იოანე დამასკელის «ორისა ბუნებისათვის ქრისტესისა,» A. Цагарели, Свѣдѣнія... 88. ბროსსე არსენ იყალთოელს მიაწერს თხზულებას «განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა», H. de la G. I. 376 n. 3. მაგრამ ბ-ნმა თ. ჟორდანიამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბროსსე და მისი მოაზრენი სცდებიან. ხსენებული თხზულება ეკუთვნის სახელოვანს არსენ II კათალიკოზს, მეათე საუკუნის მწერალს. ამავე არსენიმ სთარგმნა «დოგმატიკონი», სადაც შეკრებილია სხვა-და-სხვა მწერალთა საპაექრო თხზულებანი მწვალებელთა წინააღმდეგ, „ქრონიკები“... 79, სხოლიო, 246, 303, 309—32.

[55]) П. Іосел., Жиз. св. груз. цер., стр. 15 и пр. 16, 26 и пр. 22.

[56]) წყობილ-სიტყვაობა, 264 და სხოლიო.

თავრესი ყურადღება საფილოსოფოსო თხზულებათა თარგმნას მიაქცია. როცა პირველ საუკუნეთა დროს, ქრისტეს შემდეგ, ათინასა და რომში საფილოსოფოსო სწავლა და აზროვნება დამცირდა და თითქმის კიდეც დაჭლექდა, მაშინ ალექსანდრია შეიქმნა ფილოსოფიის ახალ სახლად, იქ დაარსდა ეგრეთ წოდებული **ალექსანდრიის საფილოსოფოსო სკოლა**. თუმცა იგი სკოლა აღმოცენდა პლატონისა და არისტოტელის სწავლის ნიადაგზე, მაგრამ არც თავისებურებას იყო მოკლებული. იმ სკოლის გამოჩენილნი ფილოსოფოსნი ქრისტიანობას ებრძოდნენ, თუმცა იმათი სწავლა ზოგში მიაგავდა კიდეც მეტოქე მოძღვრებას. ალექსანდრიის ფილოსოფიას სარწმუნოებრივი და განყენებული, ეგრეთ წოდებული მისტიური მიმართულება ჰქონდა და ამ მხრით ქრისტიანობის დოღმატურს მოძღვრებას უახლოვდებოდა. ამ მიზეზის გამო წმ. მამანი და ქრისტიანნი ფილოსოფოსნი წყურვილით ეწაფებოდნენ იმ ფილოსოფიის ნაყოფს. მრავალ ხანს გაგრძელდა ალექსანდრიის სკოლის გავლენა და იმის ფილოსოფოსთა დიდი სახელი და პატივი დაიმსახურეს. იმათ შორის უფრო განითქვა პორფირი [57]), რომლის შესანიშნავი თხზულება, სახელად „შეყვანილება“ იოანე ტაიჭის ძემ ქართულად სთარგმნა. ჩვენმა ფილოსოფოსმა გადმოიღო ქართულად ეგრეთვე დამასკელის კატიღორია ანუ ლოღიკა, შეადგინა დიალექტიკა, რომელიც საყურადღებოა მეცნიერებისათვის. იქ არაბულ ტერმინებით აღნიშნულია სილლოგიზმოები. იოანე ტაიჭის ძემვე გადმოსთარგმნა ეპიფანე კვიპრელის „თორმეტთა ქვათათვის“ [58]) და საგალობელი წმინდათა.

დავით აღმაშენებლის დროს ბრწყინავდა მთელი გუნდი წარჩინებულ ღვთის-მეტყველთა. იმათ შორის უფრო მეტი სახელი და პატივი მოიპოვეს ეფრემ მცირემ და თეოფილემ, რომელნიც საფილოსოფოსო განათლებითაც შესანიშნავნი იყვნენ.

---

[57]) Д. Г. Льюисъ, Исторія философіи, 1865 г. стр. 312—44.

[58]) თ. ჟორდანიას ქრონიკები... 237 „თორმეტთა ქვათათვის“ წინადაც ყოფილა ქართულად ნათარგმნი, ე. თაყაიშვილის «სამი ისტორიული ხრონიკა», IV—V, LXXVI I—IX.

მაგ., ეფრემ მცირე ცნობილია, როგორც „კაცი დიდი ბრძენთა შორის", „უცხო მესილოგიზმე", „უცხო პიიტიკოსი", რიტორი[59]). ეფრემი სამცხიდგან იყო და იოანე პეტრიწის ხელ-მძღვანელობით აღიზარდა. ჯერ ასურეთში შავ მთაზედ სცხოვრებდა და მერე იერუსალიმს. სახელოვანმა მასწავლებელმა დიდი გავლენა იქონია თავის მოწაფეზე. ეფრემ მცირემაც საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია, რომელიც ბრძოლის იარაღად მიაჩნდა და ფილოსოფოსთა „მათითავე ისრითა განგვრემდა" ეკლესიის დასაცველად. სთარგმნა ეგრედ წოდებული „გადამოცემა",—არისტოტელებრივი კატიღორია დამასკელისა. ეფრემის საგრამატიკო ღვაწლიც საყურადღებოა: იმან შემოიღო **წერტილი**,—გარკვეული კანონი სასვენ ნიშნების ხმარებისა. ეს კანონი დააფუძნა წერტილის რაოდენობაზედ, ერთიდან ექვსამდე [60]). ეფრემ მცირემ საკმაო ღვაწლი დასდო ქართლის მოქცევის ისტორიასაც. იმან უამბო თავის სამშობლოს „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენის". მართალია, ავტორმა ცნობანი უმეტეს ნაწილად ბერძენ ისტორიკოსის თეოდორიტის წიგნიდან გამოკრიბა, მაგრამ მისი შრომა ამით მაინც არ მცირდება. იმის წიგნის მეორე ნაწილი ვახტანგ მეფემ „ქართლის ცხოვრებაში" შეიტანა [61]). ეფრემის შრომაში მოიპოვება ზოგი დიდად საგულისხმიერო ამბავი. მაგ., ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰქონია აგარაკნი ათასი კვამლი „მოსასყიდელად ნივთთა წმიდისა მირონისათა"... თუმცა ეფრემ მცირეზე ადრე, მეათე საუკუნეს, არსენ კათალიკოზმა შეადგინა ქართლის მოქცევის ისტორია, მაგრამ იმის ნაწარმოებს უფრო მცირე მნიშვნელობა ჰქონდა,—ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, მხოლოდ ეფრემ მცირემ „ისტორიკოსა ჩვენდა მოქცევი-

---

[59]) წყობილ-სიტყვაობა, 257—8.

[60]) Цагарели, Свѣдѣнія... 61—2. თ. ჟორდანიას «ქრონიკები...»215—18. П. Іосел., Древн. Тифлиса, 154—5.

[61]) ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ექ. თაყაიშვილისა, 1891 წ. გვ. XXXVI—VII. ავტორს მთლად დაუბეჭდია ეფრემის შრომა, რომელშიც, თეოდორიტის ცნობებს გარდა, ბევრი სხვა საყურადღებო ამბავია მოხსენებული. შეადარე ა. ხახანაშვილის „Источники по введенію христіан. въ Грузіи", 93 წ. стр. 10—11.

სათვის“... პირველად ეფრემმა მიაქცია ვრცელი ყურადღება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და, სხვათა შორის, დასწერა თომა მოციქულის ქადაგება.

მაგრამ ეფრემ მცირის უმთავრესი ძალა და შრომა მიმართული იყო ღვთის-მეტყველებაზე. საღვთის-მეტყველო მწიგნობრობაში გამოიჩინა იმან თავისი დიდი ნიჭი, იქ დაიდგა დიდების ძეგლი. იმის დრომდე ბევრი რამე აკლდა ჩვენს საეკლესიო მწერლობას და ნაკლი ეფრემმა შეავსო. ამბობენ, რომ თანამემამულემ და თანამოღვაწემ საბა თუხარელმა აიძულა ეფრემი სათარგმნელად იმ წიგნთა, რომელნიც ქართულ ენაზედ არ მოიპოებოდაო. ეფრემის თარგმანებს დიდი ღირსება სძევს, —იგი სიტყვა-სიტყვითია, მეცნიერული და სხოლიოებით შემკული. იმან სთარგმნა გრიგოლ ღვთის-მეტყველის სიტყვანი, ცხოვრება და წამება მრავალთა წმიდათა, ფსალმუნთა განმარტება. იმის ნათარგმნია მეექვსე მსოფლიო კრების „სჯულის კანონი“, თუმცა წმ. ეფთიმის შრომად სთვლიან[62]).

ეფრემ მცირემ ეგრეთვე გადმოიღო ქართულად დიონოსის არეოპაგელის „ზეცისა იერარხიისათვის“, წმ. კასიანეს სიტყვანი, იოანე დამასკელის „თქმულნი[63]) და ბევრი სხვა შესანიშნავი თხზულება.

საეკლესიო მწიგნობრობას ნაკლები შრომა არც თეოფილემ დასდო. ეს სახელოვანი ღვთის-მეტყველი, რომელიც აღზარდა წმ. გიორგი მთაწმინდელმა, დავით აღმაშენებლის დროს ქ. კონსტანტინეპოლს იმყოფებოდა მონასტერში და მალე ისრე განითქვა, რომ ტარსის მიტროპოლიტობა მისცეს. თეოფილე წოდებულია „მრჩობლ ფილოსოფოსობით ყოვლად განთქმულ კაცად“, „თანამედროეთა თვისთა, ფილოსოფოსთა

---

[62]) თ. ჟორდანიას „ქრონიკები“... 220—8. Цагарели, Свѣдѣнія... 58, 88. «სჯულის კანონი» მოხსენებული არ არის წმ. ეფთიმესაგან შედგენილ სიაში, თუმცა იმის ბიოგრაფი ამბობს, რომ „სჯულის კანონი“ სთარგმნაო.

[63]) ibid. 62. წმ. ეფთიმის ცხოვრების აღმწერელი ამბობს, კასიანეს სიტყვანი წმ. ეფთიმემ სთარგმნაო, ibid 58. წმ. კასიანეს ცხოვრება და სიტყვანი უთარგმნიათ X—XI საუკ. ხელ-ნაწერები სინაის მთაზე მოიპოება, Пам. груз. стар. 229—30, 232—3.

იოანეს და ეფრემის და არსენის, თანარიცხვის ღირსად“... ამ „მრჩობლ ფილოსოფოსობით“ შემკულმა მრავალი წიგნი სთარგმნა ბერძნული, სხვათა შორის, ცხოვრება წმ. ილარიონ კახელისა, რომელიც ფრიად შესანიშნავი მოღვაწე იყო. წმ. ილარიონის ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ საზოგიდოებისათვის. იმან კახეთში დაარსა მამათა და დედათა მონასტერი, გაამშვენიერა გარესჯის უდაბნოს ლავრა და შემდეგ მრავალ ღვაწლისა გარდაიცვალა თესალონიკეში. თავის დროს ისე ბრწყინავდა, რომ მისი გვამი იმპერატორმა ვასილ მაკედონელმა თესალონიკიდან დიდის პატივისცემით მოასვენა ჯერ კონსტანტინეპოლს და მერე დაკრძალა ქართულ მონასტერს „ჰრომანიაში“. თეოფილემ გადმოიღო ქართულად ეგრეთვე ლიტურღია და რამდენიმე კანონი შეადგინა ქართველ წმიდათა სადიდებლად [64]). დასასრულ უნდა მოვიხსენოთ, რომ დავით აღმაშენებლის დროს სცხოვრებდა საერო პოეტი ძაგნაკორელი, არაგვის მხრიდან, რომელმაც თავისებური ლექსთა წყობა შემოიღო. პოეტის ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია [65]) და ვერცარაფერს ვიტყვით. დავსძენთ მხოლოდ, რომ თვით დავით აღმაშენებლის მემკვიდრე, მეფე დიმიტრი პიიტიკოსი იყო და საუკეთესო მწერლად ითვლებოდა [66]). სჩანს, რომ საერო პოეზიასაც დავით აღმაშენებელის დროს ჩაედგა სული...

**ნ. ურბნელი**

(შემდეგი იქნება)

---

[64]) წყობილ-სიტყვაობა, 259. Цагарели, Свѣдѣнія... 79—80, მისივე Памятн. груз. стар. 38 41. П. Іосел., Ист. груз. церк. 79.

[65]) П. Іосел., Описаніе Душета, 65.

[66]) Баратовъ, IV. 92.

# ღვინის დაყენება

## II *)

## ტკბილი

### ბ) ტკბილის შესწორება, გადაკეთება

ჩვენ წინად გავსინჯეთ, რაგვარ ნივთიერებათაგანაც შესდგება ყურძნის წვენი და ისიც ვუჩვენეთ, თუ რა ნაირად არიან შეზავებულნი ეს ნივთიერებანი ნორმალურ ტკბილში, ესე იგი რა ზომისა არის ყოველი მათგანი. სამწუხაროდ, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ტკბილი ნორმლური არ არის; მისი ვითარება და რაოდენობა იმის შემადგენარ ნივთიერებათა ყოველთვის ერთი და იგივე არ არის; ხან ცუდი ამინდის და ან სხვა გარემოების გამო ყურძენი კარგად ვერა მწიფდება და ამისთვის იმის ტკბილში ზოგიერთი ნივთიერება ან ნაკლებია და ან გადამეტებულია სხვებზე.

რა ჰქნას ამ შემთხვევაში ვენახის პატრონმა, როგორ უნდა მოიქცეს? უნდა დააყენოს თუ არა იმისთანა ღვინო, როგორიც გამოვა ან მოუსვლელ და მჟავე და ან ძალიან შაქრიანი ყურძნიდან? შესაძლებელია თუ არა შეასწოროს ეს მეტნაკლებობა ტკბილის შემადგენარ ნივთიერებათა იმდენად, რომ დაამსგავსოს იმ ნორმარულ ტკბილს, რომლისაგანაც კარგი და სალი ღვინო დადგება?

---

*) მოამბე № 2.

ამაზე მსწავლულები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. ზოგნი ურჩევენ ამგვარ ტკბილის შესწორებას, შეკეთებას და ზოგნი კი ამის წინაალმდეგნი არიან; ტკბილის გადაკეთებას ყალბობას ეძახიან; რაც ღმერთმა და ამინდმა მოგვცეს, იმას დავჯერდეთო; ამგვარი ტკბილის ღვინო ბუნებითი ღვინო იქნებაო.

ჩვენ იმათი მომხრე ვართ, რომლებიც ტკბილის შეკეთებას, იმის შესწორებას ურჩევენ. ჩვენის ფიქრით, მოუსვლელი ყურძნის ტკბილის შეკეთება არა თუ შესაძლებელია, არამედ მიუცილებლად საჭიროც არის, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ ნაირ შესწორებით ყურძნის წვენს ისეთი არა მიემატოს-რა, რაც მავნებელია და ან რაც ნორმალურ ყურძნის ტკბილში არ მოიპოვება. ტყუილ-უბრალოდ მოსავლის გაფუჭებას ისა სჯობია, რომ ტკბილს ან მიემატოს იმისთანა ნივთიერება, რომელიც აკლია და ან გამოეცალოს ის, რომელიც გადამეტებულია. ამით სიკეთის მეტი ღვინოს ვნება არა მიეცემა-რა.

ამისათვის ახლა ჩვენ აქ გამოვიკვლევთ, თუ რა და რა ნაკლულევანების დროს როგორ მოვიქცეთ და როგორ და რამდენად შესაძლებელია ამ ნაკლულევანებათა შესწორება.

**ტკბილის დაშაქვრა.** ნაკლულევანებათა შორის ყველაზე ხშირი ნაკლულევანება ტკბილისა ის არის, რომ მას შაქარი აკლია ხოლმე. კარგ ტკბილს 20 ან 21% შაქარი უნდა ჰქონდეს, რომ იმისგან კარგი ღვინო დადგეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ტკბილში შაქრის რაოდენობა ყოველთვის ესოდენი არ არის და ამიტომაც დიდი ხანია, რაც ღვინის დამყენებელნი ტკბილის დაშაქვრას მიჩვეულნი არიან. ასე გასინჯეთ, ღვინოს მაშინაც კი შაქრავდნენ, როცა შაქარი ჯერ მოგონილი არ იყო. მაშინ ტკბილს ატკბობდნენ ან თაფლის მიმატებით და ან თვითონ ტკბილის კონცეტრაციით, ესე იგი წყლის დაკლებით, ტკბილის ადუღებით, შესქელებით. მხოლოდ 1776 წელს მარკეტმა (Marquet) პირველად იხმარა შაქარი ტკბილის დასატკბობად; 1800 წელს საფრანგეთის გამოჩენილმა ქიმიკოსმა შაფთალმა (Chaptal) გამოიკვლია სარგებლობა შაქრის მიმატებისა იმისთანა ტკბილისათვის, რომელსაც შაქარი აკლ-

და და კარგი ღვინო არ დადგებოდა. ამისგამო ტკბილის დაშაქვრას ახლაც შაფთალიზაციას ეძახიან და მისგან დაყენებულ ღვინოს—შაფთალოვან ანუ ნაკეთებ ღვინოს. ტკბილის დაშაქვრა აუცილებლად საჭიროა მეტადრე იმისთანა ადგილებში, სადაც ყურძენი კარგად ვერა მწიფდება. დაუმწიფებელი ყურძნის ტკბილიდან სუსტი ღვინო დგება და ამისათვის ძნელი შესანახავია. ამის შესახებ გამოჩენილი ღვინის დამყენებელი ვერნეტ-ლამოტი (Vergnette Lamotte) აი რას ამბობს: „ცივს და ნოტიო წლებში, როცა ყურძენი კარგად არა მწიფდება და იმის ტკბილის სისქე 1090$^0/_0$ დაბალია, მაშინ ტკბილი უნდა გადაკეთდეს შაქრის მიმატებით. აგრეთვე, თუ ვაზი დაშავებულია მილდიუთი და ან სხვა ავადმყოფობით, თუ ფოთლების ჩამოცვივნა უშლის ყურძენს კარგად დამწიფებას, მაშინაც ტკბილის დაშაქვრა საჭიროა. იმ შემთხვევაში კი, როცა ვაზს ფოთლები ძალიან ადრე დასცვივა, ყურძენი დაჭკნება და გახმება, მაშინ კი იმის გამოყენება აღარ შეიძლება.“

ტკბილის დასაშაქრავად ხმარობენ სულას შაქარს (შაქრის ლერწმის შაქარია); შაქარი წმინდა, სუფთა და მშრალი უნდა იყოს. თუ ჭარხლის შაქარიც მოიპოვება ასეთივე წმინდა, ესე იგი მისირინდის შაქარი (რაფინადი), მაშინ ამის ხმარებაც კარგია. სხვაგვარი შაქრის ხმარება კი (როგორც სახამებლის შაქარი, თაფლი და სხვ.) არ ვარგა, რადგანაც ღვინოს ცუდს, დამპალს და მწარე გემოს მისცემს. სახამებლის შაქრის და ხან თაფლის ხმარებით ბევრი კარგი ჯიშის ღვინო გაფუჭებულა.

ტკბილის დაშაქვრის დროს შემდეგი კანონები უნდა ვიქონიოთ მხედველობაში:

ა) ყოველთვის არ შეიძლება შაქრის მიმატებით კარგი ღვინის დაყენება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ტკბილისთვის შაქრის მიმატება სამ გრადუსს არ უნდა გადასცილდეს, ესე იგი სამ $^0/_0$ მეტი შაქარი არ უნდა მიემატოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმატებული შაქრის ასადუღებლად და გასანაწილებლად ტკბილს საკმაო დედა არ ექნება; ამის გამო ტკბილი

ძნელად ადუღდება, ღვინოს ტკბილი გემო შერჩება, გასასყიდად არ ევარგება და მისი შენახვაც ძნელი იქნება.

ბ) წყალში ან ტკბილში გახსნილი შაქარი ცოტ-ცოტაობით უნდა მიემატოს მხოლოდ იმ დროს, როცა დაჭყლეტილი ყურძენი სადუღებელში იყრება.

გ) თუმცა ზოგიერთნი კი ურჩევენ, მაგრამ შაქართან ალკოჰოლის მიმატება კარგი არ არის, რადგანაც ალკოჰოლი დუღილს უშლის და ხშირად ღვინოსაც შერჩება ხოლმე იმისი გემო.

დ) თუ ტკბილი ცივია, მაშინ შაქარს გახსნიან მდუღარე წყალში და ისე ცხელ-ცხელს მიუმატებენ, რომ ამით ტკბილი შეთბეს და დუღილმა არ დაიგვიანოს.

ე) როცა გარემოება ბევრი შაქრის მიმატებას ითხოვს და ამასთან ტკბილს ან სიმჟავე აკლია და ან მხოლოდ საკმაო აქვს, მაშინ საჭიროა რაოდენიმე ღვინის სიმჟავეც მიემატოს. უამისოდ ტკბილი სუსტად ადუღდება და შაქარი შეუცვლელი დარჩება, ღვინოც ტკბილი დადგება და ძნელი შესანახავი იქნება. ღვინის სიმჟავე ძალიან შველის ღვინის დაყენებას. ტკბილი თუ რიგიანად დაშაქრულია და საჭირო სიმჟავეც აქვს მიმატებული, მაშინ მშვენიერი ღვინო დადგება და მაგარიც იქნება. როგორც ვიცით, ღვინის სიმჟავე ღვინის შენახვას შველის და ბუკეტს აძლევს.

ვ) საჭიროა, რომ ტკბილს 20 % შაქარი ჰქონდეს. შაქარსა და სიმჟავეს, რამდენიც საჭიროა, ერთად გახსნიან წყალში, ან ცოტაოდენ ტკბილში და აადუღებენ მოკალულ ქვაბში. შაქრის და სიმჟავის ერთად დუღილს ის შედეგი აქვს, რომ ჭარხლის ანუ სულას შაქარი სიმჟავის ზედ-მოქმედებით ყურძნის შაქრად იქცევა და, მაშასადამე, ტკბილი უფრო ადვილად ადუღდება და დაყენებულ ღვინოს სიტკბო არ ექნება.

რა რიგად უნდა შევიტყოთ ტკბილს რამდენი შაქარი აკლია? ჩვენ წინად ვთქვით, რომ ერთად-ერთი უტყუარი საშუალება შაქრის რაოდენობის შესატყობად ქიმიური ანალიზია და თუ ამ საშუალების მოხმარება ყველას არ შეუძლიან, მაშინ არეომეტრით უნდა ისარგებლოს. ამისათვის მე ეხლა აქ მივაქცევ მკითხველების ყურადღებას სხვა-და-სხვა გვარ არეომეტრებზე, რომელნიც უფრო იხმარებიან და გამოსადეგნიც არიან.

ბაბოს (Babo) არეომეტრი. ეს არეომეტრი გავრცელებულია გერმანიაში და იტალიაში და ძალიან კარგიც არის. ეს არეომეტრი ისეა გაკეთებული და დატვირთული, იმის ღერი ისეა განაწილებული, რომ თითო მისი გრადუსი პირდაპირ შაქრის რაოდენობას უჩვენებს. თუ ეს არეომეტრი ტკბილში 20°-დინ ჩავა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ამ ტკბილში 20% შაქარია; თუ 18° გვიჩვენა, მაშინ 18% იქნება და სხვა. კარგი ტკბილი მაშინ იქნება, როცა ეს არეომეტრი 21°-დინ ჩავა ტკბილში და თუ უფრო მეტად ჩავიდა, მაგ. 19°-დინ, მაშინ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ტკბილს 2% შაქარი აკლია და მაშასადამე, დაშაქვრა უნდა.




სურათი 16.

გიუოს გლიუკომეტრის ღერი.

გიუოს გლიუკომეტრი (Glucomètre de Guyot). ეს არეომეტრი გარეგანი შეხედულებით ისეთივეა, როგორც ბაბოს არეომეტრი, მხოლოდ იმით განირჩევა, რომ ამას ღერზე სამ-რიგი ნიშნები აქვს (სურ. 16). ეს ნიშნები ქაღალდზეა დანიშნული და ყოველი რიგი სხვა-და-სხვა ფერად არის შეღებილი. თითონ ქაღალდი შიგ არეომეტრის ღერშია ჩაკრული. პირველი რიგი ნიშნებისა, რიგი A უჩვენებს ტკბილის სისქეს ანუ, როგორც ფიზიკაში იტყვიან, ტკბილის საკუთარ წონას. მეორე რიგი B აჩვენებს შაქრის რაოდენობას, რომელიც ამ ტკბილის სისქეს შეეფერება და მესამე რიგი C გვაჩვენებს ალკოგოლის რაოდენობას, ე. ი. იმდენ ალკოგოლს, რამდენიც დაყენებულ ღვინოს ექნება შაქრის რაოდენობის დაკვარად. პირველი რიგის 0° ამ გლიუკომეტრს დასმული აქვს ღერის თავში და უჩვენებს ნაორთქლარი ანუ გამოხდილი წყლის სისქეს. გამოხდილ წყალში, თუ იმის ტემპერატურა

$15^0C$, ეს არეომეტრი ამ $0^0$-დინ ჩავა. თუ წყალში ამ ნიშნამდინ არ ჩავიდა, მაშინ ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ წყალში მაკარი ან სქელი სხეული რამ არის გახსნილი. რამდენადაც არეომეტრი ცოტად ჩავა, იმდენად წყალში ბევრი იქნება გახსნილი რამე სხეული. ამ არეომეტრს უფრო საფრანგეთში ხმარობენ.

**ბომეს არეომეტრი (Baumé).** ეს არეომეტრი საზოგადოდ ყველგან არის გავრცელებული და ტკბილის არეომეტრს ეძახიან. ეს არეომეტრი ისეა დატვირთული, რომ ნაორთქლარ წყალში ღერის შუა ადგილამდინ ჩადის და აქა აქვს ნიშანი $0^0$ და აქვეა დაწერილი decuvage (სადუღებელიდან გადაღება). ნოლის ზევით ამ არეომეტრის ღერზე არის ნიშნები იმისთანა სხეულებისათვის, რომელნიც წყალზე მსუბუქი და თხელი არიან, როგორც მაგ. ალკოგოლი, ეთერი და სხვანი. წყალზე სქელ ანუ მძიმე სხეულებისათვის ნიშნები კი ამ არეომეტრს $0^0$-ის ქვემოდა აქვს, მხოლოდ ეს ნიშნები, სამწუხაროდ, არ უჩვენებენ წყალში გახსნილ სხეულების რაოდენობას. თუმცა ეს ნაკლი აქვს, მაგრამ ამ არეომეტრს მაინც ხმარობენ და გამოსადეგიც არის. აი რისთვის: რაღაცა შემთხვევის გამო ამ არეომეტრის $0^0$-ზე ქვემოთი ნიშნები ზედმიწევნით უჩვენებენ ალკოგოლის რაოდენობას, ესე იგი, რამდენი ალკოგოლი ექნება გაშინჯულ ტკბილს დადუღების შემდეგ. მაშასადამე, ეს არეომეტრი რამდენზედაც დადგება ტკბილში, იმდენი ალკოგოლი ექნება დაყენებულ ღვინოს. მე ვთქვი, რომ ეს არეომეტრი მხოლოდ ზედმიწევნით უჩვენებს ალკოგოლის რაოდენობას; ნამდვილ რაოდენობას კი მარტო $10,^0_5$ უჩვენებს. პირველად შაფთალმა შენიშნა, რომ კარგ ტკბილში ეს არეომეტრი უჩვენებს $10,^0_5$ და ამ ტკბილიდან დაყენებულ ღვინოს $10,_5{}^0/_0$ ალკოგოლი ექნება. თუ ტკბილს ასეთი სისქე არა აქვს, მაშინ აი რა ნაირად შეიძლება გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი შაქარი აკლია ამ ტკბილს: როგორც ჩვენ წინადა ვთქვით, პასტერის გამოკვლევით ჩვენ ვიცით, რომ ასი ნაწილი შაქრიდან დუღილის შემდეგ $48,_{46}{}^0/_0$ ალკოგოლი გამოდის. ამ ცნობით ვისარგებლოთ და გამოვიანგარიშოთ შაქრის რაოდენობა.

ფიზიკიდან ვიცით, რომ რამე სხეულის წონას შეადგენს მისი ტანი და სისქე; მისი ტანი რომ მის სისქეზედ გავამრავლოთ, აქით იმის წონას შევიტყობთ. ეს აზრი ამ ფორმულით

ხხატება: p=vd (p-არის სხეულის წონა, v-მისი ტანი და d მისი სისქე).

ამ ფორმულის შემწეობით ჩვენ შეგვიძლიან $48,_{46}$ გრამი ალკოჰოლის ტანი გამოვიანგარიშოთ, თუ ალკოჰოლის სისქე გვეცოდინება; ეს სისქე ცნობილია და უდრის 0,794 (მდაბიურ-ენაზე ეს ნიშნავს წყალთან შედარებას; ჩვენ ვიცით, რომ ერთი ლიტრი გამოხდილი წყლის წონა არის 1000 გრამი და ერთი ლიტრი ალკოჰოლისა კი 794 გრამი).

ზემოდ მოყვანილი ფორმულიდან ტანის რაოდენობა ჩვენ შეგვიძლიან ასე გამოვხატოთ ფორმულითვე: რადგანაც p=v d, აქედან $v=\frac{d}{p}$; მაშასადამე, რამე სხეულის ტანს (v) მაშინ შევიტყობთ, როცა იმის სისქეს გავყოფთ იმისი წონაზე. მაშ რა ტანი ექნება $48,_{46}$ გრამს ალკოჰოლს? ამის საბოვნელად ეს წონა უნდა გავყოთ ალკოჰოლის ხისქეზე: $\frac{48,_{46}}{0,794}$ 61 კ. ს. ეს მხოლოდ ტეორიული რიცხვია; პრაქტიკაში, ესე იგი დუღილში, ცოტა ნაკლები გამოდის, სამოც და ერთი კუბიკური სანტიმეტრის მაგივრად მხოლოდ ორმოც და ცხრამეტი (59) სანტიმეტრია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე ტკბილში ბომეს არეომეტრი გვიჩვენებს მხოლოდ $9^0$; ჩვენ შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ, რამდენი შაქარიც არის ამ ტკბილში: შაქრის რაოდენობას დავარქვათ y, არეომეტრის გრადუსს d; ახლა ჩვენ შეგვიძლიან ზემოდ ნაპოვნი რიცხვებით ვისარგებლოთ და ესეთი შედარება მოვახდინოთ:

$\frac{d}{y}=\frac{59}{100}$, აქედან ტკბილის შაქარი $y=\frac{9.100}{59}$ ანუ=15,2 გრამი. ამით შევიტყეთ, რომ თითო ლიტრ ტკბილში 152 გრამი შაქარია, ანუ $15,_2\%$. რადგანაც კარგი ტკბილი ის არის, რომელშიაც ბომეს არეომეტრი გვიჩვენებს $10,^0_5$, ჩვენ აქაც უნდა გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი შაქარია ამისთანა ტკბილში:

$\frac{10,_5.100}{59}=17,7$ მაშ ას სამოც და ჩვიდმეტი გრამი ყოფილა ერთ ლიტრ ტკბილში და წინად გასინჯულ ტკბილში კი მხოლოდ 152 გრამია; მაშ ამ ტკბილს თითო ლიტრზე ცხრა გრამი შაქარი უნდა მიემატოს.

**ექსლეს არეომეტრი** (Œchsle). ეს არეომეტრიც კარგად არის განაწილებული; ის ერთის მხრით უჩვენებს ტკბილის

სისქეს და ამ ნიშნების პირდაპირ ნაჩვენებია შაქრის რაოდენობაც. ეს არეომეტრი მხოლოდ იმით განირჩევა სხვებისაგან, რომ იმის ნიშნებში ზოგიერთი ციფრები გამოტოვებული არის: ათასიდან დაწყებული ათას-ოთხმოც და ცხრამდინ ტკბილის სისქე მარტო ორი უკანასკნელი ციფრებით არის გამოხატული, აღნიშნული. მაგალითებრ, თუ ეს არეომეტრი ტკბილში გვიჩვენებს 50, მაშინ ნამდვილი იმისი სისქე იქნება 1050; თუ 90 ან 99, მაშინ იქნება 1090 და 1099 და თუ ათასამდინ მიაღწია, მაშინ ტკბილის სისქე დანიშნული იქნება სამი უკანასკნელი ციფრებით; მაგ. თუ არეომეტრზე დანიშნულია 105°, მაშინ ტკბილის სისქე იქნება 1105 და სხვანი.

შემდეგი სქემა გვიჩვენებს, თუ რომელი სისქე ტკბილისა და რაოდენობა შაქრისა გამოიხატება ექსლეს გრადუსით.

| გრადუს. | სისქე. | შაქარი. | გრადუს. | სისქე. | შაქარი. | გრადუს. | სისქე. | შაქარი. | გრადუს. | სისქე. | შაქარი. | გრადუს. | სისქე | შაქარი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 70° | 1070 | 15,6 % | 76° | 1076 | 17,2 % | 82° | 1082 | 18,8 % | 88° | 1088 | 20,4 % | 94° | 1094 | 21,9 % |
| 71° | 1071 | 15,9 — | 77° | 1077 | 17,5 — | 83° | 1083 | 19,1 — | 89° | 1089 | 20,7 — | 95° | 1095 | 22,2 — |
| 72° | 1072 | 16,2 — | 78° | 1078 | 17,8 — | 84° | 1084 | 19,4 — | 90° | 1090 | 20,9 — | 96° | 1096 | 22,5 — |
| 73° | 1073 | 16,4 — | 79° | 1079 | 18,0 — | 85° | 1085 | 19,6 — | 91° | 1091 | 21,2 — | 97° | 1097 | 22,7 — |
| 74° | 1074 | 16,7 — | 80° | 1080 | 18,3 — | 86° | 1086 | 19,9 — | 92° | 1092 | 21,4 — | 98° | 1098 | 23,8 — |
| 75° | 1075 | 17,0 — | 81° | 7081 | 18,6 — | 87° | 1087 | 20,2 — | 93° | 1093 | 21,7 — | 99° | 1099 | 23,2 |
| | | | | | | | | | | | | 100° | 1100 | 23,4 |

**გელიუსაკის (Gay-Lussac) არეომეტრი ანუ მუსიმეტრი (Mussimètre)** ჰგავს ექსლეს არეომეტრს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამისი ღერის ნაწილები უჩვენებენ მარტო ტკბილის სისქეს. ყველა არეომეტრები ისეა გაკეთებული, რომ, რასაც იგინი გვაჩვენებენ, ის მხოლოდ მაშინ არის უტყუარი, როცა ტკბილის ტემპერატურა 15°C. თუ ტკბილი ამაზე ცივია ან თბილი, მაშინ იმათი ნაჩვენები ნამდვილ შაქრის რაოდენობას არ გვიჩვენებს. თუ ტკბილი ცივია, მაშინ არეომეტრი უფრო ცოტად ჩავა ტკბილში და ეს იმის ნიშანია, რომ ტკბილში შაქარი უფრო ბევრია; ხოლო თუ ტკბილი უფრო თბილია, მაშინ შაქრის რაოდენობას უფრო ცოტას გვიჩვენებს. მაშასადამე ტკბილს ყოველთვის 15° სითბო უნდა ჰქონდეს და რადგანაც ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის და ტკბილის გა-

თბობა ან გაცივება ბევრს დროს თხოულობს, ამისთვის აქ მოვიყვან ერთ სქემას, რომლის შემწეობითაც ყოველთვის შეიძლება არეომეტრის მიერ ნაჩვენებ ნაკლულევანების გასწორება.

ტკბილის სისქის გასწორება ტემპერატურის დაგვარად:

| ტემპერა-ტურა. | სისქის გა-სწორება. | ტემპერა-ტურა. | სისქის გა-სწორება. | ტემპერა-ტურა. | სისქის გა-სწორება. |
|---|---|---|---|---|---|
| 10° | — $0,_{6}$ | 17° | + $0,_{3}$ | 24° | + $1,_{8}$ |
| 11° | — $0,_{5}$ | 18° | + $0,_{5}$ | 25° | + $2,_{0}$ |
| 12° | — $0,_{4}$ | 19° | + $0,_{7}$ | 26° | + $2,_{3}$ |
| 13° | — $0,_{3}$ | 20° | + $0,_{9}$ | 27° | + $2,_{6}$ |
| 14° | — $0,_{2}$ | 21° | + $1,_{1}$ | 28° | + $2,_{8}$ |
| 15° | 0 | 22° | + $1,_{3}$ | 29° | + $3,_{1}$ |
| 16° | + $0,_{1}$ | 23° | + $1,_{6}$ | 30° | + $3,_{4}$ |

მაშასადამე, როცა ტკბილის ტემპერატურა 15⁰ზე ცივია, მაშინ რასაც არეომეტრი გვიჩვენებს, იქიდან უნდა გამოირიცხოს ის ციფრები, რომლებიც ტემპერატურას ანუ ტერმომეტრის გრადუსს შეეფერება, და თუ ტემპერატურა თბილია, მაშინ უნდა მიემატოს. აქვე მოვიყვან ერთს მეორე სქემას, რომელიც გელიუსაკის არეომეტრისთვის არის გამონგარიშებული და რომელიც ყველა არეომეტრისთვის არის გამოსადეგი. ეს სქემა გვიჩვენებს შაქრის და ალკოგოლის რაოდენობას და ექვს რიგად არის შემდგარი.

პირველი რიგი გვიჩვენებს არეომეტრის გრადუსსა, ანუ ტკბილის სისქეს.

მეორე რიგში ნაჩვენებია ბომეს არეომეტრის გრადუსები, რომლებიც გელიუსაკის გრადუსების მსგავსია.

მესამე რიგი გვიჩვენებს შაქრის რაოდენობას ერთ ლიტრ ტკბილში.

მეოთხე რიგი გვიჩვენებს—რამდენი ალკოგოლი ექნება ღვინოს, თუ შაქარი სრულიად დადუღდა.

მეხუთე გვიჩვენებს—რამდენი შაქარი უნდა მიემატოს თითო ლიტრ ტკბილს, რომ 10⁰ ალკოგოლი იყოს ღვინოში და

მეექვსე რიგი გვიჩვენებს—რამდენი წყალი უნდა მიემატოს თითო ლიტრ ტკბილს, თუ შაქარი ბევრია.

| ტკბილის სიხშე. | ბომეს არეომეტრის გრადუსი. | შაქარი ტკბილში. | ალკოჰოლი დაყენებ. ღვინოში. | შაქარი, რომელიც უნდა მიემატოს ლიტრ ტკბილს. | წყალი, რომელიც უნდა მიემატოს ლიტრ ტკბილს. | ტკბილის სიხშე. | ბომეს არეომეტრის გრადუსი. | შაქარი ტკბილში. | ალკოჰოლი დაყენებ. ღვინოში. | შაქარი, რომელიც უნდა მიემატოს ლიტრ ტკბილს. | წყალი, რომელიც უნდა მიემატოს ლიტრ ტკბილს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გრამ. | | გრამი. | | | | | | | |
| 1050 | 6,9 | 103 | 6,0 | 68 | — | 1101 | 13,2 | 239 | 14,0 | — | 340 |
| 1051 | 7,0 | 106 | 6,2 | 65 | — | 1102 | 13,3 | 244 | 14,2 | — | 360 |
| 1052 | 7,1 | 108 | 6,3 | 63 | — | 1103 | 13,5 | 244 | 14,3 | — | 370 |
| 1053 | 7,2 | 111 | 6,5 | 59 | — | 1104 | 13,6 | 247 | 14,4 | — | 380. |
| 1054 | 7,4 | 114 | 6,7 | 56 | — | 1105 | 13,7 | 250 | 14,5 | — | 400 |
| 1055 | 7,5 | 116 | 6,8 | 54 | — | 1106 | 13,8 | 252 | 14,6 | — | 410 |
| 1056 | 7,6 | 119 | 7,0 | 51 | — | 1107 | 13,9 | 255 | 14,6 | — | 420 |
| 1057 | 7,8 | 122 | 7,2 | 48 | — | 1108 | 14,0 | 258 | 14,8 | — | 430 |
| 1058 | 7,9 | 124 | 7,3 | 46 | — | 1109 | 14,2 | 260 | 15,0 | — | 450 |
| 1059 | 8,0 | 127 | 7,5 | 42 | — | 1110 | 14,3 | 263 | 15,1 | — | 460 |
| 1060 | 8,1 | 130 | 7,6 | 41 | — | 1111 | 14,4 | 266 | 15,2 | — | 480 |
| 1061 | 8,3 | 132 | 7,8 | 37 | — | 1112 | 14,5 | 268 | 15,3 | — | 490 |
| 1062 | 8,4 | 135 | 7,9 | 36 | — | 1113 | 14,6 | 271 | 15,4 | — | 500 |
| 1063 | 8,5 | 138 | 8,1 | 32 | — | 1114 | 14,7 | 274 | 15,5 | — | 520 |
| 1064 | 8,6 | 140 | 8,2 | 31 | — | 1115 | 14,8 | 276 | 15,6 | — | 530 |
| 1065 | 8,8 | 143 | 8,4 | 27 | — | 1116 | 15,0 | 279 | 15,7 | — | 540 |
| 1066 | 8,9 | 146 | 8,6 | 24 | — | 1117 | 15,1 | 282 | 15,9 | — | 560 |
| 1067 | 9,0 | 148 | 8,7 | 22 | — | 1118 | 15,2 | 284 | — | — | 570 |
| 1068 | 9,2 | 151 | 8,9 | 19 | — | 1119 | 15,3 | 287 | — | — | 590 |
| 1069 | 9,3 | 154 | 9,0 | 17 | — | 1120 | 15,4 | 290 | — | — | 600 |
| 1070 | 9,4 | 156 | 9,2 | 13 | — | 1121 | 15,5 | 292 | — | — | 610 |
| 1071 | 9,5 | 159 | 9,3 | 12 | — | 1122 | 15,6 | 295 | — | — | 620 |
| 1072 | 9,7 | 162 | 9,5 | 8 | — | 1123 | 15,7 | 298 | — | — | 640 |
| 1073 | 9,8 | 164 | 9,6 | 7 | — | 1124 | 15,9 | 300 | — | — | 650 |
| 1074 | 9,9 | 167 | 9,8 | 3 | — | 1125 | 16,0 | 303 | — | — | 660 |
| 1075 | 10,0 | 170 | 10,0 | — | — | 1126 | 16,1 | 306 | — | — | 680 |
| 1076 | 10,2 | 172 | 10,1 | — | 10 | 1127 | 16,2 | 308 | — | — | 690 |
| 1077 | 10,3 | 175 | 10,2 | — | 20 | 1128 | 16,3 | 311 | — | — | 700 |
| 1078 | 10,4 | 178 | 10,4 | — | 40 | 1129 | 16,5 | 314 | — | — | 720 |
| 1079 | 10,5 | 180 | 10,5 | — | 50 | 1130 | 16,6 | 316 | — | — | 730 |
| 1080 | 10,7 | 183 | 10,7 | — | 60 | 1131 | 16,7 | 319 | — | — | 740 |
| 1081 | 10,8 | 186 | 10,9 | — | 80 | 1132 | 16,8 | 322 | — | — | 760 |
| 1082 | 10,9 | 188 | 11,0 | — | 90 | 1133 | 16,9 | 324 | — | — | 770 |
| 1083 | 11,0 | 191 | 11,2 | — | 100 | 1134 | 17,0 | 327 | — | — | 780 |
| 1084 | 11,1 | 194 | 11,4 | — | 120 | 1135 | 17,2 | 330 | — | — | 800 |
| 1085 | 11,3 | 196 | 11,5 | — | 130 | 1136 | 17,3 | 332 | — | — | 810 |
| 1086 | 11,4 | 199 | 11,7 | — | 140 | 1137 | 17,4 | 335 | — | — | 820 |
| 1087 | 11,5 | 202 | 11,9 | — | 160 | 1138 | 17,5 | 338 | — | — | 840 |
| 1088 | 11,6 | 204 | 12 | — | 170 | 1139 | 17,6 | 340 | — | — | 850 |
| 1089 | 11,7 | 207 | 12,2 | — | 180 | 1140 | 17,7 | 343 | — | — | 860 |
| 1090 | 11,9 | 210 | 12,3 | — | 200 | 1141 | 17,8 | 346 | — | — | 880 |
| 1091 | 12,0 | 212 | 12,5 | — | 210 | 1142 | 17,9 | 348 | — | — | 890 |
| 1092 | 12,1 | 215 | 12,6 | — | 220 | 1143 | 18,0 | 351 | — | — | 900 |
| 1093 | 12,3 | 218 | 12,8 | — | 240 | 1144 | 18,1 | 354 | — | — | 920 |
| 1094 | 12,4 | 220 | 12,9 | — | 250 | 1145 | 18,2 | 356 | — | — | 930 |
| 1095 | 12,5 | 223 | 13,1 | — | 260 | 1146 | 18,4 | 359 | — | — | 940 |
| 1096 | 12,6 | 226 | 13,3 | — | 280 | 1147 | 18,5 | 362 | — | — | 960 |
| 1097 | 12,7 | 228 | 13,4 | — | 290 | 1148 | 18,6 | 364 | — | — | 970 |
| 1098 | 12,9 | 231 | 13,6 | — | 300 | 1149 | 18,7 | 367 | — | — | 980 |
| 1099 | 13,0 | 234 | 13,8 | — | 310 | 1150 | 18,8 | 370 | — | — | 1000 |
| 1100 | 13,1 | 236 | 13,9 | — | 330 | — | — | — | — | — | — |

ეს სქემა გამოსადეგია ყოველგვარი არეომეტრისთვის (აგრეთვე პირველი სქემაც) გარდა ბაბოს არეომეტრისა, რადგანაც ყველა აქ აწერილი არეომეტრი შაქრის რაოდენობის გარდა, ტკბილის სისქესაც აჩვენებენ. ზოგიერთ არეომეტრს ტერმომეტრი შიგ ტანში აქვს გაკეთებული და მაშასადამე ტკბილის გასინჯვის დროს ტემპერატურაც აღნიშნულია. ზოგს კი არა აქვს ტერმომეტრი და მაშინ საჭიროა ცალკე ტერმომეტრით გაისინჯოს ტკბილი; თუ ტერომეტრი, მაგ., გვიჩვენებს 12⁰C და არეომეტრი 1096, მაშინ ჩვენ ჯერ ტემპერატურის სქემაში მოვძებნით შესაფერ გასწორებას და აქ ნაპოვნ—0,4 გამოვრიცხავთ ტკბილის იმ სისქიდან, რომელიც არეომეტრმა გვიჩვენა ამ ტემპერატურაზე; აქ იყო 1096, ეს უდრის $12,_6$ ბომეს არეომეტრისას და აქედან რომ 0,4 გამოვრიცხოთ, მაშინ დარჩება 12,1 ბომესი ანუ 1092 მეილუსაკისა; ახლა სქემაში მოვძებნით ამის შესაფერ შაქარს და ეს იქნება ნამდვილი შაქრის რაოდენობა ტკბილში; ამგვარი ტკბილიდან იმისთანა ღვინო დადგება, რომქლშიაც $12,_6{}^0/_0$ ალკოგოლი იქნება. შემდეგ ისიც არის ნაჩვენები, რომ თუ ვისმე არ უნდა ესეთი მაგარი ღვინო დააყენოს, მაშინ ერთ ლიტრ ტკბილს თუ 220 კ. ს. წყალს მიუმატებს, ღვინო $10^0/_0$-ნი დადგება.—თუ ამის მაგიერ ტკბილს სხვა სისქე აქვს, ვთქვათ 1060, მაშინ სქემიდან სჩანს, რომ ამ ტკბილში $13^0/_0$ შაქარია და ამისგან დაყენებულ ღვინოს $7,_6{}^0/_0$ ალკოგოლი ექნება და თუ უნდათ $10^0/_0$ ღვინო დააყენონ, მაშინ 41 გრამი უნდა მიუმატონ თითო ლიტრ ტკბილს. ერთი სიტყვით, აქ წინადვე გამოანგარიშებულია გასინჯულ ტკბილს რის მიმატება უნდა — შაქრისა, თუ წყლისა.

თუმცა ჩვენ აქ ვუჩვენეთ ამ სქემაში ის რიგიც, რომელიც წყლის რაოდენობის მიმატებას გვაუწყებს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ღვინის დამყენებლებს დიდ სიფრთხილეს ვურჩევთ, ვურჩევთ წყალი არასდროს არ მიუმატონ ტკბილს. თუ მაინც და მაინც აუცილებლად საჭიროა ტკბილში მყოფ შაქრის შეცოტავება, მაშინ სჯობს წყლის მაგიერ ისეთი ტკბი-

ლი მიემატოს, რომელშიაც შაქარი ცოტაა; და თუ ამისთანა ტკბილი არ მოიპოვება, მაშინ სჯობს მაგარი, ალკოგოლიანი ღვინო დააყენონ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტკბილი, რომლის სისქე 1100-დინ ადის, კარგად დადუღდება, თუ კარგი ყურადღებით და ხელ-შეწყობით წაიყვანეს იმისი დუღილი. ყოველთვის საშიშოა წყლის მიმატებით ღვინის დაყენება. მართალია, ვაჭრობაში მიღებულია ხანდისხან სქელი ტკბილისთვის წყლის მიმატება, მაგრამ თითონ ვენახის პატრონმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ის, ადრე თუ გვიან, ამნაირი თკბილის დანელებით წაგებაში იქნება. ღვინის დამყენებელმა არასოდეს ღვინის ვითარება რაოდენობას არ უნდა შესწიროს; წყლის მიმატება, მართალია, აბევრებს ღვინოს, მაგრამ ამასთან ღვინო ჰკარგავს თავის სიკეთეს. თუ ტკბილის სისქე 1100-ზე მეტია, ამნაირი ტკბილი ღვინის დასაყენებლად აღარ ვარგა; ამისთვის ამ ნაირ ტკბილს ან ცოტა შაქრიანი ტკბილით ანელებენ და ან ამზადებენ ერთგვარ ღვინოს, რომელსაც ლიკორიან ღვინოს ეძახიან. თუ ლიკორიანი ღვინის მომზადება შესაძლებელი არ არის და არც ცოტა შაქრიანი ტკბილი მოიპოვება, მაშინ ნება-უნებლიედ იძულებულნი ვართ ამ გვარი ტკბილი წყლით დავანელოთ. ამ დანელებაზე შემდეგ მოვილაპარაკებ.

**ტკბილის კონცეტრაცია.** ძველ დროში ძალიან გავრცელებული იყო ტკბილის კონცეტრაცია, ტკბილის შესქელება დუღილით. დუღილის დროს ტკბილის წყალი ორთქლად იქცევა და მას მოშორდება, ამის გამო ტკბილი უფრო სქელდება, უფრო შაქრიანდება. ამ ღონისძიებას ახლაც ხმარობენ იტალიაში და ისპანიაში და კარგი სარგებლობაც მოაქვს.

თუ საჭიროა ტკბილის დაბადაგება, მაშინ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ მთელი მოსავლის კონცეტრაცია, შესქელება არ არის კარგი; მხოლოდ ერთი ნაწილი ტკბილისა არ უნდა შესქელდეს, რადგანაც, თუ მთელ ტკბილს ავადუღებთ, ამით ჩვენ დუღილის დედას ფერმენტს მოვსპობთ, მოვკლავთ და შემდეგ ეს ტკბილი აღარ დადუღდება. ამასთან ისიც აუცილე-

ბლომად საჭიროა, რომ ამნაირად მომზადებულ ტკბილის ბადაგს ნადუღის გემო არა ჰქონდეს; საჭიროა, რომ ტკბილი არ დაიწოს. დამწვარი ტკბილიდან ცუდი ღვინო დადგება და ცუდი სასმელი იქნება. ტკბილის დასაბადაგებლად აი როგორ უნდა მოიქცეთ: აიღეთ მხოლოდ $\frac{1}{4}$ ან $\frac{1}{8}$ მთელი ტკბილისა და ჩაასხით სპილენძის მოკალულ ქვაბში და გააცხელეთ ნელ ცეცხლზე ისე, რომ ტკბილი არ დაიწოს. როცა $^{2}/_{3}$ ან $^{3}/_{4}$ და ან $^{5}/_{6}$ ამ ტკბილისა ორთქლად იქცევა, მაშინ ცეცხლი დააქრეთ და ბადაგი გააცივეთ. ამ შემთხვევაში ბადაგს გამოეცლება ბევრი ნაწილი ღვინის მარილისა (რადგანაც, როგორც ვიცით, ის წყალში ცოტად იხსნება და რამდენადაც ტკბილში წყალი ცოტა დარჩება, იმდენად ბევრი მარილი გამოეცლება); ამის გამო ამ ბადაგს უფრო ცოტა სიმჟავე ექნება. ამნაირად მომზადებული ბადაგი კარგი და ადვილი შესანახია. თუ საჭიროა რომელიმე ტკბილის დაშაქვრა, მაშინ ამ ბადაგით შეიძლება დაიშაქროს, ე. ი. შაქრის მაგივრად ბადაგი ვიხმაროთ. შვიდი თუ რვა თუნგი ამ ბადაგისა 2% შაქარს მიუმატებს ას თუნგ ტკბილსა.

იტალიაში ტკბილის დაბადაგებას ხმარობენ იმ შემთხვევაშიაც; როცა ტკბილს არავითარი ნაკლულევანება არა აქვს; აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როცა მაგარი, ლიკორიანი ღვინის დაყენება უნდათ, როგორც მარსალა და სხვ.

იტალიაში და ამერიკაში ეხლა ტკბილის შესასქელებლად გავრცელებულია იმისთანა ზარფუშიანი ქვაბები, რომლებშიაც ტკბილის ადუღება შეიძლება ძალიან მცირედი სითბოთი; საკმარისია მხოლოდ 43°C ანუ $34,^{0}_{4}$ R. ესრეთი მცირე სითბო ტკბილს არ დასწვავს და, მაშასადამე, სრულიად არ წაახდენს; ის თავის თვისებას და ღირსებას არ დაჰკარგავს და ამისთვის კარგი მოსახმარებელი იქნება. ასეთი მცირე სითბოთი ტკბილის ადუღება შესაძლებელია ერთგვარს ქვაბებში, რომლებიც ეხლა ყოველგვარ მრეწველობაში არიან გავრცელებულნი. ეს ქვაბები აი რაგვარ პრინციპზე არიან გაკეთებულნი:

ჩვენ ვიცით, რომ თუ წყალი ახდილ ქვაბში სდუღს, მაშინ ეს წყალი გაცხელებულია 100°-დინ; ამაზე ნაკლები ტემპერატურა ამ გარემოებაში წყალს არ აადუღებს. თუ ამ წყალში სხვა სქელი სხეულები არიან გახსნილნი, როგორც ტკბილში, იმის ასადუღებლად უფრო დიდი სითბოა საჭირო. რომელიმე სხეულის ადუღება დამოკიდებულია, როგორც ვიცით, თითონ სხეულის თვისებაზე და ჰაერის სიმძიმეზე. ჩვენ, რასაკვირველია, სხეულის თვისების შეცვლა არ შეგვიძლიან იმის ვითარების შეუცვლელად, მაგრამ ჰაერის სიმძიმის შეცვლა კი შესაძლებელია და ამ შეცვლაზეა დაფუძნებული დუღილის ტემპერატურის შეცვლაც. თუ ჩვენ ასადუღებელ სხეულზე ჰაერს ისე შევკუმშავთ, რომ იმას ორი ატმოსფერის სიმძიმე ჰქონდეს, მაშინ ამ სხეულის ასადუღებლად უფრო ბევრი სითბოა საჭირო, მაგ. წყლისთვის ამ შემთხვევაში 120°C. თუ შეკუმშვის მაგივრად ჰაერს დავფუკავთ და ამით იმის სიმძიმეს შევამცირებთ, მაშინ წყალს ცოტა სითბო მოუნდება ასადუღებლად და რამდენადაც უფრო შემცირებული იქნება ჰაერის სიმძიმე, იმდენად წყლის დუღილსაც ცოტა სითბო მოუნდება. ამისთვის ტკბილის სადუღებელი ქვაბები ისეა მოწყობილი, რომ ამ ქვაბებში ჰაერის დაფუკვა ყოველ ხარისხის გვარად შესაძლებელია, და, მაშასადამე, ტკბილის დუღილიც მცირედის ტემპერატურით შეიძლება. ამგვარი ქვაბების უფრო ვრცლად აღწერა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგანაც, ვინც ისურვებს ამისთანა ქვაბების ხმარებას, ის, რასაკვირველია, თვითონვე კარგად გაიცნობს.

**ტკბილისთვის გამხმარი ყურძნის მიმატება** (ჩამიჩისა ანუ ქიშმიშისა). ხანდისხან შაქრის მაგივრად ტკბილს გამშრალ ყურძენს უმატებენ. თუ ტკბილს 1% შაქარი აკლია, მაშინ იმას ას თუნგზე 15 გირვანქა ქიშმიში უნდა მიემატოს, თუ 2% აკლია, მაშინ 30 გირვანქა და აგრეთვე შემდეგაც, შაქრის ნაკლებობის დაგვარად. ამ შემთხვევაში ასე მოიქცევიან: ერთი-ორი დღის წინად ჩამიჩს დაალბობენ ხელ-და-ხელ გამოწურულ ტკბილში და როცა მარცვალი კარგად გაიჟინთება, მაშინ ამასაც ყურძენთან ერთად დასჭყლეტავენ და ერთად ჩა-

ჰყრიან სადუღებელში. ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ თუ წმინდა შაქარი იშოვება და ან ტკბილის ბადაგი, მაშინ სჯობს გამხმარი ყურძენი არ ვიხმაროთ ტკბილის დასატკბობად, რადგანაც ქიშმიშიცა და ჩამიჩიც ღვინოს რაღაცა დამწვარ და ცუდ გემოს აძლევს. საზოგადოდ გამხმარი ყურძნის ხმარებას არავის არ ვურჩევთ.

**ტკბილში წყლის მიმატება.** ხანდისხან, თუმცა კი ძლიერ იშვიათად, ტკბილს დუღილის წინად წყალს უმატებენ. ამას ხმარობენ მხოლოდ ძალიან ცხელ ქვეყნებში, როგორც მაგ. ისპანიაში, იტალიაში, ქვემო საფრანგეთში და მის კოლონიებში, როგორც ჯაზაირი (Alger). ამ ქვეყნებში ყურძნის სიმწიფის დროს ხშირად ცხელი ქვენა-ქარი ჰქრის და ორ-სამ დღეში ყურძენს ვაზზევე აშრობს, აჭკნობს, ე. ი. ყურძენი თავის წყალსა ჰკარგავს. უამისოდაც იმ ქვეყნებში ტკბილს ხშირად შაქარი ძალიან ბევრი აქვს და სიმჟავე კი ძალიან ცოტა; დუღილის შემდეგ ღვინოში ბევრი შაქარი რჩება, ღვინო ტკბილი დგება, დიდხანს მღვრიე რჩება და ძნელად იწმინდება; ამასთან ძნელი შესანახავიც არის, რადგანაც თბილ ამინდში მალე მჟავდება; ამნაირი ღვინო მარგებელი არ არის, სტომაქსა სწყენს და თავის ტკივილიც იცის...

ამისთვის, რომ ტკბილი ძალიან შაქრიანი არ იყოს, სხვადა-სხვა საშუალებას ხმარობენ:

ა) ყურძენს ჰკრეფავენ ძალიან ადრე, თითქმის დაუმწიფებელს. ზემოხსენებულ მიზეზისა გამო თბილ ქვეყნებში რთველის ადრე დაწყებას ბევრნი ურჩევენ. ქვემო საფრანგეთში და განსაკუთრებით იტალიაში და თითქმის ყველა იმ ადგილებში, სადაც ძლიერ ტკბილი ყურძენი მოდის და ღვინო ტკბილი დგება, რთველი ყოველთვის ადრეულია, ყურძენს სრულს დამწიფებამდინ ადრე ჰკრეფენ. თუმცა ამით ღვინის ღირსება მცირდება, რადგანაც, როგორც ვიცით, დაუმწიფარ ყურძნის წვენში ბევრი თავისუფალი სიმჟავეა და ეს სიმჟავე ღვინოს მკვახე გემოს აძლევს, მაგრამ სარგებლობა იმაშია, რომ ესეთი ღვინო კარგად ინახება, არც ბრკე და არც სხვა ავადმყოფობა არ ეკიდება.

ბ) ყურძნის დაკრეფას აგრეთვე ურჩევენ ბურუსიან დღეში ან ვიდრე მზე არ ამოსულა; რადგანაც ბურუსიან დღეში ყურძენი სველია, ეს სისველე წყალს უმატებს ტკბილს და ამის გამო შაქრის რაოდენობა მცირდება. არც ერთი და არც მეორე კარგი არ არის, რადგანაც, როგორც ვიცით, წვიმის წყალი და ნამი ღვინისთვის მავნებელია.

გ) გასხვლის დროს ვაზზე გრძელ რქებს არჩენენ. გრძელი რქების გაშვება, როგორც ვიცით, იმითია კარგი, რომ ვაზი დიდს მოსავალს იძლევა, ყურძენი ბევრი ასხია, მაგრამ ისე შაქრიანი არ არის, როგორც მოკლე რქიანი ვაზის ყურძენი. ეს იმითია ცუდი, რომ გრძელ რქიანი ვაზი უფრო მალე ბერდება.

დ) იმასაც ურჩევენ, თუ მოსახერხებელია, რომ ბევრ შაქრიან ტკბილს ცოტა შაქრიანი ტკბილი მიემატოს და ამით შემცირდეს შაქარი. ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ვენახის პატრონს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზი აქვს გაშენებული. მაშინ ეს საშუალება ყველა საშუალებას ემჯობინება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. ამ საშუალებით ტკბილის გასწორებას ისეთს დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რომ მრავალ ადგილებში კარგ ჯიშიან ვაზის ვენახების გვერდით დიდ-მოსავლიან და ჰყაპარტა ვაზის ჯიშსაც აშენებენ, რომ საჭიროების დაგვარად ტკბილის გადასაკეთებლად მოიხმარონ.

ე) უკანასკნელი საშუალება არის ტკბილში წყლის მიმატება. გამოანგარიშებულს წყალს უმატებენ სადუღებელში ტკბილის ადუღების წინად. როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ არავის არ ვურჩევთ ამ საშუალებას მიჰმართოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ეს აუცილებლად საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დროზე ყურძნის დაკრეფა არ შეიძლება. თუ მაინც და მაინც ვინმე იძულებული იქნება წყალი მიუმატოს თავის ტკბილს, იმან უნდა იცოდეს, რომ შაქრის 21%-ზე მეტად შემცირება არ ევარგება. ამასთან თვითონ მისამატებელი წყალიც კარგი და წმინდა უნდა იყოს;

ყველას წყაროს წყალი ემჯობინება; ჭისა და მდინარის წყალი კი საშიშია, რადგანაც ამნაირ წყალში ხშირად ორგანული ნივთიერებანი ბევრი ურევია და ღვინოს წაახდენს. კიდევ გავიმეორებ, რომ წყლის მიმატების დროს უეჭველად იქონიონ მხედველობაში, რომ დანელების შემდეგ ტკბილში უნდა დარჩეს $21^0/_0$ შაქარი. წყლის მიმატებასთან ერთად ცოტაოდენ სიმჟავის მიმატებასაც ურჩევენ.

## სიმჟავის მეტ-ნაკლებობა.

1) გადამეტებული სიმჟავე. როგორც ვიცით, ცივს და წვიმიან ზაფხულში ყურძენი კარგად ვერა მწიფდება; აგრეთვე თუ ვაზს სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გამო უდროვოდ ჩამოსცვივდა ფოთოლი, მაშინაც ყურძენს შაქარი ნაკლებად ექნება და სიმჟავე კი გადამეტებული. თუ გინდ შაქარიც მიუმატოთ, ამისთანა ყურძნის ტკბილიდან მაინც მჟავე ღვინო დადგება, ამასთანავე ბევრი აზოტური ნივთიერება (ალბუმინი) ერევა და, მაშასადამე, ღვინო ძნელი შესანახავი იქნება. აქ კიდევ გავიმეორებ, რომ ეს შეეხება თავისუფალ სიმჟავეთა რაოდენობას, რადგანაც ღვინის მარილის სიმჟავე თვითონ გამოეცლება, თვითონ შემცირდება და ამისთვის ხელოვნურად მისი გამოცლა საჭირო არ არის.

ამ შემთხვევაში სიმჟავის რაოდენობა გამოკვლეული უნდა იყოს და თუ ეს სიმჟავე გადაჭარბებულია ნორმალურ ტკბილთან შედარებით, მაშინ უეჭველად უნდა შემცირდეს, ერთი ნაწილი ამ სიმჟავისა უნდა გამოეცალოს, ტკბილი უნდა შესწორდეს და გადაკეთდეს.

ნორმალურ ტკბილში სიმჟავე 6 ან $7^0/_{00}$-ზე მეტი არ უნდა იყოს და თუ გასინჯულ ტკბილში ეს სიმჟავე ამაზე გადამეტებულია, მაშინ სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობენ იმის შესამცირებლად. აი რაში მდგომარეობს ეს საშუალებანი:

ა) შაფთალის საშუალება. თუ ტკბილს გადამეტებული სიმჟავე აქვს, შაფთალის რჩევით, ამ სიმჟავის ერთ ნაწილს, ესე

იგი იმას, რაც მეტია, მარმარილოს ფქვილით დაანელებენ. წარმოვიდგინოთ, რომ გასინჯულ ტკბილს $8^0/_{00}$ სიმჟავე აქვს და ჩვენ გვინდა, რომ იმას მარტო $6^0/_{00}$ ჰქონდეს, მაშინ, რასაკვირველია, $2^0/_{00}$ უნდა გამოეცალოს. ამისთვის ტკბილს უნდა მიემატოს მარმარილოს ფქვილი იმდენი, რამდენიც ამ $2^0/_{00}$ დაანელებს. ამის გამოანგარიშება ძნელი არ არის: ჩვენ ვიცით, რომ 150 ნაწილი ღვინის სიმჟავის *) დასანელებლად საჭიროა მარმარილოს**) 100 ნაწილი შემდეგი რეაქციისთვის:

$$C^4H^6O^6 + CaCO^3 = C^4H^4CaO^6 + H^2O + CO^2$$

ღვინის სიმჟავე. მარმარილო. კირიანი ღვინის სიმჟავე. წყალი. ნახშირმჟავე.

აქედან ჩვენ შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი მარმარილოს ფქვილი მოუნდება ამ $2^0/_{00}$ დასანელებლად: რადგანაც $150:100$ მაშ $= 2:X$, აქედან $X = \frac{100.2}{150} = 1{,}33^0/_{00}$. მაშასადამე, თითო ლიტრ ამ ნაირ მჟავე ტკბილს უნდა მიემატოს 1,33 გრამი მარმარილოს ფქვილი, რასაკვირველია, წმინდა, სუფთა და კარგად გამტკიცული. წინადვე გამოანგარიშებულ მარმარილოს ფქვილის წონას ცოტ-ცოტაობით მიუმატებენ ტკბილს ადუღების წინად და კარგად აურევენ. ღვინის თავისუფალი სიმჟავე შეუერთდება კირს და რადგანაც ეს მარილი არც წყალში და არც ღვინოში არ იხსნება, ამისთვის გამოეცლება და დაილექავს, ნახშირის სიმჟავე კი ტბილში გაიხსნება. რადგანაც ეს ნახშირის სიმჟავე ტკბილის დუღილის დროს ბევრი ჩნდება, ამისათვის ის ღვინისთვის მავნებელი არ იქნება.

გამოჩენილი ღვინის დამყენებელი Guyot სრულიად წინაალმდეგია ტკბილის სიმჟავის დანელებისა და დიდ შეცდომა-

---

*) $C^4 = 48$
$H^6 = 6$
$O^6 = 96$
150

**) $Ca = 40$
$C = 12$
$O^3 = 48$
100

დაც მიაჩნია: „იმ წელიწადს, როცა ყურძენი კარგად არ დამწიფდება, სიმჟავე არ უნდა დანელდეს არავითარი ქიმიური საშუალებით. ისე არა აფუჭებს-რა ტკბილს, როგორც კირი ან მარმარილო. სიმჟავის დანელება ამისთვის უფრო არის ცუდი, რომ სიმჟავე არის ერთი იმისთანა ელემენტი, რომელიც ხელს უწყობს ღვინის მომწიფებას და დავითარებას.“ ეს მხოლოდ მაშინ არის მართალი, როცა ტკბილს სიმჟავე ძალიან გადამეტებული არ აქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში კი აუცილებლად საჭიროა ამ სიმჟავის შეცოტავება რომელიმე საშუალებით.

ბ) დოქტორი გალის საშუალება. ეს საშუალება წინანდელ საშუალებიდან იმით განირჩევა, რომ ტკბილის სიმჟავეს ანელებენ წყლის მიმატებით; ამ წყალში გახსნილია შესაფერი რაოდენობა შაქრისა. თუმცა ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ საშუალების ხმარებისა და არავის ვურჩევთ ამის ხმარებას, მაგრამ მაინც მოვიხსენებთ, რაშიაც მდგომარეობს ეს საშუალება.

ამ საშუალების მიხედვით, თუ ტკბილს $10^{0}/_{00}$ სიმჟავე აქვს და ჩვენ კი გვინდა, რომ ტკბილში $6^{0}/_{00}$ სიმჟავე იყოს, მაშინ ექვს ჩაფ ტკბილს ოთხი ჩაფი წყალი უნდა მიემატოს; თუ ტკბილში უფრო მეტი სიმჟავეა, მაშინ უფრო მეტი წყალი უნდა მიემატოს; მაგალითად, თუ ტკბილში $12^{0}/_{00}$ სიმჟავეა, მაშინ ხუთ ჩაფ ტკბილს ხუთი ჩაფი წყალი უნდა დაესხას, მხოლოდ ამ წყალში იმოდენა შაქარი უნდა იყოს გახსნილი, რომ განელებულ ტკბილში $20^{0}/_{0}$-ზე ნაკლები შაქარი არ იყოს.

ამ საშუალების ხმარების დროს შესაძლებელია მოხდეს, რომ მჟავე ტკბილში ან საკმაო შაქარი არ იყოს, ანუ მეტი და ან ნაკლები იყოს.

თუ ტკბილში საკმაო შაქარი არ არის, მაშინ მისამატებელ წყალში იმოდენსავე შაქარს გახსნიან, რამოდენიც ტკბილშია, ესე იგი წყლის ერთს მეხუთედს ($20^{0}/_{0}$); თუ ტკბილში მეტი შაქარია, მაშინ წყალში იმდენ შაქარს გახსნიან, რომ შერევის შემდეგ მთელ ნარევში $20^{0}/_{0}$ შაქარი იყოს, მაგალითად, თუ ტკბილში $30^{0}/_{0}$ შაქარია, მაშინ მიმატებულ წყალში შაქარი უნდა იყოს $10^{0}/_{0}$, თუ, რასაკვირველია, წყალს იმდენს

უმატებენ, რამდენიც თვითონ ტკბილია; თუ წყალი უფრო ცოტა უნდა, მაშინ შაქარიც ცოტა გაიხსნება, ისევ იმავე ვარაუდით, რომ დანელების შემდეგ მთელ ნარევში 20% შაქარი იყოს. ხოლო თუ ტკბილსაც აკლია შაქარი, რაც უფრო ხშირად არის ხოლმე, მაშინ წყალში უფრო ბლომა შაქარს გახსნიან; მაგ., თუ ტკბილში მარტო 15% შაქარია და სიმჟავის რაოდენობა თხოულობს იმდენსავე წყალს, რამდენიც ტკბილია, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ მისამატებელი შაქრის რაოდენობა ამგვარად: ჯერ უნდა შევიტყოთ რამდენი შაქარი იქნება მარტო წყლით დანელებულ ტკბილში. რადგანაც ტკბილში 15% და ჩვენ ხუთ წილ ტკბილს ხუთი წილი წყალი უნდა მივუმატოთ, ამისათვის ეს გარემოება ასე გამოიხატება: $15 \times \frac{5}{10} = 7{,}5$; მაშ მთელ დანელებულ ტკბილში 7,5% შაქარია და, რადგანაც ტკბილში უნდა იყოს 20%, ამისათვის 12,5% კიდევ უნდა მიემატოს. რადგანაც მისამატებელი წყალი იმდენივეა, რამდენიც თვითონ ტკბილია, ესე იგი ათ ნაწილში ხუთი ნაწილი ტკბილია და ხუთი წყალი, ამისათვის ასე გამოვხატავთ: $10{:}5 = 12{,}5{:}X$ აქედან $X = \frac{12{,}5 . 10}{5} = 25$. მაშ მისამატებელ წყალში 25% შაქარი უნდა იყოს.

ამნაირად ტკბილის გასწორება, ჩვენის აზრით, დიდი სიყალბეა დიდი უსინიდისობა, ამისათვის ამას არავის არ ვურჩევთ. ამგვარად დაყენებული ღვინო—ღვინო კი არ იქნება, არამედ ნახევარი ღვინო იქნება და ისიც გაფუჭებული.

მესამე საშუალება, ყველა წინანდელ საშუალებებს სჯობიან, მდგომარეობას იმაში, რომ მჟავე და ტკბილ ყურძენს აურევენ ერთმანეთში მათი სიმჟავის დაგვარად და ამნაირად არეული ყურძნის ღვინოს დააყენებენ. ეს თუ მოსახერხებელია, მაშინ მხოლოდ ეს საშუალება უნდა იხმარონ მჟავე ტკბილის სიმჟავის შესამცირებლად.

კიდევ არის ერთი საშუალება, რომელიც კარგია და ვურჩევთ კიდეც ამ საშუალების ხმარებას, რადგანაც სიმჟავის შემცირება მხოლოდ იმისთანა ტკბილს უნდა, რომელშიაც ბევრი თავისუფალი სიმჟავე არის. ჩვენ შეგვიძლიან ეს თავისუფა-

ლი სიმჟავე ღვინის მარილად გადავაქციოთ და ღვინის მარილი ხომ გასწორებას არა თხოულობს; ჩვენ ხომ ვიცით ამ მჟარილის თვისება, რომ, თუ ის მომატებულია ტკბილში, დუღილის შემდეგ, ღვინის დაყენების დროს, უეჭველად გამოეცლება და იმდენი დარჩება, რამდენიც საჭიროა ღვინისათვის. თავისუფალი ღვინის სიმჟავის ღვინის მარილად გადაქცევა ჩვენ ორნაირად შეგვიძლიან: ან ნეიტრალი კალიქვიანი ღვინის სიმჟავით ან კალიქვიანი ნახშირ მჟავით; ამ ორივე შემთხვევაში შემდეგი ქიმიური რეაქცია ხდება:

$$C^4H^6O^6 + C^4H^4K^2O^6 = 2C^4H^5KO^6.$$

ღვინის სიმჟ. ნეიტრალი კალიქვიანი სიმჟ. ღვინის მარილი (კრემორტარტარი).

$$2\,(C^4H^6O^6) + K^2CO^3 = 2C^4H^5O^6 + H^2O + CO^2$$

ღვინის სიმჟ. კალიქვ. ნახშირის სიმჟ. კრემორტარტარი. წყალი. ნახ. სიმჟ.

პირველ შემთხვევაში 150 გრამს ღვინის სიმჟავისას 226 გრამი ნეიტრალი ღვინის მარილი უნდა და თუ ჩვენ გვინდა $3^0/_{00}$ სიმჟავე მოვაშოროთ, მაშინ თითო ლიტრ ტკბილს 5,4 ნეიტრალი ღვინის მარილი უნდა მივუმატოთ.

მეორე შემთხვევაში 150 გრამს ღვინის სიმჟავისას 63 გრამი კალიქვიანი ნახშირის სიმჟავე უნდა და თუ ჩვენ გვინდა იგივე $3^0/_{00}$ სიმჟავე მოვაშოროთ, მაშინ თითო ლიტრ ტკბილს 1,26 გრამი კალიქვიანი ნახშირის სიმჟავე უნდა მივუმატოთ.

მისამატებელი მარილი ორივე შემთხვევაში ცოტა ტკბილში უნდა გაიხსნას და ისე ცოტ-ცოტაობით მიემატოს. ყოველ მიმატების დროს კარგად უნდა მორევა, რომ ერთმანეთში უფრო კარგად აირივნენ.

2) სიმჟავის ნაკლი. თუ ტკბილს სიმჟავე აკლია, მაშინ ეს უფრო საშიშარია, ვიდრე გადამეტებული სიმჟავე. თუ ტკბილში მოხოლოდ 3 ან $4^0/_{00}$ სიმჟავეა, ეს ტკბილი კარგად არ დადუღდება, შაქარი მთლად არ განაწილდება და თითონ დუღილიც ცუდი თვისებისა იქნება. ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა, რომ ყურძენი ან დამწიფებამდინ ადრე დაიკრიფოს და ან, თუ ეს შესაძლებელი არ არის, სიმჟავე მიემატოს იმის

ტკბილს, რასაკვირველია, ღვინის სიმჟავე, იმ ვარაუდით, რომ საზოგადო სიმჟავე 5 ან $6^{0}/_{00}$ გახდეს. თუ ტკბილს $4,_{25}{}^{0}/_{00}$ სიმჟავე აქვს და ჩვენ გვინდა $6^{0}/_{00}$ იყოს, მაშინ $1,_{75}{}^{0}/_{00}$ სიმჟავე უნდა მიემატოს. სჯობს, რომ ამ შემთხვევაში ეს სიმჟავე მთლად თავისუფალი სიმჟავე არ იყოს, რადგანაც საშიშია, რომ ღვინოს მწკლარტე და მჟმახე გემო არ მისცეს. უფრო სასურველია, რომ კრემორტარტარით და თავისუფალი სიმჟავით შეივსოს ეს ნაკლი. ამ შემთხვევაში ას ლიტრ ტკბილს მიუმატებენ:

109 გრ. კრემორტარტარს, რომელშიაც 87 გრამ. ღვინის სიმჟ. და თავისუფალი ღვინის სიმჟავე 88 გრამ.

სულ იქნება ას ლიტრში 175 გრამი სიმჟავე და ერთ ლიტრში კი $1,_{75}{}^{0}/_{00}$. ამ ნაირად შესწორებული ტკბილის ღვინოს მწკლარტე გემო არ ექნება.

**ტანინის მეტ-ნაკლებობა.** როგორც ვიცით, ყურძნის წვენში ტანინი სრულებით არ არის; ტანინი მოგროვილია ყურძნის კურკაში, ჭაჭაში და კლერტში. თუ ყურძნის დაჭყლეტის დროს კურკა არ დაიმტვრა და კანი ძალიან არ გაისრისა, ეს სხეული (ტანინი) ტკბილში არ გადავა. მხოლოდ დუღილის დროს, როცა ტკბილი და ჭაჭა ერთად არის კარგა ხნის განმავლობაში, ეს ტანინი ჭაჭიდან ღვინოშიაც გადადის. რამდენიც უფრო დიდ ხანს იქნებიან ერთად ჭაჭა და ღვინო, იმდენად უფრო ბევრი ტანინი გასხსნება ღვინოში. ამისთვის ამ ტანინის მეტ-ნაკლებობაზე მაშინ მოვილაპარაკებთ, როცა ღვინის ღირსებაზე გვექნება საუბარი.

**საფერავის მეტ-ნაკლებობა.** მუქ წითელ ღვინოს უფრო დიდი გასავალი აქვს და, მაშასადამე, ფასიც მეტი აქვს. კანონიერი და ნამდვილი საშუალება ამ ნაირი ღვინის დასაყენებლად მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ვენახში ისეთი ჯიშის ვაზიც იყოს გაშენებული, რომლის ყურძენიც კარგი ფერის ღვინოს იძლევა. სხვა, ეგრედ წოდებული ქიმიური საშუალებით ღვინის შეღება მავნებელია როგორც ღვინისთვის, ისე კაცისათვის, და ამისთვის ზოგიერთ ქვეყნებ-

ში კანონით აკრძალულიც არის. აგრეთვე მავნებელია ანწლის და ამ გვარი საღებავების ხმარება, რადგან იგინი ყურძენში არ მოიპოვებიან. თუ არა ყურძნის საფერავით, სხვა საშუალებით ღვინის შეღება ყალბობა და უსინიდისობა იქნება. მაშასადამე, ყოველ ვენახში, რომლის პატრონსაც ჰსურს მუქი ღვინოები იქონიოს, უეჭველად საკმაოდ უნდა იყოს გაშენებული იმისთანა ვაზის ჯიშიც, რომლის ყურძენშიაც ბევრია ეს ბუნებითი საფერავი. ამ ბუნებითი საფერავით შეიძლება შეიღებოს იმისთანა ღვინოებიც, რომლებსაც ბუნებითად მუქი ფერი არა აქვთ. ამ მხრით ჩვენებური ვაზი საფერავი თითქმის სხვა ქვეყნების ყოველ გვარ საფერავსა სჯობიან, რადგანაც დიდძალი ფერის გარდა, შაქარიც ბლომადა აქვს და, მაშასადამე, საკუპაჟოდ (შესარევად) კარგი გამოსადეგია. რადგანაც ტკბილში მხოლოდ იშვიათად არის საფერავი, ამისათვის ამ საფერავის მეტ-ნაკლებობას, მის თვისებას, მის მომზადებას და ხმარებას ჩვენ მაშინ მოვიხსენებთ, როცა ღვინის საფერავზედ გვექნება ლაპარაკი.

**გოგირდ-შეყრილი ყურძნის ტკბილი.** თუ დანაცრულ ყურძენს გვიან შეაყარეს გოგირდის მტვერი და ამ შეყრის შემდეგ წვიმა არ მოსულა, მაშინ ყურძენს შერჩება ეს გოგირდი და დაჭყლეტის დროს ტკბილში გადავა; ნაწილი ამ გოგირდისა ტკბილის დუღილის დროს წყალმბადიან გოგირდად იქცევა ($H^2S$) და ღვინოს თავის გემოსა და სუნს მისცემს. ამ წყალმბადიან გოგირდს წამხდარი, გალაყებული კვერცხის სუნი და საზიზღარი გემო აქვს. ამისთანა ღვინო როგორც სასმელად, ისე გასასყიდად არ ევარგება და ამის გამო მთელი მოსავალი წახდება, გამოუსადეგარი იქნება. მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა, ეს გოგირდი წინადვე მოშორდეს ყურძენს. ამისათვის ყურძენი დაწურვის წინად უნდა გაირეცხოს. ვისაც ყურძნის გარეცხვა ჰსურს, იმან საწნახელს ორი ღარი უნდა გაუკეთოს, ერთი ღარი ასადუღებელ ჰურჰლის მხარეს არის და მეორე კი სხვა მხარეზე. როცა საწნახელს აავსებენ ყურძნით, მაშინ ასადუღებელი ჰურჰლის მხარეს ღარს დაუცობენ, მეორე ღარი კი ღიაა. ყურძენს ორჯელ-სამჯერ წყაროს წმინდა წყალს

დაასხამენ და ამგვარად ყურძენი გაირეცხება და გოგირდი გაეცლება. როცა წყალი დაიწრიტება, მაშინ ამ ღია მილს დაუცობენ, ასადუღებელ ჭურჭლის მხრისკენ მილს გახსნიან და ყურძნის დაწურვას შეუდგებიან. თუმცა ამგვარად ყურძნის გარეცხა ტკბილს ცოტაოდენ წყალს უმატებს, მაგრამ ისევ ესა სჯობიან, ვიდრე აყროლებული ღვინოს დაყენება. კარგი იქნება, რომ ყურძენი, წყლით გარეცხვის შემდეგ, ცოტაოდენი ტკბილითაც გაირეცხოს. ამ ტკბილს ცალკე მოამზადებენ და ყურძნის გარეცხვის შემდეგ ცალკე შეინახავენ. ეს ნარეცხი საზოგადო ტკბილში არ უნდა გაერიოს. რამდენიმე საათის შემდეგ გოგირდის მტვერს ტკბილი პირზე მოიგდებს, რის შემდეგაც იგი სიფრთხილით უნდა მოეხადოს.

თუ გოგირდის მტვერი მარტო ზოგიერთა მტევანს ჰქონდა შერჩენილი, მაშინ, რასაკვირველია, მთელი ყურძნის გარეცხა არ არის საჭირო; მარტო ეს გოგირდიანი მტევნები უნდა გაირეცხოს. წყლის სავსე გეჯაში მტევანი ორჯერ სამჯერ უნდა ამოივლოს, ფრთხილად დაიბერტყოს და მერე საწნახელში ჩაიყაროს.

**კირის წყლით ნაწამლავი ყურძნის ტკბილი.** როცა მილდიუთ ავადმყოფი ვაზი კირით არის ნაწამლავი, მაშინ ყურძენიც ხშირად ან ამ კირით არის გათხუპნული და ან კირნარევი ტალახით. ეს ტალახი თუ არ მოეცალა მტევანს, გადავა ტკბილში და იმის სიმჟავეს შეამცირებს, რისგამოც იგი თავისუფლად აღარ ადუღდება, შეფერხდება და ამის გამო იმაში გაჩნდება ეგრედ წოდებული რძის სიმჟავე ($C^3H^6O^3$) ან როგორც იტყვიან, რძიული დუღილი, რომელიც ღვინოს ძალიან ახდენს. რასაკვირველია, ამით ტკბილში იმდენი კირი არ გადავა, რომ სრულებით გამოაცალოს მას სიმჟავე, მაგრამ მაინც სიმჟავის დაკლება საშიშია. ამ შემთხვევაში ერთი უებარი საშუალება-ღა არის — ტკბილს იმდენ ღვინის სიმჟავეს მიუმატებენ, რომ ღვინოში ნორმალური სიმჟავე დარჩეს. ზოგნი ურჩევენ, რომ კირით გათხუპნული ყურძენი ჯერ გოგირდმჟავიანი წყლით (2%) გაირეცხოს და მერე წმინდა წყლით.

მაგრამ ეს რჩევა არ არის კარგი, რადგან შეიძლება ტკბილს გოგირდის სიმჟავე შერჩეს და მაშინ ღვინო მავნებელი იქნება.

## ტკბილის დაწმენდა

ბევრჯელ გვქონია ნათქვამი, რომ აზოტური ნივთიერებანი ღვინისათვის დიდად მავნებელნი არიან. ეს ბევრმა კარგად იცის და ამისთვის ამბობენ: „ღვინის პირველი მტერი ალბუმინიაო". ეს ალბუმინი არის მიზეზი მრავალი ავადმყოფობისა. ამისათვის ბევრი სწავლულები იმ აზრისანი არიან, რომ ზოგიერთი ნაწილი ამ აზოტურ ნივთიერებათა ტკბილს ღვინის დაყენებამდინ გამოეცალოს. ამას ეძახიან ტკბილის დაწმენდას.

სამ საშუალებას ურჩევენ ტკბილის დასაწმენდად: ა) ტანინის მიმატებას, ბ) ჰაერაციას ანუ ტკბილში ჰაერის ჩაბერვას და გ) ტკბილის შესვენებას.

ა) *ტანინის მიმატება.* ტანინის თვისება ჩვენ უკვე ვიცით. ის უერთდება აზოტურ ნივთიერებათა და ეს შეერთება ისეთია, რომ ის ნივთიერებანი ტკბილში აღარ იხსნებიან და ამისათვის იგინი ეცლებიან და ძირს ილექავს. რადგანაც წითელი ღვინის დაყენების დროს ტკბილს ყოველთვის ჭაჭა ეძლევა, ამისთვის ამ გვარად იმისი დაწმენდა საჭირო არ არის; დუღილის დროს ტანინი ჭაჭიდან და კლერტიდან ტკბილში გადავა, გაიხსნება და იმოქმედებს აზოტურ ნივთიერებაზე, რის გამოც ტკბილი თითონ დაიწმინდება. რაც შეეხება თეთრი ღვინის დაყენებას, რომელსაც ხშირად უჭაჭოდ აყენებენ, აქ აუცილებლად საჭიროა წინადვე ტკბილის დაწმენდა. ტანინი ღვინის შემნახავი ნივთიერება არის, თუმცა კი ძალიან ძნელია გადაწყვეტით ითქვას, თუ ღვინისათვის რამდენი ტანინია საჭირო. ეს დამოკიდებულია ღვინის ბუნებაზე და მის შედგენილებაზე. არის იმისთანა შესანიშნავი ღვინოებიც, რომლებშიაც თუმცა ტანინი ბევრია და საფერავიც ბლომადა აქვთ, მაგრამ ძნელი შესანახავები კი არიან; არიან იმისთანა ღვინოებიც, რომლებშიაც ტანინი ცოტაა, მაგრამ კარგად კი ინახე-

ბიან. საზოგადოდ მიღებულია, რომ კარგ ღვინოში, როცა ის ჯერ კიდევ ახალია, ტანინი უეჭველად უნდა იყოს. ბევრ გამოჩენილ ბორდოულ და ბურგონულ ღვინოებში ტანინი ბლომად არის და მწკლარტე გემოცა აქვს, მაგრამ რამდენიც ძველდებიან, მოვლით და დაწმენდის შემწეობით მათში ტანინი მცირდება და საგანგებო ღვინოები დგება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წითელ ღვინოში, როდესაც ის ჯერ ისევ ახალია, $1^0/_{00}$ ტანინი უნდა იყოს და ახალ თეთრ ღვინოში—$0,_5{}^0/_{00}$.

ბაზარში სხვა-და-სხვა გვარი ტანინი იყიდება. ტანინი თითქმის ყოველგვარ ხის ქერქში არის: ფიჭვის ქერქში, მუხის ქერქში, თრიმლის ქერქში, გუნდაში, ბროწეულის ქერქში და სხვანი. ამათგან მომზადებულ ტანინს ცუდი გემო აქვს და ამისთვის ამგვარი ტანინის ხმარებას არავის არ ვურჩევთ. ყველაზე კარგი ტანინი ის არის, რომელიც ყურძნის კურკებიდან არის მომზადებული. ამისათვის ერთ პატარა ას ლიტრიან ქოცოში ან ბოჩკაში ჩაასხამენ მაგარ ღვინოს, და თუ მაგარი ალკოგოლიანი ღვინო ხელად არ მოიპოვება, მაშინ ღვინოს მიუმატებენ 4 ან 5 ლიტრ $94^0$ ალკოგოლს და შიგ ჩაჰყრიან ოციოდე გრამს ყურძნის კურკას, იმისთანა კურკას, რომელიც დუღილში არ ყოფილა. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ღვინოს სხვა ჭურჭელში გადაიღებენ და შეინახავენ. ორი ლიტრი ესრედ მომზადებული ღვინისა საკმარია მიემატოს ას ლიტრ ღვინოს ან ტკბილს დუღილის წინად, რომ ღვინო კარგად შეინახოს.

ბ) ტკბილის ჰაერაცია ანუ ტკბილში ჰაერის ჩაბერვა. თუმცა ყურძნის დაწურვის დროს ტკბილი ბევრს ჰაერსა ჰნთქამს, მაგრამ ბევრი ღვინის დამყენებელნი იმ აზრისანი არიან, რომ ტკბილს უფრო ბევრი ჰაერი უნდა შეერიოს დუღილის წინად, რადგანაც ამ საშუალებას ბევრი სარგებლობა მოაქვსო. ჰაერის ჩაბერვის დროს ტკბილი ბევრ ჟანგ-მბადს ჩანჰთქამს და ამისგამო სადუღებელი დედა უფრო გაცხოველდება, გაძლიერდება, დაჯანიანდება და, მაშასადამე, ამ ნაირი დედით ტკბილის დუღილი უფრო ძლიერი იქნება და მალეც გათავდება. ამას გარდა ამ საშუალებით ტკბილში მყოფი აზოტური ნივთიე-

რებანი უერთდებიან ჟანგ-მბადს, ქიმიურად რომ ვთქვათ, დაჟანგდებიან და გამოეცლებიან ტკბილს, თხლეში გაერევიან. გაჰაერიანებულ ტკბილიდან დამდგარი ღვინო უფრო მალე იწმინდება, თავისუფლდება აზოტურ ნივთიერებათაგან, რომელნიც, როგორც ვიცით, ხშირად არიან მიზეზნი სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა. ამას გარდა ჰაერის ზედ-მოქმედებით ღვინოს ბუკეტი და სუნნელოვანება ეძლევა. მრავალი გამოცდილება მოუხდენიათ იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში, მეტადრე ბურგონიაში და ყოველთვის და ყოველგან ის აღმოჩენილა, რომ ტკბილის გაჰაეროვანებას დიდი და მარგებელი გავლენა აქვს როგორც ღვინის ღირსებაზე, ისე იმის შენახვაზე. ამის გამო ტკბილში ჰაერის ჩაბერვა, ჰაერაცია ბევრგან არის მიღებული.

აი როგორ შეიძლება ტკბილში ჰაერის ჩაშვება: სადუღებელ ქვევრში ან ბოჩკაში დუღილის წინად შუშის ან რკინის მილს ჩააყუდებენ ისე, რომ იმისი ბოლო ჭურჭლის ძირამდინ ჩავიდეს და ზედა თავიდან, ნახევარ-ნახევარ საათობით და დროგამოშვებით, ქურსით ჩაჰბერავენ ამ მილში. ამ გვარად ჰაერი ჩადის ჭურჭლის ძირამდის და შემდეგ მთელ ტკბილში ამოივლის. ზოგნი, ამის მაგივრად, სადუღებელ ჭურჭელში ჩასხმულ ტკბილს 24 საათის განმავლობაში რკინის ან ფიცრის ნიჩბებით თითქმის შეუწყვეტელად ურევენ.

ბაბომ გამოიგონა ერთი მანქანა, რომლის შემწეობითაც ადვილად შეიძლება ჰაერის ჩაშვება ტკბილში (სურათი 17). ეს გაკეთებულია ერთი გრძელი ფიცრიდან [1]), რომელსაც შუა ადგილას ჩასმული აქვს მოკლე და განიერი რკინის მილი (1), რომლის ერთი თავი ამ ფიცარშია ჩამაგრებული ისე, რომ ცოტაოდენად ფიცრის ზედა პირზედაც სჩანს, მეორე თავი კი ფიცრის ქვეშ კავებშია ჩამაგრებული. ამ განიერ მილში არის ჩატარებული ერთი გრძელი მილი (3—3), რომლის ქვემო ბო-

[1]) ამ ფიცარს თავის მოწყობილობით, როცა საჭიროა, სადუღებელზე დასდგამენ ჰაერის ჩასაბერად.

ლოზედაც ხარიხასავით მიმაგრებულია მეორე მილი (4). ამ ხა-
რიხა მილის თავები შედუღებულია და ერთის მხრით (b) უკა-




სურ. 17.—ბაზოს ჩასაბერავი მანქანა.

ნა გვერდზე და მეორეს მხრით (a) წინა გვერდზე ნახვრეტები აქვს. მოკლე მილში გატარებულ გრძელ მილს ზემოდან ჩამოცმული და დამაგრებული აქვს პატარა კონუსის მსგავსი კბილ-ჩოლერა ბორბალი (2); ამ ბორბალთან ახლო არის მოწყობილი უფრო დიდი ბორბალი (6), რომელიც ღერძზე (7) არის დამაგრებული. ამ ღერძს მეორე თავში გაკეთებული აქვს (5—5) ტარი, რომლის შემწეობითაც ამ ბორბალის დაბრუნება ანუ დატრიალება შეიძლება. როცა ეს დიდი ბორბალი ტრიალობს, მაშინ იგი დაატრიალებს მეორე ბორბალსაც და თვითონ მილსაც. ამ მილთან ერთად, რასაკვირველია, ხარიხა მილიც დატრიალდება. ხარიხის ტრიალის დროს ტკბილს არ შეუძლიან იმისავით ჩქარა იტრიალოს და უკან რჩება, ეს უკან ჩამორჩომა გამოიწვევს იმ ძალას, რომლის შემწეობითაც ჰაერი მილიდან ტკბილში ჩადის. როცა ხარიხა ტრიალობს, ის წინა გვერდით ტკბილს აპობს, უკანა გვერდთან ადგილი კი დაფუკულია

და აი ამ დაფუკულ ადგილში ჩადის ჰაერი. რამდენადაც ბორბალი ჩქარა ტრიალობს და მასთან ერთად ხარიხა მილიც, იმდენად ბევრი ჰაერი ჩავა სადუღებელ ჭურჭელში. ეს ჰაერი შემდეგ გაივლის მთელი ტკბილის სისქეს და ამგვარად ტკბილს გაანიავებს.

იტალიაში ხმარობენ სხვაგვარ მანქანას (სურათი 18), რომელიც ბოშიერისგან (Boschieri) არის გამოგონილი და რომელიც ბოჩკის ძირის ზედაპირზეა დამდგარი. ბოჩკის ერთ გვერდის ახლო, ბოჩკის ძირზე სდგას გადმობრუნებული პინა (1) და კარგად არის ჩამაგრებული. ამ პინას გვერდებიდან ხის მილებია (2) აქეთ-იქით გაყვანილი მთელ ბოჩკის ძირზე. ამ მილებს მთელ თავის სიგრძეზე პატარ-პატარა ნახვრეტები აქვთ. ამას გარდა ამ გადმობრუნებული პინიდანვე გამოდის ბოჩკის გვერდში ერთი მილი (3), რომელიც ბოჩკის გარედ ონკანით (4) თავდება. როცა უნდათ ტკბილს ჰაერი ჩაჰბერონ, მაშინ ამ ონკანს რომელიმე საბერველის მილს შეუერთებენ კაუჩუკის მილით და ჩაბერვის დროს ონკანს გააღებენ. ჰაერი ჩადის პინას ქვეშ და აქედან მილებში გადის და მთელ ტკბილში ერევა. როცა ბერვას გაათავებენ, ონკანსაც დახურავენ. ამ მანქანის ხმარებას სიფრთხილე უნდა; ონკანის გაღებამდინ საბერავი უნდა გაბერილი იყოს; უამისოდ ტკბილი დაიღვრება.



სურ. 18. — ბოშიერის ჩასაბერავი მანქანა.

ამათ გარდა დიდად გავრცელებულნი არიან იმისთანა მანქანები, რომლების შემწეობითაც ყურძნის დაწურვის დროს ტკბილში ჰაერს ურევენ. ყველა ეს მანქანები ერთსა და იმავე დროს საწურავი მანქანებიც არიან და საბერავიც, მაგრამ მე იმათზე აქ არას ვიტყვი. ჩვენში, სადაც ყურძენს ფეხითა სწურავენ საწნახელში, ტკბილს ჰაერის ჩაბერვა აღარ უნდა, და-

წურვის დროს უამისოდაც ბევრი ჰაერი ერევა ყურძენსა და ტკბილს.

გ) მესამე საშუალება არის ტკბილის შესვენება. ამ საშუალებას ხმარობენ იტალიაში, განსაკუთრებით პიომენტში, ეგრედ წოდებული ცქრიალა (შამპანური) ღვინის მოსამზადებლად. დაწურვის შემდეგ ყურძენს დაჰქაჩავენ და ტკბილს ჩაასხამენ ფართო ჭურჭელში. ცოტა ხნის შემდეგ ეს ტკბილი დუღილს დაიწყებს და ტკბილის პირზე მაშინვე ნალებივით სქელი ქაფი მოგროვდება, თხლესა ანუ ლექს კი ძირში დაილექავს. ეს ქაფი შესდგება იმ აზოტურ ნივთიერებათაგან, რომელნიც წინად ტკბილში იყვნენ და რომლებიც დუღილით გაჩენილი ნახშირ-მჟავის შემწეობით მოგროვებულია ტკბილის ზედა პირზე. 12 საათის შემდეგ ამ ქაფს მოხდიან დიდრონი ქაფქირებით; ამას გაიმეორებენ ერთხელ ან ორჯელ კიდევ, მინამ ქაფი ედება, და შემდეგ ფრთხილად გადაასხამენ სადუღებელ ჭურჭელში, ისე ფრთხილად, რომ ლექი არ აიმღვრეს და ტკბილში არ შეერიოს.

**ტკბილის დადუმება** (mutage). ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ტკბილში შაქარი რამდენიმე ხნით შეუცვლელად დაარჩინონ, ესე იგი დუღილი შეაფერხონ, დაამუნჯონ. ამ გვარი ტკბილისაგან დაყენებულ ღვინოს დადუმებული დამუნჯებული ღვინო ჰქვიან (vins muets).

ამ ნაირად მომზადებული ზოგიერთა ჯიშის ვაზის ღვინო პირდაპირ სახმარებელია და კარგი ფასიცა აქვს, რადგანაც ტკბილია, როგორც მუსკატის ან ალიკანტეს ღვინო (vins de muscat, alicante); ზოგიერთი კი იხმარება, როგორც მასალა, სხვა გვარი ღვინოების მოსამზადებლად, როგორიც არის მადერა, მალაგა, ვერმუტი და სხვანი.

ხანდისხან ამ საშუალებას ხმარობენ იმისთანა ტკბილის მოსამზადებლადაც, რომელიც შორ ადგილას არის წასაღები და რომ გზაზე არ ადუღდეს, მაშინვე დაადუმებენ.

ტკბილის დადუმება სხვა-და-სხვა გვარად შეიძლება და ყოველთვის სახეში ისა აქვთ, რომ სადუღებელი ფერმენტი ან მო-

ჰკლან და ან ისე გააბრუონ, რომ იმას აღარ შეეძლოს ტკბილის შაქარზე ზედ-მოქმედება და მისი განაწილება. ამ სხვა-და-სხვა საშუალებათა შორის უფრო გავრცელებულია ალკოგოლი, გოგირდის ბოლი (გოგირდეული სიმჟავე $SO^2$) და სითბო.

ა) *ალკოგოლით ტკბილის დადუმება.* გამოცდილებით შეტყობილია, რომ ტკბილის დუღილი მაშინ შესწყდება, როცა იმაში ალკოგოლის რაოდენობა აიწევს $18^0$-დინ. მაშასადამე, თუ ახლად დაწურულ ტკბილს ჩვენ მივუმატებთ $18^0/_0$ (ტანით) ალკოგოლს, ის ტკბილი აღარ დადუღდება. ამისთანა ალკოგოლიან ტკბილში დუღილის დედა გაბრუებულია და ვეღარ შეუძლიან მოქმედება, მაშასადამე, აღარც შაქრის განაწილება და დუღილის გაჩენა შეეძლება. გამოცდილებამ ისიც გვიჩვენა, რომ ამდენი ალკოგოლი საჭიროა მხოლოდ იმისთანა ტკბილისთვის, რომელიც უკვე დუღილშია შესული და თუ, წინააღმდეგ ამისა, ტკბილს ჯერ არ დაუწყია დუღილი, იმისთვის უფრო ცოტა ალკოგოლია საკმაო. ამ შემთხვევაში ტკბილის დასადუმლებად საკმარია 12 ან $14^0/_0$ (ტანით). ალკოგოლი ძალიან კარგად გაწმენდილი უნდა იყოს. ყველაზედ უფრო კარგი ალკოგოლი ღვინიდან გამოხდილი ალკოგოლია. ალკოგოლი თავისთავად ადვილად არ გაერევა ტკბილში, ამისათვის მიმატების შემდეგ ნარევი უნდა კარგად შეაჭანჭყაროთ.

ბ) *გოგირდის ბოლით ტკბილის დადუმება.* ეს საშუალება უფრო ეკონომიურია და კარგი, თუმცა კი ამის ხმარება შეიძლება თეთრი ღვინის დასაყენებლად, რადგანაც წითელ ღვინოს ფერსართმევს და ცუდ გემოს აძლევს. გოგირდის ბოლის ზედ-მოქმედება გოგირდეული სიმჟავის რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ერთ ლიტრ ტკბილში 77 მილიგრამი ($0,_{077}$ გრ.) არის, ის მხოლოდ სამი დღით შეაჩერებს დუღილს და თუ 31 სანტიგრამი ($0,_{31}$ გრ.) არის, მაშინ სრულიად და სამუდამოდ დაადუმებს.

აი როგორ უნდა გოგირდის ბოლის ხმარება: ქვევრში ან ბოჩკაში, რომელშიაც უნდა იდგეს დადუმებული ტკბილი, ჯერ, როცა ცარიელია, შიგ დასწვავენ პატარა გოგირდის ნატეხს და ამის

შემდეგ შიგ ჩაასხამენ ერთ ნაწილს ტკბილისას; მერე კარგად უნდა გაჰანჭყარდეს, რომ ეს სიმჟავე ტკბილში გაიხსნას. ამის შემდეგ კიდევ დასწვავენ ამ ჰურჭელში გოგირდის პატარა ნატეხს და ამის შემდეგ კიდევ ტკბილსაც მიუმატებენ. ამას გაიმეორებენ კიდევ ორჯელ ან სამჯერ, სანამ ბოჩკა ან ქვევრი სრულებით არ გაივსება. ხანდისხან ცალკე ამზადებენ გოგირდეული სიმჟავის ხსნილს ან წყალში, ან ტკბილში და ამ ხსნილის მიმატებით დაადუმებენ ტკბილს.

გ) სითბოთი ტკბილის დადუმება. ტკბილის დამუნჯება შეიძლება აგრეთვე იმის გათბობითაც. თუ ტკბილი 80°-დინ გაცხელდა, მაშინ მისი დუღილის დედა მოკვდება და ამის გამო ტკბილი დიდხანს შეინახება მუნჯად. რადგანაც გათბობაზე ჩვენ შემდეგში ვრცელად მოვილაპარაკებთ, ამისთვის ამაზედ ახლა მეტს აღარას ვიტყვით.

როგორც ვხედავთ, ტკბილი ბევრ შემთხვევაში თხოულობს გადაკეთებას და გასწორებას; უამისოდ იმისგან ხეირიანი ღვინო არ დადგება. ამისათვის აქ ნაჩვენები საშუალებანი ტკბილის ავ-კარგობის შესწორების შესახებ ღირსნი არიან იმისა, რომ ყველა ვენახის პატრონებმა ყურადღება მიაქციონ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საშუალებათა სიფრთხილითა და დაკვირვებით მოხმარება უსარგებლო არ იქნება და, ვინც გონივრულად ისარგებლებს საჭიროების დაგვარად, ის არასოდეს თავის მოსავალს არ დაჰკარგავს; ის შედარებით ყოველ გარემოებაში კარგ ღვინოს დააყენებს. მე ვამბობ შედარებით, რადგანაც, თქმა არ უნდა, რომ თუ ტკბილი გასწორებას არ თხოულობს, ეს უფრო კარგი იქნება, იმის ღვინო უფრო კარგი დადგება.

ვასილ პეტრიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

# მთავრობის მონაწილეობა

## სამეურნეო საქმეში

### I

პირვანდელ კაცთა საზოგადოების მკვებავი ჯერ ნადირობა და თევზაობა იყო და შემდეგ მწყემსობა და საქონლის მოშენება. გამრავლდა ხალხი. შეცოტავდა ნადირი და თევზიც. შემოაკლდა საქონელს საბალახე ადგილები, შემცირდა ნაყოფიერება დედა-მიწისა, იკლო მიწის ბუნებურმა ძალ-ღონემ. კაცთა შორის ასტყდა საშინელი ბრძოლა არსებობისათვის. აუარებელი ტანჯვა და წვალება გამოიარა კაცმა, ათასის წლობით სისხლი ჰღვარა თავის დასაცველად არსობითს ბრძოლაში, ვიდრე მიაგნებდა იმ ყოვლად-მსხნელს აზრს, რომ მიწის ნაყოფიერების მოსამატებლად შემუშავებაა საჭირო. რაკი მიიკვლია, შეიგნო დიდებული აზრი მიწის შემუშავებისა, ამით მან ჰპოვა ის ქვა-კუთხედი, რომელმაც ქვეყნიერების წარმატება მკვიდრს საძირკველზე დაამყარა და თვით სწავლა-განათლებასაც ფეხი ააჩქარებინა. დაემკვიდრა კაცი სამუდამოდ ერთს ბინაზედ და იმდენად დაიმორჩილა ძალნი ბუნებისანი, რომ ახლა მცენარეობასაც უფრო მეტად დაავალა უხვად ეძლია სარჩო, რომლის მოსაპოვებლად შორს წასვლა აღარა სჭირდებოდა.

ამ გვარად დაიბადა ქვეყნიერებაზედ ხვნა-თესვა, მეურნეობა, რომელიც საძირკვლად დაედო სამოქალაქო და სახელმწიფო ცხოვრებას. ვინც კი ცოტაოდნად გაირჯებოდა, იმას შიმშილი ვერასოდეს ვერ დასძლევდა, რადგანაც სარჩოს მომცემი

მიწა ბევრი იყო. „როდესაც მიწა ბევრია, მაშინ მარტივის წესით და უხერხულად შემუშავება უფრო სასარგებლოა მკვიდრისათვის, ვიდრე კარგად, რთულის წესითაო“, სთქვა გამოჩენილმა ამერიკელმა პატრიოტმა და სახელმწიფო მოღვაწემ ვაშინგტონმა. კარგად რომ შევიმუშავოთ მიწა, დიდი შრომა და თავნი უნდა დავხარჯოთ, რომელიც იმ დროს ძნელი საშოვნელია იყო, და ამიტომ მოსავალი ისე ძვირად დაგვიჯდება, რომ იმ ფასად არავინ იყიდის ჩვენს ჭირნახულს. ამ პირველ შეხედვით ახირებულ გარემოების მიზეზი ის არის, რომ იმ დროს, როცა მამულები ბევრია, ხალხი კი ცოტა, მიწის მოსავალს არც ფასი აქვს და არც ბაზარი.

ეს ის ხანაა მეურნეობის ისტორიაში, როდესაც სამეურნეო საქმისათვის არავითარი გარეშე ზრუნვა საჭირო არ არის. მთავრობას შეუძლიან სრულიად არ შეიწუხოს თავი ამ საგნისათვის, რადგანაც საკმაო სარჩოს მოპოვება მეურნეს მიერ ცოტაოდენ შრომას და მცირე თანხასა თხოულობს. ყოველივე ზრუნვა მთავრობისა ამ შემთხვევაში, თუ საზარალო არა, სასარგებლო არ იქნებოდა.

მაგრამ გამრავლდნენ მკვიდრნი, დაცოტავდა რაოდენობა მიწისა, სხვა-და სხვა მიზეზების გამო მამულები მოიღალა და იკლო ნაყოფიერებამ; ბევრს ადგილას საშინელი გვალვა კაცს ნებას აღარ აძლევს მეურნეობას მისდიოს. წავიდა ძველებური დრო, შეიცვალა უხვად დამაჯილდოვებელი ბუნების გარემოებანი, მოისპო ის არა-რთული საზოგადოების წეს-წყობილება, რომელზედაც იყო დამყარებული მეურნეობა და ყოველივე მრეწველობა, როცა არც ერთსა და არც მეორეს არავითარი დახმარება და ზრუნვა არ ეჭირვებოდა არც საზოგადოებისა და არც მთავრობისაგან. კაცობრიობას წინ დაუდგა საშინელი დილემა: შიმშილით დაიხოცებით, თუ ვერ მოახერხეთ როგორმე იმ ცოტაოდენს მამულზედ, რომელიც თვითეულს ერგება, საკმაო სარჩო-საბადებელის მოყვანაო. ვერ გაუძლვა სოფლის მუშაკი ამ ახალ მოთხოვნილებას. მეურნეობა დაეცა. გაძნელდა ცხოვრება სოფელში და ბევრმა დაანება თავი მამა-პაპურ ხელო-

ბას—ხვნა-თესვას, მეურნეობას; სოფლის მკვიდრი გაეჩქარა ქალაქისაკენ და ქარხნებში მუშაობით ფულის მოგება დაიწყო. ბევრი მოსწყვიტა მეურნეობას სხვა-და-სხვა გვარ მრეწველობის წარმატებამ; ხოლო სამწუხარო ის არის, რომ ქალაქის ქარხნების მუშა უფრო დიდ გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდა, ვიდრე სოფლისა. უსახლ-კარო და უბინაო, იგი ბევრჯელ უსაქმობის გამო, შიმშილით იტანჯება თავის ცოლშვილით და დიდად ბედნიერად ჩასთვლიდა თავის თავს, რომ მამა-პაპურად სოფელში ბინა ჰქონიყო და მიწის მუშაობისათვის არ ელალატნა. სოფლის მუშა-მეურნეს კი დღესაც ქალაქისაკენ უჭირავს თვალი...

ამ ჟამად განათლებულ ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრძოლაა მეურნეობასა და მრეწველობას შორის. ზოგიერთ სახელმწიფოში ეკონომიურ კეთილ-დღეობის უმთავრესი წყარო მეურნეობაა, ზოგში—მრეწველობაა; ზოგან კი ერთგვარად არის გაძლიერებული ეს ორივე წყარო ახლანდელის სიმდიდრისა, რადგანაც მუშაკთა რიცხვი შუაზე იყოფა—ნახევარი მეურნეობას მისდევს და ნახევარი მრეწველობას. ზემოხსენებული ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ თვითეული მათ შორის, მრეწველობა ცალკე და მეურნეობა ცალკე, ცდილობს თვით დაიჭიროს უმთავრესი ადგილი ერის საეკონომიო ცხოვრებაში.

პროფესორ კ. დ. კაველინს მოჰყავს საინტერესო ციფრები იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში რამდენი მისდევს მეურნეობას. რუსეთში მეურნეობას მისდევს 80% მცხოვრებთა რიცხვისა, ირლანდიაში—73%, შვეციაში—55%, იტალიაში—54%, საფრანგეთში—51%, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში—50%, დანიაში—47%, შოტლანდიაში—45%, ავსტრიაში—44%, ვენგრიაში—42%, გერმანიაში 30—40% (მთელის გერმანიისათვის სწორე ციფრები არ არის), ინგლისში—15%.*)

---

*) К. Д. Кавелинъ,—Крестьянскій вопросъ. СПБ 1882 г., გვერდი მე-19.

მეტად შესანიშნავია ციფრები შესახებ რუსეთისა და ინგლისისა. რადგანაც რუსეთში მრეწველობასა და სხვაგვარ თავისუფალ პროფესიებს მისდევს მარტო 20%, ანუ ერთი მეხუთედი მკვიდრთა საერთო რიცხვისა, რასაკვირველია, რაც უნდა მცირე იყოს ეკონომიური შეძლება და კულტურული მოთხოვნილება ხალხისა, არ შეიძლება, რომ სხვა ქვეყნებიდან არ შემოიტანონ რუსეთის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვა-და-სხვაგვარ მრეწველობის ნაწარმოები. ინგლისში საქმე სულ სხვაგვარად არის მოწყობილი: იქ მკვიდრთა საერთო რიცხვის 15%-ს ვერ შეუძლიან იმოდენა ჰირნახული და სარჩოსაბადებელი მოიყვანოს, რომ ეყოს მთელს ინგლისს; ქარხნების სამუშაო მასალასაც რომ თავი დავანებოთ (მატყლი, ბამბა და სხვანი) საკმაო პურის მოყვანასაც კი ვერ ახერხებს ეს მცირეოდენი რიცხვი ინგლისის მეურნეობის მუშაკთა და სწორედ ამიტომ ინგლისი ითვლება მთელს ქვეყნიერებაზედ უპირველეს და უდიდეს ბაზრად პურისა და სხვა მრავალგვარ მეურნეობის ნაწარმოებისა. ყოველ წელიწადს ინგლისს უყიდნია სხვა-და-სხვა ქვეყნებისაგან თითქმის ნახევარ მილიონ ფუთამდე; მაგალითად, 1890 წელს იყიდა 187.470,000 ფუთი ხორბალი და ამ რიცხვს რომ მივუმატოთ ფქვილი, ქერი, სიმინდი და შვრია, სულ შეადგენს 462.199,000 ფუთს [2]). თავისი საკუთარი პური არა ჰყოფნის აგრეთვე გერმანიას, საფრანგეთს და ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსაც. 1878 წლამდე ყველაზედ ბევრი პური საქვეყნო ბაზარში გაჰქონდა გასასყიდად რუსეთსა, მაგრამ მას შემდეგ საქვეყნო პურის ვაჭრობაში რუსეთმა თავისი პირველი ადგილი დაუთმო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს. რუსეთს ახლა მეორე ადგილი უჭირავს და 1881—90 განმავლობაში ყოველ წელიწადს, ერთი-ერთმანეთზე რომ ვიანგარიშოთ, ჰგზავნიდა 350 მილიონ ფუთ პურს; 1891 წელს რუსეთიდან გავიტანეს 390 მილიონი ფუთი პური, ხოლო 1892 წ. შიმშილობის გამო გა-

[2]) Вѣстникъ финансовъ, промышленности и торговли 1891 г. № 7.

ტანა პურისა აკრძალულ იქმნა და რუსეთის მეურნემ საზღვარ გარედ გაჰყიდა მარტო 195 მილ. ფუთი პური [3]).

როგორც რუსეთის მეურნე ცდილობს თავისი ნაწარმოები—პური და აგრეთვე სხვა ძირის მასავალი, ასე თუ ისე ფულად აქციოს, ისე ინგლისის მრეწველობა ცდილობს, რიგიანი ბაზარი უშოვოს თავის ქარხნების სხვა-და-სხვა ნაწარმოებს, რათა ამ ფულით იქირაოს მუშა-ხალხი და მით ლუკმა-პური გაუჩინოს იმ აუარებელ უსახლ-კარო და ბოგანო ხალხს, რომელსაც დიდი ხანია მეურნეობასთან კავშირი გაუწყვეტნია და ამ ქარხნების იმედით-ღა სულდგმულობს. თუ როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ინგლისში მეურნეობით სარჩოსა შოულობს მარტო 15% მკვიდრთა საერთო რიცხვისა, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი—დანარჩენი 75% ქარხნის მუშები უნდა იყვნენ და სწორედ ამიტომ ინგლისში მუშაკთა საქმე იმ დიდ სახელმწიფო საქმედ ითვლება, რომელსაც არამც თუ ყური არ მოეყრუება, არამედ მთელ სახელმწიფო საეკონომიო პოლიტიკასაც კი იმორჩილებს. აი რას ამბობს პროფესორი კაველინი ინგლისის შესახებ:

„სოციალური ვითარება ამ ქვეყნისა სავალალოა: რაც მამულებია, სულ ერთს მუჭა ხალხს ეკუთვნის, ხოლო გლეხ-კაცობასა და ერის უმრავლეს ნაწილს არც მიწები აქვს და არც სახლ-კარის ადგილი. ინგლისისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა, რომ ეს უდედულ-მამულო ხალხი, რომელსაც ფეხი მტკიცედ არ უდგია დედა-მიწაზედ, საკმაოდ ჰპოულობდეს სამუშაოს და ისეთს საშოვარში იყოს, რომ ლუკმა-პური არ უჭირდეს. ამიტომ ცდილობს ინგლისი, რომ ხელში ეჭიროს მსოფლიო ვაჭრობა, ცდილობს ძველი ბაზარი შეირჩინოს და თან ახალიც მოიპოვოს თავის საქონლის გასასაღებლად. ინგლისი ცდილობს ყოველ ამას იმიტომ კი არა, რომ პატივ-მოყვარე, გულხარბი იყოს, არამედ იმიტომ, რომ აუცილებელი საჭიროებაა მისთვის, ისეთი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაზედაც არის

---

[3]) Проф. А. Фортунатовъ—Сельско-хозяйст. статистика Евр. Россіи. М. 1893 г., გვერდი 231.

მიმართული მთელი მისი ძალ-ღონე, მთელი მისი პოლიტიკა. სხვა-და სხვა ხელ-შეკრულობა, კავშირი, დადებული ინგლისის მიერ, თვით ომი და ბრძოლა, დაპყრობა და ძალ-და-ძალ დაჭერა ამა თუ იმ ქვეყნისა, გამოწვეულია ამ უმთავრეს საეროვნო ზრუნვით: ყოველივე იხრის ქედს ამ ზრუნვის წინაშე. ამ ქვეყნის საპოლიტიკო დასნი დიდს იძულებაში არიან ერთმანეთ შორის, მაგრამ როცა კი საქმე შეეხება ამ საეროვნო ინტერესს, ერთმანეთის თანხმად იქცევიან და ამის დროს ცალ-ცალკე არ იწევენ: საეროვნო ინტერესი შემაერთებელი დუღაბია მათთვის. დაცვა ამ ინტერესისა, რომელზედაც დამოკიდებულია უმთავრესად არსებობა ქვეყნისა, საერთო საქმეა, რომლის გადაწყვეტას ერთი დასი ერთის გზით ჰფიქრობს, ხოლო მეორე—მეორეს გზითა.

ევროპის სხვა ერთაცა აქვთ თვითეულს თავ-თავისი არსებითი ინტერესები, რომელიც ქვა-კუთხედია მათის არსებისათვის, უპირველესი მიზეზია მათის საგარეო, თუ საშინაო მოქმედებისა. და აი ყოველივე თვითეულს ქვეყანაში ისეა მოწყობილი, როგორც მოითხოვს ეს ქვა-კუთხედი, ეს უმთავრესი ინტერესი ერისა" [1]).

ამგვარად, საკოლონიო და ერთა-შორისი პოლიტიკაა ის უმთავრესი საგანი, რომლის წყალობითაც ყველა სახელმწიფო ცდილობს კარგი ბაზარი უშოვნოს თავის ნაწარმოებს და მით შეძლებისამებრ მაინც დაუკარგოს სიმწვავე მუშათა საქმეს და გლეხ-კაცობის გაჭირვებას. საზღვარი არა აქვს კაცის სიხარბეს, მაგრამ საქვეყნო ბაზრების გამრავლებასა და გაფართოვებას კი საზღვარი აქვს. ბოლოს მაინც იძულებული იქნებიან მიჰმართონ ბრძენსა და სამართლიანს საშინაო ეკონომიურ პოლიტიკას. ჯერ ახლაც საჭიროდ მიაჩნიათ გააძლიერონ ისევ მეურნეობა და იპოვნონ მეურნეობასა და მრეწველობას შორის ის ჰარმონია, რომლის წყალობითაც სოფლისა და ქალაქის მუშახალხმა იმოდენა შეძლება იქონიოს, რომ შინვე ერთი-ერთმანეთში

[1]) К. Д. Кавелинъ—Крестьянскій вопросъ. СПБ. 1882 г., გვ 14.

გაასაღონ თავიანთ ნაწარმოები და ამგვარად მხარი მისცეს სოფელმა ქალაქს და ქალაქმა სოფელს.

ჩვენ არ შევეხებით მუშათა საქმეს, რადგანაც იგი არ არის საგანი ჩვენის წერილისა. ხოლო რაც შეეხება მეურნეობასა და სოფლის მუშათა გაჭირვებას, იგი დიდს ზრუნვასა თხოულობს მთავრობისაგანა და საზოგადოებისაგანაც, ნამეტნავად იმ სახელმწიფოებში, სადაც უმძლავრესი ძარღვი საეკონომიო ცხოვრებისა მეურნეობაშია. ამ სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი უჭირავს რუსეთს, სადაც, როგორც მოხსენებული იყო, $^4/_5$ მკვიდრთა საერთო რიცხვისა მიწის მოსავალითა სულდგმულობს.

საერთა-შორისო ვაჭრობას ის უმთავრესი აზრი აქვს, რომ ყველა სახელმწიფოსა და ერს გააქვს საქვეყნო ბაზარში თავისი ნაწარმოები, მიწის მოსავალია თუ ქარხნის ნაკეთები, რათა იგი ფულად აქციოს და ამ ფულით შეიძინოს იმისთანა ნივთნი, რომელნიც თითონ ვერ მოუჭირნახულებია. ინგლისი, მაგალითებრ, ჰყიდის უცხო ქვეყნებში თავის მრავალგვარ ქარხნების ნაწარმოებს და ამ ფულით პურსა და სხვა სალეველსა ჰყიდულობს. რუსეთი საქვეყნო ბაზარში ჰგზავნის პურსა, რათა შეიძინოს ქარხნების ნაწარმოები.

ამ გარემოების მიხედვით, მეურნეობას ორი მხარე აქვს, ორი უმთავრესი საგანი და მისწრაფება. პირველი საგანი ის არის, რომ მეურნე უნდა ეცადოს, რამდენადაც კი შეიძლება, დიდი მოსავალი მოიყვანოს. ესა აქვს საგნად **სამეურნეო ტეხნიკას**. მეორე საგანი ის არის, რომ მეურნეობის წმინდა შემოსავალი, ფულად გადაქცეული, რაც შეიძლება, მეტი იყოს. ეს მეორე საგანი საზრუნავია **სამეურნეო ეკონომიისა**; იგი შეიცავს სწავლა-მოძღვრებას იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება გაზრდეს წმინდა მოგება მეურნეობისა ტეხნიკის კარგად და ოსტატურად მოხმარებით. სამეურნეო ეკონომია ვრცლად იკვლევს მიწის მფლობელობისა და სარგებლობის საქმეს, საქმეს მეურნეობაში თავნის დაბანდებისას, სამეურნეო კრედიტის მოწყობისას, საუკეთესო ბაზრების ხელში ჩაგდები-

ნას, სამეურნეო ნაწარმოების იაფად გადატან-გადმოტანისას და სხვ.. მთავრობის ხელთ-უფლობა, მთავრობის ჩარევა და მონაწილეობა ყოველ ამ საგნის განსაკარგებლადა და მოსაწყობად არის სამეურნეო პოლიტიკა, ნაწილი საერთო საეკონომიო პოლიტიკისა, რომლისათვისაც, დიდი ხანია, ჰფიქრობენ და ასე თუ ისე ჰმოქმედობენ არამც თუ ევროპის წარმატებულ სახელმწიფოებში და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ რუსეთშიაც.

რაიცა შეეხება ზრუნვას სამეურნეო ტეხნიკისათვის, ეს სულ ახალი საქმეა.

## II

მეურნეობა საქმეში გამოსაყენებელი პრაქტიკული ბუნებ-ის-მეტყველებაა. ბუნება კი სხვა-და-სხვა ქვეყანას, სხვა-და-სხვა მაზრას, ასე გასინჯეთ სხვა-და-სხვა სოფელსა და მამულსაც კი, სხვა-და-სხვა ნაირი აქვს. ყოველგვარ ამ სხვა-და-სხვაობაში მეურნეს უპირველესად თვალ-წინ უდგება სხვა-და-სხვაობა: ნიადაგისა, ჰავისა და სინესტისა მიწასა და ჰერში. მეურნე უნდა ეცადოს, რომ ყოველ განსაკუთრებულს გარემოებასა და ვითარებაში ის ოსტატობა გამოიჩინოს, რომ ცოდნა და მოთხოვნილება ტეხნიკისა შეუფარდოს, შეუწონოს იმ ადგილის თვისებას, საცა მეურნეობს, საცა მუშაობს. ხოლო რადგან თვით ბუნების-მეტყველება, ბუნების მეცნიერება, რომელზედაც არის დაფუძნებული მეურნეობა, იმდენად არ არის გარკვეული და დაბეჯითებით შესწავლილი, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში, გადაჭრილი პასუხი მოგვცეს, ცხადია, მაშ, რაოდენი მნიშვნელობა აქვს მეურნის გამოცდილებას და დაკვირვებას ამა თუ იმ ბუნების თვისებათა ერთიანის კრებულისას.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ ამასთან საჭიროა მეურნეს ჰქონდეს უნარი და გამოცდილება შეუფერ-შეუწონოს თავისი მოქმედება და მეურნეობა ადგილობრივს საეკონომიო გარემოებასა და ვითარებასაც. აშკარაა, რომ ყოველი

მეურნე, რომელსაც კი უნდა მოიპოვოს უნარი გამოცდილებაზე დამყარებულ მეურნეობის წარმოებისა, თანაბარი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც ადგილობრივ ბუნების, ისე ადგილობრივსავე ეკონომიის გარემოებათა ერთიანს კრებულს.

ყოველი მეურნე ცდილობს, რაც კი შეიძლება, მეტი მოსავალი მოიყვანოს იმ მცენარეთა თესვით, რომელსაც უკვე დიდი ხანია მისდევს. ეს სურვილი უფრო ადვილად შესაძლებელია იმისთვის, ვინც, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, აღჭურვილია, როგორც სამეურნეო ცოდნა-განათლებით, ისე იმ უნარით, რომელსაც აძლევს კაცს დაკვირვება, გამოცდილება და შეფერებ-შეწონვა მეცნიერების მოთხოვნილებისა და ადგილობრივ ბუნებურ და საეკონომიო ვითარებისა. ამ სახით, ერთი უპირველესი საგანი **გონივრულის** მეურნეობისა ის არის, რომ, რამდენადაც შეიძლება, მეტი მოსავალი მიიღოს ყოველ იმ მცენარეთა თესვით, რომელიც უკვე გავრცელებულია.

ის სამეურნეო მცენარენი, რომელიც ყოველ წელიწადს ითესება და მოდის კიდეცა, უკვე შეთვისებულია ადგილობრივ ჰავა-მიწა-წყალსა და ამიტომ მეურნეს წინადვე შეუძლიან სთქვას: უტყუარს მოსავალს მივიღებ, თუ მოულოდნელმა გარემოებამ და შემთხვევამ არ მიღალატაო. ის მცენარე კი, რომელიც ახალად უნდათ შემოიღონ, ჯერ საეჭვოა, და მის შესახებ გამოცნობა უნდა, შეითვისებს ახალი ჰავა და ნიადაგი იმას, თუ არა? როდესაც ხალხი ამ მხრივ გამოსცდის ახალს მცენარეს, ცოტაოდნად მაინც შეისწავლის მის მოვლა-მოყვანას, მაშინ ამ ახალის მცენარის ტეხნიკის განკარგება იმავე გზას დაადგება, როგორც ძველის-ძველად შემოღებული. ცხადია ამ სახით, რომ ძველად შემოღებულ მცენარის მოსავლის მატება და გამრავლება უფრო ადვილია, ვიდრე ახლისა და ამიტომ წინაპირველად მთავრობამ, რითაც კი შეუძლიან, უპირატესად უფრო ძველად შემოღებულ სამეურნეო მცენარის ტეხნიკის განკარგებას უნდა მიაქციოს ყურადღება: იმას ცოტა გზა აქვს სავალი და უფრო მალე მიეშველება ეკონომიურად დაქვეითებულ მეურნეობის წარმომადგენელთ.

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ ჩაის ბუჩქის გავრცელებაზე ბათუმის ოლქში. მართალია, კარგა ხანია, რაც დარწმუნდნენ, რომ ჩაის ბუჩქი იქ კარგად ხეირობს, მაგრამ ჯერ აქამომდე მაინც ამ ბუჩქის ჩაი არ დაგვილევია და ამიტომ მისი თვისება, როგორც სამეურნეო მცენარისა, ჯერ დაფასებული არ არის, მისი შემოსავლის რაოდენობა არ ვიცით. ამჟამად ბ-მა პოპოვმა, როგორც ამბობენ, გადმოიტანა პირდაპირ ჩინეთიდან დიდი ძალი ჩაის ბუჩქი (ვგონებთ, 100,000 მეტი), თავის მიწით, ბევრი თესლი და თან გადმოიყვანა ათი ჩინელიცა, რომელთაც ზედ-მიწევნით იციან ჩაის მოყვანის ხელიც და მის მომზადების ოსტატობაც. დიდი მუშაობაა ამ ჟამად პოპოვის პლანტაციაზე და შორს არ არის ის დრო, როდესაც ნამდვილად შეგვეძლება ვთქვათ, სასარგებლოა ჩვენს ქვეყანაში ჩაის მოყვანა, თუ არა. მაგრამ, ვიდრე ეს გამოცდილების გზა არ დაგვიმტკიცებს ამ ახალ სამეურნეო მცენარის სარგებლობას, ჩვენ ვერც გლეხსა და ვერც კერძო მემამულეს ვერ ვურჩევთ ამ საქმეში ფული დააბანდოს და ოფლი ჩაჰღვაროს, რადგანაც ზარალი ძლიერ ადვილი მოსალოდნელია ამ ახალს საქმეში. ამავე საბუთით იმერლებს ვერ ვურჩევთ ჯერ-ჯერობით ზეთის ხილის გაშენებას, ქუნჯუთის მოყვანას, ზემოქართლელებს— ბამბის თესვას და სხვანი და სხვანი.

როდესაც ამა თუ იმ გზით დამტკიცებულია, რომ ადგილობრივი ჰავა-ნიადაგი ხელს უწყობს ამა და ამ სამეურნეო მცენარის მოყვანას, მხოლოდ მაშინ შეიძლება დავიწყოთ ზრუნვა იმისი, თუ როგორ უნდა ვეცადოთ, რომ, რაც კი შეიძლება, დიდი მოსავალი მივიღოთ ნათესის თვითეული დღიურიდან.

ავიღოთ, მაგალითად, ხორბალი, რომლის მოყვანაც გავრცელებულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც, სადაც სამეურნეო ტეხნიკა ძლიერ წინ არის წასული. ბ-ნ ბილდერლინგის სიტყვით, შუათანა მოსავალი უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში (1889 წლამდე, როდესაც ეს ცნობები შეიკრიბა პარიჟის მსოფლიო გამოფენისათვის) იყო დღიურზე: [5])

---

[*]) დღიურებად და ფუთებად ვიანგარიშეთ ჰექტარი და ჰექტოლიტრი.

| | |
|---|---|
| ბელგიაში . . . . . . . . . . . | 64 ფუთი |
| პრუსიაში . . . . . . . . . . . | 63 — |
| ინგლისში . . . . . . . . . . . | 60 — |
| ჰოლანდიაში . . . . . . . . . . | 58 — |
| დანიასა და ნორვეგიაში. . . . . . . | 53 — |
| ბავარიასა და სამხრეთ-გერმანიაში . . . | 51 — |
| ავსტრიაში . . . . . . . . . . . | 50 — |
| საფრანგეთში . . . . . . . . . . | 35 — [6] |
| რუსეთში . . . . . . . . . . . . | 25 — [7] |

რაც შეეხება შუათანა პურის მოსავალს ამიერ კავკასიასა და საქართველოში, ამაზედ რიგიანად შემუშავებული ცნობები არ არის. ჩვენში, როგორც სხვა ქვეყნებში, ზოგან და ზოგჯერ ძლიერ უხვი და დიდი მოსავალი იცის, ზოგან კი—მეტად ნაკლები. შუათანა რიცხვების გზას რომ დავადგეთ, შესაძლოა, ჩვენი მოსავალი დაუახლოვდეს საფრანგეთის შუათანა მოსავალს. ამ ციფრების სვეტს თუ დავაკვირდებით და შევადარებთ ერთი-ერთმანეთს რუსეთისა და ბელგიის მოსავალს, სადაც სამეურნეო ტეხნიკა უმაღლეს წერტილამდე არის ასული, არ შეიძლება იმედიანად არ ვუყუროთ და დიდად სასარგებლოდ არ მივიჩნიოთ ტეხნიკის გაუმჯობესობა, როდესაც ბელგიელები $2\frac{1}{2}$ მეტს მოსავალს იღებენ დღიურიდან, ვიდრე რუსები.

გარდა ამისა მოსავლის რაოდენობის ხშირი მეტ-ნაკლებობა დიდი საზარალოა მეურნის კეთილ-დღეობისათვის და მეურნეობის აღორძინებას ხელს ძლიერ უშლის. თუ ამინდის ცვლილებისა და ბუნების სხვა ცვალებადობის გამო ერთს წელიწადს დღიურიდან 50 ფუთი ავიღე, მეორეს—30 და მესამეს 10 ძლივს მომივიდა, რასაკვირველია, ამისთანა მდგომარეობაში კაცი ვერ მოისაზრებს, როგორ უნდა დაიჭიროს თავისი შესავალ-გასა-

[6] Бильдерлингъ—Обзоръ соврем. сост. земледѣлія и сельск.-хоз. образов. во Франціи. СПБ. 1889 г. გვ. 24

[7] ეს რიცხვი გამოანგარიშებულია იმ ცნობათა შემწეობით, რომელიც მოყვანილია პროფ. ფორტუნატოვის წიგნში: Сель.-хоз. статистика Европ. Россіи М. 1893 г., გვ. 195—6. 1 დესეტინის შუათანა მოსავალი 5,5 ჩეტვერტია ნაანგარიშევი მთელის რუსეთისათვის, ჩეტვერტი იწონავს 9 ფ. 25 გირ.

ვლის თავდარიგი, რომ ვალში არ ჩავარდეს. ერთი უმთავრესი ღირსება სამეურნეო ტეხნიკის წარმატებისა და განკარგებისა ის არის, რომ მეურნეს თითქმის უტყუარს იმედს აძლევს, ყოველ წელიწადს თითქმის ერთი და იგივე შემოსავალი გექნება. მაინცა-და-მაინც შუათანა შემოსავალი ამ შემთხვევაში იმისთანა მკვიდრი საძირკველია, რომელზედაც მამულის პატრონს შეუძლიან საფუძვლიანი ხარჯთა-აღრიცხვის შენობა ააგოს და თვალს იმედიანად უსწორებდეს მომავალს.

რა ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამ, რომ მოსავლის საქმე დააყენოს შესაფერ ნიადაგზედ და ერთის მხრით იმატოს და მეორეს მხრით დაიფაროს ნამეტანის მეტ-ნაკლებობისა და ბუნების ცვალებადობისაგან?

იქნება ზოგიერთმა იფიქროს, რომ რადგანაც ბელგიასა და პრუსიაში $2^1/_2$ ჯერ მეტი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე რუსეთში, მიბაძვის მეტი აღარა დარჩენიათ რა რუსებსო. გავიგოთ, როგორ ჰხნავს, სთესავს და უვლის ბელგიელი გლეხ-კაცი თავის მინდვრებსა, ჩვენც ისე მოვიქცეთ და გაგვიკეთდება საქმეო. მაგრამ სწორედ ასეც რომ იყოს, მაშინაც დიდი ზრუნვა და მხნეობა უნდა იხმაროს მთავრობამ, გლეხკაცობა გადააჩვიოს იმ ძველის-ძველად შემოღებულ მეურნეობის ტეხნიკას, რომელიც მამა-პაპამ დაიწყო ჯერ იმდროს, როდესაც მიწა ბევრი იყო და ვაჭრობას გაცვლა-გამოცვლის ხასიათი ჰქონდა, ახალ გზაზედ დააყენოს და იგი ახალი გზა გააკვირინოს. ჯერ ესეც ძნელად შესასრულებელია, ვიმეორებთ. ხოლო მეურნეობის ტეხნიკის შეცვლა, განკარგება და ახალ გზაზედ დაყენება უფრო რთულსა და ძნელად ასასრულებელ საქმეს წარმოადგენს. პირდაპირის მიბაძვით იმიტომ ვერაფერს გავაწყობთ, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, რომ მეურნეობაში უპირველესი საქმეა შეუფერ-შეუწონო სამეურნეო მოთხოვნილებანი ადგილობრივ ბუნებრივ გარემოებათა კრებულს. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მეურნის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო და სახელმწიფო წესწყობილებასთან და ხალხის ხასიათ-ჩვეულებასთან, ადვილად მივხვდებით,

რომ ბელგიისა და პრუსიის სამეურნეო ტეხნიკა, კარგადაც რომ შევისწავლოთ, მარტო მის შემწეობით იქნება ჩვენ ჩვენის მამულების მოსავალი ვერ გავაძლიეროთ, იმიტომ რომ ბელგიისა და პრუსიის ჰავა და ჩვენის ქვეყნისა ერთი არ არის; იმიტომ რომ საქართველოს მიწა-წყალისა და ჰაერის თვისება სრულიად არა აქვს ბელგიისა და პრუსიისას; იმიტომ რომ ბელგიელისა და პრუსიელის სამოქალაქო და სახელმწიფო გარემოება სულ სხვა არის. თუ მთავრობას სწადიან ამ მხრით დახმარება გაუწიოს მეურნეობას, წინაპირველად უნდა ეცადოს, გააძლიეროს სამეურნეო სწავლა-განათლება რუსეთში; ეცადოს აგრეთვე, რომ ვისაც ასეთი სწავლა ცოდნა აქვს, მისცეს ღონე დაკვირვებისა და გამოცდილების შემწეობით დაადგეს პრაქტიკულს მეურნეობას. ხოლო ვიდრე გავრცელდებოდეს ხალხში და ვრცლად მოეფინებოდეს ქვეყანას სამეურნეო სწავლა-განათლება, საჭიროა, მთავრობამ იზრუნოს, რომ ვინც დღეს უკვე მომზადებულია და ამისთანა სწავლა-განათლება უკვე შეუძენია, მათ გამოიყენონ იგი სწავლა-ცოდნა პრაქტიკულის აგრონომიისათვის. აი ამ დღევანდელ არსებითის საჭიროებისათვის უნდა დაარსებულ იქმნას მთავრობის მიერ მრავალად სამეურნეო სადგურნი. დიდი მუშაობა ჰმართებთ ამ სადგურთ, რომელთ მმართველად დანიშნულ უნდა იქმნას განსაკუთრებული აგრონომი. ამ აგრონომმა ზედ-მიწევნით უნდა შეისწავლოს მისდა მინდობილ მაზრის მეურნეობა თეორიითა და პრაქტიკით, გაიგოს მისი ნაკლებულება და გაჭირვება, შეადგინოს პროექტი მის განკარგებისა, გამოსცადოს ამგვარად შედგენილი პროექტი პრაქტიკულად თავის სადგურზე და, თუ ამგვარად დამტკიცებულ იქნა მისი ღირსება, მაშინ აგრონომს შეუძლიან იმედიანად მოეკიდოს თავის ახალ გეგმას მეურნეობის გადაკეთებისას და პრაქტიკული დარიგება მისცეს თავის მაზრის მეურნეთა. გარდა ამისა, სადგურმა უნდა გამოსცადოს, როგორ იხეირებს ახალი მცენარენი, და, თუ ამ მხრივ კარგი ნაყოფი მოჰყვა მის ცდას, გაავრცელოს მათი კულტურა, მოიპოვოს საუკეთესო თესლი, ყოველგვარის სახეირო მცე-

ნარისა, დაიბაროს და სცადოს ახალი ყაიდის გუთნები და სამეურნეო მანქანები; თუ რაიმე მწერი გაჩნდა და ზარალს აძლევს მეურნეობას ანუ სხვაგვარი სოკოიანი ავადმყოფობა გახშირდა, აგრონომმა უნდა რიგიანად შეისწავლოს და მათი მოსასპობი წამალი უნდა ინაღვლოს, ერთის სიტყვით, მოკლედ რომ მოვჭრათ, მაზრის აგრონომი უნდა იყოს სამეურნეო მეცნიერების ყოველგვარ დარიგების გამხორციელებელი, ხორცშემსხმელი თავის მაზრაში, ყველას ხელ-მძღვანელი, ყოველ სამეურნეო საქმის მეთაურ-თაოსანი. მეურნეობის აღორძინება სწავლა-განათლების და გამოცდილების წყალობით სწორედ ამ გზით უნდა იქმნას დაწყებული თვით სოფლიდან, იქიდან, საცა იბადება და ჰბერდება მეურნეობა და არა კანცელარიიდან ქაღალდის მიწერ-მოწერით. ნასწავლი და გამოუცდელი ადგილობრივ მეურნეობაში უნდა დაუახლოვდეს უსწავლელ და დიდის გამოცდილებით აღჭურვილ მდაბიო ხალხს, შეუხორც-სისხლოს ისტორიული გამოცდილება ხალხისა იმედ მოსილ მეცნიერების აზრებს, რომელიც ცხადად გვიჩვენებს აწმყოს ნაკლულევანებას და გვიხატავს სამერმისო იდეალს.

ძლიერ სცდება ის, ვინცა ჰფიქრობს, რომ მდაბიო ხალხი არ ავითარებს თავის მეურნეობას, არ უკვლევს გზას წარმატებისასა. ყველაზე უწინ ხალხის ჭკუა-გონებას მიუქცევია ყურადღება იმ ძირეულ ნაკლულევანებათათვის, რომელიც ხელს უშლის სამეურნეო მუშაობას; ყველაზედ უწინ ის მიაგნებს ხოლმე იმ გზას, რომელიც დაიხსნის გაჭირებიდან; მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთელმა საუკუნოებმა უნდა განვლოს, ვიდრე ხალხის გონება გაარჩევს და გაიკვლევს გზას ახლანდელ მეტად რთულს საზოგადო წეს-წყობილებაში, რომელმაც ბუნებასაც კი ნირი შეუცვალა, ნახტომი შეუშალა. ამასთანავე, მდაბიო ხალხი მტკიცედ ერთგულობს თავის ძველადვე შემოღებულ ჩვეულებას, წესს მამა-პაპათა კულტურისას და ყოველსავე ამას თავს ანებებს მხოლოდ დიდის ტანჯვისა და ხანდისხან სისხლის ღვრის შემდეგ. მეცნიერებამ უნდა გაუადვილოს ხალხს განხორციელება იმ ახალ გზაზედ სიარულისა, რომელსაც ხალხის

ჭკუა გონებამ მიაგნო; უნდა გაუადვილოს, როგორც თავის წინასწარმეტყველობით, ისე იმ სათანადო მაგალითების შესწავლით, რომელთაც თავი იჩინეს უფრო განათლებულ და წარმატებულ ქვეყნებში. სამეურნეო პოლიტიკის იდეალი ის არის, რომ მეცნიერება დაუახლოვოს მდაბიო ხალხს და ხალხის ჭკუა-გონება, რომელიც პროგრესის უდიდესი და ულონიერესი ძალაა, ამუშაოს და წარმართოს ჭეშმარიტს სამეცნიერო გზაზედ...

მაგრამ ეს ჯერ ძლიერ შორეული იდეალია, ხოლო თავ-და-პირველი ნაბიჯი, სამეურნეო სასწავლებლების გამართვის შემდეგ, გამოსაცდელ სადგურების გამართვაა, იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იყოს რიცხვი ამისთანა სადგურებისა რუსეთში, ამ უკანასკნელს დროს წარმოითქვა, სხვათა შორის, ორი საყურადღებო აზრი. პერმის გუბერნიის საერობო გამგეობას აგერ ეს ათი წელიწადია, რაც სამაზრო აგრონომები ჰყავს და მათის წყალობით ერობა ცდილობდა დახმარება გაეწია იქაურ მეურნეობისათვის, მეტადრე გლეხთათვის. მაზრებისა და საგუბერნიო საერობო გამგეობანი ყოველთვის დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ ამ ნორჩს დაწესებულებას. ამ ათის წლის გამოცდილების შემდეგ უფროსერთი მოღვაწეთა იმ აზრისაა, რომ ყველა მაზრა რამდენსამე ნაწილად გაიყოს, ბუნების თვისებათა მიხედვით, და თვითეული ნაწილი თითო აგრონომს ჩაჰბარდეს. მაგალითებრ, მადრინის მაზრის საერობო გამგეობა ამტკიცებს, რომ იმათი მაზრა ხუთ ნაწილად უნდა იქმნას გაყოფილი [8]). პროფესორი ფორტუნატოვი იმ აზრისაა, რომ თითო აგრონომს 1,000 კომლზე მეტი არ შეიძლება ჩაჰბარდეს; ამაზედ მეტს ვერ მოუვლისო [9]).

აი, დაახლოებით, ამგვარი უნდა იყოს მონაწილეობა მთავრობისა სამეურნეო საქმეში, თუ უნდა შესცვალოს ძირეული წესი და ტეხნიკა გლეხ-კაცობის მეურნეობისა.

---

[8]) Труды Совѣщанія при Пермской Губер. Земской Управѣ о мѣрахъ къ улучшенію эконом. полож. кресть. населенія Перм. губ., Пермь 1893 г. გვ. 330

[9]) Фортунатовъ—Земство и Агрономія. Р. М. 1893 г. № 1, გვ. 214.

მაგრამ ტეხნიკის გარდა მეურნეობის წარმატებას ხელს უშლის: 1) მიწის სიცოტავე: ბევრგან გლეხ-კაცობას ისეთი მცირე ნადელი აქვს, რომ, რაც უნდა დიდი მოსავალი მოიყვანოს, მაინც კიდევ დიდ გაჭირვებიდან ვერ გამოვა; 2) სახელმწიფო ხარჯი და გარდასახადი დიდ ტვირთად აძევს გლეხის მეურნეობას, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მცირე შემოსავალთან შედარებით მეტად ბევრია; 3) მცირე თავნისა და თანხის პატრონ გლეხ-კაცობას ყოველთვის ფული უჭირს და მეტის გაჭირვების გამო სესხად აღებულ ფულში ძლიერ დიდ სარგებელს იხდის, ხანდისხან მანეთში მანეთსა; ცხადია, რომ ვერცერთი მრეწველობა ამოდენა სარგებლის გადახდას ვერ მოახერხებს; 4) სამეურნეო ნაწარმოების ბაზრის შოვნა მეტად გაძნელდა: გამყიდავი ბევრია, ხოლო მყიდველი კი თითქმის არსადა სჩანს და ამიტომ ადგილობრივი ფასები ყოველგვარის ჭირნახულისა— პურისა, სიმინდისა, ღვინისა და სხვა—მეტად დაეცა, ასე რომ ბევრჯელ დიდი მოსავალიც კი სასიხარულოდ არავისა აქვს დასწვანი და სხვანი.

ყოველივე ეს გარემოებანი მეტად ხელს უშლიან მეურნეობის წარმატებას და მის მიმდევარ მკვიდრის ეკონომიურ კეთილ-დღეობას; სწორედ ამიტომ ყოველი მთავრობა ცდილობს შესაფერი ზრუნვა გაუწიოს მეურნეობას და ინაღვლოს რამე მეურნეობის გაჭირვებიდან დახსნისათვის; სწორედ ამიტომ აარსებენ ხოლმე განსაკუთრებულ ორგანოს—სამეურნეო სამინისტროს.

## III

სამეურნეო სამინისტრო პირველად დაარსებულ იქმნა პრუსიაში 1849 წელს, შემდეგ ავსტრიაში 1866 წ., საფრანგეთში 1881 წ., თვით ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც კი, სადაც სახელმწიფო პოლიტიკა დიაღ დიდის ნდობით ეკიდება კერძო თაოსნობას და ფართო მოედანს უშლის წინ, იქაც კი საჭიროდ იქმნა დანახული დაარსება სამეურნეო სამინისტროთა 1888 და 1889 წლებში.

რუსეთში ყოველთვის მეურნეობა ყოფილა უპირველესი, თითქმის განსაკუთრებული წყარო ხალხისა და მთელის სახელმწიფოს ეკონომიურის კეთილდღეობისა. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მეურნეობისა უფრო საგრძნობელი იყო ბატონყმობის დროს. ამ საუკუნის ოც და ათ წლებში გრაფმა ნ. ს. მორდვინოვმა პირველად ჩამოაგდო ლაპარაკი რუსეთში სამეურნეო სამინისტროს დაარსების შესახებ[10]). მას შემდეგ კიდევ ბევრჯელ იყო ლაპარაკი ამავე საგანზედ, მაგრამ არც ერთხელ ისე პირდაპირ და მხნედ არ ულაპარაკნიათ, როგორც 1891 წლის საშინელ შიმშილობის დროს, რომელმაც ცხადად დაუმტკიცა მთავრობას, რომ მეურნეობაა სწორედ ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელის სახელმწიფოს კეთილდღეობა, მისი მშვიდობიანობა, აღორძინება და, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, ურომლისობაც ძირს უთხრის სამოქალაქო და საზოგადო ცხოვრებას მთელს სახელმწიფოში... ჩამოვარდა იმ დროს დიდი ლაპარაკი მეურნეობის შესახებ და ამ ლაპარაკის გამო ხმა ამოიღო აგრეთვე მაშინ უკვე მივიწყებულმა ბ-ნ ვ. კ. ფონ-პლევეს კომისიამ, რომელიც უმაღლესად იქმნა დაარსებული 1888 წელს იმ აზრით, რომ გამოეკვლია მიზეზები მიწის ნაწარმოების ფასების დაცემისა. ამ კომისიამ 1892 წელს, შემოდგომაზედ, წარუდგინა მთავრობას ვრცელი და მშვენივრად დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ მეურნეობა დიდსა და უდიდეს გაჭირვებაში არისო; მთელს სახელმწიფოს დიდი უბედურება მოელის, თუ მთავრობა ხელთ-უფლებას არ მიიღებს სამეურნეო საქმეში, არ ჩაერევა და არ იზრუნებს მის წარმატებისათვის. კომისიის მოხსენება დიდის გაბედულებითა და პირუთნეველობით იყო დაწერილი; ასეთი ლაპარაკი დიდი ხანი იყო, რაც რუსეთის უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელთ აღარ გაეგონათ. ამ გარემოებამ ბევრს რუსეთის სამეურნეო საქმის გულ-შემატკივართ გაუღვიძა იმედი, მაგრამ ხელ-ახლად უნუგეშო ხმა გამოვიდა პეტერბურგიდან. ამ უნუ-

[10]) Графъ П. И. Капнистъ, Министерство земледѣлія. СПБ. 1891 г.

გეშო ხმების მიზეზი, როგორც ამბობდნენ, იყო მაშინდელი მინისტრი, ბ-ნი ოსტროვსკი: ის არ თანაუგრძნობდა სამეურნეო სამინისტროს დაარსებას. წარსულის წლის გაზაფხულზე სახელმწიფო ქონებათა მინისტრად დანიშნულ იქმნა ბ-ნი ა. ს. ერმოლოვი, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორმა მიანდო ახალი სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტის შედგენა. ამ პროექტის განხილვა სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნულია, როგორც ამბობენ პეტერბურგის გაზეთები, ამ თებერვალში. პროექტის ძალით, ახლად გადაკეთებულ სამინისტროს დავალებული ექმნება ზრუნვა მთელის რუსეთის სახელმწიფოს სამეურნეო საქმისათვის, ხელთ-უფლობის კისრადლება სამეურნეო საქმეებში, ხე-ტყისა და მთა-მადნეულის მრეწველობაში, და უმაღლესი მართვა-განგება სახელმწიფო მამულებისა. თუმცა ხე-ტყისა და მთა-მადნის დეპარტამენტებიც გადაკეთებულ იქმნა, თანახმად ახალ-მოთხოვნილებათა, მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ ახალ-დაწესებულებათა, რომელნიც მეურნეობას უდგას ახლო და რომელთაც უნდა იტვირთონ, ასე თუ ისე, ხელთ-უფლობა მთელის რუსეთის სამეურნეო საქმისა,

ამ სამინისტროს ექმნება შემდეგი სულ ახალი განყოფილებანი:

1) სამეურნეო საბჭო.

2) სახელმწიფო მამულების დეპარტამენტი.

3) განყოფილება სამეურნეო ეკონომიისა და სტატისტიკისა, საშინაო მრეწველობის კაბინეტით (кустарно-промышленный кабинеть).

4) განყოფილება მამულების განკარგებისა და უკედ შემუშავებისა.

საბჭოს წევრებად უნდა იყვნენ სამეურნეო საქმეთა საუკეთესოთ მცოდნენი. მის კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად იქმნებიან მიწვეულნი გარეშე პირნიცა, და როგორც ეტყობა იგი საბჭო უნდა იყოს უმაღლესი დაწესებულება და ხელში ეჭიროს სადავე მთავრობის მონაწილეობისა სამეურნეო საქმეებში და საზოგადოდ სადავე სამეურნეო პოლიტიკის მიმართულებისა.

სახელმწიფო მამულების დეპარტამენტის დაარსებას, რა-საკვირველია, ის უმთავრესი აზრი აქვს, რომ რაიმე ღონე იღონოს და წამალი მოუნახოს გლეხ-კაცთა საკომლო მამულის მეტის-მეტს დაწვრილმანებას, რადგანაც ამჟამად ბევრგან რუსეთში მამულის მეტის-მეტი სიცოტავე საძირკველს უთხრის გლეხ-კაცობის მეურნეობას, ატოვებინებს გლეხ-კაცს მამაპაპურ ბინა-ადგილსა და ტაბარუკ, ბოგანო კაცის გზაზედ აყენებს. ამ დეპარტამენტს ექმნება დავალებული ყოველი სახელმწიფო მამულების მართვა-გამგეობა, ხოლო მიწის მფლობელობის საქმის განსაკარგებლად ჩაჰბარდება აგრეთვე სახელმწიფო გლეხთა მოწყობის საქმე ციმბირსა და კავკასიაში, თავისუფალ სახელმწიფო მიწების მიზომვა გლეხთათვის, განსაკუთრებით უფრო ციმბირის გუბერნიებში, საითაც კარგა ხანია მიეშურება დასაბინავებლად მიწის სიცოტავით შეწუხებული რუსეთის გლეხ-კაცი. უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის მთავრობას მეტად დიდი იმედი აქვს უმამულობითა და მიწის სიცოტაობით შევიწროებულ გლეხ-კაცობის გადასახლებისა ციმბირის თავისუფალ სახელმწიფო მამულებზე. ციმბირის დიდის რკინის გზის გაყვანა რომ დაიწყო მთავრობამ, სხვათა შორის, იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ შიდა რუსეთის გლეხ-კაცთა შორის მამულის განაწილებაში თანასწორობა ჩამოაგდოს და მით შეასუსტოს, შეაფეროს ის მწვავე საეკონომიო კრიზისი, რომელმაც მეტის-მეტად იჩინა თავი უკანასკნელ შიმშილობის დროს. ეს დიდი და, მთავრობის აზრით, მეტად საიმედო საქმე ჩაბარებული ექმნება სახელმწიფო მამულის დეპარტამენტს; იმას დაედება ვალად მოაწყოს, რაც კი შეიძლება უკეთესად, საქმე გლეხთა გადასახლებისა.

მეტი საინტერესოა განყოფილება სამეურნეო ეკონომიისა და სტატისტიკისა. ამ განყოფილებამ უნდა შეაგროვოს სასტატისტიკო და სხვაგვარი მასალა მეურნეობის შესასწავლად და ამ გზით გამოარკვიოს, რა ღონის ძიებითა და განკარგულებით შეიძლება წარმატება მეურნეობისა. ამ განყოფილებაში ორი ნაწილი იქნება: ერთი განაგებს სავაჭრო, საეკონომიო და სა-

კრედიტო საქმეს, ხოლო მეორე — სამეურნეოსა და სოფლის საშინაო ანუ შინათ-მრეწველობის საქმეს.

მამულების განკარგება-გაუკეთესების განყოფილება, დასასრულ, იზრუნებს და მონაწილეობას მიიღებს მამულების რწყვის საქმეში იქ, სადაც ჰაერი ხმელია და ნიადაგი მშრალი და ამის გამო მოსავალი არ მოდის, ან სადაც გვალვა ხშირად იცის და რწყვა მამულებისა გამოაბრუნებს საქმეს; ამავე განყოფილებას დაევალება ამოშრობა ჭაობებისა და საგეოდეზიო ნაწილი.

პროექტი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჯერ ჯერობით მთავრობას განზრახვა აქვს მხოლოდ მოაწყოს უმაღლესი სამმართველო, უმაღლესი მმართველი გამგეობის ორგანო სამეურნეო საქმეში მონაწილეობის მისაღებად. ამ დაწესებულების ავ-კარგიანობა, რასაკვირველია, მაშინ გამოჩნდება, როდესაც დავინახავთ მის მოქმედებას ცხოვრებაში. ქვეყნის სამეურნეო საქმე კი ისეთის ბუნებისაა, რომ მის წარმატებასა და აღორძინებაში უპირატესი მნიშვნელობა ადგილობრივ დაწესებულებათა აქვთ, იმ დაწესებულებათა, რომელნიც პირდაპირ იმოქმედებენ მოსავლის სიუხვე-გამრავლებასა და მეურნეთა შემოსავლის მიმატება-გაზვერებაზედ. მარტო ბრძანებისა და მიწერ-მოწერის წყალობით არ აღორძინდება დაქვეითებული მეურნეობა; საჭიროა ამასთანავე ადგილობრივი მუშაობა, საჭიროა ოფლის ღვრა თვით დედა-მიწაში, საჭიროა სწავლა-განათლების საქმეში გამოყენება, ცხოვრებაში განხორციელება. როგორ იქნება მოწყობილი ეს ადგილობრივი ორგანოები ყოველ გუბერნიასა და მაზრაში და რა მონაწილეობა ექნებათ ამ ორგანოებს ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა მართვაში, ჯერ არავინ არა იცის-რა. სჩანს მხოლოდ, რომ უპირველეს ყოვლისა ახლად გადაკეთებული სამინისტრო ამ საგნის შემუშავებას მოანდომებს თავის ძალ-ღონეს.

რაც შეეხება თვით უმაღლეს დაწესებულების მორთვა-მოწყობას, ჩვენის აზრით, იმასაც ბევრი ნაკლულევანება აქვს, მეტადრე იმ მხრივ, რა მხრივაც მან უნდა იტვირთოს მთავ-

რობის სამაგიერო ზრუნვა მიწად-მოქმედების წარმატებისათვის: ახალ სამინისტროში თავი-თავს არ ექმნება მოყრილი ყოველ იმ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას, რომელთაც მოვალეობაა დაცვა მეურნეობის ინტერესებისა.

დიაღ დიდ-მნიშვნელოვანი საგანი მიწად-მფლობელობისა, მაგალითად, როგორცა სჩანს, ისევ იმ გაურკვეველ მდგომარეობაშივე დარჩება, როგორც აქამდე იყო, ესე იგი, ეს დიდი საქმე ისევ განაწილებული და გაზიარებული ექმნებათ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებს. მამულის სიმცირით მეტის-მეტად შეწუხებულია უწინდელი საბატონო გლეხ-კაცობა, რომელთაც კისრად ადევთ მძიმე ტვირთი სანადელო გარდასახადისა (выкупные платежи); მათი მდგომარეობა, საზოგადოდ, ბევრად უფრო გაჭირვებულია, ვიდრე უწინდელი სახელმწიფო გლეხებისა, მაგრამ უწინდელ საბატონო გლეხთა მიწად-მფლობელობის საქმე ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროში რჩება. საადგილ-მამულო კრედიტის საქმის უმთავრესი ნაწილიც ფინანსთა სამინისტროს ხელშივე რჩება ჯერ-ჯერობით და ის გადმოდის ახალ სამინისტროში, რომელსაც დავალებული აქვს მამულების საუკეთესოდ შემუშავება და შემოსავლის გამრავლება ინაღვლოს. რკინის გზის ტარიფებიც სამეურნეო ნაწარმოებისათვის ისევ ფინანსთა სამინისტროს ხელში რჩება და სხვანი და სხვანი.

ამ გარემოების გამო ახალ სამინისტროს ხშირად ხელ-ფეხი ექნება შეკრული და ვერ მოახერხებს იმ აზრის აღსრულებასა და განხორციელებას, რომელსაც სასარგებლოდ დაინახავს სამეურნეო მრეწველობის ასაღორძინებლად. უმაღლესი სფერები და საკანონ-მდებელო დაწესებულებანი თანაუგრძნობენ ყოველ იმ დაწესებულებათა გაერთიანებას, რომელნიც კი განაგებენ რუსეთის მეურნეობის საქმეს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ აზრის განხორციელება გადადებულია.

შეერთების მაგიერ ახალ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება მიეცა მიიღოს მონაწილეობა სხვათა მიერ იმ საგნების გარჩევასა და გადაწყვეტაში, რომელიც

მეურნეობას შეეხება. თქმა არ უნდა, რომ ყოველ ამ შემთხვევაში სამეურნეო სამინისტროს წარმომადგენელნი ბევრჯელ ვერას გააწყობენ და საქმის ასე თუ ისე წაყვანასა და დატრიალებაზედ დიდი გავლენა ექმნებათ მუდამ იმ სამინისტროს წარმომადგენელთ, რომელსაც აქვს პირველადვე მინდობილი გასაჩხრეკ-გასარკვევი საქმე. უეჭველია, რომ ბევრჯელ ცდა, სურვილი და მისწრაფება სამეურნეო სამინისტროსი, როგორც მთელის რუსეთის მეურნეობის უმაღლესის მცველის, სულ ამაოდ და უნაყოფოდ ჩაივლის...

თუ ყოველსავე თქმულს დავძენთ იმასაც, რომ მთელის სამინისტროს გადასაკეთებლად უწინდელ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ბიუჯეტს მხოლოდ 235,000 მან. მიუმატეს და ამაზედ მეტი ხაზინას არ გადაუდვია ამ საქმისათვის, მაშინ ცხადად გავითვალისწინებთ იმ გულ-გრილობას, რა გულ-გრილობითაც მოეპყრობია უმაღლესი სფერები ამ ახალს საქმეს. დიდად სამწუხარო ამბავია, სწორედ მოგახსენოთ, რომ მეურნეობის დახმარებისა და აღორძინების საქმეში, იმ მეურნეობის დახმარებისა და აღორძინებისაში, რომელიც ქვა-კუთხედია მთელის სახელმწიფოს საეკონომიო ცხოვრებისა, ასეთის ზოგვითა და იოლით მოქცეულან, ასეთი მომჭირნეობა გაუწევიათ, ასეთი სიძუნწე გამოუჩენიათ!...

ნიკ. ნიკოლაძე

1894 წ. თებერვლის 1—10.

# ემილ ლევიეს მოგზაურობა

## კავკასიაში *)

### შენიშვნები და შთაბეჭდილებანი

ბათუმი, 17 ივნისი, საღამო.

ჩვენ უკვე რუსეთის სამფლობელოში ვართ, ეს არის კავკასია. განა შეიძლება რუკის შემწეობით იმის წარმოდგენა, რასაც ჩვენ აქ ვხედავთ? ჩვენ თვალ-წინ გადაშლილია საუცხოვო სურათები, რომელნიც იზიდავენ ჩვენს ყურადღებას და ხიბლავენ ჩვენს გრძნობას. საღამოს, როცა ჩვენ ბათუმის ნაპირებს გემით მივუახლოვდით, კავკასიის ქედი დავინახეთ და, როგორც შემდეგ გავიგეთ, ელბრუსი ყოფილიყო. დიაღ, ელბრუსი დავინახეთ. რა სიმაღლე უნდა ჰქონდეს ამ ქედს, თუ რომ ასე შორიდან შეიძლება მისი დანახვა? ჩემის აზრით, 150 კილომეტრი უნდა იყოს ელბრუსის სიმაღლე. არც ბათუმის გარეშემო მთები ნაკლებად. კარჩხალის სიმაღლე **11,248** ფუტია.

ბათუმი ახალი ქალაქია. როგორც ტიფლისში აქაც ოთხ-კუთხი შენობებია, მაგრამ დასრულებულნი კი არ არიან; ქუჩებში ჭა-

---

*) 1890 წ. იტალიაში შედგა მეცნიერთა ექსპედიცია, რომელსაც საგნად აქვს კავკასიის გამოკვლევა მცენარეულობის მხრით. ამ საქმის მოთავენი იყვნენ იტალიის მეცნიერნი და შესანიშნავი ანტროპოლოგისტი სტეფანე სომიე (**Sommier**) და აგრეთვე ცნობილი ბოტანიკი ემილ ლევიე (**Emile Levier**). 28 მაისს, იმავე წელს, ექსპედიცია გაემგზავრა ფლორენციიდან პირდაპირ ბათუმისკენ. მსწავლულებმა დაათვალიერეს ბათუმი, აჭარა, ქუთაისი, ტფილისი, სვანეთი და სხვა მრავალი ადგილები საქართვე-

ობებია და დახავსებული წყალი დგას. სახლები თითო-სართულიანია; აქ მართლ-მადიდებელთ ეკლესიაც არის და თათრების ჯამეც. აი ჩემი ფანჯრის პირდაპირ ერთი მოლა გადმომდგარა და მართლმორწმუნეთ სალოცავად იწვევს. ქალაქი გაშენებულია გაშლილ ველზე, რომლის ნიადაგი ქვიშიანია. გემები პირდაპირ დამოყნას მიადგებიან ხოლმე, ასე რომ ჩამოსტომა საჭირო არ არის; საკმარისია მოკლე ხიდი, რომ გემიდან პირდაპირ ხმელეთზე გადახვიდეთ. დამოყნის ფორმალური მოთხოვნილება სამს საათზედ მეტს აბანდებს მგზავრს. მაგრამ ჩვენ შესახებ დეპეშები მიიღეს და დაუყოვნებლივ გამოგვისტუმრეს. ცოტა არ იყო მორიდებითაც გვექცეოდნენ. მცხოვრებთ რომ ვუკვირდებით, ასე გვგონია, ევროპაში ვართ-მეთქი; რუსის ჯარის კაცნი მუნდირით და თეთრი კოზირიანი ქუდით ბუზზივით ირევიან. მკვიდრნი—ქართველები და სხ. ატარებენ ერთგვარს ხალათივით გრძელს ტანისამოსს, რომელიც წელში მოწყულია და გულთან პატარა ჯიბეები აქვს; ყველას ხანჯალი აკრავს. მანდილოსნები უჩადრო, პირ-ახდილი გაევროპიელებულნი არიან; თითქმის ყველა რუსის ტიპს წააგავს, სილამაზე სრულიად არა აქვთ. როცა ესენი გამოწყობილი არიან, უკანიდან სწორედ ჩვენებურ მოსამსახურე ქალებს მოგაგონებენ. ხშირად ვხვდებით მეორეგვარ მანდილოსნებს—მკვიდრთ, რომელთაც მშვენიერი თავ-სახურავი აქვთ, შავი ლენტებით გაწყობილი და ყაბალახს (bachlick) უწოდებენ. ბარგის გადატან-გადმოტანი ქურთები არიან; ესენი აქ იმ საქმეს აკეთებენ, რასაც ჩვენში კირები.

ქუჩები სასაცილოდ მოუკენჭავთ; ქვები პრტყელი თავით მიწაში ჩაუფლავთ, წვრილი თავები კი მაღლა, მიწის ზევით დაუტო-

---

ლოსი, მრავალი ახალი მცენარე აღმოუჩენიათ ამათ ჩვენში, რომელნიც ჯერ მეცნიერებას არ სცოდნოდა. ამ პირდაპირ დანიშნულებას გარდა ემილ ლევიეს ხალხის ეტნოგრაფიის, მის ცხოვრების, ადათისათვის და სხ. მიუქცევია ყურადღება. ამის შესახებ რაც უნახავს, ან გაუგონია და ან წაუკითხავს, აუწერია თავის წერილებში, რომელთაც ავტორი კავკასიიდან უგზავნიდა თავის ცოლს ფლორენციაში. წერილებს დღიურის ხასიათი აქვს. იმავე წელს ამ წერილების ბეჭდვა დაიწყო ჟურნალ «Bibliothéque Universelle» ამ სათაურით «à travers le Caukase» და ჯერაც არ გაუთავებია, ეს ჟურნალი გამოდის ქ. ლოზანში (შვეიცარიაში). რედაქცია აცხადებს, რომ ლევიეს წერილებმა დიდად მიიქციეს საზოგადოების ყურადღებაო. როგორც მკითხველი დაინახავს, ლევიეს ძლიერ კარგი აზრი შეუდგენია ქართველებზე. შენიშვნებს გადმოუთარგმნელად ვტოვებთ. მთარ.

ვებიათ, ასე რომ გინდ სადგისებზე გიკლია და გინდ ჯამქვებზე, — სულ ერთია. ამისთვის ორ-ცხენიან ეტლს, რასაც აქ «ფაეტონს» უწოდებენ, ისეთი გრიალი გააქვს რომ ყურთა-სმენა აღარ არის. ქალაქს გაზით კი არა, ნავთით ანათებენ. მართლა, აქ ჩვენ ნავთის სამეფოში ვართ, რომელიც ბაქოდან იწყება. ნავთი მდინარესავით შეუჩერებლად მოდის ერთი ზღვის ნაპირიდან მეორე ზღვამდინ. ჩვენ ვხედავთ მატარებლებს, რომელთაც მხოლოდ ნავთის ვაგონები მოაქვთ; ეს ვაგონები ძლიერ ჰგვანან ზარბაზნებს. ქალაქის აღმოსავლეთის მხრივ ბევრი შენობებია, სადაც ნავთის რეზერვუარია გამართული.

ჩვენთან მაშინვე მოვიდა იტალიის კონსული სადარბაზოდ. ამას ჰყავს ერთი მოსამსახურე იტალიელი, რომელსაც გასაკვირველად შეუსწავლია ადგილობრივი, ქართული, ენა. აი ეს კაცი იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი, როცა თამარის ციხის სანახავად წავედით. გუშინ წავედით ეტლით თამარის ციხის და მის არე-მარეს დასათვალიერებლად. როცა მთის ძირას მივედით, ეტლი უკანვე გავგზავნეთ და ჩვენ შევუდექით მაღლა ასავალ გზას. როგორც იყო მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს, მაგრამ არაფერი საინტერესო სანახავი აღარა იყო-რა. მხოლოდ ძველი კედლებია ამართული. იქიდან წავედით გორების სანახავად; გადავიარეთ ველ-მინდორი სიმინდით აბიბინებული; არც ერთი სახლი, არც კაცი ამოდენა სივრცეზე არ შეგვხვედრია. ეს ადაგი ჰგავს შვეიცარიის რომელიმე კუთხეს, სადაც სისტემატიურად მუშაობენ, გაყვანილია გზები, აშენებულია სახლები, აძოვებენ საქონელს და სხ.. აქ კი ბილიკის გარდა სხვა არაფერი არა არის-რა. ბუნება ხელ-შეუხებელი და დიდებულია! საკვირველია, რომ ბუჩქები, დაბალი მცენარეები, რაც ჩვენს ევროპაში ბევრია, აქ სრულიად არ არის. მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია, რომ მაღლა-მაღლა ვიცქიროთ. გარეული ხეხილებით სავსეა აქაურობა. ვაშლი, ალუბალი, თხილი და სხ. ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეგვხვდებათ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა დავინახეთ ხეები ვაზებით დაფარული. ყოველივე ეს მოკლებულია ადამიანის ხელს და ბუნების ანაბარაზეა მიტოვებული.

გზაზე ერთი რუსის აფიცერი შეგვხვდა და გვითხრა, რომ

ერთი ვერსის იქით. აღარც საცალ-ფეხო ბილიკი არის. მცხოვრებლები და სახლები არსად არა სჩანან. მხოლოდ ერთ ადგილს წავაწყდით პატარა ქოხს; აქ ცხოვრობენ იმ ლაზებთაგანი, რომელნიც უკან დაბრუნდნენ ერთი დიდი გადასახლების შემდეგ. ცოტა ქვევით დავინახეთ ხის სახლი კარებ-გამოკეტილი; კარს ხელი ვკარით და შიგ შევედით, აქ ვისაუზმეთ და მოსვენებას მივეცით თავი. 2 საათზე დავბრუნდით უკან; გზა დაგვეკარგა და დიდის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ ქალაქამდის. აქ ვნახეთ დუქანი, რომელიც უჭირავს ქართველს კაცს. ეს კაცი მეტად მშვენიერი სახისასა, ზრდილი ყოფა-ქცევისა და შავ-წვერა. სამაგიეროდ იმის მოსამსახურეს, სომეხს, ავაზაკური სახის გამომეტყველება ჰქონდა. აქ მშვენიერად ვისადილეთ: ოთხმა კაცმა და სულ ყველას ეს ღირდა არა უმეტეს 3 მანეთისა!

სადამოზედ ვეწვიეთ იტალიის კონსულს და ბათუმის მდიდარ ვაჭარს ჩერუტს, ძმას იმ კოლუმბიელ ჩერუტისას, რომლის შესახებ იმდენ ხანს ლაპარაკობდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა. ნამეტნავად ვისიამოვნეთ ინგლისის კონსულ ბ. პიკოკთან, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ბათუმის არე-მარეს და საზოგადოდ მთელ კავკასიას. მან გვიჩვენა რუკა და აგვიხსნა, თუ როგორ უნდა ვიმოგზაუროთ კოდორის ზემო-ნაწილებში. იქვე გადავწყვიტეთ გამოვეკვლია ის ჭალები, რომელნიც ბათუმს აკრავს, გადავსულიყავით ქალაქის ახლოს მდებარე თოკლებან მთისკენ, რომელიც ჯერ სრულიად ხელ-შეუხებელი და გამოუკვლეველია. ეტლით შეიძლება მისვლა სოფელ ხულას. ამ პლანს ზეგ შევასრულებთ, რადგანაც დღეს და ხვალ მცენარეების გახმობას მოვუნდებით. ოთხი-ხუთი დღე გასტანს ეს ჩვენი მოგზაურობა და ბათუმში დაბრუნებისა თანავე გაცნობებ ჩემს შენიშვნებს.

18 ივნისი,

რაც სტამბოლიდან გამოვედით, არავითარი წერილები აღარ მიგვიღია. ტფილისში მივწერეთ—ყველა ჩვენი კორესპონდენცია უკან დააბრუნონ, რადგანაც ბათუმში ერთი კვირა დავრჩებით.

დღეს ვიცე-გუბერნატორს ვთხოვეთ ღია ფურცელი მოგზაურობის დროს მამასახლისებთან წარსადგენად. მან გვიპასუხა, რომ

მე უკვე მივწერე ყველა სამამასახლისოებს თქვენ შესახებ და ერთ მხლებელ უზბას-რუსსაც მოგცემენო. კონსულმაც თავის თარჯიმანი დაგვითმო.

ბათუმი, 27 ივნისი, 1890 წ.

როცა აქ ჩამოვედით, ვფიქრობდით, რომ ნამდვილ კავკასიაზე ჯერ კიდევ შორს ვართ და აქაური ბუნებაც სხვა თვისებისაა. მაგრამ დავინახეთ თუ არა ბათუმის ახლო თოვლიანი მთები, მაშინვე გადავწყვიტეთ ჯერ ესენი დაგვეთვალიერებინა და გაგვესინჯა და მერე კავკასიის ქედზე მოგზაურობას შევდგომოდით. არავის არ სცოდნია აქ დაწვრილებით ბათუმის არე-მარეს ვითარება, გარდა ბ. პიკოკისა (ინგლისის კონსული). ამან გადაგვიშალა თავისი რუკები და გვიამბო, თუ როგორ იმოგზაურა ქედაში, ხულოს, ართვინს და სხ.. ჩვენ შეიძლება ვერც კი გაგვებედნა აჭარისკენ წასვლა, მაგრამ ბ. პიკოკმა დაგვარწმუნა, რომ ყოვლად უშიშრად და უხიფათოდ შეიძლება მოგზაურობა და ამასთანავე მშვენიერი საეტლო გზაც არის გაყვანილი ბათუმიდან-აჭარა-ახალციხემდისაო. ერთი წელიწადია, რაც ეს გზა გაუჭრიათ. გვირჩიეს ბათუმიდან 109 ვერსის მანძილზე ეტლით წავსულიყავით და შემდეგ ფეხით.

20 ივნისს დავიქირავეთ «ტროიკა» (troika) დღეში თუმნად. ბათუმის ჟანდარმერიის კომენდანტი, რომელსაც ჰქონდა მოწერილობა ოფიციალური დეპეშით, მოვიდა ჩვენთან შემწეობის აღმოსაჩენად; მან აგვირჩია ერთი მეეტლე რუსი, რომელიც არაყს არა სვამს, რაიცა იშვიათია თურმე; მოგვცეს ერთი ზაფთია ანუ ცხენიანი მილიციონერი-მცველი; ეს შეიარაღებული იყო თოფით, ერთი ვეებერთელა დამბაჩით და ქართული ხანჯლით; ტყვია-წამალი ეწყო, ჩერქეზულად, პარტა ჯიბეებში ქამრის და გულის გარეშემო; ჩვენი შავ-ულვაშებიანი ზაფთია მოსული ტანისა იყო, ქართული ყაბალახი ჰქონდა თავზე მოხვეული და აჭარული ტანისამოსი ეცვა. ის დღეს ან ხვალ უნდა მოვიდეს ასე გამოწყობილი, ცხენით, ფოტოგრაფიულის სურათის გადასაღებად. იმას უნდა ჩავებარებინეთ მეორე ზაფთიასთვის, მეორეს —მესამესთვის და ასე ჩვენის მოგზაურობის დასრულებამდინ. ამასთანავე თან გამოგვყვა იტალიის კონსულის თარჯიმანი, ტომით იტალიელი, მაგრამ ოდესაში დაბა-

დებული და გაზდილი. მშვენიერად ლაპარაკობს რუსულ და ქართულ ენებზე. გოსტოს (იტალიელი მოსამსახურე) ეჭირა გატენილი თოფი, სტეფანეს (მეცნიერი) ჩემი დიდი რევოლვერი, მე კი მცენარის სათხრელი ბარი. ისე ვიყავით შეიარაღებული, თითქო აჭარის ასაკლებად მივსულიყავით. მე და სტეფანე ისე ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს, რომ არ გაგვცინებოდა. ფლორენციაში დიდ შთაბეჭდილებას მოვახდენდით; აქ კი აბა ვინ შემოგვხედავდა!

ბათუმიდან გავედით დილის 8 საათზედ; სამხრეთისაკენ გავემართენით და ერთი საათის განმავლობაში მდინარე ჭოროხს მივუახლოვდით. გზა ვერ არის რიგიანად გაკეთებული; ღელეები და ბაყაყით სავსე ტბები ბევრი შეგვხვდა გზაზედ. მარცხნივ, სამხრეთისაკენ, ჭოროხის მეორე ნაპირას ამართულია მრავალი გორები მცენარეულობით შემოსილი. აქ ყოველნაირ ხილს ნახავ: ვაშლს, ნიგოზს, თხილს, ბალს, წაბლს და სხ.. რასაკვირველია, სულ ყველა ეს გარეულია; მხოლოდ ალაგ-ალაგ სიმინდით დათესილი ყანები და ჭინჭარ-გვიმრით შემოსილი ადგილები მოსჩანს. მარჯვნივ და მარცხნივ, ხან-და-ხან გზაზედაც, ამოვებენ კამეჩის, ხარების და ცხენის ჯოგს; მწყემსებად დაფლეთილ-დაგლეჯილ ტანისამოსით ქურთები არიან. ქალებს ნახევრად აქვთ პირი დაფარული, განიერი წითელი კაბა აცვიათ და ზედ მიკერებული აქვთ რაღაც ნაირი წინსაფარი, რომლის მოპოვებაც ვერც ოქროთი შევიძლებით და ვერც ვერცხლით. ამათ შორის საუცხოვო ტიპებია: შავგვრემნები არიან და შავი თმა და წვერ-ულვაში აქვთ. მათი სოფლები იწყება ბათუმიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით. უბრალო ხის ქოხი, ბოძებზე გამაგრებული—აი ეს არის მათი ბინა. სთესვენ სიმინდს გაზაფხულზე და შემდეგი მისი მოვლა-პატრონობა ღმერთზეა მინდობილი. ივნისში შეჰკრებენ საქონელს და მიერეკებიან საბალახოზედ ხულიდან 20 ვერსის მოშორებით. ამბობენ, რომ ბალახი იქ კაცის სიმაღლეაო, მაგრამ ეს ტყუილია, ორი მეტრის უმაღლესი არ იქნება. ქურთები თითქმის ყველანი იქით მიდიოდნენ; ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა ქალი, კაცი, ბავშვები, ჯოგი და სხ.. ჩჩვილი ბავშვები ქალებს ან უმაწვილ ბიჭებს ზურგზე ეკიდათ. ისინი ლაპარაკობენ თათრულად და თავის ქურთულ ენაზე, რომელიც აჭარლებს არ ესმით.

აჭარლებს უწოდებენ იმ ხალხს, რომელიც ცხოვრობს აჭარის-წყლის და მისს უმთავრეს შესართავის ნაპირებზე. აქედან იღებენ სათავეს მდინარეები და ერთვიან ერთის მხრით კასპიის ზღვას, მეორეს მხრივ შავ ზღვას. აჭარა შეუერთდა რუსეთს ამ ახლო ხანში და სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულია, სამაგიეროდ თითო მამულის ხარჯს იხდიან კომლზე. რუსეთთან შემოერთების შემდეგ ბევრს დაუტოვებია თავისი მიწა-წყალი და გადასახლებულა. მრავალ მიზეზთა შორის, გადასახლების ერთ მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ მათ ეშინიანთ, რუსები ჩვენს ქალებს ჩადრს ახდიან და გააუპატიურებენო. სწორედ სასაცილოა, როცა ქალებს შეხვდებით. დაინახავენ თუ არა ჩვენს ეტლს თავზე კაბას წამოიხურავენ და გარბიან, ან და იქავე ხეს ამოეფარებიან. როცა დავშორდებით, მაშინ გამოგვყვებიან უკან და ეშმაკურად დაგვიწყებენ სინჯვას. ხანდა-ხან ქალები თავიანთ ბარგს ჩვენი ეტლის უკან შემოსდებენ ხოლმე და ასე ჭკონიათ ვერა გვხედავდეთ. როგორც სჩანს, აჭარლები უმშვენიერესნი უნდა იყვნენ კავკასიის ხალხთა შორის. სულ ყველას მოსული ტანი და გმირული შეხედულობა აქვს; ადვილად შეამჩნევთ სიარულში სიყოჩაღეს, ქცევაში ზრდილობას, საქმეში სიმარდეს. მსუქნები იშვიათია, თითქმის სულ არ არიან. მოხუცი კაცებიც მკვირცხლი და მარჯვენი არიან; საუცხოვო სურათს წარმოადგენს, როცა აჭარელი თავისი მშვენიერი ტანისამოსით ცხენზე ზის. ყველა იარაღშია ჩამჯდარი, თითქო მარტო ჩხუბისა და სიკვდილზე მეტს არაფერს ფიქრობდნენ. თითო-ოროლა პირნაყვავილარი კაცებიც შეგვხვდნენ. ვნახეთ აგრეთვე უყვიანებიც. მე არ აგიწერ დაწვრილებით აჭარულ ტანთ-საცმელს. სტეფანე გადაიღებს ფოტოგრაფიულ სურათს ჩვენი ზაფთიისას და იქვე თვითონვე ნახავთ, როგორ იხურავენ ყაბალახს, რანაირ მოკლე ჩოხას და წვეტიან, უქუსლო ფეხთ-საცმელს იცმენ და სხ.. ვერც ქალების შესახებ გეტყვი რასმე, რადგანაც მხოლოდ შორიდან, თეთრ ჩადრში გახვეულთ ვხედავდით. პატარა ყმაწვილები ძლიერ მალხაზნი და ლამაზნი არიან.

ჩვენ გადავედით ჭოროხის მარჯვენა ნაპირას, სადაც გორაკები და ველები ერთმანეთშია არეული. წყალზე ნავით მოდიოდნენ, მგონი, ართვინიდან. ართვინიდან ზღვის პირამდე ნავით ჩასასვლელად

საჭიროა ხუთი საათი; უკან კი, ართვინამდე, ოთხი-ხუთი დღე უნდება. ბათუმიდან ართვინამდე ორი დღის სავალია ცხენით და ეტლით. მე ვერ გაცნობებ სახელებს იმ მცენარეებისას, რომელნიც ჩვენ დავკრიფეთ. ჩვენ თვითონვე არ ვიცნობთ ბევრს ამათგანსა.

სურათი თან-და-თან შეიცვალა. ჭალები შევიწროვდა და ჩვენი ეტლი დიდის გაჭირვებით მიდის მარჯვენა ნაპირის რიყეზე. გაკვირვებაში მოგვყავართ მცენარეულობას: ვეებერთელა, თვალ-უწვდენელი წიფლებით, შქერის ბუჩქებით და სხვა ამისთანა უცხო ხეებით დაფარულია მთები. ჩვენ დავეწიეთ ქურიების ქარავანს, რომელსაც სხვა-და-სხვა ოთხ-ფეხი პირუტყვის ჯოგი მიუდიოდა. მეეტლემ, თითქო აქ არაფერიაო, გრიალი მოადინა შუაგულ ჯოგში და რამოდენიმე ხარი აქეთ-იქით გადარეკ-გადმორეკა. ჩვენ ვიფიქრეთ, მწყემსები უკანიდან თოფს მოგვაყოლებენო და ეტლი ძლივს ნელა-ნელა წავაყვანინეთ.

რაც წინ მივდიოდით, მით უფრო მაღალი მთები გვხვდებოდა ორივე ნაპირას. ერთი ჩვენი სკივრი უკვე ავავსეთ მცენარეებით. ვპოულობთ ახალ-ახალ მცენარეებს, უფრო და უფრო საყურადღებოს და გამოსაცნობს. ათ საათზე მივედით აჭარის-წყალზე, იქ, სადაც ეს მდინარე ჭოროხს ერთვის. აჭარის-წყალი წმინდაა, ჭოროხი კი მღვრიეა, და აქ გზა უცებ მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ეს ვიწრო გზა ახალციხემდის მიდის. კავკასიის მთავარ-მართებელს თავად დონდუკოვს გავევლო აქ და ებრძანებია გზის გაფართოება. ამისთვის ალაგ-ალაგ მუშაობენ. სოფელი სადაც ჩვენ მივედით, ბათუმის მაზრას ეკუთვნის და, როგორც სჩანს, ეს ალაგი ბათუმელთათვის სასეირნო და პიკნიკების გასამართავია. ბევრი ეტლი იდგა; თეთრ-ქუდიანი რუსის ოფიცრები და ინჟინრები ევროპული ტანისამოსით მწვანეზე დამსხდარიყვნენ და ჩაის სვამდნენ. აქავე არის ერთი ხის დუქანი და ზედ აწერია რუსულ-ფრანგულად «სამიკიტნო» და ძალიან ჰგავს ტრაპიზონის დუქნებს. ცხენები დავასვენეთ და ჩვენც ვისაუზმეთ უჩაიოდ; ჩაი კარგი თვისების არის აქ და, საზოგადოდ, მთელ რუსეთში ჩაის ძალიან ეწყობიან. 11 საათზე გავედით და $3^1/_2$ საათზე მივედით ქედაში. ეს არის ჩვენი პირველი სადგური. აქედან ბათუმამდის 40 ვერსია. რასაკვირველია, ბალახ-მცენარეები უხვად დავ-

კრიფეთ. ალაგ-ალაგ ისე გეგონება, იტალიაში ან შვეიცარიაში ვართ, მაგრამ ცხელი მზე, გზის პირას ამოსული ყვავილები, გამვლელ-გამომვლელთა ყაბალახი და ულვაში ჩქარა შეგატყობინებთ, რომ სრულიად სხვა ქვეყანაში ხართ. აჭარა არის ნაწილი ლაზისტანისა და კავკასიისა. ამ ორი ქვეყნის მცენარეულობა ისე არის აქ არეუ-ლი, რომ ნათლად ამტკიცებს ამას.

ქედაში ძალიან გამოგვადგა ჩვენი თარჯიმანი; უიმისოდ ღამე გაშლილ მინდორზე ან ეტლში უნდა გაგვეტარებინა. მან გაალე-ბინა ერთი პატარა სახლი გზის ნაპირას, რომელიც ინჟინრებისთვის ყოფილა; შიგ იყო ორი ტახტი ქვეშსაგებით. მცენარეები გა-რედ დავაწყეთ. ბ-ნი სპანიოლი და აჭარელი მილიციონერი გავიდნენ წყალს გაღმა, სოფლის მეორე მხარეს, სურსათის საყიდლად. მო-გვიტანეს მშვენიერი პური, კვერცხები და, წარმოიდგინეთ, ღვინოც კი. ჩვენი მსლებელი აჭარელი საყვარელი ყმაწვილია, მაღალი ტანი-სა, დიდრონ-თვლებიანი, პირი-სახე ნაზი არისტოკრატიული აქვს. პირველად ცივად გვეპყრობოდა, მაგრამ შემდეგ შეგვეჩვია: ჩვენ თან-და-თან შევაჩვიეთ ყური ქართული ენის ხმებს. ხშირად ისმის „z“ (ც) და „kh“ (ხ) მაგრად გამოთქმული (როგორც ისპანიულში x, სიტყვა xéres); ხმა „r“-ს (რ) გამოთქმა რაღაც თავისებურია, და ჩემის აზრით არც ერთი სხვა ენის ,,რ‘‘ არა ჰგავს. Madlob (მა-დლობა) ნიშნავს merci, gamardjoba (გამარჯობა)—bonjour, l'Homme — Kazzi (კაცი), Kazzebi (კაცები)—les Hommes, Kali (ქალი) — la Femme. გოსტომ ყურები აცქვიტა ამ სი-ტყვის გაგონებაზე, მაგრამ იმას აუხსნეს, რომ ეს გინებას არა ნი-შნავსო.

გვირჩიეს ღამით ფანჯრების დახურვა, რადგანაც ამ სამოთხე-ში ციება სცოდნია. მართლაც, აჭარის წყალიდან ბაყაყთა კო-ნცერტის ხმა მოდიოდა; გვიამბეს, რომ აქ ერთხელ რუსის ჯა-რი დაბინავებულა, მაგრამ ჩქარა შეიქმნა იძულებული სულდას გადა-სულიყო, სალდათები ყველა ციებით გამხდარიყვნენ ავად. ამ საღა-მოს ჩვენი ექსპედიციის ყველა წევრს თითო პილპილი ქინაქინა დავურიგე. დარი მშვენიერია.

ბათუმი, 28 ივნისი

შაბათს, 21 ივნისს, გავუდექით ქედიდან ს. ხულას. ამ ორ სოფელ შორის $^{2}/_{3}$ ვერსია. ჯერ აღმართ-აღმართ მივდიოდით აჭარის-წყალის მარჯვნივ; შემდეგ გავედით ხიდზე და გზაც მარცხნივ მიდიოდა. აქ ჭალა ვიწროა, მდინარე ღრმა არის და ორივე ნაპირი შემოზღუდულია ფრიალო კლდით. რამდენიმე ვერსის მანძილზე გზა მიხვეულ-მოხვეულია და აღმართი მატულობს, რისაგამო მარცხნივ საშინელი უფსკრულია. ჩვენ ამ გზაზედ ბევრი საუცხოვო მცენარე-ები ვნახეთ, ეს ჩვენთვის ახალი აღმოჩენაა, ერთის სიტყვით, ეს ფლორა აქამდინ სრულიად უცნობი იყო. ამან მით უფრო გაგვამხნევა, რომ აჭარა ბუასიერსაც*) არ აქვს მოხსენებული. ვიცით მხოლოდ, რომ ჩვენზე წინად აქ ყოფილა ნორდმანი**), მაგრამ სადამდინ უმოგზაურნია, არ იციან.

შემდეგ გადავედით მეორე ნაპირას. მცენარეთა სხვა-და-სხვაობამ თან-და-თან იკლო. პატარა ნაძვის ტყეა და შიგა-და-შიგ მუხაც არის. გასაკვირველი ის არის, რომ ტყეში ნიადაგი მშრალია და ბუჩქები იცის. აქ ისეთი სიცხე ტრიალებს, რომ ხშირად თავი გვისურს და იძულებული ვართ რომელიმე ნიგვზის ხეს თავი შევაფაროთ.

ქედაში ვერ ვიშოვეთ ზაფთია; ასე გვითხრეს—დანდოლოში დაგიხვდებათ, რადგანაც დანდოლოს რუსის ჯარის სადგომიაო. დანდოლოში არც ზაფთია იყო ჩვენთვის და არც გამოსაყოლებელი ცხენები.

დანდოლოს შემდეგ შუასხევია. გზის ერთ მხრისკენ კლდე არის ამართული, მეორე მხრისკენ კი უფსკრული. წინ რომ ერთი ეტლი შემოგხვდეს, გავლა აღარ შეიძლება; ცხენები უნდა გამოუშვა და ათი-თორმეტი ვერსის მანძილზე უკან დაბრუნდე. ამგვარი საშიშარი ადგილები უფრო შუასხევის მისავალთან არის. ინჟინერებს იმოდენა გულ-კეთილობა გამოუჩენიათ, რომ გზის კიდეზე პაწაწკინტელა კედელი გაუკეთებიათ, არა უმეტეს ნახევარ მეტრისა. ნაშუადღევის ორს საათზე რუსის სალდათები ვნახეთ, რომელნიც გზაზედ ნაძვის მტოებს მიათრევდენ თავიანთი ბანაკის შესაკეთებლად. ბანაკამდინ ერთ ვერს ნახევარი იყო.

---

*) ბუასიერი არის ცნობილი ლექსიკონთა შემდგენელი; ავტორი „Dictionnaire analogique“ გარდაიცვალა 1885 წ. მთარგ.

**) ნორდმანი გერმანიის პოეტი და დიპლომატია. გარდაიცვალა 1832 წ. მთარგ.

მუასხევს და ხულას შორის მდინარე აჭარის-წყალი კი არა, მისი ტოტი არის, სახელდობ სხალტა, რომელიც მუასხევს ქვემოდ ჭოროხს ერთვის.

როდესაც ხულასთან ეტლი შეჩერდა, გაკვირვებით ვკითხე ჩემს თავს — «სად არის ხულა»? მართლაც, ორი პატარა სახლის მეტი არ მოსჩანდა, ისიც ინჟინრების განკარგულებაში იყო; გზის ნაპირას რამდენიმე ცხენი სძოვდა ბალახს. კარგა ზემოდ გორაკზე, მარცხნივ, აუშენებიათ ერთი სართულიანი ხის სახლი აივნით. მეეტლე და თარჯიმანი აქ არასოდეს არ ყოფილან, ამისათვის ჩვენ წავედით ფეხით ნახევარი ვერსის სიშორეზე სოფლის მოსაძებნად. მაგრამ ჩქარა დავბრუნდით უკან, რადგანაც ვერა გავიგნეთ-რა. შემდეგ ერთ თავ-ჩაღმართ ადგილში დავინახეთ რუსის სალდათები და მათი უფროსის სახლი. ეს სადგომიც იმ ნაირი იყო, რომელსაც ქვემოდ მოვიხსენიებთ. აქ ცოტა გრილა, ვინემ დაბლა, გაშლილ ველზე, — ეს ადგილი ორი ათას ფუტის სიმაღლეზეა. ჩრდილო-აღმოსავლეთი-საკენ თოვლიანი მთები მოსჩანს. ქვემოდ ჭალაში რამდენიმე სახლია. ეს არის ხულას მეორე ნაწილი. ამგვარად ხულა ორად იყოფება: ზემო და ქვემო ხულად. ჩვენ გვითხრეს, რომ აქ ორასი ჯარის კაცია ერთი გურული აზნაურის განკარგულების ქვეშ. ეს უფროსი რუსის სამსახურში შესულა და იმავე დროს ასრულებს მამასახლისის ანუ «ნაჩალნიკის» თანამდებობას. შემდეგ საუზმისა ჩვენ შევუდექით მცენარეების კრეფას.

მზის ჩასვლის დროს ავცოცდით მაღლა გორაზე გადმომდგარ აივნიან სახლისკენ, რომ იქიდან რუსის ბანაკებისკენ გადაგვეხედნა, ამ დროს უცებ გარს შემოგვერტყნენ რუსის აფიცრები ფორმის ტანისამოსში გამოწყობილნი და დიდის ალერსით მიგვიპატიჟეს თავიანთ სადგომში. ჩვენ ბოდიში მოვიხადეთ, რადგანაც ფეხთსაცმელები და ტანისამოსი მიფლეთილ-მოფლეთილი გვქონდა, მაგრამ არ მოგვეშვნენ. პატარა კიბეზედ ავედით და ერთ მოზდილ ოთახში შევედით. ეს ოთახი ხალიჩით იყო მოგებული და კედელზედ სურათები ეკიდა და სხ.. აქ, ოხ საკვირველებავ! ერთი ქართულად თავდახურული ქალი მოგვიახლოვდა და რუსულ ენაზედ მოგვესალმა. ამ დროს ოთახში შემოვიდა თეთრ-წვერა კაცი, რომელსაც ეტყო-

ბოდა — თავადი იყო. თარჯიმანმა გაგვაცნო ის, როგორც «ნაჩალნიკი», ჩულის სამხედრო და სამოქალაქო საქმეების მმართველი. ყველამ იცოდა თურმე ჩვენი ვინაობა. ის ორი შავ-წვერა ოფიცერი «ნაჩალნიკს» გამოეგზავნა ჩვენთან ყავაზე მისაწვევად. ჩვენ მაშინ ჩვენ საქმეზე ვიყავით წასული და ვერ გვიპოვეს. დიდის მთავრის დეპეშის წყალობით ჩვენი საქმე კარგად მიდიოდა, ჯერ იყო-და დამოჟნის ფორმალური მოთხოვნილებისაგან განგვათავისუფლეს, ბათუმის ჟანდარმერიის მივარკველობა მოვიპოვეთ და პროვინციის მმართველებიც ჩინებულად გვეპყრობოდნენ. თარჯიმანის სიტყვით, მოსამსახურეებმა მოგვიტანეს წყალი და ხელი დაგვაბანიეს. ჩვენ შევედით სასტუმრო ოთახში, სადაც დასეირნობდა ნაცრის ფერ «ჩერქესკაში» გამოწყობილი კაცი, რომელსაც მშვენიერი წვერი და ცოცხალი მოელვარე თვალები ჰქონდა. ეს იყო თავადი ჯაიანი, მეგრელი, მთელი აჭარის ჩაფრების და ზაფთიების უფროსი; 30 წლისა იქნებოდა; შავს სახეზე ეტყობოდა, რომ გმირი და გულკეთილი იქნებოდა. სახლის-პატრონი იყო ერთი ახალგაზდა ოფიცერი, აზნაური კასილი დეკანოზოვი; ცოლი მისი ქართველი ქალია. ქალბატონი დეკანოზოვის თავის მორთულობას შეადგენდა რგოლივით გაკეთებული ხავერდი და თეთრი ფართო ლეჩაქი, რომელიც მხრებზე ჰქონდა გადაფარებული; ორი დიდი წაბლის-ფერი კავი, რასაც ერთხელ ჩვენი ბებიებიც ატარებდნენ, ყურებთან ჰქონდა გადმოკიდებული და ეს ერთი შეხედვით ხნიერად აჩენდა მას. ყველაზე უფრო მშვენიერი იყო მისი თვალ-წარბი, ისეთი შავი და სქელი, რომ კაცს ეგონებოდა განგებ გაკეთებულიაო. სახის დანარჩენი მოყვანილობა სიმპატიური და ჩინებული აქვს. ყველას ემჩნეოდა კმაყოფილება, ზრდილობა; სიამაყეს და გაუთლელობას მათთან ხელი არა აქვს. მოგვართვეს ყავა რძით, კარაქი, პატარ-პატარა ხაჭაპური და სხ.. ოფიცრებ შორის იყო ერთი ახალგაზდა ექიმი სიმონოვიჩი. სამწუხაროდ, რუსული ენის მეტი არ იცოდა და ღიმილით ბოდიში მოიხადა, როცა მე ლათინურად დავუწყე საუბარი. გარდა საექიმო ტერმენებისა, კურსის დასრულების შემდეგ, ლათინური ენა სრულიად დავიწყებოდა. სამაგიეროდ მასთან ლაპარაკის დროს სტეფანე ამტვრევდა რუსულს და ძალიან მკვირად მიმართავდნენ ხოლმე თარჯიმანს.

ყავის შემდეგ ჩვენ მოვინდომეთ წასვლა, მაგრამ ნუ გაგიწყრეს ღმერთი; ყველანი წინააღმდეგნი გაგვიხდნენ და გვითხრეს: «როგორ შეიძლება! როგორ შეიძლება! ვახშამი მიირთვითო». მეორე დღეს მაინც გვინდოდა მოგზაურობა გაგვეგრძო და ამის შესახებ გვინდოდა მათთან მოლაპარაკება. გვინდოდა გაგვეგო, თუ როგორ შეგვეძლო თოვლიან მთაზე ასვლა, ზაოვთიას გამოთხოვა და სხ.. საუბრის დაწყებისთანავე თავადმა აღგვითქვა, რომ თვითონ მე გამოგყვებით და ორი დღის განმავლობაში თქვენთან ვიქნებით. ჯერ უნდა ეტლით წავსულიყავით სოფელ დანის-ფარაულამდინ, სადაც ღამის გასათევი სახლიც იყო; იქიდან ავიდოდით ყასნლი-ქედზე, რომლის სიმაღლე ექვსი ათასი ფუტი იქნება ზღვიდან; ჩქარა უნდა დავბრუნებულიყავით ისევ დანის-ფარაულში და დაღამებამდინ სულა-ში მივსულიყავით. ათს საათ გადასული იყო, როცა ვახშმად დავჯექით. ვახშამი თავის წესზედ მიდიოდა. ძლიერ ვნანობ, რომ არ წამოვიღე სია იმ უცხო საჭმელებისა. თეთრი ღვინის წყალობით, რასაც სავსე-სავსე ჭიქით მიირთმევენ, მალე სუყველანი გავმხიარულდით. ჯერ ვახშამიც არ დაგვეწყო, რომ მხიარულს გუნებაზე ვიყავით. სახლის პატრონის პატარა შვილებმა, ოთხი წლის ყმაწვილმა და ექვსის წლის ქალმა, სასტუმრო ოთახში ქართულად იცეკვეს. კედლიდან ჩამოიღეს ერთი გიტარის მსგავსი საკრავი, რომელიც პირველად აფიცერმა დაუკრა და შემდეგ სხვას გადასცა. tzin! და tzan! ამ საკრავს სულ ერთგვარი ხმა აქვს და ერთსა და იმავე დროს გამამხიარულებელიც არის და დამაღონებელიც. რითმა კარგი აქვს. ამ დროს პატარა ყმაწვილმა ხელი მოჰკიდა თავის დას და გამოვიდნენ; პატარა ქალი გაჩერდა ერთ ადგილას და მისი ძმა კი თამაშობდა და გარს უვლიდა დას. ყველაფერი ეს სულ სადა, უბრალო იყო. არც პრანჭვა-გრეხა, არც ყალბი თავ-მოყვარეობა და კომპლიმენტები მე არ შემინიშნავს.

შუა-ვახშმობის დროს ჩემს პირდაპირ მჯდომმა პატივცემულმა მწდილოსანმა აიღო თავისი ჭიქა და ჩემს ჭიქას მოუხალა და რუსულად მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. სტოლზე მჯდომთ სიმღერა დასძახეს და ამ სიმღერით ისურვეს ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე, ჯან-მრთელობა და მრავალი შვილეში, ვითარცა ქვიშა ზღვისა-

სიმღერა საუცხოვო ჰარმონიული იყო. 11 საათზე მეც კარგად შევზარხოშდი. მეც ვცლიდი სავსე ჭიქებს ამ საპატიო პირთა სადღეგრძელოდ. სიტყვებს და სიმღერას არ ჰქონდა დასასრული. თავადი ჟაიანი მაღალ ბანს ამბობდა, მაგრამ ვერ გამოდიოდა, მეც წავეხმარე. ნეტავი გენახათ, რა კმაყოფილნი იყვნენ ყველანი. მგალობელთა გუნდი სხვა-და-სხვანაირი იყო. როცა სიმღერის რიგი მანდილოსნებზე მიდგა, მე ავდექი და წარმოვთქვი იტალიურად სიტყვა, იმდენად კარგი, რამდენადაც გაუგებარი. ყველამ ჭიქები ჩემს ჭიქას მოახალეს. ხომიემ დალია სახლის პატრონის სადღეგრძელო; თარჯიმანმა — ბავშვებისა. ერთის სიტყვით, ქართულ სადილს სადღეგრძელოები არ აკლია.

ნაშუაღამევს ყველანი ჩვენს ბინამდინ წამოგვყვნენ. გოსტო კითხულობდა — აჭარლები ხომ არ გაგვძარცვავენო და, ვერ წარმოიდგენ, რა ნაირად გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ ჩვენი პატივის-საცემლად აჭარლებიც შორიდან მღეროდნენ.

მეორე დღეს, კვირას 22 იანვარს, პირველ საათზე დავიწყეთ მზადება წასასვლელად. ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოდით: თავადი რაჩაირად შეჯდება ცხენზე თავისი გრძელი ჩერქეზული ტანისამოსით. ამ დროს ისიც გამოვიდა აჭარულ მოკლე ჩოხით და თავზე ყაბალახი კოხტად ჰქონდა მოხვეული. ხელში ეჭირა თოფი და წელზე ერტყა პატრონებით სავსე ქამარი. მას ახლდა ერთი აჭარელი, ცოტა უფრო ნაკლებად გამოწყობილი. ამნაირად ჩვენ გვქონდა პატივი გამოგვეყოლოდა ის, ვინც მხოლოდ კავკასიის მმართველს გაჰყვება ხოლმე.

ეტლი დაიძრა თავ-დაღმართ გზაზედ, რომლის სიგრძე რამოდენიმე ვერსი იქნება და გადის ერთ მინდორზე, საცა დიდი აღმართი იწყება. სანამ ამ მინდორს მივუახლოვდებოდით, გზა მიხვეულ-მოხვეული იყო და ტყესთან წყდებოდა. ღელეზე ხიდია გადებული მეორე მხარეს გადასასვლელად. აქ საშინელ მაღალ კლდეზე ასკუპა ცხენი ჩვენმა თავადმა და მარდად გადავიდა მეორე ნაპირას. მას თან მიჰყვა აჭარელი ზაფთია. მათი ცხენები აღმართზე ცხვრებივით მიცოცავდნენ. ჩვენ კი გზა-გზა ვჩერდებოდით და მცენარეებს ვკრეფდით. თავადიც მოვიდა ჩვენთან და ყურადღებით აკლებდა თვალს

ჩვენ მიერ ბალახების კრეფას. ჩქარა შევუდექით მთას. თვალ-აუწვდენელი სიმაღლის და წარმოუდგენელი სილამაზის ნაძვის და ფიჭვის ხეები ჭყვარავდნენ არე-მარეს. ასეთი მშვენიერი მცენარეულობა მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათში მინახავს. ამან გვაგრძნობინა, რომ ნამდვილ კავკასიაში ვიყავით.

დაბლა, დანის-ფარაულის ახლოს, კვამლივით ღრუბელი დავინახეთ. საღამოს ექვს საათზედ ჩავედით ჩვენც და გავეხვიეთ ნისლში. ამ დროს მოვიდა შხაპუნა ცივი წვიმა და კარგა დაგვასველა. ჩვენ ერთმანეთს ვეკითხებოდით—ვაი თუ ხვალაც იყოს წვიმა და ხელი შეგვიშალოსო.

რა გზაზედაც ჩვენ მივდიოდით, ის გზა ახალციხისკენ მიდის და დანის-ფარაულაზე ცოტა ზემოდ გადის. დანიშნულ ადგილას უნდა შეჩერდეთ და ჩავსვიდეთ სოფელში პატარა ვიწრო გზით. მე ვკითხე: განა ამ გზაზე ჩვენი ეტლი არ დაიმსხვრევა-მეთქი? დიდის გაჭირვებით გავიარეთ ეს ბილიკიც და მივადექით ინჟინრების სადგომს; ისინი მოსხდომოდნენ ცეცხლს და ჩაის შეექცეოდნენ. გვერდზე ერთი ოთახი იყო ცარიელი და ის ჩვენ დაგვითმეს. მე და სომიეს გვიშოვეს ქვეშსაგებელი, სხვანი კი, თავადიც, ნაბდებში გაეხვივნენ. მეორე დღეს, საბედნიეროდ, ჩინებული დარი დადგა. ჩვენც ავდექით ადრე და შევუდექით საქმეს. თავადი და მისი ხაფთაია ჩვენ მოგვდევდნენ და, როცა დიდხნობით მოგვიხდებოდა ერთ ადგილას შეჩერება, გადმოსტებოდნენ ხოლმე ცხენებიდან და ჩვენთან მოდიოდნენ. ხშირად კიდეც გვშველოდნენ. აქაური ტყე სავსეა ხორკლიანის ნაყოფის მომტან ხეებით. იმათ მირები ზედ ბალიკზეა გადაბმულ-გადმობმული და ამით ინდოეთის ლელვის ხეს მოგვაგონებენ. წაბლის, დაფნის და სხვა ამისთანა ძვირფასი ხეებით სავსეა აქაურობა. ათს საათზე როგორც იყო მივაღწიეთ ტყის ბოლოს და გავედით მინდორზე. აქ მცენარეულობა თანდათან შეიცვალა. მინდორი მხოლოდ დაბალი ბალახით იყო შემოსილი; ეს, როგორც ჩანს, საბალახე ადგილია; ცოტა ხანს შევჩერდით აქაურობის დასათვალიერებლად; ჩვენს პირდაპირ დავინახეთ თოვლი, რომელიც ასე ძლიერ გვენატრებოდა. იქვე ახლო იყო ჩვენი სადგომი, სადაც რამდენსამე ხანს მოსვენებას თავი მივეცით. ბინაზე მოგვიტა-

ჩეს მაწონი, მშვენიერი კარაქი და რაღაცნაირი საუცხოვო ყველი, თოკივით გაგრძელებული, თითო საჭერს მოსწყვეტენ და მაკარონივით სჭამენ.

თერთმეტიდან პირველ საათამდინ თოვლიან მთამდინ მისვლას მოვუნდით. შემდეგ ავედით თოვლზე; აქ მოვკრიფეთ ერთგვარი ყვავილი, რომლის აწერა არ ძალმიძს. ახლა კმარა, ცოტას შევჩერდები.

დღეს, პირველ ივლისს, ქუთაისში მივდივართ.

პარასკევი, 5 ივლისი.

ნება მიბოძეთ დავასრულო აწერა აჭარაში მოგზაურობისა. ორშაბათს, 23 ივნისს, დავათვალიერეთ ყანლის ქედი, თოვლიანი მწვერვალი. ეს ადგილი ყველაზე უფრო საყურადღებოა, მეტადრე მცენარეულობის მხრით. აქ ჩვენ დავრჩით ორ საათს, მაგრამ იმდენი საქმე გავაკეთეთ, რომ ზოგი რამდენიმე დღესაც მოუნდებოდა. თავადი ჯაიანი, თავის მხლებლებით, აღარ ამოგვყვნენ მაღლა. ისინი ცოტა ქვევით დარჩნენ მოსასვენებლად. იმ სხვა-და-სხვაგვარ მცენარეთა შესახებ, რომელიც ჩვენ აქ პირველად ვიპოვეთ, ნამდვილ ცნობას ვერ გადმოგცემ, მხოლოდ ეს კია, რომ ყველა საუცხოვო თვისების არის. აქ თოვლიან ღელეებში ვნახეთ იმისთანა მცენარეები, რომელთა არსებობას ვერც კი მოვიფიქრებდით. ჩქარა ავავსეთ ჩვენი კალათები და სამს საათზედ დავბრუნდით უკან დანის-ფარაულში. ნახევარი საათის შემდეგ თავადი და მისი ჩაფარი ჩამოხტნენ ცხენებიდან და თავაზიანად გვთხოვეს ჩვენ შევმსხდარიყავით და ცხენებით შევსულიყავით სოფელში. ჩვენ, რასაკვირველია, უარი განვაცხადეთ, მაგრამ მაინც არ მოგვეშვნენ. ბოლოს, დავსთანხმდით. ისინი ფეხით წამოვიდნენ. ოთხ საათზე ეტლით გავედით სოფლიდან და გავუდექით გზას. ჯერ ჩავიარეთ ერთი ვიწრო-გზა, რომელიც სოფელს ჰყოფს ორად, და შემდეგ გავედით დიდ შარა-გზაზე. ჩვენს კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. სრულებით არ გვეგონა, თუ ასე მშვენიერად ჩაივლიდა ჩვენი მოგზაურობა. სიხარულით ბავშვებივით ვმღეროდით.

დაღამებამდინ ხულას ჩავედით. თავადმა ისე მოწიწებით ჩამოგვართვა ხელი, თითქო ის ყოფილიყო ჩვენგან პატივცემული და

დავალებული და არა ჩვენ იმისგან. მეორე დღეს წავედით «ნაჩალნიკთან» გამოსათხოვებლად; ის გართული იყო სასამართლოს საქმეებში. მის გარშემო იყვნენ რუსის აფიცრები და ერთი ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი აზნაური. ჩვენს მისვლაზე საქმეთა წარმოება შეაჩერა. სასტუმრო ოთახში დაგვიხვდა ქალბატონი. დეკანოზოვისა და ისევე თავაზიანად მიგვიღო, როგორც წინად. მოგვიტანეს ყავა კარაქით. ყველა ამათ ძალიან მასიამოვნეს იმით, რომ ჩემს უბის წიგნში ჩასწერეს თავიანთი სახელი და გვარი რუსულ-ქართულად. ეს იყო სადარბაზო ბარათების მაგიერი. გამომშვიდობების დროს ხელის ჩამორთმევა ხომ გაუთავებელი იყო, ისე გვეპყრობოდნენ, როგორც დიდის ხნის ნაცნობ-მეგობრებს. როდესაც კარგა დავშორდით, კიდევ ვხედავდით მაღლა გორაზე გადმომდგართ, ქუდებს გვიქნევდნენ. ასეთმა გულ-გამოღილმა მიღებამ სწორედ მოგვაჯადოვა და მეტის-მეტად აღტაცებაში მოგვიყვანა.

ამავ დღეს ვფიქრობდით ხულოდან ქედას მივსულიყავით და მეორე დღეს ბათუმს. აბა ვინ იცოდა, წინ რა მოგველოდა. სამს საათზე ჩვენმა ჩაფარმა გაიგო, რომ შუახევს იქით გავლა გასაჭირიაო; გზას აფართოებენ და ამის გამო კლდე გამოუნგრევიათო. მაგრამ ჩვენ ეს არა გვჯეროდა, რადგან ჩვენმა პატივცემულმა «ნაჩალნიკმა» ამის შესახებ არა გვითხრა-რა. ამ დროს შემოგვიერთდნენ ხუთი რუსის სალდათი, რომელნიც ავად-მყოფობის გამო ბათუმის ლაზარეთში მიდიოდნენ. ს. დანდალოში ერთი ინჟინერი შემოგვიერთდა თავისი მხლებელი აზნაურით. შუახევში გვაცნობეს, რომ გზა ხვალისათვის იქნება გაწმენდილი და უნდა მოითმინოთო. ჩვენც რაღა გვექნა, დავბინავდით. ჩვენს მასპინძელს ჯასანს ეძახდნენ. საზოგადოდ ხალხის და პირუტყვების მოძრაობა არ შეწყვეტილა, ისინი კარგად გადიოდნენ იმ ოღრო-ჩოღრო გზაზედ.

საღამოს ჯასანმა გაგვითბო წყალი ჩაისთვის, მოგვიტანა პური და, წარმოიდგინეთ, თევზიც კი. მაჭმადის ჩვენთვის მხალთის წყალში თევზი გაუჩეხია! შემდეგ ჯასანი ჩავიდა წყლის პირას, იქიდან გადავიდა სოფელში და ჩვენთვის ქვეშ-საგები მოიტანა. გაგვისუფთავა თავის დიდი ოთახი, დაგვიგო, თარჯიმანის და გოსტონისათვის ლოგინი მიწაზე გაშალა და თვითონ კი გაქრა სადღაც სა-

ლოცავად. ჩვენი ჩაივარი, ერთი ორი სალდათი, თვით ჭასანა და მიშაი შვილი მაჭმედი მეორე ოთახში დაწვნენ, დანარჩენებმა ეტლში მოისვენეს. ამ ორი ოთახის შუა კარი ღია იყო და აქედან მაჭმადიანის, ურიის და ქრისტიანის სულის მდგომარეობას ვადევნებდით თვალს. გოსტო შიშმა მოიცა, სიკვდილი და ვაძარცვა ელანდებოდა, მთელი ღამე ხელში დანა ეჭირა და ყურები აცქვეტილი ჰქონდა. მაგრამ ჩვენი მხლებლები კეთილი კაცები იყვნენ.

მეორე დღეს დილით ჩაივარი წავიდა ამბის გასაგებად. როცა მოწყენილი სახით დაბრუნდა, ვკითხეთ: შეიძლება გავლა თუ არა? მან გვიპასუხა ქართულად,—არა, არაო. მეტი ღონე აღარ იყო, ყველას უნდა გვეკისრნა გზის გაწმენდა. შევუდექით დიდრონ ქვების ხრამში გადაგორებას, თან ამ ნაირად ვშრომობდით და თანაც ეტლი გადაგვყავდა. როგორც იყო, დიდის გაჭირვებით მივაღწიეთ ქედას. იქ ვისადილეთ და საღამოს რვა საათზედ ჩავედით ბათუმში. მართალია, დაღალულ-დაქანცული ვიყავით და ტანისამოსი მიგლეთილ-მოგლეთილი გვქონდა, მაგრამ მოჯადოებული კი ვიყავით აჭარელებით, აჭარით და პატარა კავკასიით. ახლა შევუდგეთ დიდ-კავკასიას.

**ნ. ჟ.**

(შემდეგი იქნება)

# შინაური მიმოხილვა

წერა-კითხვის საზოგადოება, იმისი წიგნთ-საცავი და სკოლები—ბათუმისა და კავკავისა.— საზოგადოების და კერძო კაცთა თავ-გამოდება ამ სკოლების დასახმარებლად.—წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა გულ-გრილობა.—„საზოგადოების“ მოღვაწეობის გავრცელება პროვინციებში. ცხოველი საქმე საზოგადოებაში ცხოველ-მყოფელობას ჰბადავს.—კერძო კაცთა თავ-გამოდებისა და ენერგიის მნიშვნელობა საზოგადო საქმის წარმატებისათვის.—უცხო ტომის კაცთა თანაგრძნობა ბათუმისა და კავკავის სკოლებისადმი.—გაზეთი „Новое Время“ და ბ-ნი Старожилъ-ი.—ჩვენებური მოხელეები და ახალი პიონერები.—ჩვენი ძველი და ახალი კულტურა.—აბრეშუმის ჭია და ბ-ნი შავროვი.—კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და მისი განყოფილებანი.—მეურნეთა კრებები.—გაზეთი „Кавказское Сельское Хозяйство“.

რა თქმა უნდა, რომ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» ფრიად საყურადღებო და საპატიო დაწესებულებაა, რომლის მოღვაწეობა ჩვენთა შვილთა და მომავალთათვის ღირს-სახსოვარი და მოსაგონებელი იქნება. ამიტომაც ყოვლად შეუძლებელია მწერლობამ თვალ-ყური არ ადევნოს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულების მოქმედებას ჩვენის საზოგადოების გამოფხიზლებისა და წარმატებისათვის. ამ ჟამად ჩვენ თვალ-წინა გვაქვს ამ საზოგადოების უკანასკნელის წლის ანგარიშიდა ვეცდებით ამ ანგარიშიდან ამოვკრიფოთ რამდენიმე ცნობა შესახებ იმისა, თუ როგორ მოღვაწეობს ეს საშვილიშვილო დაწესებულება და რა თვალით უყურებს ჩვენი საზოგადოება. რაც უნდა ურწმუნოდ მოვეკიდოთ იმის მოღვაწეობას და რაც უნდა ნაკლი შევამჩნიოთ, არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ამ ათის, თორმეტის

წლის განმავლობაში ამ დაწესებულებამ ფას-დაუდებელი სამსახური გაუწია არა მარტო ქართველობას: სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო საზოგადოების წიგნთ-საცავი რა ღირს, რომელშიაც მოთავსებულია რამდენიმე ათასი ნაწარმოები ქართველთა მეცნიერთა და მწერალთა; ეს ნაწარმოებნი მთელს საქართველოში გაბნეული იყო და ვინ იცის წერა-კითხვის საზოგადოება რომ არ მოეშველებოდა—იქნება უფროსერთი ნაშთი ჩვენის ძველის მწერლობისა სამუდამოდ გამქრალიყო. ეს ისეთი წიგნთ-საცავია, რომლის საშუალებით შესაძლო იქნება საძირკველი ჩაეყაროს საქართველოს ისტორიას და კერძოდ ჩვენის მწერლობის ისტორიასაც; ეს ისეთი წიგნთ-საცავია, რომლიდან შესაძლოა მეცნიერთა შუქი მოჰფინონ მთელს ძველს ისტორიას აღმოსავლეთისას და იქნება ზოგს ნაწილს მეცნიერებისას ხასიათი და მიმართულება აცვლევინონ. ვიმეორებთ, სხვა რომ არა გაკეთებინოს-რა წერა-კითხვის საზოგადოებას, ისიც დიდ სამსახურად უნდა ჩაეთვალოს, რომ ეგოდენი ნაშთი მწერლობისა, ისტორიის ქარტეცხლში გამოტარებული, საშვილი-შვილოდ დაიცვა.

ხოლო წიგნთ-საცავის დაარსება და ძველის მწერლობის ნაწარმოებთა შეგროვება თავი და თავი საგანი არ არის, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება უნდა ემსახურებოდეს. იმისი უმთავრესი მოვალეობა ის არის, რომ სკოლები მართოს და ქართველთა შორის პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა მოჰფინოს. ამ გზას წერა-კითხვის საზოგადოება დაარსებიდანვე შეუდგა და თუმცა ბევრი სკოლა არა აქვს გამართული, რადგანაც ამ ათი, თორმეტი წლის განმავლობაში მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება წინ დასხვედრია და მისთვის გზა გადაუღობავს, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არა ვთქვათ, რომ ამ მხრითაც დაიმსახურო საზოგადოების ყურადღება. ამის დასამტკიცებლად საჭიროა ბათუმისა და კავკავის სკოლის ამბავი მოვიხსენიოთ. ამ ორის სკოლის გამართვით წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველობა გამოსცადა და კიდევაც დაგვანახვა, რომ უნაყოფო ნიადაგი არ დახვედრია. მართლაც, ბათუმის სკოლასაც და კავკავისასაც ადგილობრივმა ქართველობამ, სიტყვით თუ საქმით, დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა: მაგალითად, უკანასკნელის წლის განმავლობაში ბათუმის ქართველობამ სკოლის სადგომის ასაგებად მო-

აგროვა ექვსი ათასი მანეთი ფული, კავკავის საზოგადოებას კი ექსჯერ სკოლისათვის შეუწირავს 2169 მან. იქნება ვინმემ სთქვას— ეს ბევრი არაფერიაო; ამის პასუხად იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენთვის ესეც სასიამოვნო ამბავია; სასიამოვნო ამბავია მით უფრო, რომ დღემდე ჩვენს ქართველობას სამართლიანად გვწამებდნენ გულ-გრილობას საზოგადო საქმისადმი და სამართლიანად გვიჩიოდნენ და გვიჩივიან კიდეც, რომ კერძოდ გულ-უხვი ქართველი კაცი საზოგადო საქმეში ძუნწი და გულ-გრილიაო; ისეთი მაგალითი არ გვინახავს, რომ ქართველ კაცს საზოგადო საქმისათვის რამე დაეთმოს სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგაო. დღეს კი ბათუმისა და კავკავის ქართველობამ საბუთი მოგვცა იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველობაშიაც ის აზრი იდგამს ფეხს, რომ ყოველს საზოგადო საქმეს მწედ და მფარველად თვით საზოგადოება უნდა ჰყავდეს და რომ ქართველსაც შეუძლია თავისი წვლილი დასთმოს საზოგადო საქმისათვის, თუ რომ საზოგადო საქმის მნიშვნელობა შეიგნო და გამოარკვია. მართლაც, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ერთის წლის განმავლობაში მცირე ნაწილმა ქართველობისამ რამდენიმე ათასი მანეთი შეაწია ორს პატარა სკოლას და ერთიცა და მეორეც თითქმის უზრუნველ ჰყო ერთი-ორი წლის განმავლობაში. კავკავის სკოლას ქალაქმა უფასოდ ადგილი დაუთმო და სამზრუნველომ შესაფერი სადგომი აუგო; შემოწირულის ფულითვე სკოლის სადგომი ბათუმშიაც უნდა აშენონ ქალაქისაგან დანათმობ ადგილზე.

—

რაც ზემოდა ვთქვით, იმის საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ ის საგანი, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება ემსახურება და ესარჩლება, თანდათან მეტს თანაგრძნობას ჰპოულობს ქართველობაში; იმ აზრს ვეჩვევით, რომ საზოგადო საქმეს ჩვენ ჩვენისავე ქონებით და მეცადინეობით სისხლ-ხორცი უნდა შევასხათ. იქნება ვინმე ამ ჩვენს აზრს არ დაეთანხმოს და იმაზე მიგვითითოს, რომ, როგორც ამავე «საზოგადოების» ანგარიშიდან სჩანს, წლის განმავლობაში «საზოგადოებას» საწევრო ფული მხოლოდ შვიდას ოც და ცხრა მანეთი შემოსვლია და ეს იმის საბუთია, რომ ქართველობა მეტის-მეტად გულ-გრილად ეკიდება ამ ჩვენს საშვილი-

შეილო დაწესებულებასა. მართალია, ეს ამბავი მეტის-მეტად სამწუხაროა, მაგრამ იმის საბუთს მაინც არ გვაძლევს, რომ მთელს ქართველობას გულ-გრილობა და უზრუნველობა შევწამოთ. ეგ ამბავი ზემოდ წარმოთქმულს აზრს არ ეთანხმება, მაგრამ, ჩვენის აზრით, არც იმის საბუთია, რომ ჩვენ წინანდებურად გულ-გრილად ვეკიდებოდეთ ჩვენს სულიერს წარმატებას. ეს ორი ამბავი — ერთის მხრით, საზოგადოების თანაგრძნობა ბათუმისა და კავკავის სკოლებისადმი, და მეორეს მხრით, «საზოგადოების» წევრთა გულ-გრილობა — იმის მაჩვენებელია, თუ რა გზას უნდა დაადგეს წერა-კითხვის საზოგადოება, რომ ქართველობის ყურადღება და თანაგრძნობა დაიმსახუროს. რა თქმა უნდა, ვინც თუმნობით და ას-ას მანეთობით ხელი გაუწყო ბათუმისა თუ კავკავის სკოლას, იმას ექვსის მანეთის შეტანაც არ გაუჭირდებოდა საზოგადოების კასაში და თუ ასე არ მოიქცა, მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოდ ადამიანის ბუნებას ემორჩილებოდა: რაკი თვალ-წინ საზოგადო საქმე წარმოუდგა და წარმატებაც შეამჩნია, თავის-თავი ზნეობრივად მოვალედ სცნა ამ საქმეს გამოსარჩლებოდა და თავისი წვლილიც ქძღვნა. ამის შემხედვარე წერა-კითხვის საზოგადოებაც უნდა ცდილობდეს ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში, სადაც კი ხელი მიუწვდება რაიმე ცხოველი საქმე აჩინოს, თუ უნდა რომ საზოგადოებაში ცხოველ-მყოფელობა გამოიწვიოს. თუ რომელსამე წრეს ქართველობისას ადგილობრივად საქმე აუჩინა, ეჭვი არ არის, იგი წრეც დახმარებას აღმოუჩენს, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, ადამიანი, «როცა თვალით ჰშორავს, გულითაც ჰშორავს». ეს აზრი რომ მართალია, შემდეგი ამბავიც ჰმოწმობს: ამ ერთის წლისა და ნახევრის წინად, სენაკის მაზრის თავად-აზნაურობამ, როგორც წერა-კითხვის საზოგადოების ანგარიში მოგვითხრობს, «დაადგინა, რომ მოკრებილიყო თავად-აზნაურის შორის სამი ათასი ხუთასი მანეთი. ამ ფულის გაწერა და მოკრება თავად აზნაურობამ მიანდო ცალკე კომისიას, რომელიც კიდეც შეუდგა თავის საქმეს». ამ ფულით უნდა დაამთავრონ შენობა სენაკის სკოლის სამეურნეო განყოფილებისათვის, რომელიც უკვე აგებულია სამეგრელოს თავადის ნაბოძებ მიწაზე. როგორც ვხედავთ, ჩვენს წადილს სწავლა-განათლების შეძენისას კერძო კაცებიც ხელს უწყობენ და სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებანიც.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ იმისთანა საქმე, როგორიც ფულის მოგროვებაა და სხვა ამ გვარები, საკუთრივ და მთლად კერძო კაცთა თავ-გამოდებისა და ენერგიის საყოფიაო, რომ მაგგვარს საქმეში საზოგადოების გულ-მტკივნეულობას თუ გულ-გრილობას არავითარი წილი არ უდევსო, რომ კერძო კაცის მოხერხებასა და ოსტატობაზეა დამოკიდებულიო. რა თქმა უნდა, კერძო კაცის თავ-გამოდებას, მოხერხებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ გვარს საქმეში — კერძო იქნება, თუ საზოგადო, ხოლო უნაყოფო, ქვიან ადგილს მოსავალს მაინც ვერ გამოაღებინებს, რაც უნდა შრომა და ღვაწლი დასდოს, და თუ გამოაღებინა, იმდენად მცირე იქნება, რომ იმ შრომასა და ღვაწლს ვერ აღადგენს. საქმეც ის არის, რომ მხნე და მიხვედრილმა, თავ-გამოდებულმა კაცმა საზოგადოებაში ისეთი ელემენტები, გრძნობა და აზრი აღმოაჩინოს, ერთმანეთს შეუწყოს, შეუკეთოს და სამოქმედოდ გამოიწვიოს, რომელნიც, სანამ იმათ ვინმე ხელს შეახებდა, ფერფლ ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და იმის ლოდინში იმყოფებოდნენ, რომ იქნება ვინმემ სული ცხოველი შემოგვბეროს და გაგვაცოცხლოსო. აი, სწორედ ამით არის საგულისხმო და საყურადღებო ყოველს საზოგადო საქმეში კერძო კაცის მოხერხება, თავ-გამოდება და ენერგია. მართალია, ამისთანა კაცები ბევრი არა გვყავს და აქა-იქ იჩენენ ხოლმე თავს და ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ იმათს რაოდენობას და მოღვაწეობას ზრდა და მატება დამჩნეოდეს.

—

ჩვენ რომ ბათუმისა და კავკავის სკოლების შესახებ ვლაპარაკობდით, ერთი საყურადღებო ამბავი არ მოგვიხსენებია. იმ რამდენისამე ათასის მანეთის შემომწირველთა შორის, როგორც თავის დროზე გაზეთი გვატყობინებდა, ბევრი უცხო ტომის კაციც ერია, ასე რომ იმ ჩვენს სკოლებს სიტყვით თუ საქმით თანამგრძნობი, ქართველების გარდა, სხვებიც ჰყოლიათ. დიახ, ეს ამბავი მეტად საყურადღებო და სასიამოვნოა. იგი ჰმოწმობს, რომ უცხო კაცის იმედიც უნდა ვიქონიოთ, თუ რომ იგი ჩვენს საქმეს თვალს გაუსწორებს და წინასწარს ეჭვს თავზე არ მოგვახვევს, ისეთს აზრსა და მიზიდულებას არ შეგვწამებს, რომელიც ფიქრადაც არა გვქონია.

ვინც ასე პატიოსნად და ადამიანურად გვეპყრობა და გვეკიდება, დიაღაც მადლობის ღირსნი არიან. ხოლო, სამწუხაროდ, იმისთანანიც არიან, რომ ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს, რაც უნდა მარტივი იყოს, ისეთი სარჩიელი უნდა დაუდონ, ისეთი აზრი უნდა მოასხვიონ თავზე, რომ სათქმელადაც ძნელია. გამართავთ თუ არა სკოლას, რომ იქნება ყმაწვილებს წერა-კითხვა ვასწავლოთო, იმ წამსვე ბუკსა და ნაღარას დაუკრენ, რომ სკოლაში ესა და ეს მავნე აზრი ბუდობსო. სიყვარულით მოეკიდებით თუ არა თქვენს ენასა და ისტორიას—აქაც იგივე ამბავია. განიზრახავთ თუ არა ადგილ-მამულის სიმცირისა თუ სხვა რომელსამე გაჭირვების გამო ბათუმის მაზრაში ან სოხუმის ოლქში გადასახლებას, კიჟინას შეჰქმნენ— ნადირ-მყოფნი ხართო და ამიტომ იმ ადგილებს ვერაფერს შესძენთო. ზოგჯერ ამასაც არა სჯერდებიან და უსათუოდ პოლიტიკურს კეთილ-სვინიდისიანობას ხელს წაავლებენ და იმას კი არ ისსენიებენ, რომ არც თქვენ და არც თქვენს წინაპარს სახელმწიფო ინტერესის არ-შესაფერი გულში არასოდეს არ გაუტარებია და, როცა შემთხვევა ჰქონია, თავიცა და ქონებაც გაუწირავს. ამ რვა-ცხრა წლის წინად ერთმა ტფილელმა პუბლიცისტმა ლაგამი აიყარა და იმ ზომამდე გადუდგა მართლ-მოყვარეობას, რომ ერთის პეტერბურგელის ჟურნალის საშუალებით ქვეყანას აუწყა—რაჭველები ნადირნი არიანო და ამიტომ სოხუმის ოლქში არ უნდა შევუშვათო. მეორე პუბლიცისტმა, წარსულს წელს, ერთის ტფილელის გაზეთის საშუალებით გვაუწყა, რომ სოხუმის ოლქს მეგრელები ჰღუპავენო, ქვეყნის მჭამელნი და ქურდები არიანო და ის კი არა სთქვა, რომ მეგრელები რაოდენობით ბევრად აღემატებიან სხვა ტომის ახალ-მშენთა და რომ მთელის ოლქის მეურნეობა თითქმის იმათის შრომაზე ტრიალებს.

—

ამ კაყბატონების ნათქვამს არ გამოვეკიდებოდით და საყვედურსაც არავის ვაკადრებდით, თუ რომ ამ ახალის წლის დადგომისათანავე ბათუმელს კორესპონდენტს პეტერბურგის გაზეთის „Новое Время"-სას, ბ-ნს Старожилъ-ს ჩვენზე იერიში არ მოეტანა. საქმე ის არის, რომ Старожилъ-ი ქართველ და სომეხ მოხელე-

ებს სწამებს, ვითომ ისინი გზაზედ ეღობებიან რუსებსა და ცდილობენ ბათუმის მაზრაში ფეხი არ მოაკიდებინონ. იმასაც მოგვითხრობს, რომ ქართველი და სომეხი მოხელეები სახელმწიფო თუ კერძო ქონებას ხელს უწვდიან და ცდილობენ დაისაკუთრონო. ამის მაგალითიც მოჰყავს. ძალიან უკაცრავად ბ-ნ Старожилъ-თან და მისგან ნაამბობს ჯერ-ჯერობით, ესე იგი, სანამ ეგ საქმე რიგისა და წესისამებრ არ გამოირკვევა, ვერ ვერწმუნებით. იმიტომ ვერ ვერწმუნებით, რომ წინააღმდეგიც გვსმენია და წაგვიკითხავს და დრო მოვა—მართალიცა და მტყუანიც გამოჩნდება. რაც შეეხება ქართველთა და სომეხთ მოხელეთა ვითომ და მტაცებლობას, თუ რომ იგი ბ-ნის Старожилъ-ის იჭვიანობის ნაყოფი არ არის, ყოვლად შეუძლებელია შიგ სხვა რომელიმე აზრი აღმოვაჩინოთ, გარდა იმისა, რომლითაც ისინი ხელ-მძღვანელობდნენ, ვინც ამ ოთხუთმეტისა და ოცის წლის წინად მთავრობა და მთელი მწერლობა შეაძრწუნეს: ჩვენ ვამბობთ იმათზე, ვინც ბაშკირები აწიოკეს და იმათი მამულ-დედული გაძარცვეს. ქართველთა და სომეხთა მოხელეთა ვითომდა მტაცებლობას და ბაშკირების აწიოკებას ერთმანეთს კი არ ვადარებთ. ამ მოხელეებმა თუ რაიმე ბოროტება ჩაიდინეს, იგი იმდენად მცირეა, რომ ბაშკირებას აწიოკებასთან სახსენებელიც არ არის. ჩვენში ამგვარი ბოროტება, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, თავთავიანთ ერის სასახელოდ და სადიდებლად არ მოქმედებდა, და თუ რაიმე ბოროტება ჩაიდინეს,—მხოლოდ იმიტომ, რომ საღერღელი აშლიათ და შეძენის მადა უნდა დაეკმაყოფილებინათ. თუ კაცმა იჭვიანობას თავი არ გაატაცებინა, ყოვლად შეუძლებელია ამგვარს ბოროტებაში სხვა რამე აღმოაჩინოს, გარდა ადამიანის ბუნებურის მიზიდულებისა და ზნეობრივი სითაღლითესი. იმ პუბლიცისტებს რომ ამგვარივე საქმე ჩაედინათ, სულ სხვა იქნებოდა: სიტყვითა და კალმითა ქვეყანას აუწყებდნენ—გისაროდესთ, მოვდივართ, მოგვეცით გზა ფართო კულტურის წინამორბედთაო, სახელი და დიდება უნდა მოვიხვეჭოთ ჩვენთვის კი არა, არამედ სამშობლოსთვისაო. ეს რომ ჩვენის ოცნების ნაყოფი არ არის, შემდეგი ამბავი ჰმოწმობს. ამ ერთის წლის წინად იმავე „Новое Время“-ს თანამშრომელმა,

ბ-ნმა მოლჩანოვმა, რაკი ნოვოროსიაში ხელთ ვერ იგდო მამული, რომელიც კანონის ძალით ადგილობრივს ნამსახურს კაცებს უნდა რგებოდა, იქაურს მთავრობას შესწამა—ხელს გვიშლიან და ჩვენის ოფლითა და სისხლით მონაგარს არ გვითმობენო; ამას არ დასჯერდა და მთელს ადმინისტრაციას იგივე შესწამა. სამაგიეროდ იქაურის ადმინისტრაციის წარმომადგენლისაგან შესაფერი პასუხი მიიღო: მოლჩანოვისთანა მწერალს მელანი ბევრი დაუღვრიათ და მისის სისხლისა და ოფლის რა მოგახსენოთო; იმ მელანსა და სისხლსა და ოფლსა შუა უძევს დიდი ზღვარიო.

—

ბ-ნ მოლჩანოვისთანა მწერალი, რაკი თავის მადას ვერ დაიკმაყოფილებს, ჯერ ადმინისტრაციას აადებს ზურგზე ბრალს და შემდეგ კავკასიის მკვიდრთა ლანძღვა-თრევას მისდგება, ვითომ-და თვალს გადაავლებს ისტორიას და აღმოაჩენს, რომ არც კულტურა ჰქონიათ, ზარმაცნიც არიან და არა-სამედონიცო. კარგად იციან კი, რომ ამით ამ მკვიდრთ სახელს უტეხენ და იმას კი არა ჰზრუნავენ—მართალს ამბობენ, თუ არა. გაკვრით იანვრის მიმოხილვაში შევეხეთ იმას, თუ რამ მოგვაღწევინა მეცხრამეტე საუკუნემდე; ჩვენის აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი ერი დროის შესაფერად იყო აღჭურვილი კულტურით და რომ ეს კულტურა იყო ზნეობრივისა და გონების სიმტკიცის მიზეზი. მართლაც, ვინც ჩვენს ისტორიას თვალს გადაავლებს, დარწმუნდება, რომ ჩვენი მამა-პაპური სამეურნეო კულტურა მკვლის-მკვლია და რადგან ჯერ-ჯერობით ახალს კულტურას ჩვენში ფეხი ვერ მოუკიდნია, ამიტომ დღესაც იმ ნაანდერძევის კულტურით ცოცხალვართ. აბა დააკვირდით ჩვენს უცოდინარს გლეხს, რომელიც მხოლოდ მამა-პაპურის გამოცდილებით სულდგმულობს, რომელსაც გზა და ხიდი არა აქვს, კრედიტს მოკლებულია, ადგილ-მამული გაუმიჯნავი აქვს და მფლობელობითი უფლებაც ვერ გამოურკვევია; ამასთან ისიც გაიხსენეთ, რომ იმავე გლეხს ძალუძს ხუთასი და ათასი მანეთი გაიღოს ერთი ქცევა მიწაში, ესე იგი იმდენი ფული, რომლის სარგებელს ერთი ქცევა მიწა ვერ აღუდგენს; ვინც ამ ამბებს თვალ-ყურს ათხოვებს, დარწმუნდება, რომ იმ გლეხს შეუძლიან ქვას რძე გამოადინოს;

ასეთია საზოგადოდ იმერელი გლეხი, რომელსაც, ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი სოხუმის ოლქის დასახლებაზე, ზემოდ ხსენებული პუბლიცისტები სიზარმაცესა, ნადირ-მყოფობას სწამებენ და რომელნიც მზად არიან თავიანთ კალმის წვერზე ააგონ. ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ აფხაზეთი მარტო ჩვენს გლეხკაცობას დაუთმოს, როცა ეკონომიური და სხვაგვარი გაჭირვება იძულებულ ჰყოფს მამა-პაპის ოფლითა და სისხლით გაჟღენთილს დედულ-მამულს სამუდამოდ ხელი გაუშვას; არა, იმით ვართ შემწუხებული, რომ ზოგი გაზეთი თუ ჟურნალი უსამართლოდ გვეპყრობა და ისეთს რასმე გვწამებს, რასაც შეუძლია ჩვენი ეკონომიური და სულიერი წარმატება შეაფერხოს და შეჰხუთოს. იმ გაუბატონების აზრმა რომ გაიმარჯვოს, რასაკვირველია, პატივი და ნდობა აგვეყრება და ეს ხომ არც არავისათვის სასარგებლოა და არც სანატრელია. ჩვენ კიდევ იმის თქმა გვინდა, რომ იმ პუბლიცისტებმა თვალი აახილონ, მართლ-მოყვარეობა მიიშველიონ და ტყუილ-უბრალოდ მთელის ერის ილეკვა-თრევასა თავი დაანებონ. იმას რომ გვწამებენ, ვითომ ქართველი და სომეხი მოხელეები რუსეთიდან მოსულებს წინ ელობებიან და კავკასიის თავისუფალ და გავერანებულს ადგილებში დასახლებას უშლიან, ეს ხომ სარწმუნო არ არის. სოხუმის ოლქში ახალშენთა საქმეს თვით მთავრობა განაგებს; ბათუმის მაზრაშიც რუსის გლეხიც პოულობს ბინას და შეძლებული კაცებიც. და თუ ვისმე რაიმე უსიამოვნება შემთხვა, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ უსიამოვნებას არავითარი ეროვნული სარჩული არ უდევს. ბრალი და მიზეზი საეკონომიო, სამიწაწყლო ურთიერთობის გამოურკვევლობაა და სხვ. პირიქით, ვისაც ეჩა რგება, სადაც თავისუფალი ადგილებია, რატომ გზა არ უნდა მიეცეს, რა ტომისაც უნდა იყოს, რუსი იქნება, ქართველი თუ სომეხი.

იგი პუბლიცისტები იმასაც ამბობენ, რომ ვითომ კულტურის მნერგველთა და მოსახლეთა ხელს ვუშლით და მტრულად ვეპყრობით. განა აშკარა არ არის, რომ ამ აზრის მღაღადებელნი ცილსა გვწამებენ? არა, განსაჯეთ, იმდენად ბრიყვი ვინ არის, რომ სასიკეთო ვისმე ასწავლოს, იმისს წარმატებას ხელი შეუწყოს, და ის კი მტრულად მოეკიდოს. იმ აზრის დასარღვევად სრულიად საკმაოა

შემდეგი ამბავი მოვიხსენიოთ. როცა ჩვენს ვენახებს ჭირი მოედვა და როცა ამ ჭირს მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა, განა ხალხი უნდობლად მოეკიდა? მთელს საქართველოში, სადაც კი ვაზის ჭირი მძვინვარებს, დღეს ვერავის იპოვით, რომ ვაზის წამლობის მნიშვნელობა არ ჰქონდეს შეგნებული. ისეთს ვისმე ვერ შეეყრებით, რომ, თუ რამე ღონისძიება მოეპოვება, ხარჯს დაერიდოს ვაზის ჭირთან საბრძოლველად. არა, ბატონებო, ვინც სასიკეთოს რასმე შეგვძენს და შეგვმატებს, დარწმუნებული იყავით, უნდობლობას და მტრობას კი არა, არამედ სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებს. ღმერთმან ინებოს, რომ ბ-ნმა პოპოვმა ან სხვა ვინმემ ბათუმის მიდამოში ჩაის ბუჩქს, ან სხვა რომელსამე სასარგებლო მცენარეს ფესვი მოაკიდებინოს. საწინააღმდეგო არა გვეთქმის-რა. პირიქით, მადლობასაც მოვახსენებთ, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია ახალის კულტურის გავრცელებამ ცოდნა და სიმდიდრე არ შეგვმატოს. ერთის სიტყვით, ვინც ჩვენს დავრდომილს ეკონომიურს მდგომარეობას მიეშველება, ჩვენი გული და ნდობა იმისია, ხოლო იმ ჯურის პუბლიცისტებისა კი რა მოგახსენოთ!

ბ-ნი შავროვი, აბრეშუმის ჭიის თაყვანის-მცემელი, რასაკვირველია, პირველობას შეგვწამებს და გვისაყვედურებს, რომ ამდენსა ვცდილობ აბრეშუმის მოყვანის გავრცელებისათვის და თქვენ კი ჩემი ცდა და შრომა არ დააფასეთო, და იმას კი არ გაგვიმხელთ, რომ აბრეშუმის თესლი, რომელსაც მეაბრეშუმეთა აწვდის, სნეულია და რომ იმ ფულს, რომელსაც მთავრობა აძლევს, იმის ნახევარი სარგებელიც ვერ გამოაღებინა, რაც მოსალოდნელი იყო. აბრეშუმის თესლიც რომ ჭირიანი არ გამოჰყავდეს, ბ-ნი შავროვი ბევრს ვერას გვასწავლის, თუნდაც იმიტომ, რომ, როცა თესლს დაიბარებთ, ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, დარიგებას აბრეშუმის ჭიის გამოყვანისას უცხო ენაზე მოგაწვდის, ასე რომ, ძალიან მონდომებულიც რომ იყოთ, ვერას გახდებით. ეს სულ რისთვის? იმისთვის, რომ შავროვისებურ გაუბატონების მოღვაწეობას საქმის არა-შესაფერი სარჩული უდევს. იმის მაგიერად, რომ ერთხელვე ნაკისრები მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულოს, იმას გაიძახის, რომ თანაგრძნობა ვერ მოვიპოვეთო, რადგანაც თქვენ თქვენივე სიკეთე არ გესმითო. განა

ამას წინად ბ-ნი ალიბეგოვი და სხვები ბ-ნის შავროვის მოღვაწე-ობას უმიზეზოდ ჰკიცხავდნენ? არა, სრულიად სამართლიანად მოი-ქცნენ, ხოლო ბ-ნი შავროვი მაინც თავისაზე სდგას.

—

სხვათა შორის ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობაზე თვალ-ყუ-რი უჭირავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელიც, ჩვენ-და სასიამოვნოდ, თან-და-თან მეტს სიფხიზლეს იჩენს. ამ საზო-გადოების მოღვაწეობის გასინჯვას არ შევუდგებით, მხოლოდ ის-ღა გვინდა ვთქვათ, რომ რაკი ჩვენს მეურნეობას მრავალი გაჭირ-ვება ეწია, მაგალითად, ვაზის ჭირი, და ის, რომ ჩვენი სამეურნეო ნაწარმოები შესაფერს ბაზარს ვერა პოულობს, აგრეთვე ზოგიერ-თის ძველის-ძველის კულტურის დაქვეითება, სხვათა შორის აბრე-შუმის მოყვანისა და სხვა და სხვ., ჩვენც ყურადღებას მივაქციოთ სა-მეურნეო საზოგადოებას და იმისგან მოველით ხსნასა და შველას. როგორც ზემოდ ვთქვით, ეს საზოგადოება მეტს სიფხიზლეს იჩენს, წარსულიდან რომ არა გავიხსენოთ-რა, საკმარისია მოვი-გონოთ, რომ საზოგადოებას განზრახვა აქვს მეურნეთა კრება გა-მართოს, სხვა-და-სხვა ადგილას განყოფილებანი იქონიოს. აგრე-თვე ისიც საყურადღებოა, რომ ბ-ნი კლინგენის აზრი საქმედ აქცია: დღეს სამეურნეო საზოგადოება კვირის გაზეთს ბეჭდავს იმ წიგნე-ბის მაგიერ, რომელნიც მკითხველთათვის ძნელად ხელ-მისაწვდენე-ლი იყო. კვირის გაზეთს რომ მეტი მკითხველი ეყოლება და რომ იგი სამეურნეო საზოგადოებას და ქვეყანას ერთმანეთს უფრო და-უახლოვებს, ეს იმდენად ცხადია, რომ ლაპარაკიც არ არის საჭი-რო. ხოლო სასურველია, რომ ეს გზა უფრო გააგანიეროს. სამე-ურნეო საზოგადოებას თუ უნდა ხალხსა და საზოგადოებას დაუა-ხლოვდეს, — და ეს რომ ასეა, არავითარი ეჭვი არ არის — სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად და ხალხის გულის მოსაგებლად საჭიროა ისეთს ძლიერსა და ნამდვილს საშუალებას მიჰმართოს, როგორიც ადგილობრივი ენაა. იყო დრო, როცა სამეურნეო საზო-გადოება ერთს სამეურნეო გაზეთს, სახელდობრ «გუთნის-დედას», სუბსიდიასაც აძლევდა და იმ აზრს ადგა, რომ შესაძლოა ამ გზით ხალხს მეტი სამსახური გაუწიოს, ვფიქრობთ, რომ ამ აზრს დღე-

საც არ უნდა გადასდგომოდეს. ამიტომ სანატრელი და საჭიროც არის თავისი კჱირის გაზეთი «Кавказское Сельское Хозяйство» ქართულს ენაზედაც ბეჭდოს, ისე როგორც «მწყემსი» იბეჭდება. წინად თუ თვით საზოგადოება იძლეოდა სუბსიდიას, სამაგიეროდ დღეს შესაძლოა ეგ ხარჯი აიცდინოს, რადგანაც ჩვენი სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობის მნიშვნელობაცა გვაქვს შეგნებული და სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებისაცა. დარწმუნებულნი ვართ, სამეურნეო საზოგადოებამ ამ აზრის განხორციელება რომ განიზრახოს, ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკები საჭირო ხარჯს გაიღებენ, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ მეურნეობის წარმატება თვითონ ბანკების წარმატებასაც დაემჩნევა. ეს ჩვენი აზრი იმდენად სამართლიანი, უეჭველი და ადვილი შესასრულებელი გვგონია, რომ იქნება ჩვენის ბანკების წევრთა კრებამ თვითონვე მიმართოს და სთხოვოს სამეურნეო საზოგადოებას თავისი გაზეთი ქართულს ენაზედაც ჰბეჭდოს და ამ საგნისათვის საჭირო ხარჯიც აღუთქვას.

## ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის პროექტი

## კახეთის რკინის გზის თაობაზე

ჩვენს მკითხველებს, რასაკვირველია, გაეგონებათ, რომ ამ ცოტას ხანში პეტერბურგში გარდასწყდება კახეთის რკინის-გზის ბედი. ამ ჟამად ამ საქმის თაობაზედ სატახტო ქალაქში იმყოფებიან გუბერნიის მარშალი ლ. ა. მაღალაშვილი და კახეთის გზის კომისიის წევრი ივ. ჯაბადარი. იანვრის 30-ს ზემოხსენებულს პირებს უკვე წარუდგენიათ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მოხსენება ამ საგნის შესახებ. ჩვენ შევიტყეთ, რომ სამინისტროებში ძალიან კარგის თვალით უყურებენ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მოწადინეობას შესახებ კახეთის გზისა და გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ მთავრობა ყოვლის მხრით შეეწევა ჩვენს თავად-აზნაურობის საზოგადოებას მის სურვილის განხორციელებაში.

ამას იქითაც ვეცდებით დაწვრილებით გავაცნოთ ხოლმე ჩვენს მკითხველებს ყოველივე, რაც კი შეეხება კახეთის გზის წარმოებას პეტერბურგში.

აქ მოგვყავს შემოკლებითი თარგმანი თავად-აზნაურობის მოხსენებისა. თავად-აზნაურობა იწყებს თავის მოხსენებას იმით, რომ მოჰყავს ამ საქმის მოკლე ამბავი, რომლიდანაც სჩანს, რომ 15 ივნისს 1892 წ. ამ საგანზე ჰქონია მსჯელობა განსაკუთრებითს კრებას სამინისტროთა წარმომადგენელებისას; ამ კრებას უცვნია, რომ კახეთის რკინის გზა სასარგებლო და შემოსავლიანი იქნებაო, მაგრამ სახელმწიფო ამ ჟამად თავის ხარჯით ამ გზას ვერ გაიყვანს, რადგან დიდი ფული უნდე-

ბა უკვე დაწყებულ ციმბირის რკინის გზასაო და ამიტომ დაუდგენია, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ნება მიეცეს იშუამდგომლოს ამ რკინის გზის გაყვანის კონცესია მას მიენიჭოსო. კრებას ამასთანავე დაუნიშნავს თავად-აზნაურობისათვის ვადად იანვარი 1894 წლისა, და ამ დროისათვის თავად-აზნაურობას უნდა წარედგინა პროექტი ამ რკინის გზის შესახებ. თავად-აზნაურობას ამ ვადაზე ვერ მოუსწრია პროექტის წარდგენა იმის გამო, რომ ტეხნიკური გამოკვლევა ამ რკინის გზისა თავად-აზნაურობას მიუნდვია ამიერ კავკასიის რკინის-გზის გამგეობისათვის, რომელსაც 1 სექტემბრამდე 1893 წ. უნდა დაესრულებინა ეს გამოკვლევა, რომლისათვისაც თავად-აზნაურობამ მისცა ხარჯად 15,000 მანეთი. მაგრამ გამგეობამ მხოლოდ ნოემბერში გადასცა თავისი გამოკვლევა თავად-აზნაურობას. ამიტომ დრო ცოტა დარჩა ვრცელი პროექტის შედგენისათვის და ამ მიზეზით ვადაზე ველარ მოვასწარით პროექტის წარმოდგენაო.. შემდეგ ამისა თავად-აზნაურობა ასე განაგრძობს თავის მოხსენებას:

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წერილი კახეთში ვიწრო-კვლიანი რკინის გზის გაყვანის თაობაზედ

### I

### კახეთის რკინის გზის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის

ასი წელიწადი ჩქარა შესრულდება მას აქეთ, რაც რუსეთმა ფაქტიურად იწყო ტფილისის მფლობელობა, იმ ძველი საქართველოს დედაქალაქისა, რომლის ისტორიულ სვე-ბედში კახეთს (სართიჭალის უჩასტკას, სიღნაღისა და თელავის მაზრას, თიანეთის მაზრასა და ზაქათალის ოლქის ნაწილს) თვისი მოქმედება-გავლენით საჩინო ადგილი სჭერია: კახეთის მეფეებმა,

თავად-აზნაურობამ და სასულიერო წოდებამ კავკასიის აქეთა მხარეში ყველაზედ ადრე იწყეს მეცადინეობა — თავისი ხალხი ერთმორწმუნე რუსეთთან შეეერთებინათ სახელმწიფო ერთობის კავშირითა. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრივ კავკასიის მთავარი ქედის კალთით შემოზღუდული, კახეთი მუდამ საიმედო ფარი იყო მთელი საქართველოს ერისათვის იმ დროებში, როდესაც ქრისტეს მცნების მმოსავ საქართველოს ხანგრძლივი და მწარე ბრძოლა ჰქონდა უცხო ტომის და სხვა სარწმუნოების მაღვიარებელ მეზობლებთან; ვიწრო ხეობებში დაფარული, იგი მაჰმადიანი მეზობლებისაგან თავის ქვეყნის დაცვასაც ახერხებდა და თავის სარწმუნობისასაც და თანაც თავის პატარა სახელმწიფოს გარედ კარგა შორს მანძილზედ ავრცელებდა ქრისტეს სარწმუნოებას. უფრო დადგრომილ წეს-წყობილების მეოხებითა და ხელის შეწყობით კახეთში გაიმაგრა წელი ძ განვითარდა ამიერ-კავკასიის ნივთიერი კულტურა: ხვნა-თესვა, ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული პურეულის წარმოებით, საგანგებო მებოსტნეობა, დიდ-ზომამდე გავრცელებული მევენახეობა, რომელიც ყველა თვალსაჩინო ევროპიელ მეცნიერი-მევენახის ყურადღებას იპყრობს, აბრეშუმის და თამბაქოს მოყვანა, ცხვრის მოშენება, — აი ყველა ეს შეადგენს უმთავრეს საქმეს იმ მშვიდობიან მკვიდრთა, რომელნიც, რიცხვით თითქმის ნახევარმილიონამდე, მდინარე ალაზნისა და ივრის ხეობებში მოსახლეობენ.

მაგრამ ეს კულტურა, საუკუნოების განმავალობაში ბეჯითი შრომით განვითარებული, ნივთიერი მსხვერპლის მოტანით და სისხლის დაღვრით დაცული, ამ დროის სახელმწიფო და ეკონომიურ პირობათა ცვლილების გამო მზრუნველობასა და მფარველობას ითხოვს, თუ არა და დაცემა მოელის მას, თუმცა-ღა ჰაერი და მიწა ამ მხარეს ძალიან მადლიანიცა აქვს. უწინდელი კულტურის კვლავ განვითარებისათვის საუკეთესო მფარველობას ნაწარმოების გასაღების გაადვილება გაუწევს მას, გზის ხარჯის შემცირება შეუწყობს ხელს, რაიცა მიიღწევა მხოლოდ კახეთსა და ტფილისს შუა რკინის გზის გაყვანითა (თელავიდან ტფილისამდე).

ჰავა და გეოგრაფიული მდებარეობა მეტად აძვირებს ამ მხარეში ტვირთის ზიდვას და ამით არა მარტო უწინდებურ წინსვლის დონეს აცლის, არამედ იმასაც უშლის, რომ განვითარების მხრივ ერთ დონეზედ მაინც იმყოფებოდეს ამიერ კავკასიის იმ ადგილებთან, რომელნიც ეხლა რკინის გზით სარგებლობენ.

მართლაც, ამიერ კავკასიაში პირველი რკინის გზის გაყვანამდე კახეთი მაინც და მაინც ერთგვარ და უფრო უკეთეს მდგომარეობაშიაც იმყოფებოდა სხვა ამ მხრის ადგილებთან შედარებით და ტფილისის ბაზარში მარჯვედ უწევდა მათ შეჯიბრებას. მაგრამ, რაკი კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა გაიხსნა, ტფილისის მაზრის დიდი ნაწილი (სართიჭალ. უჩას.), მთელი სიღნაღისა, თელავისა და მაზედ მიკრული თიანეთის მაზრები და აგრედვე ზაქათალის ოლქი, ესე იგი მთელი უზარმაზარი მხარე, ოდესმე მკვებავი არა თუ მარტო ტფილისისა, არამედ მთელი საქართველოსი, რკინის გზიდან სულ განზედ დარჩა და ძველის-ძველი პირობები თვისი მძიმე ჯაფა-შრომით ნაწარმოების გასაღებისა ერთბაშად შეეცვალა და, რაღა თქმა უნდა,—მისთვის საზარალოდ. უწინ, რკინის გზის გაყვანამდე, რა ადგილებიც კახეთთან შედარებით მეტად შორს იყვნენ ვაჭრობის შუაგულ ბაზარზედ (ტფილისზედ), რკინის გზის მეოხებით თითქო გზა შეიმოკლეს თავიანთსა და ტფილისს შუა, რომელიც ამიერ კავკასიის შუაგული საქონლის საწყობი და ბაზარი ადგილი არის,—და თავიანთ ნაწარმოების გასყიდვა კახეთის მცხოვრებლებზედ უფრო სარფიანად იწყეს. ტფილისის ბაზარში სოფლის ნაწარმოების შემოსვლამ იმატა და, რაღა თქმა უნდა იმისმა ფასმაც დაიწია, დასაბამი დაედო ორთქლით მავალის ურემთან ბრძოლას და დღევანდლამდინაც არის ეს ბრძოლა, რომლის შედეგის გამოცნობა ძნელი არ არის.

კახეთი ეხლაც კი ჰგზავნის თავის ნაწარმოებს ტფილისის ბაზარში, მაგრამ ჰგზავნის მხოლოდ მაშინ, როდესაც გაუჭირდება, ანუ იმისთანას ჰგზავნის, რაც უფრო მეტ ფასად გადის, და რამდენიც ხანი მიდის, იმდენი იძულებული ხდება იგი თა-

ვისი ნაწარმოები შეამციროს. ადვილი გასაგებიც არის ეს. ამ მხარის უახლოესი ადგილიდან (სართიჭალის უჩ.) გზის ხარჯი რვაჯერ მეტად ღირს რკინის გზის ფასთან შედარებით, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ ამ გზის მახლობლად მდებარე ადგილები: ესე იგი, პირველნი რომ ურემში 60 ფუთ ნადებში 40 ვერსის მანძილზედ 7—8 მანეთს იხდიან ($^1/_4$ კაპ. მეტს ფუთსა და ვერსზედ), მეორენი მხოლოდ $^1/_{20}$ და $^1/_{30}$ კაპ. აძლევენ ფუთსა და ვერსზედ. ამ გარემოების მიუხედავად კახეთის მოსახლეობა მაინც ბრძოლას არ იშლის და ტფილისის ბაზრისაკენ მიისწრაფება, და მაგალითად რომ ვთქვათ, მარტო სართიჭალის მხარე და მისი მომხრე სიღნაღის ნაწილი თითქმის $^1/_2$ მილიონ ფუთ პურს ჰგზავნის ტფილისში, როგორც სახაზ. რკ. გზ. აგენტის ცნობებისაგან*) სჩანს ესა. მაგრამ უფრო ნაზი ნაწარმოები, სახელდობრ ბოსტნეულობა და ყოველგვარი ხილეული, ძველად სახელ-განთქმული ივრის ნესვ-საზამთროს გვარი, თან-და-თან იდევნება ტფილისის ბაზრიდან და მათი წარმოება, თვით ტფილისთან მახლობელ ადგილებშიაც კი, თან-და-თან მცირდება**). ქუთაისისა და განჯის ნაწარმოებმა დაიპყრო ტფილისში მთელი ხილის ბაზარი და ამგვარად მთელი ასი და ორასი ვერსის მანძილზედ მდებარე ადგილებმა იმ ადგილებს წაართვეს ბაზარი, რომელნიც ტფილისიდან სულ 30—40 ვერსის სიშორეზედ მდებარებენ. ესეც კია, რომ ხანდახან, თუმცა საზარალოც არის, მაინც ნაღდი ფულის საჭიროება იძულებულსა ჰხდის ურმებით ხილის წამოღებას მთელი ქარავნობით, რომელიც ხშირად, გზის ფასი რაცა ღირს, იმაზედ იაფად იყიდება ხოლმე. ასე რომ ერთი ურემი გაღმა-მხრის მსხალი (ალაზნის გაღმა) ტფილისში 6—8 მან. იყიდება, ხოლო იმის მოსატანი ფასი კი სულ ცოტა 8—10 მანეთი ღირს; რასაკვირველია, ასეთი ვაჭრობა მხო-

---

*) ნახე მოხსენება მე-V რაიონის აგენტისა, სახაზ. რკინ. გზ. მმართველობისა.

**) ნახე ოფიციალური ცნობები კავკ. აქეთა მხრის სტატისტ. კომიტეტისა 1891—1894 წ.

ლოდ იმათ შეუძლიანთ, ვისაც თავის საქონელი ჰყავს და ურმის ქირას სხვას არ აძლევს.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გაყვანით მომხდარმა უწინდელი თანაბარობის დარღვევამ მამულებიც მეტად ასწია ფასში იმ ადგილებში, რომელნიც ამ რკინის გზას ჰხვდებიან, და კახეთში კი მამულის ფასები შესამჩნევად დაეცა. ასე რომ მოსახლეთა ერთნაირ სიმჭიდროვეში(29სული ერთ კვად. ვერსზედ), მიწის ერთგვარ გამოსავალში საშუალო ფასი სახნავ მიწაზედ გორის მაზრაში ერთის მხრით და ტფილისის მაზრის სართიჭალის უჩ. მეორეს მხრით—მეტად განსხვავდებიან. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელთაგან გადმოცემული ცნობებიდან სჩანს, რომ ერთი დესიატინის საშუალო ფასი გორის მაზრაში 50—80 მანეთში ფასობს, მაშინ როდესაც ამისთანავე ერთი დესიატინა მიწა კახეთში,—სართიჭალის უჩ. შიგ ჩაყოლებით,—15–40 მანეთად იყიდება. ასეთსავე ახირებულ განსხვავებას ტყეების ფასშიაცა ვხედავთ. იმავე დამფასებელი კომისიის ცნობებით, ერთი დესიატინა ტყის საშუალო ფასი გორის მაზრაში 80—120 მან. ადის, კახეთში კი 15—40 მანეთამდე, ხოლო სიღნაღის მაზრაში, ალაზანს გაღმა ტყის ფასი უფრო მცირეა და დესიატინა 7—12 მან. ფასობს, თუმცა-ღა ყველამ იცის, რომ ალაზნის ხეობის ტყეები ღირსებით გორის მაზრის ტყეებზედ უკეთესია.

მხოლოდ კახეთის ვენახების ფასი არ დაცემულა ჯერ და ყველა სხვა ადგილის ვენახებზედ ძვირად ფასობს. მაგრამ ეს გარემოება კახური ღვინის საგანგებო ღირსებისაგან წარმოსდგება, თუმცა კახეთი კავკ. აქეთა მხრის რკინის გზის გამოისად ცუდ მდგომარეობაშიაც არის, მაინც კახური ღვინის ფასის ძალიან დაბლა დაცემა არ შეუძლიან. მაგრამ თუ ვენახების ფასი მის ნაწარმოების ღირსებასთან შედარებით გავსინჯეთ, მაშინ აქაც უსწორ-მასწორობას შევნიშნავთ. იმავე დამფასებელი კომისიის ცნობით, ერთი დესიატინა ვენახის საშუალო ფასი გორის მაზრაში 600—1000 მან. შუა ფასობს, ხოლო კახეთში—800—1500 მან. შუა.

ასეთმა შეუსაბამო დაბალმა ფასმა ყველა კახეთის მამულებისამ ძალიან საზარალო გავლენა იქონია მთელი მხრის მეურნეობაზედ და მეტადრე მსხვილმან მამულებზედ. სათავდარიგო თანხის უქონელი მემამულენი სათავად-აზნაურო ბანკებიდან რომ სესხს იღებენ, მცირედი ეძლევათ ეს სესხი და ამიტომ არამც თუ საკმაო თანხა არა აქვთ თავის მეურნეობის წესიერად მოწყობისათვის, არამედ ხშირად ისიც არ შეუძლიანთ, რომ უწინდელ სიმაღლეზედ ამყოფონ იგი. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ხორბლისა და სხვა პურეულის თესვა შედარებით შემცირდა და ვენახების გაშენებამ კი იმატა, მაგრამ ეს მატებაც ძალიან შორს არის იმასთან, როგორც უნდა ემატნა, თუ საქმე წესიერად ყოფილიყო მოწყობილი.

ამგვარად კახეთის მემამულეთ და მეტადრე გლეხობას ფიქრისთვის აღარა სცხელა, რომ თავის მეურნეობა გააუმჯობესოს, რაკი საქმის წარმოებისათვის მეტის-მეტი ძალის დატანება სჭირდება, რომ მთლად არ განიავდეს და თავის უკანასკნელი ავლა-დიდებისგანაც ცარიელი არ დარჩეს. ამ მძიმე ბრძოლაში მყოფ კახეთის მკვიდრთა შრომის ბეჯითობა არ შეიძლება არ დააფასოს კაცმა, რადგან მას ბრძოლის ასპარეზი აქამდინაც არ დაუთმია ბედის-წერისთვის, თუმცა კი ამ ბრძოლაში ბევრიც დაუკარგავს.

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის გაყვანამდინ კახურ ნაწარმოებ შორის თვით უძვირფასესს—ღვინოს ტფილისის ბაზარში მოქიშპე ჯერ არ შეჰხვედრია, მაგრამ ამის მიუხედავად თბილისში ამ უკანასკნელ წლებში, რკინის გზის ცნობებისგან როგორცა სჩანს *), 400,000 ფუთამდე ღვინო შემოდის ბათუმ-ტფილისისა და ბაქო-ტფილისის გზით. მარტო განჯიდან 135,000 ფუთი ღვინო შემოაქვთ, ქურდამირიდან 62,000 ფუთი და 16,000 ფუთი ძეგამიდგანაც კი მოაქვთ, ხოლო გორის მაზრიდან 40,000 ფუთამდე შემოდის. მარტო ეს ცნობაც საკმაოდ აჩვენებს, რომ რკანის გზის მეოხებით კახური ღვინის

*) ნახე კავკ. აქეთა მხრის რკინ. გზის ანგარიში 1890 და შემდეგი წლებისა.

ადრე უსაზღვრო მოთხოვნილება 400,000 ფუთით შემცირდა და ამ ნაკლს ავსებს, მის მაგიერობას დაბალი ხარისხისა და იაფი ფასის ღვინოები იჭერენ, რომელნიც მაინც და მაინც კახური ღვინის სახელით ისყიდებიან. ერთი ვედრო კახური ღვინის ფასი რომ 3 მან. ჩავაგდოთ (საშუალოდ), ადვილად აღვრიცხავთ, რომ რაც კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა გაკეთებულა, მას აქედ კახეთის მაწარმოებლები ყოველ წელიწადს ერთ მილიონ მანეთს ჰკარგვენ. რადგანაც ახლანდელი გზით კახეთიდან ტფილისში საქონლის ჩამოტანა ასი ვერსის მანძილზე ფუთი 25 კაპ. ჯდება, კახელებს არ შეუძლიანთ შეჯიბრება გაუწიონ განჯის ღვინოებს, რომელიც ტფილისში რკინის გზით მოდის.

პურზედაც ესევე ითქმის: უწინდელ დროს კახეთს თავის პურის მოსავალი არა თუ ტფილისის ბაზარში მოჰქონდა, არამედ მთელ არმიებსაც ჰკვებავდა, ახლა კი, როგორც კავკასიის აქეთა მხრის სტატისტიკურ გამოკვლევიდანა სჩანს პურის თესვა კახეთში თან და თან მცირდება.

კახეთიდან ტფილისში ხის მასალის მოზიდვაზედ ხომ ლაპარაკიც არა ღირს; კახეთის ტყეები, როგორც სამართლიანად ამბობს ბ. სახაზინო რკინის გზის მმართველობის აგენტი, ჯერ ხანად მკვდარ თანხას წარმოადგენენ. რკინის გზის ცნობებს თუ მივხედეთ, ტფილისის რკინის გზის ორივე ნაპრიდან ერთ მილიონ ფუთამდე შეშა მოსდის და ამ რიცხვში შედარებით ტყეებით ღარიბი გზის ნაპერი ტფილისიდან ბაქომდე მაინც კიდევ 70,000 ფუთს ეზიდება, ხოლო ბათუმ-ტფილისის ნაპერზედ მდებარე ნიგოითის სტანცია, ტფილისზედ 200 ვერსით მოშორებული, 170,000 ფუთს აძლევს ტფილისს, მაშინ როდესაც, სიღნაღისა და თელავის მაზრასაც რომ თავი დავანებოთ, მარტყოფ-იორის სალესნიჩოდან (სართიჭალის უჩასტკა) ტფილისამდე შეშის მოტანა 40—60 ვერსის მანძილზედ თითქმის საზარალო საქმე გამოდის: ასე რომ ნიგოითიდან ტფილისამდე ერთი ფუთი შეშის მოტანა 4—5 კ. ჯდება და ივრის ტყეებიდან კი 20 კაპ. ამის მიუხედავად, მაინც კახეთის შარა-გზით ტფილისში, როგორც ქალაქის ცნობებიდანა სჩანს, კარგა ბლო-

მა შეშა შემოდის, იმავე საზარალო გარემოებით მოცული, როგორშიაც ალაზნის გაღმელი ხილის მოტანაა.

აი ის უთანასწორობა ეკონომიურ ბრძოლაში, რომლისაგანაც დიდ ზარალშია ივრისა და ალაზნის ხეობის მოსახლეობა, მაგრამ ამისთანა შევიწროებულ გარემოებაში ყოფნის მიუხედავად კახეთი მაინც ამ ჟამადაც მდიდარია არა მარტო პურით, ღვინით, საუკეთესო ტყით, საქონლით, მატყლით, რძის ნაწარმოებით, თივით, აბრეშუმით, ხილით და მშვენიერი სააგარაკო ადგილებით ძველი მონასტრების მახლობლად, არამედ მდიდარია იგი მადნეულითაც; სახელდობრ: შაბ-მარილათი, ქვანახშირით, სპილენძით, ალებასტრით და ნავთით, რომელიც საუკეთესო ბენზინს იძლევა. ყველა ეს კახეთს ბრწყინვალე მომავალს უქადის, რაკი რკინის გზა გაუკეთდება მას.

თუ რამდენად შეგნებულია ამ გზის საჭიროება, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ როდესაც თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა დაიწყო კახეთის გზის გაყვანაზედ და ტეხნიკურ გამოკვლევას შეუდგა, სათავად-აზნაურო კომისიას მრავალმა სოფელმა თხოვნით მოჰმართა, რომ ეს გზა უექველად გაყვანილიყო და თან თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ.

## II

## კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობა მისი გაკეთების ტეხნიკურ პროექტთან შეფარდებით

ვიდრე შევუდგებოდეთ ამ საქმის ვაჭრული მხრის აღწერას, თავდაპირველად მოვალედ ვრაცხავთ ჩვენს თავს შევნიშნოთ, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას განსაკუთრებით საზოგადო სარგებლობა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზას კახეთის შტოს ტეხნიკური გამოკვლევა მიანდო და მოისურვა ვიწრო-კლიანი რკინის გზის გაკეთება იმ საუკეთესო სახისა, რომ მომავალში იმის ღონის მიმატება შესაძლებელი ყოფილიყო.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, თუ უდიდეს ფასად, რაც კახეთის გზა თავის მოძრავი ნაწილით უნდა დაჯდეს, 5,400,000 მან. მივიღეთ, ხოლო სარგებლის ზედ შევკეცვით 6,000,000 მან. და ამას წლის ერთიანი შემოსავლის ჯამი 550,000 მან. დავუპირდაპირეთ, რომელიც სქემაში არის აღნიშნული და სამინისტროთა წამომადგენლების თათბირისაგან 15 ივნის 1892 წ. მიღებულია, ადვილად დავინახავთ, რომ წლიური ხარჯის — 300,000 მან. გამორიცხვით, რაიცა აგრეთვე იმავე სათათბიროსაგან არის მიღებული, კახეთის გზამ მაინც და მაინც წელიწადში 250,000 მან. წმინდა მოგება უნდა მოიცეს, ანუ 4%—6,000,000 მან. თანხაზედ.

მაგრამ კახეთის გზის ერთიანი შემოსავლის აღრიცხვა, სახაზინო რკინის გზის გამომკვლეველისაგან სამინისტროში წარმოდგენილი და სამინისტროთა წარმომადგენელთაგან (გზათა, ფინანსთა, სამხედროსი და სახელმწიფო კონტროლისა) განხილული, მეტად შემცირებულია, როგორც ეს თვითონ თათბირის ჟურნალშიაც არის აღნიშნული, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „ტვირთის გადატან-გადმოტანა მეტად ფრთხილად არის აღრიცხულიო“, რასაც თვითონ სახაზინო რკინის გზის სავაჭრო აგენტიც დაეთანხმა 1892 წ. 15 იანვრის № 70 რაპორტით და რასაც უფრო თავად-აზნაურობა უჩვენებდა თავის პირველ მოხსენებაში, რომელიც ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის ხელით მიართო სამინისტროს.

თუ რამდენად ფრთხილად არის ეს აღრიცხვა შედგენილი, ამას ქვემორე მოყვანილი თავად-აზნაურობისაგან შედგენილი უფრო სრული აღრიცხვის რიცხვები აჩვენებენ, რომელნიც ტვირთისა და ხალხის ზიდვას შეეხებიან, თვითეულ წასაღებ-მოსატან საგანზედ ახსნის დართვით და რომელსაც ოფიციალური ცნობები უძევს საფუძვლად: 1) კავკასიის აქეთი მხრის სტატისტიკური კომიტეტისა (მცხოვრებთა რიცხვი, სახნავისა, ტყეებისა და ვენახების რაოდენობა, მოსავლიანობა, საქონლის მოშენება და სხვ.), 2) ტფილისის საქალაქო გამგეობის სავაჭრო ბიუროსი (რამდენსა ჰხარჯავს ტფილისი), 3) საიმპერატო-

რო სამეურნეო საზოგადოებისა და სახელმწიფო ქონებათა სა-მინისტროს კავკასიის წარმომადგენლისაგან ნაბეჭდი ცნობები, 4) აქციზის უწყებისა და აგრეღვე სახელმწიფო რკინის გზის სავაჭრო აგენტის ოფიციალური მოხსენებანი, კახეთისა და ზა-ქათალის ოლქის მომხმარებელთა და მწარმოებელთა შესახებ, რომელი მოხსენებანიც სახაზინო რკინის გზის სამმართველოში ინახებიან. ამას გარდა, ამ ახალ აღრიცხვას ზოგიერთ შესატან და გასატან საგნებში ის ტვირთი აქვს დამატებული, რომელიც ზაქათალის ოლქს შეეხება, რადგან იმ ტვირთის ზიდვა აუცი-ლებლად კახეთის გზას უნდა ჰხვდეს (სტ. ბაკურციხე), და რო-მელიც პირველ აღრიცხვაში, იმდროს საჭირო ცნობების უქო-ნლობის გამო, არ იყო ჩართული.

ტვირთისა და ხალხის მოძრაობის აღრიცხვის ჟამს კახე-თის რკინის გზის მაზრად მიღებულია მასთან ზედ მდებარე ტფ. მაზრის სართიჭალის უჩასტკისა, სიღნაღისა და თელავის მაზ-რებს გარდა აგრეღვე ზაქათალის ოლქიც, თიანეთის მაზრის ნაწილიც და დაღისტნის მაზრის დასავლეთი ოლქებიც, რადგან ეს ადგილები იმ გზის გავლენას ვერსად წაუვლენ. ყველა ამ ადგილების საერთო მოედანი—19,944 კვ. ვერს. და ზედ 478,000 სულზედ მეტი მოსახლეობს.

| | მოსახლ. რაოდენ. | | ადგილ. სივრცე | |
|---|---|---|---|---|
| სართიჭალის უჩასტკა — — | 30,000 | სული | 1,315 | კვ. ვერს. |
| სიღნაღის მაზრა — — — | 90,000 | — | 4,903 | — — |
| თელავის მაზრა — — — | 71,000 | — | 2,217 | — — |
| თიანეთისა (ნაწილი) — — | 12,000 | — | 2,000 | — — |
| ზაქათალის ოლქი — — | 75,000 | — | 3,509 | — — |
| დაღისტნის თემი (დას. ოლქ.) | 200,000 | — | 6,000 | — — |
| | 478,000 | სული | 19,944 | კვ. ვერს. |

თუ ყველა ზემო აღნიშნულ საბუთებს მივიღებთ მხედვე-ლობაში, მაშინ შესატანი და გასატანი ტვირთის რაოდენობა, აგრეღვე ხალხის მოძრაობა და ამასთანავე კახეთის რკინის გზის შტოს შემოსავლიანობა გამოიხატება შემდეგი რიცხვებით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I გატანის მხრივ. . . | 7,970,000 | ფუთ. | 409,708 | მან. |
| II შეტანის მხრივ . . | 1,335,000 | — | 69,075 | — |
| III ხალხის მოძრაობ. . | 300,000 | სული | 300,000 | — |
| სულ | 9,305,000 | ფ. ტვ. | 778,783 | მან. შემ. |
| და | 300,000 | ს. პას. | | |

თუ რამდენად არის ნამდვილთან ახლო ეს შემოსავლის აღრიცხვა, შეიძლება დავრწმუნდეთ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის ამოდენავე ნაჭერის მუშაობასთან შედარებით (ანგარიშში ტრანზიტის ტვირთის მიუღებლად), რომელსაც წარმოგვიდგენს გზა ავჭალიდან სურამამდინ 110 ვერსის სიგრძეზედ; ეს ნაჭერი, როგორც ზევითაც არის შენიშნული, იმიტომ ავიღეთ, რომ იგი ტფილისის იმ ნაწილს ემსახურება, რომელიც ხასიათით, წარმოებით და მოსახლეთა სიმჭიდროვით, აგრედვე სოფლის მეურნეობის მაწარმოებლობით უფრო მეტად მიემსგავსება იმ ადგილების გარემოებას, რომელზედაც მომავალი კახეთის რკინის გზა გაივლის და თუ ერთს ამ ადგილთაგანს რაიმე უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით ეს უპირატესობა უეჭველად კახეთისას უნდა ჰქონდეს, როგორც მადნეულის სიმდიდრით (შაბ-მარილა, სპილენძი, ბენზინი, ქვა-ნახშირი) ძვირ-ფასი ხის მასალით (ალაზნის მუხა, აბანოზი, შვინდი და სხვ.), აგრედვე იმითიც, რომ იქ ვრცლად და საუკეთესოდ სწარმოებს მევენახეობა და თამბაქოს მოყვანა. ამ შედარების უკეთესი დასაბუთებისათვის ჩვენ სწორედ ავჭალა-სურამის ნაჭერს ვიღებთ და არა ტფილის-სურამისას, რადგან ტფილისის სტანციის მუშაობა მთელი ამიერ-კავ. რკ. გზის მუშაობას შეეხება, თუმცა კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობაშიაც, ტფილისის სტანციას, როგორც გზის ბოლო პუნკტს დიდი გავლენა ექნება გზის მუშაობაზე და, მაშასადამე, მთელი კახეთის გზის შემოსავლიანობაზედაც.

ამ შედარებისათვის ჩვენ ოფიციალური სტატისტიკური რიცხვებით ვსარგებლობთ, რომელიც აღნიშნულია კავკასიის აქეთა მხრის სამი 1887, 1888 და 1889 წლის ანგარიშში (ამაზედ უახალესი ანგარიშები უკეთესს შედეგს გვაძლევს).

ამ საბუთებიდან (რიცხვებიდან) სჩანს, რომ ავჭალა-სურამის ნაჭერზედ საშუალო მუშაობა ერთი ვერსისა იყო:

| | | |
|---|---|---|
| 1887 წ. . . . . . . . | 54,740 | ფუთი |
| 1888 წ. . . . . . . . | 59,668 | „ |
| 1889 წ. . . . . . . . | 68,770 | „ |

საშუალო მუშაობა 1 ვერსისა სამი წლის მუშაობის შეერთებით. . . . . . $\frac{183{,}178 \text{ ფუთ.}}{3} = 61{,}059$ ფუთი

ეს ავჭალა-სურამის ნაჭრის წლიური საშუალო მუშაობის რიცხვი (61,059 ფუთი) რომ შევუფარდოთ კახეთის გზის მომავალ მუშაობას 163 ვერ. სიგრძეზედ, წელიწადში მივიღებთ $61,059 \times 163 = 9,952,617$ ფუთ ტვირთს.

ხალხის მოძრაობაც ავჭალა-სურამის ნაჭერზედ, იმავე ცნობების მიხედულობით 1887—1889 წ., გარდა საგანგებოდ დანიშნული მატარებლისა, ყმაწვილებისა, სამხედრო რაზმებისა და ტუსაღებისა, მთელი სამი წლის განმავლობაში 110 ვერს. სიგრძეზედ 942,756 სული ყოფილა; მაშასადამე, სამი წლის საშუალო ანგარიშით წლიური მუშაობა ერთ ვერს. $\frac{942,756}{3 \times 110} = 2,855$ ადამიანს.

ეს რიცხვი (ვერსზედ 2,855 კაცი) კახეთის რკინის გზაზედ ხალხის მოძრაობას რომ შევუფარდოთ, 163 ვერ. სიგრძეზედ უნდა მოველოდდეთ: $2,855 \times 163 = 465,365$ კაცს წელიწადში.

ხოლო თუ ვიფიქრებთ, რომ ხალხის მოძრაობა კახეთის რკინის გზაზედ პირველ ხანში ისე ძლიერი არ იქნება, როგორც ავჭალა-სურამის ნაჭერზედ არის, მაინც იმაზედ მეტისმეტადაც მცირე არ უნდა იყოს, რადგან თუ რკინის გზით სიარულს ჩვეულნი არ არიან, მაგიერად კახეთის გზაზედ მომარჯვებული მიდამო ადგილები, რომელნიც პირველ წლიდანვე დაიწყებენ იმით სარგებლობას, ბევრით მეტად არის პირველ ნაჭერთან შედარებით დასახლებული. შედარებითი მოსახლეობა ავჭალის-სურამის ნაჭრისა და კახეთის რკინის გზის მიდამო ადგილებისა ამასთანავე დართული ორი სიიდან გაიგება, რომლიდანაც სჩანს, რომ 40,823 სული მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომელიც 10—15 ვერსის მანძილზედ აქეთ-იქიდ ახვევია ავჭალა-სურამის ნაჭერს, წელიწადში 300,000 წამსვლელ-მომსვლელს იძლევა, ხოლო იმ ადგილების მოსახელეთა რიცხვი, რომელნიც იმავე მანძილზედ მდებარებენ კახეთის რკინის გზის აქედ და იქით ეთანასწორება 141,863 სულს, რომელთაც კახეთის გზას მაინცა და მაინც 300,000 სულზედ ნაკლები წამსვლელ-მომსვლელი არ უნდა მისცენ.

ამ ტვირთის და ხალხის მოძრაობის შედარებიდან, რომელიც ავჭალა-სურამის გზის მუშაობის მიხედულობით მომავალ კახეთის გზის მუშაობას განსაზღვრავს 9,952,617 ფუთ. ტვირთს და 465,365 სულს წელიწადში, იმას აჩვენებს, რომ ტვირთისა და ხალხის მოძრაობით აღრიცხვაში ჩვენგან მიღებული წლიური მოძრაობა 9,305,000 ფუთი ტვირთისა და 300,000 კაცისა—ნამდვილ შესაძლოსთან ბევრით მცირედია.

მაშასადამე, თუ ჩვენი აღრიცხვის თანახმად საერთო შემოსავალს კახეთის გზისას 778,783 მან. მივიღებთ, კახეთის გზამ, ერთიანი შემოსავლიდან 350,000 მან. გასავლის გამორიცხვით, უნდა მოიცეს საშენებელ თანხაზედ და მის სარგებელზედ, სულ 6,000,000 მანეთზედ, წმინდა მოგება 7% და არა 4% წელიწადში, როგორც იმ შემოსავლის კვალობაზედ არის გამოანგარიშებული, რომელიც მიღებულია სამინისტროს წარმომადგენელთა განსაკუთრებულ თათბირისაგან.

## III

## საფინანსო გეგმა კახეთის რკინის გზის აშენებისათვის

რაკი ზემო-აღნიშნული შემოსავალი ექნება განზრახულ კახეთის გზას, თავად-აზნაურობა შესაძლებელად სთვლის მისი გაკეთება თავის ხარჯით იკისროს შემდეგი საფინანსო პირობებით:

§ 1. კახეთის ვიწრო კვალიანი რკინის გზის გასაკეთებლად თანხა უნდა შესდგეს: ა, ძირის ფულისგან და ბ, ობლიგაციებით შემდგარი ფულისაგან.

§ 2. როდესაც გზათა მინისტრი სახელდახელო პროექტს, სატეხნიკო პირობებს და საამთავითო დაფასების ცნობებს დაამტკიცებს, მას შემდეგ, სამი თვე რომ გაივლის, თავად-აზნაურობამ ძირის ფული უნდა წარადგინოს ერთ-ერთ მისგან არჩეულ ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებულ საკრედიტო დაწესებულებაში ნაღდ-ფულად, ანუ იმ სარგებლიანი ქაღალდებით, რომელზედაც ფინანსთა მინისტრი თანხმობას გამოაცხადებს.

§ 3. ძირის თანხა მთელი იმ ხნის განმავალობაში, ვიდრე გზა კეთებაში იქნება, მის მოძრაობის გახსნამდინ ხელ-შეუხებელი რჩება და თავდებობას უწევს თავად-აზნაურობისაგან გამოცემულ ობლიგაციებს, მაგრამ მისი სარგებლის მიღება კი შეუძლიან თავად-აზნაურობას თვისი ვალიანი მოვალეობის გასაძღოლად. გზის გახსნის შემდეგ ძირის თანხა უბრუნდება თავად-აზნაურობას, ხოლო ობლიგაციების სათავდებოდ რჩება რკინის გზა მთელი თავისი ქონებითა და საკუთრებით.

§ 4. საობლიგაციო თანხა სდგება თავად-აზნაურობისაგან 5% ობლიგაციების გამოცემით იმ ზომად, რომ ხუთ-გზის აღემატებოდეს ძირის ფულს, მაგრამ იმ ფულზედ მეტი კი არ იყოს, რაც საჭირო იქნება თვითონ გზის გასაკეთებლად, იმის სარგებლის გასაძღოლად გზის კეთების ხნის განმავლობაში, პირველი წლის სარგებლისა და თავნის გადასახდელად, გზის გახსნის დღიდან დაწყებული, და იმ ზარალის გასაძღოლად, რასაც ობლიგაციება გაბათილების დროს დაიკლებენ ფასში.

§ 5. საშენებელი თანხის მთელი ჯამი, რაც ობლიგაციების გასყიდვით განაღდდება, თავად-აზნაურობა ვალდებულია, ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში შეიტანოს, რომელსაც მინისტრი აჩვენებს, ნაღდ ფულად, ანუ ფინანსთა მინისტრის ნებართვით სარგებლიან ქაღალდებად. ფულის შეტანა უნდა მოხდეს შემდეგ ვადებზედ: 1, საშენებელი თანხის 20% ხუთი თვის განმავალობაში მას შემდეგ, როდესაც გზათა მინისტრი აღმასრულებელი დეფასების ცნობებს დაამტკიცებს. 2) დანარჩენი 80% უნდა შეტანილ იქმნას იმ ვადებზედ, რომელსაც დაადგენს ფინანსთა მინისტრი, მაგრამ ისე კი, რომ 55% არა უგვიანეს ექვსი თვისა პირველი 20% შეტანის შემდეგ, ხოლო დანარჩენი 25% არა უგვიანეს ექვსი თვისა იმ დღიდან, როდესაც მუშაობის დაწყება იქნება ნება-დართული.

§ 6. გზაზედ სიარულის დაწყებამდე ობლიგაციების თავდები ძირის ფულია, ხოლო მოძრაობის დაწყებიდან—მთელი გზის ქონება და მისი შემოსავალი.

§ 7. მთელი ობლიგაციის თანხა გზაზედ მოძრაობის დაწყების დღიდან ოთხმოც და ხუთი წლის განმავლობაში უნდა იყოს გაბათილებული.

§ 8. ობლიგაციების გამოცემის პირობა და მისი ფორმა ფინანსთა მინისტრისაგან მტკიცდება. მისი დარქმეული ფასი, ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, შეიძლება იყოს აღნიშნული კრედიტისა ანუ ლითონის მანეთებად.

§ 9. გასაბათილებელი ჯამის ობლიგაციები მოძრაობის დაწყებიდან ყოველ ნახევარ წელიწადს ტირაჟით ბათილდებიან.

§ 10. ტირაჟში გამოუსვლელი ობლიგაციები ხაზინასთან რაიმე სააღებმიცემო პირობების შეკვრის ჟამს გირაოდ მიიღებიან. ამგვარ გირაოდ მისაღებად მათი ფასი ფინანსთა მინისტრისაგან განისაზღვრება.

## დასკვნითი შუამავლობა

ყველა ზემორე ნათქვამის მიხედვით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შუამავლობს შემდეგისათვის:

1) მიეცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ამ თავით კონცესია კახეთის ვიწრო-კვლიანი რკინის გზის გაყვანისათვის, ამასთანავე წარმოდგენილი ტეხნიკური პროექტის დამტკიცებითა;

2) მიეცეს ნება დაბოლოებითი გამოკვლევის ჟამს, თუ საჭირო იქნა, ზოგიერთ ნაწილში შესცვალოს გზის მიმართულება გზის შემოკლებისა და მისი იაფად დასმისათვის;

3) ნება მიეცეს, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიცვალოს დაღმართები და მოსახვევების რადიუსები იმ ზომად, რა ზომადაც კანონისაგან დამყარებულია ვიწრო-კვლიანი რკინის გზებისათვის;

4) განსაზღვრულად ჩაითვალოს ასაშენებელი თანხის ზომა მხოლოდ მაშინ, როდესაც წარდგენილი იქნება აღმასრულებელი დაფასების ცნობები;

5) მიენიჭოს მთავრობის გარანტია (თავდებობა) საერთო ობლიგაციის თანხის ჯამზედ 2—30 პროცენტის ზომად;

და 6) დაევალოს თავად-აზნაურობას კახეთის რკინის გზაზედ ისეთი ტარიფი დაამყაროს, როგორიც სასარგებლო იქნება ვაჭრობა-მრეწველობისთვის თანახმად 1889 წ. 8 მარტის კანონისა.

# უცხოეთის მიმოხილვა

იტალია.—ახალი სახელმწიფოს დაწყობის და გაძლიერების სიძნელე და სიძვირე.—კრისპის ახალი სამინისტრო.—მისი პროგრამა.

იტალია ახალი სახელმწიფოა. სულ ორმოცი წელიწადი არ იქნება მას აქეთ, რაც ეს ქვეყანა დაყოფილი იყო თითქმის ათიოდე დაცალ-ცალკევებულ სამთავროდ თუ სამეფოდ. ამათ შუა ნიადაგ, ბევრი საუკუნოების განმავლობაში, სულ ომი, ქიშპობა და მტრობა ტრიალებდა. ხალხიც დაფანტული, დაშორებული, გადამტერებული იყო ერთმანეთში. სარდინიის მცხოვრები, მაგალითად, ნეაპოლისას ვერა ჰგუობდა, და ორივეს—სიცილიისა სძულდათ, სამივე გენუისას ერიდებოდენ და სხვ. და სხვ. უმეტესი ნაწილი იტალიისა ან პირდაპირ ეკუთვნოდა უცხოეთს, როგორც ლომბარდია ან ვენეცია, ანა-და მის გავლენის ქვეშ, მისგან დამოკიდებული იყო, როგორც ნეაპოლი, რომი, სარდინია, ტოსკანა და სხვ. ზოგი თვით იტალიელების ერთმანეთში მტრობის გამო, ზოგი იმ მიზეზით, რომ ორი ყოვლის შემძლე მეზობელი—ავსტრია და საფრანგეთი სწეწდნენ და თავ-თავისკენ სწევდენ ამ ქვეყნის სამთავროებს,

ყველას ეგონა, იტალია მარტო გეოგრაფიული სახელია, მისი ერთობა და თავისუფლება შეუძლებელიაო. მარტო 1859—1860-ში მოხდა მისი სხვა-და-სხვა სამთავროების დახსნა და შეერთება და მარტო 1861-ში სარდინიის მეფემ ვიქტორ-ემმანუელმა მიიღო იტალიის მეფის ღირსება, რომელიც მას ახლად დაარსებულმა იტალიის პარლამენტმა უძღვნა. მაშინაც იტალიის ერთობას კაი მასალა აკლდა: ვენეცია და მისი მაზრა ისევ ავსტრიის ხელში იყო. თვითონ სატახტო ქალაქში, რომში, პაპა მეფობდა, საფრანგეთის ჯარის მფარველობას ქვეშ. იტალიის ახალმა სამეფომ ვენეცია 1866-ში იშოვნა, და რომი—1870-ში. ამნაირად, სწორედ რომ ჩანგარიშოს კაცმა, ოც და ხუთი წელიწადიც არ გასულა ჯერ იტალიის ერთობის და სამეფოს ნამდვილად დაარსების შემდეგ.

ეს დაარსება მოხდა როგორც თვითონ იტალიელების ხანგრძლივი და უთვალავი შრომის და მსხვერპლის წყალობით, ისე ორი დიდი სახელმწიფოების დახმარებით. 1859-ში იტალიამ ისარგებლა იმ ომით, რომელიც ავსტრიას საფრანგეთმა გამოუცხადა; 1866-ში—ავსტრიასა და გერმანიის შეტაკებით, და ბოლოს, 1870-ში, გერმანიის და საფრანგეთს შუა ბრძოლით. თურმე ყოველთვის მართალი კი არა ყოფილა ანდაზა: „აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო...“

მაგრამ იმის დასამტკიცებლად, თუ რამოდენი ღვაწლი და შრომა უნდა აიტანოს ქვეყანამ მისთვის, რომ შეიძლოს ისარგებლოს მეზობლების ალიაქოთით, საკმაო თვალი გადაავლოს კაცმა იტალიის ახლანდელ მდგომარეობას. თუ კი დღეს, როცა ამ სამეფოს საკუთარი ქონება და გამართულობაც კარგი აქვს, და ნდობაც საკმაო შეუძენია, მას ასე უჭირს თავისი პოლიტიკური მდგომარეობის დაცვა და აღზრდა, რამოდენა

დამზადებულებას, მსხვერპლს, ხარჯს და ენერგიას მოითხოვდა მისგან სამეფოს დაარსების მეტად რთული და ძნელი საქმე?

დღეს იტალია მიჰკედლებია გერმანიას და ავსტრიას, რომელთანაც მას ეგრედ-წოდებული „სამთა კავშირი“ აქვს შეკრული. როგორც ამ კავშირის, ისე მისი საკუთარი მდგომარეობის ძალით იტალიას დამარაგებული უნდა ჰქონდეს საკმაო სამხედრო ძალა და საშუალება გერმანიისა და ავსტრიის დასახმარებლად. მაგიერად ამ ორ სახელმწიფოს პირობა აქვთ მიცემული—დაიცვან იტალია საფრანგეთისაგან და ზოგი სხვა სარგებლობაც არგონ, თუ ღმერთმა უშველათ და გაიმარჯვეს. უეჭველია, რომ ეს ორი დიდი სახელმწიფო ისე არავის გაიამხანაგებდა, თუ ახალ ამხანაგს საკმაო ღონეს არ შეამჩნევდა. პოლიტიკაში მარტო იმას აფასებენ და იახლოვებენ, მარტო იმას არგებენ რასმეს, ვისგანაც სარგებლობის მოტანას ელიან, ესე იგი ვისაც დახმარების ღონე და შეძლება აქვს, ვისაც ავისა და კარგის მოხერხება შეუძლიან. იტალიასაც, ამის გამო, დასჭირდა დიდძალი ხარჯის ატანა თავისი სამხედრო ძალის ასამაღლებლად. ის დრო წავიდა, როცა სამეფოებს, ღონის მოსამატებლად, რამდენიმე ათასი კაცის დაძახება ჰყოფნიდათ. ახლა კაცი როდი-ღა ჰყოფნის სამეფოს: ძვირი იარაღი უნდა, მოწყობილება, ციხეები, სამხედრო რკინის გზები, გემები, რომელნიც თითო ორმოც და ორმოც და ათ მილიონად ჯდება. უამისოდ, ერთ მილიონ უიარაღო და გამოუწყობელ ხალხს ერევა და სჯაბნის ათასი კაცი ეხლანდელი ევროპული ჯარისა.

იტალიის მმართველებმა იფიქრეს, რომ ვინც არ იზრდება, ის კვდებაო, ვინც არ აუმჯობესებს თავის მდგომარეობას, ის სამარეს ითხრისო, ვინც არ იძენს მეცნიერების ახალ-ახალს იარაღს, ის სხვისი ულუფა გახდებაო; ამ აზრით, როდი-ღა შეუ-

შინდნენ ხარჯს, და უმოლოდნელ გაამრავლეს თავისთავის ჯარი, თუ ციხეებით, გემებით და სხვა სამხედრო გამართულობით, რომ ქვეყანას გაუჭირდა ამ ტვირთის ატანა.

რადგანაც ეს „სამთა კავშირი“ უფრო საფრანგეთის წინააღმდეგ არის დაარსებული, ამის გამო ეს ქვეყანაც გადაემტერა იტალიას. მისი მტრობა ჯერ-ჯერობით უფრო ეკონომიურ ასპარეზზე ვარჯიშობს. ტარიფების, კურსების და გადასახადთა ხელოვნური ტრიალით საფრანგეთმა იტალიის აღებმიცემობას და ფინანსებს დიდი ზიანი მისცა. ზოგი ამის მიზეზით, ზოგი სამხედრო ხარჯის წყალობით, იტალიის მთავრობისთვის შეუძლებელი შეიქნა სამეფოს შემოსავალ-გასავლის შეთანასწორება. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ყოველ წელს თითქმის ორასი მილიონი ფრანკი მეტი ეხარჯება იტალიას, ვინემ შემოუდის. და „შემოსავალში“ აქ ნასესხიც ითვლება.

მეფემ და პარლამენტმა სხვა-და-სხვა პარტიების წინამძღოლებს მიანდეს საქმის როგორმე გასწორება. რაკი გარიბალდის თანაშემწე კრისპი იმ მიმართულების მოთავედ ითვლებოდა, რომელიც ამტკიცებს, რომ იტალია არაფერ ხარჯს და მსხვერპლს არ უნდა შეუშინდეს, ოღონდ კი მზა-მზარეულად გამოვიდეს მომავალ ბრძოლისთვის, რომელშიაც დიდის ხნობით გადაწყდება ევროპის ბედი, ამისთვის კრისპი მინისტრობისაგან გადააყენეს ამ სამი თუ ოთხი წლის წინად. მის მაგიერ მმართველობა ჩაჰბარდა ჯერ რუდინის, მარჯვენა მხრის მოწინავეს, მერე ჯიოლიტტის, ლიბერალს, მერე რადიკალური პარტიის წარმომადგენელს ცანარლელის: ვერც ერთმა ამათგანმა, თავისი მინისტრობის დროს, ვერ მოახერხა საყოველთაო, მაგრამ აუსრულებელი, სურვილი გაეხორციელებინა: სამხედრო ძალაც შეენახა

უნაკლისოდ და ხარჯიც შეემცირებინა. განსაკუთრებით ჯიოლიტტის სამინისტროს დაცემის შემდეგ ამ შობის-წინ, ერთი თვალთ-საჩენი კაცი არ არის იტალიაში, რომ არ მოენდომებოს ხელში ჩაეგდო სამინისტრო ამ ამოცანის ახსნის შემწეობით. მაგრამ მწვადის შეწვა შამფურის დაუწველად ვერავინ შესძლო. ყველამ მარტო ის მოიგონა—ჯარი შევამციროთო; გემების და ციხეების ხარჯი შევამსუბუქოთო. ესე იგი სამთა კავშირის პირობები შევცვალოთო.

რადგანაც იტალიის მეფეს ამ პირობების შეცვლა არც უნდა და არც შეუძლია, იმან ისევ კრისპი მოიწვია მმართველად. ახალმა კრისპის სამინისტრომ შეუპოვრად და გულწრფელად აუხსნა პარლამენტს იტალიის ფინანსების და საჭიროებების მდგომარეობა. მომავალ წელს ჩვენი ხარჯი შემოსავალს გადააჭარბებს 177 მილიონითაო. გარდა უწინდელი ვალებისა, „ხელად ნისიად" ხუთასი მილიონი მოკლე-ვადიანი ვალი აგვიღიაო; ჯარს ჩვენ ვერ შევამცირებთო, ციხეებს და გემებს ვერ შევეხებითო, და სხვ. ახალმა ფინანსის მინისტრმა, სონინომ, პარლამენტს საქმის გასაწყობლად ის პლანი წარუდგინა, რომ ძველ ვალებს კონვერსია ვუყოთო, ესე იგი დღეის იქით ზედ ნაკლები სარგებელი ვიხადოთო; ქაღალდის ფული გამოვცეთ და დავაწესოთ, რომ ეს ფული უარის უთქმელად მიიღებოდეს ხარჯის და ვალის გადახდაშიო; რაც ახლა შემოსავალს გადასახადი აქვს, იმას ერთი მეხუთედი იმოდენა კიდევ მოემატოს, ამასთანავე გადიდდეს მარილის ბაჟი და ზოგიერთი სხვა გადასახადიო. ერთის სიტყვით, სონინოს აზრით და პროექტით, იტალიას სხვა შველა არა აქვს-რა, თუ სხვა-და-სხვა ახალი გადასახადის გაჩენით წლიური სახელმწიფო შემოსავალს არ მოემატა ას ორმოცდა ათი

მილიონი, ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, გამოდის — თითო იტა-ლიელს ყოველ წლივ მოემატება გადასახადი ორ-ორი მანეთი სულზე ან თითო თუმანი კომლზე...

რა ნაირად აიტანს ამ ხარჯისა და გადასახადის მომატე-ბას ის ხალხი, რომელშიაც წრეულს ნაახელწლევს, ხარჯის გადიდებამდინაც, აჯანყება მოახდინა (სიცილიაში) უწინდელი გადაჭარბებული გადასახადების მობოჭვამ, ვინ იცის. თვითონ კრისპიმ კი გამოაცხადა,— ეს აჯანყება რომ დაამარცხა, მას შემდეგ,— რომ ბევრ სხვა-და-სხვა რიგ ეკონომიურ თუ სოცია-ლურ ცვლილებით შევამსუბუქებ ხალხის მდგომარეობასო. მართლაც, სიცილიაში განსაკუთრებით, და ბევრგან სხვაგა-ნაც იტალიაში, ერთობ დიდ ღალას იხდის ხალხი სახნავ-სათეს მიწაში და სასესხს ფულსაც ნამეტან ძვირ სარგებლით შოუ-ლობს. კრისპი პარლამერტს ჰპირდება ხალხის ეკონომიურ მდგო-მარეობას გავაუმჯობესებ ეკონომიური თუ სოციალური ცვლი-ლებებითა და მაშინ როდი-ღა ვისმე გაუჭირდება მომეტებუ-ლი გარდასახადის გაძილებაო.

ამ პლანმა, აგრეთვე თვით გასაჭირის გამოაშკარავებამ, სწორედ რომ გააშტერა იტალიის პარლამენტი. პირველი გამო-ცების შემდეგ დეპუტატებმა იკივლეს, ვის შეუძლია ამდენი ტვირთის ატანაო. გაზეთებიც, უმეტეს ნაწილად, წინააღმდეგი იყვნენ დასაწყისში ამ ტვირთის და ხარჯის გაზვიადებისა. მა-გრამ დამჯდარი დაფიქრების და მოაზრების შემდეგ ყველამ იცნო, რომ სხვა შეღავათი არსად ყოფილაო. შეიძლება, რომ პლანი ერთიანად კი არ მიიღოს პარლამენტმა. ზოგში ის ცვლილებას მოახდენს უეჭველია. მაგრამ საზოგადოდ გადა-წყვეტილია, რომ გადასახადი უნდა მოემატოს ხალხს, სამხედრო

ტვირთის სასტანად... სწორედ რომ ღრმად შესწავლის ღირსია ეს ჟქნამდე გამოუკვლეველი დამოკიდებულება პოლიტიკისა ქვეყნის ეკონომიაზე. ვინ იცის, ვინ იტყვის, რით გათავდება ეს ბრძოლა დიდების ძიებას და ჯიბის სითხელეს შუა? მიჰყვება თუ არა იტალიას ჯიბე იმ დღემდე, როცა ბრძოლის ველზე გამარჯვება მის ეკონომიურ მდგომარეობას შეასუბუქებს და გააუმჯობესებს? თუ მისი სრული დაცარიელება ოცნებებზე ერთიანად ხელს აალებინებს?

თვითონ კრისპის კი მშვენიერად ესმის ეს დამოკიდებულება, რომელსაც ერთი ძველებური ანდაზა ასე ხატავდა: „უფულოდ—უჯაროდ დარჩებიო". ამ უკანასკნელს დღეებში იმას საფრანგეთთან მოლაპარაკება გაუმართავს იტალიასა და საფრანგეთს შუა ვაჭრული და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.—ჩვენც ისე შევწყვიტოთ ბაჟით ომი, როგორც რუსეთმა და გერმანიამ ჰქმნაო. თუ საფრანგეთის მმართველებმა მართლა-და შესამჩნევი შემსუბუქება მოახდინეს ამ ბაჟით ომში, კრისპისა და სონინოს პლანს კარგი ტაროსი მოელის. საეჭვო კია, რომ საფრანგეთმა ახლა იტალიას არსებითი რამ დაუთმოს, რადგანც ბაჟით-ბრძოლის შეწყვეტა მისთვის იმოდნად საჭირო არაა, როგორც იტალიისთვის. მისი მმართველები ერთობ გამოცდილი არიან ბაჟის, ტარიფის და აღებ-მიცემობის საქმეებში, და იტალია მათგან დიდ შემსუბუქებას არ უნდა მოელოდეს. იმათ კარგად ესმით, რომ მომავალ ომში, რომელიც თან-და-თან აუცილებელი ხდება, იტალია მათი ქვეყნის მოპირდაპირედ გამოვა; და რაც უფრო ჩამოქვეითებული იქნება მისი ეკონომიური მდგომარეობა, მით ნაკლებ ზიანს მისცემს ის საფრანგეთს, მით ნაკლებ სარგებლობას მო-

უტანს „სამთა კავშირს“. ამ ანგარიშით, საფრანგეთი, რამდენადაც კი მისთვის შესაძლოა, ეცდება, ხელი შეუშალოს კრისპისა და სონინოს პლანს.

---

## კ რ ი ტ ი კ ა

### გიორგი წერეთლის პირველი შრომა

**თხზულებანი გიორგი წერეთლისა.**—I.—ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა. ქუთაისი, 1893.

„ურია რომ გაკოტრდება, ძველ ვალებს დაუწყებს ძებნასო“—შეუნიშნავს ჩვენს გონიერს ხალხს. მწერლობასაც ესევე სჩვევია თურმე. როცა მისი მოძრაობა სუსტდება, მისი მოკვეთე უწინდელ მის ნაწარმოებს აგროვებს, ალაგებს და ასაღებს. და როგორც ბევრი დაცემული ურია ხელ-ახლავ აუშენებია დროსგან გახუნებულ ბარათებს, ისე მივიწყებული მწერლების ნაშრომის გამოცემასაც ბევრი დაუძლურებული ლიტერატურა წელში გაუმართავს.

ჩვენი უმჯობესი მოღვაწეების სრული ნაწერის შეკრება და ერთად გამოცემა მეტად საჭირო საქმეა ქვეყნის წარმატებისათვის: უამისოდ სრულებით შეუძლებელია მწერლობის ზრდა. დამწყებ მწერალმა აბა როგორ გაიგნოს თავისი გზა, ან რაფრივ დააჩნიოს საკუთარი კვალი, თუ თვალ-წინ მუდამ ნათლად არ ექნება გადაშლილი მისი მოწინავეების ნავალი? „მწერლობამ ცხოვრება უნდა გვიხატოს, აგვიხსნასო“, რომ ამბობენ, ნუ თუ მხატვარმა არ უნდა იცოდეს ამ ცხოვრების რომელი მხარეა დახატული და რომელი—დასახატი? საკუთარ მის მხატვრობასაც ავნებს წინანდელი ოსტატების ნაშრომის გაუცნობლობა. რაც უფრო ბეჯითად დააკვირდება ის მათ ხელობას,

მით უმეტეს ძალას შეიძენს საკუთარი მისი სურათი, ფერი და აზრი. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი სასიქადულო ალთქმის ასრულება: „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასა“!

ძველი ქართული ჟურნალები და გაზეთები, სადაც იბეჭდებოდა ჩვენი მწერლების ნაშრომი, ისე დაიფანტა და დაძვირდა, რომ აღარავის შეუძლია მათი შეკრება ან გადათვალიერება, ამა თუ იმ მწერლის ხასიათის გამოსაკვლევად. ამიტომაც თითქმის არცერთ ქართველს არ შეუძლიან სთქვას, რომ ქართული მწერლობა სრულად და რიგიანად გაცნობილი მაქვსო. ამ მდგომარეობაში დიდად პატივ-საცემნი არიან ჩვენი გამომცემლები, რომელნიც უკანასკნელ წლებში ასე ბეჯითად შეუდგნენ თანამედროე მწერლების ნაშრომის შეკრებას და ბეჭდვას. ეს საქმე რომ მართლაც საზოგადო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს— იქიდანაც სჩანს, რომ კრებულებს საკმაო გასავალი უშოვიათ. თორემ, მკითხველ ხალხს გამომცემლებისთვის ხელი რომ არ გაეწყო, ვინ გაუძლებდა ამდენი ტომების ხარჯს, ან სად მოიძებნებოდა მათი დაბეჭდვის საშუალება?

ახლა, რაკი გამომცემლები და მკითხველი საზოგადოება ასე მტკიცედ ასრულებენ თავ-თავის დანიშნულებას, ქართულ ლიტერატურის სრულ ბედნიერებას მარტო ის აკლია, რომ კრიტიკაც თავის მოვალეობას შეუდგეს.

მისთვის ეს მეტად საძნელოა, იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ჩვენი მწერლობა იმყოფება. იმ გონების მოძრაობას, რომელმაც თანამედროე ჩვენი მწერლობის შრომა გამოიწვია, ჯერაც არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. თვითონ ეს შრომა ერთობ ახლოა ჩვენზე. მას ნაყოფი ჯერ საკმაოდ არ „გამოულია“. ერთი სიტყვით, ამ დროის პერიოდი ჩვენის მწერლობისა არ დაბოლოვებულა, და არც ახალი სხვა პერიოდის წინამორბედნი გამოჩენილან. ეს ყველაფერი უშლის კრიტიკას სრული და მარტივი მსჯელობა შეიდგინოს ეხლანდელ მწერლობაზე. და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენებური მკითხველი კრიტიკას უსათუოდ სისრულეს, ან უნაკ-

ლობას მოსთხოვს. ადრეა, ცოტაოდნად, ამგვარი სურვილის ქონვა. დაე, ეხლანდელ ჩვენს მწერლობაზე სრული, პირუთნველი და შეუცდომი მსჯელობა მეოცე საუკუნის განვითარებულმა კრიტიკამ შეიდგინოს. ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ ვეცდებით და მოვახერხებთ, რომ დაუთვალიერებელი არ დაგვრჩეს არაფერი, რასაც კი ჩვენი თვალი მისწვდება. უეჭველია, შემდეგი, მომავალი, ბევრ საკვირველ სათვალეს, დურბინდს და მიკროსკოპს მოიგონებს უკეთესად დასანახავად იმისა, რასაც დღეს ვაი-ვაგლახით ხედავს ჩვენი შეუიარაღებელი თვალი. მაგრამ ნუ თუ ამის გამო დღეს ყველამ, ვისაც კი ჩინებული დურბინდი არა აქვს, თვალები უნდა დაითხაროს და თავი უნდა დაიბრმავოს?

ამას იმ განზრახვით მოგახსენებთ, რომ ნამეტანი არავინ მოსთხოვოს-რა ამ უბრალო შენიშვნებს ბ-ნ გ. წერეთლის პირველ შრომაზე. აქ ნურავინ ეძებს სრულ და საბოლოო მსჯელობას ბ-ნ გ. წერეთლის ნიჭზე, შრომაზე და მიმართულობაზე. ეს ერთობ ვრცელი საგანი იქნებოდა, და ღმერთმა ინებოს, რომ ვინმემ იკისროს ამგვარი შრომა, როცა ბ-ნ გ. წერეთლის თხზულებების ბეჭდვა დაბოლოვდეს. ახლა კი ჩვენს წინ დევს ამ თხზულებების პირველი წიგნი, და ჩემი საგანია მარტო ამ წიგნის შესახებ ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის გამოთქმა.

ეს პირველი წიგნი ბ-ნ გ. წერეთლის თხზულებათა შეიცავს მარტო ერთ მის ნაწერს, რომლისთვისაც ავტორს დღეს სახელად „ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა“ დაურქმევია. უწინ, როცა ეს ნაწერი თავდაპირველად იბეჭდებოდა—ჯერ „დროებაში“ და მერე „კრებულში“,—იმას სულ სხვა სათაური ჰქონდა. იმას მაშინ „მგზავრის წიგნები“ ერქვა. რამოდენადაც შედარება მოვასწარით ეხლანდელ ტექსტის „კრებულში“ დაბეჭდილთან, გვგონია, ამ სათაურის გადასხვაფერების მეტი სხვა შესამჩნევი ცვლილება როდი რამე მოუხდენია მის ავტორს.

როცა, ამ ოც და ხუთი წლის წინად, „დროებამ“ პირველი ხანების ბეჭდვა დაიწყო ბ-ნ წერეთლის „მგზავრის წიგ-

ნებისა“, მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქნა, როგორც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა“ მოახდინა. მგონია, ცოტა არ არის ამით ნათქვამი. მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, მისი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალ-წინ უდგა. „უცნობი რამ გაგვაცნო ამ კაცმაო“, ამბობდა თუ ჰგრძნობდა მკითხველი. დიდი იმედებიც დაბადა ყველაში ამ ბედნიერმა დასაწყისმა. ყველა ელოდა, აი ახალი ბელეტრისტი გაუჩნდა ჩვენს მწერლობასო, ფხიზლად და ცხოვლად მხატველი ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების უცნობ მხარეებისაო, და სხვ. იმ დროს—როგორც დღესაც—ქართული ბელეტრისტიკა მდიდარი როდი გახლდათ შესამჩნევი ნიჭიერი მშრომლებით. მით უფრო საამო შეიქნა ქვეყნისთვის ამ ახალი ტალანტის ასპარეზზე გამოსვლა. ყოველი ახალი ხანა მისი „მგზავრის წიგნებისა“ ახალ აღტაცებას, ახალ, უმაღლეს, ლოდინს და იმედებს ჰბადებდა.

საუბედუროდ, რაც უფრო მოუთმენლად ელოდა მკითხველი საზოგადოება „მგზავრის წიგნებისა“ ახალ-ახალ ხანებს, მით უფრო და უფრო გვიან ბეჭდავდა ბ-ნ გ. წერეთელი თავისი შრომის გაგრძელებას. მთელი თვეები, და ხან წლებიც, გადიოდა ამ ლოდინში. ეს მიზეზი იყო, თუ სხვა რამე— ვინ იტყვის?—მაგრამ ცხადად კი მოჩანდა, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ბოლომდინ ვერ მიაყოლა ის ხალისი და აღტაცება, რომელიც მასში „მგზავრის წიგნების“ დასაწყისმა აღძრა...

სცდებოდა, თუ არა, მაშინ ქართველი მკითხველი? ან როდის სცდებოდა: როცა ბ-ნ გ. წერეთლის ნიჭზე დიდ იმედებს ამყარებდა, თუ როცა იმედს სრულიად ჰკარგავდა? ეს უნდა აგვიხსნას ეხლა „ჩიკოლიკის, კიკოლიკის და კუდაბზიკას“ ერთბაშად გადაკითხვამ.

ამ თხზულების საგანი მეტად მარტივია: ავტორი ორ სამსახურის პირს მიჰყვება ქუთაისიდან სვანეთს. მგზავრები, რასაკვირველია, ცხენით მიდიან. იმათ მოსამსახურეები ახლავთ. გზაზე სხვა-და-სხვანაირი ხალხი ხვდებათ. აი, ამ გზის, ამ ხალხის

და მგზავრების აწერა, ან, უფრო სწორედ ვთქვათ, დახატვა, ჰქონია საგნად ბ-ნ გ. წერეთელს.

ვნახოთ, აბა, როგორ ახერხებს ეს მწერალი თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას. აი მისი აწერილობა იმ მინდვრისა, რომელიც ცხენის-წყალს აკრავს, ხონს ზემოდ:

„გზა მიგვიძღოდა ფართო ქალებზედ. მდინარის შხუილი ხან-და-ხან ბუნდად მოგვესმოდა. მინდორს უწვიმობით მოყვითლო ფერი დასცემდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებად გადაუყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრებად გაბმულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დროს მზემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებილა დარჩა: ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვიჩრდილებდენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანედ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკბა; გონებაში გავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს მეთქი“ (გვ. 20).

ყველა ადვილად მიხვდება, რომ ეს მშვენიერი სურათი ამოწერილი ან გადმოთარგმნილი კი არ არის სხვა მწერლის თხზულებიდან, პირდაპირ გადმოხატულია ჩვენი საკუთარი ბუნებისაგან. ავტორს, თითქო საგანგებოდ, იმისთანა კუთხე აურჩევია სახატად, რომელსაც თავისი საკუთარი, სრულიად განვითარებული ხასიათი აქვს, ისეთი ხასიათი, როგორსაც სხვაგან ვერსად ნახავთ, ანა-და იშვიათად შეხვდებით სადმე. ადგილი რომ არ გვეზოგებოდეს, ადვილად შესაძლებელი იქნებოდა ბევრი სხვა სურათებიც მომეყვანა ლეჩხუმის თუ სვანეთის ბუნებისა, ამავე სიცხოველით და მკაფიობით დახატული: ყველა მარტო იმისთანა საგნებს ხატავს, რაც განსაკუთრებით ლეჩხუმის თუ სვანეთის ბუნებას განარჩევს სხვა მხარეებისაგან. და ვერცერთ ამ სურათზე ვერ იტყვის კაცი, რომ მიმბაძავობის დაღი ესვას. რასაკვირველია, ზოგიერთ ჩვენ ეხლანდელ მწერლებსაც ჩინებული სურათები გადმოუხატავთ ჩვენი ქვეყნის ბუნებისა; მაგრამ

იმ დროს, როცა „მგზავრის წიგნები“ იწერებოდა თუ იბეჭდებოდა, ამ ოც და ხუთი წლის წინად, ჩვენს მაშინდელ მწერლობაში ამგვარი მხატვრობა მეტად ახალი და საამო ხილი გახლდათ.

ვნახოთ, ახლა, პეიზაჟის შემდეგ, თუ როგორ ახერხებს ბ-ნი წერეთელი „ჟანრის“ სურათების თუ პორტრეტების ხატვას. ნუ დავივიწყებთ, რომ მისგან აწერილი მოგზაურობა ბატონყმობის გაყრის წინ მოხდა. ეს სურათიც იმდროინდელია:

„ამ დროს გავიხედეთ და მთიდან გზა-წვრილზე ჩამოთოხარიკდა ერთი თაგვის ოდნა შავი ჯორი, რომელზედაც დიდი ძარის სისხო კაცი შედებულიყო; საწყალს ჯორს გძელი ყურებისა და თავის მეტი არა მოუჩნდა-რა. ეს სხვილი არსება თუმცა ჯორზედ იჯდა, მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მიათრევდა. ამ საკვირველს ცხენოსანს უკან ორი ფეხშიშველა და დაკონკილი მსახური მოსდევდა. ეს მსხვილი ცხენოსანი ჩიგუნიას დუქანს როგორც გაუსწორდა, ის ორი მსახური ჯორს მივარდა. ერთმა სადავე დაუჭირა და მეორემ უზანგი, რომ ძირს უვნებლად ჩამოესვათ სხვილი არსება, რომელიც ხვნეშით შემოსვენდა ჩიგუნიას დუქანში... მათი ბრწყინვალება დაზგას (ასე ეწოდებოდა ამ სხვილ არსებას) თავზე ორიოდა ბუსუსი თმა შერჩენოდა, მეტი არა; ამასთან წვერ-ულვაშიც გათეთრებოდა და სისუქნის გამო წამოზდილი ღაბაბი გულზედ ეკიდა. ჩიკოლიკმა და კიკოლიკმა ბევრჯელ სცადეს გამოლაპარაკება, მაგრამ ის ხან „კის“ იძახოდა, ხან „არას“; უფრო ხშირიდ ქშინავდა. ამ დროს იმის მეძალლეც მოვიდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბრწყინვალე დაზგა საკურდღლოდ ყოფილა. მეძაღლეს ზურგზედ ეკიდა გიდელი და ორმოცამდე მწევარ-მეძებარს, ერთიერმანეთზედ გადაბმულს წინ მიუძღოდა. როგორც კი მეძაღლე მოუვიდა, ბრწყინვალე დაზგამ მოითხოვა თავისი ჯორი და ისევ ზედ შეედო. საწყალი ჯორი კუდს ცხარედ აცმაცუნებდა, ეტყობოდა, რომ მძიმე ტვირთით საქმე ჰქონდა გაჭირვებული; გაჭირვების დასამტკიცებლად კუდის ძირში მუზიკა დაუკრა და წათოხარიკდა. ორი ფეხტიტველა მსახური ისევ უკან აედევნენ და მეძაღლეც თან გაჰყვა“ (გვ. 26—28).

ამ მართლა რომ ხელოვნურ, მხიარული ფერით დახატულ სურათში აგრეთვე ვერავინ დაინახავს ვერც მიბაძვას, ვერც უმნიშვნელო და უფერო ხატვას. მართალია, შიგ, აქა-იქ, ენა სუსტობს: „მეძაღლეს... გიდელი ეკიდა და... წინ მიუძღოდა“, „დაზგამ მოითხოვა და... ზედ შეედო“. მაგრამ ამ ოც და ხუ-

თი წლის წინად ამისთანა წვრილმანი შეცდომის შენიშვნისათვის ვის ეცალა.

ვნახოთ კიდევ ერთი სხვა ამნაირივე სურათი, აგრეთვე ხელოვნურად, აგრეთვე მძლავრად დახატული.

„... ორი სხვა ცხენი კიდევ დაგვჭირდა (ბარგისათვის); მაგრამ სად იყო? გვეშინოდა, ამ ადგილზე არ შემოგვღამებოდა. ამ დაღონებაში რომ ვართ, ერთი ტალახში ამოთხუპნული იმერელი მოგვეპარა და განზედ დადგა; თავის კურტნიანი ცხენი დუქნის წინ სვეტზე მიაბა. მეორე კურტნიანი ცხენი მეორე დუქანთან გაჩნდა. ეს იმერელი იყო გლახათუბნიდან. გლახათუბნელს ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი შალის ჩოხა. ჩოხის ნაფლეთები ერთი-ერთმანეთზე თეთრი სელის ძაფით ჰქონდა აკინძული; პირველ შეხედვაზე იტყოდი ალბად ჩვენს წინაპარებს, ადამ და ევას, ამ გლახათუბნელსავით ფოთლებ აკონკილი სამოსელი უნდა ცმოდათო. შორიდან გლახათუბნელის ჩოხა მართლაც გამხმარი ფოთლებისა გეგონებოდა. ტიტველა წვივები ამას მუხლამდის ჰქონდა აკაპიწებული და კანჭები სქელი ტალახის ქერქით შეემოსა, თავზედ ჩალის შლაპა ეხურა და შლაპის ქვემოდან ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა. მაშინვე იტყოდი, ეს გაიძვერა ვინმე უნდა იყოსო. იმის გარუჯულს სახეზე შავად წამოზდილს წვერ-ულვაშს მგლოვიარების ბეჭედი დაესვა. ის მართლაც მძიმედ გლოვდა რაღასაც, და ეს რაღაცა იყო მთელი იმისი მოუსვენარი ცხოვრება. ზედვე ეტყობოდა, რომ გლახათუბნელს წარსული თავისი სიცოცხლე სულ ჭაპანწყვეტაში ჰქონდა გატარებული. თითქოს შეუბრალებელს გარემოებას ნდომებიაო ამისი დაჩაგვრა და წელში გატეხა, მაგრამ გატეხის მაგივრად იმისი ზნეობითი მხარე წნელსავით მიქნილ-მოქნილიყო“ (გვ. 40—41).

ასე „ცოცხლად“ ხატავს ბ-ნი გ. წერეთელი თავის თანამოგზაურებს და გზაზე შეხვედრილ ხალხს. მისი სურათი დათუნასი, გიორგი სვანის, ხელოსნის და სხვ. და სხვ. სწორედ რომ ხელოვნურად და უნაკლულოდ ჩაითვლება მდიდარ მწერლობაშიაც. მაგრამ მარტო ამგვარ მხატვრობაში ხომ არ მდგომარეობს ბელეტრისტის ნიჭი. ეს ხომ ფოტოგრაფიულად გადმოღებაა ბუნებისა. მწერალის ძალა და სიმაღლე მარტო მხატვრობის სინამდვილეში კი არა, საგნის ამორჩევაში გამოჩნდება. წეღან შევნიშნეთ, ბ-ნი წერეთელი ისეთ პეიზაჟს ირჩევს ასაწერად, რომელიც განვითარებით აჩენს ლეჩხუმის ბუნების ხასიათსა-მეთქი: ადამიანის აწერაშიაც ბელეტრისტი ყველა

თავის ნაცნობების გამოსახვას რომ შეუდგეს, მისი შრომა უმიზნოც იქნება და დაკარგულიც. იმან დაახლოვებით უნდა გაიცნოს ის ხალხი, ის მხარე, ის წრე, რომლის გამოსახვასაც აპირებს, უნდა აიხსნას მათი ხასიათი, ღრმად შეიგნოს მათი ცხოვრება და სურვილი და მერე დასახატად ისეთი პირი უნდა აირჩიოს, რომელშიაც ყველაზედ უფრო ცხადად მოჩანს ეს ხასიათი, ცხოვრება და სურვილი. ამგვარი პირი კიდეც რომ ვერ ნახოს ცხოვრებაში მწერალმა, მას შეუძლია მისი სურათი **შეთხზოს,** ბევრი სხვა-და-სხვა კაცის თვისებათა გამოკრებით და ერთად შეხამებით. ამას ჰქვია **ტიპი.** ჩვენი ქვეყნის და ერის ცხოვრება ჯერ თითქმის სრულიად უცნობია ჩვენთვის, ამიტომ რომ რაც ჩვენს ხალხში სხვა-და-სხვანაირი ხასიათის კაცი ტრიალებს და მოქმედებს, ვინ მოსთვლის, და ჩვენს მწერლობაში კი ამ ხასიათებიდან ათიოდეც არ იქნება ჯერ გამოხატული. მდიდარი მწერლობის ბელეტრისტიკა დიდს შემწეობას ახმარებს თავისი ხალხის აზრდას, მარტო ადამიანის ხასიათის გაწვრთნით და გაუმჯობესობით კი არა, იმითაც, რომ მკითხველს დიდძალს გამოცდილებას აძლევს სხვა-და-სხვა გვარი ხასიათების გამოსახვით. რასაც ჩვენში კაცი მიხვდება საქმის გამო ათი წლის მისვლა-მოსვლის შემდეგ, იმას ევროპელი თითქმის სკოლაში იძენს, ბელეტრისტებისაგან გამოხატული ხასიათების ან ტიპების შესწავლით. მერე, როცა ცხოვრებაში გაერევა და ცოცხალ ადამიანებს წააწყდება, ის კარგს ავისაგან ჩვენზე ბევრად უფრო ადვილად არჩევს, ტიპებთან შედარების შემწეობით.

ჩვენი ქვეყანა სავსეა-მეთქი სრულიად უცნობი ხასიათებით. როგორც წეღან ამოწერილ მათხონჯის დობილოს პეიზაჟს ვერავინ იპოვის სხვა ქვეყნის მწერლობაში, სწორედ ისე ვერცერთ დიკკენსის ან ტეკკერეისთანა მწერალთა თხზულებაში ვერ ნახავს კაცი იმ საკვირველი ტიპების მსგავსს, როგორიც ასობით და ათასობით ფუთფუთებენ საქართველოს სხვა-და-სხვა ხეობებში და კუნჭულებში. ზოგიერთ სხვა გაშლილ ქვეყნებსავით ერთგვარი და ერთფეროვანი კი არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ბუნება და ცხოვრება, რომ მთელ ხალხს ერთნაირი ხასიათი,

ერთნაირი ზნე, ჩვეულება, თვისება და მისწრაფება ჰქონოდა. ჩვენში თვითეული ხეობა თავისი განცალკევებული, მიტოვებული ცხოვრებით ატარებდა თავის სიცოცხლეს, მთელი საუკუნოების განმავლობაში. ამის გამო ზემო-მხრელის ხასიათი ვაკელისას არ ჩამოგავს, და ზღვის-პირელისა—მთიულისას. ზოგი ამ ბუნების წყალობით, ზოგი სხვა ისტორიული მიზეზებით, ჩვენში არასოდეს ხანგრძლივად არ დამყარებულა ნამდვილი დაძლიერი **საერთო** მთავრობა, რომელსაც შესძლებოდა გაეწრთვნა, შეეერთებინა, შეეფერებინა და საზოგადო მიზნისკენ წარემართა ამოდენა დაცალ-ცალკევებული ხალხი. ამისგამო თვითეული ქართველი უწინ უფრო თავის იმედით იყო, ვინემ მთავრობისა; როგორც ადამიანი, ისე თვითეული სოფელი ან ხეობა, ან სამთავრო, ცალ-ცალკე ცდილობდა თავისი ქონება და ვითარება **რამენაირად** დაეცვა. აი ამ გარემოებამ დაბადა ჩვენში მეტის მეტი მრავალ-ფერობა ხასიათებისა, ზნისა, მიდრეკილებისა, ჩვეულებისა და თვით ენისაც, ასრე გასინჯეთ. ყველაფერი ეს უნდა შეისწავლოს მწერლობამ, თუ გვინდა, რომ ჩვენში მკვიდრი და სახეირო ძმობა და ერთობა დაარსდეს, ამ მრავალ-ფერობის გონიერი და რიგიანი შეთანხმებით ან შეხამებით...

მწერლობის ასეთი მოვალეობა აკისრებს ბელეტრისტიკას საკუთრივ ხასიათების, ტიპების შესწავლას და გამოხატვას. ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებმა“ სწორედ მით გაიკვლიეს გზა მკითხველის გონებისკენ, რომ შიგ ჩინებულად და მშვენიერად არის შესრულებული უმთავრესი მოვალეობა ჩვენი ბელეტრისტისა. მთელ ამ თხზულებაში სრულიად რომ არაფერი ყოფილიყო, გარდა მარტო ერთი კუდაბზიკის აწერისა, მაშინაც ჩვენ მწერლობაში უკვდავი დარჩებოდა „მგზავრის წიგნები“, ამიტომ რომ ეს კუდაბზიკა—ნამდვილი ტიპია. ადვილად შეიძლება, რომ ის მგზავრი, რომელსაც გვიხატავს ჩვენ ბ-ნი წერეთელი, სრულიადაც არ ჩამოგავს ამ ტიპს, კუდაბზიკას ტიპს. ეს არც საჭიროა ბელეტრისტისთვის, ამიტომ რომ ბ-ნი გ. წერეთელი თავის მემუარებს კი არ გვიწერდა,

გვიხატავდა ხელოვნურ სურათს, გინდ მოგონებულ სურათსაც. ჩვენი საძებნი და გამოსაკვლევი ის კი არ არის, თუ რამოდენად ჩამოგავს კუდაბზიკას ტიპი იმ პირს, რომელიც გ. წერეთლის მგზავრი ყოფილა სვანეთში. ჩვენ უნდა ვიკითხოთ—ეს ტიპი რამოდენად ეთანხმება იმ საგანს, რომლის დახატვა ჰსურდა ბ-ნ წერეთელს: იმ დროინდელ წვრილ-ფეხ იმერელ აზნაურს.

ამ კუდაბზიკას ბ-ნი გ. წერეთელი ჩვენ სულ სხვა ხელოვნებით გვიხატავს, ვიდრე თავადს დაზგას ან გლახათ-უზნელ „ჩალანდარს“. კუდაბზიკას სურათი ერთ ალაგას კი არა აქვს ავტორს დახატული, ერთ-ორ გვერდზე, არა. აქა-იქ, პირველი გვერდიდან უკანასკნელამდინ, ჰპოულობს კაცი თითოოროლა სიტყვას, შენიშვნას, ხაზს, და როცა კითხვას გაათავებს, მას თვალ-წინ ცოცხლად უდგება მთელი და ცხოველი სურათი ცხოვრებით სავსე ადამიანისა. მისი ხასიათი სწორედ რომ მშვენიერად არის გატარებული მთელ თხზულებაში. ყოველ ახალ შემთხვევაში, ახალ გარემოებაში, ჭირში თუ ლხინში, სადაც კი გამოჰყავს ავტორს თავისი კუდაბზიკა, ეს უკანასკნელი გამოდის, მოქმედებს და ლაპარაკობს სწორედ ისე, როგორც იმდროინდელი წვრილ-ფეხი იმერელი აზნაური. ეს მხარე ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“ სწორედ რომ უნაკლულოდ არის დაწერილი, ნამდვილი, წარჩინებული ხელოვნებით, და უეჭვოა, რომ ის დიდ ხანს, დიდ ხანს დარჩება სამაგალითო ნაწარმოებად ჩვენს ბელეტრისტიკაში.

რადგანაც კუდაბზიკას სურათი ასე აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის ნახატი, თითქო მოზაიკური ხელობით, ჩვენთვის შეუძლებელია ამოწერით გადმოცემა მისი შვენებისა. მოვიყვანოთ ორიოდე შტრიხი ამ მხატვრობისა:

„ჩიკოლიკი და კიკოლიკი დაწინაურდნენ, კუდაბზიკა კი ჩემ გვერდით მოდიოდა. იმისი გახრეკილი ცხენი ისე დაუძმობილდა ჩემ ჯორს, რომ უიმისოთ ნაბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა. კუდაბზიკა ჩემთან ძალიან ამაყობდა და ცდილობდა უკან ჩამოვერჩინე; ამისგამო ის ხშირად ასაჩუქრებდა დეზებით და მათრახით თავის ბედაურს, მაგრამ საწყალი ცხენი ხვნეშით თითქო ამას ეუბნებოდა: „ტყავიც რომ გამაძრო, ჩემ ძმობილს

ვერ დავცილდებიო“; პატრონის თვალის მოსატყუებლად ცოტაზედ გაჩანჩალდებოდა და ისევ გვერდით ამოუდგებოდა ჩემ ჯორსა. კუდაბზიკას მეტის-მეტი სიკაპასით ცხვირი უწითლდებოდა. ის ჯავრობდა ჩემ გვერდით სიარულს. ჩვენში გაუკრეჭელ ჯორზე შეჯდომა ძლიერ ეთაკილებათ; თუ მოახერხა, ჩვენებური ცხენს უკან ხურჯინს არ შემოიკრავს. არც თავადიშვილი და არც აზნაურიშვილი გვერდით არ ამოუდგება იმ კაცსა, რომელსაც გლეხურად აცვია, თუნდ კეთილ-შობილიც იყოს:—„იმე, იმ კაცს გვერდში რავა ამოვუდგები, ვისაც ყაზახურად აცვია: რომ ვინმე შეგვეყაროს, მეც ყაზახს არ დამიძახებს?..“ კუდაბზიკაც, რასაკვირველია, ასე ფიქრობდა ჩემზე. ის გაჯავრებული სწყვეტდა და სწყვეტდა მათრახს თავის ვირთაგვა ცხენსა, მაგრამ ცხენი ყურსაც არ აპანტურებდა (გვ. 11).

უნდა მოგახსენოთ, რომ კუდაბზიკა მარტო აზნაური კი არაა—„ნაჩალნიკის“ მხლებელიც არის, სამსახურის კაცად ითვლება, და ამის გამო იმას ენაც უჭრის და მათრახიც. ვნახოთ, აბა, ახლა ის ცოტაოდენ გასაჭირში:

„იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას ვირთაგვა ცხენს ამ გზაზე საქმე მოუვიდა. იმან უეცრად პირზე ქაფი მოიგდო და თავის მხედრიანად მიწაზედ ტყეპა გაადინა. ამ მოულოდნელის შემთხვევის გამო კუდაბზიკას თავისი ამაყობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ასეთნაირად გაწვრილდა, რომ საცერე რგოლში გაძვრებოდა. სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოაგდო; თვალები უწინდულად ველარ გამიმართა; გონებაში ვამბობდი, სადღაა შენი ქედ-უხრელი ამაყობა და თავ-მოწონება? მაგისთანა ცოტა საქმემ ეგრე როგორ დაგცა, ჩემო კუდაბზიკა? საწყალი მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე: „დედა, რა მეშველება, ჩემი ცხენი რომ მომიკვდეს?.. უბედურება იგია, რომ საყიდელ ცხენსაც ვერ იშოვნი ამ საძაგელს ადგილს“... ალბად საწყალი კუდაბზიკა ღმერთსაც შეებრალა; მეორე დღეს მისმა ცხენმა ისევ ყურები აცქვიტა“ (გვ. 47).

ასე აქა-იქ უნდა ეძებოს კაცმა კუდაბზიკას სურათის სხვადასხვა ნაწილები და როცა მოძებნის—ნათლად ხედავს, რომ ავტორს ამ ტიპის შედგენაში არც ერთი მხარე არ დავიწყებია იმ ხასიათისა, რომლის გადმოღება უნდოდა ჩვენი ცხოვრებისგან. ამ ხასიათის დაფასება ჩვენი საქმე როდია. მკითხველი თვითონაც ადვილად დაინახავს, ბ-ნ წერეთლის აწერაში, მის კარგს და ავს, მის სასაცილო და სახიფათო მხარეებს.

მარტო ამ ტიპის გამოხატვა კი არ ყოფილა ბ-ნი გ. წერეთლის საგანი, „მგზავრის წიგნების“ წერის დროს. ახლან-

დელი სათაური ამ თხზულებისა, „ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა“, ცხადად გვიჩვენებს, რომ ბ-ნ წერეთელს სამი ტიპი ჰქონია უწინ მხედველობაში, და ახლა დახატული ჰგონებია. რაც შეეხება ამ უკანასკნელი ორი ტიპის შეთხზვას და გამოსახვას, უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ საქმეში ბ-ნ წერეთლის ხელობას ისე ვერ უმარჯვნია, როგორც დანარჩენ მხატვრობაში. ჩიკოლიკის სურათი ერთობ მკრთალია. ცალკე რომ აიღოს კაცმა ეს სურათი, ვერც კი შეატყობს, რომ ხეირიანი ოსტატის ნაწარმოებიაო. მარტო ხელოვნების კარგი მცოდნე შეამჩნევს ზედ, ისიც აქა-იქ, მარჯვე ხელს, მაგრამ ისიც მარტო გარეგანი მხრის, და არა ზნის ან ხასიათის, გამომხატველს. მაგალითად, თუნდ აი ეს ადგილი ავიღოთ:

„შორიდან რომ ჩიკოლიკისთვის შეგეხედნა, იტყოდი, გაბერილ ტიკისთვის სერთუკ-შალვარი ჩაუცმევიათო და ზედ კაცის თავი დაუდგამთო; კისერი მხრებში ჩავარდნოდა და ტახტზე კოტრიალებდა (?კისერი?!). იმის გალაყლაყებული ლოყები და მსხვილი გადმოვარდნილი თვალები ასეთს დიდს გულის-თქმას გვიცხადებდენ, რომ ის მზად იყო ჩაენთქა მთელი ქვეყნის გრძნობიერი სიტკბოება“ (გვ. 52).

სად ეს მხატვრობა — დამეთანხმებით — და სად წინედ მოყვანილი! კიკოლიკი ხომ სულაც არაა დახატული. რით უნდა აიხსნას ამ ნაირი უძლურება იმ ნიჭისა, რომელიც ასე მარჯვედ და სწორედ ხატავს კუდაბზიკას და ბევრ სხვა ჩვენს ხასიათებს?

ჩემთვის უეჭველია, რომ ბ-ნ გ. წერეთლის ბუნებითი ნიჭი ყველაზე უფრო მძლავრად და სალად მარტო პირველ მის ახალგაზრდობაში, თითქმის მარტო ჩჩვილ სიყმაწვილეში გაზდილა, შთაბეჭდილებით გამდიდრებულა. ამიტომაც იმან ასე ჩინებულად იცის მარტო იმ სურათების ხატვა, რომელიც ბავშობაში თვალ-წინ ჰქონია და რომელზედაც იმ დროს თავისუფლად უვარჯიშნია მის თავისუფალ, დაუტვირთველ გონებას. დაანახვეთ ან მოაგონეთ ახლა, გინდ სიბერის დროს, რომელიმე საგანი ან ხასიათი იმ ცხოვრებიდან ან იმ ბუნებიდან, რომელიც ბავშობაში იმას გარშემო ეხვია, და ნახავთ, რა მშვენიერ სურათს

დახატავს მისი კალამი. სინჯეთ მერე და თვალ-წინ დაუყენეთ ისეთი საგანი, რომელიც მისი ცხოვრების და გახსნის მეორე პერიოდს შეეხება. იმავე წამს ნახავთ, რომ მხატვარი გაჰქრა. მისი ალაგი თითქო ვილაცა სხვა ადამიანმა დაიჭირა: მოდავემ, მქადაგებელმა, ჩამგონებელმა, თითქმის ქადაგმაც, ასე გასინჯეთ. ის კი აღარ ხატავს, თვალწინ კი არ გიფენს ცხოვრებას, ხასიათს, თუ ბუნებას, შენ კი არ გაფიქრებს ამ ცხოვრებაზე, ხასიათზე თუ ბუნებაზე, თვითონ შენ წინ ხმა-მაღლა ფიქრობს ან ბაასობს მათზე. მხატვარი თან და თან თავის ადგილს მოწინავე წერილების დამწერს უთმობს, და ხელოვნური ბელეტრისტიკა უბრალო და უფხო პუბლიცისტიკად იქცევა. აი ამის მაგალითი:

„ამისთანა კაცებს ზედვე ეტყობათ, რომ ამათთვის საბუთების ცოდნას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რაც აქვთ თავში და რაც ენიდან წამოვარდებათ, ეს სულ სხვისაგან აქვთ მობერილი და ეს მობერილობა, როგორც ჩანს, იმათთვის სრულებით საკმაოა. უბედურება მხოლოდ ეს არის, რომ ამ გვარი გონების ფუქსავატობა საქმეშიაც ფუქსავატად ჰხდის ამისთანა კაცებსა. მანამ საქმე მარტო სიტყვაზეა, ყოველი დიდი და კაცობრიობის სასარგებლო განზრახვა თითქოს ამ კაცისაგან გამოდიოდეს. იმათი სჯა რომ მოისმინოთ, გეგონებათ, კაცობრიობის განათლების დღე მაშინ დადგა, როცა ქვეყანაზე ამისთანა კაცები დაიბადენო. მინამ ამისთანა კაცებს სიტყვის მეტი არა ეხარჯებათ-რა, თავისუფლების, განათლების და კეთილ-მოქმედების წარმომადგენელნი ისინი არიან. მაგრამ, როდესაც მოქმედებაზე მიდგება საქმე, მაშინ კი რა მოგახსენოთ“ (გვ. 56).

თუ ჩიკოლიკი მართლა ამ ხასიათის კაცი იყო, ბ-ნ წერეთელს ეს სიტყვით კი არ უნდა ეთქვა ჩვენთვის, სხვა-და-სხვა სურათებით უნდა ეჩვენებინა. იმას თუ ხელოვნურად უნდოდა ჩიკოლიკის ტიპის დახატვა, უსათუოდ უნდა შეეთხზა სხვა-და-სხვა გარემოება და შემთხვევა, რომელშიაც ჩიკოლიკი ჯერ რახა-რუხით მოლაპარაკე კაცად დაიხატებოდა, მერე თავისივე აზრების წინაამდეგ მოქმედად და სხვ. აი სწორედ ისე, როგორც კუდაბზიკა ჰყავს გამოსახული ბ-ნ წერეთელს, ჯერ როგორც ამაყი და კაპასი, როცა სხვის გაუკრეჭელ ჯოხს ხე-

დავს, და მერე ყურ-ჩამოყრილი და საბრალო, როცა საკუთარი ცხენი ავად უხდება. მაშინ, რაკი ბელეტრისტი ამგვარ სურათების წყებას დაგვიხატავდა, თვითონ მკითხველი, ანა და კრიტიკოსი შეადგენდა იმ მსჯელობას, რომელიც ბ-ნ წერეთლს ჩიკოლიკზე დაუწერია. ბელეტრისტი სურათებით უნდა სჯიდეს ცხოვრებას, და არა სიტყვებით, ის მხატვარი უნდა იყოს, და არა რეზონერი: ის იმ წრისთვის სწერს, რომლისთვისაც ქადაგება და პუბლიცისტიკა გაუგებარი თუ არა, უხალისო დროს გატარებაა...

„ჩიკოლიკს, კიკოლიკს და კუდაბზიკას“ თავიდამაც ეტყობა, ზოგ-ზოგ ალაგას, რომ ავტორი თავისი საკუთარი სურათის ამხსნელად გახდომას როდი თაკილობს. თან-და-თან მხატვარი უფრო და უფრო ხშირად თავისვე კომენტატორად ხდება. ეს საშინელი ნაკლულევანებაა ხელოვნურ მწერლობაში. ბელეტრისტი, პოეტი მარტო სურათებით უნდა ზედმოქმედობდეს მკითხველზე. მისი გრძნობა დარიგებასავით, პირდაპირ კი არ უნდა გამოითქმოდეს, თავისთავად უნდა იბადებოდეს მკითხველის გულში მისგან დახატული სურათის წარმოდგენის დროს. ბ-ნი გ. წერეთლის თხზულების პირველ ნაწილში ავტორი მქადაგებლად ხდება მარტო იმ ადგილს, საცა ჩიკოლიკის ან კიკოლიკის გამოხატვას ცდილობს, და ვერც ერევა. აქ ავტორს ესაჭიროებოდა უფრო რთული გრძნობის თუ ზნეობის გაჩხრეკა, უფრო მძიმე ან ფარული ხასიათების გამოკვლევა, ვინემ დათუნას ან კუდაბზიკას აწერის დროს. ამ ტვირთის სიძნელის გამო იმას სიჩქარით და დაუფიქრებლად ურჩევია, ბევრი მხატვრობის მაგივრად, უფრო ადვილი საშუალების ხმარება. მხატვრებიც ასე შვრებიან ხოლმე თავიანთი სურათების თავდაპირველი პლანის ან ესკიზის შედგენის დროს. ზოგიერთი, უფრო ადვილი, ნაწილების ესკიზს დახატავენ და შიგა-და-შიგ შემოფარგვლენ იმ ადგილებს, საცა უმთავრესი ფიგურა უნდა გამოიხატოს, ზედაც წააწერენ — „აქ იქნება ნაპოლეონი“, ან „აქ ციხე უნდა იყოს.“ ზოგი წერის შესამოკლებლად მარტო ერთ სიტყვას, მარტო „ნაპოლეონს“ ან „ციხეს“ აწერს იმ ად-

გილს, სადაც ნაპოლეონის თუ ციხის სურათი უნდა დაიხატოს. ხელოვნების ან მხატვრობის კანონების მცოდნე პირზე ბ-ნ გ. წერეთლის თხზულების პირველმა ნაწილმა სწორედ იმისთანავე შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, როგორსაც იქონიებს ვინმე ჩინებული მხატვრის ჯერ კიდევ გაუთავებელი სურათი, რომელზედაც ზოგიერთი ადგილი თეთრად დარჩენილა, და ახლა მარტო ავტორის ზედ-წარწერა მიგვახვედრებს, თუ რა უნდა დაეხატა ზედ მხატვარს, თავისი შრომის დამთავრება რომ დასცლოდა ან მოეხერხებინა...

რაც შეეხება ამავე თხზულების მეორე ნაწილს, რომელსაც სათაურად „კიკოლიკის ცხოვრება“ აქვს, ამაზე ნამდვილ კრიტიკას, მართალი რომ სთქვას კაცმა, ხმაც არ ამოეღება. ამ ნაწილს ბელეტრისტიკის ნაწარმოებს ვერვინ უწოდებს. თავიდან ბოლომდინ ის რეზონერობას წარმოგვიდგენს ან, უფრო სწორედ ვთქვათ, გაჭიანურებულ დავას ავტორსა დ კიკოლიკს შუა. ამგვარ თხზულების გარჩევა შეიძლება მორალისტმა იკისროს, ან პუბლიცისტმა, მარტო იმის გამოსაკვლევად, თუ ვინ სტყუის და ვინ მართალია ამ ბაასში, ვისი აზრი მოსაწონია, და ვისი — საგმობი ან ძაბუნი, ანა და იმის გამოსაძიებლად, სრულად და მიუდგომლად არის ორივე მიმართულების აზრი გამოხატული, თუ გადასხვაფერებულად. ყველა დაგვეთანხმება, რომ ამგვარი გამოკვლევა კრიტიკის დანიშნულებას არ შეეხება, და ჩვენი საქმე როდია. კრიტიკოსი ამის გამოთქმით კიდეც დაასრულებდა თავის ლაპარაკს ამ ნაწილზე. მაგრამ ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი შენიშვნები, რადგანაც ამ თხზულებაზე გვინდა დამწყებ მწერლებს ისიც ვუჩვენოთ—თუ **როგორ არ უნდა სწერდეს** ქართველი ბელლეტრისტი.

„კიკოლიკის ცხოვრება“ დავაა-მეთქი ავტორისა და კიკოლიკის მიმართულებებს შუა. ამ აზრების და მიმართულების უთანხმოებას და შეტაკებას მწერალი მაშინ გამოსახავდა ხელოვნურად, როცა ორივე მოწინააღმდეგეს სხვა-და-სხვა გვარ მდგომარეობაში ჩააყენებდა, **ამოქმედებდა** და ამ მოქმედების დროს გადახატავდა. მაშინ, რაც უფრო მართალი, ნამდვილი

და ცხოველი სურათი იქნებოდა ჩვენს წინ გადაშლილი ამ ბრძოლისა ან უთანხმოებისა, მით უფრო ძლიერს ზედმოქმედებას იქონიებდა ავტორი მომავალ თაობაზე. ეს იმ კანონის ძალით მოხდება ხოლმე, რომ ხალხის გონება სიტყვას, მოძღვრებას, აზრს ისე ადვილად ვერ იგებს და იხსომებს, როგორც მოქმედებას ან სურათს. ბ-ნ წერეთელს ეს კანონი ალბად დავიწყებია, ჩიკოლიკის და კიკოლიკის გამოსახვას დროს. დავიწყებია-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამ კანონის ცოდნა პირდაპირ ატყვია იმავე ბატონ წერეთლის მხატვრობას, კუდაბზიკას შეთხზვაში. დავიწყებია ეს კანონი და სამაგიეროდ გახსენებია ძველებური კატეხიზმები და „Разговоры“. მოგეხსენებათ, რომ ამ „რაზგოვორების“ დამწერებს მას ჟამსა შინა ჩვეულებად ჰქონდათ თავიანთი აზრის დამტკიცება ორ მოპირდაპირის შეტაკებით და გამობაასებით. თხზულების თავიდან ბოლომდინ ამ ორ მობაასის დავის მეტს მკითხველი ვერაფერს იპოვის. მოდავეთაგან, რასაკვირველია, ერთი დამწერის აზრის მომხრეა, მეორე—მოწინააღმდეგე. ეს უკანასკნელი, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის მტკნარი ჩერჩეტია, უძკლო, უფხო, უმეცარი, მაშინ, როდესაც ავტორის მომხრე ყოველნაირ ღირსებით და სიბრძნით სავსეა. უბედური მოწინააღმდეგე ყოველთვის სისულელეს ბოდავს და ნიადაგ იქვე მარცხდება ავტორის მომხრისგან. მკითხველი ხშირად ხედავს, რომ ეს მომხრე სიცრუესაც როშავს ხოლმე, სისულელესაც, მაგრამ ეს მისი დოყლაპია მოწინააღმდეგე ვერც მის დაბმას და შერცხვენას ახერხებს, ვერც სიმართლის აღდგენას, ვერც ხმის ამოღებას. ავტორის მომხრე დაუბოლოვებელ მონოლოგებს წარმოსთქვამს ჩინებული ენით, მშვენიერი მაგალითებით და საბუთებით შეკაზმულს; მოწინააღმდეგე კი ძლივს ახერხებს ორიოდე ხეპრული პასუხი მისცეს, იმასაც მარტო მისთვის, რომ შემთხვევა ჰქონდეს ავტორის თანამოაზრეს ახალი, უმჯობესი მონოლოგი წარმოსთქვას, ხელ-ახლავ გამარჯვება დაიმკვიდროს. მკითხველი გულზე სკდება, მოწინააღმდეგეზე ჯავრობს: „შე ოხერო, მეტი თუ არ შეგიძლია, დაჩუმდი მაინც, ეგებ მაგ შენი მოპირდაპირის წმინდა-გიორგულ

ვარჯიშს გადავრჩეთო!“ მართლაც, ამგვარი ვითომ „ხელოვნება“ რომ ისევ მხატვრობას შევადაროთ, უნდა გავიხსენოთ „იარმუკის სურათები“, რომელზედაც სკობელევი, მაგალითად, უზარმაზარ გმირად არის დახატული, და ოსმალოს რაზმი კი მის გვერდით ჭიანჭველის ოდენად... აჩერდება კაცი ამგვარ სურათს და ბოლოს აი ამ ჭკუაზე დგება: „არაფერი დიდი ვაჟკაცობაა ამისთანა წვრილ ფეხი მოწინააღმდეგის დამარცხება!“

აი, ხელოვნური მწერლობის თვალში, სწორედ ამ გვარსავე შთაბეჭდილებას მოახდენს ბ-ნ გ. წერეთლის თხზულების მეორე ნაწილი. ეს ხელოვნური ნაწარმოები როდია. იტყვიან, ეს პამფლეტიაო, ან სატირა, ან ბიოგრაფიული ეტიუდიო. შეიძლება. მაგრამ პამფლეტიც, სატირაც, ეტიუდიც **სურათებით, მოქმედებით** სავსე უნდა ყოფილიყო, და არა რეზონერობით. თუ დამწერი უნდა სჩანდეს ნაწერში, პოეტი უნდა სჩნდეს და არა ქადაგი...

როცა ბელეტრისტი მქადაგებელია, როცა ის ხელს იღებს თავის პოეტურ უფლებაზე, შეთხზვის, სურათის შექმნის უფლებაზე, და, პუბლიცისტივით, აზრით მოქმედებას იწყებს, ის როდი უნდა ივიწყებდეს იმ კანონებს, რომელნიც პუბლიცისტისთვის ან ისტორიკოსისთვის ქვეყანას დაუწესებია. მაშინ იმას, უპირველეს ყოვლისა, სიმართლე უნდა ჰქონდეს სახეში. ბ-ნი გ. წერეთელი ამ ორ სხვა-და-სხვაგვარ ხელობას ერთმანეთში ურევს ხოლმე, და ესეც მისი უშველებელი ნაკლულევანებაა. წეღან შევნიშნეთ, ამ თხზულების მეორე ნაწილის აშკარა საგანი გამოსახვა იყო ბრძოლისა ორ თაობას შუა-მეთქი. ამ ბრძოლის პატიოსნად გამოსახატავად აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ორივეს ხასიათის, მიმართულების, რწმუნების ნათლად გამოკვლევა და ჩვენება. ხომ ასეა? წარმოიდგინეთ ახლა, რომ ბევრ ადგილას ერთი თაობის ან მიმართულების რწმუნება და ხასიათი ავტორს მეორისათვის დაუკისრებია... ზოგიერთ ადგილს ავტორს მოწინააღმდეგისათვის მთელი ნიადაგი გამოუცლია ფეხ-ქვეშიდან. მაგალითად, ჩვილოთ თუნდ გრძელი დავა კიკოლიკსა და ხ...სკის შუა გარი-

ბალდისგან ნეაპოლის აღების თაობაზე (გვ. 128 და შემდეგები). იმ ორ თაობას, რომლებსაც ბ-ნი გ. წერეთელი გვიხატავს, სულ სხვაგვარი უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთში. ის ყმაწვილები, რომელთა მოქმედების ვითომ-ტიპად ბ-ნი წერეთელი კიკოლიკს გვიწერს, ყველაფერში ეთანხმებოდნენ ხ....სკის შეხედულებას, ყველაფერს სწორედ ხ....სკის თვალით უცქეროდნენ მაშინ, და ეს გახლდათ მათი უმთავრესი თვისება თუ შეცდომა. ვინ იცის, იქნება ეს თაობაც, რომელმაც ჩვენი ერის ცხოვრებაში კარგიც ბევრი შეიტანა და ავიც, იმავე გზას და შეხედულობას დასდგომოდა, როგორსაც შემდეგი თაობა დაადგა, იმასაც ხ....სკის სიტყვების ცხოვრებაში განხორციელება რომ გამოეცადა, 1863—1864 წლების ქარიშხალში, ისე როგორც გამოსცადა ამ მეორე თაობამ თავის-თავზე. მაშინ ის უწინდელი თაობაც, ახალსავით, აშკარად დაინახავდა, რომ ნეაპოლი სხვა ყოფილა, და ნოვგოროდი კი—სულ სხვა...

იმ ვრცელ ბაასში, რომლითაც სავსეა ბ-ნ გ. წერეთლის მეორე ნაწილის მთელი მეორე ხანა, ბევრი ჰკვიანური რამ არის ნათქვამი, ორივეს მხრით. მაგრამ გადააკითხეთ ეს ხანა პუბლიცისტს, ან ისტორიკოსს, ის მაშინვე შენიშნავს იქ უშველებელ ნაკლულევანებას. ორივე მოდავეს დავიწყებიათ—ან არ სცოდნიათ—უმთავრესი კანონი ისტორიული წარმატებისა! ნეაპოლის მოძრაობის დაგვირგვინება დამარაგებული იყო რამდენიმე საუკუნის შრომით. იქ პოლიტიკურ მოძრაობას წინ უძღოდა მეტოდიური გაძლიერება იტალიელი ერისა ჯერ ნივთიერ და მერე ზნეობრივის მხრით. ხ....სკის არ ესმოდა, ან არ უნდოდა გაეხსენებინა სხვებისთვის, რომ ამგვარი წარმატება მარტო გამდიდრებული, მარტო განათლებული, მარტო ზნეობით-ამაღლებული ხალხების სვეა, და არა ყოველი დაცემულის ან ფეხ-ქვეშ გათელილი ხალხისა. ის თაობა, რომელსაც ბ-ნი წერეთელი ეომება, იმით კი არ გაიკიცხება, ვითომ რეტროგრადულ გზას ადგა იმ დროს: ეს სრული ცილის-წამება იქნება. მისი შეცდომა მარტო ის იყო, რომ გულ-კეთილობით, მიმბაძველობით, ახალგაზდობით, გამოუცდელობით იარაღად

შეიქნა ხ....სკისთანა პირების ხელში. ამათ კი ჩვენი ერის ბედი და უბედობა სრულიად არაფრად მიაჩნდათ, თავიანთ ერთან შედარებით. ამათ თავიანთი კერძო მიზანი ჰქონდათ. ჩვენ ისინი იარაღად გვხმარობდნენ. ჩვენ მაშინ ვერ გავიგეთ, რომ იმათს თამაშში ჩვენი გარევა ერთობ ადრეული იყო... ცეკვის ცოდნას ვინ-ღა დაეძებს, ფიგურანტებადაც არ ვვარგოდით, რადგანაც არც ტანისამოსი გვქონდა საკადრისი, არც ფეხსაცმელი, არც სხვა საჭირო მორთულობა. მარტო მუსიკის ხმა გვესმოდა, და ფეხი გვიცეკვდა, როგორც ღარიბ ბავშვებს ემართებათ ხოლმე ქუჩაში, როცა დიდრონები, მდიდრები, ბალებს ჰმართავენ... ახალი თაობა, 1863-ში, როგორც იქნა, მიხვდა ამ საქციელის უანგარიშობას და ის აზრი შეიდგინა, რომ კიბეზე ასასვლელად, ასამაღლებლად, კაცმა და ერმა ჯერ პირველ ნაბიჯზე უნდა მოიმაგროს ფეხი, მერე მეორეზე და აგრევე სხვებზე. ამის შესაფერად ამ თაობამ თავისი მოქმედება უფრო იმ მხარეებს მიაქცია ჩვენი ცხოვრებისას, რომელნიც ერის მატერიალურ, გონებრივ და ზნეობრივ ღონეს გააძლიერებენ. უწინდელი თაობაც ნელ-ნელა ამავე გზას დაუახლოვდა და შეუდგა, რადგანაც ყველასთვის დამტკიცდა, რომ მის მეტი უტყუარი ჩვენ წინ არა გვიძევს-რა...

მეორე შეცდომა ბ-ნ წერეთლის შრომის ამავე ნაწილისა ბევრად უფრო წვრილმანი იქნება. ავტორს ერთობ ხშირად მოსდის ის შეცდომა, რომელსაც „არხაიზმს“ ეძახიან. ის, საზოგადოდ, ხრონოლოგიას, მოქმედების დროს, საკმაო ყურადღებას არ აქცევს. ორიოდე წვრილ მაგალითს ამისასაც მოვიყვანთ. ავიღოთ, მაგალითად, 186 გვერდი წიგნისა. აქ სწერია:

„იმას თხოვნა დაეწერა ერთი გლეხისთვის მომრიგებელ შუამავალთან თავის ნაბატონარის შევიწროებაზე და იმ გლეხისკენ გადაეწყვიტა სამართალი...“

ჯერ ერთი ეს, რომ სამართალს თხოვნის დამწერი კი არ სწყვეტს,—ეს მოსამართლის ან შუამავლის საქმეა. ეს კიდევ არაფერი. მაგარი ის არის, რომ მოთხრობა ბატონ-ყმობის გაყრის წინა დროინდელია (ნახე გვერდი 75 და სხვ., საცა ეუდა-

ბზიკა და ბაკურა დავობენ იმაზე, კარგი იქნება თუ ცუდი ბატონ-ყმობის გაყრა). და იმ დროს, ხომ, არც მომრიგებელი შუამავლები იყვნენ სადმე, არც „ნაბატონრები".

უფრო შესამჩნევია, თუმც ისეც წვრილმანია, ის გარემოება, რომ ბ-ნ წერეთელს არ გახსენებია რომელ წელიწადში აიღო გარიბალდიმ ნეაპოლი. ეს მოხდა 1860-ში და არა იმ წელიწადში (1861), როცა, ავტორის სიტყვით, უნივერსიტეტის მოძრაობა მზადდებოდა პეტერბურგს...

რასაკვირველია, ვერც ეს წვრილმანი შეცდომები, ვერც ჩიკოლიკის და კიკოლიკის „ტიპების" უფერულობა და უმსგავსობა, ვერც მთელი მეორე ნაწილის რეზონერობა ვერ დაუკარგავენ ბ-ნ გ. წერეთლის თხზულებას იმ ღირსებას და მნიშვნელობას, რომელიც დაუმკვიდრა მას კუდაბზიკის ტიპის შეთხზვამ და სხვა წვრილი სურათების ხელოვნურად გამოსახვამ. ამ შრომის ბედი, როგორც შინაგანი ღირსება, სწორედ სამაგალითო და სახელმძღვანელოა ჩვენს მწერლობაში, მომავალ ჩვენს ბელეტრისტებისთვის. მკითხველი საზოგადოება შეუმცდარი მსაჯულია ლიტერატურულ ღირსებისა. სწორედ ალტაცების ღირსი იყო ამ თხზულების პირველი ხანები, პირველი ნაწილი. უმსგავსო, უსიცოცხლო იყო უკანასკნელი ნახევარი, და მკითხველმაც ასე იგრძნო, ასე გასაჯა...

ამ ჩვენი შენიშვნებიდან ყოველი დაკვირვებული კაცი ამ დასკვნას გამოიყვანს: ჩვენი ქვეყანა სავსეა ათასნაირ მრავალფეროვან და მაღალ-ღირს საგნებით, სურათებით, ხასიათებით, ტიპებით. ვისთვისაც ღმერთს დაკვირვების და გამოსახვის ნიჭი უწყალობნია, იმას წინ ფართოდ გადაშლილი აქვს დიდების ბედნიერი გზა: ხატოს იმან პირუთვნელად და სწორედ, რაც უცნობი და შესამჩნევი შეხვდეს წინ. ვინც სწორედ მოახერხებს ამ ახალ და უცნობ ხასიათების გადმოღებას ბუნებიდან მწერლობაში, ვინც „შექმნის" ამ ხასიათებიდან ლიტერატურულ ტიპებს, ის ადვილად დაიმსახურებს ხეირიან სახელს არაფუ მარტო ჩვენში, თვით მსოფლიო მწერლობაშიაც. მართლაც, ბევ-

რი ისეთი ხასიათი ტრიალებს ჩვენს ერში, და ბევრი ისეთი კუთხეა ჩვენს ქვეყანაში, რომლის მსგავს ვერაფერს იპოვის კაცი მსოფლიო მწერლობის სურათებში. უბედურება ისაა, რომ ამათი დამხატი არავინ გვებადება, და თუ დაგვებადა ვინმე, ის— გ. წერეთლისა არ იყოს—თავის ნიჭს ძალას ატანს და ამახინჯებს...

ნ. ნიკოლაძე

# ბიბლიოგრაფია

**Педагогическіе вопросы, № 1. Нормальное письмо, статья Якова Гогебашвили. Тифлисъ 1894 годъ, цѣна 20 к.**

ჩვენს ცხოვრებაში თითქმის ოვითეულ საქმეს ამჩნევია არა ის სახე, რომელიც მისთვის თვით ბუნებას და ცხოვრებას მიუთვისებია, არამედ ის ელფერი, რომელიც განუზრახავს, მოუსურვებია საქმის მოთავეს, გამგეს, მეთვალყურეს, მებატონეს, მეპატრონეს. მოთავენი საქმისა, ზომას გადასულის მხნეობის გამო, ადვილად ახერხებენ თვითეული საქმე ისე მოაწყონ, როგორც მათს გემოვნებას და განზრახვას შეესაბამება. ესენი მაგრე რიგად არ იცხელებენ თავს, რათა ყოველი ახალი საქმე შეუფერონ ადგილობრივ ვითარებას, მუნებურ მკვიდრთა საჭიროებას. ამისთანა შრომა და ფიქრი მეტ ბარგად მიაჩნიათ. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარ მდგომარეობაში თუ ადგილობრივი მწერლობა ხელს გამოიღებს და ამისთანა საჭირბოროტო საგნებს განარჩევს, ამით დიდ ღვაწლს დასდებს ჩვენის ცხოვრების განკარგების საქმეს. ამგვარ საჭირ-ბოროტო საქმედ უნდა ჩაითვალოს საპედაგოგო საქმეც ჩვენში, რომლის თავიდან აცილება და უყურადღებოდ დატოვება თუ ვნებას არ მოგვიტანს, მარგებელი ხომ არასოდეს არ იქმნება. ამისთანა შრომა მით უფრო საქებურია და ხელმოსამართი, რომ ჩვენში ხშირად აცდენენ ხოლმე პედაგოგიურს საქმეს თავის ბუნებითად გაკვლეულს გზას და სრულიად შეუფერებელ გზაზედ აყენებენ, რადგან მეთაურნი შესტრფიან არა თვით საქმის შეუბღალავს სიკეთეს, არამედ იმ შედეგს, რომელიც განუზრახავთ საქმის დამწყებთ. ამისთანა მეთაურებს ხელს

უწყობს თვით ადგილობრივი ვითარება, რომელიც ფართო მოედანს უშლის წინ, რათა მეთაურმა ხელშეუხებლად შეასრულოს მზაკვარი გულისწადილი. რა ჩვენში, როგორც განაპირა კუთხეში, თვით შუაგულ სახელმწიფოშიაც საპედაგოგო საქმის გულ-შემატკივარნი ხელშეკრულად ჰხადიან თავისთავს, რადგან ვერ ახერხებენ გამოსთქვან თავის გულის ნადები საპედაგოგო საქმის გამო. ეს საყურადღებო გარემოება დასტული აქვს რუსულ ჟურნალ «Гимназія»-ს წლევანდელს თავის დამატებას «№ 8 Педагогическій Еженедѣльникъ-ის» წერილში პეტერბურგიდან. ავტორი წერილისა, დედაქალაქის მასწავლებელი, სამართლიანად უჩივის, აძაგებს იმ უსწორმასწორობას, იმ უწესიერობას, წინააღმდეგობას და ურიგობას, რომელსაც ამჩნევს საყოველთაო წინადადებებს ანუ ესრედ წოდებულ ცირკულიარულ ბრძანებებს მზრუნველთა, საოლქო ინსპექტორთა და ყველა იმ პირთა, რომელთაც რაიმე უფლება აქვს მინიჭებული მასწავლებლებზედ, და დიდად მოხარულია, რომ მასწავლებელი აქამდინ პირშეკრული იყო და ახლა მაინც ეძლევა უფლება ხმა ამოიღოს თავის აწინდელ გაჭირვებულს მდგომარეობაზედ. თუ დედაქალაქის პედაგოგი ამაზედ დრტვინავს, რაღას თქმას მოახერხებდა განაპირა ადგილის პედაგოგი, უკეთუ ამასთანავე ეს მხოლოდ დღიურის ლუკმის თვალით ჰსინჯავდა თავის მოვალეობას და სხვა არაფრით იყო დაკავშირებული მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასთან. მაშინ ხომ ადგილობრივი მკვიდრნი იმავე გარემოებაში ჩაცვიოდნენ, როგორს გარემოებაშიაც აგვიწერს ჩეხების ცხოვრებას მე-2 №-ი წლევანდელის «Вѣстникъ Воспитанія»-სა: „გიმნაზიების მოწაფეები, ჰკითხულობთ აქ, ადგილობრივ მთავრობას გაყოფილი ჰყავს ორ რიგობად ეროვნების მიხედულობით. ჩეხებს, როგორც სლავიანთა მოდგმას, ჰხადის უმდაბლეს ორფეხა ცხოველებად, ხოლო მოწაფეებს გერმანელთაგან, როგორც არა-სლავიანთა მოდგმისას, ჰხადის ღირსად უაღრესის ყურადღებისა". ამისთანა ქცევას რუსული პედაგოგიური ჟურნალი სამართლიანად ჰკიცხავს შემდეგის სიტყვებით: „სახელმწიფო ჰხდება ერთ თავის შვილისთვის დედად, ხოლო მეორისთვის დედინაცვლად სწავლა-განათლების საქმეშიაც კი. სწორედ ამისთანა ორმაგობა, ორპირობა გახდე-

ბა ხოლმე ჩეხების სამშობლოში დაუშრეტელ წყაროდ, რათა მოიწამლოს, ჩაიშალოს ყოველგვარი კავშირი ადგილობრივ სლავიანთა და არა-სლავიანთა შორის, მოიშალოს და გაწყდეს დამოკიდებულება, რომელიც, სხვა უფრო გონივრულად მოწყობილ გარემოების დროს, შეიძლება გადაქცეულიყო ძმურ და მეგობრულ კავშირად". ამისთანა უნუგეშო მდგომარეობას, რაიქმს უნდა, თვალყური უნდა ადევნოს მწერლობამ, მოსაწონი მოიწონოს და დასაწუნი დაიწუნოს. ეს თუ სხვა ერისთვის არის საჭირო, ჩვენთვის ხომ აუცილებელ მოთხოვნილებად უნდა იყოს ჩარიცხული.

ამისთვის არ შეგვიძლიან გულითადის სიამოვნებით არ მივეგებნეთ ჩვენის ღირსად პატივცემულის პედაგოგის ბ. ი. გოგებაშვილის განზრახვას, რომელითაც ეს გვპირდება საპედაგოგო კითხვების გამორკვევას არა განყენებულად, ჩვენს ცხოვრებასთან შეუდარებლად, დაუკავშირებლად, არამედ დროსა და ადგილის მიხედულობით, მკვიდრთა საჭიროების აწონ-დაწონით. გამოვწერთ თვით წიგნაკიდან წინასიტყვაობას, რომლიდანაც თვით მკითხველი ნათლად დაინახავს როგორც დაპირებას, ისე იმ გარემოებას, რომელსაც გამოუწვევია ეს საყურადღებო განზრახვა. «კავკასიის საზოგადოება, ვკითხულობთ აღნიშნულ წიგნაკის წინასიტყვაობაში, უზომო გულგრილობას იჩენს, როდესაც საქმე შეეხება ან პედაგოგიას, ან სახალხო განათლებას. ამისთანა საგნები, აღნიშნულ საზოგადოების შეხედულობით, მოსაწყენია, უბრალო გასართობი და არც მაგდენად საყურადღებო. ამისთანა კითხვებით ვითომ თავს უნდა იცხელებდნენ მხოლოდ სპეციალისტები, ხოლო თვით საზოგადოებას უფლება აქვს ამას ყურიც არ ათხოვოს. ადგილობრივი მწერლობაც ბანს აძლევს საზოგადოების ამგვარს ყინიანობას და ათასში ერთხელ თუ უძღვნის ხოლმე თითო-ოროლა სტატიას სახალხო განათლების საქმეს. განსაკუთრებით ადგილობრივ მწერლობას ჭირივით ეჯავრება საპედაგოგო კითხვების გამორკვევა, და თუ შეეხოროდისმე, უთუოდ მოკლედ მოსჭრის, რათა შთაბეჭდილება დაწვრილმანდეს და მკითხველის გულსა და სულს არავითარი ნაკვალევი არ დაასჩნიოს წაკითხულმა. წინააღმდეგ ამისა დაწვრილებით

განხილვას აღნიშნულ კითხვებისას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ასეთი განხილვა აუცილებლად საჭიროა, რათა გონივრულ ნიადაგზედ დამყარდეს სახალხო განათლება, რომელიც საფუძვლიანად არის მიჩნეული როგორც ერთ მძლავრ საშუალებათაგანი შესამცირებლად კაცობრიობის ცრუმორწმუნოების, ბიწიერების, ტანჯვა-ვაების და ასაღორძინებლად სხივ-მომფენ შესძლულობისა, სათნოების და სიხარულისა კაცობრიობის ცხოვრებაში. სახალხო განათლება არის საძირკველი კულტურის წარმატებისა თვითეულ ერისათვის, რომლისოდ ქვეყნიერებაზედ ადამიანს ადვილად ვერ შეუძლიან მოიპოვოს ვერც კეთილდღეობა და ვერც ბედნიერება. ნამეტნავად ჩვენ, კავკასიელთათვის, უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმ ჩრდილოეთით და დასავლეთით მოვლენილმა ნაკადულმა, რომელიც იყო შედეგი ახალ პირობათა და ქარტეხილთა, საგრძნობლად შეარყია მამა-პაპური ბურჯნი კავკასიელთ ცხოვრებისა, გადალეკა უძველესი კიდეები, დაჰკარგა ყილბანა ანუ კომპასი, მოაკლდა მესაჭე, მიმცემი მიმართულებისა. თუ გვსურს ამისთანა ცხოვრებას შესაფერი გზა გავუკვლიოთ, დავამყაროთ იგი ახალს, საუკეთესო საძირკველზედ, მოვათავსოთ ბუნებისაგან მიზომილს კიდეთა შორის, ამას მხოლოდ მაშინ შევიძლებთ, როდესაც რიგიანად მოვაწყობთ სახალხო განათლების საქმეს. ესევე საქმე არის საუკეთესო და ერთად-ერთი წამალი შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად იმ ზღაპრულ განსხვავებისა, რომელიც ყოველთვის გასაოცარი ჰხდება, სახელდობრ განსაცვიფრებელი სიმდიდრე კავკასიონის ბუნებისა და სიღარიბე აქაურ მცხოვრებთა, უცილობელი ნიჭი უძველეს მკვიდრთა და ამავე დროს განადირებული მათი ზნე-ჩვეულება.

ჩვენ გადავსწყვიტეთ, შეძლების გვარად, გამოვიკვლიოთ ცალკე წიგნაკებში კითხვები შესახებ სახალხო განათლებისა, რათა ეს საქმე შევაყვაროთ ჩვენს საზოგადოებას და იმდენად შევუწყოთ ხელი, რომ ნამდვილად გავაგებინოთ, გადავაწყვეტინოთ და ავასრულებინოთ ყოველივე ეს თვით ცხოვრებაშიაც. პირველ წიგნაკში ჩვენ განვიხილეთ წერ.-კ.-ს საქმე, რადგან ეს ამ ჟამად შეადგენს მთელს რუსეთში ერთ საჭირბოროტო საგანს ჩვენის დროისას და ამის გა-

მო ფეიცხელი კამათობა არის გამართული სალიტერატურო და სა-პოლიტიკო ჟურნალ-გაზეთებში».

მართალია, ვინ არ დასთანხმდება ღირსად პატივცემულ პედაგოგს, რომ ფრიად მოსაწონია და საგულისხმიერო როგორც დედა-აზრი ამ წინასიტყვაობისა, აგრედვე პირველი ნაყოფი განზრახულის საქმისა, სახელდობრ ნორმალური ანუ ზომიერი წერა საზოგადოდ. სწავლა-განათლების საქმეში თუ კარგ კითხვას აქვს დიდი მნიშვნელობა, არც შნოიან და სუფთა წერას უჭირავს ნაკლები ალაგი. ამისთვის იმედი გვაქვს მკითხველი არ დაგვემდურება, თუ ორიოდე სიტყვით გამოვხატავთ ისტორიულ სურათს წერისას ჩვენში და განათლებულ ევროპაში, რადგან თვით დასახლებული წიგნაკი გვაძლევს ამის შემთხვევას და მასალასაც. წერის ხელოვნებას აქვს თავის ისტორია და თავის ლიტერატურა. დედამიწის ზურგზედ არ მოიძებნება არც ერთი გონებით განვითარებული ერი, რომელსაც წერის შემოღებისათვის არ დასჭირებოდეს დიდი შრომა, არ აღჭურვილიყოს მთელის თავის ძლევამოსილის გონების იარაღით. მიუხედავად ამისა, ყველა ერს მაინც ერთნაირად ადვილი და სრული ასოები ვერ გამოუგონია თავის აზრის გამოსახატავად გარეგანის ნიშნებით. ქართველებს კი ამ საყურადღებო საქმეში საკვირველი ნიჭი და მიხვედრილობა გამოუჩენიათ, რადგან უსრულესი ანბანი გამოუგონიათ თავის აზრის გამოსახატავად წერილობით. აი რას ამბობს ამის გამო კავკასიელთა ენათ მეცნიერი პეტრე უსლარი: «თუ გავსინჯავთ ქართულს ანბანს და შევადარებთ თვით ქართულ ენასთან, არ შეიძლება არ ალვიაროთ, რომ ეს ანბანი აკმაყოფილებს ყოველგვარ პირობას; არა მგონია, რომ ქართული ანბანი არ იყოს უუსრულესი ყოველ არსებულ ანბანთა შორის. ქართულ ანბანში თვითეული ხმა გამოხატულია საკუთარის ნიშნით, თვითეული ნიშანი მუდმივ ერთსა და იმავე ხმას გვიხატავს, თვითეულ ევროპულ ენაში უძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს მართლწერა; ქართველებისთვის ესრეთი დაბრკოლება სრულიად არ არსებობს, რადგან მათი ანბანი არის უუსრულესი». რაღა უნდა ითქვას ქართულ ნაწერის გარეგან აგებულობაზედ, მის ასო-

თა მოყვანილობაზედ შედარებით ევროპელი ნაწერის მოყვანილობასთან? აქაც შესამჩნევ განსხვავებას ვხედავთ. ქართული წერის ასოები როგორც მხედრული, ეგრედვე ხუცური თავდაპირველადვე იწერებოდა სწორედ, ამართულის სახით. ამგვარი ასოები ქართველობას მარჯვედ უხმარია თავის ისტორიულ ცხოვრებაში, არ შეუბღალავს პირვანდელი, ძირითადი სწორი, პირდაპირი, ამართული, ჩვეულებრივი სახე წერისა, შეუმუშავებია, მოუტანია მეცხრამეტე საუკუნის კარამდე განსპეტაკებული და გადმოუცია შთამომავლობისთვის დასაცველად და ასაღორძინებლად. ევროპის ნაწერს ნაცვლად ამისა სულ სხვა სახე სდევს. აქ არ მოიძებნება არც ერთი ერი, რომელიც ირიბულის ხელით არა სწერდეს. რომაელები პირველ საუკუნიდანვე სწერდენ ირიბულის ხელით, მთელ ევროპაში აქამომდე მეფობს ესევე ირიბული ხელი. რაღა მოუვიდა ქართულ სწორე ხელს მეცხრამეტე საუკუნეში? როდესაც ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენი სამშობლო მიიღო ერთმორწმუნე რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშ, მთელი საქართველო სწორე ხელით სწერდა, მაგრამ მფარველმა სახელმწიფომ ჩქარა შესცვალა ძირეულად უწინდელი წესწყობილება და ჩვენი სწავლა აღზრდის საქმეც ახალ ნიადაგზე დაამყარა. ჩვენც მშიერ-მწყურვალსავით გაუსინჯველად, აუწონ-დაუწონავად დავეწაფენით ახალს ხილს, მიუხედავად იმისა მარგებელი იქნებოდა ჩვენთვის ეს ხილი საბოლოოდ, თუ მავნებელი. სრულდება თითქმის ერთი საუკუნე ჩვენის ახალის წესწყობილებისა და დღესაც დალაგებით არ გვიფიქრია ამ ვითომდა უმნიშვნელო საგანზედ. თუ დღეს ვიღვიძებთ და საყურადღებოდ მიგვაჩნია ქართული წერის ხასიათი, უფრო იმისთვის, რომ ეს საგანი სადღეისო საქმედ არის გამხდარი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. უფროსერთი ჩვენი მკითხველი, მართალია, ღიმილით იტყვის, წერა რა არის და იმის მნიშვნელობის ასეთი გაზვიადება, აზრი კი გამოხატეო, თორემ სულ ერთია, როგორი ასოებითაც უნდა იყოს დაწერილიო. ამისთანა გაურჩევლობა, გულგრილობა რომ არ გამოგვეჩინა ყველა ჩვენ მიერ ახლად დაწყებულ საქმეში, იმედია დიდი ნაბიჯი უნდა წაგვედგა თითქმის ერთის საუკუნის განმავლობაში, როდესაც გარეშე მტერი მოშორებული გვყავდა და ჩვენის განვითარებისთვის სრულიად მოცლილნი ვიყავით, მაგრამ ჩვენი უბე-

დურებს ყოველთვის ჩვენი გულკეთილობა, ჩვენი მინდობილობა და უცხო ტომთან გულუბრყვილო დაკავშირება ყოფილა. წერის საქმე-შიაც სწორედ ეს დაგვემართა. ერთი საუკუნის კავშირს უცხო ტომ-თან ის შედეგი ჰქონდა, რომ ქართველობას გაუქარწყლდა მამა-პა-პური რწმენა და სასაცილოდ გაასხდევინა წინაპართაგან ნაანდერძევი სწორე ხელი, როგორც შედეგი ვითომ განუვითარებლობისა და აზიურის ყოფა-ცხოვრებისა. ახალი ხილი და მერმე უცხოეთიდან მოტანილი სანუკვარ ხილად გაუხდა ახალ გემოზედ გაწრთვნილ ახალ-თაობას. მართალია, განვითარებული ძველ გემოვნებაზე ქართველო-ბა ბოლოს ჟამამდე არ იღებდა ხელს ძველის ჩვეულებიდან, მაგრამ რას გახდებოდა ეს უმცირესი ნაწილი იმ ვითომდა მეცნიერულ მომ-ზადებასთან, რომელითაც თავი მოჰქონდა ახალგაზრდა ქართველს, ირი-ბულად მწერალს. თვით ადგილობრივ მთავრობამაც სწავლა-აღზრ-დის საქმეში სასტიკი ყურადღება მიაქცია ირიბულ წერის ერთგვა-რობას ერთათვის, მის გამეფებას სასწავლებლებში. აქ წინააღმდეგო-ბა მიღებულ იქმნებოდა პოლიტიკურ ამბოხებად და მოწინააღმდეგე ჩაირიცხებოდა პოლიტიკურ დამნაშავედ. ამ წყობილებას ის შედე-გი მოჰყვა ჩვენს ცხოვრებაში, რომ დღეს თითქმის მთელი ქართვე-ლობა გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ, თუ არ ირიბულად, სხვაგვარად წერა არ შეიძლებაო. მართლაც, რომელი ქართველი დაი-დებს გულზე ხელს და დარწმუნებით აღიარებს, რომ მისი ირი-ბული ნაწერი შეუფერებელია და უარის-მყოფელი იმ წესისა, რო-მელიც მთელ თავის ისტორიულ ცხოვრებაში ჰქონიათ შეთვისებუ-ლი ჩვენ წინაპართ. ადამიანი თავმოყვარეა და ამის გამო ხშირად თვით თავის ნაკლაც ჰსურს ღირსებად ჩაითვალოს. მაგრამ დრო-იცვალა. ევროპის მკურნალებმა და პედაგოგებმა ეჭვის თვალით შე-ჰხედეს საუკუნოებით გამეფებულს ირიბულ ხელს და ბოლოს მრა-ვალნი დარწმუნდნენ, რომ ამ ხელის შედეგია მრავალგვარი სნეუ-ლება, რომელსაც დღევანდელი სკოლა სწავლასთან ერთად უძღვნის თავის მოწაფეებს. შესდგა ამგვარად ახალი დასი, მომხრე და მივარ-გელი სწორე ხელისა. ამ ახალს დასს წინააღუდგა ძველი, ირი-ბული ხელის მომხრე დასი და აღიძრა კამათობა დასთა შორის. თუმცა ეს ახალი მოძრაობა დაიწყო ამ ოციოდე წლის წინად, მაგ-

რამ ამ საგანს ახლა ჰყავს როგორც მოსარჩლენი მეცნიერულად განვითარებულ პედაგოგთა და მკურნალთაგან, ისე მოწინააღმდეგენი. ეს დასი, დედა აზრის მიხედულობით, გაიყოფება ორ ძირეულ დასად. ერთი ამტკიცებს უპირატესობას სწორე ხელისას, ხოლო მეორე დახრილისას. როგორც სწორე ხელს, ისე ირიბულს თავის მომხრეები ჰყავს განვითარებულ პედაგოგთა და მკურნალთაგან. სწორე ხელის მომხრენი არიან: მერკელი, შუბერტი, ლაიე, ელონი, გროსი, დაიბერი, კონი, ზავიც; ხოლო დახრილისა ანუ ირიბულისა: ბერლინი, რემოლდი და სხვ.

ამ ორ ძირითად განსხვავებულ დასთა კამათობის საბუთებს რომელსაც ვსინჯავთ, ცხადად ატყობთ ერთს ზოგად ხასიათს: ნაკლი ორივე ხელისა გაზვიადებულია მათ მოწინააღმდეგეთაგან. ორივე მოკამათე მხარე ერთმანეთს უკიჟინებს ერთსა და იმავე ნაკლსა. მაშასადამე, ნაჩვენებ ნაკლისაგან არც ერთი ხელი არ არის თავისუფალი. აი თვით ნაკლიც: ა) ხერხემლის და გულის ფიცრის გამრუდება, ბ) მრუდედ თავის ჭერისაგან თვალების სიბეცე და გ) თითების კრუნჩხვა. სწორე ხელით სწერ თუ ირიბულად, ამ ნაკლს ვერ ასცდები. შესაძლებელი კი არის ამ ნაკლის შემცირება, თუმცა სრულიად თავიდან აცილება არ შეიძლება. მაშასადამე, სრული უფლება გაქვს რომელი ხელიც გსურს, ამოირჩიო, თუ ამავე დროს მოახერხებ და თავიდან აიცილებ ანუ შეამცირებ დასახელებულ ნაკლს სამწერლო იარაღის დახმარებით, შეფარდებით, შეხამებით. ეს საშუალებაც არის შემდეგი: ა) საკმაო სინათლე, ბ) საკლასო ავეჯის მოწყობილობა, გ) სტრიქონების სიმოკლე და დ) მასალა წერისა (ქაღალდი, მელანი, ასპიდის დაფა, ფანქარი, გრიფილი). მაშასადამე, შესაძლებელი საქმეა, რომ ეს ორი მოკამათე დასი შეერთდეს, შეთანხმდეს, მით უმეტეს, რომ მათ შორის უთანხმოების საგნად არ არის არსებითი განსხვავება.

მიუხედავად ამისა მოწინააღმდეგე დასთა კამათობამ იქამდის მიაღწია, რომ ორსავე ძირეულ დასს შეეტყო დაყოფა, დანაწილება.

სწორე ხელის მომხრენი ორად გაიყვნენ. ერთი მხარე ამტკიცებს პირდაპირ, სწორე ხელის უპირატესობას, ხოლო მეორე მომრგვალო სწორე ანუ ესრედ წოდებულ «რონდოს» უპირა-

ტესობას. ირიბულ ხელის მომხრე დასსაც გაუდგა იმისავე თანამოაზრე და თავის გაცალკევება აღბეჭდა მით, რომ ეს თავის თავს სთვლის მომხრედ არა ძლიერ, არამედ მცირედ დაირიბებულ ხელისა. აქ საჭიროა იცოდეს მკითხველმა, რომ დაირიბების კუთხეს სხვა-და-სხვა ზომით გვისახავენ ირიბი ხელის მომხრენი, სახელდობრ: 20—25°, 25—30°, 35—40°, 40—45°, 45—50°, 50—55°, 55—60°. მცირე დაირიბების მომხრენი არიან: ელლინგერი, კურტმანი და პაულსონი. ესევე ხელი მიუღია კავკასიის სამოსწავლო ოლქსაც 1885 წ. რუსულისა და ქართულის წერისათვის თავის სკოლებში. დღეს წერის საქმე ამ მდგომარეობაშია, და, მაშასადამე, ამაზედ საუბარი, სწორე მოგახსენოთ, დროს ვითარებისაგან არის გამოწვეული. ჩვენგან დასახელებული წიგნაკიც, როგორც ჰხედავს მკითხველი, არის გამოწვეული დღევანდელ გარემოსაგან, როდესაც წერის საქმე საკამათოდ არის გამხდარი და ამ კამათობიდან ჯერ არც ერთი მხარე არ გამოსულა ძლევამოსილი. ძნელია, რომ ამისთანა დროს მწერალმაც თავის კალამი არ ამოძრაოს ერთ-ერთი დასის გავლენის ქვეშ. აი მოკლედ თვით შინაარსი წიგნაკისა.

დასავლეთ ევროპასა და რუსეთში საუკუნოების განმავლობაში ირიბული ხელი, როგორც მარჯვე, შნოიანი და ჯანმრთელობისთვის მარგებელი, მიღებული იყო როგორც სკოლებში, ეგრედვე ოჯახებში, ხოლო სწორე ხელი დაწუნებული და განდევნილი. მხოლოდ ბოლოს ხანებში მიაქციეს ყურადღება ყველასაგან უარყოფილს სწორე ხელს. დაიბეჭდა მრავალი დედანი და დაიწერა მრავალი სტატია სწორე ხელის საქებურად. ეჭვი არ არის, რომ სწორე წერა ერთსა და იმავე დროს ხელს უწყობს როგორც სწავლა-აღზრდის და ჯანმთელობის, ეგრედვე თვალთ-მხედველობის საქმეს. გადავავლოთ თვალი ბუნებას და აქ დავინახავთ, რომ თვითეულ საგანს სისწორე შეუთვისებია. ადამიანი დადის, დგას, თუ ზის სწორედ უჭირავს ტანი; ავეჯს, ჭურჭელს და საცხოვრებელს ოჯახში ვხედავთ სწორედ დადგმულს და არა წაქცეულს. ამასვე ვამჩნევთ პირუტყვებსაც. მცენარეობა—ხე, ჯაგი, ბალახი, ყვავილი იზრდება და სწორედ არის ამართული. თვით მთებსაც კი ამისთანა ამართული სახე მიუღიათ.

ერთის სიტყვით, მთელს ბუნებას შეუთვისებია სისწორე, ამართული და არა დაწოლილი ასე. ამისთანა საგნების სახეს შესჩვევია ჩვენი, ადამიანის თვალებიც. მაშასადამე, სწორე ხელი ბუნებაზედ არის გამოჭრილი. გარდა ამისა სწორე ასოების წერაც და კითხვაც უფრო ადვილია, ვიდრე ირიბისა. ასო რაც უფრო ირიბია, იმდენად ძნელია მისი დაწერა. ყველა ეროვნების ბავშვს ემარჯვება სწორე ხელით წერა, მაგრამ რადგან ირიბული ხელი გამოშვებული იყო სკოლაში, ამისთვის მრავალგვარი საშუალება გამოსცადა სკოლამ, რათა ბავშვები სიყრმითვე მისჩვეოდნენ ირიბულ ხელს. შემოღებულ იქმნა ირიბულად დახაზვა და დადება რვეულებისა, მაგრამ მაინც აქამომდე გულისწადილი შეუსრულებელი რჩება.

უბრალო მნიშვნელობა არა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში იმ გარემოებას, როდესაც ნაწერი და ნაბეჭდი ასო ერთმანეთს ჰგავს, ემსგავსება; ესენი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ჰშველიან, ეხმარებიან, ხელს უწყობენ და ამის გამო მათი შესწავლა ბავშვებს უადვილდება. შნოთიც სწორე ხელი სჯობს ირიბულს, როგორც ფეხზე მდგარი ადამიანი სჯობს წაქცეულს.

ჯანმრთელობის მხრითაც სწორე ხელით წერა საუმჯობესოდ უნდა იყოს მიღებული, ვიდრე ირიბული, რადგან სწორე ხელი თხოვს ტანის დაჭერას სწორედ, ხოლო ირიბული—გვერდულად. სისხლის თავისუფლად მოძრაობისთვისაც სწორედ დაჭერა სჯობს ტანისა, ვიდრე აღმაცერად. ეს ადვილი მისახვედრია არა-მკურნალისთვისაც. ერთის სიტყვით მთელი წიგნაკი მკითხველს საფუძვლიანად არწმუნებს, რომ სისწორე, ამართულობა ყველგან ჰსუფევს და ესევე თვისება ბუნებითი იქმნება ნაწერისთვისაც, მით უმეტეს, რომ ეს სისწორე ხელისა მიღებული აქვს ბეჭდურ ხელს. მაგრამ ამ საფუძვლიანს წადილს სადაოდ ჰხდიან ირიბული ხელის მომხრენი. ესენი გულწრფელად აღიარებენ, რომ სწორე ხელით არ შეიძლება ჩქარა წერა, და ამისთვის უარ-ჰყოფენ ამ ხელს. საფუძველსაც საყურადღებოს გვიჩვენებენ. დრო იყო კაცობრიობის ცხოვრებაში, ეუბნებიან ესენი, როდესაც ადამიანი ძვირად არ აფასებდა დროს, ოღონდ შნოიანად დაეწერა, თორემ იმას არ დაგიდევდა, თუ რამდენ დროს მოახმარებდა ამ ლამაზად და შნოიანად დაწერილს. ადამიანი მოც-

ლილი იყო საყოველდღეო საჭირო საქმისაგან. ამისთანა ცხოვრებაში იყვნენ შუა საუკუნის ბერ-მონაზონები, რომელთ ნაწერის საფუძვლიანად შეგვიძლიან ვუწოდოთ მხატვრობა. ამგვარივე ხასიათი აქვთ ჩვენ ძველ ნაწერებსაც, ხუცურ-მხედრულს. ცხოვრების ვითარება შეიცვალა, ახალ საუკუნოებში დრო გაძვირდა, მსწრაფლ-წერა თვით ცხოვრების ვითარებისაგან არის გამოწვეული და მტკიცედ არის დაცული ვაჭრობაში ანუ მოვაჭრეთა წოდებაში, სადაც დრო ფულია. ვაჭარი — მსწრაფლ-მწერალია. სწორე ხელით კი ჩქარა წერა არ შეიძლება და ამისთვის საჭიროა ირიბული ხელი დავიცვათ და საყოველთაოდ გავხადოთ. ამ აზრს ამტკიცებენ შემდეგის მოსაზრებით: „როდესაც რვეული დევს დაირიბებული, მწერლის ხელი ისე მოხერხებულად არის დანდობილი რვეულზედ, რომ შეიძლება ნიდაყვი არ მოაშორო ერთს ადგილს და მაინც კი თავისუფლად გაავლო რვეულზედ მთელი სტრიქონი, რის გამო წერა უმეტის სისწრაფით სწარმოებს. მაშინ კი, როდესაც რვეული სწორედ დევს, შეფერხებულია თავისუფალი მოძრაობა მწერლის ხელისა, რადგან ხელი უფრო ქვევიდან ზევით იწევს და სტრიქონებს ალმაცრად სწერს. ამის გამო საჭირო ჰხდება, რომ მწერალმა უცვალოს ალაგი ნიდაყვს, რაიცა აფერხებს, აგვიანებს წერის სისწრაფეს (Школьная гигіена, Рембольда, 1890 г. стр. 42). ეს მოსაზრება სწორე ხელის მოწინააღმდეგეთა, მართალია, პირველად გვეჩვენება საფუძვლიანად, ღირსად დიდის ყურადღებისა, მაგრამ როდესაც სინჯში ჩაუდგები თვით საქმით, ცხადად ჰრწმუნდები, რომ ეს მოსაზრება გაზვიადებულია ირიბული ხელის მომხრეთაგან. განვითარებული პედაგოგნი და მკურნალნი ერთხმად აღიარებენ, რომ „მსწრაფლი წერა ყოველთვის შეიძლება, რანაირადაც უნდა გედვათ რვეული. საზოგადოდ მსწრაფლ-წერა არ არის დამოკიდებული იმაზედ, თუ როგორ გიჭირავს ტანი, თავი და თვალები“ (გ. 30).

აი რას ითხოვს თავის მოწაფეთაგან წესი, რომელიც შემოუღია თავის სკოლებში ჰოლანდიის საერო განათლების სამინისტროს: „ქაღალდი დაიდე, პირდაპირ გულის წინ, გულის შუადან ცოტა მარჯვნივ“ (Вѣстникъ Воспитанія 1894 г. № 2).

სწორე ხელის მოწინააღმდეგეთაგან უფრო საყურადღებოა მეორე საბუთი: „სწორე წერამ იცის თითებისა ანუ ხელების კრუნჩხვა.“ ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგენი სწორე ხელისა იმაზედ აფუძნებენ, რომ წერის დროს ნიდაყვი ერთ ადგილს არის დაბჯენილი და, რადგან მხოლოდ თათი ანუ მთელი წყრთა მოძრაობს, ამისთვის ამ მოძრაობის დროს გავლებული ხაზი ზევით აწეული იქნება და არა სწორედ გაყვანილი, როგორც ქაღალდი დევს. თუ მწერალი ეცდება სტრიქონის სწორედ გავლებას, მაშინ უთუოდ დასჭირდება შეკუმშვა, შეკრუნჩხვა, როგორც თითებისა, ეგრედვე წყრთისა. ეს შენიშვნა მართალია და საფუძვლიანი. მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ამისთანა შეკუმშვა და შეკრუნჩხვა საჭიროა მაშინაც, როდესაც რვეული გეზად, ირიბად გიდევს. მაშასადამე, ეს დაბრკოლება ორივე ხელის კუთვნილებას შეადგენს. რით შეიძლება ამ გასაჭირიდან თავი დავიხსნათ? ამის საშუალება წერის ხელოვნებას გამორკვეული აქვს და აა სწორედ ამას უნდა მივმართოთ და ეს სიძნელე თავიდან ავიცილოთ.

საშუალებაც მრავალი გვაქვს ამისთვის. სრულიად ყური რომ არ ვუგდოთ არც სინათლეს, არც საკლასო ავეჯს და წერის მასალას, არც სტრიქონების შემოკლებას, არც სხეულის მდებარეობას, მაინც შეგვიძლიან მივმართოთ ხელის ანუ უკეთ—წყრთის მოძრაობას და მით თვალსაჩინოდ შევამსუბუქოთ, გავაადვილოთ ის სიძნელე, რომელიც ჩვენ გვაბრკოლებს წერაში მაშინ, როდესაც რვეული, ქაღალდი სწორედ გვიდევს. საქმე ის არის, რომ ყველა პედაგოგი და მკურნალი იმ აზრისა არის, რომ შეიძლება და საჭიროც არის წერის დროს ნიდაყვს ადგილი ვუცვალოთ, რათა ხაზი ანუ სტრიქონი სწორედ გავავლოთ. თუმცა ზოგნი დამაბრკოლებელ მიზეზად ამ შემთხვევაში იმას გვიჩვენებენ, რომ თუ ირიბად წერის დროს ორჯერ საჭირდება ნიდაყვს ადგილის ცვლა, სწორედ წერის დროს სამჯერ დასჭირდებაო, მაგრამ რა არის ერთხელ ნიდაყვის გადანაცვლება, თუ ამით დაითრგუნება ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება სწორე ხელის გამეფებას ყველა სასწავლებელში და ყველა მოწაფეთათვის ეროვნების გაურჩევლად.

განვითარებულნი და წერის საქმეში გამოცდილნი პედაგოგნი და მკურნალნიც გვემოწმებიან ამაზედ: „სწორე ხელით წერა, გვეუ-

ბნებიან ქსენი, ყოველთვის შეიძლება, როდესაც რვეული სწორედ გიდევთ. მოწაფეც ძლიერ არ იღლება. ერთის სიტყვით, სწორე ხელის შემოღებით ირიბულის მაგიერ შესრულებულია ის, რისთვისაც ილვწოდნენ ყველა პედაგოგები" (გ. 30 Раціональный способъ письма на основаніи изслѣдованій послѣдняго времени, д—ра А. Виреніуса, Семья и Школа 1887 г. №№ 3 и 4).

როდესაც სწონავ მოკამათე დასთა საბუთებს და სურვილს, ცხადად ატყობ, თუ საით მიიმართება ორივე დასთა სურვილი, ატყობ, რომ ამათი შერიგება, შეთანხმება მოჰხდება, თუ ახლო ხანში კერა, ახლო მომავალში მაინც. თუ ამისთანა შეერთება მოჰხდება, ახლავე ატყობთ იმასაც, თუ რომელს მხარეს დასჭირდება დათმობა, ხელის აღება წინად მიღებულ წესისაგან. ჩვენის შეხედულობით, ამისთანა დათმობა წილად უნდა ჰხვდეს ირიბულ ხელს; ამან უნდა გაისწოროს დახრილი, დამახინჯებული, ბუნებასთან შეუფერებელი სახე, რომლის შემდეგ დამყარდება ნაწერისა და ნაბეჭდ შორის სრული თანხმობა, ერთფერობა. ამის საიმედო ნიშნად ჯერ ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ირიბული ხელის მომხრენი აღარ თხოულობენ მეტის-მეტ დაირიბებას, ამათი თხოვნა იმგვარ შეუმჩნეველ დაირიბებამდე ჩამოვიდა, რომელსაც სწორე ხელიდან ძლივს გაარჩევს შეიარაღებული თვალიც. ზოგნი თანხმანი არიან სწორე ასოები სწერონ, მხოლოდ თხოულობენ, რათა „ქაღალდი დასდოთ ცოტათი ირიბად". ამავე შეხედულობისაა ჩვენი პატივცემული ავტორიც («ივერია» № 32). მერე რა დიდი ხანია, რაც დაიწყო აღწერილი მოძრაობა წერის გამო. თუ ოციოდე წლის განმავლობაში სწორე ხელის გამეფების სურვილმა დღევანდელ ყოფამდე მიაღწია, მოიმედე უნდა ვიყვნეთ, რომ ახლო მომავალში ირიბული ხელი დაუთმობს სრულს მეფობას სრულიად სწორე ხელს. ამ ცვლილებას წერის საქმეში მოჰყვება ახალი სიკეთე. ეს დაამყარებს თანხმობას და ერთფერობას რუსულისა და ქართულის წერის საქმეში, რომლის განსხვავება ჰბადავდა და ახლაც ჰბადავს მრავალს უკმაყოფილებას ყრმებათა შორის. ამისთანა უთანხმოების მოსპობა სასარგებლო უნდა იყოს ორისავე მხრისათვის, რადგან მხოლოდ მშვიდის და შეთანხმებულის მოქმედებისაგან უნდა მოველოდეთ სასარგებლოს ნაყოფს აწინდელს ჩვენს ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე სწავლა-აღზრდას შეეხება.

ბოლოს, საჭიროდ ვრაცხთ ვისურვოთ, რომ პატივცემულმა ავტორმა ამისთანა წიგნაკებით გაამდიდროს ქართველთ საზოგადოებაც, რომელიც დანატრებულია საპედაგოგო სტატიებსა და წიგნაკებს ქართულს ენაზედ. ამისთანა წიგნაკების უქონლობაც იყო იმის მიზეზიც, რომ ეს შენიშვნა ასე გავრცელდა ჩვენდა უბედურად.

**ნ. მთვარელიშვილი**

---

1. **კრებული არითმეტიკული ამოცანებისა** და რიცხვით მაგალითებისა, მოსამზადებელი კურსი. დამატება: შემოკლებული სახელმძღვანელო არითმეტიკისა. შედგენილი **რ. ჯაჯანაშვილისაგან**, ტფილისი, 1888 წ. ფ. 40 კაპ.

2. **კრებული არითმეტიკის ამოცანებისა** და სავარჯიშო მოქმედების წარმოების მასალა. შედგენილი **ა. ნატროშვილისაგან**, გამოცემა მეორე, ტფილისი 1893 წ.

«მოამბის» მეორე ნომერში ჩვენ გავარჩიეთ ბ-ნ რცხილაძისაგან შედგენილი არითმეტიკული ამოცანათა კრებული. ახლა გვსურს მკითხველების ყურადღება მივაქციოთ ორს სხვა არითმეტიკულ კრებულზე, რომელთა სათაურები ზემოდ ამოვწერეთ. თუმცა ეს წიგნები დიდი ხანია, რაც გამოიცნენ, მაგრამ მათი გარჩევა არც უადგილოდ და არც უდროვოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს წიგნები დიდად გავრცელებულნი არიან სასახლხო და სამრევლო სკოლებში, რამდენჯერმე გამოცემულან და იმედია კიდევ რამდენჯერმე გამოიცემიან.

პრინციპიალური განსხვავება ამ კრებულთა შორის მდგომარეობს იმაში, რომ ბ-ნი ნატროშვილი ასწავლის არითმეტიკულ მოქმედებებს ცალ-ცალკე, ესე იგი ჯერ შეკრებას, მერმე გამოკლებას, გამრავლებას და სხვა; ჯაჯანაშვილი კი მოქმედებათა ასეთს განცალკევებას უარჰყოფს და ავარჯიშებს ყველა მოქმედებებში ერთად და ამიტომ აწყობს ამოცანებს ისე, როგორც დაწყობილნი არიან ისინი ევტუშევსკის კრებულში, საიდამაც მას გადმოღებული აქვს პლანიც და ამოცანათა უმეტესი ნაწილიც. ეჭვი არ არის, რომ წარმატებით სწავლება შეიძლება ორივე მეთოდით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიტყვით, რომ ამოცანათა დაყოფა მოქმედებებზე, როგორც ბ-ნ ნატროშვილს აქვს თავის კრებულში, ეთანხმებოდეს პედაგოგიის

მოთხოვნილებას. მართალია, ამავე მეთოდზე შედგენილია რუსულენაზე ბ-ნ გოლდემბერგის არითმეტიკულ ამოცანათა კრებულიც, რომელიც, როგორც ამბობს ბ-ნი ნატროშვილი, მოწონებულია ჯეროვანი მთავრობისაგან, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი მოწონებულია მხოლოდ სახმარებლად (какъ пособіе) და არა სახელმძღვანელოდ, რაიცა ერთი და იგივე არ არის. ჩვენის ფიქრით, პირველდაწყებითი სწავლება, რაც უფრო ახლოს იქმნება ბუნებაზე, რაც უფრო მეტად დაემსგავსება გაკვეთილებს, რომელსაც ბუნება დღე-მუდამ აძლევს ბავშვს, მით უფრო ნაყოფიერი იქმნება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებაში ბავშვი მთელი კვირაობით მარტო საგნების შეკრებაში იყოს, და გონება მისი მხოლოდ ამაში ვარჯიშობდეს, ან მარტო გამოკლებაში, ან გამრავლებაში და სხვა. სხვა არა იყოს-რა, ამნაირი ერთგვარი მუშაობა თავს მოაწყენს ბავშვსა და დაუღალავს მას გონებას. ამიტომ, ჩვენის აზრით, მეთოდა, რომელზედაც შედგენილნი არიან ევტუშევსკის და ჯაჯანაშვილის კრებულები, უფრო მაღლა სდგას. რაიცა შეეხება პლანის სისრულეში მოყვანას, ამ მხრივ ორივე თავ-თავის მეთოდზე ასე თუ ისე სრულიად არის აგებული. კრებულება, რასაკვირველია, უნაკლულონი არ არიან. ბ-ნი ნატროშვილი წინასიტყვაობაში ამბობს: თანახმად დიდი პედაგოგიური კანონისა: «ჯერ ადვილი, მერე ძნელი; ჯერ მარტივი, მერე რთული; ჯერ თვალსაჩინო, მერე განყენებული; ჯერ ახლობელი, მერე შორეული», ყოველი ჩვენი ყურადღება და ცდილობა იყო მიქცეული იმაზე, რომ მიგვეცა შესასწავლად ყმაწვილისათვის ჯერ რაც უფრო ადვილად გასაგები და მისაწდომი იყო მისთვის და სხვა... სამწუხაროდ, ეს დიდი პედაგოგიური პრინციპი ბ-ნ ნატროშვილს არა აქვს მტკიცედ დაცული; ხშირად შეხვდებით მის კრებულში, რომ რთული და ძნელად გამოსაგონი ამოცანა უსწრებს მარტივს და ადვილად გამოსაანგარიშებელს; დიდ რიცხვზე სავარჯიშოები ხშირად ბევრით წინ არის ჩართული წიგნში პატარა რიცხვების სავარჯიშოებზე; მაგალითად, მეოთხე გვერდზე კრებული ავალებს მოსწავლეს ჩამოთვლას 9-დამ 1-მდის ორ-ორი რიცხვის გამოშვებით (9. 6. 3), და ამის შემდეგ მე-16 გვერდზე, ესე იგი 12 გვერდის შემდეგ, კრებული ჰკითხავს: «მამამ მისცა თავის შვილს 3 ვაშლი; ერთი ვაშლი ყმაწვილმა მაშინათვე შეჭამა...

რამდენი ვაშლი დარჩენია ყმაწვილს?» რაღა თქმა უნდა, რომ 3-დან 1-ის გამოკლება უფრო ადვილია 9-დან 3-ის გამოკლებაზე, მით, უმეტეს, რომ იქ განყენებულ რიცხვებზე არის ლაპარაკი და აქ ბავშვისთვის საყვარელ ვაშლებზე; მე-14 გვერდზე, შემდეგ საკმაოდ რთულ ამოცანებისა, რომელნიც შეეხებიან რიცხვებს 6, 7, 8 და სხვა, მოყვანილია ამოცანა მე-64: «ერთი გრიფელი ღირს ერთი კაპეიკი, რამდენი ღირს ორი ასეთივე გრიფელი?» მე-66 ამოცანა ეხება რიცხვს 10-ს და მე-70 კი რიცხვს 6-ს. ასეთი მაგალითები, როგორც ვთქვით, ხშირია. ამოცანათა არეულ-დარეულობით აიხსნება, სხვათა შორის, ისიც, რომ ზოგიერთი რიცხვების შესწავლა სრულებით დავიწყებულია, მაგალითად იმ განყოფილებაში (გვერდ. 16), რომელსაც მიზნად აქვს გამოკლების შესწავლა, სრულებით არ მოიპოვება ამოცანა რიცხვზე 9, ასე რომ მოსწავლე ამ განყოფილებას ისე გაივლის, რომ ერთხელ არ მოუხდება გამოკლება ცხრიდან. ბ. ნატროშვილი წინასიტყვაობაში ამბობს: ჯერ თვალსაჩინო და შემდეგ განყენებულიო, მე-25 გვერდზე კი ჯერ ასწავლის განყენებულ რიცხვთა გამრავლებას განსაკუთრებულ ტაბულის საშუალებით და შემდეგ მოჰყავს ამოცანები სახელ-წოდებულ რიცხვებზე. ვიმეორებთ, წინასიტყვაობაში მოხსენებული დიდი პედაგოგიური კანონი არა ერთხელ უარყოფილია თვით კრებულში, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მტკიცედ დაცვა მოხსენებულ კანონისა ამის თანა პლანზე აგებულ კრებულში შეუძლებელიც არის: ბავშვმა ჯერ უნდა შეისწავლოს შეერთება ათამდინ და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს გამოკლებაზე, ესე იგი მან მარდად უნდა გვიპასუხოს ხოლმე ისეთ ძნელ კითხვაზე, როგორც მაგალითად: რამდენია 4 და 5 და მხოლოდ მასუკან შეუდგეს იმის შესწავლას, თუ რამდენი დარჩება 2-ს რომ ერთი მოაკლდეს; ცხადია, ამისთანა მდგომარეობაში «დიდ პედაგოგიურ კანონზე» ლაპარაკი აღარ შეიძლება.—სულ სხვა მდგომარეობაშია მასწავლებელი როდესაც ჯაჯანაშვილის კრებული აქვს ხელში; ის განიხილავს თვითეულს რიცხვს ყოველის მხრით: ამრავლებს, ჰყოფს; აერთებს, აკლებს და ამნაირად ნელ-ნელა მიდის ერთიდან ათამდე, ოცამდე, ორმოცამდე და ასამდე. ერთი, ჩვენის ფიქრით, მეტად შესამჩნევი ნაკლულევანება აქვს მატუშევსკის კრებულს;

იგი მეტად აგრძელებს რიცხვების შესწავლას: რიცხვებს, რომელნიც 40-ზე და 50-ზე მეტი არიან, ისე დაწვრილებით განიხილავს, როგორც პატარა რიცხვებს. ბ. ჯაჯანაშვილს, როგორც სჩანს, მოუნდომებია ამ ნაკლულევანების აცილება, მაგრამ უარესი შეცდომები მოუსვლია. საქმე ის არის, რომ ბ. ჯაჯანაშვილი არ არჩევს რთულ რიცხვს მარტივისაგან; ყოველი რთული რიცხვი, როგორც შემდგარი რამდენიმე მწარმოებელისაგან, მეტ კომბინაციას წარმოადგენს, ვიდრე მარტივი, და მაშასადამე მის შესასწავლად მეტი ამოცანა არის საჭირო. ბ. ევტუშევსკის ეს კარგად აქვს შეგნებული. ბ. ჯაჯანაშვილს ჯერ დაყენებული აქვს ათ-ათი ამოცანა თვითეულ რიცხვისათვის, რთული იქნება, თუ მარტივი; რიცხვს 60-ის შესწავლის შემდეგ, ამოცანათა რიცხვს თანდათან უკლებს და რადგან რთულსა და მარტივ რიცხვებს შორის, როგორც ვთქვით, უმეტეს შემთხვევაში გარჩევა არა აქვს, ამიტომ ხშირად რთულ რიცხვებისათვის ცოტა ამოცანას სტოვებს, და რიცხვი შეუსწავლელი რჩება. ამოცანათა რიცხვის შემცირებას ბ-ნი ნატროშვილი იწყებს პირველი ათეულის შესწავლის შემდეგ. ჩვენის ფიქრით, პირველი განყოფილება კრებულისა მეტად ვრცელია; რიცხვების შესწავლას აიამდინ მოუნდომებია თითქმის იმდენივე ამოცანა, რამდენიც დანარჩენ რიცხვებს, ესე იგი 10-დან 100-მდე. ამ განყოფილების ამოცანათა რიცხვი ცოტა რომ შემცირებულიყო და სამაგიეროდ რიცხვები 10-დან 20-მდე ისა დაწვრილებით გარჩეულიყვნენ, როგორც პირველი ათეული, ბევრად უკეთესი იქნებოდა. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ მოსწავლე, მაგალითად, ნაშთის $15 - 8$ გამოსაანგარიშებლად, არ უნდა ამბობდეს გუნებაში $15 - 8 = (10 - 8) + 5 = 2 + 5 = 7$, არამედ ისე უნდა ჰქონდეს ზეპირად გაკვეთილი, როგორც გაკვეთილი აქვს ისა, რომ, მაგალითად, $7 - 5 = 2$; ეს საჭიროა მეტადრე ჩვენ ბავშვებისათვის, რადგან ჩვენი დათვლის სისტემა სრულებით განსაკუთრებულია, და საფუძვლად უძევს მას 20. არ იქნებოდა აგრეთვე ურიგო, რომ მეორე განყოფილებაში, რომელიც შეიცავს ათეულების ანგარიშს, არ ყოფილიყო ჩართული აქაიქ ყალაგოდ ამოცანები, მაგალითად: მე-456, მე-457, მე-459, მე-463, მე-485, მე-499, მე-500, მე-505, მე-506, რომელნიც

ჭარულებით არ წარმოადგენენ ათეულების თვლას და ანგარიშს; რომელსაც მოსწავლემ იცის მხოლოდ, რომ 2 ათეული იწოდება ოცად, 3 — ოც და ათად და სხვა, იგი ვერ მიხვდება, რომ, მაგალითად, 40-ის მეხუთედი არის 8, 60-ში მოთავსდება 3 ოცჯერ და სხვა; რიცხვი 40 იმას წარმოდგენილი აქვს, როგორც 4 ათეული და, მაშასადამე, იმას შეუძლიან შეიტყოს მხოლოდ ოთხი ათეულის ნახევარი, მეოთხედი; აგრედვე 60-ის — ნახევარი, მესამედი და მეექვსედი.

ბ-ნი ნატროშვილის კრებულის შესამჩნევ ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს ციფრების სწავლება პირველ განყოფილებაში ნულების, ჯვრების და კვადრატების საშუალებით. ასეთი ჩართვა კრებულში მეთოდიურ სახელმძღვანელოის ელემენტებისა ჩვენ მალიან სასარგებლოდ მიგვაჩნია; სხვა-და-სხვა ნიშნების სხვა-და-სხვა რიგზე დაწყობა, მათი სხვა-და-სხვა რიგად შეჯგუფება და ამით თვალსაჩინოდ გამოხატვა იმისა, თუ როგორ შეიძლება შესდგეს თვითეული რიცხვი, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. ვნანობთ მხოლოდ, რატომ ბ-ნ ნატროშვილს არა აქვს ჩართული მეორე განყოფილებაშიაც სავარჯიშოები შესასწავლად რიცხვების აღნიშვნისა 10-დან ასამდე; ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ სავარჯიშოებზე და არა ჯვრებზე და რგოლებზე; ამით პლანი მეტის სისრულით იქმნებოდა შესრულებული. ბ-ნ ნატროშვილის კრებულში მოსწონია აგრედვე ტაბულები რუსულ და ქართულ ზომებისა და ღამატება, რომელიც შეიცავს მრიცხველობას ქართულ ასოებით და ანგარიშს ქართული ფულისას ამავე ასოების საშუალებით.

ზომების ტაბულები აქვს აგრედვე ბ-ნა ჯაჯანაშვილის კრებულსაც, მაგრამ მეტად შეკვეცილი. ბ-ნ ჯაჯანაშვილს იმდენად აქვს შემოკლებული მოხსენებული ტაბულები, რომ, მაგალითად, არ არის აღნიშნული, საჟენი რამდენ ფუტს უდრის და ფუტი რამდენ დიუიმს; ამოცანებში კი წამ-და-უწუმ იხსენიებს ფუტსაც და დიუიმსაც, საიდან უნდა გამოიანგარიშოს მოსწავლემ, თუ საჭირო ცნობა ზომებისა არ ექმნება. შესახებ რთულ სახელ-წოდებულ რიცხვებისა უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნი ჯაჯანაშვილი თავის ამოცანებში ხშირად უმაღლეს სახელწოდების ზომებში გადასაქცევ რიცხვებს იძლევა, რაიცა წესი არ არის. საკვირველია, რომ ეს ნაკლულევანება დაჩემებული აქვთ იმ ამოცანებს, რომელნიც ქართულ ზომებს ეხებიან; მაგალითად, ხშირად შეხვდებით ასეთს რთულ სახელწოდებულ რიცხვს: 3 კოდი, 7 გასრი და 9 ჩანახი, რომელიც შესაკრებად იძლევა სხვა ამისთანავე რიცხვთან; ტაბულაში კი ნათქვამია, რომ 2 ჩანახი უკვე შეადგენს ერთს გასრს და 4 გასრი — ერთს კოდს; ამნაირად მიწოდება საან-

გარიშოდ რიცულ სახელ-წოდებული რიცხვებისა არ ვარგა, რადგან მოსწავლეს ათვისებინებს აზრს, რომ ასეთი სახე რიცხვისა ჩვეულებრივია და არავითარ გადაცვლას არ საჭიროებს. სხვა ამგვარ წიგნებში და თვით კეტუშევსკის კრებულშიაც ასეთს შემთხვევებს ვერ წააწყდება კაცი.

ბ-ნ ჯავახიშვილის კრებულს აქვს დამატება, რომელიც წარმოადგენს შემოკლებულ სახელმძღვანელოს არითმეტიკისას. ამ დამატებაზე ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ როგორც სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის, იგი მეტად შემოკლებულია და როგორც სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის ძნელი გასაგები: ორნიშნიან და სამნიშნიან რიცხვებზე გამრავლების ახსნა ისე, როგორც მოყვანილია დამატებაში, ვეჭვობთ, რომ ადვილი გასაგები იყოს მოსწავლესათვის. რაიცა შეეხება სხვა-და-სხვა მოქმედებათა განმარტებას, ისინი სრულებით საჭირონი არ არიან, რადგან ვერაფერს ვერ შესძენენ მოსწავლეს; ისეთი განმარტებანი, როგორიც მოჰყავს ბ. ჯავახიშვილს და რომელნიც უხსნებიან მოსწავლეს, რომ შეერთება არის მოქმედება, რომელსაც მიზნად აქვს რიცხვების შეერთება, გამოკლება არის გამოკლება, გაყოფა არის გაყოფა და სხვა, არაფერს არ იძლევიან.

საზოგადოდ, ეს ნაწილი წიგნისა ისე სახელდახელოდ არის შედგენილი და ამასთანავე, როგორც თვით სათაური «დამატება» გვიჩვენებს, იმდენად შორს უდგას თავ-და-თავ სახელმძღვანელოს, რომ არა ღირს მაზე დიდხანს შეჩერება, და ვფიქრობთ, რომ თვით ავტორიც არ აძლევს მას მაინც-და-მაინც დიდს მნიშვნელობას.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ესა როგორც ჯავახიშვილისა, ისე ნატროშვილის კრებულისა, საზოგადოდ სუბუქი და ფაქიზია, და ამ ხრივ ესენი უფრო მაღლა სდგანან ბ-ნ რცხილაძის კრებულზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბ. ჯავახიშვილის ამოცანების მრავალსიტყვაობას, რაიცა უნდა მიეწეროს ბ. კეტუშევსკის კრებულის გავლენას.—ორივე კრებული საზოგადოდ არის შემუშავებული, ორივე კარგი სახმარებელია პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში და ორივე სრულ საშუალებას იძლევა წარმატებით სწავლებისათვის, ხოლო ვფიქრობთ, რომ ბ. ნატროშვილის კრებულისათვის უფრო გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელია საჭირო.

მ. შ.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია — გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

მეურნეობის, ეკონომიის, ვაჭრობის, მრეწველობის, ჰიგიენისა

და

სავეტერინარო ჟურნალი

# მეურნე

გამოდის კვირაში ერთხელ

ჟურნალში დაახლოვებულს მონაწილეობას მიიღებენ **აგრონომები:** გუნცაძე იოსები, ნაკაშიძე ერმილე, თ-დი; **ექიმები:** ლორთქიფანიძე სიმონი, თ-დი, და მედიცინის დოქტორი ნაზაროვი დიმიტრი; მეფუტკრე აპოლონ წულაძე და სხვანი.

ჟურნალის ფასი ტფილისს გარედ ერთის წლით 5 მანეთი, ნახევარის წლით 3 მანეთი. ტფილისში—ერთის წლით—4 მანეთი და ნახევარის წლით—2 და 50 კაპ.

**ადრესი:** Тифлисъ. Редакція „**Меурнэ**“, Реутовская ул. № 10 ანუ **Кутаисъ**, Отдѣленіе редакціи „**Меурнэ**“ Ильѣ Чконіа.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალერიან გუნიას შედგენილი

## საქართველოს კალენდარი

**1894 წლისა**

კალენდარი დასურათებულია მრავალის სურათებით

ფასი ათი შაური

# „ივერია"

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარ. სასახლის ქუჩ., ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА."

---

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი"

გამოვა 1894 წ. ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მან. ნახევარის წლისა: გაუკზავნელად **3** მ. **50** კ. გაგზავნით **4** მანათი. სამი თვისა: გაუკზავნელად **2** მანეთი, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში" და თვით „კვალის" დ „ჯეჯილის" რედაქციაში. **(Большая водовозная, № 22 д. Айвазова).**

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „ჯეჯილის" აგენტებს.

ვინც „ჯეჯილსა" და „კვალს" ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ელირება გაუგზავნელად **10** მ., ხოლო გაგზავნით **12** მ.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1894 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАРТЫРЬ“-ზედ

ფასი ჟურნალისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | „მწყემსი“ | 5 მ. | 6 თვით | „მწყემსი“ | 3 მ. |
| — „ | ორივე გამოცემა | 6 „ | — „ | ორივე გამოცემა | 4 მ. |
| — „ | რუსული | 3 მ. | — „ | რუსული | 2 მ. |

სოფლის მასწავლებელთ „მწყემსი“ დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის ხელისმოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

„მწყემს“-ის ხელის მომწერლებს საჩუქრად 1894 წელში დაერიგებათ მოზრდილი მხატვრობა

თამარ მეფისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მიართმევს თამარს თავის უკვდავ პოემას ვეფხის ტყაოსანს. ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შოთა-რუსთველი და თამარის მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში..

---

**открыта подписка на 1894 г.**

на газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

*(одиннадцатый годъ изданія).*

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | . . 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | . 6 р. — к. |
| „ 11 „ | . . 9 „ 50 „ | „ 5 „ | . . 5 „ 25 „ |
| „ 10 „ | . . 8 „ 75 „ | „ 4 „ | . . 4 „ 75 „ |
| „ 9 „ | . . 8 „ — „ | „ 3 „ | . . 3 „ 50 „ |
| „ 8 „ | . . 7 „ 25 „ | „ 2 „ | . . 2 „ 75 „ |
| „ 7 „ | . . 6 „ 50 „ | „ 1 „ | . . 1 „ 50 „. |

За границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р.,
(Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится —3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Городская подписка принимается **въ конторѣ редакціи, Головинскій проспектъ, 12.** Гг. иногородные обращаются по слѣдующему адресу: **Тифлисъ, въ редакцію газеты „Новое Обозрѣніе“.**

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА
## НА 1894 ГОДЪ.
(*Сорокъ девятый годъ изданія*).
# „КАВКАЗЪ“
**Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИГЪ.**
**Подписная цѣна:**

| | *Городская* | *Иногородная.* | *Заграничная* |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 11 р. 50 к. | 13 руб. | 18 р. 40 к. |
| „ 11 „ | 11 „ — „ | 12 „ | — „ |
| „ 10 „ | 10 „ — „ | 11 „ | — „ |
| „ 9 „ | 9 „ — „ | 10 „ | — „ |
| „ 8 „ | 8 „ — „ | 9 „ | — „ |
| „ 7 „ | 7 „ — „ | 8 „ | — „ |
| „ 6 „ | 6 „ — „ | 7 „ | 10 |
| „ 5 „ | 5 „ — „ | 6 „ | — „ |
| „ 4 мѣсяца | 4 „ 50 „ | 5 „ | — „ |
| „ 3 „ | 3 „ 50 „ | 4 „ | 6 „ |
| „ 2 „ | 2 „ 50 „ | 3 „ | — „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ 50 „ | 1 „ 75 к. | 2 „ |

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцовъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 2 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ** (со строки петита или занимаемаго ею мѣста): *На послѣднихъ страницахъ*: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп.. за каждый разъ. *На первыхъ страницахъ* вдвое. За большія многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

**Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“: Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# ჯეჯილი

წელიწადი მეხუთე

გამოვა 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ღირს—3 მ. ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

1) **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის" რედაქციაში (Большая водовозная ул., д № 22 Айвазова).
2) **ქუთაისში**—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.
3) **გორში**—ზ. დავიდოვთან.
4) **ბათუმში** მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
5 **თელავში**—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.
6) **საჩხერეში** - ყარამან ჩხეიძესთან.
7) **ბაქოში**—ეს. ამაშუყელთან.
8) **ყვირილაში**—თ. ხუსკივაძესთან.

პოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"*.

---

Открыта подписка на 1894 г. на газету

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ"

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| **Въ Тифлисъ:** | **Для иногороднихъ:** |
|---|---|
| Съ доставкой на годъ 5 р.—к. | Съ пересылкой на годъ 6 р.—к |
| „ „ „ полгода 3 — „ | „ „ „ полгода 3 „ 50„ |
| „ „ „ 3 мѣс. 1 75 „ | „ „ „ 3 мѣс. 2 „ —„ |
| „ „ „ 1 мѣс. — 75 „ | |

Подписка принимается исключительно въ конторѣ „Тифлисскаго Листка" (Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова. № 3).

За подписку въ другихъ мѣстахъ контора редакціи не принимаетъ на сѣбя никакой отвѣтственности.

# „ქართველთა ამხანაგობის“

## წიგნის მაღაზიაში

### ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | მ.—კ. |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით დ ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე: | 1—20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე. | 2—50 |
| ოთხი ტომი ერთად | 9— „ |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა. | 1—20 |
| იგივე ყდით. | 1—40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე ყდით | „—75 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | „—40 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე კრგს ქაღალდზე, მშვენიერის ყდით | 2—50 |
| ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით | 2—50 |
| ტომი III | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით | 2— „ |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით | 3— „ |
| ჩანგი | 1— „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით | 2—50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე. | 1—50 |

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ НА
## ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ, ЛИТЕРАТУРНО-НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ
# „СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ“.

Въ 1893 г. въ „Сѣв. Вѣст.“ было между прочимъ напечатано: „СУРАТСКАЯ КОФЕЙНЯ“ гр. **Льво Толстого**, „ПУСТОПЛЯСЫ“ разск. **Н. Лѣскова**, „МЕЧТАТЕЛЬ“ разск. въ стих. **Я. Полонскаго**, „СЕМЕЙНЫЙ ОЧАГЪ“ ром. **К. Баранцевича**, „Али“ разск. **П. Боборыкина**, „ЦАРЕВНА НАНДЖАНА“ ск. **Кота Мурлыки**, „ВЪ СЛОБОДКѢ“ разск. **Ольги Шапиръ**, „СЕМЕЙНАЯ ИСТОРІЯ“ пов. **И. Потапенко**, „КОНЕЦЪ БИРЮКОВСКОЙ ДАЧИ“ разск. **А. Михайлова (Шеллера)**, „ВЪ ОБЛАКАХЪ“ пов. **В. Каренина**, „ПОРУЧЕНІЕ“ пов. **Л. Гуревича**; статьи: „НЕ-ДѢЛАНІЕ“ гр. **Льва Толстого**, „КНИГОНОШИ И ОФЕНИ“ **А. Пругавина**, „О ВЛІЯНІИ МУЗЫКИ“ проф. **И. Тарханова**, „ЖЕНЩИНА-ПРЕСТУПНИЦА“ проф. **И. Фойницкаго**, „ОБЩЕСТВЕННЫЯ ДОКТРИНЫ ПРОШЛАГО ВѢКА“ проф. **М. Ковалевскаго**, „ПИСЬМА ВЕЛИКАГО ЧЕЛОВѢКА“ **В. Стасова**, „ЖИЗНЬ ХУДОЖНИКА 60-хъ ГОДОВЪ“ **Н. Ге**, „НИЩЕНСТВО НА РУСИ“ **Л. Весина**, „О ПРИТВОРНЫХЪ БОЛѢЗНЯХЪ У ДѢТЕЙ“ д-ра **Якубовича**, „ГЮИ-ДЕ-МОПАССАНЪ“ проф. **Л. Шепелевича**, „О ЖЕНЩИНАХЪ-ВРАЧАХЪ И ЖЕНСКИХЪ ВРАЧЕБНЫХЪ КУРСАХЪ“ д-ра **Герценштейна**, „НАУКА, ФИЛОСОФІЯ И РЕЛИГІЯ“ **А. Волынскаго**, „СОВРЕМЕННЫЯ НЕРВНЫЯ БОЛѢЗНИ НАШЕГО ОБЩЕСТВА“ проф. **И. Ковалевскаго**, „БѢЛИНСКІЙ“ **А. Волынскаго**, „ФАКТОРЫ ПРЕСТУПНОСТИ, проф. **И. Фойницкаго**, „ВОЛГА И ВОЛГАРИ“ **А. Субботина** и мн. друг. Кромѣ того печатались въ теченіе всего года:

## ЗАПИСКИ А. О. СМИРНОВОЙ:

(Изъ записныхъ книжекъ 1825—1845 гг) Литературный кружокъ при дворѣ Николая Павловича. Бесѣды **Государя, Пушкина, Жуковскаго, Вяземскаго, Гоголя, Лермонтова, Глинки** и др.

***Новымъ подписчикамъ*** на 1894 г. будетъ разослана ***безплатно*** напечат. въ 1893 г. ***I. ч. Записокъ Смирновой*** въ видѣ ***отдѣльнаго изданія*** съ портретомъ А. О. Смирновой, художественно исполненнымъ въ Парижѣ.

Ежемѣсячные отдѣлы въ журналѣ: 1) Областной и земскій отдѣлъ, 2) Провинціальная печать Л. Прозорова, 3) Новыя книги, 4) Письма: изъ Америки В. Макъ-Гаханъ, изъ Франціи, изъ Италіи, изъ Англіи, 5) Внутренне обозрѣніе, 6) Политическая лѣтопись, 7) Театръ, 8) Литературныя замѣтки А. Волынскаго.

| Условія подписки: | | По полугодіямъ. | | По четвертямъ года. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Безъ дост. въ Спб. конторѣ журнала. | На годъ. 12 р.—к. | Январь. 6 р.—к. | Іюль. 6 р.—к. | Январь. 3 р.—к. | Апрѣль. 3 р.—к. | Іюль 3 р.—к. | Окт 3 р |
| Безъ дост. въ Москвѣ въ конт. Печковской и магаз. Карбасникова. | 12 „ 50 „ | 6 „ 50 „ | 6 „ — „ | 3 „ 50 „ | 3 „ — „ | 3 „ — „ | 3 „ |
| Съ доставкой въ Спб. | 12 „ 50 „ | 6 „ 50 „ | 6 „ — „ | 3 „ 50 „ | 3 „ — „ | 3 „ 50 „ | 3 „ |
| Съ перес. въ Имперіи | 13 „ 50 „ | 7 „ — „ | 6 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ |
| Заграницей. . . . . . | 15 „ — „ | 8 „ — „ | 7 „ — „ | 4 „ — „ | 4 „ — „ | 3 „ 50 „ | 3 „ |

Допускается ***разсрочка*** годовой цѣны на журналъ и подписка по полугодіямъ и по четвертямъ года ***безъ повышенія годовой цѣны.*** Для служащихъ помѣсячная разсрочка за ручательствомъ казначеевъ. Для учащихъ и учащихся ***льготныя условія*** по соглашенію.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: ***въ Главной Конторѣ журнала, Спб. Троицкая ул.***, 9, и въ отдѣл. конторы: въ книжн. магаз. ***Фену*** и К°, Спб., Невскій 40. Въ Москвѣ въ конт. ***Н. Печковской.*** Петровскія линіи; а также въ книж. магаз. ***Н. П. Карбасникова.*** въ Спб., Москвѣ, Варшавѣ. Въ книж. магаз. ***Новаго Времени*** въ Спб., Москвѣ, Харьковѣ, Одессѣ и Саратовѣ;—***Н. Я. Оглобина*** въ Кіевѣ;—***Н. Я. Башмакова*** въ Казани, и въ друг. книжныхъ магаз.

Издат. ***Л. Гуревичъ.*** Редакторъ. ***М. Альбовъ.***

---


открыта подписка на 1894-й годъ
на издающуюся въ гор. Ставрополѣ-Кавказскомъ
общественно-литературную газету

Хг.из. „СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ" Хг.из.

выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго носитъ газета.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Безъ доставки и пересылки: | р. к. | Съ доставкой и пересылкой: | |
|---|---|---|---|
| На годъ . . . . . . | 4 50 | На годъ . . . . . | 5 50 |
| — полгода . . . . . | 2 50 | — полгода . . . . . | 3 — |
| — 3 мѣсяца . . . . | 1 50 | — 3 мѣсяца . . . . | 1 75 |

(Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками).
Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.
АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа"

(3—3)

1894

# „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი პირველი)

გამოდის ყოველ თვის პირველს რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

### ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ-გარედ . . . . . . . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 მაისამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მიმწერმა ადრესის გამოცვლისათვის **ათი** შაური უნდა წარმოადგინოს

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Моамбе“.**

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

რომელიც ავტორსაც ან გამომცემელს სურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, მათ ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალექსანდრე ჭყონია | ნიკოლოზ ლოლობერიძე |